780
1984/2

ცოცხალი

1984
3

№ 245
(3—4)

ISSN 0134 — 0848



რემბრანდტი. ავტოპორტრეტი

სუნჯე

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

3
(60)
მაისი
ივნისი
1984

17.770

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პოეზია და პროზა

ჰერმან ჰესე. ტრამალის მგელი. დასაწყისი. გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა 3

თომას მანი. ფრიად საეჭვო რაზ. (ერთი თავი რომანიდან „ჯადოსნური მთა"). გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ 91

მიხაილ ლერმონტოვი. ლექსები. თარგმნა ოთარ შალამბერიძემ 118

ენ ვეტემაა. მონუმენტი. რომანი. ესტონურიდან თარგმნა ამირან კალაძემ 122

ადამ მიცკევიჩი. პან ტადეუში. (ნაწყვეტი პოემიდან). დასაწყისი. თარგმნა ოთარ ჭელიძემ 188

ეუჯენიო მონტალე. თოვლის ქანდაკება. თარგმნა ნოდარ გურეშიძემ 202

ანდრეი ბელი. ლექსები. თარგმნა გივი ალხაზიშვილმა 206

ნიკოლაე ესინენკუ. ლექსები. თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ 210

მიხაილ ზოშჩენკო. მზის ამოსვლის წინ. დასაწყისი. თარგმნა ეთერ თვარაძემ 213

წერილები

ნოვალისი. შილერი — მოგვავალ თაობათა სულიერი მოძღვარი. გერმანულიდან თარგმნა ნატო თბილავამ 262

მალკოლმ კაული. შესავალი უ. ფოლკნერის თხზულებათა ანთოლოგიისათვის. ინგლისურიდან თარგმნა მაკა მაისურაძემ 265

ვიტალი ვილენკინი. ამედეო მოდილიანი. გაგრძელება. თარგმნა ლარისა ტიტვინიძემ 274

ეძენ ფრომანტენი. რემბრანდტი. თარგმნა მედეა ზუბალაშვილმა 104

კ. მარქსის სახ. საქ. ს
სახელმწიფო უნივერსიტეტ
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:
მუხრან მაჭავარიანი

პ. მგ. მდივანი:
ნანა დარჩია

სარედაქციო კოლეგია:
ელზა ახვლედიანი
ჯემალ აჯიაშვილი
გიორგი გაქანიძე
მზია გაძრაძე
ბაჩანა გრიგვაძე
გურამ გოგიაშვილი
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
რომან მიმინოშვილი
გიორგი ნიშნიანიძე
ოთარ ნოდია
დალი ფანჯიკიძე
რუსუდან ქებულაძე
ოთარ ქეცერტელიძე
ნიკო ყიფიანი
გივი ძნელაძე
დავით წერედიანი
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წივწივაძე
რევაზ ჭეიშვილი

«САУНДЖЕ»

ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ
№ 3
1984

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანზე: **რემბრანდტი.** დედის პორტრეტი.

ფ-

მხატვრული რედაქტორი **ან. თოდრია.** მხატვარი **ა. ვართაგავა.** ტექრედაქტორი **რ. ომნაიშვილი.**
გამომშვები **ნანა ბართაია**

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

გად. წარმ. 14. 03. 84 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 11. 06. 84 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/32,
სააღრ. თ. 25. სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28.7. ტირ. 10.000. შეკვ. № 625.
ფასი 1 მან. 60 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

პერმან ჰესე

ტრამალის მგელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა

გამომცემლის წინათქმა

ეს წიგნი იმ კაცის დანატოვარ ჩანაწერებს შეიცავს, საკუთარ თავს ხშირად „ტრამალის მგელს“ რომ უწოდებდა და ჩვენც მისი წამხედურობით ამ სახელითვე მოვნათლეთ. ძნელი სათქმელია, სჭირდება კი მის ხელნაწერს წინათქმა! ასეა თუ ისე, მწადია ტრამალის მგლის ხელით დაწერილ გვერდებს ერთი-ორი ჩემიც მივუმატო და ვთქვა, რაც ამ კაცზე მოგონებამ შემომიწახა. ტრამალის მგელზე, საერთოდ, ძალზე ცოტა რამ მსმენია, ხოლო მისი წარმომავლობა და მით უფრო წარსული ხომ უცნობი და უცნობია ჩემთვის! მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ამ კაცზე მაინც ძალზე სასიამოვნო მოგონებები შემომრჩა.

ტრამალის მგელი ასე ორმოცდაათიოდე წლის კაცი იქნებოდა. აი, უკვე რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მან პირველად გადმოაბიჯა დეიდა-ჩემის სახლის ზღურბლზე: როგორც შემდგომ გამოირკვა, უცნობი თურმე ბინას ეძებდა. მანსარდა და მომიჯნავე საძინებელი ოთახი რომ იქირავა, ერთ-ორ დღეში ისევ მოვიდა და ჩემოდანი და წიგნებით გატენილი ყუთი მოიტანა. იმ დღიდან მოყოლებული ცხრა თუ ათ თვეს დარჩა ჩვენთან; ერთობ წყნარად და კარჩაკეტილად ცხოვრობდა. ჩვენი საძინებელი ოთახები გვერდიგვერდ იყო და ამის გამო კიბესა და დერეფანში ძალაუნებურად გვიხდებოდა ხოლმე შეხვედრა. ეს რომ არა, ასე მგონია, მის გაცნობას ვერც მოვახერხებდი-მეთქი. დიახ, დასაახლოებლად მაინცდამაინც ადვილად ვერ მიუდგებოდით. ჩემს ცხოვრებაში იშვიათად თუ შემხვედრია მასავით გულჩათხრობილი ადამიანი. ნამდვილად ჰგავდა ტრამალის მგელს და აკი ზოგჯერ თვითონაც ასე უწოდებდა ხოლმე საკუთარ თავს! ერთი ეული, ველური და თან მფრთხალი კაცი იყო, დიახ, დიახ, უცნაურად მფრთხალი. მის სამყაროს აბა რა საერთო შეიძლება ჰქონოდა ჩემისთანა კაცის ცხოვრებასთან! მხოლოდ ახლა, როცა მის დანატოვარ ჩანაწერებს გავეცანი, მივხვდი, თუ რა განუჭვრეტელ მარტოობას იყო ნაზიარები საკუთარი იღბლისა თუ მიდრეკილებათა წყალობით, და თვითშთა-

გონებით როგორ ცდილობდა ამ სიმარტოვეში განგების ძალა დაენახა. მაგრამ ხანმოკლე შეხვედრებსა და საუბრებში ჯერ კიდევ მანამდე შეგვეცან ამ კაცის ბუნება და ასე მგონია, ამ ჩანაწერების წყალობით ჩემს ცნობიერებაში ასხლეტილი მისი ხატება ძირითადად მაინც ემთხვევა-მეთქი იმ, რა თქმა უნდა, მკრთალსა და ბუნდოვან სურათს, ჩვენმა პირადმა ნაცნობობამ [illegible] დამიტოვა.

სრულიად შემთხვევით გავხდი მომსწრე იმ ამბისა, [illegible] გადმოაბიჯა ტრამალის მგელმა პირველად ჩვენი სახლის ზღურბლს და დეიდაჩემთან იქირავა ბინა. საღილობის დრო იყო. მაგიდაზე ჯერ ისევ ეწყო აულაგებელი ჭურჭელი, მე კი სამსახურში წასვლამდე ნახევარი საათი კიდევ შემეძლო დარჩენა. ახლაც არ მავიწყდება ის უცნაური და ორჭოფული შთაბეჭდილება, ტრამალის მგელმა ერთი ნახვით რომ დატოვა ჩემზე. ჯერ ზარი დარეკა და მერე-ღა შემოაღო შემინული კარი. ახალმოსულს დეიდაჩემმა ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანშივე ჰკითხა, რა გნებავთო, ხოლო მან, ტრამალის მგელმა, პატარა, მოკლედგაკრეჭილი თავი შემართა, მერე მთრთოლვარე ნესტოებით თითქოს ჰაერი შეიყნოსა და, ვიდრე თავის ვინაობას ან მოსვლის მიზეზს გვამცნობდა, თქვა:

— ო, რა მშვენიერი სუნი დგას აქ!

მერე გაიღიმა და გულკეთილმა დეიდაჩემმაც საპასუხო ღიმილი შეაგება, მე კი ასეთი მისალმება რატომღაც სასაცილოდ მეჩვენა და ამ კაცის მიმართ არცთუ კეთილად განმაწყო.

— დიახ, ოთახის თაობაზე გეახელით, გაქირავებას რომ აპირებთ, — თქვა მან ბოლოს.

სამივენი მანსარდის კიბეს შევუყევით. მხოლოდ ახლაღა შევძელი უცნობის უკეთ შეთვალიერება. ტანად ძალიან მაღალი არ ეთქმოდა, მაგრამ სიარულიცა და მიხრა-მოხრაც ახოვანი კაცისა ჰქონდა. მოდაზე შეკერილი და ტანზე მშვენივრად მორგებული ზამთრის პალტო ეცვა: საერთოდ საკმაოდ კარგად ჩაცმული ჩანდა, ეს კია, ცოტა დაუდევრობა ემჩნეოდა. პირი სუფთად ჰქონდა გაპარსული, ხოლო ძალიან მოკლედ გაკრეჭილ თმაში ალაგ-ალაგ ჭაღარა გამორეოდა. თავდაპირველად მისი სიარული არ მომეწონა, რაღაც დაძაბულად და გაუბედავად ადგამდა ფეხს, რაიც აგრერიგად არ ეხამებოდა არც მის წამახულ, გამოკვეთილ პროფილსა და არც საუბრის ტემპერამენტსა თუ კილოს. მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე, ავად რომ იყო და სიარული უჭირდა. მისეული უცნაური ღიმილით ათვალიერებდა კიბეს, კედლებს, ფანჯრებს და კიბის თავში ჩამწკრივებულ ძველ მაღალ კარადებს. იმ წუთში უცნობის ღიმილმაც უსიამოდ იმოქმედა ჩემზე. იფიქრებდით: მთელი ეს გარემო კიდეც მოსწონს და თან სასაცილოდაც არ ჰყოფნისო. გეგონებოდა, ეს კაცი სულ სხვა სამყაროდან, სადღაც ცხრა მთის იქიდან მოსულა და ყველაფერი ჩვენებური თუმცა კი ლამაზად, მაგრამ ამავე დროს ცოტა უცნაურადაც ეჩვენებაო. ისე კი, აუგს ვერ ვიტყვი, თავი ძალზე თავაზიანად ეჭირა. თქვენ წარმოიდგინეთ, ცდილობდა გულისხმიერიც ყოფილიყო. უმალ მოიწონა სახლიცა და ოთახიც, უყოყმანოდ დათანხმდა ბინის ქირას, საუზმესა და სხვა მისთანებზე, მაგრამ მთელ მის არსებაში მაინც გამოსჭვივოდა რაღაც უცხო და, როგორც მაშინ მეჩვენა, არაკეთილგანწყობილი თუ მტრული. უცნობმა სასადილო ოთახთან ერთად საძინებელიც იქირავა; იკითხა, გათბობა, წყალი და მომსახურება თუ იქნებაო, მერე კი ჩვენი ოჯახის ადათ-წესებითაც დაინტერესდა. ყველაფერი ეს დიდი გულის-

ყურით მოისმინა, უარი არაფერზე უთქვამს და შემოგვთავაზა, ბეს ახლავე გადავიხდით. მაგრამ მახვილ თვალს არ გამოეპარებოდა, რომ ყველაფერი ამას რიღაც სასხვათაშორისოდ მიიჩნევდა და მთელი ეს ფართიფურთიც სახაცალოდ არ ყოფნიდა. იფიქრებდით, ამ კაცისთვის უჩვეულო სიახლეა ბარის დაქირავებაცა და ხალხთან გერმანულად ლაპარაკიცო, რადგან ეტყობოდა, მთელი გულისყური სულ სხვა ამბებზე ჰქონდა მიპყრობილი. აი, დაახლოებით ასეთი იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება ტრამალის მგელზე, და ალბათ ასეთივე არასაშური აზრისა დავრჩებოდი მასზე, სხვადასხვა წვრილმანი რომ არა მცემოდა თვალში და არ შემცვლოდა შეხედულება. უპირველეს ყოვლისა უნდა გითხრათ, რომ იმთავითვე საოცრად მომეწონა ამ კაცის სახე. დიახ, მომეწონა-მეთქი, ვამბობ, მიუხედავად იმისა, რომ ზედ მარტოსულობას დაემჩნია თავისი კვალი. იქნება ადამიანს მისი გამოხედვა ცოტა უჩვეულო და ნაღვლიანიც მოსჩვენებოდა, მაგრამ მის მზერაში აშკარად გამოკრთოდა ცინცხალი და ამავე დროს დინჯი, დადუღებული გონიერება. უცნობმა იმით მოინადირა ჩემი გული, რომ ცდილობდა თავაზიანი და გულისხმიერი ყოფილიყო, თუმცა, ეტყობა, ამ დროს, ცოტა არ იყოს, თავს ძალას ატანდა; ეს კი, მის საქციელში ამპარტავნობის ნიშანწყალსაც კი ვერ იგრძნობდით. ამპარტავნობა კი არადა, ამ კაცის საქციელში გულისამაჩუყებელ რამ ვედრებასაც კი დაინახავდით: ყველაფერ ამას შედარებით გვიან მოვუძებნე შესაფერისი ახსნა, მაგრამ მაშინ ამ გრძნობამ მიხსნა და უცებ განმაწყო მისდამი კეთილად.

ოთახების დათვალიერებამ კარგა დრო წაიღო. ამასობაში ჩემი შესვენების საათიც დამთავრდა. მოლაპარაკების დასასრულს აღარ დავლოდებივარ, უცნობი დეიდაჩემს გადავაბარე და დავემშვიდობე. საღამოს შინ რომ დავბრუნდი, დეიდაჩემმა მითხრა, სტუმარმა ბინა იქირავა და ამ დღეებში გადმობარგებას აპირებს, ოღონდ აღლიან მთხოვა, პოლიციაში ნუ განაცხადებთ ჩემი აქ ყოფნის ამბავს, ავადმყოფი კაცი ვარ და იქ სირბილისა და დავიდარაბის თავი არა მაქვსო.

კარგად მახსოვს, რა საგონებელში ჩამაგდო მაშინ ამ ამბავმა. დეიდაჩემს ვურჩიე, ახალ მდგმურს ამ პირობაზე არასდიდებით არ დასთანხმებოდა, გუნებაში კი გავიფიქრე, ამ კაცს ისეთი საეჭვო და უჩვეულო შესახედაობა აქვს, ბუნებრივია, ხელს არ აძლევს პოლიციასთან საქმის დაჭერა-მეთქი. მერე დეიდაჩემს ავუხსენი, თუ კაცს არ იცნობ, ამისთანა უცნაურ თხოვნაზე არამც და არამც არ უნდა დათანხმდე; ვინ იცის, რა ხათაბალას შეიძლება გადაეყაროთ-მეთქი. მაგრამ გამოირკვა, რომ დეიდაჩემი მდგმურს უკვე შეჰპირებოდა, როგორც ინებებთ, ისე მოეიქცევიო. მერე იაიც შევატყვე, უცნობს რომ უკვე საკუთარი მოენადირებინა მისი გული. დეიდაჩემი ბრის ქალი არ იყო, ადამიანი შინ შემოეშვა, თუ მის მიმართ მეგობრული, შინაურული, თბილი და, ასე განსაჯეთ, დედობრივი გრძნობით არ განიმსჭვალებოდა. იმასაც ვიტყვი, რომ მისი ყოფილი მდგმურები მშვენივრად სარგებლობდნენ დეიდაჩემის ამ ხასიათით. ამჯერადაც ასე მოხდა. პირველ ხანებში, როცა ვცდილობდი უცნობისთვის რაიმე ნაკლი აღმომეჩინა, დეიდაჩემი მყისვე გადაეფოფრებოდა ხოლმე ტრამალის მგელს.

რაკილა ახალმა მდგმურმა პოლიციაში გამოცხადებაზე უარი თქვა, მე კი, ჩემი მხრივ, მისი ასეთი საქციელი ფრიად საეჭვოდ ჩავთვალე, გადავწყვიტე ის მაინც გამეგო, რა იცოდა დეიდაჩემმა უცნობის ვინაობისა თუ მიზნების თა-

ობაზე. გამოირკვა, რომ მას მართლაც უკვე მოესწრო რაღაც-რაღაცების გაგება, თუმცა შუადღეზე, შინიდან წავსულვარ თუ არა, ჩვენი ახალი მდგმურიც დიდხანს აღარ შეყოვნებულა. უთქვამს, თქვენს ქალაქში ერთხანს ვაპირებ დარჩენას, ბიბლიოთეკაში მინდა ვიმუშაო და ქალაქის სიძველენი დავათვალიეროთ. ისე, კაცმა რომ თქვას, დეიდაჩემს არცთუ მაინცდამაინც [illegible] ხელს ასე ცოტა ხნით მდგმურის აყვანა, მაგრამ უცნობს უკვე მოესწრო მისი გულის მონადირება; ამიტომაც დეიდას ჩვენი მომავალი მდგმურის თავდაპირველად ასე უცნაური გამოცხადებისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია. ერთი სიტყვით, ოთახი გაქირავებული იყო და ჩემს წინააღმდეგობას რაღა აზრი ჰქონდა!

— ვითომ ის რატომღა ბრძანა, თქვენთან სასიამოვნო სუნი ტრიალებსო? — ვიკითხე მე.

დეიდაჩემს დროდადრო უტყუარად შეეძლო ხილმე ჩამხვდარიყო საქმის მუღამს.

— ძალიან კარგად მესმის, რატომაც თქვა, — მომიგო მან, — აქ შემოსულ კაცს უმალ სისუფთავისა და წესრიგის სუნი ეცემა; ისიც შეგვატყო, მყუდროდ და უშფოთველად რომ ვცხოვრობთ. ჰოდა, სწორედ ეს მოეწონა ჩვენი, რადგან, ეტყობა, თავად შეუჩვეველი და დანატრებულია ამ ამბებს. — რა გაეწყობა, შესაძლოა ასეც იყოს-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში, დეიდაჩემს კი ვუთხარი: — აი, აი, მეც სწორედ მანდა ვარ, თუკი წესრიგსა და ადამიანურ ცხოვრებას მიჩვეული არ არის, აბა, წარმოიდგინე, რა შეიძლება მოჰყვეს ამას? მაშინ რაღას იზამ, ეგ შენი მდგმური ერთი ბინძური ვინმე თუ გამოდგა, ყველაფერი წაგიბილწა და ღამღამობით გალეშილი დაბრუნდი შინ?

— აღდგომა და ხვალეო, — სიცილით მითხრა დეიდამ და მეც აღარ ჩავციებივარ.

ჩემი სიფრთხილე მართლაც უსაფუძვლო გამოდგა. თუმცა ახალი მდგმურის ცხოვრებას კაცი დიდი ზომიერებისა და წესრიგის ნიმუშად ვერ ჩათვლიდა, არ მახსოვს ოდესმე შევეწუხებინეთ. ამიტომაა, რომ დღესაც სიამოვნებით ვიგონებ ხოლმე მას.

ისე კი უნდა ვთქვა, ეს კაცი სულიერად მეც და დეიდაჩემსაც ძალზე გვაფორიაქებდა. მძიმე რამ ლოდივით გვაწვა გულზე და, გულახდილად რომ გითხრათ, მისგან შემორჩენილ ამ გრძნობას დღემდე ვერა და ვერ დავაღწიე თავი. ხანდახან, ღამღამობით ტრამალის მგელს ახლაც ვხედავ ხოლმე სიზმარში და ვგრძნობ, თვით მისი არსებობის ამბავი რაღაცით მბოჭავს და სულის სიბნელეს მიკარგავს, თუმცა კი ნამდვილად დიდი სიყვარული მაქვს მისი.

ორი კვირის შემდეგ მეეტლემ ჩვენი მდგმურის ბარგი-ბარხანა მოიტანა. უცნობს თურმე ჰარი ჰალერი ერქვა. ჩემზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ტყავის ძალზე ლამაზმა ჩემოდანმა. თვალში ერთი ბრტყელი ზანდუკიც მომხვდა, სხვადასხვა ქვეყნის სამგზავრო კამპანიებისა და სასტუმროების გადაყვითლებულ იარლიყებს რომ ეჭრელებინა; მათ შორის აქა-იქ ოკეანისგაღმა ქვეყნების სახელებსაც შეხვდებოდით.

მერე თვითონაც გამოჩნდა. აი, ახლა კი დადგა დრო, ამ საოცარ კაცს ნელნელა გავცნობოდი, მაგრამ ჩემი მხრივ თავდაპირველად არაფერი მიღონია. რომ ეს ნაცნობობა დამეჩქარებინა.

მართალია, ჰალერმა ერთი შეხედვისთანავე დამაინტერესა, მაგრამ პირველი ერთი კვირა თითი თითზე არ დამიკარებია, რომ შევხვედროდი ან დავლაპარაკებოდი. ისე კი, რა დასამალია და, უცნობს ჩუმ-ჩუმად ვუთვალთვალებდი; ხანდახან კი, როცა სახლში არ მეგულებოდა, მის ოთახშიაც შევდიოდი ხოლმე. ერთი სიტყვით, ამ ჩემმა ცნობისმოყვარეობამ ცოტ-ცოტა მსტოვრობაც-კი დამაწყებინა.

ტრამალის მგლის გარეგნობაზე ზოგი რამ უკვე მოგახსენეთ. თვალის ერთი შეკვლება კმაროდა იმის მისახვედრად, თუ რაოდენ იშვიათ და საოცრად მაღალნიჭიერ პიროვნებასთან გქონდათ საქმე. გონიერებას მის სახეზე თავისი უცილობელი ბეჭედი დაესვა, ხოლო უაღრესად დახვეწილი, მეტყველი სახის ნაკვთები საოცრად საინტერესო, არაჩვეულებრივად ნატიფსა და მგრძნობიარე სულიერ ცხოვრებას ამჟღავნებდა. საუბარში იშვიათად, მაგრამ ხანდახან მაინც გადააბიჯებდა ხოლმე პირობითობის საზღვრებს. აი, მაშინ კი, თითქოს მის უცნაურ მარტოსულობას იდუმალების საბურველი შემოეძარცვაო, აღარ ცდილობდა შეეჩერებინა მოზვავებულ აზრთა ნაკადი და ჩვენც, მოკვდავებს, სხვა აღარა დაგვრჩენოდა რა, გარდა უსიტყვო მორჩილებისა. იგი სხვაზე მეტ დროს ანდომებდა გონების ვარჯიშს და სულიერი საკითხების განსჯისას იმ ადამიანისთვის ჩვეულ ცივ ობიექტურობასა და გააზრებულ ცოდნას ავლენდა, ჭეშმარიტად სულიერი ცხოვრებით რომ ცხოვრობს, ადამიანისა, ვისი ბუნებაც სრულიად განწმენდილია პატივმოყვარეობისა და თავის გამოჩენის სურვილისაგან, როცა იგი აღარ ცდილობს პაექრობაში აჯობოს ანდა თავისი ნააზრევის ჭეშმარიტება დაუმტკიცოს ვინმეს.

მაგონდება ერთი შემთხვევა. ეს ის დრო იყო, როცა ტრამალის მგელი ჩვენთან ყოფნის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. საქმე მის ერთ თვალსაზრისს ეხება, უფრო სწორედ, თვალსაზრისს კი არა, მის ერთ გამოხედვას.

უნივერსიტეტის საქტო დარბაზში მოხსენებით უნდა გამოსულიყო ევროპაში სახელგანთქმული ფილოსოფოსი და კულტურის ისტორიკოსი. ტრამალის მგელი დიდხანს კი იდგა უარზე, მაგრამ ბოლო-ბოლო მაინც დავითანხმე ლექციაზე წამოსულიყო. ერთად წავედით და დარბაზშიც გვერდიგვერდ დავსხედით. საკმარისი იყო ამ ერთობ გადაპრანჭულ ორატორს კათედრაზე ფეხი შეედგა და მისასალმებელი სიტყვა ეთქვა, რომ პირველსავე წუთებში გაეცრუებინა მოლოდინი არა ერთი და ორი მსმენელისათვის, რომლებიც ფილოსოფოსის გამოსვლას წინასწარმეტყველების გამოცხადებასავით ელოდნენ; და აი, მან საუბარი დაიწყო: ორიოდ მაამებელი სიტყვა მიუგდო დამსწრე საზოგადოებას და დარბაზს მადლობა გადაუხადა ხალხმრავლობისათვის. სწორედ ამ დროს ტრამალის მგელმა ისეთი მზერა მესროლა, აშკარად რომ მოწმობდა მის კრიტიკულ დამოკიდებულებას როგორც ორატორის სიტყვების, ასევე საერთოდ მისი პიროვნებისადმი. მაგრამ მზერაც არის და მზერაც! ეს გახლდათ გამოხედვა დაუვიწყარი და შემზარავი, რომლის არსსა და მნიშვნელობაზე მთელი წიგნი დაიწერებოდა. ის, რომ თავისი მზერით ტრამალის მგელი მსჯავრს სდებდა და შემპარავი, მაგრამ გამანადგურებელი დაცინვით აკამტვერებდა ორატორს, კიდევ არაფერი იყო. ამ მზერაში დაცინვაზე მეტი ნაღველი და დაუსაბამო, უიმედო მწუხარება გამოსჭვიოდა, რომლის არსს ჩვეულებად ქცეული უსიტყვო სასოწარკვეთა შეადგენდა. ამ გამოხედვის უსასოო სიცხადე არა

მარტო ორატორის პიროვნების არარაობას ირეკლავდა, დასცინოდა და მსჯავრს სდებდა არა მარტო იმ წამიერ ვითარებას, დამსწრეთა ფუჭ მოლოდინსა და გუნება-განწყობას თუ მოხსენების ღვარჭნილ სათაურს! არა! ტრამპალის მგლის მზერაში მთელი ჩვენი თანადროულობა არეკლილიყო თავისი ამაო ირონიალით, კარიერიზმითა და პატივმოყვარეობით, კიდევ მეტი, იგი აშკარად გვამცნობდა ჩვენი ზერელე ცხოვრების მოჩვენებითობას და [illegible] ატეხილ აურზაურს.

ეჰ, ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რომ ეს უცნაური მზერა ჯერ ჩვენი დროების, ჩვენი სულიერი ცხოვრებისა და კულტურის ნაკლსა და უილაჯობას ამიშვლებდა, მერე კი უფრო ღრმა შრეებისკენ იღებდა გეზს. ეს მზერა ადამიანთა მოდგმის გულისაკენ იყო მიმართული! წამის უმცირეს ნაწილში მან იშვიათი მჭევრმეტყველებით გამოხატა დაეჭვება ბრძენისა ადამიანთა ცხოვრების არსზე დაფიქრების ჟამს. თავისი ამ გამოხედვით იგი უსიტყვოდ ამბობდა: „აი, როგორი ტაკიმასხარები ვართ, აი, შეხედეთ, რა არის ადამიანი!" და მის ფონზე უკვდავებით მოსილი ყველა სახელი, გონებისა თუ სულის მიღწევანი, ყოველგვარი ადამიანური სწრაფვა განდიდების, აღზევებისა და უკვდავებისაკენ დასაღუპავად იყო განწირული და მოლიზღარობად ქცეულიყო!

ჩემდაუნებურად ძალზე წინ მომიხდა გადახტომა და ისე გამოვიდა, რომ ყველაზე არსებითი ჰალერზე, მგონი, უკვე მოგახსენეთ, თუმცა კი ვაპირებდი თანდათანობით მოვყოლოდი ჩვენი ნაცნობობის ამბავს და შეპარვით ამეხადა საბურველი ამ უცნაური კაცისათვის.

რაკიღა ამბავთ მსვლელობას გადავასწარი, აღარ ღირს ლაპარაკის გაგრძელება ჰალერის იდუმალებით მოსულ „მარტოსულობაზე", აღარც იმის მოყოლით შეგაწყენთ თავს, თუ რანაირად შევძელ თანდათანობით გამერკვია ამ უცნაური და საშინელი მარტოსულობის მიზეზები და მნიშვნელობა. ისე აჯობებს, რადგანაც საკუთარი თავი შეძლებისდაგვარად მინდა მივაფარო ასპარეზს. იმასაც ვიტყვი, რომ არც ფსიქოლოგიური დაკვირვებების ჩატარებას ვაპირებ და არც ფერად-ფერადი ამბების მოყოლას ან აღსარების წერას. როგორც უშუალო მოწმემ, მინდა მხოლოდ თითო-ოროლა სახასიათო ხაზი მივუმატო იმ უცნაური კაცის სურათს, რომელმაც ტრამპალის მგლის ჩანაწერები დაგვიტოვა.

როგორც კი უცნობმა დეიდაჩემის კარის ზღურბლს გადმოაბიჯა, თავი ფრინველივით უკან გადააგდო და ჩვენს სახლში დატრიალებული საამო სუნი შეაქო, იმწამსვე მისი პიროვნების უჩვეულობა მომხვდა თვალში და თავდაპირველად ზიზღიც აღმძრა. ვიგრძენი (ალბათ შთაბეჭდილება დარჩა დეიდაჩემსაც, რომელსაც, ჩემგან განსხვავებით, ტვინის ჭყლეტა არ უყვარდა), დიახ, აშკარად ვიგრძენი, რომ ეს კაცი ავად არის. ვერ გეტყოდით, რა იყო ეს: სულით ავადმყოფობა თუ მისი ხასიათის სხვა რამ სენი, ოღონდ ცხადი კია, რომ მაშინ ჯანმრთელი კაცის გუმანმა მაიძულა შორს დამეჭირა მისგან თავი; მაგრამ გამოხდა ხანი და თავდაცვის გრძნობა სიმპათიამ შეცვალა, რომელსაც ამ მრავალჭირთამთმენი კაცისადმი დიდი თანაგრძნობა დაედო საფუძვლად, მით უფრო, რომ მისი ამქვეყნისგან განდგომისა და სულიერი კვდომის უშუალო მოწმე შევიქენ. იმხანად სულ უფრო და უფრო თვალნათლივ ვხედავდი, რომ ამ მარტვილი კაცის სნეულება მისი ბიწიერი ბუნებიდან არ მოდის, რომ სათავე

ამისა მისი უჩვეულო მაღალნიჭიერება და ძალებია, რომელთა ჰარმონიული ურთიერთშერწყმაც ვერა და ვერ მოეხერხებინა. მაგალითად, რომ ჰალერი ტანჯვის გენია იყო, რომ მან ნიცშეს ზოგ-ზოგ შეგონებათა წამსეულობრივ თავის თავს შესძინა სულიერი ჭირვეულობის გენიალური, უსაზღვრო და შეზღუდულ-ებელი უნარი, იმასაც ჩავნიშნავდი, მისი პესიმიზმი სამყაროს სიძულვილი ერ იყო გამოწვეული და უპირატესად საკუთარი თავისადმი ზიზღი ედო საფუძვლად. მაშინაც კი, როცა ჩვენი ცხოვრების წეს-ჩვეულებებსა თუ ადამიანებზე ყველაზე უფრო გამანადგურებელ აზრებს გამოთქვამდა, თავის თავს გამონაკლისად არაოდეს მიიჩნევდა და პირველ რიგში სწორედ საკუთარი „მესაკენ“ მიმართავდა ხოლმე შხამიან ისარს, რამეთუ თავიდათავი მისი სიძულვილისა სწორედ საკუთარი „მე“ იყო და მას უარყოფდა.

აქ ერთი ფსიქოლოგიური შენიშვნა მინდა ჩავურთო: მართალია, ტრამალის მგლის ცხოვრებაზე პირადად ძალზე ცოტა რამ მსმენია, მაგრამ საიმისოდ კი სრული საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ მოსიყვარულე, მკაცრსა და უაღრესად მორწმუნე მშობლებსა თუ მასწავლებლებს მისი აღზრდისას ის ხერხი უხმარიათ, „ნებისყოფის დათრგუნვა“ რომ უდევს საფუძვლად. მაგრამ მოხდა ისე, რომ ამჯერად ნებისყოფის დათრგუნვა და პიროვნების განადგურება ვერ მოხერხდა, რადგან აღმზრდელები ერთობ მტკიცე, უტეხ და თან ამაყსა და გონიერ მოწაფეს გადააწყდნენ. ბოლო-ბოლო ყოველივე იმით დასრულდა, რომ პიროვნება ვერ გაანადგურეს, მაგრამ საკუთარი თავი კი შეაჯავრეს. ამიტომაც იყო, რომ ტრამალის მგელი მისი გენიალური წარმოსახვისა და ძლევამოსილი აზროვნების უნარს დღენიადაგ საკუთარ თავთან, ამ უწყინარ და უდანაშაულო არსებასთან ჭიდილს ალევდა. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ეს კაცი სწორედ იმით იყო ჭეშმარიტი მარტვილი მარტვილთა შორის და ჭეშმარიტი ქრისტიანი ქრისტიანთა შორის, რომ ყოველგვარი სისასტიკისა და განსასჯელის, ბოროტებისა თუ სიძულვილის ფესვებს საკუთარ „მეში“ ხედავდა და უპირველეს ყოვლისა თავის თავზე იყრიდა ჯავრს. რაც შეეხება გარშემო მყოფ ადამიანებს, ძალების ზებუნებრივი დაძაბვით ცდილობდა მათდამი სიყვარული გამოეჩინა და სამართლიანი ყოფილიყო. ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლება კაცს კაცისთვის ტკივილი და ტანჯვა მიეყენებინა, რამეთუ მცნება — „გიყვარდეს მოყვასი შენი“, ისევე ღრმად გამჯდარიყო მის სულში, როგორც სიძულვილი საკუთარი თავისადმი. ამრიგად, ამ კაცის მთელი ცხოვრება დასტური იყო იმისა, თუ საკუთარი თავი არ გიყვარს, ვერც მოყვასს შენსას შეიყვარებ; საკუთარი თავის სიძულვილი ადამიანთა მოდგმის სიძულვილს ნიშნავს საერთოდ; ეს გრძნობა კაცს ბოლო-ბოლო ისეთსავე შემზარავ მარტოსულობას აგრძნობინებს და ისეთსავე სასოწარკვეთილებაში აგდებს, როგორც ამას აშკარა თავკერძოობა იწვევს ხოლმე.

მაგრამ, ეგონებ, დრო მსჯელობას შევეშვა და ძირითად ამბებზე გადავიდე. ასე და ამრიგად, პირველი ცნობები, ჰარი ჰალერზე რომ შევაგროვე, მისი ცხოვრების ყაიდას ეხებოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ზოგწილ ჩემი მოყურადობის, ზოგწილ დეიდაჩემის ნალაპარაკების წყალობით მოვახერხე. ის ამბავი კი, რომ ტრამალის მგელი მოაზროვნე, მწიგნობარი კაცი იყო და სხვა ორავითარ პრაქტიკულ საქმიანობას არ მისდევდა, მალე თავისთავად ცხადი გახდა. დილაობით ჩვეულებრივ კარგა ხანს ნებივრობდა ლოგინში. ხანდახან

ნაშუადღევს ადგებოდა და ხალათმოსხმული პატარა საძინებლიდან სასტუმრო ოთახამდე ბოლთასა სცემდა... ორფანჯრიანი ფართო მანსარდა. ახალი მდგმურს სასტუმრო ოთახის მაგივრობას რომ უწევდა. მისი გადმოსვლის შემდეგ ორიოდ დღეში შესამჩნევად შეიცვალა და სულ სხვა სახისა გახდა. ვიდრე ეწინდელი მდგმურების დროს იყო. იქაურობას ნელ-ნელა ემატებოდა ახალ-ახალი ნივთები. კედლებზე აქა-იქ გაჩნდა სურათები თუ ნახატები, ხანდახან ჟურნალებიდან ამოჭრილ ილუსტრაციებსაც მოჰკრავდით თვალს, რომელთა ადგილს მალე სხვები იჭერდა. აქვე ეკიდა სამხრეთული პეიზაჟი და გერმანული პროვინციული ქალაქის, — ალბათ ჰალერის მშობლიური ქალაქის, — ფოტო. მათ გვერდით ყურადღებას იქცევდა აკვარელის ციმციმა ფერებით ნახატი სურათები; შემდგომ შევიტყვე, რომ ისინი ჰარის ნახელავი ყოფილიყო. იქვე პირმშვენიერი ქალის თუ ქალიშვილის ფოტო ეკიდა. ერთხანს კედელზე სიამელ ბუდასაც მოჰკრავდით თვალს, მაგრამ მალე მისი ადგილი ჯერ მიქელანჯელოს „ლამის“ რეპროდუქციამ დაიჭირა, შემდეგ კი მაჰატმა განდის სურათმა. ოთახში უამრავი წიგნი იყო. წიგნებით იყო გაჭედილი დიდი კარადა; სანიშნებელჩადებული წიგნები ელაგა მაგიდებზე, ძველებურ ლამაზ სეკრეტერზე, სკამებზე, იატაკზე. წიგნებში ხშირად იცვლებოდა სანიშნებელი ქაღალდები და ამასთან ერთად თავად წიგნების რაოდენობაც. მოგეხსენებათ, ჩვენი მდგმური მარტო ბიბლიოთეკიდან როდი ეზიდებოდა გორა-გორა წიგნებს, ფოსტითაც იწერდა ხოლმე. იფიქრებდით, აქ ნამდვილად მეცნიერ კაცს დაუდვია ბინაო. ამ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებდა, რომ მთელი ოთახი თამბაქოს ბოლში იყო გახვეული და ყოველ ნაბიჯზე წააწყდებოდით სიგარის ნამწვავებსა და საფერფლეებს. მაგრამ წიგნების უმრავლესობა არამეცნიერული იყო. აქ მეტწილად ყველა დროებისა და ხალხთა მწერლების ნაწარმოებები იყო თავმოყრილი. ერთხანს ტახტზე, სადაც ტრამალის მგელი მთელ დღეებს ატარებდა, ექვსი სქელი ტომი ეწყო. ეს გახლდათ „სოფიას მოგზაურობა მემელიდან საქსონიაში“, მე-18 საუკუნის დამლევის ნაწარმოები.

წიგნები მკითხველის სიბეჯითეს ადასტურებდნენ: აქ ნახავდით გოეთესა და ჟან-პოლის, ასევე ნოვალისის, ლესინგის, იაკობისა და ლიხტენბერგის რჩეულ თხზულებებს. დოსტოევსკის რამდენიმე ტომში მელნით აჭრელებული ქაღალდის ფურცლები იყო ჩადებული, დიდ მაგიდაზე წიგნებსა და ხელნაწერებს შორის ხშირად იდგა ხოლმე ყვავილების თაიგული, იქვე ეგდო დამტვერიანებული აკვარელის ყუთი, ხოლო მის გვერდით კი საფერფლეები იყო ჩამწკრივებული. ჰო, იმასაც არ დავმალავ, ოთახში ნაირ-ნაირი სასმელებით სავსე ბოთლები რომ ეწყო. ჩალის წნული ბოთლით იტალიური წითელი ღვინო ედგა ხოლმე, იქვე სარდაფში რომ ყიდულობდა. შიგადაშიგ თითო ბოთლი ბურგუნდიული ან მალაგაც გამოჩნდებოდა. ერთხელ შევამჩნიე, ალუბლის ნაყენით სავსე სქელი ბოთლი სულ მოკლე ხანში თვალდათვალ თითქმის რომ გამოიცალა. მერე კი სადღაც კუთხეში ვხედავდი მიგდებულს, შიგ ნარჩენ სითხეს წვეთი აღარ მოჰკლებია და მხოლოდ მტვრის ბუდედღა ქცეულიყო. სრულიადაც არ მინდა თავის მართლებას მოვყვე ჩემი ჩუმჩუმელა თვალთვალის გამო და გულახდილად ვაღიარებ, რომ მთელ ამ სურათს სულიერი ინტერესებით აღსავსე ცხოვრების ბეჭედი კი ესვა, მაგრამ თან უწესრიგობისა და, ცოტა არ იყოს, თავდაუჭერლობის იერიც დაჰკრავდა, რაც ჩემს ზიზღსა და უნდობლობას

იწვევდა. თავად მე ბიურგერული, ზომიერი ცხოვრების მოყვარული კაცი გახლავართ. ყველაფერს თავის დროზე ვაკეთებ. ამას გარდა, არა ვსვამ და თამბაქოსაც არ ვეწევი. ამიტომაც იყო, რომ ჰალერის ოთახში დახვავებული ბოთლების დანახვამ გაცილებით უსიამო გრძნობა აღმიძრა, ვიდრე იქ გაფენილმა ზედახორამ.

ეს ჩვენი მდგმური როგორც ძილსა და მუშაობაში იყო უწესრიგო და ყალბოტიდან ამოვარდნილი, ასევე ჭამა-სმაშიც. ზოგჯერ მთელი დღეები სახლიდან გარეთ არ გადიოდა, დილით ყავას რომ დალევდა, მერე პირში აღარაფერს ჩაუშვებდა. ხანდახან დეიდაჩემი მისი სადილის ერთადერთ ნარჩენს, — ბანანის ნაფცქვენებს თუ აღმოაჩენდა, ეს იყო და ეს. სამაგიეროდ სხვა დღეებში მდიდრულ რესტორნებში დაბრძანდებოდა, ანდა ქალაქის ვანაპირა პატარა სამიკიტნოში შეივლიდა საჭმელად. ეტყობოდა, დიდი ჯანმრთელობით ვერ დაიკვეხნიდა: ტყვიასავით მძიმე ნაბიჯი ჰქონდა, კიბეზე რის ვაი-ვაგლახით ადიოდა, რაიც ალბათ სხვა სატკივრის ბრალი თუ იყო. ერთხელ კიდეც მითხრა, რა ხანია ალარ ვიცი, რა არის საჭმლის წესიერი მონელება და ადამიანური ძილი. თავდაპირველად ვიფიქრე, ეს ალბათ იმის ბრალია, ღვინოს რომ ეძალებამეთქი. ხანდახან მასთან ერთად მიხდებოდა ხოლმე სამიკიტნოში შესვლა და მოწმე გავმხდარვარ, თვალის დახამხამების უმალ როგორ გადაუკრავს ღვინით სავსე ჭიქა; თუმცა არ მახსოვს, მასზე ვინმეს ეთქვას, მთვრალიაო.

არ დამავიწყდება ჩვენი პირველი შეხვედრა პირისპირ. მანამდე მხოლოდ სალმით ვიცნობდით ერთმანეთს, როგორც ერთ სახლში მცხოვრებ მეზობლებს შეეფერებათ. ერთ საღამოს სამსახურიდან ვბრუნდებოდი და დიდად გაოცებული დავრჩი, როცა მეორე და მესამე სართულებს შორის ბაქანზე, კიბის ზემოთა საფეხურზე ჩამომჯდარი ბატონი ჰალერი შევამჩნიე. დამიხახა თუ არა, გვერდზე ჩაიწია და გზა დამითმო. ვკითხე, შეუძლოდ ხომ არა გრძნობთ-მეთქი თავს, და მის ოთახამდე აცილება შევთავაზე. ჰალერმა ისეთი თვალებით შემომხედა, მაშინვე მივხვდი, ოცნებას რომ წაეღო და ჩემი ხმის გაგონებამ გამოარკვია. მერე მისეული ნაღვლიანი და მშვენიერი ღიმილით გამიღიმა, რომლის დანახვაც მუდამ ცუდ გუნებაზე მაყენებდა, და ბოლოს მთხოვა, ჩემ გვერდით ჩამოჯექითო. მადლობა მოვახსენე და მივუგე, ჩვეული არა ვარ სხვისი კარის წინ ჯდომას-მეთქი.

— დიახ, დიახ, — თქვა მან და ხელახლა გამიღიმა, — მართალი ბრძანდებით, მაგრამ ერთ წუთს მოითმინეთ. მინდა იცოდეთ, თუ რატომ ჩამოვჯექი აქ.

ესა თქვა და მეორე სართულის ოთახის კარზე მიმითითა, სადაც ერთი ქვრივი დედაკაცი ცხოვრობდა. ფანჯარას, კიბესა და შემინულ კარს შორის დარჩენილ ერთი ბეწო ადგილას პარკეტის იატაკზე, კედელთან, წითელი ხის, სხმულ ტყვიასსამკაულებიანი ძველებური კარადა იყო მიდგმული. მის წინ, დაბალ სადგამებზე ჭოთნები იდგა და შიგ იელი და არაუკარია ხაროობდა. იმათ შეხედვას არაფერი სჯობდა, ისე სათუთად და გულდაგულ იყო მოვლილი ეს ლამაზი ყვავილები, რაც ადრევე მჭონდა შემჩნეული.

— აი, შეხედეთ, — განაგრძო ჰალერმა, — აქ, ამ კიბეზე, ყვავილები ისეთ საამო სურნელს აფრქვევენ, გული არ მითმენს, ცოტა ხნით მაინც არ შევჩერდე ხოლმე. დეიდათქვენთანაც შესანიშნავი სურნელება ტრიალებს და ყველგან

სისუფთავე და წესრიგია, მაგრამ ეს არაუკარია ისეა ნასათუთევ-გაკრიალებული და ისე მარმარებს, თვალი ვერ მომიშორებია. გრძნობთ, რა საამო სუნი ეფინება აქაურობას? ეს გახლავთ უცნაურად ნაზი სურნელი სანთლშერეული სკიპიდრის, წითელი ხის და წყალნაკურები ფოთლებისა, რომელიც სხვა დანარჩენთან ერთად ქმნის ოჯახური სისუფთავის, გარჯისა და მოვალეობისადმი მოწიწების გრძნობას და მცირე ზომით ყველა ზემოჩამოთვლილი თვისების უზენაეს გამოვლინებას წარმოადგენს. ვერ გეტყვით, ვინ ცხოვრობს აქ, მაგრამ ასე მგონია, სწორედ ამ შემინული კარის მიღმა არის-მეთქი მტვრისაგან განწმენდილი ოჯახური ყოფის სამოთხე, სამოთხე, სადაც მეფობს წესრიგი, წვრილმან ჩვეულებებისადმი ერთგულება, სადაც ყველაფერს მორიდებული და გულისამაჩუყებელი რუდუნების ბეჭედი აზის. — რაკიღა პასუხი არ მივეცი, ისევ განაგრძო:

— ძალიან გთხოვთ, ისე არ გამიგოთ, თითქოს ვინმეს მასხარად ეიგდებდე! არავითარი სურვილი არა მაქვს დავცინო ამ ოჯახურ წესრიგს. დიახ, მე სულ სხვა სამყაროს ვეკუთვნი და ერთ დღესაც ვერ გავძლებდი არაუკარიებით მორთულ ბინაში; მართალია, ერთი ბებერი და ცოტა არ იყოს გაქუცული ტრამალის მგელი ვარ, მაგრამ, ასეა თუ ისე, დედაჩემის პირმშოც ხომ მქვია! დედა მეოჯახე ქალი გახლდათ, ყვავილებს ახარებდა და დღენიადაგ ოთახსა და კიბეს აკრიალებდა, ფანჯრებზე ყოველთვის ქათქათა ფარდები გვქონდა ხოლმე ჩამოკიდებული. სულ იმის ცდაში იყო, ყოველდღიურ ცხოვრებაში რაც შეიძლება მეტი ეშხი და ლაზათი შემოეტანა. ეს არაუკარია და სკიპიდრის სუნი ყოველივე ამას მაგონებს, ამიტომაც დროდადრო ჩამოვჯდები ხოლმე კიბეზე, შევცქერი წესრიგის ამ პატარა წალკოტს და გულითა და სულით ვხარობ, რომ ქვეყნად ჯერ კიდევ არსებობს ასეთი რამ.

წამოდგომა მოინდომა, მაგრამ, ეტყობა, გაუჭირდა და, როცა ხელი შევაშველე, უარი არ უთქვამს. უხმოდ ვიდექი და, დეიდაჩემისა არ იყოს, ვგრძნობდი ამ უცნაური კაცის თილისმის ძალას. ნელ-ნელა ავუყევით კიბეს. აი, უკვე მისი ოთახის კარებთან ვიდექით; ჰალერმა ხელში გასაღები შეათამაშა. ალერსიანად შემომხედა და მითხრა:

— სამსახურიდან მოდიხართ, არა? იცით, ამისა არა გამეგება რა. მოგეხსენებათ, თავად მე, ცოტა არ იყოს, განზე ვარ გამდგარი ამგვარი საქმეებისაგან და განკერძოებით ვცხოვრობ. მაგრამ რატომღაც მგონია, წიგნები და მსგავსი ამბები თქვენც უნდა გაინტერესებდეთ. დეიდათქვენმა მითხრა, გიმნაზია გქონიათ დამთავრებული და კაი გვარიანი ბერძნულიც გცოდნიათ. დღეს დილას ნოვალისთან ერთ ფრაზას წავაწყდი და მინდა გაჩვენოთ. იმედია, თქვენც ნასიამოვნები დარჩებით.

ტრამალის მგელმა ოთახში შემიყვანა, სადაც ყველაფერი თამბაქოს სუნით იყო გაჟღენთილი, ხორა-ხორა წიგნებიდან ერთი გამოაძვრინა, გადაფურცლა, დაძებნა... — აი, ესეც არაა ურიგო, — თქვა მან, — აბა, ყური დამიგდეთ: „კაცი უნდა ამაყობდეს ტკივილით: ყოველგვარი ტკივილი ჩვენი მაღალი დანიშნულების შეხსენებაა მხოლოდ“!.. შესანიშნავია, არა? და ეს ნიცშემდე ოთხმოცი წლით ადრე ითქვა! თუმცა ამჟამად სულ სხვა რამ მქონდა მხედველობაში. მოითმინეთ, მოითმინეთ, აი, ის ადგილიც: „ადამიანთა უმრავლესობას არ სურს წყალში შესვლა, ვიდრე ცურვას არ ისწავლის“. მოსწრებული ნათქვა-

მია, არა? რასაკვირველია, არ ნებავთ ცურვა. რამეთუ მათი დანიშნულება ხმელეთზე ყოფნაა! ჰოდა, თუკი ასეა, მაშინ რაღა ვასაკვირია, რომ ადამიანებს აზროვნებითაც არა სურთ თავის შეწუხება. ადამიანი ამ ცხოვრებისთვის შეუქმნია განგებას და არა იმისათვის, რომ იაზროვნოს. ვინც მიჩვეულია გონების ვარჯიშს, ვინც აზროვნებაში ხედავს ცხოვრების არსსა და დანიშნულებას, შესაძლოა ერთხელაც მოხდეს და გაუმართლდეს. მაგრამ ბოლო-ბოლო ესეც დასახრჩობადაა განწირული, რამეთუ ხმელეთს წყლის სტიქია ანაცვალა.

აი, ამგვარად, შემიტყუა თავის ოთახში, დამაინტერესა და მეც ერთხანს შევყოვნდი მასთან. ამის მერე საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ხანკიბეზე, ხანაც ქუჩაში და ცოტ-ცოტას წავისაუბრებდით ხოლმე. გამოგიტყდებით, პირველ ხანებში მასთან საუბრისას სულ მეგონა, დამცინის-მეთქი. არაუკარიასთან ჩვენი შეხვედრის დროსაც ასეთი გრძნობა მქონდა, მაგრამ არა, ასე არ იყო. ტრამვაის მგელი მართლა დიდ პატივს გვცემდა მეცა და არაუკარიასაც, მაგრამ შეგნება საკუთარი მარტოსულობისა ისე ღრმად დაუფლებოდა მის არსებას, ისე განემსჭვალა საცურაოდ განწირული კაცის ფიქრებს, რომ ხშირად ჩვეულებრივი ადამიანური საქციელი მის უდიდეს აღტაცებას იწვევდა. მაგალითად, აღაფრთოვანებდა ის ამბავი, რომ ყოველდღიურად თავის დროზე მივდიოდი სამსახურში ანდა გაოცებული რჩებოდა, როცა ვინმე მსახური ან კონდუქტორი მოსწრებულ პასუხს გასცემდა. უმნიშვნელო ამბების ამგვარ შეფასებას თავდაპირველად სასაცილო გაზვიადებად, ბატონკაცურ ახირებად თუ კეკლუც სენტიმენტალობად ვუთვლიდი, მაგრამ თანდათანობით დავრწმუნდი, რომ ჩვენს ციცქნა, დახშულ სამყაროს იგი ეული მგლის თვალებით დაჰყურებდა თავისი უჰაერო სივრცეებიდან. მას უყვარდა და აღიტაცებდა ეს სამყარო, როგორც საიმედო რამ დასაყრდენი, შორეული და მიუწვდომელი, როგორც მშობელი, უდრტვინველი მხარე, საითაც მისთვის საუკუნოდ დახშულია სავალი გზა. ჩვენს ფუსფუსა დამლაგებელ ქალს ტრამვაის მგელი მუდამ გულწრფელი პატივისცემით უხდიდა ხოლმე ქუდს. თუ, ვთქვათ, დეიდაჩემი უბრალოდ გამოელაპარაკებოდა, შეეხსენებდა, თეთრეული დასაკემსი გაქვთ ან კიდევ პალტოზე ღილი გწყდებათ და მიმაგრება უნდათ, ერთობ გულისყურითა და დინჯად მოუსმენდა, თითქოს მთელი არსებით ცდილობს ვიწრო ხვრელით იმ პაწია მყუდრო სავანეში შეაღწიოს და სულ ცოტა ხნით მაინც გაირინდოს იქაო. ჯერ კიდევ მაშინ, არაუკარიასთან ჩვენი პირველი საუბრისას, მან თავის თავს ტრამვაის მგელი უწოდა. ამან, ცოტა არ იყოს, გამაოცა და შემაცბუნა კიდეც. მართლაცდა აბა რა თქმა იყო ეს?! მაგრამ მალე არამცთუ შევურიგდი და შევეგუე ამ მეტსახელს, გუნებაში ჩვენს მდგმურს მეც ტრამვაის მგელს ვეძახდი. დღესაც ვერ წარმომიდგენია, სხვა რა სიტყვას შეეძლო ასე მოსწრებულად გამოეხატა ამ კაცის შინაგანი სამყარო. დიახ, იგი ჩვენს ქალაქებში, ჩვენს ჯოგურ ცხოვრებაში შემოხეტებული ტრამვაის მგელი იყო. ეს სახელი სწორედაც ზედმიწევნით გადმოსცემდა ამ კაცის მფრთხალ მარტოსულობასა და ველურ ბუნებას, მის მშფოთვარე სულს, მიუსაფრობასა და უთვისტომობას.

ისე მოხდა, რომ ერთ-ერთ სიმფონიურ კონცერტზე საშუალება მომეცა მთელი საღამო მედევნებინა მისთვის თვალი. ერთმანეთთან სულ ახლოს ვისხედით, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ტრამვაის მგელს არ შევუმჩნეივარ. კონცერტი ჰენდელით დაიწყო. დარბაზში მისი მშვენიერი, ნარნარი ჰანგები იღვ-

რებოდა, მაგრამ ტრამალის მგელი სრულიად გულგრილად იჯდა. ფიქრებში წასული ყურადღების არ აქცევდა არც მუსიკას და არც გარშემომყოფთ. იჯდა ასე, გარე სამყაროს გამოთიშული, უცხო და ეული, ძირს დაეხარა ცოცი, მაგრამ დარდიანი მზერა. მერე სხვა ნაწარმოების შესრულება დაიწყეს. ეს იყო ფრიდემან ბახის პატარა სიმფონია. გაოცებულმა შევამჩნიე, ჩემს ყარიბს პირველივე ტაქტებზე ღიმილმა გაუპო ბაგე და, მუსიკით მოჯადოებული, ფიქრებში ჩაიძირა. ათიოდ წუთი მაინც იქნებოდა ამ ნეტარ თავდავიწყებაში. აშკარად ეტყობოდა, ტკბილ ოცნებებს რომ წაეღო. და მეც მუსიკას ვეღარ ვუსმენდი, უმეტესად მას ვადევნებდი თვალს. ნაწარმოები რომ დამთავრდა, ტრამალის მგელი გამოფხიზლდა. სავარძელში გასწორდა, თითქოს წამოდგომა და წასვლა დააპირაო, მაგრამ არ ამდგარა, და უკანასკნელი ნაწარმოების მოსასმენად მოემზადა. ეს რეგერის ვარიაციები გახლდათ. ბევრი მის მუსიკას მომქანცველად და გაჭიანურებულად მიიჩნევს. ტრამალის მგელიც თავდაპირველად ყურადღებითა და კეთილგანწყობით უსმენდა, მაგრამ მალე გამოეთიშა, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და კვლავ საკუთარ ფიქრებს მიეცა. აი, ამჯერად კი მის სახეზე აშკარად წაშლილიყო ნეტარების ყოველგვარი კვალი და ზედ სევდისა თუ, ასე განსაჯეთ, სიავის ჩრდილიც კი გადაჰფენოდა. ტრამალის მგელს ახლა ისევ განდგომილი მარტოსულის იერი მიეღო, განაცრისფერებულიყო და ერთიანად ჩაფერფლილიყო. იფიქრებდით, ერთი დავრდომილი ბერიკაციაო.

კონცერტის მერე ტრამალის მგელი ჭუჩაში დავინახე და ფეხდაფეხ ავედევნე. პალტოში გახვეული, უხალისოდ, დაღლილი მიაბიჯებდა ჩვენი უბნისაკენ. მაგრამ აი, ერთი წამით ძველებური ყაიდის პატარა სამიკიტნოსთან შედგა, ყოყმანით დახედა საათს და შევიდა. უცებ თავში დამკრა, მოდი, მეც შევყვები-მეთქი. როცა შევედი, ტრამალის მგელი უკვე პატარა მაგიდას უჯდა, დაასახლისი და მიმტანები შინაურულად ექცეოდნენ. მივესალმე და მის მაგიდას მივუჯექი. ერთი საათი ვისხედით ასე. ვიდრე მე ორ ჭიქა მინერალურ წყალს შევექცეოდი, მან ამასობაში ჯერ ნახევარი ლიტრი წითელი ღვინო მოატანინა, მერე მეოთხედიც დაამატებინა. ხუბარი წამოვიწყე და ვთქვი, კონცერტზე ვიყავი-მეთქი ,მაგრამ ლაპარაკში არ ამყვა. ჩემი ბოთლის იარლიყი წაიკითხა და მკითხა, ღვინოს ხომ არ ინებებთ, მე გპატიჟებთო, მაგრამ, რომ გაიგო, არ ვსვამდი, სახეზე კვლავ უმწეობა ეესახა და მითხრა:

— დიახ, მართალი ბრძანდებით. მეც წლობით ვიკავებდი ხოლმე თავს და დიდხნობით ვმარხულობდი, მაგრამ ამჟამად კვლავ მერწყულის ნიშნის ქვეშ ვიმყოფები. მოგეხსენებათ, ეს რა ბნელი და სველი ნიშანია...

ნათქვამი ხუმრობაში გავუტარე და ვუთხარი, წარმოუდგენლად მიმაჩნია, ასტროლოგიის რაიმე გწამდეთ-მეთქი, მაგრამ მან ჩვეული თავაზიანობით, გულისმომკვლელად რომ მოქმედებდა ჩემზე, მიპასუხა:

— სავსებით სწორი ბრძანდებით, სამწუხაროდ, მე ამ მეცნიერებისაც არა მწამს რა.

დავემშვიდობე და წამოვედი, ის კი შინ გვიან ღამით დაბრუნდა. სრულიად ფხიზელი კაცის ნაბიჯით შევიდა ოთახში. ჩვეულებისამებრ მაშინვე არ დაწოლილა დასაძინებლად (მე ყველაფერი მშვენივრად მესმოდა, რადგან ჩვენი ოთახები გვერდიგვერდ იყო). დაახლოებით ერთ საათს მაინც ფხიზლობდა სასტუმრო ოთახში.

მერე კიდევ ერთი საღამო ჩამრჩა გონებაში. დეიდაჩემი სადღაც წავიდა

და შინ მარტო დავრჩი. ვიღაცამ ზარი დარეკა. ჩემ წინ საოცრად ლამაზი ახალგაზრდა ქალი იდგა. ბატონი ჰალერი იკითხა თუ არა, მყისვე ვიცანი. ამ ქალის სურათი ტრამალის მგელს კედელზე ეკიდა. სტუმარს ჰალერის კარზე მივუთითე და ოთახში შევბრუნდი. ქალმა ერთხანს დაჰყო ზემოთ, მერე კი შემომესმა, გაცხოველებული მასლაათითა და მხიარული სიცილით ორივენი ჩამოვიდნენ კიბეზე და ქუჩაში გავიდნენ. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რომ ჩვენს განდეგილს სატრფოც კი აღმოაჩნდა, თანაც ასეთი ახალგაზრდა, ლამაზი და კოხტა. აი, ამის გამო იყო, რომ ყველა ჩემი მოსაზრება, რაც კი ამ კაცზე და მისი ცხოვრების თაობაზე გამაჩნდა, ჩემთვის კვლავ გამოცანად იქცა. ერთ საათსაც არ გაუვლია, რომ ჰალერი მარტო მობრუნდა. მძიმე, დარდიანი ნაბიჯებით რის ვაი-ვაგლახით აათავა კიბე, მერე კი რამდენიმე საათს ბოლთას სცემდა თავის სასტუმრო ოთახში, ზუსტად ისე, მგელი რომ დაძრწის ხოლმე გალიაში. თითქმის გათენებამდე ენთო შუქი მის ოთახში.

ჩემდათავად, სავსებით არაფერი ვიცი მათი ურთიერთობის შესახებ. ერთადერთი ის შემიძლია ვთქვა, რომ ამ ქალთან შემთხვევით ერთხელ კიდევ დავინახე ქუჩაში. ხელიხელგაყრილი მოდიოდნენ, ტრამალის მგელს ბედნიერი კაცის სახე ჰქონდა. ისევ გავოცდი, როცა ვნახე, თუ რაზომ დიდი ხიბლისა და თითქმის ბავშვური მიამიტობის გამოხატვა შეეძლო ამ კაცის განდგომილ, შეწუხებულ სახეს, და უყოყმანოდ გავუგე ამ ქალსაც და დეიდაჩემსაც, ტრამალის მგლის მიმართ ასეთ საოცარ გულისხმიერებას რომ იჩენდა. მაგრამ იმ საღამოსაც ნაღვლიანი და გასაცოდავებული დაბრუნდა შინ. მე მას კარებთან შევხვდი. პალტოს ქვეშ, ისევე როგორც დროდადრო სჩვეოდა ხოლმე, ამჯერადაც იტალიური ღვინის ბოთლი მოჰქონდა. მერე შუაღამემდე უჯდა ამ ბოთლს თავის ბუნაგში. საბრალო, როგორ მეცოდებოდა, რომ ღმერთმა ასეთი გაუხარელი, მიუსაფარი და გამწარებული ცხოვრება არგუნა წილად! მაგრამ ახლა კი კმარა ამაზე, სიტყვა ისედაც ერთობ გამიგრძელდა. მგონი, სავსებით გასაგებია, ტრამალის მგელი ასეთი ცხოვრებით როგორ ისწრაფავდა წუთისოფელს. მაგრამ რატომღაც არა მგონია, რომ ამ კაცს თვითმკვლელობით დაემთავრებინა სიცოცხლე მას მერე, რაც ასე მოულოდნელად, გამოუმშვიდობებლად მიატოვა ჩვენი ქალაქი. აქვე უნდა ვთქვა: რაც კი რამ ვალი ჰქონდა, ყველა წინასწარ გაისტუმრა და მხოლოდ ამის შემდგომ გაქრა. ეს იყო და ეს. ამ დღიდან ტრამალის მგელზე აღარაფერი გვსმენია, მაგრამ მაინც ვინახავდით მის სახელზე მოგვიანებით მოსულ რამდენიმე ბარათს. ისე კი არაფერი დაუტოვებია, გარდა ხელნაწერისა, რომელიც მან ჩვენთან ცხოვრების დროს დაწერა. ზედ მიწერილი რამდენიმე სტრიქონიდან აშკარად ჩანდა, რომ ხელნაწერს მე მიტოვებდა და შემეძლო იგი სურვილისამებრ გამომეყენებინა.

შემდგომში აღარ მომცემია შემთხვევა შემემოწმებინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს ამ ხელნაწერში აღწერილი ამბები. ეჭვგარეშეა, ეს თხზულება პოეტური წარმოსახვის ნაყოფია, მაგრამ იგი მხოლოდ თავისუფალი ფანტაზიის პირმშოს როდი წარმოადგენს! ავტორი ცდილობს მის მიერ სულის სიღრმეში განცდილი მკითხველამდე მიიტანოს და ხილულ ამბავთა სამოსელში გაახვიოს. აქ მოთხრობილი ფანტასტიკური თავგადასავალი, როგორც ჩანს, ჰალერმა ჩვენთან ყოფნის უკანასკნელ ხანებში შექმნა. რასაკვირველია, მას ზოგიერთი ნამდვილი ამბავი უდევს საფუძვლად. იმ ხანებში ჩვენს სტუმარს მართლაც საოცრად შეეცვალა საქციელიცა და გარეგნობაც. სახლში იშვია-

თად თუ ნახავდით, დროდადრო ღამღამობითაც არ შემოდიოდა შინ, მისი წიგნები ხელუხლებელი ელაგა. იმ ხანებში თითზე ჩამოსათვლელად თუ შევხვედრივართ ერთმანეთს, მაგრამ კაცს უმალ ეცემოდა თვალში, ისე საოცრად იყო გაახალგაზრდავებული და გამოცოცხლებული, ასე განსაჯვეფ, დროდადრო ბედნიერადაც კი გამოიყურებოდა. მაგრამ შემდგომ ისევ შეიპყრობდა უგუნებობა, მთელი დღეები ლოგინში იწვა და საჭმელს პირს არ აკარებდა. აი, სწორედ მაშინ მოუხდა, შეიძლება ითქვას, სამკვდრო-სასიცოცხლო შეხლა-შემოხლა თავის სატრფოსთან, მოულოდნელად საიდანღაც რომ გამოეცხადა. ამ ამბავმა მთელი სახლი აღაშფოთა და ჰალერმა ამის გამო დეიდაჩემს მეორე დღეს პატიებაც კი სთხოვა.

არა, ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ტრამალის მგელი თავს არ მოიკლავდა. მჯერა, რომ იგი ჯერ კიდევ ცოცხალია, სადმე უცხო სახლის კიბეზე ალბათ ისევ მიათრევს დაღლილ ფეხებს, გაოცებული დასცქერის ფაქიზად მოვლილ არაუკარიებსა თუ სარკესავით მოპრიალებულ პარკეტს. დღეებს ბიბლიოთეკაში აღამებს, ღამეებს კი სამიკიტნოებში ათენებს, ანდა, ვინ იცის, იქნებ სადმე ტახტზეა გაშოტილი და უსმენს, ფანჯრებს მიღმა როგორ სჩქეფს სიცოცხლე, იცის, რომ მოკვეთილია ამ ცხოვრებიდან, მაგრამ მოსაკლავად მაინც ვერ გაუმეტებია თავი, რამეთუ გულში შემორჩენილი ნატამალი რწმენისა ჩასძახის, ბოლომდე უნდა გამოსცალოო ამ ტანჯვით, დიახ, ამ საშინელი ტანჯვით სავსე ფიალა და მხოლოდ შემდგომ ამისა შეიძლება გაეყაროს ურთიერთს შენი სული და ხორციო. ძალიან ხშირად ვიგონებ ხოლმე ამ კაცს, თუმცა მას ჩემთვის ცხოვრება ოდნავადაც არ შეუმსუბუქებია. დიახ, მას არ გააჩნდა ის ძალა, ადამიანთა გულებში რწმენასა და სიხარულს რომ დაამკვიდრებდა. ო, არა, პირიქით! მაგრამ მე ტრამალის მგელი არა ვარ და ამიტომ მისეულ ცხოვრებასაც ვერ ვიგუებ, რამეთუ ჩემი საკუთარი, გამოწონილი, მოვალეობებით აღსავსე უსაფრთხო ცხოვრებით ვცხოვრობ. მე და დეიდაჩემი მშვიდად და მეგობრულად ვიხსენებთ ხოლმე ტრამალის მგელს. ეჭვი არ არის, დეიდას ამ კაცზე უფრო მეტის მოყოლა ძალუძს, მაგრამ ყველაფერს თავის ქეთილ გულში იმარხავს.

ახლა ჰალერის ჩანაწერებზე მინდა მოგახსენოთ: ეს, ცოტა არ იყოს, ავადმყოფური, მაგრამ მშვენიერი და ღრმააზროვანი წარმოსახვის საოცარი ნაყოფი შემთხვევით რომ ჩამვარდნოდა ხელში და არ მცოდნოდა მისი ავტორის ვინაობა, რა თქმა უნდა, აღშფოთებით მოვისვრიდი გვერდზე. მაგრამ ჰალერთან ნაცნობობა დამეხმარა ასე თუ ისე ჩავწვდომოდი ამ ჩანაწერების არსს და სათანადოთაც შემეფასებინა. თქმა არ უნდა, გაბედვით ვერ გავბედავდი დღის სინათლეზე გამომეტანა ეს ჩანაწერები, შიგ ერთი ყარიბი და სულით სნეული კაცის წარმოსახვა რომ დამენახა მარტოოდენ. ჰალერის ნახელავში ბევრად უფრო დიდი რამ შევიცან. მივხვდი, რომ ესაა მისი დროების საბუთი, რამეთუ ჰალერის სულით ავადმყოფობა, —და ეს დღესდღეობით სავსებით ცხადია ჩემთვის, — თავად იმ დროების სენი, ჰალერის თაობის ნევროზია. ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ამ ნევროზით დაავადებულან არა უმწეო და არასრულფასოვანი ადამიანები, პირიქით, ამ სენს სწორედ უფრორე ძლიერნი, გონიერნი და ნიჭიერნი დაუთრგუნიაო.

რა მნიშვნელობა აქვს, რამდენად სარწმუნო ამბები უდევს საფუძვლად

ქვემოთ მოყვანილ ჩანაწერებს. მთავარია, რომ ესაა ცდა თავისი დროების მომაკვდინებელი სენი კი არ მიჩქმალოს და შეალამაზოს, არამედ მსჯელობის საგნად აქციოს.

ეს ჩანაწერები ჯოჯოხეთის გზაზე ფეხის შედგმას ნიშნავს, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით; ესაა ხან შიშნარევი, ხან კი მამაცური სვლა მოქუფრული სულის ქაოსში, იმ მტკიცე განზრახვით, გაიაროს ჯოჯოხეთის ყარი, შეეჭიდოს ბნელეთის ძალებს, ბოლომდე შეიცნოს ტანჯვა-წამების უკიდეგანობა.

ყოველივე ამის ამოსაცნობ გასაღებად ჰალერთან ერთი ჩემი საუბარი გაგიხადე. ლაპარაკი როგორღაც შუა საუკუნეების სისასტიკეზე ჩამოვარდა; ჰალერმა მაშინ მითხრა:

— კაცმა რომ თქვას, აბა ეს რა სისასტიკე იყო? შუა საუკუნეების ადამიანს ჩვენი დღევანდელი ყოფა აღაშფოთებდა და არამცთუ სასტიკად, შემზარავად და ველურადაც კი მოეჩვენებოდა. ყველა დროებასა და კულტურას, ადათ-წესსა და ზნე-ჩვეულებას თავისი დალი აზის, მისთვის ჩვეული ლმობიერებითა თუ სიმკაცრით, სილამაზითა თუ სისასტიკით გამოირჩევა; ესა თუ ის დროება რაღაც ტანჯვას ბუნებრივად მიიჩნევს, რაღაც ბოროტება მისთვის დასათმენია. ჭეშმარიტ ტანჯვად თუ ჯოჯოხეთად ადამიანის ცხოვრება მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა ორი დროება, ორი კულტურა, ორი რელიგია შეეჯახება ერთმანეთს. ანტიკური ხანის ადამიანს შუა საუკუნეებში რომ ეცხოვრა, საბრალოს ისევე ამოხდებოდა სული, როგორც ჩვენს ცივილიზაციაში მოხვედრილ ველურს. მაგრამ არის ეპოქები, როცა მთელი თაობა ორ დროებას, ორ ცხოვრებას შორის მოექცევა; აი, მაშინ ისპობა მისთვის ყოველგვარი ადათ-წესები, მაშინ უქრება ბუნებრიობის, თავდაცვისა და უცოდველობის ყოველგვარი გრძნობა!

რა თქმა უნდა, ამას ყველა ერთნაირი ძალით ვერ შეიგრძნობს. ისეთმა ადამიანმა, როგორიც ნიცშეა, მთელი თაობით გაუსწრო თანადროულობას და, ამრიგად, მისი დარდი და წუხილი ბევრად უფრო ადრე განიცადა. დღეს კი ათასობით ადამიანი ცხოვრობს იმ განცდებით, რაც განკიცხულმა ნიცშემ მარტოობაში გადაიტანა.

ჰალერის ჩანაწერების კითხვისას ხშირად მახსენდებოდა მისი ეს სიტყვები. იგი სწორედ ის ადამიანია, ორ დროებას შორის რომ მოექცა, დაკარგა თავდაცვის უნარი და უცოდველობის გრძნობა, იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც წილად ხვდა პირად ტანჯვად, ჯოჯოხეთად შეეგრძნო ადამის მოდგმის მთელი უნიათობა.

იქნებ სწორედ ამ აზრითაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ჰალერის ჩანაწერები და სწორედ ამან გადამაწყვეტინა მათი გამოქვეყნება. ისე კი ამ ჩანაწერების არც დაცვას ვაპირებ და არც შეფასებას. დაე, თავად მკითხველმა განსაჯოს ყოველივე, როგორც სინდისი უკარნახებს!

ჰარი ჰალერის ჩანაწერები

მხოლოდ შეშლილთათვის

ეს დღეც გავიდა. გავიდა უჩუმრად, როგორც საერთოდ გადის ხოლმე დღეები. ჩემი გულუბრყვილო, ჩემი ლაჩრული ცხოვრების გადამკიდემ, ეს დღეც, როგორც იქნა, მოვახჩვე და სული ამოვხადე

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ერთხანს ვიმუშავე, გადავქექე ძველი წიგნები, მერე, მოგეხსენებათ ხანდაზმული კაცის ამბავი, ორიოდ საათს ტკივილები მტანჯავდა; ფხვნილი რომ დავლიე და ტკივილს ეშმაკობით ვაჯობე, გულს მომეფონა. ცხელ აბაზანაშიც ჩავწექი, სითბო საოცრად მეამა. დღეს ფოსტა სამჯერ მოვიტანეს, ვალავხედე ყველა უმნიშვნელო წერილს, გზავნილებს თუ ჟურნალ-გაზეთებს, მერე სუნთქვითი ვარჯიშებიც ჩავატარე. გონებრივ ვარჯიშებს კი, რაკიღა სიზარმაცეს ველარ მოვერიე, დღეისათვის მოვეშვი. ერთი საათით სასეირნოდ გავედი: ცას შევხედე. ჭულა-ჭულა ღრუბლების უჩვეულო ნახატი მეცა თვალში, ლამაზი და სიფრიფანა. ისეთი ნეტარი გრძნობა დამეუფლა, ძველი წიგნების კითხვისას ანდა თბილ აბაზანაში განცხრომის დროს რომ ეუფლება ხოლმე ადამიანს. საერთოდ კი დღევანდელ დღეს არაფერი მომხდარა უჩვეულო და გამორჩეული. ეს დღე არ ყოფილა ბედნიერებითა და სიხარულით გაცისკროვნებული. ჩემთვის ეს ერთი ჩვეულებრივი დღეთაგანი იყო. ასეთ დღეებს უკვე კარგა ხანია შევეჩვიე და განსაკუთრებულად არ გამოვარჩევდი. ეს გახლავთ ასე თუ ისე საამო, სავსებით გასაძლისი, ულიმლამო დღეები ამ ცხოვრებით უკმაყოფილო კაცისა. ასეთ დღეებს არავითარი ტკივილი არ ახლავს თან, არ გაწუხებს უჩვეულო რამ საფიქრალი, ჭეშმარიტი დარდი თუ სასოწარკვეთა. ასეთ დღეს ისეთ საკითხსაც კი, ხომ არ დადგა დრო მიბაძო ადალბერტ შტიფტერის მაგალითს და წვერის პარსვის დროს სამართებლით გამოიღადრო ყელი, კაცი აუღელვებლად, უშიშრად, მშვიდად და საქმიანად აწონ-დაწონის ხოლმე.

ყველამ როდი იცის, რომ კიდევ უფრო საშინელია ის დღეები, როცა ნიკრისის ქარი გტანჯავს. ანდა გგონია, რომ თავის ტკივილისგან საცაა თვალის კაკლები გადმოგცვივდება. ეს ის დღეებია, როცა კაცს ყოველგვარი გარჯა, რასაც გონების თვალი და გულისყური სჭირდება, და ამ გარჯით გამოწვეული სიხარული ჯოჯოხეთურ ტანჯვად ექცევა ხოლმე. ცხოვრებაში ხშირად აქვს კაცს სულიერი კვდომის, გამოცარიელებისა და სასოწარკვეთის შავბნელი დღეები, როცა აქციონერული საზოგადოებათაგან იავარქმნილ და წვენგამოცლილ მიწაზე ადამიანთა მოდგმა და ეგრეთწოდებული კულტურა გულს გირევს თავისი ყალბი, იაფფასიანი და მოჩვენებითი ბრჭყვიალით, ბოლოს კი ეს ყველაფერი ერთმანეთს გადაეჭდობა და უსასოობის მწვერვალს ჩვენს საკუთარ სნეულ სულში აღწევს. ჰოდა, ვინც კი საკუთარ თავზე იწვნია მსგავსი ჯოჯოხეთური დღეები, ძალზე კმაყოფილი უნდა დარჩეს დღევანდელი ჩვეულებრივი, ნახევრის-ნახევრული დღით; ასეთი კაცი მადლიერების გრძნობით მიუჯდება აგიზგიზებულ ბუხარს, თვალს გადაავლებს დილის გაზეთს და კმაყოფილებით გაიფიქრებს: აი, დღესაც არსად უფეთქია ომის ხანძარს, არ დამყარებულა ახალი დიქტატურა, არ გამოაშკარავებულა უჩვეულო ღორობა პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში. მერე ეს კაცი სასოებით ააწყობს თავის ჟანგმოკიდებულ ქნარს მოკრძალებული, ზომიერად სასიხარულო, ლამის მხიარული სამადლობელო ფსალმუნის საგალობლად, რომლითაც იგი მოწყენილობას ჰგვრის თავის ბრომით ოდნავ გაბრუებულ, კმაყოფილების ნახევრის-ნახევრულ ღმერთს. ამ მაძღრისი მოწყენილობით, ამ საოცრად მადლიერი უტკივარობით დახუთულ ჰაერში ეს ეულად თვლემამორეული ნახევრის-ნახევრული ღმერთიცა და ნახევრის-ნახევრული ადამიანიც, ელდანაცემი რომ გალობს ჩუმ ფსალმუნს, ტყუპის ცალივით ჰგვანან ერთმანეთს.

დიდებული რამაა კმაყოფილებისა და უტკივარობის გრძნობა, ერთიმე-

ორეზე მიჯრილი გასაძლისი დღეები, როცა ტკივილიც და სიხარულიც მიყუჩებულა და ვერ ბედავს თავის წამოყოფას, როცა ორივე ჩურჩულით ამბობს სათქმელს და თითის წვერებზე დაიპარება. მაგრამ მთელი ჩემი უბედურება ისაა, რომ სწორედ ეს კმაყოფილება მაგიჟებს და უცბად ამომდის ყელში, აი, მაშინ კი, სასოწარკვეთილი, სხვა სითბურ სარტყელებში ვეძებ გასაქცევ გზას, ვცდილობ სიხარული ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ტკივილი გავიხადო მევზურად. საკმარისია სულ ცოტა ხანს ვიცხოვრო სიხარულისა და ტკივილის გარეშე, შევისუნთქო ეგრეთ წოდებული ბედნიერი დღეების დახუთული ჰაერი, რომ ჩემი ბალღური სული კვლავ აღივსოს უიმედო სევდით; მზად ვარ მადლიერების ჟანგმოკიდებული ჩანგი მაძღარ სახეში ვესროლო კმაყოფილებით მთვლემარე ღმერთს და ჯანსაღი ჰაერით სავსე ოთახში ყოფნას ჯოჯოხეთური ტკივილის განცდა ვამჯობინო. აი, ამ დროს მიბყრობს მძაფრი გრძნობების, ტვინისამრევი განცდების ველური ქინი, საშინლად მაბრაზებს ეს უნიათო, წვრილმანი, გამოწონილი, სტერილური ცხოვრება. მებადება დაუოკებელი სურვილი დავანგრიო, ნაცარტუტად ვაქციო ყველაფერი, რაც კი ხელთ მომხვდება, ტაძარი იქნება ეს თუ საკუთარი თავი, ჩავიდინო საშინელი სისულელე, ნილბები ჩამოვგლიჯო ცად აყვანილ კერპებს, ჰამბურგში წასასვლელი ნანინანატრი ბილეთები ვუშოვნო ავარდნილ მოწაფეების ბრბოს, ნამუსი ავხადო ვინმე გოგოს ანდა კისერი მოვუგრიხო ბიურგერული ყოფის მავან ტრფიალს, რამეთუ დღენიადაგ დაუძინებელი მტერი ვიყავი და მძულდა ეს კმაყოფილება, ჯანის სიმრთელე, სიმყუდროვე და ხელიხელ საგოგმანები ოპტიმიზმი; მძულდა ყველაფერი უფერული, გამოწონილი და ნახევრის-ნახევრული.

და აი, შებინდების ჟამს ამ გუნება-განწყობით მოვახჩვე დღევანდელი უღიმღამო დღეც. მაგრამ ვერ ვიტყოდი, დღევანდელმა ჩვეულებრივმა დღემ ამ ავადმყოფ კაცს რამე შელავათი მომცა-მეთქი. დიახ, დასაწოლად ვერ მაცთუნა სათბურით გაღუღუნებულმა, გაშლილმა ლოგინმა. დღისით ცოტა წავიმუშავე, თუმცა ეს სამუშაო უკვე ყელში მქონდა ამოსული და არავითარ სიამოვნებას აღარ მანიჭებდა. უხალისოდ ჩავიცვი ფეხსაცმელი, გავეხვიე პალტოში და ბნელითა და ნისლით მოცულ ქალაქში გავედი. მინდოდა სასტუმრო „ფოლადის მუზარადში“ ჩემი წილი სასმელი გადამეკრა, მსმელი ხალხი ათადან და ბაბადან „ერთ ჭიქა ღვინოს“ რომ ეძახის.

ასე და ამრიგად, დავუყევი ჩემი მანსარდის კიბეს, ამ უაღრესად წესიერი, შემოსავლიანი სამბინიანი სახლიდან უცხო ქვეყნისკენ გადებულ ეგრერიგად ძნელად სავალ გზას. ჩემი საკანი ხომ ამ დაწმენდილ-დაკრიალებული ბიურგერული სახლის სხვენზე იყო მოთავსებული. ვერ გეტყვით, რატომ ხდება, რომ მე, უთვისტომო ტრამალის მგელი, მუდამ ვცდილობ ყველაზე უფრო ბიურგერულ ოჯახებში დავიდო ბინა. ოდითგანვე ასე მომდევს რჯულად. დიახ, თავშესაფარს არც სასახლეებში ვეძებ და არც ბოგანოთა სახლებში; მე სწორედ ამ უწესიერეს, ყველაზე მოსაწყენ, შესაშური რუდუნებით მოვლილ ბიურგერულ ბუდეებს ვეტანები, სადაც სკიპიდრისა და საპნის სუნი ტრიალებს, სადაც გზაფრავს კარის ყოველი გაჯახუნება და გული გიკანკალებს, თუ სახლში ტალახიანი ფეხით მოგიხდა შესვლა. აქ გამეფებული განწყობილება მართლაც ბავშვობიდანვე მიყვარს. რაღაც მშობლიურისადმი იდუმალი სევდა ისევ და ისევ უიმედოდ დამატარებს ამ ძველი სულელური გზებით, დიახაც მომწონს ეს განსხვავება ჩემს ეულ, სიყვარულს დანატრებულ, სვეგამწარებულ, საოც-

რად უწესრიგო ცხოვრებასა და ბიურგერულ ოჯახურ ყოფას შორის. მიყვარს, კიბეზე რომ შევისუნთქავ ხოლმე სიწყნარის, წესრიგის, სისუფთავის, კოპწიაობისა და ლაგამამოდებულ სურვილთა სურნელს. ამ სურნელში არის რაღაც გულისამაჩუყებელი, მიუხედავად ჩემი სიძულვილისა ყოველივე ბიურგერულისადმი. მიყვარს, როცა ამის მერე ჩემი ოთახის ზღურბლს გადავაბიჯებ და ყველაფერი ერთბაშად მთავრდება. აქ დახვავებულ წიგნებს შორის სიგარის ნამწვავები და ღვინის ბოთლები ყრია, აქაურობისათვის მყუდროება დიახაც უცხო ხილია. ჩემს სადგომში ყველაფერს არეულ-დარეულობისა და პარტახის იერი დაჰკრავს; წიგნებს, ხელნაწერებსა თუ აზრებს მარტოსულობის ბეჭედი აზის, განმსჭვალულია ტანჯვით, ადამიანური ყოფის უმძიმესი კირთებით, უაზრობად ქცეული ცხოვრების ხელახალი გააზრების კაეშნით.

აი, გვერდით ჩავუარე არაუკარიას. ამ სახლში კიბეზე რომ ჩამოვდივარ, მეორე სართულზე ერთი ბინის წინ მიხდება ხოლმე გავლა. არ შეიძლება კაცს თვალში არ ეცეს, რომ დერეფანი აქ გასაოცარი სასოებითაა დაგვილ-მორეცხილი და უჩვეულოდ ბზინავს; ეს ადგილი წესრიგის პატარა მოციმციმე ტაძარია. პარკეტის იატაკზე, ფეხის დადგმის რომ გეშინია, ორი პატარა კოხტა სკამი დგას. ორივეზე ყვავილის დიდი ქოთნებია შემოდგმული. ერთში იელი ხარობს, მეორეში კი — საკმაოდ ლამაზი არაუკარია. ამ ჯანსაღი, ტანწერწეტა, თავისებურად ნატიფი პატარა ხის თითოეულ ტოტსა თუ წიწვს სისუფთავისგან ლაპლაპი გაუდის. ხანდახან, როცა ვიცი, ვერავინ დამინახავს, ამ ადგილზე შევჩერდები ხოლმე და ისეთი გრძნობა მიპყრობს, თითქოს ტაძარში მოვხვდი. ჩამოვჯდები არაუკარიის ზემოთ კიბეზე, მლოცველივით გულხელდაკრეფილი, ცოტას დავისვენებ, მერე კი ნეტარებით დავცქერი ზემოდან წესრიგის ამ პაწია სავანეს და მთელი არსებით მონუსხული და გულაჩუყებული ვრჩები მისი სასაცილო სიმარტივითა და უბრალოებით, დერეფნის მიღმა კი, თითქოს იდუმალი რამ საბურველის ქვეშ, ვხედავ წითელი ხის ათინათით გაკაშკაშებულ ბინას; იქ მეფობს წესრიგი და ჯანსაღი ცხოვრება, ადამიანები დილაადრიან დგებიან, აკეთებენ თავის საქმეს, ზომიერი მხიარულებით ზეიმობენ ოჯახურ დღესასწაულებს, კვირაობით ეკლესიაში დადიან და ადრე წვებიან დასაძინებლად.

მოჩვენებითი სიმხნევით მივაბიჯებდი ქუჩაში. ცივ ჟინჟღლში ქუჩის ლამპიონები ცრემლისაგან გამლხვარი თვალებით იმზირებოდნენ და უღიმღამო ანარეკლს გამოსძალავდნენ სველ ასფალტს.

უეცრად გარდასული სიჭაბუკის წლები გამახსენდა. როგორ მიყვარდა მაშინ გვიანი შემოდგომისა თუ ზამთრის მრუმე, პირქუში საღამოები, რა ხარბად და თავდავიწყებით ვეძლეოდი მარტოობისა და სევდის განცდას, როცა, პალტოში გახვეული, ლამის მთელი ღამეები დავეხეტებოდი წვიმასა და ქარში, მთელი არსებით ვერწყმოდი ამ მტრულად მზირალ ფოთლებშემოძარცულ ბუნებას, უკვე მაშინ ვგრძნობდი ჩემს მარტოსულობას, მაგრამ მაინც ღრმა ბედნიერებით ვიყავ აღსავსე, აღსავსე ვიყავ ლექსებით, შემდგომ სინათლის შუქზე, ქაღალდზე რომ გადამიტანია საწოლის კიდეზე ჩამომჯდარს! დიახ, დრომ წარიტაცა ყოველივე. ეს ფიალაც გამოიცალა და მერმე აღარც შევსებულა. ნუთუ სინანულმა შემიპყრო? არა, სანანებელი არაფერი მქონდა. მე მხოლოდ ჩემი დღევანდელობა მენანებოდა, მენანებოდა თმენაში დაკარგული უთვალავი დღე თუ საათი, რომელსაც არც რამით დავუსაჩუქრებივარ და არც

სული შეუძრავს ჩემი. მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ხანდახან, თუმცა იშვიათად, მაინც მქონია ისეთი საათები, როცა ბედნიერება ძვირფასი რამ ძველებურად მომაბლეფია, ღელვით შემოგრილა ჩემს სულში. გაუნგრევია ყველანი და გზა-ყველარეულისთვის ყველავ უგრძნობინებია სამყაროს ცხელი სუნთქვა. ავადით აღვსილმა, აღელვებით შეველაცადე გამეხსენებინა ერთ-ერთი ასეთი მსგავსი განცდა. ეს კონცერტზე მოხდა. მშვენიერ ძველებურ [illegible] უკრავდნენ და, როცა ხის ჩასაბერმა საკრავებმა ორ ტაქტს შორის პიანოთი გადმოსცეს ბგერების დიდებულება, ყველავ გამეხსნა ზღაპრული სამყაროს კარი, ცაში კამარა შევკარ და აი, ვიხილე ღმერთი მუშაობისას, შევიგრძენ ნეტარი ტკივილი, და უკვე აღარაფერს ვემალებოდი, აღარაფრისა მეშინოდა ამქვეყნად, ყველაფერზე თანახმა ვიყავ და ყველაფრისათვის ღია მქონდა გულისკარი. ცოტა ხანს, სულ რაღაც მეოთხედ საათს გაგრძელდა ეს განცდა, მაგრამ იმავ ღამით ძილში კვლავ დამეუფლა. მას მერე დროდადრო მალულად გაიკიაფებდა უხალისო დღეების მიღმა, რამდენიმე წამს აშკარად ვხედავდი, ოქროსფრად მოსირმული ღვთიური ბილიკივით როგორ მიუყვებოდა ჩემს ცხოვრებას ეს განცდა. იგი თითქმის სულ ერთთავად ტალახითა და მტვერით იყო დაფარული, მაგრამ შიგადაშიგ ანაზღად კვლავ გაიკიაფებდა მისი ოქროსფერი ათინათი და იმ წუთას ღრმად მწამდა, რომ აღარასოდეს დამეკარგებოდა; ის კი მალევე უჩინარდებოდა და თვალს ეფარებოდა. ერთხელ ღამით აი, რა დამემართა: ძილგატეხილს უეცრად ლექსები ამომიტივტივდა თავში, იმდენად მშვენიერი და საოცარი, რომ აზრადაც არ მომსვლია მათი ქაღალდზე გადატანა. დილით აღარაფერი მახსოვდა. მაგრამ სულს კი ნაფუჭში ჩაჭედილი კაკლის ლებნებივით ჩაებეჭდა ისინი. ხანდახან მსგავსი განცდა მეუფლებოდა, როცა ეინმე პოეტის ლექსებს ვკითხულობდი, ანდა დეკარტეს თუ პასკალის რომელიმე აზრი ჩამაფიქრებდა; ხან კი სატრფოსთან ყოფნისას ჩირაღდანივით აკიაფდებოდა ეს ოქროსფრად მოსირმული ბილიკი და ყველავ ზეცაში აღსავლენად მეწვეოდა. ეჰი, ჰაი, რა ძნელი ყოფილა ამ ბილიკის პოვნა ცხოვრების იმ ორომტრიალში, რაც ჩვენ გვარგუნა ბედმა. ასეთ მოყირჭებულ, ბიუროკრატულ, სულით დაცლილ დროებაში ძნელად დაინახავ მას, ძნელად შეამჩნევ მის ღვთიებრივ ციმციმს ამ არქიტექტურის, პოლიტიკისა თუ ადამიანების გადამკიდე! ჰოდა, აბა როგორ არ ვიქნები ტრამალის მგელი და საცოდავი ყარიბი იმ სამყაროში, რომლის არც ერთ მიზანსა და სიხარულს არ ვიზიარებ?! დიდხანს ვერ ვჩერდები თეატრსა და კინოში, ვერ ვკითხულობ გაზეთებს, იშვიათად ვეტანები თანამედროვე წიგნებს, ვერ გამიგია, რა სიამოვნებას ანიჭებთ ადამიანებს გაჭედილი რკინიგზის სადგურები, სასტუმროები და კაფეები, სადაც გრიალებს სულისშემხუთველი, მომაბეზრებელი მუსიკა; არ მესმის, რას პოულობენ მდიდრული ქალაქების მოხდენილ ბარებსა და ვარიეტებში, მსოფლიო გამოფენებზე, სეირნობებზე, ცოდნისმოყვარულთა მოხსენებებზე, სტადიონებზე: არ შემიძლია განვიცადო და გავიზიარო ის სიხარული, რაიც შეიძლებოდა ჩემი ხვედრიც ყოფილიყო და რისკენაც ათასობით ადამიანი ილტვის და ისწრაფვის. იმას კი, რასაც ბედნიერების წუთებში განვიცდი, რაც უჩვეულო აღმაფრენით მავსებს და ნეტარებას მანიჭებს, ადამიანები მხოლოდ პოეზიაში თუ ჰპოვებენ და შეიცნობენ ხოლმე, ცხოვრებაში კი ეს ყველაფერი სიგიჟედ მიიჩნიათ. მართლაცდა, თუკი ამქვეყნად სიმართლე იმ ადამიანების მხარეზეა, კაფეში მოლრიალე მუსიკას, მასობრივ გართობებსა და ამერიკულ კულტურას რომ ეტანებიან და სულ

მცირედიც აკმაყოფილებთ, მაშასადამე, მე ვყოფილვარ მტყუანი და შეშლილი. მაშასადამე, მე ვყოფილვარ ის ტრამალის მგელი, არაერთხელ რომ მიწოდებია საკუთარ თავისთვის. მე ვყოფილვარ ამ უცხო და შეუცნობელ სამყაროში გზაკვალარეული ნადირი, რომელიც ველარც სამშობლოს ეპოვნა, ველარც სიხარულსა და ველარც სარჩოს.

ჩვეული ფიქრებით შებყრობილი მივაბიჯებდი სველ ასფალტზე ქალაქის ერთ-ერთ ძველსა და წყნარ უბანში. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, სიბნელეში, რუხი ქვის ძველი გალავანი აღმართულიყო. ყოველთვის მიყვარდა ამ გალავნის ცქერა, ასე უდარდელად რომ იდგა პატარა საყდარსა და ძველ ლაზარეთს შორის. დღისით ხშირად შევასვენებდი ხოლმე თვალს მისი ოკრობოკრო ზედაპირის ჭვრეტაში. ასეთი წყნარი, მიმზიდველი და მიყუჩებული ადგილი ცოტა თუ მეგულებოდა ქალაქის შუაგულში, სადაც ყოველ ნაბიჯზე თავის ვინაობას ლამის კივილით გამცნობს მაღაზიის მეპატრონე, ვექილი თუ გამომგონებელი, ხან კი დალაქი და პედიკიურის ოსტატი. ვხედავდი, ახლაც როგორ გარინდულიყო ძველი გალავანი სიჩუმესა და სიმშვიდეში. და მაინც რაღაც უჩვეულო მენიშნა; უეცრად შუა კედელში ისრული კამარით შემკული პატარა, ლამაზი ჭიშკარი შევამჩნიე. ამან, ცოტა არ იყოს, დამაბნია, რადგან დაბეჯითებით აღარ მახსოვდა, ეს ჭიშკარი ადრეც იყო აქ თუ მხოლოდ ახლახან გაჩნდა. ისე კი აშკარად ეტყობოდა, რომ ძველისძველი უნდა ყოფილიყო; ეს მუქი ხის დახშული ჭიშკარი ალბათ საუკუნეების მანძილზე სადმე მონასტრის მიყრუებულ ეზოში გადიოდა. შესაძლოა დღესაც მიუძღოდა იქითკენ ბილიკს, თუმცა მონასტრისგან უკვე აღარაფერი დარჩენილიყო. იქნებ ეს ჭიშკარი კიდევაც მქონდა ათასჯერ დანახული და ყურადღება არ მიმიქცევია?! ანდა იქნებ ახლახან გადაღებეს და ამიტომაც მეცა თვალში. ასეა თუ ისე, ნაბიჯი შევანელე და ყურადღებით დავაკვირდი, მაგრამ მოპირდაპირე მხარეს არ გადავსულვარ: ქუჩის შუაგული ერთიანად ატალახებული იყო. ტროტუარზე ვიდექი და მეორე მხარეს გავცქეროდი, მაგრამ უკვე ძალიან ჩამობნელებულიყო და მომეჩვენა, თითქოს ჭიშკარი გარეშემო გვირგვინებითა თუ ჭრელი სამკაულით მოეწნათ. კარგად რომ დავაკვირდი, ჭიშკრის თავზე მოკიაფე ფირნიში შევნიშნე, რომელზედაც, ვგონებ, რაღაც ეწერა. მერე კი, ლაფისა და ტალახის მიუხედავად, მაინც გადავედი გზის მეორე მხარეს. ახლა ჭიშკრის თავზე, სიძველისაგან ჩარუხებულ-ჩამწვანებულ გალავანზე მკრთალად განათებული ლაქა დავინახე; მასზე მარდად დახტოდნენ ჭრელაჭრელა ასოები, მერე ქრებოდნენ, ისევ ჩნდებოდნენ და კვლავ იწყებდნენ როკვას. ჩემდათავად გავიფიქრე: „ერიჰა, ეს მშვენიერი ძველი გალავანიც წაუბილწავთ შუქრეკლამით-მეთქი". ამასობაში ფირნიშზე თვალდათვალ უეცრად რამდენიმე სიტყვამ გაიელვა. გამიძნელდა მათი გარჩევა, უფრო აზრით თუ მიხვდებოდა კაცი მათ მნიშვნელობას .ასოები ძალზე მკრთალად, უთანაბროდ და გაურკვევლად იწერებოდა და ასევე სწრაფად ქრებოდა. კაცი, რომელსაც ამ საქმით ფულის გაკეთება გადაეწყვიტა, დიდი მარიფათით ვერ დაიკვეხნიდა. აშკარად ეტყობოდა, ეს საბრალო ტრამალის მგელი რომ იყო, მაშ, რატომ ააცექვა ეს ასოები აქ, ამ გალავანზე, ამ დროს, ძველი ქალაქის ყველაზე ბნელსა და მიყრუებულ შუკაში, თანაც ასეთ წვიმიან ამინდში, როცა აქეთ კაციშვილი არ შემოუხვევს? ან რატომ იყო ისინი ასე ფარფატა, ჰეროვანი, თავნება და გაურკვეველი?

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე ზედიზედ რამდენიმე სიტყვის გარჩევა და აი, რა ამოვიკითხე:

მაგიური თეატრი.

შესვლის ნება ყველას არა აქვს.

— ყველას არა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევეცადე ჭიშკარი შემეღო, მაგრამ ძველი, მძიმე სახელური ვერ დავიმორჩილე, თუმცა კი, რაც ძალი და ღონე მქონდა, მივაწექი. ასოები ნაღვლიანად ჩახედნენ თავიანთი უბადრუკი როკვის ამაოებას და უცაბედად მიყუჩდნენ. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი უკან და ღრმად ჩავეფლე ტალახში. ასოებისთვის თვალი აღარ მომიკრავს, მათი როკვა შეწყდა. დიდხანს ვიდექი ტლაბოში და ვუცდიდი, კვლავ როდის გამოჩნდებოდნენ. მაგრამ ამაოდ. იმედი რომ გადამიწყდა და ისევ ტროტუარზე ავედი, ჩემ წინ რამდენიმე ფერადმა ასომ გაიკიაფა, ასფალტზე აირეკლა და ამოვიკითხე:

მხოლოდ შეშ-ლილ-თათვის!

ფეხები დამისველდა და გავიყინე, მაგრამ მაინც კარგა ხნით შევყოვნდი. ასე ვიდექი მოლოდინში გართული და ვფიქრობდი, რა ლამაზად ირეკლებამეთქი სველ გალავანსა და შავად მოლაპლაპე ასფალტზე ჭრელად მოკიაფე ასოების შუქი. მერე კვლავ წამიღო ადრინდელი ფიქრის ნაკადმა, თავში კვლავ გამიელვა იმ ოქროსფრად მოსირმულმა მოციმციმე ბილიკმა, ანაზდად რომ გაუჩინარდებოდა და სიშორეში შთაინთქმეოდა ხოლმე.

სიცივისგან გათოშილმა გზა გავაგრძელე. ოქროსფრად მოსირმულ ბილიკზე ოცნებამ წამიღო. დანაღვლიანებული ვფიქრობდი იმ მაგიური თეატრის შესასვლელზე, მხოლოდ შეშლილთათვის რომ იყო ღია. ამასობაში ბაზართან გამოვედი. აქ საღამოობით გასართობი ადგილების ნაკლებობას ვერ დაიჩივლებდა კაცი. აფიშები და წარწერები ყოველ ნაბიჯზე ეკიდა და გამვლელ-გამომვლელს უხმობდა: ქალთა კაპელა, ვარიეტე, კინო, ცეკვები, მაგრამ საჩემო ვერაფერი აღმოვაჩინე. აქ ყველაფერი „ყველასათვის", ანუ ნორმალური ადამიანებისთვის იყო და ვხედავდი, ისინიც ჯგრო-ჯგროდ როგორ ირეოდნენ შესასვლელებთან. და მაინც ნაღველი გამეფანტა, ვიგრძენი მიღმა ქვეყნიდან გამოგზავნილი სალმის ძალა, ფერადი ასოები როკვა-როკვით მეჭრებოდა სულში და მის იდუმალ სიმებს არხევდა: ოქროსფრად მოსირმული ბილიკის ათინათი კვლავ თვალნათლივ ამიკიაფდა წინ.

ადამისდროინდელ ერთ პატარა სამიკიტნოში შევედი. რაც ამ ქალაქში პირველად ჩამოვედი, მას მერე აქ არაფერი შეცვლილიყო. დიასახლისიც ძველი იყო, ბევრი დღევანდელი მუშტარი ძველებურად მოკალათებულიყო ამოჩემებულ ადგილას და სასმელს შეექცეოდა. დიახ, ეს უბრალო სამიკიტნო იყო ახლა ჩემი ნავსაყუდელი, ისეთივე თავშესაფარი, როგორც იქ, კიბეზე, არაუკარიასთან, რადგან ვერც აქ მეპოვა სამშობლო და თანამოაზრენი. აქაც მხოლოდ უბრალო მაყურებელი ვიყავი, მყუდროდ რომ მოიკალათებს სცენის სიაბლოვეს, სადაც უცხო ადამიანები უცნობ პიესებს თამაშობენ. მაგრამ მაინც რა დიდად მიღირდა ეს მყუდრო სავანე! აქ ხალხი არ ირეოდა, არც გნიასი და მუსიკა ისმოდა. თითო-ოროლა კაცი წყნარად მისჯდომოდა სუფრაგადაფარებულ ხის მაგიდებს (მარმარილო, მინანქარი, ხავერდი და თითბერი აქაურობისთვის უცხო რამ ხილი იყო). წინ ყველას სასმელი ედგა: კარგი, ვარგისი ღვინო. იქნებ ამ სამიკიტნოს მუშტრები, ასე ძალიან რომ მეცნობოდნენ, ფი-

ლისტერები იყვნენ, იქნებ თავიანთ ფილისტერულ სახლებში მათაც ჰქონდათ ალმართული შინაურული საკურთხეველები კმაყოფილების გონებაჩლუნგი კერპებისათვის, შესაძლოა ისინიც ჩემსავით ეული, გზა-კვალაბნეული ლოთიშფოთი ბიჭები იყვნენ, მშვიდად და დაფიქრებით რომ კლავდნენ ღვინოში თავიანთ გაკოტრებულ იდეალებს. ანდა იქნებ მათშიაც ებუდგებოდა ტრამალის მგელი?! თითოეულ მათგანს აქეთ უსაგნო სევდა, იმედგაცრუებული ოცნებაც შეცვლის სურვილი ექაჩებოდა. ცოლ-შვილის პატრონი კაცი აქ უწინდელ, მარტოხელა ცხოვრებისდროინდელ განწყობას ეძებდა, მოხუცი მოხელე თავისი სტუდენტური წლების გამოძახილს; ამ სიტყვაძუნწ მსმელებს, ჩემი არ იყოს, ქალთა კაბელის მოსმენას ერჩივნათ ელზასური ღვინით სავსე ბოთლი სდგომოდათ წინ. და მეც აქ ჩავუშვი ღუზა. აქ ცოტა ხანს შეეძლო კაცს დროის მოკვლა. ერთი ყლუპი ელზასური მოვსვი თუ არა, მაშინლა ვიგრძენი, რომ დილას აქეთ ლუკმა არ ჩამედო პირში.

საოცარია პირდაპირ, რას არ ინელებს ადამიანის კუჭი! ათიოდე წუთი გაზეთს ვკითხულობდი და თვალების წყალობით ჩემს არსებას ვილაც კაცის ტვინს ვაღეჭინებდი. ეს რეგვენი ჯერ ცოხნიდა და ცოხნიდა სხვის სიტყვებს, მერე კი გადაუმუშავებლად ისევ უკან ამოარწყევდა.

მეც გადავყლაპე გაზეთის მთელი სვეტი. მერე ღვიძლის კაი გვარიანი ნაჭერი გეახელით, დაკლული ხბოს ფაშვიდან რომ ამოეჭრათ. მაგრამ ყველაფერს მაინც ელზასური მერჩივნა. საერთოდ არ მიყვარს მაგარი ღვინოები, თავისებური გემო რომ დაჰკრავს და თავში რომ იცის ავარდნა. მე მსუბუქი, კამკამა, უბრალო, სოფლური ღვინის ტრფიალი გახლავართ. ასეთი ღვინო დიდი სახელით ვერ დაიკვეხნის, სამაგიეროდ, კარგად ისმევა. ბლომადაც დალევ და მის გემოში სოფლისა და მიწის, ცისა და ტყის საამო სურნელსაც შეიგრძნობ. ერთი ჭიქა ელზასური ღვინო და კაი გემრიელი პურის ნაჭერი — აბა ამაზე უკეთესს რაღას ინატრებს კაცი?! ერთობ სიამოვნებით გეახელით ღვიძლი, რადგან ხორცს დიდად არ ვეტანები. ჭიქა მეორედ შევავსე. განა ესეც საოცრება არ იყო? სადღაც ამწვანებულ ზვრებში კაცის მარჯვენას ყურძენი მოეწია და ღვინო დაეწურა, რომ ამ დალოცვილ მიწაზე ვილაც იმედგაცრუებულ ლოთებსა და ტრამალის მგლებს მოეყუდებინათ ღვინით სავსე ფიალები, მხნეობა მისცემოდათ და კარგ გუნებაზე დამდგარიყვნენ. მერედა რა, გინდაც საოცრება ყოფილიყო?! სამაგიეროდ, ხომ მშველოდა და კარგ გუნებაზე მაყენებდა! კაცი ნელ-ნელა გამოვცოცხლდი. საგაზეთო სტატიის სიტყვათა დომხალმა მოგვიანებით, მაგრამ მაინც შვების სიცილი მომგვარა, მერე ანაზდად კვლავ გამახსენა იმ პიანოთი შესრულებული მივიწყებული ჰანგი. ეს ჰანგი საპნის ბაწია ბუშტივით ციმციმ-ციმციმ ამოიმართა ჩემს სულში, მერე ნაირ-ნაირ ფერებში დაბატარავებულად აირეკლა სამყარო და კვლავ ლივლივით გაქრა. აბა, როგორ უნდა ჩამეთვალა თავი მთლად დაღუპულ კაცად, როცა ვხედავდი, რომ ამ პატარა ღვთაებრივ ჰანგს იდუმალ გაედგა ფესვები ჩემს სულში და თავისი ზღაპრული ყვავილი უეცრად ისევ გაეშალა? მაგრამ დაე, მრქმეოდა გზა-კვალარეული ნადირი, დაე, ვყოფილიყავი არიფი ცხოვრებისა, რომლის მორევშიც ვტრიალებდი, მაინც ვხედავდი აზრს ამ სულელურ არსებობაში, ჩემს სულში რაღაც ეხმიანებოდა მიღმა სამყაროდან მოღწეულ შორეულ ძახილს, იჭერდა მას და გონებაში უთვალავ სურათს ბადებდა.

პადუას პატარა ეკლესიის ცისფერი თაღიდან ჯოტოსეულ ანგელოსთა და-

სები გამოემართნენ. იქვე გვერდით ჰამლეტი და გვირგვინით თავდამშვენებული ოფელია მოაბიჯებდნენ — ამქვეყნიური კეშნისა და გაუგებრობის სიმბოლო. გავარვარებულ საჰაერო ბურთში ჩამდგარიყო და ბუკსა და ხალთაზე სცემდა ჰაერნაოსანი ჯანოცი; ატილა შმელცლეს ხელში ეჭირა თავისი ახალი ქუდი, ზეცაში აჭრილიყო ბოროობუდურის ქანდაკებათა მთები. [illegible] ეს მშვენიერი სურათ-ხატები ათასობით სხვა გულებშიც ცოცხლობდა! ძათ გარდა არსებობდა კიდევ ათიათასობით სხვა უცნობი ხატი და ბგერა, რომელთა მშობლიური კერაც, დამნახავი თვალიცა და გამგები ყურიც ჩემი სული იყო მხოლოდ. აი, ამ ლაზარეთის ძველ, მომწვანო-რუხი ლაქებით აჭრელებული კედლის ბზარებსა და ნაჭდევებში, ვინ იცის, რამდენი ფრესკა იმალებოდა! ვინ ეხმიანებოდა ამ კედელს, ვინ უღებდა გულის კარს, ვინ შეტრფოდა, ვინ განიცდიდა მისი მიმქრალი, გარდასული ფერების ჯადოსნურ ძალას? აი, ცამცამა, ნაზი მინიატურებით დამშვენებული ფოლიანტები, ბერების კუთვნილება რომ შეადგენდა ძველად, აი, ქაცთაგან დავიწყებული, ასი თუ ორასი წლის წინანდელი გერმანელი პოეტების ქმნილებები, გაცრეცილი და დანესტიანებული ტომები, ძველი დროის მუსიკოსთა ხელით ნაწერი თუ ნაბეჭდი ფურცლები; მკვრივი, ჩაყვითლებული სანოტო ქაღალდი, ზედ შეციებული ხმიერი ზმანებებით! მერედა ვის ყურს მისწვდა მათი გონიერი, ხალისიანი თუ კეშნიანი ხმები, ვინ ჩაიგუბა გულში მათი სული თუ თილისმა და ვინ შემოუნახა ისინი სხვა, მათზე უკვე გულგაციებულ დროებას? ვინ იგონებდა გუბიოს ზემოთ მთაზე ალმართულ პაწია, ჯიუტ კვიპاროსს, ქვების ზვავს შუაზე რომ ვადაებლიწა, მას კი მაინც ვერ დაეთმო სიცოცხლე და კვლავ ამოეყარა არცთუ უწინდებურად ფაფუკი, მაგრამ მაინც ახალი კენწერო? ვინ მოიფიქრა თავისი ნელი ხოტბა-დიდება შეესხა მეორე სართულზე მცხოვრები გამრჯე დიასახლისისა და მისი კრიალა არაუკარიისათვის? ვინ კითხულობდა ღამღამობით რაინის თავზე ტაატით მიმავალ ნისლში ამოტვიფრული ღრუბლების ლურსმულ დამწერლობას? ტრამალის მგელი! თავისი ცხოვრების ნანგრევებს მილმა ვინ ცდილობდა მიეკვლია თუნდაც ბუნდოვანი აზრისათვის, ვის სტანჯავდა ეს მოჩვენებითი უაზრობა, ვინ ცხოვრობდა თვალისამხვევი გიჟური ცხოვრებით და თვით საშინელი ქაოსის დროსაც კი ვინ სულდგმულობდა ზეშთაგონებისა და უზენაესთან სიახლოვის იდუმალი იმედით?

ზეზე წამოვდექი. ხელი არ შემიშვია ჭიჭისათვის, რომლის შევსებაც კვლავ დამიბირა დიასახლისმა. ღვინო საკმარისად დავლიე. თვალწინ ოქროსფრად მოსირმულმა ბილიკმა გამიკიაფა, ჩემი გონება მარადისობას, მოცარტს, ვარსკვლავებს მისწვდა. ახლა ერთხანს შემეძლო თავისუფლად მესუნთქა, შემეძლო ისე მეცხოვრა, არ განმეცადა ტანჯვა, შიში, სირცხვილი.

მიყუჩებულ ქუჩაში რომ გამოვედი, ცივი ქარი უბერავდა და წვიმა ცივად სცრიდა, ხმაურით ეცემოდა ფარნებს და გამჭვირვალე ათინათად იოეკლებოდა. ახლა რა გზას უნდა დავდგომოდი? ამ წუთას ნატვრისთვალი რომ მქონოდა, უთუოდ ვინატრებდი, თავი ამომეყო ლუდოვიკო XVI სტილის პატარა, კოხტა დარბაზში, სადაც რამდენიმე ნიჭიერი მუსიკოსი ჰენდელისა და მოცარტის ორ-სამ პიესას დაუკრავდა. ეს ჩემი ახლანდელი გუნება-განწყობის გამოძახილი იქნებოდა და მეც ისე დავტკბებოდი ამ ცივი, კეთილშობილი მუსიკით, ვითარცა ღმერთები ტკბებიან ხოლმე ნექტარით. ეჰ, სადმე რომ მეგულებოდეს მეგობარი, სადღაც სხვენზე რომ დაუდვია ბინა, ახლა სანთლის შუქ-

ზე ფიქრებს მისცემია, გვერდზე კი ვიოლინო უდევს! ფეხაკრეფით შევიპარებოდი ამ მისეულ მყუდროებაში, უხმოდ ავუყვებოდი ხვეულ კიბეს, მოულოდნელად წავადგებოდი თავზე და იმ ღამეს, საუბრითა თუ მუსიკით გართულები, რამდენიმე ნეტარ საათს გავატარებდით. ასეთი ბედნიერებით ხშირად ვტკბებოდი ოდესღაც, გარდასულ წლებში. მაგრამ თანდათან ეს ბედნიერებაც გამომეცალა ხელიდან და დაიწრიტა; წარსულსა და აწმყოს შორის ყავლგასული წლები გაწოლილიყო!

პალტოს საყელო ავიწიე და ხელჯოხის კაკუნით აუჩქარებლად გავუყევი შინისკენ გზას. რაც უნდა მეთრია ფეხი, სულ მალე მაინც ჩემს საკანში ამოვყოფდი თავს. აქ იყო ჩემი ჰატარა ნავსაყუდელი. არ მიყვარდა იგი, მაგრამ უიმისოდ გაძლებაც არ შემეძლო, რამეთუ წარსულს ჩაბარდა დრო, როცა არაფრად მიღირდა ზამთარში მთელი ღამე წვიმაში სიარული. ახლა კი, ღვთის მადლით, არავითარი სურვილი არა მქონდა დღეგანდელი საღამოს გუნება-განწყობილება რაიმეთი მომეწამლა. წვიმა იქნებოდა ეს, ნიკრისის ქარი თუ არაუკარია. და თუ კამერული ორკესტრი არსაით იყო და არც ვიოლინოს მოტრფიალე მეგობრის პოვნას უჩანდა პირი, ის ღვთაებრივი ჰანგი ხომ ყღერდა და ყღერდა ჩემში. შემეძლო ჩემთვის მელიღინა და დაახლოებით მაინც გამეხსენებინა იგი. ფიქრებში წასული განვაგრძობდი გზას. არა, ეს ცხოვრება მარტო კამერულ მუსიკასა და ეულ მეგობარზე არ იყო მიმდგარი! სასაცილოდ მეჩვენა ადამიანური სითბოს უილაჯო ძებნით გამოწვეული ეს ტანჯვა. სიმარტოვე დამოუკიდებლობაა, მე მეწადა იგი და აი, უკვე რა ხანია მოვიპოვე კიდეც. ცივი იყო ეს სიმარტოვე, მაგრამ თან მშვიდიც. დიახ, ისეთი მშვიდი და უკიდეგანო, როგორც მოტორტმანე ვარსკვლავებით მოჭედილი ცივი, მდუმარე სივრცე.

რომელიღაც რესტორანს ჩავუარე, სადაც ხალხი ცეკვებით ერთობოდა. უეცრად ყურში გახელებული ჯაზური მუსიკა მეცა, ახალ, უმ ხორცზე ამავალი ოხშივარივით მძაფრი და ტკბილი. ერთი წუთით შევანელე ნაბიჯი. დღენიადაგ მძულდა ეს მუსიკა და იდუმალად მაინც მიზიდავდა. ჯაზს ვერ ვიტანდი, მაგრამ ეს კია, მას ბევრად უფრო შემწყნარებლური თვალით ვუყურებდი, ვიდრე თანამედროვე აკადემიურ მუსიკას. თავისი მხიარული, ალვირახსნილი სიშმაგით იგი ღრმად იჭრებოდა ჩემი ქვეშეცნეულ გრძნობების სამყაროში და ალალ, მიამიტ ვნებათა ღელვას აღმიძრავდა.

ერთი წუთით შევდექი, დავყნოსე ეს სისხლიანი, გამკივანი მუსიკა, გაბიროტებითა და ხარბად შევისრუტე დარბაზების გუნებ-განწყობილება. ამ მუსიკის პირველი ნახევარი დათაფლულად, მოყირჭებულად და ერთობ სენტიმენტალურად ყღერდა, მეორე ნახევარი კი შმაგი იყო, ჭირვეული და ძლევამოსილი. მაგრამ ორივე გულუბრყვილოდ და უდრტვინველად ერწყმოდა ერთიმეორეს და საბოლოოდ ერთ მთლიანობად იქცეოდა. ეს აღსასრულის მაუწყებელი მუსიკა იყო. ალბათ ასეთ მუსიკას თუ ასრულებდნენ უკანასკნელი იმპერატორების დროინდელ რომში. თქმა არ უნდა, ბახთან, მოცარტთან და ჰეშმარიტ მუსიკასთან შედარებით ეს ნამდვილი ღორობა იყო. მაგრამ განა მთელი ჩვენი ხელოვნება, ჩვენი აზროვნება, მთელი ჩვენი ყბადაღებული კულტურა კი არაა ღორობა, თუკი მას ჭეშმარიტ კულტურას შევუდარებთ?! ამ მუსიკაში მაინც იგრძნობოდა საოცარი გულწრფელობა, ზანგური სიმღერის მიამიტობა და ბალღური ანცი სული. ამ მუსიკას ერთსადაიმავე დროს რალაც ზანგურიც დაჰკრავდა და ამერიკულიც, რაც ჩვენზე, ევროპიელებზე, ყმაწვილური სინორ-

ჩის, ბავშვურობის შთაბეჭდილებას ახდენს, მიუხედავად იმისა, რომ თავისებური ძალაც იგრძნობა. ნუთუ ევროპაც ასეთი გახდება? იქნებ ჩვენ, ძველი ევროპის, ძველი ჭეშმარიტი პოეზიისა და მუსიკის მცოდნენი და ტრაფიალენი იმ ტვინნალრძობი და სულელური ნერვიული ავადმყოფების მცირერიცხოვან დასს ვეკუთვნით, ხვალ რომ ყველა მასხარად აიგდებს და დაეწყებას მისცემს? იქნებ ის ყველაფერი, რასაც ჩვენ „კულტურას", გონსა და სულს ვუწოდებთ, მშვენიერად და წმინდად მივიჩნევთ, კარგა ხანია უკვე დასამარებულია და ახლა, მოჩვენებად ქცეული, მხოლოდ ჩვენ, თითზე ჩამოსათვლელ ირიოდე რეგვენს გვეჩვენება ხელშესახებად და ჯერ კიდევ არსებულად?! იქნება ის, რისთვისაც ჩვენ, სულელები ვჩალიჩობთ, ყოველქამს ზმანება იყო მხოლოდ?

ქალაქის ძველმა უბანმა გული გადამიშალა. მრუმე სიბნელეში ზღაპრული რამ მოლანდებასავით იდგა პაწია ეკლესია. თავში ისევ ამომიტივტივდა იმ სალამოს ნანახი სურათები, გამახსენდა თალით შემკული იდუმალი ჭიშკარი, იდუმალ ფირნიშზე დამცინავად მოკაკვი ანთებული ასოები. რაო, რა ეწერა ზედ? ჰო: „შესვლის ნება ყველას არა აქვს" და კიდევ: „მხოლოდ შეშლილთათვის!" ცნობისმოყვარეობით შევცქეროდი ძველ გალავანს, გუნებაში ვნატრობდი, იქნებ კვლავ განმეორდეს ის სასწაული, იქნებ მე, საბრალო შეშლილი კვლავ მიმიხმოს იმ წარწერამ, პაწია ჭიშკარი კი კვლავ გაიღოს და შიგნით შეგიპატიჟოს-მეთქი. ხომ შესაძლოა სწორედ იქ მელოდა ის, რისკენაც ასე მიკვლეტდი? იქნება სწორედ იქ უკრავდნენ ჩემს სანუკვარ მუსიკას? უკუნეთი სიბნელიდან წყნარად შემომყურებდა მრუმე ქვის გალავანი, გულჩათხრობილი, ღრმა ძილში წასული. არსად ჩანდა ჭიშკარი და თალები. მხოლოდ ღამეული, მშვიდი, ტანზე ბზარებწაშლილი გალავანი ალმართულიყო ჩემ წინ. ღიმილმორეულმა განვაგრძე გზა, თან ალერსიანად დავუქნიე თავი გალავნის ქვების მწყობრ კრიალოსანს: „იძინე მშვიდად, ჩემო გალავანო! არ დაგიფრთხობ სიმშვიდეს. ის დროც დადგება, როცა ნანგრევებად გაქცევენ, ანდა უძღები რეკლამებით აგიჭრელებენ გვერდებს. მაგრამ ჯერ ხომ ისევ ადგილზე დგახარ და ასეთი მშვენიერი, უმფოთველი და სასურველი ხარ ჩემთვის".

ანაზდად შევკრთი. შუკის მავი უფსკრულიდან პირდაპირ ჩემ წინ დაგვიანებული მგზავრი ამოიმართა და დაღლილი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. ლურჯი პერანგი ეცვა, თავზე კეპი ეხურა, ჯოხებზე მიმაგრებული პლაკატი მხრებზე გაედო, წინ, ქამარზე ყუთი ეკიდა, ბაზრობაზე რომ იციან ხოლმე გამყიდველებმა, ისე. დაღლილი ნაბიჯით მოდიოდა ჩემ წინ, უკან არ მოუხედავს, თორემ მივესალმებოდი და სიგარეტსაც შევთავაზებდი. იქვე, ფარნის შუქზე შევეცადე ამომეკითხა, რა ეწერა ჯოხებზე მიმაგრებულ წითელ პლაკატზე, მაგრამ ქანაობ-ქანაობით მიჰქონდა და ვერაფერი გავარჩიე. მაშინ კი შევეხმიანე და ვთხოვე, პლაკატი მაჩვენეთ-მეთქი. უცნობი შეჩერდა, ჯოხი გაასწორა და, როგორც იქნა, გავარჩიე მოცეკვავე, მოტორტმანე ასოები:

ანარქისტული სალამო — ატრაქციონი!

მაგიური თეატრი!

შესვლის ნება ყველას არა...

— სწორედ თქვენ დაგეძებდით! — შევძახე გახარებულმა, — რა სალამო-ატრაქციონია? სად იქნება? როდის?

მან კვლავ განაგრძო გზა.

— ყველასთვის არა, — მომიგო გულგრილი, ნამძინარევი ხმით და ნაბიჯს უმატა. ეტყობა, ყველაფერი ყელში ამოსვლოდა და შინ მიიჩქაროდა.

— მოითმინეთ! — შევძახე და ფეხდაფეხ დავედევნე. — ძაგ ყუთში რა გაქვთ? იქნებ მეყიდა რამე?

არც კი შეჩერებულა, ანგარიშმიუცემლად ჩაყო ხელი ყუთში და ერთი წიგნი ამოიძერინა და გამომიწოდა. სწრაფად დავავლე ხელი [illegible]. ვიდრე პალტოს შევიხსნიდი და ფულს ამოვიღებდი, სადღაც ჭიშკარში შეეიდა და გაუჩინარდა. ერთხანს მისი მძიმე ნაბიჯების ხმა ეზოდან ისმოდა, მერე ჯერ ქვაფენილზე, შემდეგ კი ხის კიბეზე გაიხმიანა და მიწყდა. ეეცრად საშინელი დაღლილობა ვიგრძენი. მივხვდი, რომ უკვე ძალიან გვიან იყო და კარგს ვიზამდი, თუ შინ წავიდოდი. ნაბიჯს ავუჩქარე. სწრაფად გავიარე გინაპირა ქალაქის მიყრუებული ქუჩები და ჩემს უბანში გამოვედი, ქალაქის პარკთან. აქ გაზონებითა და სუროს ხვიარებით დამშვენებული კოპწია სახლები იდგა, მოხელეებისა და წვრილ რანტიეთა ადგილსამყოფელი. სუროს ხვიარებს, გაზონებსა და პაწია ნაძვის ხეს გვერდი ავუარე და სადარბაზოს მივაშურე. გასაღების ხვრელი და სინათლის ჩასართველი მოვძებნე, ქურდულად ჩავუარე მინის კარებს, გაკრიალებულ კარადებსა და ყვავილების ქოთნებს. მერე ოთახს კარი გავაღე და ჩემს პატარა, ვითომდა მშობლიურ სავანეს მივაშურე, სადაც სავარძელი, ღუმელი, სამელნე, სახატავი ყუთი, ნოვალისი და დოსტოევსკი მელოდა. შინ დაბრუნებულ ადამიანებს ჩვეულებრივ ასე ელიან ხოლმე დედა, მეუღლე, შვილები, მოსამსახურე, ძაღლები და კატები.

პალტოს რომ ვიხდიდი, ის პაწია წიგნი ისევ მომხვდა ხელში. ჯიბიდან ამოვიღე. ეს იყო თხელ, უხეირო ქაღალდზე დაბეჭდილი ბროშურა. ბაზრობაზე გასაყიდად რომ გამოაქვთ ხოლმე. ამან მსგავსი სხვა წიგნები გამახსენა, როგორიცაა, მაგალითად: „იანვარში დაბადებულთათვის", ანდა „როგორ გავახალგაზრდავდეთ რვა დღეში".

სავარძელში მოხერხებულად მოვეწყვე და სათვალე გავიკეთე. წიგნის სათაურს დავხედე: „ტრაქტატი ტრამალის მგელზე". გაკვირვებულმა და ანაზდად გრძნობაანთებულმა ვიგრძენი, რომ ეს წიგნი თავად ვანგეგას გადმოეგდო ჩემთვის. ბროშურამ უფრო და უფრო გამიტაცა და ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. აი, მისი შინაარსიც:

ტრაქტატი ტრამალის მგელზე

მხოლოდ შეშლილთათვის

იყო და არა იყო რა, იყო ვინმე ჰარი, მეტსახელად ტრამალის მგელი. ორ ფეხზე იდგა, ტანთ სამოსი ეცვა და გარეგნობაც ადამიანის ჰქონდა. მაგრამ, ასე თქვი თუ ისე, მაინც ტრამალის მგელი იყო. ბევრი რამ ისეთი ესწავლა, რისი სწავლაც მარტოოდენ გამჭრიახი გონების ადამიანს შეეძლო და მართლაც გონიერი კაცი იყო. მაგრამ ერთი რამ, რაც ამქვეყნად ვერა და ვერ შეეთვისებინა, ისაა, რომ საკუთარი თავითა და ცხოვრებით კმაყოფილი ყოფილიყო. ამ დღენიადაგ უკმაყოფილო კაცს დაეკარგა კმაყოფილების განცდის უნარი. იქნებ იმიტომ, რომ სულის სიღრმეში ყოველთვის გრძნობდა (ან ეგონა, რომ გრძნობდა), ადამიანად კი არა, ტრამალის მგლად გაეჩინა განგება. სალი ჭკუის ადამიანებმა იქნებ დავაც კი წამოიწყონ იმის თაობაზე, მართლა იყო თუ არა ჰარი ტრამალის მგელი, ან იქნებ სასწაულის ძალით მანამდე გადაიქცა მგლიდან ადამიანად, სანამ ქვეყნად გაჩნდებოდა; ან არადა, ადამიანად კი

დაიბადა, მაგრამ განგებამ ტრამალის მგლის სული დაანათლა და ახლა ეს მგლური სული დაპატრონებოდა მთელ მის არსებას. თუმცა ეგებ რწმენა იმისა, რომ თავისი ბუნებით მგელია, სულაც მისი ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფი იყო: ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ კაცს ბავშვობაში მეტად შმაგი და დაუდეგარი ბუნება ჰქონდა, აღმზრდელები ცდილობდნენ მის სულში ჩამჯდარი ნადირი როგორმე მოეთოკათ და ალბათ ამიტომაც შთააგონა თავის თავს, მართლაც ნადირი ვარ, ოღონდაც აღზრდისა და ადამიანურობის საფარქვეშ მიმალულიო. ამის თაობაზე დიდხანს და თავშესაქცევად შეიძლებოდა ელაპარაკა კაცს; ამაზე წიგნების დაწერაც არ იქნებოდა ურიგო საქმე. მაგრამ ტრამალის მგლისათვის ყოველგვარი განსჯა წყლის ნაყვა იყო. იგი არ დაგიდევდათ, მასში მგელი სასწაულის ძალამ გააღვიძა. ცემა-ტყეპით მიყენებულმა ტკივილმა თუ მის სულში ჩაბუდებულმა წარმოსახვის უნარმა. რა აზრისაც არ უნდა ყოფილიყვნენ ამაზე სხვები და რაც არ უნდა ეფიქრა თავად, ეს აღარაფერს ნიშნავდა, მგელს მის არსებაში ვეღარაფერი ამოფხვრიდა.

ამრიგად, ტრამალის მგელს ორბუნებოვანი საწყისი მოსდგამდა: ადამიანური და მგლური. ასეთი ყისმათის კაცი იყო, თუმცა იქნებ ამქვეყნად არცთუ ისე იშვიათად არსებობენ მისთანა ბედისწერით გამორჩეული ადამიანები?! ისიც გამიგონია, ზოგიერთებს ძაღლთან თუ ცელასთან, თევზთან თუ გველთან აქვთ საერთო, მაგრამ ამ მიზეზით ცხოვრებაში რაიმე განსაკუთრებულ სიძნელეს არ წაწყდომიანო. მათ სულში გვერდიგვერდ მეზობლობს თურმე ადამიანი და ცელა ანდა ადამიანი და თევზი. არც ერთი მათგანი არ ენებს ერთმანეთს, პირიქით, ეხმარება და ხელს უწყობს. ბევრი ასეთი ადამიანი შორს წავიდა; მათ ხშირად შურის თვალითაც კი უყურებენ. ბევრმა ბედნიერებას სწორედ იმით მიაღწია, რომ მის ბუნებაში ცელა ან მაიმუნი ჯაბნიდა ადამიანს. ეს ამბავი ყველას კარგად მოეხსენება. ჰარის საქმე კი სულ სხვაგვარად იყო. მის არსებაში ადამიანი და მგელი ვერა და ვერ შეთვისებოდა ერთმანეთს, საშველად ხელის გაწოდებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, დღენიადაგ დაუძინებელი მტრობა ჰქონდათ და ერთმანეთის საწამებლად იყვნენ გაჩენილნი. დიახ, როცა ერთი კაცის სულსა და ხორცში ორი ასეთი შეუერიგებელი საწყისი ჩაიბუდებს, მისი ცხოვრება დიდი ვერაფერი სახარბიელოა. მაგრამ რამ იზამ, განგებამ ყველას თავისი ხვედრი არგუნა, ადვილი კი არც ერთი არა მგონია იყოს.

ეს ჩვენი ტრამალის მგელი ხან მგლად შეიგრძნობდა თავს, ხან კი ადამიანად, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. როცა კაცს ორბუნებოვან საწყისს დააბედებს განგება. მგლური ბუნება რომ გადასწონიდა, ადამიანი ამ დროს მსაჯულად, ჭკუის დამრიგებლად თუ მოძღვრად მოევლინებოდა; იქ კი, სადაც უპირატესობა ადამიანს ენიჭებოდა, მგელი ზუსტად ასევე იქცეოდა. აი, მაგალითისათვის: საკმარისი იყო ჰარის თავში რაიმე კარგი აზრი მოსვლოდა, ნაზი, კეთილშობილური გრძნობები გასჩენოდა, ან ეგრეთწოდებული კეთილი საქმის ჩადენა განეზრახა, რომ მგელი მყისვე ააკრაჭუნებდა კბილებს, დრუნჩზე სისხლნარევი დუჟი მოადგებოდა. მერე დაცინვით დაუწყებდა ჰარის ახსნას, რაოდენ სასაცილოა და რარიგ არ შეშვენის ასეთი კეთილშობილური ოინბაზობა ტრამალზე გაჭრილ ნადირს, რომელმაც მშვენივრად უწყის, მის გულს ტრამალზე ეულად ძუნძული, დროდადრო სისხლის ლოკვა ან ძუ მგლის დევნა რომ სწადია. აი, ასეთ წუთებში მგლის თვალით დანახული ყოველგვარი ადამიანური საქციელი მეტისმეტად სასაცილო, სულელური და ამაო ჩანდა. მაგ-

რამ ზუსტად იგივე მეორდებოდა, როდესაც ჰარი მგლად გარდაისახებოდა და თავის მგლურ ბუნებას ავლენდა. ამ დროს იგი სხვებს უკრაჭუნებდა კბილებს, საშინელ ზიზღსა და მტრობას გრძნობდა ადამიანების, მათი არაეულწრფელი საქციელისა და დრომოჭმული ადათ-წესების მიმართ, ასეთ წუთებში მის სულში ადამიანს ყურები ჰქონდა დაცვეტილი, თვალს [illegible] მგელს, ნადირს და მხეცს უწოდებდა. უწამლავდა სიცოცხლეს [illegible] ამ სულ მცირე ჯანსაღ სიხარულს, რომლის გამოვლენასაც მისი ველური მგლური არსება მოიწადინებდა.

აი, ასე იყო ტრამალის მგლის საქმე. ალბათ იფიქრებთ, ამ ჩვენს ჰარის ვერაფერი ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება ჰქონიათ. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს იგი რაღაც გამორჩეულად უბედური ადამიანი ყოფილიყო (თავად კი ასე ეჩვენებოდა, ყველა ადამიანს ხომ თავისი წილი ტანჯვა ყველაზე მძიმე სასჯელად ეჩვენება). ამის თქმა არავისზე არ შეიძლება. თუკი ადამიანში მგელს არ დაუდვია ბინა, ეს იმას არ ნიშნავს, ეს ადამიანი უთუოდ ბედნიერია. თვით ყველაზე უბედურთა ცხოვრებაშიც არის ხოლმე მზით გაცისკროვნებული წუთები და ქვაღორღს შორის ამოხეთქილი ბაწაწინა ყვავილები ბედნიერებისა.

ასე იყო ტრამალის მგლის საქმეც. თავს მეტწილად ძალზე უბედურად თვლიდა, ამის უარყოფა არ იქნებოდა, მაგრამ იმათაც აუბედურებდა, ვის სიყვარულსაც გულში ჩაიდებდა და ვისაც იგი შეუყვარდებოდა. ისე ხდებოდა, რომ, ვინც კი ტრამალის მგელს დაუძმობილდებოდა, მისი ბუნების ერთ მხარეს ხედავდა მხოლოდ. ბევრი მას ფაქიზი სულისა და ცინცხალი გონების, თვითმყოფად ადამიანად იცნობდა და ასეთი უყვარდა. მაგრამ შემდგომ, როცა ანაზდად მგელს წააწყდებოდა, შეძრწუნებული და იმედგაცრუებული რჩებოდა. არც ამის შეუმჩნევლობა იქნებოდა, რადგან ყველა ადამიანის მსგავსად, ჰარისაც ეწადა მთელი არსებით ჰყვარებოდათ. ამიტომაც არ შეეძლო თავისი მგლობა სწორედ იმათ თვალში მოტყუებით მიეჩქმალა, ვის სიყვარულსაც დიდად აფასებდა. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც ამ კაცში სწორედ მგელს, სწორედ თავისუფლების წყურვილს, სიშმაგეს, დაუცხრომლობასა და ძალას ეთაყვანებოდა. აი, ამათაც ისევ და ისევ საშინელი იმედგაცრუება და გულისტკენა ელოდათ, რამეთუ ეცრად აღმოჩნდებოდა, რომ ეს ველური, ბოროტი მგელი ადამიანიც იყო, ელტვოდა სიკეთესა და სინაზეს, ებადებოდა სურვილი მოესმინა მოცარტი, ეკითხა ლექსები და საკაცობრიო იდეალები ჰქონოდა. სწორედ მისი ეს თაყვანისმცემლები რჩებოდნენ განსაკუთრებით იმედგაცრუებულნი და გაბოროტებულნი. ასე გაიხმიანებდა ხოლმე ტრამალის მგლის გაორებული სულის ექო იმ უცხო ადამიანთა ბედ-იღბალში, რომელთაც იგი ცხოვრების გზაზე გადააწყდებოდა.

ვისაც ჰგონია, რომ იცნობს ტრამალის მგლის გაძაღლებულ, გაუხარელ ცხოვრებას, შემცდარი იქნება, რამეთუ მან ჯერ კიდევ ბევრი არ იცის. არ იცის, რომ ჰარის ცხოვრებაც არ იყო გამონაკლისის გარეშე (ხომ ცნობილია, რომ არ არის წესი გამონაკლისის გარეშე, და ღმერთს შეიძლება ზოგჯერ ვინმე ცოდვილი უფრო ებას გულზე, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტი წმინდანი), რომ მასაც ჰქონია ცხოვრებაში ბედნიერი წუთები, რომ ამ კაცში ხან მგელი ცოცხლობდა, განიცდიდა და ფიქრობდა მთელი ძალით და არსებით, ხან კი ადამიანი. რომ დროდადრო, თუმც ძალიან იშვიათად, ეს ორნი ერთმანეთს უზავდებოდნენ და შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. პირველს არამც და არამც არ მიეკა-

რებოდა თვალზე რული, როცა მეორე ფხიზლობდა, ისინი ძალას უორკეცებდნენ და ავსებდნენ ერთმანეთს. ეტყობოდა, ამ კაცის ცხოვრებაში, როგორც საერთოდ ამქვეყნად, ყოველივე ჩვეულებრივს, ყოველდღიურს, ნაცნობსა და კანონზომიერს მხოლოდ ის მიზანი გააჩნდა, წამით მოეთქვა სული, შეჩერებულიყო და რაიმე უჩვეულო განეცადა, სასწაული იქნებოდა ეს თუ სიკეთე, მაგრამ ბედნიერების ეს ხანმოკლე, იშვიათი წუთები ვითომ უყუჩებდნენ ტკივილს, ვითომ უმსუბუქებდნენ მძიმე ხვედრს, უწონასწორებდნენ ბედნიერებასა და ტანჯვას ტრამალის მგელს? ის ხანმოკლე, მაგრამ ბედნიერებით აღსავსე წუთები შეელოდა განა მის დარდსა და ურვას? ეს ისევ და ისევ ამოცანად რჩებოდა, რომელზეც თავისმტვრევა მოცლილ ადამიანებს უნდა გადავაბაროთ. ამაზე თავად ტრამალის მგელიც ხშირად დაფიქრებულა, მაგრამ ასეთ დღეებს მისთვის ფუჭად და უქმად ჩაუვლია.

აქ კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას: ჰარის ყაიდის ადამიანები ამქვეყნად რამდენიც გინდათ, იმდენია. აი, თუნდაც ისინი, ხელოვნების სამსახური რომ გაუხდიათ ცხოვრების მიზნად. ამ ადამიანებში ორი სული, ორი არსება შედუღაბებია ერთმანეთს: ღვთაებრივი და სატანისეული, ერთმანეთში აღრეული დედისეული და მამისეული და ბედნიერებისა და ტანჯვის განცდის უნარი ისე მტრულად და ქაოსურად შერწყმული, როგორც ჰარის არსებაში მგელი და ადამიანი. ასეთი მშფოთვარე ცხოვრების მქონე ადამიანებს თავიანთი იშვიათი ბედნიერების წუთებში მშვენიერების განცდის ისეთი ძალა და უნარი ეუფლებათ, ამ წუთიერი ბედნიერების ქაფი დროდადრო ისეთი დამაბრმავებელი ბრჭყვიალებით მოექცევა ხოლმე თავზე ტანჯვის ზღვას, რომ ამ ხანმოკლე თვალისმომჭრელი ბედნიერების სხივები სხვებსაც ეფრქვევა და აჯადოებს. ასე, ტანჯვის ზღვაზე ელვარე ქაფივით ჩნდება ხოლმე ხელოვნების ქმნილებები, სადაც მარტოსული, ტანჯული კაცი მცირე ხნით ისე ამაღლდება საკუთარ ბედისწერაზე, რომ მისი ბედნიერება ვარსკვლავივით კიაფობს, ყველა მის მხილველს იგი მარადიული ეჩვენება და ბედნიერებაზე საკუთარ ოცნებასთან აიგივებს. კაცმა რომ თქვას, ამ ჯურის ხალხს, რაც უნდა დავარქვათ მათ საქმიანობასა თუ ნახელავს, საერთოდ არა აქვს ცხოვრება, ანუ მათი არსებობა არ წარმოადგენს ყოფას და არ გააჩნია გარკვეული სახე. ასეთ ადამიანებს ვერ ვუწოდებთ გმირებს, ხელოვნების მსახურთ თუ მოაზროვნეებს იმ გაგებით, როგორც სხვებს: მსაჯულებს, მეწაღეებსა ანდა მასწავლებლებს. მათი ცხოვრება მარადიული შფოთი და ვნებათაღელვაა, აღსავსე უბედურებით, წამებითა და შემაძრწუნებელი უაზრობით, თუკი მის აზრად სწორედ იმ იშვიათ შემთხვევებს, ნახელავს, ნაფიქრალსა და ნაღვაწს არ ჩავთვლით, რაიც ასეთი ცხოვრების ორომტრიალიდან გამოიჩურჩება ხოლმე. ამ ჯურის ადამიანთა წრეში დაიბადა აზრი შემზარავი და სახიფათო: ვაითუ ადამიანის მთელი სიცოცხლე უბრალოდ ავბედითი შეცდომაა, დიდი დედამთავრის მუცელს მოწყვეტილი პირმშო, ბუნების შემზარავი და უხეირო მცდელობა?! მაგრამ მათსავე წრეში წარმოიქმნა სხვა აზრიც, რომ შესაძლოა ადამიანი არა მხოლოდ გონიერი ცხოველია, არამედ ღმერთების პირმშო და უკვდავებისთვის გაჩენილი.

ყველა ადამიანს თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისება, მისთვის ჩვეული მადლი და მანკიერებები გააჩნია. ყველას აქვს თავისი მომაკვდინებელი ცოდვა. ტრამალის მგელი კი იმით იყო გამორჩეული, საღამო ჟამი უყვარდა. დილას ყველაზე ცუდ დროდ თვლიდა, ყოველთვის ეშინოდა მისი, არაოდეს

მოუტანია ამ დროს მისთვის სიკეთე. თავის სიცოცხლეში არ გასთენებია ისეთი დილა, ჭეშმარიტი სიხარული რომ ეგრძნო, არც არაფერი ხეირიანი შეუქმნია ამ დროს, არასოდეს მოსვლია თავში სასიკეთო აზრები, არც თავად უგრძვნია სიხარული და არც არავისთვის უგრძნობინებია. მაგრამ აი, დღის მეორე ნახევარში ნელ-ნელა უთბებოდა სული, ნელ-ნელა იწყებდა გამოცოცხლებას და სვებედნიერ დღეებში მხოლოდ საღამო ჟამს ხდებოდა მისი საქმიანობა ნაყოფიერი, ქმედითი, დროდადრო ცხოველი და სიხარულის მომგვრელიც კი. სწორედ ეს განაპირობებდა მის ლტოლვას მარტოსულობისა და დამოუკიდებლობისაკენ. ალბათ არავის არასოდეს ჰქონია მისებრ გულმხურვალე, დაჟინებული ლტოლვა თავისუფლებისაკენ. ახალგაზრდობის წლებში, როცა ჯერ კიდევ ხელმოკლედ ცხოვრობდა და ლუკმაპური საშოვნელი ჰქონდა, არჩევდა ეშიმშილა და ჩამოკონკილს ევლო, ოღონდ მისი სანუკვარი დამოუკიდებლობა არავის და არაფერს ხელეყო. ვერასოდეს ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა თავისუფლების გაცვლა ფულზე ან კეთილდღეობაზე. ტრამალის მგლის ცდუნება არც ქალებს შეეძლოთ და არც ძლიერთ ამა ქვეყნისა. ძალიან ბევრჯერ უთქვამს უარი ისეთ რაიმეზე, რაიც სხვების აზრით ბედნიერებასა და ხეირს მოუტანდა. ეს საკუთარი თავისუფლების შენარჩუნების ხარჯზე ხდებოდა. არაფერი იყო ტრამალის მგლისთვის იმ ფიქრზე უფრო საძულველი და ამაზრზენი, რომ უნდა ემსახურა, უნდა დაეგეგმა დღე თუ წელი და ვიღაც-ვიღაცებს დამორჩილებოდა. ყოველგვარი ფირმები, კანტორები თუ კანცელარიები ჭირის დღესავით სძულდა. ხოლო ყველაზე ზარდამცემი აზრი, რაც კი შეიძლებოდა თავში გაევლო, მისთვის ყაზარმის ტყვეობა იყო. ყოველივე აქედან თავის დაძვრენა ხშირად დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. სწორედ აქ მეღავნდებოდა მისი ძალა და ღირსება, უდრეკელობა და შეუვალობა, ხასიათის სიმტკიცე და პირდაპირობა.

მაგრამ ტრამალის მგლის ეს ღირსება კვლავაც და კვლავაც მის ტანჯვასა და ბედთან იყო მჭიდროდ გაბმულ-ნასკვული. ჰოდა, მასაც იგივე ემართებოდა, რაც ყველას: ბოლოს და ბოლოს კი აღწევდა იმ საწადელს, რისი ქონიც ჰქონდა და რისკენაც მთელი არსებით მიილტვოდა, მაგრამ მიღწეული გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე ამას უბრალო ადამიანური სიკეთე საჭიროებდა. ის, რაც თავდაპირველად ოცნებად და ბედნიერებად ესახებოდა, ბოლოს მწარე ხვედრი ხდებოდა. მოძალადეს ძალადობა ღუპავს, ფულის მოყვარულს — ფული, მონას—მონობა, სიამეთა მოტრფიალეს—სიამენი. ტრამალის მგელსაც საკუთარი თავისუფლება ღუპავდა. მან მიზანს მიაღწია, თანდათან დამოუკიდებელი გახდა, არვის შეეძლო მისთვის რაიმე ებრძანებინა, კაციშვილისთვის არ სჭირდებოდა ხასიათის გასწორება, ერთი სიტყვით, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი იყო. მტკიცე ნებისყოფის კაცი უთუოდ აღწევს იმას, რისკენაც მთელი არსებით ილტვის. მაგრამ, როგორც კი მიაღწია ნანინანატრ თავისუფლებას, ჰარი უმალ მიხვდა, ეს თავისუფლება სიკვდილს უდრიდა. დაინახა საკუთარი სიმარტოვე და იგრძნო, მთელი ეს ქვეყანა ავბედითად რომ განუდგა; ამიერიდან მას აღარაფერი ესაქმებოდა ადამიანებთან და თვით საკუთარ თავთანაც კი; ასე ნელ-ნელა ეხუთებოდა ტრამალის მგელს სული განდეგილობისა და მარტოსულობის დახშულ სივრცეში. ახლალა აღმოჩნდა, თურმე სიმარტოვისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვა მის სურვილსა და მიზანს კი არ შეადგენდა, ამ ჯადოსნური სურვილის აღსრულება მისი ხვედრი, მისი წერა გამხდარიყო და ამ

განაჩენის შეცვლა არა ძალას აღარ ძალუძდა. სევდით აღსავსეს, რაგინდ აეთილი გულითაც არ უნდა გაეწოდებინა ხელი ადამიანებისათვის, როგორც არ უნდა გამოეთქვა მათთან სიახლოვისა და ერთობის სურვილი, ამიერიდან ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. იგი ყველასგან მიტოვებული იყო. მაგრამ ამავე დროს ტრამალის მგელი ადამიანებს სულაც არ სძულდებოდა. პირიქით, უამრავი მეგობარი ჰყავდა, ბევრი გულითადადაც იყო განწყობილი, მაგრამ ყოველივე ეს კეთილგანწყობის საზღვრებს არ სცილდებოდა. მას ხშირად პატიჟებდნენ სტუმრად, უგზავნიდნენ საჩუქრებს, წერდნენ გულთბილ წერილებს, მაგრამ არავინ უახლოვდებოდა, ერთობა ვერავისთან ეგრძნო. არავის შეეძლო და არც სურვილი ჰქონდა მისი ჭირ-ვარამი გაეზიარებინა. ახლა მას მარტოსულობის მშვიდი გარემო ეკრა გარს, ხელიდან გამოსცლოდა გარე სამყარო და ადამიანებთან დაახლოების უნარი, რომლის წინაშეც უძლურია თვით ყველაზე დიდი მცდელობაც კი. აი, ამითაც იყო გამორჩეული მისი ცხოვრება.

ტრამალის მგელს ისიც გამოარჩევდა სხვათაგან, რომ თვითმკვლელთა დასს განეკუთვნოდა. აქვე უნდა დავძინოთ: სწორი არაა, თვითმკვლელს მხოლოდ იმ ადამიანს რომ უწოდებენ, რომელიც თავად ისწრაფავს სიცოცხლეს. თვითმკვლელებს შორის ბლომად არიან ისეთებიც, თვითმკვლელობას შემთხვევით რომ სჩადიან, რამეთუ საკუთარ თავზე ხელის აღმართვა არ გამომდინარეობს მათი შინაგანი ბუნებიდან. ცხოვრების სიმწარეს ნაზიარევი ასობით, ათასობით უგერგილო და უნიათო ადამიანი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, მაგრამ ისინი თავისი ხასიათითა თუ რწმენით სრულიადაც არ მიეკუთვნებიან თვითმკვლელთა რიცხვს. ბევრი ადამიანი კი, — და ასეთია ჭეშმარიტ თვითმკვლელთა უმრავლესობა — სინამდვილეში თავად არასოდეს მოისწრაფავს სიცოცხლეს. „თვითმკვლელისთვის" სრულიად არაა აუცილებელი სიკვდილთან უშუალო სიახლოვე. თვითმკვლელიც რომ არ იყო, ეს ისედაც შეიძლება. მაგრამ თვითმკვლელი თავის „მეს" — სამართლიანად თუ უსამართლოდ — ბუნების ძალზე საზიფათო, არასაიმედო და უსუსურ ნაშიერად თვლის. მას საკუთარი თავი ძალზე უმწეო ჰგონია და ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს კლდის ვიწრო ქიმზე იდგეს, სადაც სულ პატარა ბიძგი ან მცირე შინაგანი სისუსტეც საკმარისია, რომ უფსკრულში გადაიჩეხოს. ამ ყაიდის ადამიანთა ცხოვრება იმითაა ნიშანდობლივი, რომ თვითმკვლელობა მათთვის სიკვდილის ყველაზე ნაღდი სახეობაა, ყოველ შემთხვევაში, მათ წარმოდგენაში ასეა ეს. მიზეზს ამგვარი განწყობისას, რაიც ამ ადამიანებში ადრეულ სიჭაბუკეშივეა თვალში საცემი და მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ ხოლმე, სულაც არ წარმოადგენს სასიცოცხლო ძალების ნაკლებობა; პირიქით, „თვითმკვლელთა" შორის საოცრად ჯიუტ, დაუოკებელ და მამაც ადამიანებს ვხვდებით. არიან ადამიანები, სულ მცირე გაციებაზეც კი სიცხე რომ უწევთ. აი, მათ მსგავსად ჩვენი „თვითმკვლელებიც" ბუნებით საოცრად მგრძნობიარენი არიან. სულ მცირე ელდაც საკმარისია, რომ მთელი არსებით მიეცნენ თვითმკვლელობაზე ფიქრს. რომ გვქონოდა ისეთი მეცნიერება, რომელსაც ეყოფოდა გამბედაობა და პასუხისმგებლობის გრძნობა, ძირფესვიანად შეესწავლა ადამიანი და დაინტერესებული არ ყოფილიყო მხოლოდ მისი სასიცოცხლო პროცესების მექანიზმით, დიახ, რომ გვქონოდა ანტროპოლოგიის ან ფსიქოლოგიის მსგავსი მეცნიერება ამ დარგში, ეს ფაქტები საყოველთაოდ ცნობილი გახდებოდა.

ყველაფერი, რაც აქ თვითმკვლელობაზე მოგახსენეთ, რა თქმა უნდა, საკითხის გარეგნული მხარეა, ეს ფსიქოლოგიას, ნაწილობრივ კი ფიზიკას განეკუთვნება. მეტაფიზიკის თვალსაზრისით ეს საკითხი სხვაგვარად და ბევრად უფრო თვალნათლივ გამოიყურება. ასეთი მიდგომის დროს „თვითმკვლელები" თავისი მარტოსულობის წყალობით დანაშაულის გრძნობით შეპყრობილ ადამიანებად წარმოგვიდგებიან. მათი სულიერი სწრაფვის მიზანს საკუთარი თავის სრულყოფა და დახვეწა აღარ შეადგენს. ისინი ახლა თვითგანადგურებას ლამობენ, დედაბუნებასთან, ღმერთთან, კოსმოსთან კვლავ შერწყმას ელტვიან. „თვითმკვლელების" უმრავლესობას არ შესწევს უნარი ოდესმე მართლა მოისწრაფოს სიცოცხლე, რადგან შეგნებაში ღრმადა აქვს გამჯდარი, რა დიდი ცოდვაა ეს. მაგრამ, ვინაიდან ეს ადამიანები სიცოცხლეში კი არა, სიკვდილში ხედავენ ხსნას, ვინაიდან მზად არიან საკუთარი თავი გასწიროთ, მოსპონ და კვლავ დაუბრუნდნენ პირველსაწყისს, ამიტომაც ჩვენ მათ მაინც თვითმკვლელებად ვთვლით.

როგორც ნებისმიერ ძალას შეუძლია (ზოგ შემთხვევაში ეს აუცილებელიც კია) სისუსტედ იქცეს, ასევე ნამდვილ თვითმკვლელს შესწევს უნარი თავისი ვითომდა სუსტი მხარე ხშირად ძალად აქციოს და საყრდენად გაიხადოს; უმეტესწილად ხომ ასედაც არის! ამის მაგალითს წარმოადგენს ჩვენი ტრამალის მგელიც. მრავალ თანამოაზრის მსგავსად ჰარიშიც გამჯდარიყო რწმენა, თითქოს მისთვის სიკვდილისკენ მიმავალი გზა ნებისმიერ დროსაა ხსნილი, და ეს არ გახლდათ ყმაწვილკაცური წარმოსახვა, რამეთუ ამ აზრში ჰპოვებდა იგი საყრდენსა და ნუგეშს. ტრამალის მგელს, როგორც ეს მისი ჯურის ადამიანებს სჩვეოდათ ხოლმე, ელდა, ტკივილი თუ უსიამოვნება მყის აღუძრავდა სურვილს, ყოველივე ამისაგან სიკვდილით დაეღწია თავი. ამ უნარის წყალობით მან ნელინელ შეიმუშავა მისეული ცხოვრებისეული ფილოსოფია. რაკიღა საკუთარ თავს ჩაუნერგა, რომ ეს სათადარიგო კარი ყოველთვის ღიაა და ამის წყალობით ძალების მომძლავრება იგრძნო, გაეღვიძა ცნობისმოყვარეობა ტკივილისა და ტანჯვის მიმართ. ხანდახან კი, როცა საქმე მეტისმეტად ცუდად წაუვიდოდა ხოლმე, ღვარძლნარევი სიხარულით ამასაც ფიქრობდა: „ნეტავი გამაგებინა, მაინც სად გადის ადამიანთა ამტანობის ზღვარი?! ერთხელაც იქნება ამევსება მოთმინების ფიალა, გამოვაღებ ფანჯარას და მიყარონ მერე კაკალი".

ძალიან ბევრ თვითმკვლელს ეს აზრი უჩვეულო მხნეობას ჰმატებს. მეორე მხრივ მან მშვენივრად უწყის, რა ძნელია ბრძოლა თავის მოკვლის ცდუნებასთან. სულის სიღრმეში გრძნობს, რომ თვითმკვლელობა, მართალია, გამოსავალი კია, მაგრამ ეს გამოსავალი, ცოტა არ იყოს, უბადრუკი და ულირსია. მან იცის, რომ ბევრად უფრო მომხიბლავი და კეთილშობილურია, ბედის მსახვრელმა ხელმა განგგმიროს, ვიდრე საკუთარ თავზე აღმართულმა შენივე მარჯვენამ.

ეს აზრი და სინდისის ქენჯნა, ასე რომ მოგვაგონებს ცვედანი კაცის მკრეხელურ განცდებს, „თვითმკვლელების" უმეტესობას აიძულებს სულ ერთთავად ებრძოლოს ამ ცდუნებას, როგორც კლეპტომანი — თავის მანკს. ტრამალის მგლისთვისაც არ ყოფილა უცხო ეს ბრძოლა. ნაირ-ნაირი იარაღით შეჭიდებია იგი ამ მანკს, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ორმოცდაშვიდი წლის ასაკში ერთი ბედნიერი და მახვილგონიერებას არცთუ მთლად მოკლებული აზრი არ მოუვიდა თავში, ასე ხშირად სიხარულს რომ ანიჭებდა. გადაწყვიტა, იმ დღეს მოეკლა თავი, რა დღესაც ორმოცდაათი წელი შეუსრულდებოდა. „აი, იმ დღეს

გაირკვევა, დაგჭირდება თუ არა სათადარიგო კარის გაღება. გააჩნია, რა გუნებაზე იქნები", —უთხრა მან საკუთარ თავს. ახლა კი რაც უნდა დამართნოდა: დასნეულებულიყო, გალატაკებულიყო, თავს დასტყდომოდა ტანჯვა-წამება და დარდი. —ამიერიდან ყველაფერი ვადით იყო შეზღუდული, ყველაფერი დიდიდიდი, რამდენიმე წელიწადს, თვეს ან დღეს გაგრძელებულიყო, შრახ დრო ნელნელა იწურებოდა. და მართლაც ახლა ბევრად უფრო ადვილად იტანდა ყველა უსიამოვნებას, რასაც წინათ უდიდესი ტკივილი შეეძლო მიეყენებინა და სულით ხორცამდე შეეძრა. იყო წუთები, როცა რაიმე მიზეზით მისი ცხოვრების სიცარიელეს, სულით ობლობას და ველურობას სხვა უჩვეულო დარდი და დანაკარგი ემატებოდა. აი, მაშინ კი შეეძლო ტრამალის მგელს ტკივილისთვის ეთქვა: „მომითმინე ორიოდ წელიც, როგორმე მომითმინე, და მერე ამოვალ შენს ოხტში!" სასოებით წარმოიდგენდა ხოლმე იმ დღეს, ორმოცდაათი წელი რომ შეუსრულდებოდა; დილით მის სახელზე მოვიდოდა წერილები და მოსალოცი ბარათები, ის კი, სამართებელს მინდობილი, დაემშვიდობებოდა ყველა ტკივილს და კარს გამოკეტავდა. აი, მაშინ კი, იცოცხლე, კაი დროს გაატარებდა ნიკრისის ქარი, აი, მაშინ ნახავდა თავის სეირს მოწყენილობა, შაკიკი თუ კუჭის ტკივილი!

ახლა ისღა დაგვრჩენია ტრამალის მგლის ფენომენი. კერძოდ კი მისი დამოკიდებულება ბიურგერობასთან ისე ავხსნათ, რომ ეს ორივე მოვლენა ერთ ძირითად კანონზე დავიყვანოთ. საწყის წერტილად მოვიჩნიოთ სწორედ მისი დამოკიდებულება „ბიურგერთა" წრისადმი, რადგან თავისდაუნებურად იბადება ასეთი აზრი. ტრამალის მგლისთვის რომ გეკითხათ, ამ წრესთან არაფერი ესაქმებოდა, რადგან მისთვის უცხო იყო ოჯახური ყოფაცა და სოციალური პატივმოყვარეობაც. დროდადრო თავს ეულ, ცხოვრებისგან გარიყულ სნეულ განდეგილად წარმოიდგენდა, დროდადრო კი ზეადამიანად, გენიოსობის ზღვარს მიღწეულ, ჩვეულებრივი ყოფის მცირე ნორმებზე ამაღლებულ კაცად. მთელი შეგნებით სძულდა ბიურგერი და ეამაყებოდა, რომ მათ ამჭარს არ ეკუთვნოდა, თვითონ კი, გარკვეული აზრით, სავსებით ბიურგერულ ცხოვრებას ეწეოდა: ანგარიში ჰქონდა გახსნილი ბანკში, ეხმარებოდა ხელმოკლე ნათესავებს, დაუდეგრად, თუმცა ლაზათიანად და გემოვნებით იცვამდა, ცდილობდა პოლიციასა, ფინგანსა თუ ხელისუფლების სხვა ორგანოებთან უსიამოვნება არ მოსვლოდა. ესეც იქით იყოს, რაღაც უდრეკი, იდუმალი ლტოლვა ეწეოდა ბიურგერთა სამყაროსაკენ. მუდამ იზიდავდა წყნარი, მყუდრო ბიურგერული ოჯახები, მათი კოპწია ბაღები, კიბედაკრიალებული სახლები, წესრიგისა და წესიერების მათეული უბრალო გარემოცვა. თავიც კი მოჰქონდა თავისი პატარ-პატარა ცოდვებითა და უცნაურობებით, მოსწონდა, როცა მათ წრეში უცხო კაცად, განდეგილად თუ გენიოსად გრძნობდა თავს, მაგრამ ნავსაყუდელს არასოდეს დაიდებდა იქ, სადაც ბიურგერობას უკვე ჭირი მოეჭამა. ტრამალის მგელი თავის ტყავში ვერ გრძნობდა თავს ვერც ძალადობის მომხრე გამორჩეული ადამიანების წრეში და ვერც ბოროტმოქმედთა ან უუფლებოთა გარემოცვაში. ვერა და ვერ შელეოდა ბიურგერულ სავანეს, ვერ გაეწყვიტა კავშირი მის ადათ-წესებთან, ზნე-ჩვეულებებსა თუ სულიერ ცხოვრებასთან მაშინაც კი, როცა ეს კავშირი წინააღმდეგობისა და ამბოხის სახით იჩენდა თავს. ესეც არ იყოს, ტრამალის მგელი წვრილბურჟუაზიული აღზრდის პირმშო გახლდათ და ამის გამო მთელ რიგ ცნებებსა და გაცვეთილ აზრებს ნაზიი-

რევი. თეორიულად სრულიადაც არ ჰკიცხავდა როსკიპობას. მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, როსკიპს თავს არ გაუყადრებდა. პოლიტიკური დამნაშავე: რევოლუციონერი თუ სხვათა სულის შემრყვნელი კაცი, სახელმწიფოსა და საზოგადოებას რომ გაერიყა, შეეძლო ღვიძლ ძმასავით შეეყვარებინა, სამაგიეროდ, ქურდი, მძარცველი, მკვლელი და ანარქისტი, ბიურგერული სიბრალულის გარდა, არავითარ გრძნობებს არ უღვიძებდა.

ასე და ამრიგად, მისი ბუნების ერთი ნახევარი ყოველთვის აღიარებდა და ადასტურებდა იმას, რასაც მეორე ნახევარი ებრძოდა და უარყოფდა.

ტრამალის მგელი უზრუნველყოფილ ბიურგერულ ოჯახში იზრდებოდა, სადაც მკაცრად მისდევდნენ ადათ-წესებს, და სულის კუნჭულში სამუდამოდ ამ წრის ზნე-ჩვეულებების ერთგული დარჩა, თუმცა უკვე კარგა ხანია გამოჯვნოდა ბიურგერობას და მთლიანად განთავისუფლებულიყო მისი იდეალებისა და რწმენისაგან.

„ბიურგერობა" — ადამიანური არსის ეს განუყოფელი თვისება, სხვა არ არის რა, თუ არ მუდმივი მეცადინეობა წონასწორობის დაცვისა, სწრაფვა გამოწონილ ნახევრის-ნახევრულობისაკენ ადამიანური საქციელის ურიცხვ უკიდურესობებსა და დაპირისპირებულობებს შორის. თუ მაგალითისათვის აიღებთ ისეთ ურთიერთსაწინააღმდეგო წყვილს, როგორიცაა წმინდანი და მრუში, ჩვენი შედარება უმალ გასაგები გახდება. ადამიანს აქვს უნარი მთელი არსებით მიეცეს სულიერ ცხოვრებას, მიუახლოვდეს ღვთაებრივ საწყისს, წმინდანის იდეალს. მაგრამ იმის უნარიც გააჩნია, აჰყვეს მხოლოდ ქვეშეცნეულ გრძნობებს, ხორციელი ვნებების ტყვედ იქცეს და მთელი თავისი ძალისხმევა წუთიერი ნეტარებისა და ტკბობის განცდას შეალიოს. პირველ გზას წმინდანობისკენ მივყავართ. ამ გზით სულით წამებულნი ვლიან, ამქვეყნიურ ნეტარებაზე ხელი რომ აუღიათ და ღვთის მონებად შეურაცხავთ თავი. მეორე გზა კი მრუშობისკენ მიდის. ამ გზას ხრწნისა და ლპობისათვის განწირული, ხორციელ ვნებას გადაყოლილი მრუშები ადგებიან.

ბიურგერი კი ცდილობს ამ ორ გზას შუა იაროს და ისე იცხოვროს. იგი არასოდეს განუდგება არც საკუთარ თავს და არც ქვეყნიერებას, ღვინოს არ მიეძალება, წმინდანობას არ დაიჩემებს და არც თავს გაინადგურებს, რამეთუ მისი იდეალი თვითგანდგომა კი არა, თვითდაცვაა. ბიურგერი არც წმინდანობას ესწრაფვის და არც ამ წმინდანობის საპირისპირო რამ შეადგენს მისი ლტოლვის მიზანს. უცილობლობა, აბსოლუტურობა აუტანელია მისთვის, თუმცა კი უნდა ღმერთსაც ემსახუროს და თრობის სიტკბოებაც შეიგრძნოს, მაღალი ზნეობისაც იყოს და თან ამქვეყნიურ ყველა ნეტარებასაც ეზიაროს. ერთი სიტყვით, იგი წინააღმდეგობათა შორის დამკვიდრებას ლამობს ჯანსაღსა და ზომიერ სარტყელში, სადაც არც ქარიშხალი მძვინვარებს და არც ჭექა-ქუხილი გრგვინავს. აკი კიდევაც აღწევს მიზანს, თუმცა ამას სისხლსავსე ადამიანურ გრძნობებს ანაცვლებს, რასაც ადამიანს გარდუვალობითა და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება ანიჭებს. ჭეშმარიტად სისხლსავსე ცხოვრება მხოლოდ საკუთარი „მეს" ხარჯზე შეიძლება. ბიურგერისთვის კი საკუთარ „მეზე" (თუმცა ძალზე შეზღუდულ „მეზე") მაღლა არა არსებობს რა. ერთი სიტყვით, იგი გრძნობათა სისხლჭარბობას გაიღებს მსხვერპლად და ამის საზღაურად ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებას გაინაღდებს. ნაცვლად იმისა, მთელი არსებით იყოს შეპყრობილი ღმერთთან სიახლოვის წადილით, იგი დამ-

შვიდებული სინდისით ცხოვრობს ამქვეყნად: ნეტარების ნაცვლად სიამოვნებით კმაყოფილდება, თავისუფლების ნაცვლად — კეთილმოწყობილობით, ხოლო მომაკვდინებელ პაპანაქების ნაცვლად — სიამო სითბოთი. ამიტომაც ბიურგერი თავისი არსებით სუსტი იმპულსების მქონე არსებაა. იგი ლაჩარია, რომელსაც ეშინია მცირედიც კი დათმოს თავის მხრივ; მისი მარადიული პრინციპია. სწორედ ამიტომაა, რომ მან ხელისუფლების ადგილას უმრავლესობა დაამკვიდრა, ძალის ადგილას კანონი, პასუხისმგებლობის ადგილას კენჭისყრა. აშკარაა, რომ ეს სუსტი და მხდალი არსება არ შეიძლება გადარჩეს, რაგინდ მრავალრიცხოვანიც არ იყოს მისი ჯილაგი. თავისი ამ თვისებების წყალობით მას შეუძლია მხოლოდ ცხვრის ფარად იქცეს, გარშემო კბილებდაკრეჭილი მგლების ხროვა რომ შემოხვევია. მაგრამ ჩვენ მაინც მოწამენი ვართ, ძლიერი პიროვნებების მმართველობის დროს თუმცა კი მყისვე ბიურგერს მიაჭერენ ხოლმე ყელში დანას. იგი მაინც არასოდეს იღუპება. ის კი არა, დროდადრო ცხოვრებაზე ფარფაშსაც ახერხებს! კი მაგრამ, რანაირად ხდება ასე? ერთი შეხედვით თითქოსდა არც მისი ჯილაგის მრავალრიცხოვნობას, არც სათნოებას, არც common sense[1]-ს და ორგანიზაციას არ შესწევს უნარი იგი დაღუპვისგან იხსნას. განა მოიძებნება ამქვეყნად წამალი იმ კაცისათვის, ვისაც დაბადებითვე დასწრეტია ძალები? და მიუხედავად ამისა, ბიურგერობა მაინც ცოცხლობს, იგი ყოვლისშემძლეა, იფურჩქნება და ყვავის, ჰოდა, როგორ, რა მანქანებით?

პასუხი ერთია: მხოლოდ და მხოლოდ ტრამალის მგლების წყალობით. სინამდვილეში ბიურგერული სამყაროს ცხოველმყოფელობა იმ თვისებებიდან როდი ისრუტავს სასიცოცხლო ძალებს, მის ნორმალურ წარმომადგენლებს რომ გააჩნიათ. არა და არა! ამ ძალების წყაროს აურაცხელი აუტსაიდერების გუნდი შეადგენს, რომელსაც ბიურგერობა იკრებს ხოლმე გარშემო თავისი იდეალების ბუნდოვნობისა და ბალბაწობის წყალობით. ბიურგერული სამყაროს შიგნით ყოველ დროსა და ჟამს მოიძებნება აუარება ძლიერი და ველური ბუნების ადამიანი. ჩვენი ტრამალის მგელი ჰარი ამის თვალსაჩინო მაგალითია. ამ კაცმა შესძლო გასცდენოდა ბიურგერისათვის ხელმისაწვდომ საზღვარს; თვითჭვრეტით მოგვრილი ნეტარება მისთვის არანაკლებ ნაცნობი გრძნობაა, ვიდრე ზიზღითა და თვითსიძულვილით გამოწვეული სიხარული, მისთვის საძულველია კანონი, სათნოება და common sense. მაგრამ იგი მაინც ბიურგერობის ტყვეა და ამ ტყვეობიდან თავის დაღწევა არ ძალუძს. ამრიგად, ჭეშმარიტ ბიურგერობას, როგორც ბირთვს, გარს აკრავს ყაცობრიობის ფართო ფენები, ათასობით სიცოცხლე და გონება, რომელთაც თუმცა კი გადააბიჯეს ბიურგერობის ზღუდეს, თუმცა კი მოწოდებული არიან ეზიარონ აბსოლუტს, მაგრამ თავიანთი ინფანტილური გრძნობების წყალობით მაინც ბიურგერულ წრეს არიან მიჯაჭვულნი. ამ წრეს დაუსნეულებია ისინი თავისი მიმბრალი ცხოველმყოფლობით, ამიტომაც ეს ადამიანები თითქოსდა დახავსებულან ბიურგერობაში, თავს მისგან დავალებულად გრძნობენ, მორჩილებენ და ემსახურებიან მას, რამეთუ ბიურგერობა დიადთა ცნობილ პრინციპს თავისას უპირისპირებს: „ვინც ჩემ წინააღმდეგ არ იბრძვის, ის ჩემს მხარეზეა".

თუ ტრამალის მგლის სულს ამ კუთხით ჩავხედავთ, დავინახავთ, რომ ამ

[1] საღი აზრი (ფრანგ.).

საოცრად თვითმყოფად პიროვნებას ბედმა დაანათლა ყოფილიყო არაბიურგერი. ყველა მკაფიო ინდივიდუალობის მქონე ადამიანი ხომ საკუთარ „მეს" უპირისპირდება ხოლმე და მის განადგურებას ლამობს!

როგორც ვხედავთ, ტრამალის მგელი თანაბრად ძლიერი იმპულსების კაცი იყო როგორც წმინდანობის, ასევე მრუშობის თვალსაზრისით, მაგრამ შინაგანი სისუსტე თუ სიძაბუნე უშლიდა ხელს გადაელახა ბიურგერული ყრიის მიზიდულობის ძალა და ლაღად აჭრილიყო სამყაროს გაშლილ სივრცეებში. ასე ცხოვრობდა ამქვეყნად, ასეთი შეჭირვებული ყოფა დაანათლა მას განგებამ. მსგავს ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ინტელიგენტთა უმრავლესობა, ხელოვანთა უდიდესი ნაწილი. მათ შორის მხოლოდ უძლიერესთა შესწევთ ძალა მოწყდნენ ბიურგერულ ნიადაგს და ზეაიჭრან კოსმოსში, დანარჩენები კი დამარცხებას ეგუებიან და ფარხმალს ჰყრიან. მართალია, ბიურგერობა კი სძაგთ, მაგრამ მას მაინც ვერ აღწევენ თავს და იძულებული არიან განამტკიცონ და განადიდონ იგი, რათა საბოლოო ჯამში შეიქმნან ამქვეყნიური სამკვიდრო. ასეთი ადამიანების რიცხვი ძალზე დიდია. მათ არ შესწევთ ძალა ტრაგიკული ცხოვრებისა, მათ მხოლოდ თავიანთი ავბედითი ხვედრის ზიდვა შეუძლიათ, რომლის ჯოჯოხეთშიც იკუპრება და ილექება მადლი მათი ნიჭიერებისა. ის თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები, რომლებიც თავს აღწევენ ყოველივე ამას, აბსოლუტს ეზიარებიან და ღირსეულად იღუპებიან, ტრაგიკული ბედისანი არიან; მათი რიცხვი ძალზე მცირეა. იმათ წინაშე კი, ვინც ვერ დააღწია თავი ბიურგერულ წრეს და ვის ნიჭიერებასაც ამ წრეში პატივი და დაფასება ხვდა წილად, გადაიშლება ეფემერული, მაგრამ თვითმყოფადი სამყარო — სამყარო იუმორისა. დაუდეგარი ტრამალის მგლები მწარედ ტანჯულთა მარადიულ საკრებულოს შეადგენენ. მათ არ მოსდგამთ ტრაგიზმის განცდისა და ასტრალურ სივრცეში სანავარდოდ სამყოფი ძალა, მიაჩნიათ, რომ განგებით მოწოდებული არიან ეზიარონ აბსოლუტის სფეროს, მაგრამ ამავე დროს იქ ცხოვრება არ ძალუძთ. როცა ეს ტრამალის მგლები ტანჯვა-ვაებაში გამოიწრთობენ და მოქნილს გახდიან საკუთარ სულს, მათთვის ერთადერთი შემრიგებლური გამოსავალი — იუმორია. იუმორს მუდამ დაჰკრავს ხოლმე ბიურგერული ელფერი, თუმცა ჭეშმარიტ ბიურგერს მისი წვდომის უნარი არ გააჩნია. იუმორის მოჩვენებით სამყაროში ხორცს ისხამს ყველა უდაბნოს მგლის წინააღმდეგობებით აღსავსე დაბურდული იდეალი; აქ ერთსა და იმავე დროს შეიძლება არა მარტო კეთილად განეწყო წმინდანისა და მრუშის მიმართ, დააახლოვო ერთმანეთის საპირისპირო ცნებები, აქ კაცმა შეიძლება ბიურგერსაც კი კეთილგანწყობის თვალით შეხედოს. ღვთის მონას ხომ შეუძლია შეუნდოს ბოროტმოქმედს და პირიქით, მაგრამ ორივეს, ისევე როგორც აბსოლუტური, უცილობელი უკიდურესობების მქონე ყველა ადამიანს, არ შეუძლია მოიწონოს უნიათო, ლიფლიფა ნახევრის-ნახევრულობა — ბიურგერობა; მარტოოდენ იუმორია დიდებული გამოგონება კაცისა, ვინც შეუბოჭავს თავის მაქსიმალიზმს, ვისაც თითქმის ტრაგიკული ბედი ხვდომია. იუმორი უბედურ, მაგრამ მაღალნიჭიერ ადამიანთა გამოგონებაა. მხოლოდ მას (შესაძლოა კაცობრიობის ამ ყველაზე თვითმყოფადსა და გენიალურ მიღწევას) ძალუძს ქმნა შეუძლებლისა; იგი თავს უყრის და საკუთარი სხივებით აცისკროვნებს ადამიანური ბუნების ყველა კუთხე-კუნჭულს. ცხოვრობდე ქვეყნად და შენად არ იგულვებდე ამ ქვეყანას, პატივს სცემდე კანონს და მაინც მასზე მაღლა იდგე, მფლობელიც გერქვას და

„არცარის მფლობელი იყო“, რაიმეზე უარს ამბობდე და ეს უარის თქმად არ გეთვლებოდეს, — ამ უზენაესი ცხოვრებისეული სიბრძნის უსაყვარლესი და ფრიად გავრცელებული მოთხოვნების აღსრულება მხოლოდ იუმორს ძალუძს. და თუკი ტრამალის მგელს შესწევს ძალა და უნარი საკუთარი სულის ჯოჯოხეთიდან გამოწვრიტოს ეს ჯადოსნური სასმელი, ეს იქნება მისთვის გზა ხსნისა. მაგრამ საამისოდ მას ბევრი რამ აკლია, თუმცაღა არსებობს ხსნის შესაძლებლობა და იმედი. ვისაც უყვარს ტრამალის მგელი, ვისაც გული შესტკივა მასზე, დაე, ინატროს მისთვის ეს ხსნა! მართალია, მაშინ იგი ბიურგერულ წრეში გაიყინება, მაგრამ მისთვის ეს ტანჯვა ასატანიც იქნება და ნაყოფიერიც, ტრამალის მგლის დამოკიდებულება ბიურგერთა წრის მიმართ, გინდ სიყვარულითა და გინდ სიძულვილით სავსე, აღარ იქნება სენტიმენტალური და ამ წრესთან სიახლოვე აღარ დატანჯავს, როგორც სამარცხვინო რამ ლაქა.

იმისათვის, რომ მიაღწიოს ამას, ან არადა, ბოლოს და ბოლოს გაბედოს და კოსმოსში ზეაიჭრას, ტრამალის მგელი ერთხელ მაინც პირისპირ უნდა დაუდგეს საკუთარ თავს, ღრმად ჩაიხედოს თავისივე სულის ქაოსში და მთლიანად შეიმეცნოს საკუთარი „მე“. აი, მაშინ კი იგრძნობდა მთელი განუხრელობით თავისი ყოფის ორჭოფულობას, მომავალში აღარ მოუვიდოდა აზრად, კვლავ და კვლავ დასძრომოდა ხელიდან საკუთარ ინსტინქტების ჯოჯოხეთს, ნუგეშისმომცემ სენტიმენტალურ ფილოსოფიაში ეძებნა ნავსაყუდელი, მერე კი თავისი მგლური ბუნებით ბრმა თრობას მისცემოდა. მგელი და კაცი იძულებული გახდებოდნენ ყალბი ნიღბების გარეშე შეეცნოთ ერთიმეორის განცდები და პირდაპირ შეეხედათ ერთმანეთისთვის თვალებში. აი, მაშინ კი ან შეასკდებოდნენ ერთმანეთს და შემდგომ ამისა სამუდამოდ გაიყრებოდნენ, ან არადა, იუმორის სხივით მადლცხებულნი, ანგარებით შეუღლდებოდნენ.

შესაძლოა ჰარის ოდესღაც არგუნოს ბედმა ეს უკანასკნელი შესაძლებლობა. იქნებ ერთ მშვენიერ დღეს შეიცნოს საკუთარი თავი, იქნებ ჩაუვარდეს ხელში ჩვენი ერთ-ერთი პატარა სარკე, შეხვდეს უკვდავთ, ანდა ერთ-ერთ ჩვენს ბაგიურ თეატრში ჰპოვოს, რაც ასე სჭირდება გაველურებული სულის გამოსათავისუფლებლად. ტრამალის მგელს უამრავი ასეთი შესაძლებლობა ელის, მისი ბედ-იღბალი შეუნელებლად იზიდავს ამ შესაძლებლობებს, ბიურგერული სამყაროს ყველა ეს აუტსაიდერი ამ ჯადოსნური შესაძლებლობების გარემოში ცხოვრობს. პატარა წკიპურტიც კი საკმარისია, რომ მეხი გაეარდეს.

ეს ყველაფერი მშვენივრად უწყის ტრამალის მგელმა, გინდაც საკუთარი სულიერი ბიოგრაფიის ეს მონახაზი ხელთ არასოდეს ჩაუვარდეს; იცის, თუ რა ადგილი უკავია ამქვეყნად, გრძნობს და იცნობს უკვდავთ, იმასაც გრძნობს, რომ შესაძლოა დაუდგეს საკუთარ თავთან შეხვედრის ჟამი, რომ არსებობს სარკე, რომელშიაც ჩახედვა, ჰაი, ჰაი, რომ ძალზე სწადია, მაგრამ ისე კი ეშინია, ვით სიკვდილისა.

ჩვენი ჩანაწერების ბოლოს ისღა დაგვრჩენია, გავაბათილოთ ერთი უკანასკნელი ფიქცია, ერთი პრინციპული სიყალბე. ყოველგვარ „ახსნა-განმარტებას“, ყოველგვარ ფსიქოლოგიასა და გაგების ცდას ხომ დამხმარე საშუალებები, თეორიები, მითოლოგიები და სიცრუე სჭირდება. კეთილსინდისიერი ავტორი არც დააყოვნებს თხრობის დასასრულს შეძლებისდაგვარად ახადოს ფარდა ამ სიცრუეს. როდესაც ვამბობ „ზემოთ“ ან „ქვემოთ“-მეთქი, ეს ხომ

უკვე ისეთი მტკიცებაა, რომელიც ახსნა-განმარტებას მოითხოვს, რამეთუ ზემოთ და ქვემოთ მხოლოდ აზროვნებაში, აბსტრაქციაში არსებობს. თავისთავად სამყარომ არ იცის, რა არის ზემოთ და ქვემოთ.

ერთი სიტყვით, „ტრამალის მგელიც" ფიქციაა. როცა ჰარი საკუთარ თავს მგელკაცად შერაცხავს და ჰგონია, რომ ორი მტრული, ერთიერთსაპირისპირო არსების მომცველია, ეს მხოლოდ გამარტივებული მითოლოგიაა. ჰარი სრულიადაც არ არის მგელკაცი, და როცა ჩვენ რაღაცნაირად ვირწმუნეთ მის მიერ შეთხზული და დაჯერებული სიცრუე, როცა მართლა ვცდილობდით იგი გაორებულ არსებად შეგვეცნო და მასზე, როგორც ტრამალის მგელზე, ისე გვემსჯელა, სიცრუით იმ იმედით ვისარგებლეთ, რომ ასე უფრო ადვილი იქნებოდა ჩვენი გაგება. ახლა კი უნდა შევეცადოთ ვამხილოთ ეს სიცრუე.

ჰარიმ ერთმანეთს დაუპირისპირა მგელი და კაცი, ინსტინქტი და სული, რათა უფრო გასაგები გაეხადა საკუთარი ბედ-იღბალი. ეს სინამდვილის უხეში გამარტივებაა, სინამდვილეზე ძალადობაა წინააღმდეგობათა უფრო უკეთ გაგების, მაგრამ არასწორად ახსნის მიზნით, წინააღმდეგობათა, რომლებიც ამ კაცმა საკუთარ თავში აღმოაჩინა და თავისი უსაშველო ტანჯვის მიზეზად გაიხადა. ჰარი თავის თავში „ადამიანს", ე .ი. აზრებისა და გრძნობების, კულტურის, თვინიერებისა და სინატიფის სამკვიდროს ხედავს, ხოლო იქვე გვერდით აღმოაჩენს „მგელს", ანუ დაუხვეწავი, უხეში ინსტინქტების, ველურობისა და სისასტიკის ბნელ სამყაროს. თუმცა ერთი შეხედვით ტრამალის მგელი თავის თავში მკვეთრად მიჯნავდა ორ მტრულ საწყისს, მაგრამ შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ დროის რომელიღაც მონაკვეთში, რომელიღაც ბედნიერ წუთში მგელი და კაცი ერთმანეთს მშვენივრად ეთვისებოდა. ჰარის იმის გარკვევა რომ მოეწადინებინა, მისი ცხოვრების ამა თუ იმ ხანაში, მის ამა თუ იმ საქციელსა და შეგრძნებაში რამდენად ერია ადამიანი და რამდენად მგელი, იგი უმალ ჩიხში მოემწყვდეოდა და მთელი ეს მშვენიერი მგლური თეორია ნაცარტუტად ექცეოდა, რამეთუ არ არსებობს ისეთი სვებედნიერად მარტივი ბუნების ადამიანი, თუნდაც ყველაზე პრიმიტიული ზანგი, თუნდაც იდიოტი, რომ შეიძლებოდეს მისი ბუნება ორი ან სამი ძირითადი ელემენტის ჯამამდე დავიყვანოთ. ხოლო ჰარისთანა მრავალსახოვანი ადამიანის გულუბრყვილოდ დანაწევრება მგლად და ადამიანად ხომ სრულიად უაზრო, ბალღური ცდა იქნებოდა! მისი პიროვნება ორს კი არა, ასობით, ათასობით არსებას მოიცავს. მისი ცხოვრება (როგორც ყველა ადამიანის ცხოვრება) მხოლოდ ორ ისეთ პოლუსს შორის როდია მოქცეული, როგორიც ინსტინქტი და სული, ანდა წმინდანი და მრუშია, ეს ცხოვრება უთვალავ პოლარულ წინააღმდეგობებს შორის ეძიებს თავის სამკვიდროს.

არ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ჰარისთანა საქმეში ჩახედული და გონიერი კაცი საკუთარ თავს „ტრამალის მგლად" ნათლავს და თავისი მდიდარი და რთული ცხოვრების კრიალოსანს ესოდენ მარტივად და გულუბრყვილოდ მარცვლავს. ადამიანისათვის მიუწვდომელია აზროვნების მაღალი ზღუდეები და თვით სულიერად ყველაზე მდიდარი და განსწავლული კაციც კი სამყაროსა და საკუთარ თავს დღენიადაგ უაღრესად მიამიტი, გამარტივებული და ყალბი ფორმულების სათვალით უმზერს .ასეთ მზერას კი იგი უმთავრესად თავის თავს მიაპყრობს ხოლმე! როგორც ჩანს, ადამიანის თანდაყოლილი და სრულიად ქვეშეცნეული მოთხოვნილება ყოფილა საკუთარი თავი მთლიანობაში აღიქვას.

მერე რა ვუყოთ, თუ მას ეს რწმენა ხშირად უცრუვდება! იგი კვლავ და კვლავ აღსდგება ხოლმე მკვდრეთით და განაგრძობს სიცოცხლეს. აი, მსაჯულს, მკვლელის პირისპირ რომ ზის და თვალებში შესცქერის, უეცრად ეძუდგება ოლმე წამი, როცა მკვლელის სიტყვები ყურში საკუთარ ხმად ჩაესმის. იმ წუთში ხედავს, თუ როგორ აირეკლება დამნაშავის ყველა მიზანსწრაფვა, თვისება თუ შესაძლებლობა მის საკუთარ სულში. მაგრამ მსაჯული ეს ერთ მთლიანობად შეიკვრება, კვლავ მსაჯულად იქცევა, კვლავ აიფარებს თავისი მოჩვენებითი „მეს“ ნიღაბს, აღასრულებს თავის ვალს და მკვლელს სიკვდილის განაჩენს გამოუტანს. ხანდახან მაღალნიჭიერ და სათუთი გრძნობებით დაჯილდოებულ ადამიანთა სულში გაიკიაფებს საკუთარი მრავალსირთულის გრძნობა. ისინი, გენიოსთა მსგავსად, გაარღვევენ პიროვნების მოჩვენებითი მთლიანობის ზღუდეს, შეიგრძნობენ თავიანთ დანაწევრებულობას და საკუთარ თავს მრავალ „მესაგან“ აკინძულ კრიალოსნად წარმოიდგენენ. აი მაშინ საკმარისია ამის თაობაზე ერთი სიტყვაც კი დასცდეთ, რომ ეს ადამიანები უმრავლესობამ ოთხ კედელს შუა გამოკეტოს, საშველად მოუხმოს მეცნიერებას, დაუდგინოს შიზოფრენია და კაცობრიობას თავიდან ააცილოს საფრთხე ამ უბედურთა ბაგეთაგან ჭეშმარიტების მოსმენისა. თუმცაღა რა საჭიროა ტყუილუბრალო ლაპარაკი ისეთ რამეზე, რაც თავისთავად ცხადია ყველა ჭკუადამჯდარი ადამიანისათვის და რისი ხმამაღლა თქმაც საერთოდ არ არის მიღებული?

ერთი სიტყვით, ვინც შეეცდება საკუთარი „მეს“ მოჩვენებითი მთლიანობა გაორებული დაგვანახოს, მას ლამის გენიოსად შერაცხვენ, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, იშვიათ და საინტერესო გამონაკლისად ჩათვლიან. სინამდვილეში კი ნებისმიერი „მე“, თვით ყველაზე მიამიტიც კი, ერთი მთლიანობა კი არა, მრავალსახოვანი რთული სამყაროა, პაწია ცის კაბადონი, ფორმათა, საფეხურთა და მდგომარეობათა, მემკვიდრეობათა და შესაძლებლობათა ქაოსია. ხოლო თუ ადამიანი ცდილობს ეს ქაოსი ერთ მთლიანობად აღიქვას და საკუთარ „მეზე“ ისე ლაპარაკობს, როგორც მკვრივი ფორმისა და მკაფიო მოხაზულობის მქონე მარტივ მოვლენაზე, ეს ისეთი სიცრუეა, რაიც ყველა კაცს მოსდგამს (მათ შორის ყველაზე მაღალი მიზანსწრაფვის ადამიანებსაც), და, ეტყობა, ეს სიცრუე ისეთსავე აუცილებლობას და სასიცოცხლო მოთხოვნას შეადგენს, როგორც სუნთქვა ან ჭამა.

ზემოხსენებული სიცრუე უბრალო მეტაფორაზეა დაფუძნებული. ყოველი ადამიანის სხეული ერთ მთლიანობას შეადგენს, სული კი არაოდეს გვევლინება ასეთად. თვით ყველაზე ნატიფი პოეზიაც კი ტრადიციულად ყოველთვის მოჩვენებითად მთლიან, მოჩვენებითად ერთიან გმირებს წარმოაჩენს. დღემდე არსებულ პოეზიაში სპეციალისტები და საქმეში ჩახედული პირნი ყველაზე მეტად დრამას აფასებენ, და სავსებით სამართლიანადაც, რამეთუ იგი იძლევა (ანდა შეეძლო მოეცა) უდიდეს შესაძლებლობას „მეს“ მრავალსახოვნად გამოხატვისა, ყოველივე ეს ერთი სიმახინჯით რომ არ გამოირჩეოდეს. მისი წყალობით დრამის ყოველი გმირი ერთ მთლიანობად გვევლინება, რადგან იგი ერთ უცილობლად უნიკალურ, მთლიან ხორციელ გარსშია მოქცეული. მაგრამ ყველაზე მეტად გულუბრყვილო ესთეტიკა ეგრეთ წოდებულ ხასიათთა დრამას აფასებს, რომელშიც ყველა მოქმედი პირი მკაფიოდ მონიშნულ, განთვისებულ მთლიანობას წარმოადგენს. გამორიცხული არ არის, ვინმეს ანაზდად შემ-

პარავი ეჭვი გაუჩნდეს. ხოლო მერე თანდათანობით კიდევაც გაუძლიერდეს თითქოს ყოველივე ეს იაფფასიანი, ზერელე ესთეტიკაა და შესაძლოა ვცდებით, როცა ჩვენი დიდი დრამატურგების მიმართ ლამაზ ცნებებს ვიყენებთ ხოლმე. თუმცაღა ეს ცნებები ორგანულად არ შეეწყმია ჩვენს სულს და გარედან გვაქვს თავს მოხვეული. ესაა ანტიკურობის მშვენიერების ცნებები, რომელთათვისაც ამოსავალ წერტილს ხილული სხეული წარმოადგენდა მუდამ და. კაცმა რომ თქვას, სწორედ მათი წყალობით შეიქმნა „მეს". პირის ფიქცია. ძველ ინდურ პოეზიაში ეს ცნება საერთოდ არ არსებობს. ინდური ეპოსის გმირები პირთა გროვას, განსულიერებულ ადამიანთა რიგებს წარმოადგენენ და არა ცალკეულ პიროვნებებს. ჩვენს დღევანდელობაშიც გვხვდება პოეტური ქმნილებები, სადაც ავტორი მოქმედ პირთა თუ ხასიათთა თამაშის საფარქვეშ შესაძლოა ქვეშეცნეულად ცდილობს წარმოაჩინოს სულის მრავალსახოვნება. ვისაც კი ამის შეცნობა სურს, უნდა შეეცადოს ამგვარი ნაწარმოების მოქმედ პირებს ისე კი არ შეხედოს, როგორც ცალკეულ არსებებს, არამედ ისინი უზენაესი მთლიანობის (თუ გნებავთ, მწერლის სულის) ცალკეული ნაწილის, ცალკეული მხარის გამოვლინებად ჩათვალოს. ვინც, ვთქვათ, „ფაუსტს" ამ თვალით შეხედავს, მისთვის ფაუსტი, მეფისტოფელი, ვაგნერი და სხვა დანარჩენები ერთი მთლიანობა, ერთი ზეარსება იქნება. და სულის ჭეშმარიტ არსზე მინიშნებაც ხომ სწორედ ამ უზენაეს მთლიანობაშია და არა ცალკეულ პიროვნებებში. ფაუსტი ერთგან წარმოთქვამს სიტყვებს, ყველა სკოლის მასწავლებელმა რომ იცის და ფილისტერში აღტაცებულ თრთოლვას იწვევს. „ეჰ, ორი სული ბუდობს ჩემს მკერდში!" ამას რომ ამბობს, ფაუსტს ავიწყდება მეფისტოფელიცა და ურიცხვი სხვა სულიც. მის სულში ასევე რომ დაუდვია ბინა. ჩვენს ტრამალის მგელსაც ხომ ჰგონია, მკერდში ორი სული მიდგას (მგლისა და ადამიანისა) და სწორედ ამიტომ მაქვს გული ასე საწყალობლად შეკუმშული. საქმე ისაა, რომ გული თუ სხეული მუდამ ერთია, სული კი მასში ორი ან ხუთი კი არა, ურიცხვი ბინადრობს. ადამიანს ხახვის ბოლქვივით ასობით ფურცელი შემოჰკვრია გარს. იგი უთვალავი ძაფის წვერისგან ნაქსოვი ქსოვილია. ძველთაძველმა აზიელებმა მშვენივრად უწყოდნენ ეს ყველაფერი. ბუდელმა ოგამ კი მთელი ტექნიკა შეიმუშავა, რათა ემხილებინა პიროვნების თვითმოტყუება. რა სასაცილო და მრავალფეროვან თამაშს არ მოიგონებს ხოლმე კაცობრიობა! თვითმოტყუება, რის მხილებაც ინდოეთს ათასწლიან ბრძოლად დაუჯდა, ზუსტად იგივე თვითმოტყუებაა, რის განმტკიცება-გაღრმავებასაც ამდენივე მეცადინეობა შეალია დასავლეთმა.

თუ ტრამალის მგელს ამ თვალსაზრისით შევხედავთ, ნათელი გახდება, თუ რატომაა მისთვის ეგზომ მტანჯველი ეს სასაცილო გაორება. ფაუსტისა არ იყოს, მასაც მიაჩნია, ერთ მკერდს ძალზე უნდა უმძიმდეს ორი სულის დატევა, ამან შეიძლება დაფლითოსო იგი. სინამდვილეში კი ეს ძალზე ცოტაცაა. და ჰარი საშინელ ძალადობას იჩენს თავისი საბრალო სულის მიმართ, როცა მის წვდომას ესოდენ გულუბრყვილო გზით ლამობს. ღრმად განსწავლული კაცი კია, მაგრამ დაახლოებით იმ ველურივით იქცევა, მხოლოდ ორამდე რომ იცის თვლა. თავის თავში ჰარი ერთ ნახევარს ადამიანს უწოდებს, მეორეს კი — მგელს. ჰგონია, საქმე ამით მოვათავე და თავი მთლიანად ამოვწურეო. „ადამიანს" იგი მიაკუთვნებს ყველაფერს, რაიც კი მას სულიერი, დახვეწილი თუ ამაღლებული გააჩნია, ხოლო მგელს — ყოველივე იმპულსურს, ველურსა და ქაოტურს.

მაგრამ ცხოვრებაში ეს ყველაფერი ისე მარტივად როდია, როგორც ჩვენს აზრებში, და არც ისეთი უხეშია, როგორც ამის გამოხატვა ჩვენს უნიათო, სულელურ ენას სჩვევია! ამიტომაც არის, რომ ჰარი ორმაგად იტყუება თავს, როდესაც ამ ველურ „მგლურ“ ხერხს იყენებს. ვაი, რომ იგი „ადამიანს“ თავისი სულიერი ცხოვრების იმ სფეროს მიაწერს, ადამიანობისგან [illegible] ძალზე შორს რომ არის, ხოლო „მგელს“ თავისი არსების იმ თვისებებს [illegible] ოვებს, მგლისა რომ კარგა ხანია აღარაფერი სცხია.

ყველა ადამიანი რატომღაც ფიქრობს და ჰარისაც ასე ჰგონია, რომ კარგად იცნობს ადამიანის ბუნებას, სინამდვილეში კი სულაც არაფერი გაეგება ამისა, თუმცა ქვეშეცნეულად, შეგნების ძნელად შესაღწევ კუნჭულებში, გუმანი ამის თაობაზე რაღაცას კარნახობს. ღმერთმა ნუ მოუშალოს ეს გუმანი და შეაძლებინოს ყური მიუგდოს მის ხმას! ადამიანი ხომ გაქვავებული და მარად უცვლელი რამ არ არის (ასეთი გახლდათ ანტიკურობის იდეალი, მიუხედავად იმდროინდელ ბრძენთა საპირისპირო ვარაუდისა), იგი უფრორე რაღაც მცდელობაა, საცალფეხო ბილიკი თუ სახიფათო ბეწვის ხიდია ბუნებასა და სულს შორის გადებული. სულისკენ, უზენაესისაკენ ადამიანს მისი შინაგანი დანიშნულება მიაქანებს, უკან, დედაბუნებისაკენ კი ღრმა კაეშანი ეწევა. ამ ორ ძალას შორის შიშითა და ძრწოლით გამ[illegible]ვიდებულა მისი სიცოცხლე. რასაც არ უნდა გულისხმობდნენ ცნებაში „ადამიანი“, იგი მუდამ მხოლოდ და მხოლოდ წარმავალ ბიურგერულ პირობითობას წარმოადგენს. ეს პირობითობა კიცხავს და უარყოფს ზოგიერთ ძალზე უხეშ ინსტიქტს, მოითხოვს შეგნების გარკვეულ თანამონაწილეობას, კეთილზნეობას, ცხოველური საწყისის დათრგუნვას და არამცთუ შესაძლებლად, აუცილებლადაც კი მიიჩნევს სულის სულმცირედ გამოვლინებას. ამ პირობითობის საფუძველზე „ადამიანი“, ნებისმიერ ბიურგერულ იდეალისა არ იყოს, დათმობაზე წასვლაა, ლაჩრული, ვირეშმაკული ცდა, რათა ადამიანმა, ერთი მხრივ, მრისხანე დედამთავარი — ბუნება გააცუროს, მეორე მხრივ კი — მოსაწყენი მამამთავარი — სული, და მათ შორის უნიათო ნახევრის-ნახევრულ ყოფაში დაიდოს ბინა. ამიტომაც ბიურგერს დასაშვებად და ასატანად მიაჩნია ის, რასაც იგი „პიროვნებას“ უწოდებს, მაგრამ ამასთან პიროვნების ბედ-იღბალს ხელთ უგდებს მოლოქს — „სახელმწიფოს“ და დღენიადაგ შუბლი-შუბლს ახლევინებს ხოლმე ერთმანეთს. ამის გამო დღეს ბიურგერი, ვით მწვალებელს, ჯოცონზე სწვავს და ბოროტმოქმედივით სახრჩობელაზე აჰყავს ის, ვისაც ხვალ-ზეგ ძეგლებს აუგებს.

„ადამიანი“ არ არის ერთხელ და სამუდამოდ შექმნილი რამ; ესაა სულის ლტოლვა, ისეთივე შორეული და თანაც სასურველი, როგორც შიშისმომგვრელი შესაძლებლობა; იქითკენ მხოლოდ მისხალ-მისხალ სავალი გზა მიემართება; ამ გზით კი ენით უთქმელი წამებისა და მტანჯველი სიმარტოვის განცდის ფასად მხოლოდ ის ერთეული ადამიანები ვლიან, რომელთაც დღეს ეშაფოტზე ასვლა ელით, ხვალ კი — ხელთუქმნელი ძეგლი. ეს ვრძნობა ტრამალის მგლის სულშიც ცოცხლობს. მაგრამ რასაც იგი „მგლის“ საპირისპიროდ თავის თავში „ადამიანს“ უწოდებს, საერთო ჯამში, სწორედ იმ ბიურგერულ პირობითობის ჩვეულებრივ ადამიანს წარმოადგენს.

დიახ, ჰარი გრძნობს, რომ არსებობს ჭეშმარიტი ადამიანისაკენ, უკვდავთაკენ მიმავალი გზა, დროდადრო ნელ-ნელა, ვაივაგლახით კიდეეაც მიიწევს წინ ამ გზით, თუმცა ამ წინსვლის საზღაური საშინელი წამება და მტანჯველი მარ-

ტოობაა. მაგრამ მას არ ძალუძს მოიწონოს და თავის მიზნად აღიაროს ის უზენაესი მოთხოვნილება, ის ჭეშმარიტი ანკაცება, რისკენაც აგრეთვიგად ესწრაფვის სული. არ შეუძლია იაროს უკვდავებისკენ მიმავალი ირიბადერეთი საცალფეხო ბილიკით; ამისა მას სულის სიღრმეში მაინც ეშინია. დიახ, ტრამალის მგელი უტყუარად გრძნობს: ეს გზა მას უფრო მეტ ტანჯვას, გაუდგომას, უკიდურეს გაჭირვებასა და შესაძლოა ეშაფოტსაც უქადის. და, რაც უნდა მაცდური იყოს ამ გზის ბოლოს დადარაჯებული უკვდავება, მას აღარ ძალუძს იგემოს ყველა ეს ტანჯვა, არა აქვს სურვილი ამ სიკვდილის გზებით იაროს. თუმცა ტრამალის მგელი ბიურგერზე ნათლად შეიგრძნობს განკაცების მიზანს, მაინც ხუჭავს თვალს და ისე იქცევა, ვითომ არ იცოდეს, რომ საკუთარ „მეზე" ასეთი სასოწარკვეთილებით მობღაუჭება, ასეთი სასოწარკვეთილებით სიცოცხლის წადილი მარადიული სიკვდილისაკენ ყველაზე ნაღდი სავალი გზაა, მაშინ როცა კვდომის, გარსის შემოცლისა და გარდაქმნებისთვის საკუთარი „მეს" მუდმივი მორჩილებისა და დათმობის უნარი უკვდავებისკენ მიმავალ გზაზე შეგვადგმევინებს ფეხს. როცა ტრამალის მგელი უკვდავთა დასის კერპებს, მაგალითად, მოცარტს ეთაყვანება, მას საერთო ჯამში მაინც ბიურგერული თვალით ჰვრეტს, შეუძლია, სკოლის მასწავლებლისა არ იყოს, მისი სრულქმნილება მხოლოდ იმით ახსნას, რომ იგი მაღალნიჭიერი ხელოვანი იყო და არა იმით, რომ მისი სიდიადე მისივე თვითგანწირვის, ტანჯვისადმი მზად ყოფნის, ბიურგერული იდეალებისადმი გულგრილობისა და უკიდურესი მარტოსულობისგან წარმოსდგება, რაიც ასე აუხშოებს და კოსმოსის გაყინულ ეთერად აქცევს ბიურგერულ გარემოს იმათ ირგვლივ, ვინც იტანჯება და განკაცებას გესთაბანიის ბაღის მარტოობაში ელტვის.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენმა ტრამალის მგელმა თავის თავში მაინც აღმოაჩინა ფაუსტის გაორებული სული. დაინახა, რომ მისი ხორცის მთლიანობა სრულიადაც არ ნიშნავს სულის მთლიანობას და რომ იგი უკეთეს შემთხვევაში ამ ჰარმონიისკენ მიმავალ გრძელ გზაზე ფეხშემდგარი მეროჭიკეა. მას უნდა თავის თავში მგელი ან მთლიანად ამოძირკვოს და მთელი არსებით ადამიანად იქცეს, ან არადა, ხელი აიღოს ადამიანობაზე და მგელივით ერთი მთლიანი, გაუმიჯნავი ცხოვრებით იცხოვროს. ეტყობა, კარგად არასოდეს დაჰკვირვებია ნამდვილ მგელს, თორემ უთუოდ დაინახავდა, რომ ცხოველნიც მოკლებულნი არიან სულის მთლიანობას, რომ მათი მშვენიერი და მოქნილი სხეულის მიღმა ლტოლვა-სწრაფვათა სიუხვე იმალება. მიხვდებოდა, რომ მგელსაც აქვს თავისი შინაგანი უფსკრულები, რომ მასაც ძალუძს ტანჯვა. არა და არა! ადამიანის ძახილი: „უკან, ბუნებისაკენ!" — მარადჟამს ტანჯვით აღსავსე, უიმედო გზით სიარულს ნიშნავდა. ჰარი მთლიანად უკვე აღარასოდეს გარდაისახებოდა მგლად, მაგრამ ასეც რომ მომხდარიყო, ნახავდა, რომ მგელიც არ არის რაღაც მარტივი და დასაბამიერი, რომ თავისთავად ისიც ერთობ მრავალმხრივი და რთული არსებაა. მის თვალს არ გამოეპარებოდა, რომ მგლის მკერდშიაც ორი თუ ორზე მეტი სული ბუდობს და ის, ვისაც მგლობა სწადია, იმ კაცივით გულმავიწყობას ამჟღავნებს, ღიღინ-ღიღინით რომ ამბობს: „ო, ნეტარება მხოლოდ ბავშვთა ხვედრი არისო!" ამ სიმპათიურ, მაგრამ სენტიმენტალურ კაცსაც, ბავშვურ ნეტარებას რომ უმღერის, სურს დაუბრუნდეს ბუნებას, უცოდველობას, პირველსაწყისს და ავიწყდება, რომ ბავშვები სრული-

ადაც არ არიან ნეტარნი, რომ მათაც აქვთ უსიამოვნება თუ უთანხმოება და ტანჯვის თმენაც შეუძლიათ.

საერთოდ არ არსებობს არც მგლისა და არც ბავშვისკენ უკან საბალი გზა, საგანთა დასაბამს არც უცოდველობა შეადგენს და არც სიმარ[illegible] კი ამქვეყნად შექმნილა, რაგინდ მარტივიც არ უნდა იყოს, თავის [illegible] მოიცავს დანაშულს, უკვე მრავალფეროვანია, ქმნადობის ჭუჭყიან ნაკადს. გამოყოლია და ვერასოდეს ვეღარ შეძლებს აღმა ცურვას. უცოდველობისკენ, არაქმნილისკენ, ღმერთისკენ მიმავალ გზას წინ მივყავართ და არა უკან, არა მგლისა თუ ბავშვისკენ, არამედ უფრო დიდი დანაშაულისკენ, განკაცების სიღრმეებისკენ. და შენც, საბრალო ტრამალის მგელო, თვითმკვლელობითაც არა გეშველება რა. მაინც ვერ აუელი გვერდს განკაცების გრძელ, მძიმე და ძნელადსავალ გზას. იძულებული გახდები უფრო და უფრო მრავალჭყო ეგ შენი გაორება და კიდევ უფრო გაართულო შენი სირთულე. ნაცვლად იმისა, რომ დაავიწროვო საკუთარი სამყარო, გაამარტივო საკუთარი სული, იძულებული გახდები გააფართოვო, მთელ ქვეყნიერებას გადაუშალო იგი, და ბოლოს და ბოლოს მთელი სამყარო მაგ ტანჯვა-ვაებაგამოვლილ სულში ჩაიტიო, რათა ოდესმე მაინც გელირსოს გზის დასასრულს მიაღწიო და სიმშვიდე ჰპოვო. ამ გზით ვიდოდა ბუდა. ეს გზა განვლო ყველა დიდმა ადამიანმა, — ვინ შეგნებულად, ვინ ანგარიშმიუცემლად, იმისდა მიხედვით, ვის როგორ ეყო გაბედაობა. ყოველი დაბადება კოსმოსიდან მოწყვეტას და გამომიჯვნას, ღმერთისგან გამოცალკევებას, ტანჯვით ხელახლა ქმნადობას ნიშნავს. იმისათვის, რომ კოსმოსში უკუეხვიდე, უარი თქვა საკალალო განკერძოებაზე და ღმერთად იქცე, ისე უნდა გააფართოვო საკუთარი სული, რომ მან ხელახლა ჩაიტიოს მთელი სამყარო.

აქ იმ ადამიანებზე როდია ლაპარაკი, სკოლას, ეროვნულ ეკონომიკასა და სტატისტიკას რომ ჰყავს მხედველობაში, ანდა მილიონობით რომ დალაშლაშებენ ქუჩებში და ზღვის კენჭებივით თუ ტალღის შხეფებივით მომრავლებულან. მილიონით მეტი იქნებიან ისინი თუ ნაკლები, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ეს ადამიანები მხოლოდ მასალას შეადგენენ და მეტს არაფერს. არა, აქ საუბარია ადამიანზე, ამ სიტყვის ზენარი გაგებით, განკაცების ხანგრძლივი გზის გავლა რომ დაუსახავს მიზნად; დიახ, ჩვენ მხედველობაში გვყავს მეფური ადამიანები, უკვდავნი. გენიოსობა არცთუ ისეთი იშვიათი მოვლენა გახლავთ, როგორც ხანდახან გვეჩვენება, თუმცა არც ისე ხშირია, როგორც ეს ლიტერატურისა და მსოფლიო ქვეყნების ისტორიებში ანდა გაზეთებში გვხვდება ხოლმე. ჩვენი აზრით, ტრამალის მგელი მართლა გენიალური იქნებოდა, გამბედაობა რომ ჰყოფნოდა და განკაცებას ცდილიყო, იმის მაგივრად, რომ ყოველგვარი სიძნელე საცოდავად იმ თავისი სულელური ტრამალის მგლისათვის გადაებრალებინა.

როდესაც ასეთი შესაძლებლობების მქონე ადამიანები ტრამალის მგლობასა და „ეჰ, რა ვქნათ, ჩვენში ორი სული ბუდობს!“ იმიზეზებენ და ამით ცდილობენ თავის მართლებას, ეს ისევე გასაოცარი და გულსატკენია, როგორც ასეთი ადამიანების არცთუ იშვიათი ლაჩრული სიყვარული ბიურგერობისადმი. ადამიანს, რომელსაც ძალუძს გაიგოს ბუდა, უნარი შესწევს წარმოიდგინოს ყაცობრიობის აღზევება და დაცემა, არ ეგების ცხოვრება იმ სამყაროში, სადაც გამეფებულია common sense, დემოკრატია და ბიურგერული განსწავ-

ლობა. იგი მხოლოდ სილაჩრის წყალობით ცხოვრობს. მაგრამ როგორც კი მას ამ სამყაროს სიდიდე დათრგუნავს და ისედაც ვიწრო ბიურგერული სადგომი უფრო ვიწრო მოეჩვენება, მაშინვე ცდილობს ყველაფერი მგელს გადააბრალოს და ვერც კი ამჩნევს, რომ ხანდახან მგელი მისი სულის საუკეთესო ნაწილია. თავის თავში ყოველგვარ ველურ გამოვლინებას იგი „მგლურს" უწოდებს და, ბიურგერისა არ იყოს, ბოროტად, საზიზღრად და შემზარავად თვლის. თუმცა თავი შემოქმედად მიაჩნია და საკუთარი გრძნობების სინატიფეში ეჭვი არ ეპარება, მაინც არ ძალუძს დაინახოს, რომ მგლის მილმა მასში კიდევ ბევრი რამ სხვაც ბუდობს, ვერ მიმხვდარა, რომ არ შეიძლება ყველაფერში მგელსა სჭვრეტდე, რაც ილრინება, რომ იქ შეიძლება მელაც იყოს, გველეშაპიც, ვეფხვიც, მაიმუნიცა და სამოთხის ჩიტიც; ვერ მიმხვდარა, რომ მთელი სამყარო, — მშვენიერი თუ საზარელი, დიდი თუ პატარა, ძლიერი თუ სუსტი არსებებით დასახლებული ეს ბალნარი — ზუსტად ისევე დაუთრგუნავს მგელზე ზლაპარს და ისევე იმყოფება მის ტყვეობაში, როგორც ჰარის არსებაში ჭეშმარიტ ადამიანს თრგუნავს და ატყვევებს ის ყალბი ადამიანი — ბიურგერი. წარმოიდგინეთ ნაირ-ნაირი ხილით, ყვავილებითა და ბალახბულახით დაფარული ბალნარი. თუ მებალეს ბოტანიკისა არა გაეგება რა და მხოლოდ იმის გარჩევა შეუძლია, ესა თუ ის მცენარე სარეველაა თუ საჭმელად ვარგისი, მაშინ იგი ამ ბალის ცხრა მეათედიდან ვერანაირ ხეირს ვერა ნახავს. ასეთი მებალე დაგლეჯს ჯადოსნურ ყვავილებს, გაჩეხს უკეთილშობილესი ჯიშის ხეებს, ან არადა, უკიდურეს შემთხვევაში, მათ მიმართ სიძულვილით აღივსება და ალმაცერად დაუწყებს ცქერას. ტრამალის მგელიც ზუსტად ასევე ექცევა თავისი სულის ფერად ყვავილებს. იგი უბრალოდ ვერ ამჩნევს იმას, რაც არ თავსდება ცნებაში „ადამიანი" ან „მგელი". მერედა რაღას არ მიაწერს „ადამიანს!" ყოველივე ლაჩრული, მატრაბაზული, სულელური და წვრილმანი, რაც მგლის ბუნებას არ ეთავსება, ჰარის ადამიანის თვისებად შეურაცხავს, ყოველი ძლიერი და კეთილშობილური კი მგლური საწყისისთვის მიუწერია, რამეთუ ჯერჯერობით ვერ მოუხერხებია გახდეს საკუთარი თავის გამგებელი.

ახლა კი დავემშვიდობოთ ჰარის და მარტოს მივანდოთ მისი გზით სიარული. იგი უკვე რომ მიერთებოდა უკვდავთა დასს, რომ ყოფილიყო იქ, საითკენაც თითქოსდა მიჰყავს მის მაიმე გზას, ო, რა გაოცებით გაადევნებდა თვალს ამ მშფოთვარე, ამ ძნელადსავალ, ძლივს საცნობ ბილიკებს, და რა მოწონებით, გამკიცხავად, თანაგრძნობითა თუ მხიარულად ვაუღიმებდა მაშინ ტრამალის მგელს!

ტრაქტატი ბოლომდე რომ ჩავიკითხე, გამახსენდა: რამდენიმე კვირის წინ ლამით ერთი, ცოტა არ იყოს და, უცნაური ლექსი დავწერე, სადაც სწორედ ტრამალის მგელზე იყო ლაბარაკი. ჩემს საწერ მაგიდაზე ქაღალდების დასტა დავქექე, ის ფურცელი ეიპოვე და წავიკითხე:

მე ვარ ტრამალის მგელი. ვყიალებ.
ქვეყნიერება წევს თოვლის შქერში,
ყვავი ხის ტოტზე ფრთას აფრთხიალებს.
აურდღლის და შველის დავკარგე გეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვარ იმ შველის ტრფობით დამწვარი,
ნეტავი სადმე თვალი შევასწრო,
ხელი მოვხვიო, კბილი შევასო,
რა ბედენაა ექმად წანწალი.
ულბილეს თეძოს კბილით გავხვევდი
და სისხლს ამ ჩემი გულის მკოდაეის
ხარბად დავხვრეპდი და იმ დახვრეპილ
სისხლით გამძღარი ყმუილს მოვრთავდი.
თუ კურდღელს ვიგდებ, უნდა გაეტკვირო
ხორცი მთუთქავი შხეფებით სავსე,
ნუთუ ამოწყდა ქვეყნად საკბილო,
ქანცი გამიწყდა და დავრჩი მშრალზე?
შემოვერცხლისფრდა კუდზე ბეწვები,
თვალსაც დამაკლდა, არ ვჩივი ბეწვებს,
დავკარგე ცოლი. ხელისცეცებით
აწ დავძუნძულებ და შველსღა ვეძებ.
დავძრწიეარ, იქნებ ვნახო კურდღელი,
თუ არ მიმტყუნა ავდარში გეშმა,
გულს მიწვავს ცეცხლი ყელჩამთუთქველი
და გატანჯულ სულს მივუთრევ ეშმაკს.*



და აი, ახლა ხელთ ჩემი ორი სურათი მეპყრა: ერთი გარითმული ავტოპორტრეტი იყო, ჩემსავით აფორიაქებული და მბორგავი, მეორე კი ცივად, ერთი შეხედვით ფრიად მიუდგომლად, იმ უცხო კაცის ხელს დაეხატა, ყოველი მხრიდან რომ ლამობდა ჩემს სულში შემოჭრას და ჩემ შესახებ თითქოს მეტი, მაგრამ თან ჩემზე ნაკლები იცოდა. ორივე სურათი — ჩემი ნაღვლიანი, ენაღაბორკილი ლექსიც და უცნობის ჭკვიანური ჩანახატიც — გულსა მტკენდა. ორივე ჭეშმარიტებას ღაღადებდა. ორივე შეულამაზებლად აღწერდა ჩემს გაუხარელ ყოფას და მკაფიოდ გადმოსცემდა ამ ყოფის აუტანლობასა და უდგარობას. ტრამალის მგელი უნდა მომკვდარიყო, საკუთარი ხელით უნდა მოეღო ბოლო ამ საძულველი ცხოვრებისათვის, ან არადა, განახლებული, თვითშეფასების მომაკვდინებელ ცეცხლში გამლღვალი, უნდა გარდაქმნილიყო, საკუთარი თავისთვის ნიღაბი ჩამოეგლიჯა და საკუთარი „მეს“ ხელახლა შეცნობის გზას დასდგომოდა. ეჰ, მე ვიცნობდი ამ გზას, იგი ახალი და იდუმალი არ იყო ჩემთვის. უსაზღვრო სასოწარკვეთის წუთებში არაერთხელ შემიდგამს მასზე ფეხი. ამ სულისმღრღნელი, მძიმე განცდების ჟამს ყოველთვის იმსხვრეოდა ჩემი ძველი „მე“, სიღრმეში მთვლემარე ძალები რომ ამღვრევდნენ და ანადგურებდნენ. ამ დროს ჩემი ცხოვრების რომელიღაც სანუკვარი და გამორჩეული საყვარელი ნაწილი ხელიდან მუხანათურად მეცლებოდა და მეკარგებოდა. ერთხელ იყო, ქონებასთან ერთად ბიურგერის სახელი დავკარგე. თანდათან მივხვდი, უნდა დავმშვიდობებოდი იმ ხალხის პატივისცემას, ადრე ქუდის მოხდით რომ მესალმებოდნენ. მეორედ იყო და, ერთ ღამეში ოჯახი დამენგრა: ცოლი სულით დამიავადდა და შინიდან გამომაგდო. უეცრად თავზე დამემხო საათივით აწყობილი ცხოვრება, სიყვარული და ნდობა სიძულვილმა და მოსისხლე მტრობამ შეცვალა. მეზობლებმა სიბრალულით და გამჭირდავად დამიწყეს ცქერა. აი, სწორედ აქ იღებს სათავეს ჩემი მარტოსულობა. მერე, რამდენიმე სიმწრით გატარებული მძიმე წლის შემდეგ, სრული განმარტოებისა და

* ლექსები თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ.

მკაცრი თვითდისციპლინის წყალობით ახალ ცხოვრებას მივყე ხელი, რომელიც ყველაფრისგან განდგომასა და სულიერ ძალისხმევაზე იყო დაფუძნებული. ხელი მივყე გრძნობების აბსტრაქტულ ვარჯიშს და მკაცრ წყობრ მედიტაციას. ჰოდა, თითქოს კვლავ დამეუფლა გარკვეული სიმშვიდე, ცხოვრებაში თითქოს რაღაც შწვერვალსაც მივაღწიე, მაგრამ ანაზდად ეს ცხოვრებაც თავზე დამენგრა, მანაც დაკარგა თავისი უზენაესი, კეთილშობილური აზრი. და აი, კვლავ შემიპყრო ამქვეყნად ფათერაკული მოგზაურობის გიჟურმა ყინმა. კვლავ დამიხვევდა ახალი ტანჯვა თუ ცოდვანი. და ყოველთვის, ვიდრე ნიღაბს ჩამოვიგლეჯდი ანდა იდეალის დაღუპვას შევიგრძნობდი, ჩემს სულში აუტანელი სიცარიელე და სიჩუმე ისადგურებდა. ამ დროს ისეთივე მომაკვდინებელი შებოჭილობა, სიცარიელე, მარტოსულობა და კაცთმოძულეობა მიპყრობდა, გულგრილობისა და სასოწარკვეთის ისეთსავე ჯოჯოხეთურ უდაბნოში მიხდებოდა სვლა, როგორსაც ამჟამად განვიცდი.

ჩემს ცხოვრებაში მომხდარი ასეთი ძვრების წყალობით ბოლოს და ბოლოს ყოველთვის რაღაცას ვიძენდი, ამის უარყოფა არ შემიძლია. უფრო ღრმად ვწვდებოდი თავისუფლებისა და სულიერი ცხოვრების არსს, მაგრამ ამავე დროს უფრო მეტი ძალით მიტანდა მარტოსულობის, გაურკვევლობისა თუ გულცივობის გრძნობა. ბიურგერის თვალით რომ შეგეხედათ, ჩემი ცხოვრება თითქოს მარადიული სულიერი ძვრებისა და დაცემის ჯაჭვი იყო, იგი ვერ თავსდებოდა ჩვეულებრივად დადგენილი, ჯანსაღი ცხოვრების ჩარჩოებში. შემერქვა დღენიადაგ უსაქმური, უძირო და უთვისტომო კაცის სახელი, აღმოვჩნდი ყოველგვარი სოციალური დაჯგუფებების მიღმა, ეული ვიყავი და არავის ვუყვარდი. ის კი არადა, ზოგი ეჭვის თვალითაც კი მიყურებდა, რამეთუ დღენიადაგ ვებრძოდი საზოგადოებრივ აზრსა და მორალს. და, თუმცა კი ჯერ-ჯერობით კვლავ ბიურგერულ წრეში ვტრიალებდი, ჩემი აზრებისა და განცდების გადამკიდე, უცხო კაცი ვიყავ იქ. სარწმუნოება, სამშობლო, ოჯახი, სახელმწიფო არავითარ ფასეულობას არ შეაღგენდა ჩემთვის და არაფერი მესაქმებოდა მათთან. გულს მირევდა მეცნიერების, ხელოვნებისა თუ ხელოსნობის პატივმოყვარეობა. ჩემი აზრები, გემოვნება, მთელი ჩემი მსოფლმხედველობა, რის წყალობითაც უწინ ასე გამოვირჩეოდი და მაღალნიჭიერი კაცის სახელი მქონდა გავარდნილი, ახლა იავარქმნილიყო. ადამიანებმა ეჭვის თვალით დამიწყეს ცქერა. ამ მტანჯველი ფერისცვალების დროს თუკი რამ უხილავი და უწონადო შემიძენია, ძალიან ძვირადაც დამჯდომია; დიახ, ჩემი ცხოვრება სულ უფრო მძიმე, ეული და სახიფათო ხდებოდა. მართლაც რატომღა უნდა მდომებოდა კვლავ ამ გზით სიარული?! ამ გზას ხომ უფრო და უფრო გაუხშოებულ სივრცეებისაკენ მივყავდი, აგრერიგად რომ წააგავდა ნიცშეს საშემოდგომო სიმღერის კვამლს.

დიახ, ჩემთვის ნაცნობი იყო ეს განცდები და ფერისცვალება, რომელსაც თავად განგების ძალა არგუნებს ხოლმე წილად თავის ურჩ შვილებს, ამდენ თავსატეხს რომ უჩნენენ მას. დიახ, ძალზე კარგად ვიცნობდი ამ განცდებს. ასე კარგად იცის პატივმოყვარე, მაგრამ უიღბლო მონადირემ ნადირობის

ყველა წვრილმანი, ასე კარგად ესმის ბირჟის ძველ საქმოსანს სპეკულაციის, მოგების, ჭოჭმანის, ფეხის წაბორძიკებისა თუ გაკოტრების ასავალ-დასავალი. ნუთუ ხელახლა უნდა განმეცადა ყოველივე? ნუთუ კვლავ უნდა გამეელო წამების ეს გზა, წილად უნდა მხვდომოდა ეს მშფოთვარე განცდები? კვლავ დამჭირებოდა საკუთარი „მეს“ სიმდაბლისა და არარაობის აღსარება? კვლავ შევეპყარ ამ შემზარავ ძრწოლას, ამ შიშს სიკვდილის წინაშე? განა უფრო გონივრული და იოლი არ იქნებოდა, თავიდან ამეცილებინა ხელახალი ტანჯვა და როგორმე ხელიდან დავძრომოდი მას? თქმა არ უნდა, გაცილებით უფრო იოლი და ჭკვიანური იქნებოდა! რაც არ უნდა ექადაგათ ჩემთვის „თვითმკვლელებზე“ იმ ბროშურაში ტრამალის მგელზე, ვერავინ მომისპობდა სიამოვნებას სანათი გაზის, სამართებლის თუ დამბაჩის მეშვეობით თავი დამეღწია ამ მტანჯველი ტკივილისათვის; კაცმა რომ თქვას, ეს ტკივილი უკვე საკმაოდ ხშირად და ბლომა-ბლომად მქონდა ნაგემი. არა, დალახვროს ეშმაკმა, არ არსებობდა ამქვეყნად ძალა, რომელიც მაიძულებდა კვლავ შევეპყარი ამ ტკივილით გამოწვეულ შიშს და ფერისცვალებას შემაძლებინებდა. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში სიმშვიდესა და სულის მშვიდობას კი არა, ისევ და ისევ მხოლოდ თვითგანადგურებასა და გარდასახვას მიქადდა! შაე, ითვლებოდეს თვითმკვლელობა სისულელედ, სილაჩრედ და სულმდაბლობად, დაე იყოს იგი საძრახისი და სამარცხვინო ხსნა! — ტანჯვის ამ მორევიდან ნებისმიერი გამოსავალი, რაგინდ სამარცხვინო და სათაკილოც არ უნდა იყოს იგი, ჰაი, ჰაი, რომ ადამიანს მაინც ბედნიერებად მიაჩნია. ამ დროს აღარ გჭირდება კეთილშობილებისა და გმირობის გათამაშება, უბრალო არჩევანის წინ დგახარ და ფიქრობ, რა ამჯობინო: სულ მცირედი, წამიერი ტკივილი თუ შემზარავი, უსაშველო, ენით აუწერელი ტანჯვა. ჩემი მძიმე და გიჟური ცხოვრების მანძილზე ხშირად გამომჩენია კეთილშობილური დონკიხოტობა, საკუთარი დირსება ხშირად დამიყენებია ფუფუნებაზე, ხოლო გმირობა—გონებაზე მაღლა; მაგრამ კმარა! მორჩა, გათავდა!

დილამ უკვე შემოიხედა ფანჯრებში. ზამთრის დაწყევლილი დილა იყო, ტყვიისფერი და წვიმიანი. როგორც იქნა, ჩავწექი ლოგინში და ძილში თან ჩავიყოლიე ჩემი გადაწყვეტილება. აი, თვალებიც მიმელულა, მაგრამ გონების რომელიღაც კუნჭულში, ძილ-ღვიძილის უკანასკნელ მიჯნაზე თვალწინ გამოელვა ბროშურის იმ უცნაურმა ადგილმა, სადაც „უკვდავთა დასზე“ იყო ლაპარაკი. ანაზდად გამახსენდა, რა ხშირად მიგრძვნია და, აი, სულ ცოტა ხნის წინათაც მქონდა განცდა, თითქოს ძალიან ახლოს ვიყავი უკვდავთა დასთან, რათა ძველი მუსიკის ერთ ტაქტში მათი ცივი, ნათელი, ქუშად მომღიმარი სიბრძნე დამეჭირა. ყოველივე ეს ამომიტივტივდა გონებაში, გაიკიაფა, ჩაქრა და ძილმა შუბლზე მძიმედ ჩამომადო ხელი.

ასე, შუადღისას გამომეღვიძა. უმალ მთელი სიცხადით შევიგრძენი, რა დღეშიც ვიყავ. ჩემი ლექსები და ბროშურა მაგიდაზე ეწყო, ღამით მიღებული გადაწყვეტილება, ძილში კიდევ უფრო მომწიფებული და განმტკიცებული,

ახლა ცივი კეთილმოსურნეობით შემომყურებდა ჩემი ცხოვრების უკანასკნელ მიჯნაზე აგორებული ქაოსიდან. აჩქარება აღარ მჭირდებოდა. გადაწყვეტილება, რომ თვითმკვლელობით დამემთავრებინა სიცოცხლე, წუთიერი ვინი არ ყოფილა ჩემთვის. იგი უკვე მწიფე ნაყოფად მცეულიყო, მოსაწყვეტად ბედისწერის ქარის დაბერვას რომ ელოდა. ეს ქარი ახლა ნელნელ აქანავებდა მას.

სამგზავრო აფთიაქში ერთი უებარი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება მქონდა. ეს იყო ოპიუმის ძლიერი პრეპარატი; მის წამდაუწუმ ხმარებას ვერიდებოდი, ხშირად თვეობითაც არ ვეკარებოდი. ამ გამაბრუებელ საშუალებას მხოლოდ მეტისმეტად აუტანელი ფიზიკური ტკივილების დროს ვსვამდი. მაგრამ თავის მოსაკლავად კი, სამწუხაროდ, არ გამოდგებოდა, ამ რამდენიმე წლის წინ საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი ამაში. ერთხელ წამალი სასოწარკვეთის ჟამს ბლომად ვყლაპე. ეს რაოდენობა საკმარისი იქნებოდა ექვსი კაცის საიქიოში გასასტუმრებლად, ჩემზე კი არ გაჭრა. წამალი მივიღე და დამეძინა. რამდენიმე საათს ერთიანად გაბრუებული ვიწექი. მერე კუჭის არეში ძლიერმა შეტევამ გამომაღვიძა. საშინელი იმედგაცრუება ვიგრძენი. მთლად არც კი მოვსულვარ გონს, რომ მთელი შხამი უკან ამოვანთხიე. მერე კვლავ ჩამეძინა და მხოლოდ მეორე დღეს, შუადღისას გამომეღვიძა. ტვინი გამომწვარი და გამოცარიელებული მქონდა, მაგრამ თან საოცრად ფხიზელიც. მახსოვრობა მთლიანად წამრთმეოდა. მოწამვლის შემდეგ უძღლობა და საშინელი კუჭის ტკივილები დამჩემდა, ეს იყო და ეს.

ასე და ამრიგად, ეს საშუალება სათვალავში ჩასაგდები არ იყო. ჩემმა გადაწყვეტილებამ კი აი, რა სახე მიიღო: თუკი ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, ოპიუმი კვლავაც დამჭირდა, მაშინ სრული უფლება მაქვს ეს ხანმოკლე ხსნა უფრო ხანგრძლივით შევცვალო. აი, მაშინ კი თვითმკვლელობას არაფერი დაუდგება წინ. ეს იქნება ნაღდი, საიმედო სიკვდილი, ტყვიით ან სამართებლით რომ უწერია აღსრულება. მდგომარეობა მკაფიო გახდა: ტრამალის მგელზე დაწერილი ბროშურა გონებამახვილურად მირჩევდა ორმოცდაათ წლამდე მომეცადა. არადა, იქამდე კიდევ ორი წელი რჩებოდა და ეს დრო დიდზე დიდად მეჩვენებოდა. განა სულერთი არაა, როდის აღვისრულებდი საწადელს, ერთი წლის, ერთი თვის შემდეგ თუ თუნდაც ხვალ?! ჭიშკარი ხომ ღიაა!

ვერ ვიტყოდი, ამ „გადაწყვეტილებამ" დიდად შეცვალა ჩემი ცხოვრებამეთქი. ერთი კია, ცოტა არ იყოს, გულგრილად დავუწყე ცქერა საკუთარ სატკივრებს. უფრო გულარხეინად მივეძალე ოპიუმსა და ღვინოს. ამის შემდეგ კიდევ უფრო იმძლავრა ცნობისმოყვარეობამ, მსურდა გამეგო, სად გადიოდა ადამიანის თმენის ზღვარი. ეს იყო და ეს. ჩემზე გაცილებით უფრო ძლიერად იმ საღამოს სხვა შთაბეჭდილებებმა იმოქმედა. ტრაქტატს ტრამალის მგელზე დროდადრო ვკითხულობდი, ხან აღტაცებისა და მადლიერების გრძნობით, თითქოსდა ვაღიარებდი, რომ მავანი უხილავი მოგვი ბრძნულად წარმართავდა ჩემს ბედ-ილბალს, ხან კი ტრაქტატის გონიერი სიფხიზლე ზიზღნარევ დაცინვას

იწვევდა ჩემში და გული ბოლმით მევსებოდა; ასე მეგონა, მას არა გაეგება რა ჩემი დაძაბული ცხოვრებისა და არ ესმის ჩემი ვუნებ-განწყობა-მეთქი. ის, რაც შიგ ტრამალის მგლებზე და თვითმკვლელებზე ეწერა, გონიერული და ჩინებული ნათქვამი იყო, მაგრამ ეს ყველაფერი განსაკუთრებულ სახეობისა და ჯურის ადამიანებს შეეხებოდა და გონებამახვილურ აბსტრაქციას წარმოადგენდა მხოლოდ! ვგრძნობდი, რომ ჩემი პიროვნების, ჩემი სულისა თუ გამორჩეული ბედ-იღბლის შედენა ამ უხეშ ბადეში ვერა და ვერ მოხერხდებოდა.

ყველაზე მეტად მაინც ეკლესიის გალავანთან ნახული ზმანებები და განათებული, მროკავი ასოებით შედგენილი მრავლისაღმთქმელი განცხადება ჩამებეჭდა გონებაში, ასე რომ ესადაგებოდა ტრაქტატის მინიშნებებს. ჰოი, რაოდენ ბევრი დაპირება ამოვიკითხე იქ! რა ძლიერად გამიღვიძა ცნობისმოყვარეობა იმ უხილავი სამყაროდან მოღწეულმა ხმებმა! ხშირად საათობით თავდავიწყებით ვეძლეოდი მათზე ფიქრს და მაშინ სულ უფრო მკაფიოდ ჩამესმოდა ყურში იმ წარწერებით ნაუწყები გაფრთხილება: „ყველასთვის არა! ყველასთვის არა! მხოლოდ შეშლილთათვის!“ გამოდის, რომ მეც შეშლილი ვიყავ, მეც დიდი მანძილი მაშორებდა იმ „ყველას“, თუკი ის ხმები ჩემამდე აღწევდა და იმ სამყაროთა შუაგულიდან მესაუბრებოდა. ღმერთო ჩემო, მე ხომ კარგა ხანია განვუდექი იმ ცხოვრებას, ყველა რომ ცხოვრობს, მე ხომ უარი ვთქვი ჩვეულებრივ ადამიანურ ყოფასა და აზროვნებაზე, დიდი ხნის წინ ავიღე ხელი ყველაფერზე და გავგიჟდი? და მაინც სულის სიღრმეში მშვენივრად მესმოდა, თუ რად ველტვოდი ასეთი გზნებით სიგიჟეს, რად მეწადა ასე ძალიან უკუმეგდო გონიერება, შებოჭილობა, ბიუროკრატული პიროვნებითობა, ასე ძლიერ რად შევეპყარ გულისწადილს შევჭრილიყავი სულის, წარმოსახვის მშფოთვარე სამყაროში, რომლისთვისაც არ არსებობს არა კანონი.

ერთ დღეს კვლავ დიდხანს უაზროდ ვიხეტიალე ქუჩებსა და მოედნებზე, პლაკატიანი კაცის ძებნაში ბევრჯერ ავუარ-ჩავუარე იმ უხილავჭიშკრიან გალავანს. ბოლოს წმინდა მარტინის გარეუბანში სამგლოვიარო პროცესიას გადავეყარე. ჭირისუფლები კატაფალკს მიჰყვებოდნენ. ვაკვირდებოდი მათ სახეებს და ვფიქრობდი: ნეტა ამ ქალაქში ან სადმე ქვეყნად თუ ცხოვრობს კაცი, რომელსაც ჩემი სიკვდილი შესძრავს, ან თუ არსებობს ადამიანი, რომლის სიკვდილიც დანაკარგი იქნება-მეთქი ჩემთვის? რა თქმა უნდა, მყავდა ერიკა, ჩემი სატრფო, ეს თავისთავად; მაგრამ თითოეული ჩვენგანი უკვე კარგა ხანია თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, ჩვენი შეხვედრები შეხლა-შემოხლის გარეშე იშვიათად მთავრდებოდა და ახლა ისიც არ ეიცოდი, ამჟამად სად იმყოფებოდა. სანდახან ერიკა ჩემთან ჩამოდიოდა, მეც მივდიოდი ხოლმე მასთან; ორივენი მარტოხელა და არცთუ ოთლი ზნის ადამიანები ვიყავით და სულიერ ნათესაობას ვგრძნობდით; მერე კიდევ ეს დასნეულებული სულიც გვაერთიანებდა და ამიტომაც იყო, რომ ასე თუ ისე მაინც არ ეწყვეტდით ურთიერთობას; მაგრამ ჩემი სიკვდილის ამბავს რომ შეიტყობდა, ვინ იცის, იქნებ თავისუფლად ამო-

ესუნთქა და შვებაც ეგრძნო? არ ვიცი, ამისა არაფერი გამეგებოდა, ისევე როგორც არაფერი მესმოდა საკუთარი გრძნობებისა და ვერ ვიტყოდი, რამდენად სანდოა ისინი. ადამიანს ნორმალური ცხოვრება უნდა ჰქონდეს, არ უნდა გადააბიჯოს შესაძლებლობათა მიჯნას, რომ ამგვარ ამბებს თავი ბრალი გაუგოს.

ამასობაში რატომღაც მომეპრიანა სამგლოვიარო პროცესიას შევრეოდი და ჭირისუფლებთან ერთად სასაფლაოსკენ გავწიე. ეს გახლდათ კრემატორიუმითა და ნაირ-ნაირი ტექნიკით აღჭურვილი ცემენტის თანამედროვე სასაფლაო. მაგრამ ჩვენი ცხედრის დაწვა გუნებაში არავის ჰქონია; კუბო გაჭრილ სამარესთან დადგეს. თვალყურს ვადევნებდი მღვდელსა და მთელ ამ ამქარს, ვაკვირდებოდი დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლებს, თავგამოდებით რომ ცდილობდნენ საზეიმო განწყობილებაც შეექმნათ და თან მწუხარე იერიც შეენარჩუნებინათ, მაგრამ ყველაფერი უგერგილოდ, ხელოვნურად, ყალბად გამოსდიოდათ და კიდევ უფრო სასაცილო შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. ვხედავდი, როგორ უფარფარებდათ ტანზე შავი სამოსი, როგორ ცდილობდნენ შეკრებილთათვის სათანადო გუნებ-განწყობა შეექმნათ, აიძულებინათ მუხლი მოეყარათ სიკვდილის სიდიადის წინაშე. მაგრამ ყოველგვარი მეცადინეობა ამაო იყო. არავინ მოსთქვამდა, ეტყობა, მიცვალებული არავის ედარდებოდა. ღვთისმოსაობის გრძნობაც არ აწუხებდა კაციშვილს, და, როცა მღვდელმა დამსწრეთ მიმართა: „ჩემო ძვირფასო თანაქრისტიანებო", ვაჭრებმა, ხაბაზებმა და მათმა ცოლებმა ნაძალადევი სიდინჯითა და ყასიდი მოკრძალებით დახარეს თავი. იმ წუთში ყველა ერთ სურვილს აეტანა: რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო ეს უსიამო ღონისძიება. ჰოდა, მალე კიდეც დამთავრდა ყველაფერი. წინა რიგებში მდგომმა ორმა თანაქრისტიანმა ორატორს ხელი ჩამოართვა და სველ თიხაში ამოთხვრილი ფეხსაცმელი იქვე გაზონის კიდეს ჩამოაფხიკა. ცხედარი მიწას მიაბარეს თუ არა, დამსწრეთ კვლავ დაუბრუნდა ჩვეული ადამიანური იერი. ანაზდად ერთი იქ მყოფთაგანი მეცნო. ის კაცი უნდა ყოფილიყო, პლაკატს რომ დაატარებდა და ხელში ბროშურა შემომაჩეჩა. ის-ის იყო გავიფიქრე, მართლა ის კაცია-მეთქი, მყისვე ზურგით შეტრიალდა, ძირს დაიხარა, შავი შარვლის ტოტები გულმოდგინედ აიკაპიწა და სწრაფი ნაბიჯით წინ გავარდა. იღლიის ქვეშ ქოლგა ამოეჩარა. სირბილით გავეკიდე, დავეწიე და მივესალმე, მაგრამ, ეტყობა, ვერ მიცნო.

— დღეს საღამოს ატრაქციონი თუ იქნება? — ვკითხე და თან შევეცადე თვალი ჩამეკრა, როგორც ამას შეთქმულები სჩადიან ხოლმე. მაგრამ ასეთ მეტყველ თამაშს კარგა ხანია გადავეჩვიე. ის კი არა, ჩემი ცხოვრების გადამკიდეს, ხალხთან ლაპარაკიც კი გადამავიწყდა. ამიტომაც თავად ვიგრძენი, სულელურად რომ დავიჯღანე, მხოლოდ.

— ატრაქციონი? — ჩაილუღლუღა მან და შემცბარმა შემომხედა. — ჩემო ძვირფასო, რაკი გართობა გნებავთ, „შავ არწივში" მიბრძანდით.

ახლა კი უკვე მართლა ეჭვი შემეპარა, ალბათ ეს ის კაცი არ არის-მეთქი. იმედგაცრუებულმა გზა განვაგრძე, არ ვიცოდი, სად მივდიოდი. არავითარი

მიზანი და მოვალეობა აღარ აოსებობდა ჩემთვის. ცხოვრებას ღვარძლის ამაზრზენი გემო დაპკრავდა. ვგრძნობდი, ხელ უფრო და უფრო როგორ მეძალებოდა ყულისრევა, კარგა ხანია რომ [illegible] ეხებდა. ვხედავდი, ვით მკლავდა ბანდერს და მაბურთავებდა ეს ცხოვრება. გაბოროტებული მივაბიჯებდი [illegible] ქალაქში. ყოველი ბზრიდან ხოტიო [illegible]ა და სამარის სუნი ნცევდა. არა, ჩემს საფლავთან ვერ ელირსებიან დგომას ეს ზიზღსაბი ყვავები, ვერ მოიფხანენ გულს სენტიმენტალური, ცოდო-ბადლის გამოთხავი ლაქლაქით! ეგ, საითაც არ უნდა გამეხედა, საითაც არ უნდა მიმეპყრო ფიქრი, არსაიდან მელოდა სიხარული, არავინ მიხმობდა, არაფერი მიზიდავდა. ყველაფერს დამპალი ყამგასულობის, ხრწნადი, ნახევრის-ნახევრული კმაყოფილების ყროლი სუნი ასდიოდა, ირვლივ ყველაფერს ყავლი გასვლოდა, მომჩვარულიყო, განაცრისფერებული და მიხრწნილი ჩანდა. ღმერთო ჩემო ,რატომ უნდა დამმართნოდა ასე? როგორ მივუშვი აქამდე თავი ოცნებით ფრთაშესხმულმა ყმაწვილმა, მუზების მეგობარმა, კაცმა, რომელსაც ასე მიყვარდა ამქვეყნად ხეტიალი?! მერე როგორი გულმხურვალე იდეალისტი ვიყავი?! მაშ, როგორ შემომეპარა ასე ნელინელ, ასე უჩუმრად ეს ყველაფერი და როგორ დამიმორჩილა? საიდან გაჩნდა ეს ეჭვურება, ზიზღი საკუთარი თავისა და ყველაფრისადმი, გრძნობათა ეს სიყრუე, უსაზღვრო გაბოროტება, სულიერი სიცარიელისა და სასოწარკვეთის ეს ამაზრზენი დომხალი?

ბიბლიოთეკას გვერდით რომ ჩავუარე, გზაზე მავანი ახალგაზრდა პროფესორი შემომხვდა .უწინ ერთი-ორჯერ გვქონდა შემთხვევა ერთმანეთს გავსაუბრებოდით. ამ რამდენიმე წლის წინათ კი, ამ ქალაქში უკანასკნელად ყოფნისას, შინაც ვესტუმრე, რადგან მაშინ აღმოსავლური მითოლოგიით ვიყავ გატაცებული და მასთან ამ საკითხებზე საუბარი სიამოვნებას მგვრიდა. და, აი, ახლა პროფესორი ჩემკენ მოეშურებოდა. ცოტა ბეცი იყო და ცივი მზერა ჰქონდა. გაშინლა მიცნო, მისთვის გვერდის ავლა რომ დავაპირე. გახარებული ვამოეგმართა ჩემკენ. ძალზე უსასოო გუნებაზე ვიყავი და ასეთი საქციელისათვის ლაბის მადლიერიც კი დავრჩი მისი. ამ შეხვედრით გახარებულმა და გახალისებულმა პროფესორმა ჩვენი ადრინდელი საუბრების ზოგიერთი წვრილმანი გაიხსენა. მითხრა, თქვენგან დიდად ვარ დავალებული, ხშირად გიგონებდით. მას მერე იშვიათად თუ მქონდა ასეთი საინტერესო და ნაყოფიერი საუბრები ჩემს კოლეგებთანო. შემდეგ მკითხა, რამდენი ხანია ჩვენს ქალაქში იმყოფებით (მე ვიცრუე და მივუგე, ერთი-ორი დღეა-მეთქი) და რატომ არ მეწვიეთ ოჯახშიო? ამ ზრდილი კაცის მწიგნობრობით ბეჭედდასმულ, კეთილ სახეს რომ შევხედე, მართალი გითხრათ, ეს შეხვედრა სასაცილოდ მეჩვენა, მაგრამ მშიერი ძაღლივით მაინც ხარბად დავაცხერი სითბოს თუ ყურადღების მისგან ნაწილადევ ამ პაწია ნამცეცებს. გულაჩუყებულმა ტრამალის მგელმა — ჰარიმ კბილები დაკრიჭა, გამშრალი ხახა ნერწყვით გაევსო, და გულჩვილობამ, მისი სურვილისდა წინააღმდეგ, ქედი მოახრევინა. დიახ, გულდაჯერებით მოვიტყუე, ცოტა ხნით ჩამოვედი, სამუშაო მაქვს, თანაც თავს არცთუ მთლად კარგად ვგრძნობ, თორემ, რასაკვირველია, ერთხელ მაინც მოგინახულებდით-მეთქი. მერე კი, როცა სულითა და გულით მიმიპატიჟა თავისთან და მთხოვა, დღევანდელი სალამო ერთად გავატაროთო, მადლობა მოვახსენე, შევეპირდი, მოვალმეთქი, და ცოლთან მოკითხვაც დავაბარე. ყბები მატკინა ამდენმა ლაპარაკმა და კრეჭამ, რადგან ასეთ დაძაბულობას გადაჩვეული ვიყავი. და აი, ვიდრე მე,

ჰარი ჰალერი, ქუჩაში ვიდექი, მოულოდნელობისგან გაოგნებული და თავ-
მოქონილი ამ კეთილ კაცს ბევრ თვალებში შევცქეროდი და თავაზიანობით მისი
გულის მოგებას ვლამობდი, მეორე ჰარი იქვე გვერდით მედგა, იკრიჭებოდა და
ფიქრობდა, ეს რა უცნაური, ქარაფშუტა და არაგულწრფელი ვინმე ყოფილა,
სულ რაღაც ორიოდ წუთის წინ ამ წყეულ ძვეყანას წყევლა-კრულვას უთვლი-
და, სიბრაზისგან კბილებს აკრაჭუნებდა. უცბად კი მავანი ჰატივცემული ბიურ-
გერის თითის დაქნევა და მისალმება საკმარისი აღმოჩნდა, რომ მის დუდუკზე
აცეკვებულიყო; ამ ერთი ბეწო კეთილგანწყობამ, ჰატივისცემამ და თავაზია-
ნობამ უმალ დააღნო და ფხანვისგან ნეტარებამოგვრილი გოჭივით გაიტრუ-
ნაო. თავაზიანი პროფესორის წინ ორი ჰარი იდგა, და ორივე ერთობ უსიამო
იყო. ისინი სიძულვილით უთვალთვალებდნენ და პირში აფურთხებდნენ ერთ-
მანეთს, და, როგორც ყოველთვის ასეთ დროს, ისევ და ისევ ერთი კითხვა
უტრიალებდათ თავში: ნეტა ეს ყველაფერი უბრალოდ ადამიანური სისუსტე და
სისულელეა, ესე იგი, ზოგადსაკაცობრიო ხვედრია, თუ ეს სენტიმენტალური
ეგოიზმი, უნებისყოფობა, გრძნობების უწესრიგობა და გაორება ტრამალის
მგლის წმინდა პიროვნული თვისებაა მხოლოდ? თუკი ეს სიმდაბლე ზოგადსა-
კაცობრიო ხასიათისა იყო, რა გაეწყობა! მაშინ სამყაროს მიმართ ჩემს ზიზღს
შეიძლებოდა ახალი ძალით გადმოეხეთქა; მაგრამ თუკი ეს მხოლოდ ჩემი პი-
როვნული სისუსტე იყო, მაშინ საბაბი მქონდა თვითმძულვარების ორგია მო-
მეწყო.

ორ ჰარის შორის გამართულმა ჭიდილმა პროფესორი თითქმის დამავიწყა.
უეცრად საშინლად მომბეზრდა მასთან ლაპარაკი და დავეშურე, რაც შეიძლება
მალე დამეღწია მისგან თავი. მერე კარგა ხანს გავცქეროდი მიმავალს. ვხედავ-
დი, იდეალისტი კაცის ნაბიჯით, მიამიტად და, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ
როგორ მიაბიჯებდა ფოთლებშემოძარცულ ხეივანში. დიახ, ის რწმენით აღსავსე
ნაბიჯით მიდიოდა, ჩემს სულში კი ქარიშხალი ბობოქრობდა; ჩემდაუნებურად
ვკუჭავდი და ვშლიდი გათოშილ თითებს და ბრძოლა მქონდა გამართული
ნიკრისის ქართან, იდუმალად რომ მღრღნიდა. მერე იძულებული გავხდი საკუ-
თარი თავისთვის გამენდო, რომ გამასულელეს, მე კი, ჩემდა საუბედუროდ,
დავთანხმდი თავაზიან მიპატიჟებაზე, უარი არ ვთქვი მეცნიერულ პაექრობასა
და უცხო ოჯახური ბედნიერების ჭვრეტაზე. გაბრაზებულმა შინისკენ გავწიე.
წყალში კონიაკი გავაზავე, ტკივილგამაყუჩებელი აბები გადავყლაპე, ტახტზე
მივწექი და წიგნის კითხვას შევეცადე. ბოლოს და ბოლოს ცოტა ხნით გამი-
ტაცა „სოფიას მოგზაურობამ მემელიდან საქსონიაში", მეთვრამეტე საუკუნის
ამ მშვენიერმა ბულვარულმა რომანმა, ვიდრე უეცრად არ გამახსენდა, რომ
ვახშამზე ვარ მიპატიჟებული, თან წვერიც გასაპარსი მაქვს და ჩაუცმელიცა ვარ.
ღმერთმა უწყის, რისთვის ავიკვიატე ეს ყველაფერი! აბა, მაშ აბრძანდი, ჰარი,
გვერდზე მიაგდე წიგნი, გაისაპნე, გასისხლიანებამდე ჩამოიფხიკე ნიკაპი და
ჩაიცვი! თან ადამიანების მიმართ კეთილად განწყე! ვისაპნიდი პირისახეს და
იმ ოხერ, ატალახებულ ორმოზე ვფიქრობდი, სასაფლაოზე რომ ვნახე. გამახ-
სენდა, დღეს შიგ თოკით როგორ ჩაუშვეს უცნობი მიცვალებული, თვალწინ და-
მიდგა თანაქრისტიანთა მოწყენილობისგან დამანჭული სახეები, მაგრამ იმის
თავიც კი აღარ მქონდა, ამაზე გულიანად გამეცინა. ასე მეგონა, იქ, იმ ატა-
ლახებულ ორმოსთან, სადაც მღვდლის შემცბარი სიტყვები ისმოდა, სამგლო-
ვიარო პროცესიის თანამონაწილენი კი სულელური, დარცხვენილი იერით იდგ-

ნენ, ჯვრების, თუნუქისა და მარმარილოს დაფების ამ გაუხარებელ სამეფოში მარტო იმ უცნობი კაცის ცხოვრება როდი დასრულდა-მეთქი! იქ, იმ ლაფში, ყასიდად შემცბარ და შეწუხებულ დამსწრეთა თვალწინ, ხვალ-ზეგ მარტო მე როდი ჩამფლავდნენ! არა, იქ მთავრდებოდა მთელი ჩვენი მიზანსწრაფვა, კულტურა, რწმენა, სიცოცხლისმოყვარეობა თუ სიხალისე, ყველაფერი, რაც ასე მძიმედ დასნეულებულიყო და მალე დასამარება ეწერა. ასე და ამრიგად, სასაფლაოდ ქცეულიყო მთელი ჩვენი კულტურა. იესო ქრისტე, სოკრატე, მოცარტი, ჰაიდნი, დანტე თუ გოეთე დაჟანგებულ თუნუქის დაფებზე შემორჩენილი გახუნებული სახელებილა იყო მხოლოდ. მათ გარშემო კი შემცბარი და ყასიდად მჭმუნვარე ჭირისუფლები იდგნენ. ისინი არაფერს დაიშურებდნენ. ოღონდაც კი ამ თუნუქის დაფების დანახვაზე კვლავ დაბრუნებოდათ ძველი რწმენა, კვლავ შეძლებოდათ სასოწარკვეთისა თუ მწუხარების ალალი სიტყვები ეღაღადათ ამქვეყნიურ წარმავლობაზე. ახლა კი აღარაფერი დარჩენოდათ იმის გარდა, დარცხვენილი, ქილიკადმომღიმარე სახით მდგარიყვნენ სამარის პირას. ცოფმორეულმა ახლაც სწორედ იმ ადგილას გავიჭერი ნიკაპი, სადაც ჩვეულებრივ ვიჭრიდი, მერე ჭრილობაზე შაბი მოვისვი, მაგრამ ეს-ესაა მიკერებული სუფთა საყელოს გამოცვლა კი დამჭირდა. ვერა და ვერ გამეგო, რატომ ჩავდიოდი ყოველივე ამას, რამეთუ პრავითარი სურვილი არ მქონდა იმ ვახშამზე წასვლისა. მაგრამ აი, ჰარის რომელიღაც ნაწილმა კვლავ მომიწყო ამბოხი, პროფესორი გვარიან ყმაწვილად მოიხსენია, ადამიანის სუნის შეყნოსვა, ენის მოფხანა და გულის გადაშლა მოინდომა; თან პროფესორის პირმშვენიერი ცოლიც გაიხსენა. ერთი სიტყვით, სტუმართმოყვარე მასპინძლებთან წასვლა ერთობ სასიამოვნოდ დამიხატა, მომეხმარა ნიკაპზე ინგლისური სალბუნი დამედო, ჩამეცვა და ჰალსტუხიც კოხტად შემენასკვა. ასე შეპარვა-შეპარვით მაიძულა ხელი ამეღო ჩემს ჭეშმარიტ წადილზე და შინ არ დავრჩენილიყავი. ფიქრებმა წამიღო. აი, ახლა ვიცვამ და პროფესორთან წასასვლელად ვემზადები, მერე ასე თუ ისე ყალბი თავაზიანობით წავისაუბრებთ, მე კი, ცოდვა გამხელილი სჯობია და, არავითარი სურვილი არა მაქვს ამისა. მაგრამ განა ადამიანთა უმრავლესობა ასე არ იქცევა? ადამიანები ყოველდღიურად, ისე, რომ არავითარი სურვილი არა აქვთ ამისა, თავს აიძულებენ იარონ სტუმრად, იმუსაიფონ, დაწესებულ დროს სამუშაოზე გამოცხადდნენ და ყველაფერ ამას ძალისძალად, ანგარიშმიუცემლად, უხალისოდ აკეთებენ. განა ამას შანქანაც მშვენივრად არ გააკეთებს? ანდა ისიც ხომ შეიძლება, საერთოდ არაფერი აკეთოს? მთელი ეს უსასრულო ოროომტრიალი ხომ ხელს უშლის ადამიანებს, ჩემებრ კრიტიკული თვალით შეხედონ საკუთარ ცხოვრებას, იგრძნონ მისი უმეცრება და წვრილმანობა, დაინახონ თავიანთი ყოფის ამაზრზენად ბილებდაკრეჭილი ორჭოფულობა, უიმედო კაეშანი და სიმწარე. ო, საკვირველია მართალი არიან ადამიანები, ამ ცხოვრებით რომ ცხოვრობენ, თავისივე მოგონილი თამაშებით ერთობიან და საკუთარ ფასეულობებს შეჰფოფინებენ, ნაცვლად იმისა, წინააღმდეგობა გაუწიონ ამ მომაბეზრებელ ოროომტრიალს და სასოწარკვეთილი მზერა სიცარიელეს მიაპყრონ, როგორც ამას მე, გზას აცდენილი კაცი ჩავდივარ. თუკი ამ წიგნში დროდადრო ადამიანების სიძულვილი ანდა მათდამი დაცინვა გაკრთება, ნურავინ იფიქრებს, თითქოს მინდოდეს მთელი ჩემი დანაშაული სხვებს გადავაბრალო, მსჯავრი დავდო და ჩემი პირადი უბედურებისათვის პასუხისმგებლობა დავაკისრო! მაგრამ რაკიღა თავად ასე

ლრმად შევტოპე და ცხოვრების კიდესთან დავდექი, რომლის იქით ეს ცხოვრება უძირო უფსკრულში ინთქმევა, განა უსამართლოდ არ ვიქცევი და არ ვცრუობ, როდესაც ვცდილობ მოვატყუო საკუთარი თავიცა და სხვებიც. თითქოს ეს ორომტრიალი ჩემთვისაც გრძელდება, თითქოს მეც მიფეკურვნები ამ მარადიული თამაშის მიმზიდველ ბავშვურ სამყაროს!

საღამო მართლაცდა საოცრად წარიმართა. ჩემი ნაცნობის სახლის წინ წუთით შევჩერდი და ფანჯრებს ავხედე. ფიქრებმა წამიღო. აი, აქ ცხოვრობს კაცი, წლიდან წლამდე რომ შრომობს, კითხულობს, კომენტარებს უკეთებს ტექსტებს, ეძებს კავშირს წინა აზიურ და ინდურ მითოლოგიებს შორის და კმაყოფილია ამით, რამეთუ იცის თავისი გარჯის ფასი, სწამს და სჯერა მეცნიერებისა, რომელსაც ემსახურება, ესმის ხალასი ცოდნის მადლი და მოვლენათა შეჯერების მნიშვნელობა და არ დაუკარგავს რწმენა იმისა, რომ არსებობს წინსვლა და პროგრესი. ამ კაცს არ უფიქრია ომზე, არ უგრძვნია, როგორ შეარყია ჩვეული აზროვნების საფუძვლები აინშტაინმა (ეს მხოლოდ მათემატიკოსების საქმე ჰგონია), ვერ ხედავს, როგორ ემზადებიან მის გარშემო მომავალი ომისათვის და მიაჩნია, რომ ებრაელები და კომუნისტები სიძულვილს იმსახურებენ. იგი ერთი კეთილი, უზრუნველი, კმაყოფილი და გაყოყოჩებული ბავშვია. ასეთი ადამიანისა შეიძლება მხოლოდ შეშურდეს კაცს. მხნეობა მოვიკრიფე და შევედი. წინკარში თეთრწინსაფრიანი მოახლე შემეგება. ალბათ გუმანის კარნახით, კარგად დავიმახსოვრე, სად დაჰკიდა მან ჩემი პალტო და ქუდი. მერე მოახლემ თბილ, ნათელ ოთახში შემიყვანა და მთხოვა მომეცადა. ჩემს ადგილზე სხვა ან ლოცვების ბუტბუტს მოჰყვებოდა ანდა წასთვლემდა. მე კი სიანცემ ამიტანა და პირველივე საგანი, რაც მომხვდა, ხელში ავიღე. ეს იყო ჩარჩოში ჩასმული პატარა სურათი, რომელიც მუყაოს მაგარი ფეხით დამრეცად იდგა მრგვალ მაგიდაზე. გრავიურაზე გოეთე იყო გამოსახული. ეტყობა, მხატვარს ძალლონე არ დაუშურებია, ამ გენიალურად თმადავარცხნილ, ლამაზი, ნაქანდაკარი სახის მედიდურ მოხუცს მისეული ცეცხლოვანი მზერა ჰქონოდა და დიდკაცურად შელამაზებული სიმარტოვისა და ტრაგიზმის იერიც შერჩენოდა. მხატვარს ამ ბებერი დემონის ღრმა ბუნების გადმოცემაც მოეხერხებინა და ამასთან მის სახეზე ერთგვარი განსწავლულობა თუ თეატრალური თავდაჭერილობა და წესიერებაც აღებეჭდა. ამრიგად, მხატვრის ხელს მართლაც რომ დიდებული მოხუცი მბრძანებელი და მეუფე შეექმნა, ნებისმიერ ბიურგერულ ოჯახს შნოსა და ლაზათს რომ შემატებდა. ამ სურათს ალბათ იმაზე სულელური შესახედაობა არ ჰქონდა, ბეჯითი ხელოსნის ხელით შექმნილ მსგავს სურათებს — ნეტარ მაცხოვრებს, მოციქულებს, გმირებს, სულის ბუმბერაზებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს რომ აქვთ ხოლმე. ამ სურათში გარკვეულწილად ოსტატის ვირტუოზულობაც ვიგრძენი და ამან გამაღიზიანა. ასეა თუ ისე, რაკიღა უკვე აღრენილი და გაგულისებული ვიყავი, მოხუცი გოეთეს პატივმოყვარე და თვითკმაყოფილმა სახემ საშინლად ამიმღვრია გუნება და მივხვდი, რომ უადგილო ადგილას აღმოვჩნდი. აქ ბინა ძველ, სტილიზებულ დიდოსტატებსა და ერის თავკაცებს დაედოთ, ტრამალის მგელს კი არაფერი ესაქმებოდა. იმ წუთას პროფესორი რომ შემოსულიყო, ალბათ რამეს მოვიმიზეზებდი, დავემშვიდობებოდი და შინ წამოვიდოდი. მაგრამ ოთახში დიასახლისი შემოვიდა და იძულებული გავხდი ბედს დავმორჩილებოდი, თუმცაღა გული სასიკეთოს არაფერს მიგრძნობდა. ერთმანეთს მივესალმეთ. მერე უსია-

მოვნებას უსიამოვნება მოჰყვა. ქალმა დათაფლული ენით ქათინაური მითხრა, მშვენივრად გამოიყურებითო. მე კი ძალზე კარგად ვიცოდი, რომ ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდგომ წლებში საკმაოდ მოვტყდი. თანაც დროსახლისს ხელს რომ ვართმევდი, ნიკრისის ქარმა საბედისწეროდ სწორედ ამ დროს შემახსენა თავი. მერე ქალმა მკითხა, როგორ გრძნობს თავს თქვენი ქმრისი მეუღლეო. მეტი გზა არ იყო, ვუთხარი, ცოლმა მიმატოვა და ერთმანეთს დავცილდით-მეთქი. ოთახში პროფესორი რომ შემოვიდა, ორივეს გულს მოგვეფინა. ისიც ერთობ გულთბილად მომესალმა, ისე რომ, მთელი სიცხადით წარმოვიდგინე ამ სასაცილო მდგომარეობის სიყალბე. პროფესორს ხელში გაზეთი ეჭირა. ამ გაზეთს ომის მომხრე მილიტარისტული პარტია გამოსცემდა და პროფესორი მას მუდმივად იწერდა. ხელი ჩამომართვა თუ არა, გაზეთზე მიჩვენა და მითხრა, თქვენს მოგვარეზე, პუბლიცისტ ჰალერზე სტატიაა დაბეჭდილი; ეტყობა, ერთი უთვისტომო არამზადა უნდა იყოს, კაიზერს დასცინის და ბრძანებს, ჩემს სამშობლოს მოწინააღმდეგე ქვეყნებზე ნაკლები დანაშაული როდი მიუძღვის ომის გაჩაღებაშიო! დიდი ბედოვლათი ვინმე კი იქნება, აი! — თქვა პროფესორმა და განაგრძო: — მაგრამ თავხედს საკადრისი მიეზღო. რედაქციამ კარგად შეახურა და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ეს არამზადაო. მერე, რაკიღა დამატყო, ეს საკითხი არ მაინტერესებდა, უმალ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. მასპინძლებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ ეს ურჩხული შეიძლება მათ პირისპირ მჯდარიყო. ... ერა, და ასე იყო, ეს ურჩხული მე ვიყავი და ცხვირწინ ვეჯექი. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა საჭირო იყო ალიაქოთის ატეხა და ხალხის შეწუხება! გულში გამეცინა, თუმცა კი საბოლოოდ გადამიწყდა იმედი, რომ საღამოს სასიამოვნოდ გავატარებდი. კარგად დამამახსოვრდა ეს წუთი. სწორედ იმ დროს, როცა პროფესორმა სამშობლოს მოღალატე ჰალერზე ჩამოაგდო სიტყვა, სასოწარკვეთის საზიზღარმა დამთრგუნავმა გრძნობამ შემიპყრო. ეს გრძნობა ჯერ კიდევ დღევანდელი დასაფლავებიდან გამომყვა, მერე თანდათან მოზღვავდა, გაძლიერდა, გულზე მაჯლაჯუნასავით დამაწვა და ბოლოს და ბოლოს მუცლის არეში ფიზიკურ ტკივილში გადაიზარდა. ეს გრძნობა ბედისწერასავით მთრგუნავდა, მაფორიაქებდა და მაღელვებდა. ვგრძნობდი, საფრთხე უკანიდან ჭურდულად როგორ მეპარებოდა. ბედზე მოახლემ გამოაცხადა, ვახშამი მზად არისო. სასადილო ოთახში რომ გავედით, სულ იმის ცდაში ვიყავი, უწყინარ საკითხებზე წამომეწყო საუბარი. ალბათ ეს თუ იყო მიზეზი, რომ ჩვეულებრივზე მეტი გეახელით. ვჭამდი და სულ უფრო და უფრო საზიზღარი გრძნობა მეუფლებოდა. ღმერთო ჩემო, ასე რატომ უნდა ეძალადებოდეს კაცი თავის თავს? — აი, ეს აზრი მიბურღავდა ტვინს. აშკარად ვხედავდი, მასპინძლებიც რომ ვერ იყვნენ მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობაში და თავის მხიარულად დაჭერა დიდ ჯაფად უღირდათ. არ ვიცი, ჩემი სტუმრობით იყვნენ ასე შებოჭილნი თუ თავად ჰქონდათ ოჯახში რაიმე ესიამოვნება. ისეთ შეკითხვებს მაძლევდნენ, კაცი გულწრფელ პასუხს ვერ გასცემდა; სულ მალე ტყუილების ქსელში გავიხლართე და თავს ვებრძოდი, ზიზღი არ გადმომენთხია. მინდოდა მასპინძლების ყურადღება სხვა რამეზე გადამეტანა და ბოლოს და ბოლოს დასაფლავებაზე ჩამოვაგდე სიტყვა, რომლის მოწმეც დღეს ვიყავი. მაგრამ, როგორც ჩანს, სათანადო კილო ვერ შევარჩიე. აცდილობდი გონებამახვილობა გამომეჩინა, მაგრამ ამაოდ, მასპინძლებს გუნებაგანწყობა სულ უფრო და უფრო უფუჭდებოდათ და ჩვენ სულ სხვადასხვა

ტალღებზე დავცურავდით. მერე ის იყო, ჩემში კბილებდაკრეჭილი ტრამალის მგელიც ახორხოცდა და, დესერტი რომ მოიტანეს, სამივენი მეტწილად ვდუმდით.

ყავისა და არაყის დასალევად, თავდაპირველად რომ ვიყავით, იმ ოთახში გავედით. ვიფიქრე, იქნებ ამან მაინც გვიხსნას-მეთქი. მაგრამ, სწორედ ამ დროს ჩემი მზერა ხელახლა მოხვდა პოეტთა მეფეს, თუმცა [illegible] ახლა ქამოდზე გადაედგათ. ეს სახე მოსვენებას არ მაძლევდა. ამიტომ ყურად აღარ მიღია, იდუმალმა ხმამ რომ მიკარნახა, ფრთხილადო, სურათი ხელახლა ავიღე ხელში და შევეცადე გამოვლაპარაკებოდი. ამ აუტანელმა ვითარებამ მართლაც რომ გამაცოფა, გადავწყვიტე მასპინძლებს ახლა ან ისევ გამოვუკეთებ გუნებ-განწყობას, მივესიყვარულები და ჩემს ჭკუაზე გადმოვიყვან, ან არადა, საქმეს ბოლომდე მივიყვან და უკან მისაბრუნებელ ყველა გზას მოვიჭრი-მეთქი.

— რატომღაც არა მგონია, გოეთე ასეთი ყოფილიყო! — ვთქვი მე, — სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს. ეს პატივმოყვარეობა, კეთილშობილი იერი თუ საკუთარი ღირსების გრძნობა, რომლითაც იგი ასე ეკეკლუცება პატივცემულ მაყურებელს. ახლა უმშვენიერესი სენტიმენტალობის ამ სამყაროსაც დააკვირდით, ვაჟკაცობის ნიღაბქვეშ რომ იმალება! რა თქმა უნდა, შეიძლება კაცს არ უყვარდეს იგი, ეს ყოყოჩი ბერიკაცი ხშირად მეც დადად არ მეპიტნავება ხოლმე, მაგრამ მისი ასე დახატვა?! არა, ეს უკვე მეტისმეტია!

დიასახლისმა გატანჯული სახით დაასხა ყავა და სწრაფად გავიდა ოთახიდან. ქმარი კი, ცოტა არ იყოს, დარცხვენითა და თან საყვედურით გამომიტყდა, სურათი ჩემი მეუღლის ნახელავია და განსაკუთრებით უყვარსო.

— ცამდე მართალიც რომ ყოფილიყავით, თუმცა თავად კი ეჭვი მეპარება ამაში, თქვენი მოსაზრება ასე მკვახედ მაინც არ უნდა გამოგეთქვათ. — მითხრა მან.

— სრულ სიმართლესა ბრძანებთ, — დავეთანხმე მყისვე. — ჩემდა საუბედუროდ, ასეთი ჩვეულება მაქვს და დიდ ნაკლადაც მიმაჩნია, მაგრამ აზრების გამოთქმა რატომღაც მუდამ მეტისმეტად მკვახედ მჩვევია ხოლმე. სხვათა შორის გოეთემაც ასე იცოდა და ეს ალბათ მისი ცხოვრების საუკეთესო წუთები იყო. თუმცა, რა თქმა უნდა, სალონის გოეთე, ეს დათაფლული ბიურგერი, არასოდეს იხმარდა უხეშ, ნაღდ და ზუსტ გამოთქმას. თქვენ და თქვენს მეუღლეს კი გთხოვთ მომიტევოთ კადნიერება. გადაეცით, რომ შიზოფრენია მჭირს. ახლა კი, ნება მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ.

გაოგნებული მასპინძელი შეეცადა ჩემს ნათქვამზე საწინააღმდეგო რამ მოეგო, ხელახლა გამახსენა, რა შესანიშნავი და საინტერესო საუბრები გვქონდა უწინ მიტრას და კრიშნას თაობაზე, ჩემმა მოსაზრებებმა რა ღრმა ქვალი დატოვა მაშინ მასზე, და რატომღაც ეგონა, რომ დღესაც... ჰოდა, ასე გაუტია და გაუტია. მადლობა მოვახსენე და ვუთხარი, ძალზე ვაფასებ თქვენს თავაზიან სიტყვებს, მაგრამ, სამწუხაროდ, კრიშნასადმი ინტერესიც პირწმინდად გამიქრა და მეცნიერული პაექრობის სურვილიც-მეთქი. მერე ისიც დავძინე, დღეს ერთი-ორჯერ ტყუილი გითხარით, აი, მაგალითად, ამ ქალაქში რამდენიმე დღე კი არა, უკვე ერთი თვეა, რაცა ვარ, მაგრამ განმარტოებით ვცხოვრობ და სასტუმრო კიცად აღარ გამოვდგები; ჯერ ერთი იმიტომ, რომ სულ ერთთავად ცუდ გუნებაზე ვარ და ნიკრისის ქარი მტანჯავს, მეორეც — მეტწილად შეზარხოშებული ვარ-მეთქი. ბოლოს ჩემს პატივცემულ მასპინძელს განვუცხადე,

მინდა ყველაფერს ნათელი მოვფინო, რომ მატყუარას სახელი მაინც არ შემრჩეს, და გითხრათ, რომ დღეს ძალზე დიდი შეურაცხყოფა მომაყენეთ, ვინაიდან გაიზიარეთ რეაქციული გაზეთის თვალსაზრისი ჰალერის შეხედულებებზე და ისეთი პოზიცია დაიკავეთ, უფრო სულელ, უგუნურ და უსაქმურ ოფიცერს რომ ეკადრება, ვიდრე მეცნიერს. ხოლო რაც შეეხება იმ „ბედოვლათს", იმ უთვისტომო არამზადა ჰალერს, იგი თავად მე გახლავართ. ჩვენი საშობლოს და საერთოდ ქვეყნიერების საქმე კი გაცილებით უკეთ წარიმართებოდა, ის თითო-ოროლა ადამიანი, ვისაც აზროვნების უნარი შერჩენია, გონიერებისა და მშვიდობის სადარაჯოზე რომ დამდგარიყო და ბრმა გააფთრებით არ დაეწყო ახალი ომის ქადაგება. დიახ, ასეა; ახლა კი ღმერთმა ხელი მოგიმართოთ-მეთქი, დავძინე ბოლოს და წამოვდექი. გოეთესაც დავემშვიდობე და პროფესორსაც. საკიდიდან პალტო და ქუდი ჩამოვგლიჯე და თავს ვუშველე. ხმამაღლა ყმუოდა ჩემში ის სულღვარძლიანი მგელი. ორივე ჰარი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულიყო. უმალ მივხვდი, ეს უსიამოვნო საღამო ჩემთვის ბევრად უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე აღშფოთებული პროფესორისათვის. მისთვის ეს მხოლოდ იმედგაცრუება და გულდასაწყვეტი ეპიზოდი იყო, ჩემთვის კი საბოლოო მარცხი და გაქცევა, ბიურგერულ, ზნეობრივ და მეცნიერულ სამყაროსთან გამოთხოვება. დიახ, ეს ტრამალის მგლის სრული გამარჯვება გახლდათ. დამარცხებული ვყრიდი ფარ-ხმალს და ლტოლვილივით იმედდაკარგული ვემშვიდობებოდი ყოველივეს. იუმორისა და საკუთარი ღირსების გრძნობაც კი დამკარგოდა. იმ სამყაროს, საიც ადრე ვსახლობდი, ჩემს უწინდელ სამშობლოს, ბიურგერულ სულს, ზნეობასა და განსწავლულობას ზუსტად ისე ვეთხოვებოდი, როგორც კუჭის წყლულით დაავადებული ეთხოვება შემწვარი ღორის ხორცს. გააფთრებული და თან საშინელი ნაღველით შეპყრობილი მივქროდი ფარნებქვეშ. მაინც რა უსიხარულო, სამარცხვინო და ბოლმით სავსე დღე მარგუნა ღმერთმა, დილიდან დაწყებული საღამომდე, სასაფლაოდან მოყოლებული პროფესორთან სტუმრობით გათავებული! კი მაგრამ, რატომ? რისთვის? განა ღირს კაცმა ისევ და ისევ დაიმძიმოს გული ასეთი დღეებით, ისევ და ისევ იგემოს ეს სამსალა? არა და არა! ჰოდა, მეც ამაღამვე ბოლოს ამ სისულელეს. გასწი შინ, ჰარი, და ყელში სამართებელი ამოისვი! დაყოვნება აღარ იქნება.

დავძრწოდი ქუჩებში, უბედურებისგან რეტდასხმული. რა თქმა უნდა, სისულელე მომივიდა, იმ კეთილ ადამიანებს ოჯახის სამშვენი ნივთი რომ გავულანძღე. დიახ, სისულელე და უზრდელობა იყო ჩემი მხრივ, მაგრამ სხვაგვარად მოქცევა არამც და არამც არ შემეძლო; ვეღარ ამეტანა ეს მშვიდი, ყალბი და წესიერი ცხოვრება. მაგრამ სხვა აბა რა გამოსავალი მქონდა, როცა ვგრძნობდი, რომ სიმარტოვესაც ვეღარ ვეგუებოდი. მძულდა და მეზიზღებოდა საკუთარი თავი და ჩემივე ჯოჯოხეთური ყოფის დაბზულ სივრცეში სული მეხუთებოდა? ჰაი, ჰაი, რომ სხვა გზა არ მქონდა. ოჰ, ჩემო მშობლებო, ჩემი სიჭაბუკის შორეულო, წმინდა ლამპარო, ოჰ, უთვალავო სიხარულო, გარჯავ და მიზნებო ჩემი ცხოვრებისა! აღარაფერი დამრჩენოდა თქვენგან. მოსანანიებელიც კი აღარაფერი მქონდა; მხოლოდ ზიზღისა და ტკივილის განცდა გამხდარიყო ჩემი ხვედრი. ასე მეგონა, თვით სიცოცხლის უცილობლობასაც არ მოუყენებია ჩემთვის არასდროს ასეთი ტკივილი, ახლა, ამ წუთში რომ განვიცდიდი.

სულის მოსათქმელად ცოტა ხნით გარეუბნის ერთ უბადრუკ სამიკიტნოში

შევედი, წყალგარეული კონიაკი გადავკარი და ისევ სირბილით გავუყევი გზას. ეშმაკისგან დევნილივით დავძრწოდი ძველი ქალაქის ოკრობოკრო ქუჩებში, ხეივნებსა თუ სადგურის მოედანზე. „უნდა წავიდე!“ — დამკრა თავში და სადგურზე გავედი. კედელზე გაკრული განრიგი შევათვალიერე, მერე ცოტა ღვინო გადავკარი და შეეცადე გონება მოვეკრიფა. აშკარად ეხრეხული ბრბოილს, სულ ახლოს რომ მომდგომოდა და მაშინებდა. ეს შინ, ჩემს საკანში დაბრუნების შიშს შევეპყარი. ეს ის შიში იყო, სასოწარკვეთასთან შეგუების გარდუვალობა რომ ბადებდა! მას ვერსად გავექცეოდი, რამდენიც არ უნდა მერბინა წინ და უკან, მაინც მომიხდებოდა დაბრუნება ჩემს ბინაში, წიგნებით სავსე მაგიდასა და ტახტთან, რომლის თავზეც საყვარელი ქალის სურათი მეკიდა. ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა დამდგარიყო სამართებლის გაშიშვლებისა და ყელის გამოლადვრის წამი. ისევ და ისევ თვალნათლივ ვხედავდი ამ სურათს, გული შლეგიანივით მიბაგუნებდა და სულ უფრო და უფრო მიბყრობდა ამქვეყნად ყველა შიშზე საზარელი შიში: შიში სიკვდილისა! ჰო, სიკვდილისა ძალზე მეშინოდა, მაგრამ ვიცოდი, სხვა გზა არ მქონდა. მართალია, ჩიზლს, ტანჯვასა თუ სასოწარკვეთას ყოველი მხრიდან მოეჭირა ჩემთვის ჭანგები, მართალია, აღარაფერს შეეძლო ჩემი ცდუნება. ეღარ ვგრძნობდი იმედსა და სიხარულს, მაგრამ მაინც ვერა და ვერ დამეთრგუნა ეს ენით აუწერელი შიში, შეძრწუნებული ვფიქრობდი წამზე, როცა სამართებელს გავაშიშვლებდი და გულვრილად დავისერავდი საკუთარ ხორცს!

აღარ ვიცოდი, რა მელონა, რომ ამ შიშს განვრიდებოდი. თუკი სასოწარკვეთილებასთან ორთაბრძოლაში სილაჩრე გაიმარჯვებდა, სულ ერთია, თავად სასოწარკვეთას, ხვალ იქნება, ზეგ თუ მაზეგ, მაინც ვერ დავუძვრებოდი ხელიდან, ამას ისიც დაემატებოდა, რომ უფრო მეტად შემზიზღდებოდა საკუთარი თავი. მერე ისევ წავეპოტინებოდი სამართებელს, ისევ და ისევ მოვისვრიდი გვერდზე, ვიდრე ბოლოს და ბოლოს არ მოხდებოდა მოსახდენი. ჰოდა, განა არ სჯობდა დღესვე აღსრულებულიყო ყოველივე?! პატარა, შეშინებული ბავშვივით შევაგონებდი საკუთარ თავს, მაგრამ ბავშვი ყურს არ მიგდებდა და გამირბოდა. მას სიცოცხლე ეწადა. ისევ და ისევ დავძრწოდი ქალაქში, წინ და უკან ვუტრიალებდი ჩემს სახლს, ტვინს მიბურღავდა შინ დაბრუნებაზე ფიქრი და ვცდილობდი რაც შეიძლება შორს გადამედო ეს დაბრუნება. დროდადრო სადმე სამიკიტნოში ამოვყოფდი თავს, გადავკრავდი თითო ჭიქა ღვინოს, მერე კი კვლავ ქალაქში დავძრწოდი. გარე-გარე ვუვლიდი ჩემს მიზანს, სამართებელსა და სიკვდილს. დაღლილობისგან ილაჯგამოცლილი ხან ძელსკამზე, ხან შადრევნის კიდეზე ან კვარცხლბეკზე ჩამოვჯდებოდი. მესმოდა საკუთარი გულის ბაგაბუგი და შუბლზე ჭირის ოფლი მასხამდა. მერე კი კვლავ გავრბოდი და, სიკვდილის შიშით შეპყრობილს, კვლავ ამეკვიატებოდა სულისმალბუნებელი წადილი სიცოცხლისა.

ასე და ამრიგად, გვიან ღამით ქალაქის ნაკლებად ნაცნობ გარეუბანში ერთ-ერთ რესტორანთან შევჩერდი. ფანჯრებს მილმა შმაგი საცეკვაო მუსიკა ისმოდა. შიგ შესვლა რომ დავაპირე, ალაყაფის კარზე გაკრულ ძველ აბრაზე ამოვიკითხე: „შავი არწივი“. რესტორანში ღამეული ცხოვრება სჩქეფდა: ხმაური, რიარია, კვამლი, ღვინის ოხშივარი, ყვირილი და ხორხოცი; უკანა დარბაზში ცეკვავდნენ და მუსიკაც სწორედ იქ ბობოქრობდა. წინა დარბაზში დავრჩი. აქ შედარებით ღარიბულად ჩაცმული, უბრალო ხალხი იჯდა, ხოლო

უკან, სამეჯლისო დარბაზში კი საკმაოდ მოხდენილად გამოწყობილი სტუმრები იდგნენ. ამ რიგ-რიგში დარბაზის სიღრმეში მოვხვდი, ბოლოს კი ბუფეტის ახლოს, მაგიდასთან ამოვყავი თავი. იქ, კედელთან მიდგმულ სკამზე ღიმაზი, ფერმკრთალი გოგონა იჯდა. ღრმად გულამოჭრილი, თხელი სამეჯლისო კაბა ეცვა, თმაში დამჭკნარი ყვავილი გაერჭო. დამინახა, მისკენ რომ გავემართე, ყურადღებიანი, ალერსიანი მზერა შემომაგება. ღიმილით გვერდზე ჩაიწია და ადგილი დამითმო.

— თუ ნებას მომცემთ? — ვკითხე და მის ახლოს ჩამოვჯექი.

— შენთვის, რა თქმა უნდა, შეიძლება, — მომიგო მან, — კი მაგრამ, ვინა ხარ?

— გმადლობთ, — ვუთხარი მე, — ახლა შინ წასვლა არ შემიძლია, არაფრით არ შემიძლია. თუ ნებას მომცემთ, აქ დავრჩები, თქვენთან. დიახ, შინ წასვლა არ შემიძლია.

თავი ისე დამიჭნია, თითქოს ყველაფერს ჩახვდაო. თვალი შუბლიდან ყურზე ჩამოშლილ კულულისკენ გამექცა და მაშინლა მივხვდი, მის თმაში გარჭობილი დამჭკნარი ყვავილი კამელია იყო. უკანა დარბაზში მუსიკა სჭექდა, ბუფეტთან მიმტანი ქალები იდგნენ და შებუფეტეს ხმამაღლა აძლევდნენ შეკვეთებს.

— დარჩი, — ისეთი კილოთი მითხრა ქალმა, რომ უეცრად შვება ვიგრძენი, — რატომ არ შეგიძლია შინ წასვლა?

— არ შემიძლია. შინ მელოდება... არა, არ შემიძლია. ეს ყველაფერი სიშინელეებია.

— მაშინ ნუ იჩქარებ და დარჩი. ოღონდ ჯერ სათვალე გაიწმინდე, ველარაფერს ხედავ. აი, ასე, მომეცი ცხვირსახოცი. რა დავლიოთ, ბურგუნდიული?

სათვალე გამიწმინდა. ახლალა გავარჩიე მისი ფერმკრთალი, გამოკვეთილი სახე. ტუჩები ალისფრად შეეღება, ნათელი ნაცრისფერი თვალები და აწორი, ამაყი შუბლი ჰქონდა. მოკლე, ზამბარასავით დახვეული კულული ყურთან უთამაშებდა. მზრუნველად და დამცინავად დამიწყო მფარველობა, ღვინო შეუკვეთა, ჭიქა მომიჯახუნა და მერე უცებ ფეხსაცმელზე დამხედა.

— ღმერთო ჩემო, აქ საიდან გაჩნდი? კაცი იფიქრებს, პარიზიდან ფეხით უვლიაო. განა ასე მოდიან მეჯლისზე?

სიტყვა ბანზე ავუგდე, გავიცინე და ლაპარაკი დავაცადე. ძალიან მომეწონა. გამიკვირდა კიდეც, აქამდე რად ვარიდებდი თავს ახალგაზრდა გოგოებს და უნდობლად რად ვუყურებდი. ის კი ისე მექცეოდა, როგორც ზუსტად იმ წუთას მჭირდებოდა. ო, მან მერეც ყოველთვის იცოდა, როგორ მომქცეოდა; ისეთი ფრთხილი და დამცინავი იყო, ჩემი განწყობა რომ მოითხოვდა. ბუტერბროდი შეუკვეთა და ძალით შემაჭამა. მერე ღვინო დამისხა და მითხრა, ერთი ყლუპი მოსვი, ოღონდ ძალიან ნელაო. ბოლოს თვინიერებაც შემიქო.

— ყოჩაღ შენ, — მითხრა გამამხნევებლად, — იოლი კაცი ყოფილხარ. სანაძლეოს ვდებ, კარგა ხანია აღარ გივლია სხვის ჭკუაზე!

— მართალი ხართ და სანაძლეოც მოიგეთ. კი მაგრამ, როგორ გამოიცანით?!

— რა დიდი ამბავი უნდა ამის გამოცნობას? სხვის ჭკუაზე სიარული ჭა-

მა-სმასავითაა. დიდი ხნის ნაშიმშილებ კაცს ამქვეყნად ჭამა-სმა ყველაფერს ურჩევნია. ხომ მოგწონს, ჩემს ჭკუაზე რომ გატარებ?

— ძალიან მომწონს. თქვენ ყველაფერი იცით.

— რა ოოლია შენთან ყოფნა, ჩემო მეგობარო, [illegible] შემიძლია გითხრა, რა მოგელის შინ და რისი გეშინია ასე. მაგრამ ეს [illegible] მშვენივრად უწყი. მოდი ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, ხომ? რა სისულელეა! ორში ერთია: კაცმა ან თავი უნდა ჩამოიხრჩოს ან იცოცხლოს. თუკი თავის ჩამოხრჩობა აუჩემებია, რა გაეწყობა, უნდა გაუყაროს ყულფში კისერი, მაშასადამე, საამისოდ მიზეზი ჰქონია. მაგრამ თუკი ადამიანი ცოცხლობს, მის საზრუნავს მხოლოდ სიცოცხლე უნდა შეადგენდეს. განა ამაზე ადვილი რა არის?

— ოჰ, ასე ადვილი რომ იყოს! — შევძახე მე, — ღმერთმანი, ამ ცხოვრებას საიდან აღარ ვუტრიალე ,მაგრამ ამაოდ. თავის ჩამოხრჩობა ალბათ ძნელი უნდა იყოს, ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ ამქვეყნად ცხოვრება რომ გაცილებით უფრო ძნელია, ღმერთია ამის მოწმე!

— ოჰო, ასეა საქმე? მაშინ მალე დაინახავ, რომ ეს ყველაფერი ძალზე ადვილი ყოფილა. საქმეს უკვე შევუდექით. ხომ ხედავ, სათვალე გაიწმინდე, საჭმელიც შეჭამე და ღვინოც დალიე. ახლა კი წამოდი, შარვალი და ფეხსაცმელი გასაწმენდი გაქვს. მერე კი შიმის მეცეკვები.

— აი, ხომ ხედავთ, — წამოვიძახე გაცხარებით, — გამოდის. მართალი ვყოფილვარ! ჩემთვის ყველაზე გულდასაწყვეტი იქნება ამქვეყნად, თუკი რაიმე თხოვნას ვერ შეგისრულებთ. მაგრამ ამის შესრულება კი მართლა არ შემიძლია. ვერც შიმის გეცეკვებით, ვერც ვალსს და ვერც პოლკას. საერთოდაც ვერაფერს ვიცეკვებ, რადგან ცეკვა ჩემს დღეში არ მისწავლია. ახლა ხომ მაინც დარწმუნდით, ეს ყველაფერი არც ისე ოოლი ყოფილა, თქვენ რომ გგონიათ?

მშვენიერ გოგონას ღიმილმა გაუპო ალისფერი ბაგე და თავი გააქნია. ბიჭურად დავარცხნილი ომა უფრო გამოკვეთილს ხდიდა მისი თავის მოხაზულობას. უეცრად თითქოს როზა კრაისლერს მივამსგავსე. ეს პირველი ქალი იყო, ჩემს პატარა ბიჭობაში რომ მიყვარდა, მაგრამ როზა შავგვრემანი იყო და მუქი თმა ჰქონდა. ვერა და ვერ მივმხვდარიყავ, ვის მაგონებდა ეს უცნობი ქალი, მხოლოდ ის ვიცოდი, ეს მოგონება ჩემი სიყრმის წლებიდან რომ მოდიოდა.

— მოიცა, მოიცა,— წამოიძახა ქალმა, — რაო, რაო? მაშასადამე, ცეკვა არ იცი? საერთოდ არ იცი? როგორ, უანსტეპსაც ვერ იცეკვებ? მერე დამიწყებ მტკიცებას, ღმერთმა უწყის, რამდენი არ ვუტრიალე ცხოვრებასო? ჩემო კარგო, ეს ხომ მტკნარი სიცრუეა! განა შენი ხნის კაცს ეკადრება ასეთი რამ? აბა, როგორ გიბრუნდება ენა და მეუბნები, ცხოვრებას საიდან აღარ ვუტრიალეო, როცა ცეკვაც კი არა გნებავს?

— თუკი არ ვიცი! ჩემს დღეში არ მისწავლია.

ქალმა გაიცინა.

— იმედია, წერა-კითხვას ისწავლიდი, ანგარიშიც გეცოდინება. ლათინურს ფრანგულს და ბევრ მისთანებსაც სწავლობდი ალბათ?! სანაძლეოს დავდებ, სკოლაში ერთი ათი-თორმეტი წელი მაინც გექნება გატარებული, მერე უნივერსიტეტშიც გააგრძელებდი სწავლას. შესაძლოა დოქტორის ხარისხიც გაქვს და ჩინური და ესპანურიც იცი. ასეა ხომ? დიახ, ასეა. ცეკვის შესასწავლად კი ვერც დრო გაიმეტე და ვერც ფული! ეჰ, აბა რა უნდა გელაპარაკო!

— ეს სულ ჩემი მშობლების ბრალია, — შევეცადე თავის მართლებას,— ისინი მაიძულებდნენ მესწავლა ლათინური, ბერძნული თუ მისთანები. ცეკვის სწავლა კი არ უნებებიათ ჩემთვის. საერთოდ ოჯახში არ გვქონია ეს წესად, თვითონ მშობლებიც არასოდეს ცეკვავდნენ.

ძალზე ცივი, ზიზღით აღსავსე მზერა შემავლო და მის სახეზე რიღაცამ ავლავ გარდასული სიყრმე გამახსენა.

— მაშასადამე, ყველაფერში მშობლები ყოფილან დამნაშავე, არა? ნეტავ დღეს „შავ არწივში“ წამოსვლა რომ დააპირე, თუ აიღე იმათგან ნებართვა? გამოგიშვეს? რაო, კარგა ხანია დაიხოცნენო, ამბობ? აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! თუ ახალგაზრდობაში ცეკვა მხოლოდ იმიტომ ვერ ისწავლე, გამგონე და თვინიერი რომ იყავი, არა უშავს რა! თუმცა ვერც იმას დავიჯერებ, ერთიანად ბიჭი ყოფილიყავი. კარგი, ვთქვათ ასეც იყო, მაგრამ მერე, მთელი ამ წლების მანძილზე რაღას აკეთებდი?

— ეჰ, თვითონაც არ ვიცი, — მოვკაკვე თითი, — ვსწავლობდი, მუსიკის დაკვრით ვერთობოდი, წიგნებს ვკითხულობდი, ვწერდი, ვმოგზაურობდი...

— უცნაური აზრისა კი ყოფილხარ ცხოვრებაზე! გამოდის, რომ ერთთავად ძნელი და რთული საქმეები გიკეთებია ,სულ მარტივი ამბებისთვის კი ვერ მოგიცლია, არა? დრო არ გქონდა? არ გინდოდა? რა გაეწყობა, ღმერთს მადლობა უნდა შევწირო, შენი დედობა რომ არ მარგუნა ბედად. მაგრამ მერე რომ მოდგები და თავი მოგაქვს, აქაო და ცხოვრებაში ყველაფერი მოვსინჯე, ვემო კი ვერაფერს გავუგეო, ნამდვილად არ გეკადრება.

— ნუ გამიჯავრდებით! — შევევედრე მე, — თავად კარგად ვიცი, რომ შეშლილი ვარ.

— ოჰ, კარგი ერთი, გული ნუ გააწყალე! ბატონო პროფესორო, შენ სიგიჟისა არაფერი გეტყობა, მე თუ მკითხავ, პირიქითაც არის საქმე. ის კი არადა, რიღაც სულელურად ჭკუადამჯდარიც კი მგონიხარ! ერთი სიტყვით, ნამდვილი პროფესორი ხარ! მოდი, ერთი ბუტერბროდიც შეჭამე და დანარჩენი მერე მოგიყევი.

ერთხელ კიდევ შეუკვეთა ბუტერბროდი, ზედ მარილი მოაყარა, მდოგვი გადაუსვა, მერე პატარა ნაჭერი თავისთვის მოიჭრა, დანარჩენი კი მიბრძანა, შენ შეჭამეო. დავიწყე ჭამა. რაც უნდა ეთქვა, ყველაფერზე თანახმა ვიყავი, ოღონდაც არ მეცეკვა. საოცრად მსიამოვნებდა ვიღაცის ჭკუაზე სიარული, ისეთი ადამიანის გვერდით ჯდომა, ვინც რიღაცას მკითხავდა, მიბრძანებდა, გამითითხავდა. ამ რამდენიმე საათის წინ პროფესორი და მისი მეუღლე ასე რომ მომქცეოდნენ, ალბათ ბევრი რამ ამცდებოდა. თუმცა არა, ძალიან კარგი, რომ ყველაფერი ასე მოხდა, თორემ რამდენს დავკარგავდი?!

— ისე, კაცმა რომ თქვას, რა გქვია? — მკითხა მოულოდნელად.

— ჰარი.

— ჰარი? ეს ხომ პატარა ბიჭის სახელია! ისე, მაგ ჭალარის მიუხედავად, მართლაც რომ ბიჭი ხარ, ჰარი! პატარა ბიჭი ხარ და პატრონი გჭირდება. ცეკვის თაობაზე ხმა-კრინტს ალარ დავძრავ. ეს რა არის, თმა როგორა გაქვს დაცარცხნილი? ნუთუ ან ცოლი არა გყავს, ან სატრფო?

— ცოლი ალარა მყავს, გავშორდი. შეყვარებული კი მყავს, მაგრამ სხვისგან ცხოვრობს, იშვიათად ვხვდებით და მაინცდამაინც ვერც ვგუობთ ერთმანეთს.

კბილებშუა ჩუმად დაუსტვინა.

— ეტყობა, საკმაოდ მძიმე ხასიათის ვაკბატონი ბრძანდები, რაკიღა ყველა გაგირბის. ახლა ეს მითხარი, განა რა შეგემთხვა დღეს საღამოს, ისე, რომ ბორგავდი და აქეთ-იქით აწყდებოდი? ეჩხუბე ვინმეს? ან იქნება, ფული წააგე?

ახსნა გამიჭირდა.

— იცით, — წამოვიწყე მე, — ეს ყველაფერი წვრილმანი ამბის გამო მოხდა. ერთმა პროფესორმა თავისთან მიმიპატიჟა, რაკიღა სიტყვამ მოიტანა, ბარელამ იმასაც მოგახსენებთ, რომ თავად პროფესორი არ გახლავართ. ისე, კაცმა რომ თქვას, არ უნდა წავსულიყავი. კარგა ხანია, რაც სტუმრად სიარულსა და ადამიანებთან მუსაიფს გადავეჩვიე, უბრალოდ აღარ შემწევს ამის უნარი. პროფესორთან რომ მივედი, გული უკვე მიგრძნობდა, ამ სტუმრობიდან სახეირო არაფერი გამოვიდოდა. ჭუდი დავკიდე და გავიფიქრე, ალბათ სულ მალე მომიწევს-მეთქი უკან ჩამოღება. ჰოდა, პროფესორს მაგიდაზე სურათი ედგა. იმ სულელური სურათის დანახვაზე ბრაზი მომერია და...

— რა სურათი იყო ასეთი? რაზე გაბრაზდი?— გამაწყვეტინა ქალმა.

— გოეთეს სურათი იყო. გაგიგიათ მწერალი გოეთე? მაგრამ ამ სურათზე ისეთი არ იყო, როგორიც სინამდვილეში. ისე, კაცმა რომ თქვას, აბა ვინ იცის, სინამდვილეში როგორი იყო. აგერ უკვე ასი წელი გავიდა მისი სიკვდილიდან. უბრალოდ ვიღაც თანამედროვე მხატვარმა წარმოიდგინა იგი ასეთად. ამ სურათის დანახვაზე ბრაზი მომერია და საშინელი ზიზღი ვიგრძენი. არ ვიცი, გესმით თუ არა ჩემი?

— დარდი ნუ გაქვს, მშვენივრად მესმის! შემდეგ, განაგრძე!

— მე აქამდისაც არ ვიზიარებდი პროფესორის შეხედულებებს. როგორც თითქმის ყველა პროფესორს, მასაც დიდ მამულიშვილად მოჰქონდა თავი და ომის დროს ყველანაირად უწყობდა ხელს ხალხის გაბიაბრუებას. რა თქმა უნდა, ყველაფერს ალალი გულით სჩადიოდა. მე კი ომის მოწინააღმდეგე გახლავართ. თუმც რაც არის, არის. მაშ გავაგრძელო, არა? ჰოდა, ამ სურათის შეხედვაც არ მინდოდა.

— მართალი ხარ, არ იყო საჭირო.

— მაგრამ ჯერ ერთი, გოეთე შემეცოდა, — რა ვქნა, ძალიან მიყვარს ეს ბერიკაცი, — მეორეც ერთი, თავში გამიელვა... მოკლედ, არ ვიცი, გავიფიქრე თუ რაღაც ამგვარი ვიგრძენი: — ჩემიანად რომ ვთვლიდი, თითქოს ისეთ ხალხში ვიჯექი, მათაც უყვარდათ გოეთე და დაახლოებით ჩემი თვალით უყურებდნენ. და აი, უეცრად დავინახე, როგორ გამოედგათ ეს უხამსი, ყალბი, გულის ამრევი სურათი და ფიქრობდნენ, დიდებული რამ არისო. იმასაც კი ვერ ხვდებოდნენ, რომ ამ სურათის სულს გოეთეს სულთან საერთო არაფერი ჰქონდა. ერთი სიტყვით, მათი ფიქრით, ეს შესანიშნავი სურათი იყო; დაე, ასე ჰგონებოდათ, ეს მათი საქმეა; მე კი საბოლოოდ დავკარგე რწმენა ამ ადამიანებისადმი, ჩამიქვდა მათდამი ყოველგვარი მეგობრობის, სიახლოვისა თუ ერთობის გრძნობა. ისე კი, მეგობრობაო, რომ ვამბობ, ღმერთმა უწყის, რა მეგობრობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. სიბრაზე მომერია და მოვიწყინე. აი, მაშინდა მივხვდი, თურმე სულ მარტო ვყოფილვარ და არავის ესმის ჩემი. თქვენ კი გამიგეთ, განა?

— ჰარი, აბა რა არის აქ გაუგებარი! მერე, მერე რა ჰქენი? თავში არ ჩააფარე ის სურათი?

— არა, რაღაც სისაძაგლეების როშვას მოვყევი და გამოვიქეცი. შინ დავაპირე წასვლა, მაგრამ...

— მაგრამ იქ არ შეგეგებებოდა დედიკო, რომელიც მოგეფერებოდა ან დაგიტატანებდა სულელ ბიჭს. ეჰ, ჰარი, მეცოდები, ჯერ კიდევ მოულოდ ბავშვი ხარ.

მართალია-მეთქი, გავიფიქრე და ქალს თითქოს დავეთანხმე გულში. ღვინის ჭიქა გამომიწოდა, დალიეო. მართლაც მშობელ დედასავით მეჭცეოდა. დროდადრო თვალს შევავლებდი ხოლმე, მაოცებდა მისი სინორჩე და სილამაზე.

— ასე და ამრიგად, — წამოიწყო მან, — გოეთე ასი წლის წინათ მიიცვალა. ჩვენს ჰარის კი ძალიან უყვარს ეს კაცი და მშვენივრად იცის, როგორი იქნებოდა იგი. ჰარის აქვს ამის უფლება, ხომ ასეა? მხატვარს კი, რომელიც ასევე აღფრთოვანებულია გოეთეთი და მწერლის მისეული ხატი შეუქმნია, ეს უფლება არ გააჩნია. ამის უფლება არც პროფესორს აქვს და, საერთოდ, არც არავის, რადგან ჰარის არ სიამოვნებს, ვერ აუტანია ეს! იგი იძულებული ხდება სისაძაგლეები როშოს და ბოლოს გაქცევით უშველოს თავს. ჰარის ჭკუისათვის ცოტა ძალა რომ დაეტანებინა, მხატვარზეც და პროფესორზეც უბრალოდ გაეცინებოდა. შეშლილი რომ ყოფილიყო, სახეში სთხლიშავდა მათ გოეთეს სურათს. მაგრამ იგი მხოლოდ და მხოლოდ პატარა ბიჭია, ამიტომაც შინ გარბის და თავის ჩამოხრჩობა უნდა... ყველაფერი გასაგებია. იცი, ძალზე სასაცილო ამბავი კი გჭირს. როგორ მეცინება! მოიცა, ასე სწრაფად ნუ სვამ! ბურგუნდიული ნელ-ნელა უნდა წრუპო, თორემ უცბად აგივარდება თავში. ჩემო პატარა ბიჭო, შენ რა, ყველაფერი სხვამ უნდა გასწავლოს?

ღვაწლმოსილი აღმზრდელის მზერა ჰქონდა, მკაცრი და გამკიცხავი.

— დიახ, დიახ, — შევძახე გახარებულმა, — მითხარით, მითხარით ყველაფერი.

— რა უნდა გითხრა?

— ყველაფერი, რაც გინდათ.

— კარგი, მაშინ ერთ რაღაცას გეტყვი. აი, უკვე მთელი საათია, „შენობით" გელაპარაკები, შენ კი ისევ „თქვენობით" მომმართავ. ისევ და ისევ ლათინური და ბერძნული! ისევ და ისევ ცდილობ, რაც შეიძლება გაართულო საქმე, თუ ქალი „შენობით" გელაპარაკება და ის არცთუ მთლად უსიამოვნოა შენთვის, შენც ასევე უნდა მიმართო. აი, ზოგიერთი რამ უკვე გაიგე. და კიდევ: ნახევარი საათია ვიცი, რომ ჰარი გქვია. ვიცი იმიტომ, რომ გკითხე. შენ კი არ გინდა იცოდე ჩემი სახელი.

— ო, როგორ არ მინდა, ძალიანაც მინდა.

— ახლა უკვე გვიანაა, ჩემო პატარავ! თუკი ოდესმე შევხვდებით ერთმანეთს, შეგიძლია მაშინ მკითხო. დღეს კი უკვე აღარ გეტყვი. აი ასე, ახლა ცეკვა მინდა.

შევამჩნიე, რომ წამოდგომა დააპირა, და გუნება წამიხდა, შიშმა ამიტანა, ვაითუ წავიდეს და მიმატოვოს-მეთქი. მაშინ ხომ ყველაფერი ისევ ძველებურად იქნებოდა?! მიყუჩებულმა კბილის ტკივილმა რომ იცის, მოულოდნელად ისევ შეგახსენებს თავს და დაგშანთავს. აი, წუთიერად მეც იმ ტკივილივით მომეძალა შიში. ღმერთო ჩემო, განა დამავიწყდა, რა მომელის? განა რაიმე შეიცვალა?

— მოითმინეთ, — შევევედრე, — არ წახვიდეთ! არ წახვიდე! რამდენიც

გინდა, იმდენი იცეკვე, მაგრამ დიდი ხნით ნუ მიმატოვებ. დაბრუნდი, დაბრუნდი!

სიცილ-სიცილით წამოდგა. რატომღაც უფრო მაღალი წარმომედგინა, მაგრამ მაღალი არ ეთქმოდა, თუმცა ტანწერწეტა კი იყო. და აი, კვლავ ვიღაცა გამახსენა. ვინ? ეს ჩემთვის გამოცანად დარჩა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ისევ მოხვალ?

— მოვალ, მაგრამ ალბათ არცთუ მალე. შესაძლოა ნახევარ საათში ან იქნებ ერთ საათშიც. იცი, რას გეტყვი, თვალები დახუჭე და ცოტა წაუძინე, ახლა ძილი მოგიზდება.

განზე გავიწიე, რომ გზა დამეთმო. წავიდა. გავლისას მისი ქვედა კაბა ჩემს მუხლებს შეეხო. გზადაგზა ერთი ბეწო მრგვალი სარკე ამოიღო და ჩაიხედა. წარბები ზემოთ აზიდა, ნიკაპზე პაწია ბუმბულათი პუდრი გადაისვა და საცეკვაო დარბაზში გავიდა. გარშემო მიმოვიხედე: მამაკაცები თამბაქოს ეწეოდნენ; უცხო სახეები, მარმარილოს მაგიდებზე დაღვრილი ლუდი, გნიასი. გვერდით დარბაზში კი საცეკვაო მუსიკა. როგორ მითხრა, უნდა წაუძინოო? ეჰ, ჩემო პატარავ! იცოდე ერთი, როგორი კურდღელივით ფხიზელი ძილი ვიცი! რაო, ამ საგიჟეთში, მაგიდასთან მჯდომმა, ლუდის კათხების ხათქახუთქში წაუძინეო?! არა, არ გამოვა! ერთი ყლუპი ღვინო მოვსვი, ჯიბიდან სიგარა ამოვიღე, ასანთი მოვძებნე თვალით, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მოწევა არ მინდოდა. სიგარა მაგიდაზე დავდე. „თვალები დახუჭე", — მითხრა გოგონამ. ღმერთმა უწყის, საიდან ამოსდის ასეთი ხმა, დაბალი, სიკეთით აღსავსე და მშობლიური. სიამოვნებას მგვრიდა იმის გაფიქრება, რომ ამ ხმას უნდა დავმორჩილებოდი. საბოლოოდ დავრწმუნდი ამაში. მორჩილად დავხუჭე თვალები და თავი კედელს მივაყრდნე. ყურში ათასნაირი ხმები ჩამესმოდა. ჩამეცინა მის ნათქვამზე, აქ დაიძინეო, რომ მითხრა. გადავწყვიტე დარბაზის კარებთან მივსულიყავი და ცალი თვალით შემეხედა, როგორ ცეკვავდა ჩემი მშვენიერი გოგო. მაგრამ წამოსადგომად რომ შევმართე ფეხები, მაშინღა ვიგრძენ, რა უსაშველოდ დაველალე ქუჩაში გაუთავებელ ხეტიალს. აღარ ავმდგარვარ. მერე მის კეთილ ნებას დავყევი, და, აი, უკვე მეძინა. მეძინა ხარბი და მადლიერი ძილით. ისეთ გასხივოსნებულსა და ლამაზ სიზმარს ვხედავდი, კარგა ხანია არ მენახა. მესიზმრებოდა: ძველებურ მისაღებ ოთახში ვიჯექი. თავდაპირველად მხოლოდ ის ვიცოდი, რომ „მის აღმატებულებას" მოახსენეს ჩემს თაობაზე, მერე უცრად გამახსენდა, რომ ბატონ ფონ გოეთეს უნდა მივეღე. სამწუხაროდ, აქ კერძო პირი კი არა, რომელიღაც ჟურნალის კორესპონდენტი ვიყავი, ეს კი საშინლად მაწუხებდა. ვერაფრით ვერ გამეგო, რა ეშმაკად აღმოვჩნდი ამ დღეში. მერე მორიელს მოვკარი თვალი, ჩემს ფეხზე ამოცოცებას ლამობდა. ამანაც საშინლად ამაფორიაქა. რა თქმა უნდა, შევეცადე თავი დამეცვა ამ შავი მწერისაგან და ფეხიდან ჩამოვიბერტყე. ახლა უკვე აღარ ვიცოდი, სად იყო შეყუჟული, და ვერც იმას გბედავდი, მომეთვალიერებინა, კიდევ ხომ არ იყო ჩემზე მოტყუპებული. თან იმის შიშში ვიყავი, ვაითუ შეცდომით გოეთეს მაგივრად ჩემზე მატისონს მოახსენონ-მეთქი, რომელიც სიზმარში ბიურგერში ავურიე და მოლისადმი მიძღვნილი ლექსები მივაწერე. ისე კი მოლისთან შეხვედრა მართლაც რომ სულით და გულით მინდოდა. რა შესანიშნავი ქალი იქნებოდა ალბათ?! აბრეშუმივით ლბილი, მუსიკალური, დაისივით იდუმალი. ნეტა იმ წყეული რედაქციის დავალებით არ ვმჯდარყავი აქ! სულ

უფრო და უფრო მეუფლებოდა უკმაყოფილების გრძნობა. ეს გრძნობა ნელ-ნელა გოეთეზედაც გადავიტანე. რომელმაც ამდენი იჭვი აღმიძრა და სასაყვედურო გამიჩინა. არადა, რა სასიამოვნო შეხვედრა მელოდა! ისე კი მორიელიც არ მენიშნა მაინცდამაინც ცუდად, თუმცა შესაძლოა იქვე ახლომახლო იყო მიმალული და ხიფათიც მელოდა. ასე მეგონა, ეს მორიელი რალაც სასაკლაოს მომასწავებელიც კი იყო, სულ ადვილი შესაძლებელია მოლისთანაც ეკ ჰქონდა რაიმე კავშირი. მორიელი ამ ქალის დესპანად თუ ჰერალდიკურ მხეცად მესახებოდა, დიახ, ქალურობისა და ცოდვილიანობის მშვენიერ და სახიფათო ჰერალდიკურ მხეცად. იქნება ამ მხეცს ვულპიუსი ერქვა? სწორედ ამ დროს კარი გაიღო, წამოვდექი და ოთახში შევედი.

ჩემ წინ მხცოვანი გოეთე იდგა, ჩია და მეტისმეტად თავაზიანი, კლასიკოსის მკერდს ვეება ვარსკვლავის ორდენი ამშვენებდა. გეგონებოდათ, ეს კაცი ყველაფერს გინაგებს საქმეებს, მიღებაც აქვს და ქვეყანასაც ძველებურად მართავს თავისი ვაიმარისეული მუზეუმიდანო. შემომხედა თუ არა, ბებერი ყვავივით დააკანტურა თავი და საზეიმოდ წარმოთქვა: „აბა, ახალგაზრდებო, ვგონებ, მთლად არ უნდა გვეთანხმებოდეთ და ჩვენს მცდელობასაც დიდად არ უნდა იწონებდეთ, არა?“

— დიახ, მართალსა ბრძანებთ, — მივუგე პასუხად და ვიგრძენი, როგორ გამჭოლა მისმა მინისტრისეულმა ცივმა მზერამ. — ჩვენ, ახალგაზრდები, მართლაც არ გეთანხმებით, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. ჩვენი აზრით, ყოველთვის მეტისმეტად საზეიმოდ ხართ განწყობილი, ერთობ ამპარტავანი, გოროზი და არაგულწრფელი ბრძანდებით. დიახ, მთავარი მაინც ის არის, რომ არაგულწრფელი ხართ.

ჩია მოხუცმა გოროზი თავი ოდნავ წინ გადმოსწია, მტკიცედ მოკუმული ბაგე ღიმილმა გაუპო და საოცარი გამოცოცხლება დაეტყო. უეცრად გულმა ძალუმად დამიწყო ძგერა, გამახსენდა ლექსი „ციდან ბინდბუნდი როს ეშვება“, ანაზდად ისიც ვიაზრე, რომ ეს სიტყვები ამ კაცს ეკუთვნის და მის ბაგეთაგანაა თქმული. უნდა მოგახსენოთ, რომ თავი იმავ წამს სრულიად განიარაღებულად ჩავთვალე. ვიგრძენი, რომ დავმარცხდი და მზად ვიყავ მუხლი მომეყარა მის წინაშე. მაგრამ იხტიბარი არ გავიტეხე და მის ღიმილით ნათქვამ სიტყვებს ყური მივუგდე.

— მაშასადამე, არაგულწრფელობას მწამებთ, ხომ? რაზეა ლაპარაკი? ეფრო ზუსტად ხომ ვერ ამიხსნიდით, რას ნიშნავს ეს ყოველივე?

ძალზე მეწადა მისთვის გული გადამეშალა. ნამდვილად მეწადა.

— ბატონო გოეთე, დიდი მოაზროვნე ბრძანდებით, ამიტომაც, თქმა არ უნდა, ნათლად დაინახეთ ადამიანური ცხოვრების მთელი უმეცრება და ამაოება. იგრძენით წამის დიდებულება და მისი უბადრუკი ქრობა, მიხვდით, რომ დიადი გრძნობების მშვენიერებას მხოლოდ ერთი საზღაური შეიძლება ჰქონდეს და ეს საზღაური ყოველდღიურობის დილეგია. დაინახეთ, თუ როგორ ჩაბმულა მწველი სურვილი სულის უფლობისა მარადიულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ასეთსავე მწველსა და წმინდა სიყვარულთან, ბუნების გარდასულ უბიწოებას რომ დასტირის. თქვენ იგრძენით, თუ რაოდენ შემზარავია სიცარიელესა თუ გაურკვევლობასა შინა უაზრო ბორგვა და ამქვეყნიური წარმავლობა. მიხვდით, რომ ამქვეყნად არაფერს არა აქვს დასაბამი და ბოლო, რომ ადამიანის ცხოვრება დილეტანტური ცდაა მხოლოდ, — ერთი სიტყვით, შეიგრძენით

ადამიანური ყოფის მთელი ამაოება, უცნაურობა და მწველი სასოწარკვეთა. ეს ყველაფერი მშვენივრად იცოდით და ხანდახან კიდევაც აღიარებდით, მაგრამ მთელი თქვენი პირადი ცხოვრებით კი მაინც სრულიად სპირისპიროს ქადაგებდით. გეწადათ დღენიადაგ რწმენით და იმედით აღსავსე ყოფილიყავით. თვალთმაქცობდით საკუთარი თავისა და სხვების წინაშე, და იმის მტკიცებას ლამობდით, თითქოსდა ჩვენი სულიერი მცდელობანი მარადიული ყოფილიყოს და რაღაც აზრი ჰქონოდეს. თქვენ უარყოფდით და თრგუნავდით მათ, ვისაც სიღრმის შეცნობა ეწადა, და საკუთარ სულშიაც ისევე ახშობდით სასოწარკვეთილი სიმართლის ხმებს, როგორც კლაისტსა და ბეთჰოვენში. ათეულ წლობით ისე გეჭირათ თავი, თითქოს ახლის შემეცნება, კოლექციების შეგროვება და წერილების წერა, —ერთი სიტყვით, ვაიმარში გატარებული მთელი თქვენი ცხოვრება, — მართლაც წამის უკვდავყოფის დადასტურება ყოფილიყოს — სინამდვილეში კი მხოლოდ ამ წამის მუმიფიცირება გეწადათ, რათა ბუნებისათვის სული ჩაგედგათ. არადა, მხოლოდ ფერუმარილით ალამაზებდით. აი, სწორედ ამ არაგულწრფელობასაა, რომ გიკიჟინებთ.

მოხუცმა საიდუმლო მრჩეველმა დაფიქრებით შემომხედა. ბაგეზე ჯერ ისევ დასთამაშებდა ღიმილი. მერე, ჩემდა გასაოცრად, მკითხა:

— რაკი ასეა, მაშინ მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტაც“ მაინცდამაინც არ უნდა გეხატებოდეთ გულზე, არა?

და ვიდრე შეევეპასუხებოდი, განაგრძო:

— „ჯადოსნური ფლეიტა“ თავად ცხოვრების ხმატკბილი სიმღერაა. იგი ჩვენს წარმავალ გრძნობებს ასხამს ხოტბას და მათ მარადიულად და ღვთაებრივად გვისახავს. იგი არც ბატონ ფონ კლაისტს ეთანხმება და არც ბატონ ბეთჰოვენს, უბრალოდ იმედსა და რწმენას ქადაგებს.

— ვიცი, ვიცი! — წამოვიძახე გააფთრებით, — ღმერთო ჩემო, რაღა სწორედ მაგ „ჯადოსნურ ფლეიტას“ მიადექით, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს! მაგრამ, მოგეხსენებათ, მოცარტს ოთხმოცდაორ წლამდე არ უცოცხლია და არც თქვენებრ ესწრაფოდა მარადიულობას, წესრიგსა და გოროზ ღირსებას. არც თქვენებრ ამპარტავანი ყოფილა! ღარიბი იყო, არაკრაკებდა თავის ღვთაებრივ ჰანგებს, სახელი და დიდება არ ღირსებია, დროზე ადრე ამოხდა სული სიღარიბეში...

სუნთქვა შემეკრა. სათქმელი ბევრი მქონდა და ყველაფერი ათიოდ სიტყვაში უნდა ჩამეტია. შუბლზე ოფლმა დამასხა.

გოეთემ კი ძალზე გულთბილად მითხრა:

— ალბათ არ მეპატიება, ოთხმოცდაორი წელი რომ ვამძიმებდი დედამიწას. თქვენ გგონიათ, მე კი ძალიან მსიამოვნებდა ეს ამბავი?! მართალი ბრძანდებით: დღეგრძელობას ყოველთვის ვესწრაფოდი, სიკვდილისა მუდამ მეშინოდა და ვებრძოდი. სიკვდილთან ბრძოლა და სიცოცხლისკენ გარდუვალი, დაუცხრომელი სწრაფვა იმ პირველმიზეზად მიმაჩნია, რომლის ძალითაც მოქმედებს და ცხოვრობს ყველა ცნობილი ადამიანი. მაგრამ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ის, რომ საბოლოოდ ყველანი მაინც სიკვდილის შვილები ვართ, ოთხმოცდაორი წლის ასაკშიც ისე მშვენივრად დავამტკიცე, ვითომც ჭაბუკი მოვმკვდარიყავი. თავის გასამართლებლად კი, თუკი ეს, რა თქმა უნდა, თავის გამართლებად შეიძლება ჩაითვალოს, აი, კიდევ რას ვიტყოდი: ძალზე ბავშვური ბუნების ვიყავი; მეტისმეტი ცნობისმოყვარეობითა და ანცობით გამოვირ-

ჩეოდი, თანაც დროის ფლანგვა მიყვარდა. ამდენი დრო სწორედ იმისთვის დამჭირდა, დავრწმუნებულიყავი, უკვე კმარა-მეთქი თამაში.

ამას ამბობდა და თან ძალზე ანცური, თითქმის თავხედური ღიმილით ეღიმებოდა. უეცრად, თითქოს ტანი აიყარაო, გოეთე გამაღლდა ხან ვაიზარდა, სადღაც გაჰქრა მისი გორიზი მიხრა-მოხრა და გაბღენძილი გამოძეტყველება. ჩვენ ირგვლივ სივრცე გოეთეს ლექსებზე შექმნილი ჰანგებით აივსო. ცხადად ჩამესმა ყურში მოცარტის „ია" და შუბერტის „ქვლავ ტყე-ველებზე". გოეთეს სახე გავარდისფერებოდა და თითქოს გაახალგაზრდავებულიყო კიდეც. იცინოდა და ღვიძლი ძმასავით ემსგავსებოდა ხან მოცარტს, ხან კი ბეთჰოვენს. მოხუცის გულმკერდზე მიბნეული ვარსკვლავი მინდვრის ყვავილების თაიგულად ქცეულიყო, მის შუაგულში კი ლამაზად, დიდებულად ყვაოდა ყვითელი ფურისულა.

სულაც არ მაძლევდა ხელს ის ამბავი, რომ მოხუცი ხუმრობა-ხუმრობით იძვრენდა თავს ჩემი შეკითხვებისა და ბრალდებებისგან. საყვედურით შევხედე. მაშინ იგი ჩემკენ გადმოიხარა, ყურთან მომიტანა ბავშვურად მომუწული პირი და წამჩურჩულა:

— ჩემო ბიჭუნავ! გიტყობ, ერთობ სერიოზული თვალით უყურებ მხცოვან გოეთეს. იმქვეყნად წასულ მოხუცს არ შეიძლება ასე უყურო კაცმა. ეს უსამართლობაა. უკვდავებაში გარდასულთ არ გვიყვარს, რაიმეს მეტისმეტი სერიოზულობით რომ ეკიდებიან. ჩვენ ოხუნჯობის ტრფიალი გახლავართ. ჩემო ბიჭუნავ, სერიოზულობა დროის ატრიბუტია* და მას დროის გადაჭარბებული შეფასება იწვევს. ერთი ხანობა მეც დიდად ვაფასებდი დროს, ამიტომაც მინდოდა ასი წლის ასაკამდე მიმეღწია. მარადისობაში კი, ალბათ მოგეხსენება, დრო არ არსებობს. მარადისობა მხოლოდ და მხოლოდ წამია, ერთხელ წასაოხუნჯებლად რომ ეყოფა კაცს.

მასთან სერიოზულ ლაპარაკს აზრი აღარ ჰქონდა. მხიარული ცეკვა-ცეკვით დაჰქროდა აქეთ-იქით, ხოლო მისი ვარსკვლავიდან ამოყელყელავებული ფურისულა ხან შუშხუნასავით ამოვარდებოდა, ხან კი დაპატარავდებოდა და გაქრებოდა. გოეთე დიდებულად ცეკვავდა. უნებურად გავიფიქრე, ამ კაცს ასე თუ ისე შემთხვევა არ გაუშვია ხელიდან, ცეკვა ესწავლა-მეთქი, ყველაფერი ოსტატურად გამოსდიოდა. აი, ამ დროს ისევ გამახსენდა მორიელი. უფრო სწორად, მოლი და გოეთეს მივაძახე: მითხარით, მოლი აქ ხომ არ არის-მეთქი?

გოეთემ გადაიხარხარა. მაგიდასთან მივიდა, და ერთ-ერთი უჯრიდან ტყავისა თუ ხავერდის ძვირფასი ზარდახშა ამოიღო, მერე გახსნა და თვალებთან მომიტანა. შიგ, შავ ხავერდზე ქალის პაწაწინა, უზადო და მშვენიერი ფეხი კიაფობდა, მუხლში ოდნავ მოხრილი; დაჭიმულ ტერფზე ნაზად იკვეთებოდა თითების ხაზი. ამ პაწია ფეხმა მთელი არსებით მომაჯადოვა. ვიფიქრე ყუთიდან ვიღებ-მეთქი, მაგრამ როგორც კი მისკენ წავიღე ხელი და ორი თითის მოვლება დავაპირე, სათამაშო თითქოს უკან გახტაო. უეცრად ეჭვი დამებადა, ეს წეღანდელი მორიელი ხომ არ არის-მეთქი. გოეთე თითქოს მიმიხვდა ნააზრევს; ვგონებ, სწორედაც ჩემი შეცბუნება უნდოდა, ჩემს სურვილსა და შიშს შორის გამართული, გაშმაგებული ორთაბრძოლის მოწმედ გახდომა ეწადა.

მან პატარა მშვენიერი მორიელი პირდაპირ სახესთან მომიტანა. შემატყო, თავდაპირველად მისი აღების ჟინმა რომ შემიპყრო, მაგრამ მერე შიშით უკან გადავქანდი, და ამან, ეტყობა, დიდი სიამოვნება მოჰგვარა. ერთხანს კიდევ

ცდილობდა შევეშინებინე და თან მივეტყუებინე თავისი მშვენიერი, სახიფათო სათამაშოთი, ვიდრე უეცრად ისევ არ დაბერდა. თმა თოვლივით გაუთეთრდა, ჩამომჭკნარი სახე კი, ათასწლოვანი და ძველთაძველი, უბრალო, კუშტად და თან იდუმალად უცინოდა და მასში ღრმააზროვანი ბებრული იუმორი გამოსჭვიოდა.

სიზმარი გამოღვიძებისთანავე მიმავიწყდა და მხოლოდ შემდეგ მოგვიანებით გამახსენდა. ალბათ ერთი საათი თუ მეძინა ამ რია-რიასა და მუსიკის გრიალში. არაფრით არ მეგონა, ასეთი რამ თუ დამემართებოდა და რესტორანში მაგიდასთან დამეძინებოდა. ის მშვენიერი გოგონა თავზე დამდგომოდა და ხელი მხარზე დაედო ჩემთვის.

— ორი-სამი მარკა უნდა მომცე, — მითხრა მან, — იქ ცოტა რაღაც წავისუსნე.

საფულე მივეცი. წავიდა და ისევ მალე დაბრუნდა.

— მაშ ასე, ახლა ცოტა ხანს კიდევ შემიძლია ვიჯდე შენთან, მერე კი უნდა წავიდე, პაემანი მაქვს დანიშნული.

შემეშინდა.

— კი მაგრამ, ვისთან? — ვკითხე სწრაფად.

— ერთ კაცთან, ჩემო პატარა ჰარი. ბარში ვარ დაპატიჟებული. „ოდეონში“ მივდივარ.

— ო, მე კი მეგონა, მარტოს არ დამტოვებს-მეთქი .

— თუ ასე გინდოდა, მაშინ თვითონ უნდა დაგეპატიჟე. როგორც ხედავ, დაგასწრეს. არა უშავს, სამაგიეროდ ფულს დაზოგავ. „ოდეონში“ ყოფილხარ? შუალამე რომ გადავა, იქ მხოლოდ შამპანურს სვამენ. ერთობ მდიდრული რესტორანია: რბილი საკარძლები, ზანგი მომღერლები...

ეს კი ვეღარ გავითვალისწინე.

— ოჰ, მაშ მომეც ნება დაგპატიჟო. — შევღაღადე ქალს. — რატომღაც მეგონა, ეს თავისთავად იგულისხმებოდა. ჩვენ ხომ უკვე მეგობრები ვართ! ნება მომეც დაგპატიჟო! ოღონდ კი რამე მოისურვე! ძალიან გთხოვ!

— ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ ხომ იცი, სიტყვა სიტყვაა. რაკი შევპირდი, უნდა წავიდე, ტყუილუბრალოდ ნულარ შეიწუხებ თავს! უმჯობესია ერთი ყლუპი მოსვა, ბოთლში ცოტა ღვინო კიდევ დარჩა. აი, ახლა ამასაც დალევ, მერე შინ წახვალ და დაიძინებ. აბა, სიტყვა მომეცი!

— არა, არა, გაიგე, რომ შინ წასვლა არ შემიძლია!

— ოჰ, პირდაპირ გააჭირე საქმე წუწუნით! რაო, ჯერ კიდევ ვერ გაუსწორე ანგარიში იმ შენს გოეთეს? — (იმ წუთს ჩემი სიზმარი გამახსენდა). — თუ შინ მართლა არ შეგიძლია წასვლა, მაშინ აქ დარჩი. ოთახები აქვთ და მოგცემენ. გინდა ნომერი შევუკვეთო შენთვის?

გამეხარდა და ვკითხე, კიდევ როდის შეიძლება შენი ნახვა ან სად ცხოვრობ-მეთქი. არ მითხრა. ცოტა თავს თუ შეიწუხებ და მომძებნი, მიპოვიო.

— შეიძლება დაგპატიჟო?

— სად?

— სადაც გინდა და როცა გინდა.

— კეთილი, სამშაბათს „მოხუც ფრანცისკელში“ ვივახშმოთ, მეორე სართულზე. ნახვამდის!

ქალმა ხელი გამომიწოდა და მხოლოდ ახლა მივაქციე ყურადღება მის

ლამაზ, ხორცსავსე, თან ჭკვიანსა და კეთილ ხელს, ასე რომ ეხამებოდა მის ხმას. ხელზე რომ ვაკოცე, დამცინავად გაიღიმა.

წასვლის წინ ერთხელ კიდევ მომიბრუნდა:

— გოეთეს თაობაზე კი, იცი, რას გეტყვი? მისი სურათის დანახვამ ასე რომ გაგაცოფა, ასეთი რამ მეც მემართება ხოლმე ხანდახან წმინდანების დანახვაზე.

— წმინდანების დანახვაზეო? შენ რა, ღვთისმოსავი ხარ?

— არა, ღვთისმოსავი, სამწუხაროდ, არა ვარ, თუმცა ერთ დროს კი ვიყავი, და ალბათ ოდესმე ისევ გავხდები. ღვთისმოსაობას ხომ დრო სჭირდება?!

— დრო სჭირდებაო? ამას რა დრო უნდა?

— უნდა და მერე რამდენი! ღვთისმოსავ კაცს დრო უნდა ჰქონდეს ბევრი, უფრო მეტიც, დროზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. არ შეიძლება ღმერთი ჭეშმარიტად გწამდეს და სინამდვილით ცხოვრობდე, თანაც ამ სინამდვილეს — დროს, ფულს, „ოდეონს“, — სერიოზული თვალით უყურებდე.

— გასაგებია, მაგრამ რაო, რას ამბობდი, წმინდანებზე რა მემართებაო?

— ჰო, ზოგი წმინდანი გამორჩეულად მიყვარს. აი, მაგალითად: წმინდა სტეფანე, წმინდა ფრანცისკი და კიდევ სხვები. ზოგჯერ ამ წმინდანების, მაცხოვრის ან ღვთისმშობლის სურათის დანახვაზე ვგრძნობ, რა საოცრად არაბუნებრივი, ყალბი და სულელური გამომეტყველება აქვთ. ჰოდა, მათი შეხედვა ზუსტად ისევე მირევს ხოლმე გულს, შენ რომ გოეთეს სურათზე დაგემართა. მაცხოვრის ან წმინდა ფრანცისკის დათაფლულ, მოსულელო სახეებს რომ შევხედავ და წარმოვიდგენ, ხალხს რა მშვენიერი და ამაღლებული ეჩვენება ისინი, ეს მაცხოვრის შეურაცხყოფად მიმაჩნია და ვფიქრობ: ნუთუ ამ საბრალომ იმიტომ იცხოვრა და იტანჯა ამქვეყნად ასი საშინლად, რომ შემდეგ ადამიანებს ამ სულელური სახისათვის ეცქირათ და კმაყოფილება ეგრძნოთ-მეთქი? მაგრამ ისიც მესმის, რომ ჩემი მაცხოვრისა თუ ფრანცისკის ხატსაც ბოლოდ ვიღაც ადამიანის სახე აქვს და მის პირველსახემდე ვერ მივა; ვიცი, რომ თავად მაცხოვარსაც ეს ჩემეული ხატი ისევე სულელური და უბადრუკი მოეჩვენებოდა, მე რომ მეჩვენება ეს დათაფლული სახეები. არ იფიქრო, ამას იმიტომ გეუბნები, თითქოს გამართლებდე. გოეთეს სურათმა რომ გაგაჯავრა და აღგაშფოთა, რა თქმა უნდა, აქ მართალი არა ხარ. ამას იმიტომ გეუბნები, რომ დაგანახო, შენი გაგება შემიძლია-მეთქი. თქვენ, მეცნიერებისა და ხელოვნების მსახურთ თავი ათასგვარი უცნაური აზრებითა გაქვთ გამოტენილი, მაგრამ, საბოლოოდ, თქვენც ისეთივე ადამიანები ხართ, როგორც სხვა დანარჩენები. ჰოდა, ამ სხვა დანარჩენებსაც გაგვაჩნია ჩვენეული ოცნებები თუ თავსატეხი თამაშობანი. ჩემო ჭკუის კოლოფო, შეგატყვე, როგორ შეცბი, გოეთეს ამბის მოყოლა რომ დაიწყე. ალბათ იფიქრე, რა ვქნა, ამ მდაბიო გოგოს ასეთ მალალფარდოვან ამბებზე როგორ ველაპარაკო, რომ გავაგებინო. მაგრამ მინდა იცოდე, ტყუილად წუხდი. მშვენივრად მესმის, რის თქმაც გინდოდა. ახლა კი კმარა, უნდა დაიძინო!

ქალი წავიდა. მე კი მოხუცმა მსახურმა მეორე სართულზე ამიყვანა. უფრო სწორად, ჯერ მკითხა, ბარგი ხომ არა გაქვსო, და, როცა გაიგო, თან არაფერი ჰქონდა, წინასწარ გამომართვა გასამრჯელო, რასაც მის ენაზე „ღამისსათევი ფული“ ერქვა. მერე დანჯღრეული კიბით ოთახში ამიყვანა და მარტო დამტოვა. იქ ერთი ძველისძველი ხის საწოლი იდგა, საოცრად მოკლე და ხმელი, კე-

დელზე კი ხმალი და გარიბალდის ფერადი სურათი ეკიდა. იქვე, სურათის გვერდით დამჭკნარი გვირგვინი შევნიშნე; ეტყობა, რომელიღაც კლუბს დღესასწაული ეზეიმა და იქიდან შემორჩენილიყო. საღამური პერანგი ბინატრე გულში. კიდევ კარგი, წყალი და პატარა პირსახოცი მაინც იყო, ისე რომ, დაბანა შემეძლო. დავიბანე თუ არა, ჩავიცვი და ისევე მივწექი ლოგინზე. სინათლე არ ჩამიქრია. ახლა შემეძლო მშვიდად მივცემოდი ფიქრებს. ამრიგად, გოეთესთან, როგორც იქნა, მოვაგვარე საქმე. რა ბედნიერებაა, რომ სიზმარში გამომეცხადა! რა მშვენიერი გოგონა იყო! ის მაინც ვიცოდე, რა ჰქვია! საოცარია. უეცრად საიდან მომევლინა ადამიანი, ცოცხალი ადამიანი, რომელმაც დაამსხვრია ჩემი მიმქრალი არსებობის მყიფე ნაჭუჭი და ხელი გამომიწოდა! დიახ, კეთილად გამომიწოდა თავის მშვენიერი, თეთრი ხელი! ანაზდად კვლავ გამიჩნდა საფიქრალი, კვლავ შემეძლო რაღაცაზე სიხარულით, აღელვებითა და შთაგონებით მეფიქრა! განიხვა კარი და იქიდან სიცოცხლე შემოიჭრა! ახლა კი ვიფიქრე, ალბათ კვლავ შემიძლია ვიცოცხლო და თავი ადამიანად ვიგრძნომეთქი. სიცივეში მთვლემარე, თითქმის უკვე გაყინულმა ჩემმა სულმა კვლავ თავისუფლად ამოისუნთქა; უილაჯოდ კვლავ ააფაფხურა თავისი უმწეო, ბაწია ფრთები. ჯერ იყო და გოეთე გამომეცხადა, მერე იმ გოგონამ ჭამა-სმა და ძილი მიბრძანა, სულითა და გულით მითანაგრძნო, დამცინა და პატარა, სულელი ბიჭი მიწოდა. ჩემმა ნანატრმა მეგობარმა წმინდანებზეც მიამბო. გამაგებინა, რომ მარტო მე არ მომდის თავში უცნაური აზრები და გამოწაკლისს არ წარმოვადგენ, რომ მეც შეიძლება მყავდეს თანამოაზრენი, ჩემიც შეიძლება ესმოდეს ადამიანს. ნუთუ ველარ ვნახავ? რა თქმა უნდა, ვნახავ. მას შეიძლება დაენდოს კაცი. „სიტყვა სიტყვაა“, ხომ მითხრა.

აი, ისევ ჩამთვლიმა. ოთხი თუ ხუთი საათი მეძინა. ათიდან გადასული იქნებოდა, რომ გამომეღვიძა. ტანისამოსი დაჭმუჭნული მქონდა, ტანში მამტვრევდა და საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი. ტვინს მიბურღავდა წინა დღის საშინელი მოგონებები, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ცოცხალი ვიყავი, თავში იმედიანი, სასიამოვნო აზრები მიტრიალებდა. ქუჩაში გამოსული იმ შიშის ჩატამალსაც კი აღარ ვგრძნობდი, გუშინ შინ დაბრუნებაზე გაფიქრებისას რომ მიპყრობდა.

არაუკარიის ზემოთ, კიბეზე „დეიდას“, ესე იგი ჩემს დიასახლისს შევეფეთე. საერთოდ იშვიათად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ ამ ქალის გულიჩილი და ალერსიანი მოპყრობა გულს ყოველთვის ელამუნებოდა. ამჯერად კი მისი დანახვა არ მეამა. რაც უნდა იყოს, ღამენათევი, თმადაუვარცხნელი და წვერგაუპარსავი ვიყავი, ერთი სიტყვით, საკმაოდ უბადრუკი შესახედავი. კაცმა რომ თქვას, დიასახლისი მუდამ მიწევდა ანგარიშს, მუდამ ცდილობდა არ დაერღვია ჩემი სიმყუდროვე და ზედმეტი ყურადღებით არ შევეწუხებინე. დღეს კი ჩემსა და გარე სამყაროს შორის თითქოს ზღუდე გაირღვა და ჩამოინგრაო, — დეიდამ გაიცინა და ნაბიჯი შეანელა:

— ბატონო ჰალერ, ძალიან კი დასეირნობთ, აი! ღამეც არ ბრძანდებოდით შინ. ალბათ მეტისმეტად გადაიღალეთ, არა?

— დიახ, — მივუგე და თავს ძალა დავატანე, გამეცინა, — ერთობ მოუსვენარი და შფოთიანი ღამე მქონდა. მაგრამ რაკიღა არ მინდოდა თქვენი ოჯახის ადათ-წესები დამერღვია და შინ გვიან დავბრუნებულიყავი, ღამე სასტუმროში გავათენე. მოგეხსენებათ, რა დიდად ვცემ პატივს თქვენს ოჯახურ სიმყუდროვე-

ს და წესრიგს. ჩემი თავი ამ სახლში ხანდახან უცხო რამ ფრინველიც კი მგონია ხოლმე.

— ნუ დამცინით, ბატონო ჰალერ!

— ეჰ, მე მხოლოდ საკუთარ თავს დავცინი.

— აი, სწორედ ეგ არ ვარგა. ჩემს სახლში სულაც არ უნდა [illegible] თავს „უცხო ფრინველად". იცხოვრეთ, როგორც გენებოთ და [illegible] [illegible]ბოდეთ. ძალიან ბევრი წესიერი მდგმური მყოლია, მაგრამ თქვენისთანა წუნარი ადამიანი ჯერ არ შემხვედრია, არასოდეს შეგიწუხებივართ; ჩაის ხომ არ მიირთმევდით ახლა?

უარი აღარ მითქვამს. ჩაი წინაპრების ლამაზი სურათებითა და მამამაპური ავეჯით მორთულ სასტუმრო ოთახში მომართვეს. ცოტა წავისაუბრეთ. კეთილ დიასახლისს არაფერი უკითხავს, მაგრამ რატომღაც მისთვის ფიქრების გაზიარება მომინდა და საკუთარი სურვილით მოვუყევი ზოგ-ზოგი ამბავი ჩემი ცხოვრებიდან.

დიასახლისი დედობრივი გულისყურითა და ყურადღებით კი მისმენდა, მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მეუბნებოდა: აბა, ეს ამბები რა აინუნში ხასაგდებიაო, როგორც ეს გონიერ ქალებს სჩვევიათ ხოლმე, როცა ლაპარაკი მამაკაცის ახირებულობაზე ჩამოვარდება. მერე მის ძმისწულზე შევყევით საუბარს. დიასახლისმა მეზობელ ოთახში გამიყვანა და მისი ბოლოდროინდელი ნახელავი — რადიოაპარატი მაჩვენა; ყმაწვილი კაცი ახლა უმავთულო კავშირის იდეას გაეტაცა და ხელსაწყო საკუთარი ხელით დაემზადებინა. სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ თურმე მთელი საღამოები მას ჩაჰკირკიტებდა, ეტყობა, ტექნიკის ღმერთს ეთაყვანებოდა. ამ ღმერთს კი ათასობით წლები დასჭირდა, რათა შეექმნა და საკმაოდ არასრულყოფილად წარმოეჩინა ის, რაიც ყოველთვის მშვენივრად იცოდა და რითაც ყოველთვის ბევრად უფრო გონიერულად სარგებლობდა ყოველი მოაზროვნე ადამიანი. ამ საკითხზე კარგა ხანს ვსაუბრობდით, რადგან დეიდა, ცოტა არ იყოს, ღვთისმოსავი ქალი იყო და ძალიან უყვარდა რელიგიურ თემებზე საუბარი. მე ვუთხარი, ნებისმიერი ძალისა და მოქმედების ყველგანმყოფლობის არსი შესანიშნავად ესმოდათ ძველ ინდოელებს, ტექნიკამ კი საყოველთაო ცნობიერებამდე ამ ფენომენის მხოლოდ მცირე ნაწილი მიიტანა და ბგერითი ტალღების გამოსავლენად ჯერჯერობით საოცრად არასრულყოფილი მიმღები და გადამცემი შექმნა-მეთქი. თვით ამ ძველი ცოდნის არსი, დროის არარეალურობა, ტექნიკას დღემდე არ შეუნიშნავს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ბოლოს და ბოლოს ამასაც „აღმოაჩენს" და იგი საქმიან ინჟინრებს ჩაუვარდებათ ხელში. ალბათ შორს აღარაა ის დრო, როცა დაადგენენ, რომ ჩვენ გამუდმებით მხოლოდ ახლანდელი, ამ წუთას არსებული სურათების და მოვლენების სამყაროში როდი ვცხოვრობთ, —როგორც, მაგალითად, ახლა პარიზიდან და ბერლინიდან გადმოცემულ მუსიკას ფრანკფურტში ან ციურიხში ვუსმენთ, — მალე აღმოჩნდება, რომ ოდესღაც მომხდარი ამბებიც ასევე აღინუსხება და გასაქრობად არაა განწირული. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ალბათ შევძლებთ მავთულიანი თუ უმავთულო ტექნიკის წყალობით, ბგერითი ხარვეზებითა თუ უხარვეზებოდ მოვისმინოთ, როგორ ლაპარაკობენ სოლომონ მეფე ანდა ვალტერ ფონ დერ ფოგელვაიდე. მაგრამ ეს ყველაფერი, დღევანდელი რადიოს ჩანასახის მსგავსად, ადამიანს მხოლოდ იმაში დაეხმარება, რომ გაექცეს საკუთარ თავსა და მიზნებს და სულ უფრო მე-

ტად გაიხლართოს დროსტარებისა თუ უაზრო მოუცლელობის ქსელში-მეთქი. ახლა ყველაფერ ამაზე გამჭირდებოდა და დაცინვით კი არ ვლაპარაკობთ, როგორც საერთოდ მჩვეოდა ჩვენს დროებასა და ტექნიკაზე საუბრის დროს: ამ ჩემთვის კარგად ნაცნობ საკითხებზე ხუმრობა-ხუმრობით, ლაღად ვყვებოდი, დეიდა კი იღიმებოდა. მთელი საათი გავატარეთ ასე. ვსვამდით ჩაის და სიამოვნებით ვსაუბრობდით.

ის მშვენიერი, საოცარი გოგონა, „შავ არწივში" რომ გავიცანი, სამშობლოს საღამოსთვის მყავდა დაპატიჟებული. მაგრამ არ გინდოდა იმ დრომდე გაძლება! ლოდინი კი მართლაც ძალზე გამიჭირდა. ხოლო როცა ბოლოს და ბოლოს სამშობლოთიც დადგა, ძრწოლვით მივხვდი, თურმე რაოდენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი ჩემს შემდგომ ურთიერთობას უცნობ გოგონასთან. მხოლოდ მას დასტრიალებდა ჩემი ფიქრები, ათასნაირ იმედებს ვამყარებდი ამ ქალზე. მზად ვიყავ ფეხებში ჩავვარდნოდი და მსხვერპლად შემეწირა ყველაფერი, თუმცა ვერ ვიტყოდი, შეყვარებული ვარ-მეთქი; წარმოვიდგენდი თუ არა, რომ შეიძლება სიტყვა გაეტეხა, ანდა გადავიწყებოდა ჩვენი პირობა, აშკარად დამიდგებოდა თვალწინ, რაც მელოდა; კვლავ უნდა დაცარიელებულიყო სამყარო, მდორედ მიჰყოლოდა ერთმანეთს უფერული დღეები, კვლავ დამუფლებოდა სიჩუმისა და კვდომის შემზარავი გრძნობა და ამ მდუმარე ჯოჯოხეთიდან ხსნას მხოლოდ სამართებელი თუ შემაძლებინებდა. სამართებლის შიში კი ამ რამდენიმე დღეში სრულიადაც არ გამნელებია, მას უწინდებურად ვყავდი თავის კლანჭებში მომწყვდეული. ყველაზე ამაზრზენი კი სწორედ ეს იყო: ისე საშინლად, არაადამიანურად მეშინოდა ყელის გამოღადვრისა, ისე ჯიქურ, გაშმაგებითა და ჭირვეულად ვებრძოდი სიკვდილს, თითქოს ჩემი ცხოვრება წალკოტი ყოფილიყოს, მე კი ერთი ბედისნებიერი კაცი. მთელი სიცხადით წარმოვიდგინე ჩემი მდგომარეობა. მივხვდი, რომ „შავ არწივში" გაცნობილი პატარა, მშვენიერი გოგონა ყოფნა-არყოფნას შორის აუტანელ ჭიდილს გაეხადა ჩემთვის ესოდენ აუცილებელი. იგი ჩემი შიშის ბნელ გამოქვაბულში გამოჭრილი ბაწია ხვრელი თუ სარკმელი იყო. ვგრძნობდი, ის იყო ჩემი ხსნა, მხოლოდ მას ძალუძდა გავეყვანე თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე. ამ ქალს უნდა ესწავლებინა, როგორ მეცხოვრა ან როგორ მოვმკვდარიყავი, თავისი მშვენიერი, მტკიცე ხელით უნდა შეხებოდა ჩემს გათოშილ გულს, რათა სიცოცხლეს ნაზიარები ეს გული ან ძველებურად აძგერებულიყო, ან საბოლოოდ ჩაფერფლილიყო .არ ვიცოდი, როგორ დაესადგურა ამ ქალში ასეთ ძალას, საიდან ჰქონდა ეს ჯადო-თილისმა, რა იდუმალი მიზეზი არსებობდა იმისა, რომ ასეთ ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა ჩემზე?! არ ვიცოდი და არც მინდოდა მცოდნოდა. განა რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა ახლა ამას? აღარც გაგება მეწადა არაფრის და აღარც ცოდნა. ყველაფერი მოყირჭებული და ყელში ამოსული მქონდა. სწორედ იმიტომ იყო ჩემთვის ასე მომაკვდინებელი, დამამცირებელი და სამარცხვინო ეს ტანჯვა, რომ ასე თვალნათლივ ვხედავდი, ასე აშკარად შევიგრძნობდი საკუთარ მდგომარეობას. ცხადლივ ვხედავდი, ეს ყმაწვილი, ეს გაველურებული ტრამალის მგელი აბლაბუდაში მოქცეული ბუზივით როგორ აწყდება აქეთ-იქით. ვგრძნობდი, რომ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. აი, ობობა სადაცაა ზედ დააცხრება სისხლის გამოსაწოვად, ის კი უმწეოდ ეფაფხურება აბლაბუდის კედლებს. მაგრამ იქვე, მის ახლოს, საშველად გამოწვდილ ხელსაც ვხედავდი. შემეძლო ძალზე გონივ-

რულად და საქმის ღრმა ცოდნით მელაპარაკა ჩემი ტანჯვის, სულით ავადმყოფობის, სიგიჟისა თუ ნევროზის მიზეზ-შედეგებზე. ამ საქმეში მშვენივრად ვიყავ ჩახედული. მაგრამ ახლა ცოდნა და გაგება სულაც არ მჭირდებოდა — ასეთი სასოწარკვეთით ამისაკენ როდი ვილტვოდი! ახლა მე შთაბეჭდილებების, გადაწყვეტილების, ბიძგისა და ნახტომის წადილით ვიყავ შეპყრობილი.

იმ მოლოდინის დღეებში ოდნავაც არ შემპარვია ეჭვი, რომ ჩემი ნაცნობი გოგონა აუცილებლად მოვიდოდა. მაგრამ ბოლო დღეს მაინც ძალზე ავღელდი და რწმენამ მიმტყუნა. ჩემს სიცოცხლეში არ დავლოდებივარ საღამოს ასე მოუთმენლად. და თუმცა დაძაბულობა და მოუთმენლობა ერთობ აუტანელი იყო, ეს ყველაფერი ამავე დროს საოცრად კეთილისმყოფლად მოქმედებდა ჩემზე; თითქოს უეცრად გამოვფხიზლდიო; მე, ვინც უკვე დიდი ხანია კარგს არაფერს ველოდი და ალარაფერი მახარებდა, თავს ბედნიერად ვგრძნობდი, რომ ასეთ შიშსა, წუხილსა და დაძაბულ მოლოდინში გავატარე მთელი დღე. მოუსვენრად ვაწყდებოდი აქეთ-იქით, წარმოვიდგინე კიდეც, რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა დღევანდელ საღამოს, როგორ გავიპარსავდი წვერს და გამოვეწყობოდი (განსაკუთრებული გულმოდგინებით, ჩავიცვამდი ახალ პერანგს, გავინასკვავდი ახალ ჰალსუტხს ,ახალ ზონრებს გავუყრიდი ფეხსაცმელს) დაე, ვინც უნდა ის ყოფილიყო ეს ჭკვიანი და იდუმალი გოგონა, როგორც უნდა ისე წარმართულიყო ჩვენი ურთიერთობა, ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო. მთავარია, რომ იგი არსებობდა, რომ მოხდა სასწაული, კვლავ ვიპოვე ჩემთვის საჭირო ადამიანი და ცხოვრებამ კვლავ ახალი ძალით გამიტაცა! მთავარი იყო, რომ ყოველივე ამას თავისი გაგრძელება ჰქონოდა, რომ მივეცემოდი ამ გატაცებას, ფეხდაფეხ ავდევნებოდი ამ ვარსკვლავს.

არასოდეს დამავიწყდება წუთი, როცა კვლავ ვიხილე იგი! ძველ, მყუდრო რესტორანში ვიჯექი, პატარა მაგიდასთან. მაგიდა წინასწარ შევუკვეთე ტელეფონით, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს სულაც არ ყოფილა საჭირო. ვიჯექი და გულდასმით ვათვალიერებდი მენიუს. წყლით სავსე ჭიქაში ორი თვალწარმტაცი ჯადვარი ყელყელაობდა, ჩემს გოგონას რომ ვუყიდე. საკმაოდ დიდხანს მომიხდა ლოდინი, მაგრამ, რაკიღა თავი დავარწმუნე, აუცილებლად მოვა-მეთქი, მღელვარებამ გამიარა. და აი, ისიც გამოჩნდა! გასახდელთან მივიდა, დაკვირვებული, ცოტა არ იყოს, გამომცდელი მზერა შემავლო და მერე მხოლოდ თვალებით, თავისი ღია, ღია ნაცრისფერი თვალებით მომესალმა. გაფაციცებით ვადევნებდი თვალყურს, მაინტერესებდა, როგორ ეჭირა მასთან თავი მიმტანს. არა, მადლობა ღმერთს, შინაურულობა და ზედმეტობა ვერ შევამჩნიე. მიმტანი ფრიად თავაზიანი იყო, თუმცა კი, ეტყობა, იცნობდნენ ერთმანეთს. ქალი მას სახელით მიმართავდა და ემილს ეძახდა. ჯადვარები რომ მივართვი, გაეხარდა და გაიცინა.

— ძალზე მესიამოვნა, ჰარი. საჩუქრის მორთმევა გინდოდა ხომ ჩემთვის? მაგრამ არ იცოდი, რა შეგერჩია. კაცმა რომ თქვას, ისიც არ იცოდი ხეირიანად. გქონდა კი უფლება საჩუქარი მოგერთმია? ხომ შეიძლება მწყენოდა?! ჰოდა, შენც აიღე და ჯადვარები იყიდე. მართალია, ყვავილებია, მაგრამ საკმაოდ ძვირი კი ღირს! მადლობელი ვარ! ჰო, სხვათა შორის, ახლავე მინდა გითხრა: შენგან საჩუქრებს არ მივიღებ. მამაკაცების ხარჯზე კი ვცხოვრობ, მაგრამ შენი ფული არ მჭირდება. ღმერთო ჩემო, როგორ შეცვლილხარ! ველარც კი გიცნობს კაცი! იმ დღეს ისეთი სახე გქონდა, თითქოს ეს-ესაა კისერზე ყულფი შემოგხს-

ნესო. ახლა კი ისევ ადამიანს დამგვანებიხარ. ჰო, მართლა, ჩემი ბრძანება თუ შეასრულე?

— რა ბრძანება?

— აღარ გახსოვს? იმას გეკითხები, ფოქსტროტის [illegible] ისწავლე-მეთქი. მაშინ ხომ მითხარი, არაფერი არ მინდა, ოღონდ შენ ბრძანებდე, მე აი გმორჩილებდეო. ამაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის არ არსებობსო. გახსოვს?

— ო, რა თქმა უნდა, მახსოვს, და უწინდებურად ამასვე ვფიქრობ, მე მართალი გითხარი.

— ცეკვა კი მაინც არ გისწავლია, არა?

— განა შეიძლება ასე მოკლე ხანში ისწავლოს კაცმა ცეკვა?!

— რასაკვირველია. ფოქსის სწავლა ერთ საათში შეიძლება, ბოსტონისა— ორ საათში. ტანგო უფრო რთულია, მაგრამ ეგ არც დაგჭირდება.

— ახლა კი დროა ბოლოს და ბოლოს გავიგო, რა გქვია.

ერთხანს უხმოდ მიყურებდა.

— სცადე, იქნება გამოიცნო. ძალიან მასიამოვნებ, თუ მიხვდები. აბა, ერთი კარგად დამაკვირდი! ჯერ არ გცემია თვალში, რომ ხანდახან ბიჭსა ვგავარ? აი, მაგალითად, ახლა?

დიახ, კარგად რომ დავაცქერდი, გუნებაში დავეთანხმე, რომ მართლა ბიჭს ჰგავდა.

წუთით ფიქრმა წამიღო. მერე დავინახე, როგორ გამომესაუბრა ეს სახე, და უმალ ჩემი სიყმაწვილე და ერთი ჩემი სიყრმისდროინდელი მეგობარი გამახსენდა. მას ჰერმანი ერქვა. წამით ქალი თითქმის ჰერმანად იქცა.

— ბიჭი რომ ყოფილიყავი, — ვუთხარი გაოცებულმა, — ჰერმანი გერქმეოდა.

— ვინ იცის, იქნებ გადაცმული ბიჭიცა ვარ! — თქვა მან კეკლუცად.

— ჰერმინე გქვია?

სახეგაცისკროვნებულმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, გაუხარდა, მისი სახელი რომ გამოვიცანი; სწორედ ამ დროს წვნიანიც მოგვიტანეს და ჭამას შევუდექით. ბავშვივით მოილხინა. ამ ქალის ყველაზე მეტად ის მომწონდა და მხიბლავდა, ეს წუთია რომ დადინჯებული იყო, უეცრად ანცობის ხასიათზე დგებოდა, ანდა პირიქით. თან ეს ყველაფერი ნიჭიერი ბავშვივით ისე ეხერხებულად გამოსდიოდა, არც იცვლებოდა და არც იპრანჭებოდა. აი, ახლაც მშვენიერ გუნებაზე იყო, მაბრაზებდა, ფოქსტროტი უნდა გასწავლოო, ერთი-ორჯერ ფეხიც კი გამკრა მაგიდის ქვეშ; მერე კერძი შეაქო და ისიც არ გამოჰპარვია, რომ დღევანდელ დღეს დიდი მოწადინებით ვიყავი ჩაცმული, თუმცა გარეგნობაში უამრავი ნაკლიც აღმომიჩინა.

საუბრის დროს ვკითხე:

— კი მაგრამ, როგორ მოახერხე, რომ უეცრად ბიჭს დაემსგავსე, მე კი შენი სახელი გამომაცნობინე?

— ო, ეს ყველაფერი შენივე წყალობით მოხდა. განსწავლული კაცი ბრძანდები და არკი გესმის: თუკი მოგწონვარ და რაღაცა ფასი მაქვს შენს თვალში, ეს იმიტომ, რომ თითქოსდა სარკე ვარ შენთვის, შემიძლია საკუთარი თავი დაგანახო და საკუთარ სულში ჩაგახედო; ისე, რომ ვთქვათ, ადამიანები ერთმანეთს ასე სარკესავით უნდა აირეკლავდნენ, ასე ესადაგებოდნენ და პასუხობდნენ ერთმანეთს. შენისთანა დამთხვეულ კაცს კი იშვიათად თუ შეხვდები.

შენისთანები სხვა გზით ამჯობინებენ სიყალბეს, ჯადოსნაჭამიანით ალარ ძალუძთ სხვის თვალებში რაიმეს დანახვა და ამოკითხვა, რადგან არავისთან ალარაფერი ესაქმებათ. მაგრამ აი, უეცრად ამისთანა დამთხვეული ბოლოს და ბოლოს მაინც შეხვდება ადამიანს, გულწრფელად ჩახედავს მას თვალებში და თანაგრძნობისა და მშობლიურ სითბოს იგრძნობს. აი, მაშინ კი, რა თქმა უნდა, გული სიხარულით ევსება.

— შენი უცოდინარი არაფერია, ჰერმინე, — წამოეძახე გაოცებულმა, — ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც თქვი. მაგრამ შენ მაინც სულ სხვა ხარ! მე და შენ ცა და დედამიწასავით არ ვგავართ ერთმანეთს; რაც მე არ გამაჩნია, ყველაფერი შენა გაქვს.

— ეს შენ გგონია ასე, — თქვა მან მოკლედ, — კარგია.

იმ წუთას მისი სახე ჩემთვის თითქოს მართლაც ჯადოსნურ სარკედ იქცა, ზედ სიდინჯის ღრუბელი გადაეფარა და ისეთი უციროო ჭმუნვა და ვარამი აღებეჭდა, ნიღბის ცარიელ თვალებში რომ გამოკრთის ხოლმე.

ნელ-ნელა, თითქოს სიტყვებს მარცვლავსო, ძალისძალად წარმოთქვა:

— აბა, შენ იცი, არ დაივიწყო, რაც მითხარი! ხომ გახსოვს შენი სიტყვები, ოღონდ მიბრძანე და ყველა შენს ბრძანებას სიხარულით დავემორჩილებიო. არ დაგავიწყდეს! ჰო, კიდევ აი, რა მინდა იცოდე, ჩემო პატარა ჰარი! როგორც მე შემიძლია შენზე ზემოქმედების მოხდენა, როგორც მე მაწერია სახეზე პასუხი შენს კითხვებზე და ჩემი არსებიდან შენკენ რაღაც ისეთი მოედინება, რაც ნდობით გავსებს, — შენც ზუსტად ასევე მოქმედებ ჩემზე. იმ დღეს „შავ არწივში“ დაღლილი რომ შემოხვედი, მიცვალებულს ჰგავდი და არაამქვეყნიური იერი გქონდა. ჰოდა, დაგინახე თუ არა, მაშინვე ვთქვი: აი, ვინ იქნება ჩემი მონა-მორჩილი, აი, ვინ შეასრულებს სიამოვნებით ჩემს ყველა ბრძანებას. ჰოდა, ვუბრძანებ კიდევაც-მეთქი, გავიფიქრე მაშინ. სწორედ ამიტომ გამოგელაპარაკე, ამიტომ დაგიმეგობრდი.

ისეთი ღრმა წუხილითა და სულიერი მღელვარებით ლაპარაკობდა, რომ ბოლომდე ვერ ჩავწვდი მისი ნათქვამის აზრს. შევეცადე დამემშვიდებინა და ყურადღება სხვა რაზეზე გადამეტანა, მაგრამ ჩემი ეს ცდა წარბების შერხევით აირიდა თავიდან და ყინულივით ცივი ხმით გაიგრძო:

— ჩემო პატარავ, იცოდე, სიტყვა არ გატეხო, თორემ ინანებ. ჩემგან არა ერთსა და ორ ბრძანებას მიიღებ და ყველას დაემორჩილები. ეს ბრძანებები სასიამოვნო იქნება და მათი შესრულება დიდ სიამოვნებასაც მოგანიჭებს, სულ ბოლოს კი, ჰარი, ჩემი უკანასკნელი ბრძანების შესრულება მოგიწევს.

— კი, ბატონო, შევასრულებ, — ვთქვი ჩემდაუნებურად, — რის გაკეთებას მიბრძანებ დასასრულ?

ღმერთმა უწყის საიდან, მაგრამ უკვე ვიცოდი, რასაც მიბრძანებდა.

ანაზდად აიბუზა, თითქოს შეამციენოო, პირზე ნელ-ნელა გაუქრა მარტოსულობის იერი და მომნუსხველი მზერით შემომაჩერდა. თითქოს კიდევ უფრო მოიქუფრაო.

— უფრო ჭკვიანური იქნებოდა, შენთვის არ მეთქვა ეს! მაგრამ, ჰარი, ამჯერად არავითარი სურვილი არა მაქვს, დიდი ჭკუა გამოვიჩინო. არა და არა! ახლა სულ სხვა რამ მინდა. აბა, ერთი გულდასმით დამიგდე ყური! ჩემო პატარავ! ახლა რასაც გეტყვი, გაიგონე და მყისვე დაივიწყე! მერე კი იქნება კი-

დევაც იცინო ან იტირო ამაზე. აბა, მაშ ყურადღებით მომისმინე! შენთან სამკვდრო-სასიცოცხლო თამაშში ვაპირებ ჩაბმას, ჩემო ძმია, და ვიდრე ამ თამაშს შევუდგებოდეთ, მინდა მთელი ჩემი მიზან-ზრახვები გადაგიშალო.

ამას რომ ამბობდა, ო, რა მშვენიერი, რა ღვთაებრივი სახე ჰქონდა! ცივსა და კამკამა თვალებში დადუღებული ნაღველი ჩაგუბებოდა, ამ თვალებს არაერთგზის ეგემა ტანჯვის სამსალა და მისი მონა-მორჩილი გამხდარიყო, ტუჩებს ძლივძლივობით ამოძრავებდა, თითქოს რაღაცა უშლისო, — ასე ემართება ხოლმე ადამიანს, როცა დიდ ყინვაში ცდილობს რაიმეს თქმას, — თუმც ტუჩებსა თუ პირის კუთხეებში რაღაც კეკლუცი ვნებიანობა გამოსჭვიოდა, ლაპარაკის დროს ხანდახან ენის წვერი გამოუჩნდებოდა და ესეც მის ჭეშმარიტ ავხოროცობას მეტყველებდა, რაიც ასე არ ესადაგებოდა მის მზერასა და ხმას. მშვიდ, გადატკეცილ შუბლზე მოკლე კულული ჩამოშლოდა ,სწორედ აქედან დროდადრო ცოცხალ სუნთქვასავით იფრქვეოდა ბიჭური სიანცისა და ჰერმაფროდიტული მაგიის ტალღა.

შეშინებული, მაგრამ თან ბანგდალეულივით ვუსმენდი და სადღაც სხვაგან ჰქროდა ჩემი ჭკუა-გონება.

— ვიცი, კარგად ხარ ჩემდამი განწყობილი,— განაგრძო მან, — ამის მიზეზი უკვე აგიხსენი: მე გავარღვიე შენი მარტოსულობის სუდარა, ზედ ჯოჯოხეთის კარიბჭესთან გტაცე ხელი და კვლავ სიცოცხლე შთაგბერე. მე კი მეტს, გაცილებით უფრო მეტს მოვითხოვ შენგან. მინდა თავი შეგაყვარო. არა, ნუ შემეპასუხები, დამაცადე გითხრა! გატყობ, ჩემდამი კეთილად ხარ განწყობილი, მემადლიერები კიდეც. მაგრამ სიყვარულით კი არ გიყვარვარ. ჰოდა, მინდა ისე მოვიქცე, თავი შეგაყვარო. ეს ჩემი ხელობაა, მამაკაცებს ვაიძულებ შემიყვარონ და ამით ვირჩენ თავს. მაგრამ იცოდე, ახლა იმიტომ კი არ ჩავიდენ ამას, რომ გაგიჟებით მომწონხარ. არა, ჰარი, მე ისევე არა ვარ შენზე შეყვარებული, როგორც შენ ჩემზე. მაგრამ მე შენ ისევე მჭირდები,როგორც მე ვარ შენთვის საჭირო. აი, ახლა, ამ წუთას იმისათვის გინდივარ, რომ წკიპურტი გკრა; ეს წკიპურტი წყალში გადაგისვრის და კვლავ გაგაცოცხლებს. ჩემი წყალობით უნდა ისწავლო ცეკვა, სიცილი, ცხოვრება. დღეს არ მჭირდები, სამაგიეროდ მოგვიანებით გამომადგები, რათა განვასრულო ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და მშვენიერი ჩანაფიქრი. როგორც კი ვიგრძნობ, რომ გიყვარვარ, უკანასკნელ ბრძანებას გავცემ და შენც ჩემი მონა-მორჩილი გახდები. ეს კი ორივესთვის კარგი იქნება.

ქალმა ჭიქიდან ოდნავ ამოსწია მწვანედ დაძარღვული მოყავისფრო-მოიისფრო ჯადვარი, წუთით მისკენ დაჰარა სახე და ყვავილს დააშტერდა.

— სულაც არ იქნება ადვილი, მაგრამ ვერსად გაექცევი ამას. უნდა შეასრულო ჩემი ბრძანება და მომკლა. ესაა და ეს. სხვა არაფერი მკითხო!

ესა თქვა და დადუმდა. ერთხანს კიდევ დასცქეროდა ჯადვარს, პირსახეზე დაძაბულობა გაუქრა და გაფურჩქნულ ყვავილს დაემგვანა. მოულოდნელად ბაგე წარმტაცმა ღიმილმა გაუპო, თუმცა თვალებით კვლავ დაჟინებით ერთ წერტილს მისჩერებოდა. მერე ბიჭურად შეკრეჭილი ქოჩორი გააქნია, წყალი მოსვა. უცბად გაახსენდა, ვახშმად რომ ვისხედით, და მადიანად დააცხრა საჭმელს.

გარკვევით ჩამესმოდა ყურში იმ შემზარავი ნათქვამის თითოეული სიტყვა. ვიდრე თავისი პირით მეტყოდა, თუ რას ნიშნავდა მისი ეს „უკანასკნელი ბრძა-

ნება", გუმანით თვითონ მივხვდი, და ამიტომაც შიში აღარ მიგრძვნია, როცა მითხრა: „შენ უნდა მომკლა"; ყველაფერი, რაც თქვა, ჩემთვის ბედისწერის განაჩენივით გარდაუვალი იყო; მეც დავმორჩილდი განგებას და აღარ გავძალიანებივარ. და თუმცა შემზარავი სიდინჯით ლაპარაკობდა, მის ნათქვამს მაინც მთლად სინამდვილედ ვერ აღვიქვამდი. ჩემი სულის ერთი ნაწილი ხარბად ნთქავდა ქალის სიტყვებს და სჯეროდა მათი, მეორე ნაწილი კი — დამამშვიდებლად თავს მიქნევდა და ყურად იღებდა, რომ ჰერმინესთანა ჰკვიან, ჯანსაღ და თავდაჯერებულ ქალსაც შეეძლებოდა თავისი ახირება ჰქონოდა და დროდადრო გონებაზე ბინდი გადაფარებოდა. უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვა თუ არა, მთელ ამ სცენას არარეალურობისა და მოჩვენებითობის ფარდა გადაეფარა.

მაგრამ ჰერმინესთან შერკინება მიჭირდა და მისებრი მუშაითური სიმარჯვით არ შემეძლო ამ მოჩვენებითობიდან უკან, სინამდვილეში გადახტომა.

— მაშასადამე, ერთხელაც იქნება უნდა მოგკლა, არა? — კვლავ ჩუმად გავუმეორე კითხვა ნახევრად ბურანში წასულმა, მაგრამ იგი უკვე იცინოდა და აღფრთოვანებით ჭრიდა გარეული ფრინველის ხორცს.

— რა თქმა უნდა, — დაუდევრად დამიქნია თავი, — ახლა ვახშმობის დროა და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. ჰარი, ძალიან გთხოვ, კიდევ დაუკვეთე ჩემთვის ცოტა მწვანე სალათა! შენ რა, უმადოდა ხარ? ვგონებ, ბევრი ისეთი რამის სწავლა მოგიხდება, სხვებს თავისთავად რომ გამოსდით. ჭამაშიაც უნდა ჰპოვო სიამოვნება. ჩემო პატარავ, ერთი ამ იხვის ბარკალს შეხედე! ამ მშვენიერ, ქათქათა ხორცს ძვალს რომ მოაცლი, ჭეშმარიტად საზეიმო გუნებაზე უნდა დადგე, მადა უნდა გაგიცხოველდეს და გულმაც მღელვარებით დაგიწყოს ბაგაბუგი; იცი, ამ დროს იმ მიჯნურივით უნდა აღივსო მადლიერების გრძნობით, პირველად რომ შეუხსნის საკინძეს თავის სატრფოს. გაიგე? ვერა? დიდი გაუგებარი კაცი კი ხარ! მოიცა, აი, ახლა ამ გემრიელი ბარკლის პატარა ნაჭერს გაგასინჯებ და ნახავ! ჰო, ასეა, აბა გააღე პირი! ო, ღმერთო ჩემო, რა აუტანელი ხარ! აი, ახლაც ხალხისკენ აპარებ თვალს. გეშინია, ვაითუ ვინმემ დამინახოს, ამის ჩანგლიდან რომ მივირთმევო! დარდი ნუ გაქვს, უძღებო შვილო, სირცხვილს არ გაჭმევ. მაგრამ, თუკი ვისიმე ნებართვა გჭირდება იმისათვის, რომ სიამოვნება იგრძნო, მართლა საცოდავი კაცი ყოფილხარ.

სულ უფრო და უფრო არანამდვილი მეჩვენებოდა ცოტა ხნის წინანდელი სცენა, სულ უფრო დაუჯერებელი იყო ჩემთვის, რომ ეს თვალები რამდენიმე წუთის წინ ასეთი დამძიმებული, ცივი მზერით მომჩერებოდნენ. ო, ამაში ჰერმინე თავად ცხოვრებას მაგონებდა, მუდამ წამიერსა და მედინს, წინასწარ რომ ვერასოდეს ვერავინ განჭვრეტს. აი, ახლაც იჯდა და საჭმელს მიირთმევდა. მთელი გულისყური იხვის ბარკალზე, სალათზე, ტორტსა თუ ლიქიორზე გადაეტანა და ეს ყველაფერი მისთვის სიხარულის, განსჯის, მუსაიფისა და წარმოსახვის საგნად ქცეულიყო. თეფშს გამოგვიცვლიდნენ თუ არა, თითქოს წიგნის ახალი თავი იწყებოდა. ეს ქალი, ძირისძირამდე რომ ჩასწვდომოდა ჩემს სულს და, ეტყობა, ყველა ბრძენზე უკეთ იცნობდა ცხოვრებას, ისე ანცად და ოსტატურად ეძლეოდა წამიერ ტკბობას, რომ მყისვე თავის შეგირდად გამიხადა. ვერ გეტყვით, რა იყო ეს, ზეგარდმო სიბრძნე თუ გასაოცარი მიამიტობა; ერთი კია, ვისაც წამისათვის ამდენის წაგლეჯა შეეძლო, ვინც ასეთი გატაცებით ცხოვრობდა აწმყოთი, ვისთვისაც გზის პირას პაწია ყვავილის დანახვა საკმარისი

იყო, ალერსად დაღვრილიყო, ვისაც ძალუძდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა თამაშის ყველა ილეთი და საშუალება, წამში რომ იმალება. — ასეთ ადამიანს ცხოვრება ვერაფერს დააკლებდა. ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო იგი? ანცი, მადიანი, მსუნაგი ბალღი თუ მეოცნებე, ისტერიული ქალი, სიკვდილს რომ ესწრაფოდა? ან იქნებ ამ მაცდურ არსებას გულცივად გადაეწყვიტა, თავი შეეყვარებინა ჩემთვის და თავის მონა-მორჩილად გავეხადე? არა, იგი იმდენად მონებდა წუთს, რომ ერთნაირი თავდავიწყებით შეიგრძნობდა და განიცდიდა გონებამახვილურ აზრსაც და შავბნელ შიშსაც, სულის სიღრმეში რომ გაუკრთებოდა.

ჰერმინეს დღეს მეორედ ვხედავდი, მაგრამ მან ყველაფერი იცოდა ჩემზე და ვერც კი წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა ამ ქალისთვის რაიმე დამემალა. იქნებ იგი მაინცდამაინც ღრმად ვერ სწვდებოდა ჩემს სულიერ ცხოვრებას, არ ესმოდა ჩემი დამოკიდებულება მუსიკასთან, გოეთესთან, ნოვალისთან ან ბოდლერთან, თუმცა დაბეჯითებით არც ამის თქმა შეიძლებოდა. ალბათ ამ ქალს ესეც არ გაუჭირდებოდა. მაგრამ თუნდაც არ შესძლებოდა ამის გაგება, — განა თავად მე კი შემომრჩენოდა რაიმე ჩემი „სულიერი ცხოვრებიდან"? განა ყველაფერი არ იავარქმნილიყო და უაზრობად არ ქცეულიყო?! ერთში ღრმად ვიყავ დარწმუნებული: ყველა ჩემს გაჭირვებას, ყველა საზრუნავს აუცილებლად გაიგებდა. მალე ვაპირებდი მასთან საუბრის დაწყებას ტრამალის მგელზე, ტრაქტატზე, ყველაფერზე, რაც კი აქამდე მხოლოდ ჩემთვის არსებობდა, რაზედაც ჯერ კაციშვილთან არ დამიძრავს სიტყვა. სულმა წამძლია და დავიწყე კიდეც:

— ჰერმინე, ამას წინათ ერთი უცნაური ამბავი შემემთხვა. ვიღაცა უცნობმა სარეკლამო ბროშურის მსგავსი პატარა წიგნი შემომაჩეჩა ხელში. ამ წიგნში ზუსტადაა აღწერილი მთელი ჩემი ცხოვრება, ყველაფერი, რაც კი თავს გადამხდომია. მითხარი, განა საოცარი არ არის ეს ამბავი?

— რა ჰქვია იმ შენს წიგნს? — მკითხა მოულოდნელად.

— „ტრაქტატი ტრამალის მგელზე".

— ო, ტრამალის მგელი ხომ დიდებული რამ არის! ეს შენა ხარ ტრამალის მგელი? მაშასადამე, ფიქრობ, რომ შენა ხარ?

— ჰო, მე ვარ. ყოველ შემთხვევაში ასე მგონია, მე უნდა ვიყო ის მგელკაცი.

პასუხი არ გაუცია. დაკვირვებული, გამომცდელი მზერა შემავლო, მერე ხელებზე დამაცქერდა და მის თვალებში და სახეზე წამით კვლავ გაკრთა წელანდელი დინჯი და პირქუში განდგომილება. რატომღაც მეგონა, მივუხვდი-მეთქი საფიქრალს: ახლა იმის გაგება უნდოდა, საკმაოდ მგელი თუ ვიყავი იმისათვის, რომ მისი „უკანასკნელი ბრძანება" აღმესრულებინა.

— ეს, რა თქმა უნდა, შენი წარმოსახვის ნაყოფია, — თქვა მან და კვლავ გამოცოცხლება დაეტყო, — მაგრამ რაღაც სიმართლე კი ურევია. დღეს მგლისა აღარაფერი გცხია; მაშინ კი, დარბაზში რომ შემოხვედი, თითქოს ესესაა ჩამოფრინდი მთვარიდანო, რაღაცით მართლა ჩამოჰგავდი მხეცს; მეც სწორედ ეს მომეწონა. — ეს რომ თქვა, უეცრად თითქოს გონს მოეგო, შემცბარი მომიბრუნდა:

— რა სულელურად მეჩვენება, როცა ცხოველზე „მხეცს" ანდა „მტაცებელს" იტყვიან ხოლმე. რა თქმა უნდა, ცხოველიც შემზარავია ხშირად, მაგ-

რამ ადამიანთან შედარებით გაცილებით უფრო ნაღდია.

— როგორ უნდა გავიგო ეგ შენი „უფრო ნაღდია?“ რას გულისხმობ?

— აბა, რომელ ცხოველსაც გინდა დააკვირდი, კატა იქნება ეს თუ ძაღლი, ანდა ფრინველებსა და ზოოპარკის ბინადარ დიდ მშვენიერ ცხოველებს, პუმასა თუ ყირაფს შეხედე! დაინახავ, რომ ყველა მათგანი ნაღდია. არ [illegible] ცხოველი, რაიმესი რომ ესირცხვილებოდეს ან არ იცოდეს, როდის [illegible] მოიქცეს; პირფერობას არ დაგიწყებს, არ შეეცდება თავი მოგაწონოს ან თვალი აგიხვიოს. ყველა ცხოველი, რაც არის, ის არის, და ისეთივე ბუნებრივი და თავისთავად უცილობელი არსებაა, როგორც ქვები, ყვავილები ანდა ცაში გამოკიდული ვარსკვლავები. გამიგე?

რა თქმა უნდა, გავუგე.

— ცხოველები მეტწილად სევდიანები არიან, — განაგრძო ჰერმინემ. — ხდება ხოლმე, ადამიანს წუხილი შეიპყრობს, მაგრამ იმიტომ არა, რომ კბილი სტკივა ანდა ფული დაკარგა! არა, აი, მაშინ, როცა უეცრად იგრძნობს, თუ რა ხდება მის გარშემო, თუ რა ყოფილა ეს ცხოვრება. იმ დროს, როცა ადამიანს ნაღდი სევდა იპყრობს, იგი ცოტათი ცხოველს ჩამოგავს და მისი სევდა ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო ალალი და მშვენიერია. ასე ყოფილა ოდითგანვე. ჰოდა, ტრამალის მგელო, პირველად რომ დაგინახე, შენც სწორედ ასეთი იყავი.

— ჰერმინე, იმ წიგნის თაობაზე რაღას იტყვი, ჩემზე რომ არის დაწერილი?

— ეჰ, იცი, რას გეტყვი, ყოველთვის კი არა ვარ ფიქრის გუნებაზე! ამაზე სხვა დროს იყოს. ხომ შეგიძლია მათხოვო წასაკითხად? თუმცა არა, არ მინდა. თუკი ოდესმე კვლავ შემიპყრობს კითხვის ქინი, შენი დაწერილი წიგნი მომეცი და იმას წავიკითხავ.

ჰერმინემ ყავა მოითხოვა. მერე ერთხანს ყურადღებაგაფანტული იჯდა, მაგრამ უეცრად სახე გაუცისკროვნდა, ეტყობა, ფიქრებში წასულმა, გუნებაში რაღაცა გადაწყვიტა.

— რა კარგია! — წამოიძახა გახარებულმა, — ძლივს არ მივხვდი!

— რას მიხვდი?

— მთელი ამ ხნის განმავლობაში ფოქსტროტზე ფიქრი არ მასვენებდა. მითხარი: ოთახი თუ გაქვს, რომ დროდადრო თითო საათი მაინც წავიცეკვოთ ხოლმე მე და შენ? ოღონდ ქვევით არავინ არ უნდა ცხოვრობდეს, რათა ჭერის ოდნავ შეტოკებაზე არ ამოგვივარდეს და აყალმაყალი არ აგვიტეხოს. ეს თუ მოხერხდა, ძალზე კარგი იქნება! მაშინ შინ შეგიძლია ისწავლო ცეკვა.

— ჰო, — ვთქვი გაუბედავად, — ეს მართლაც კარგია, მაგრამ მეგონა, რომ ამას მუსიკაც უნდა.

— რა თქმა უნდა. მაგრამ არა უშავს რა, ამასაც მოევლება. გრამაფონი, დიდი-დიდი, იმდენი დაჯდეს, რაც ცეკვის მასწავლებელს უნდა გადაუხადო. ამ ფულს დაზოგავ, მასწავლებლობას კი მე ვკისრულობ. ასე და ამრიგად, მუსიკაც გვექნება და ბოლოს გრამაფონიც ჩვენ დაგვრჩება.

— გრამაფონი?

— ჰო, აი, ასეთ ბატარა ყუთს და ერთი-ორ საცეკვაო ფირფიტას იყიდი.

— ჩინებულია, და თუ მართლა მასწავლი ცეკვას, გასამრჯელოდ გრამაფონს მიიღებ. თანახმა ხარ? — ვთქვი ერთობ მკვირცხლად, მაგრამ არცთუ

მთლად გულწრფელად. ვერაფრით ვერ წარმომედგინა, ეს უსიამო ყუთი ჩემს პატარა სამუშაო ოთახში როგორ უნდა დამედგა. თან ცეკვაზედაც არ ვგიჟდებოდი მაინცდამაინც. „ისე რომ ვთქვათ, რატომ არ შეიძლება ვცადო-მეთქი", გავიფიქრე გუნებაში, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, ჩემი ხნის კაცი, თანაც ასე მოუქნელი, ცეკვას ვერაფრით ვერ ისწავლიდა. იმასაც ~~ვგრძნობდი~~, მუსიკის ძველ, განებივრებულ მოტრფიალეს ხელახლა როგორ ~~ეუფლებოდა~~ ზიზღი გრამაფონის, ჯაზისა და თანამედროვე საცეკვაო ჰანგებისადმი. როგორ, ჩემს სენაკში, სადაც ბინა დაედოთ ნოვალისსა და ეინ პოლს, სადაც ვპოულობდი თავშესაფარს და ვეძლეოდი ფიქრებს, ამერიკული შლაგერები მეღრიალებინა და თავადაც ამ მუსიკაზე მეცეკვა? არა, ამას ვერც ერთი ადამიანი ვერ მაიძულებდა. მაგრამ ეს ჰერმინეს სურვილი იყო, მას კი ჰქონდა უფლება ებრძანებინა. ჰოდა, მეც, რა თქმა უნდა, დავმორჩილდი.

მეორე დღეს, ნასადილევს ერთმანეთს კაფეში შევხვდით. ჰერმინე უკვე იქ იჯდა, როცა მივედი. იჯდა და ჩაის შეექცეოდა. ღიმილით გამომიწოდა გაზეთი, სადაც ჩემი სახელი ამოეკითხა. ამ ერთ-ერთ უკიდურესად რეაქციულ გაზეთში დროდადრო ჩემ საწინააღმდეგო ღვარძლიან სტატიებს ბეჭდავდნენ. ომიანობის დროს ომის წინააღმდეგ ვილაშქრებდი, მისი დამთავრების შემდეგ კი სიმშვიდის, დათმენის, ადამიანურობისა და თვითკრიტიკისაკენ მოვუწოდებდი, ვებრძოდი დღითი დღე გამძვინვარებულ სულელურ სიძულვილს ეროვნული წარმოშობის გამო. ესეც ჩემ წინააღმდეგ მომართული, უნიჭოდ დაწერილი ერთ-ერთი სტატია იყო: რედაქტორს ზოგიერთი ადგილი სანახევროდ თავად შეეთითხნა, სანახევროდ კი ამავე ყაიდის გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიებიდან ამოეკრიფა. ხომ ცნობილია, რომ ყველაზე ცუდად მოძველებული იდეოლოგიის დამჭაშებს ეხერხებათ წერა და მათზე უფრო არაკეთილსინდისიერად და უპატიოსნოდ არავინ ეკიდება თავის ხელობას. ჰერმინეს წაეკითხა სტატია და შეეტყო, რომ ჰარი ჰალერი ერთი უთვისტომო, მავნე არამზადაა. სტატიის ავტორი თურმე წერდა: „ამბა ქვეყნის საქმე როგორ იქნება კარგად, ვიდრე ჩვენში მსგავსი რწმენის ადამიანები ბოგინობენ და ნაცვლად იმისა, ახალგაზრდობა მებრძოლი სულისკვეთებით აღზარდონ, ზოგადსაკაცობრიო იდეებს უქადაგებენ, სენტიმენტალურ გრძნობებს უღვიძებენ და სამშობლოს მოსისხლე მტერთან შერიგებას შთააგონებენ.

— ეს შენა ხარ? — მკითხა ჰერმინემ და ჩემს გვარზე მიმითითა, — მტრები კი, იცოცხლე, ბლომად გაგიჩენია, ჰარი. რაო, გაბრაზდი?

ერთი-ორი სტრიქონი გადავიკითხე. უჩვეულო არაფერი იყო. აი, უკვე რამდენი წელია ყურები მქონდა გამოჭედილი ამ სტერეოტიპული ლანძღვა-გინებით და ეს ყველაფერი გულს მირევდა.

— არა, გაბრაზებით არა ვბრაზობ, — მივუგე მე, — ყველაფერ ამას კარგა ხანია შევეგუე. მე ხომ არაერთგზის მითქვამს: უმჯობესი იქნება ადამიანი საკუთარ თავს კი არ ელოლიავოს და პოლიტიკური კითხვა დაუსვას იმის თაობაზე, თუ ვინ არის დამნაშავე, არამედ თავის გულში ჩაიხედოს და ის გაარკვიოს, რამდენად მიუძღვის ბრალი ომის გაჩაღებასა თუ სხვა ამქვეყნიურ უბედურებებში. მაგრამ იგი ვერ შელევია საკუთარ შეცდომებს, დაუდევრობას, უხეირო ზნე-ჩვეულებებს. არადა, შესაძლოა ეს ერთადერთი გზაც კი იყოს მომავალი ომის თავიდან ასაცილებლად. აი, ეს ვერ უპატიებიათ ჩემთვის და, რა თქმა უნდა, არც მაპატიებენ, თვითონ ისინი ხომ სავსებით უდანაშაულონი

არიან?! აბა ვინ უსაყვედურებს საკუთარ თავს: კაიზერი, გენერლები, მსხვილი მრეწველები, სახელმწიფო მოღვაწეები თუ გაზეთები? მათ ხომ ამ საქმეში იოტისოდენა დანაშაულიც არ მიუძღვით! კაცმა შეიძლება იფიქროს, რა მშვენივრადაა ამქვეყნად ყველაფერი მოწყობილია; მაგრამ ვაი, რომ ბილიონობით ადამიანი გამოესალმა წუთისოფელს და ახლა მიწაში წევს. ალბათ გამიგებ, ჰერმინე! ასეთ ღვარძლიან სტატიებზე გაბრაზებით ალარ ვბრაზობ, მაგრამ დროდადრო ნაღველი კი შემიპყრობს ხოლმე. ჩემი თანამემამულეების ორ მესამედს დილა-საღამოს აკითხებენ ამ გაზეთებს, ტვინს უბრუებენ სიტყვების რახარუხით, ჭკუას ასწავლიან, აქეზებენ, გულში უკმაყოფილებისა და ბოროტების თესლს უღვივებენ. საბოლოო მიზანი კი ისევ და ისევ ომია. კარს მომდგარი ეს ახალი ომი ალბათ წინანდელზე უფრო საზარელი იქნება. ყველაფერი ძალზე მარტივი და ცხადია თითქოს. თუკი ადამიანი ერთ საათს მაინც შეალევს ამაზე ფიქრს, არ შეიძლება არ მიხვდეს და იმავე დასკვნამდე არ მივიდეს. მაგრამ არავის სურს ასე მოიქცეს, არავინ ცდილობს საკუთარი თავი და შვილები იხსნას მომავალი ომისა და მასობრივი ხოცვა-ჟლეტისაგან; დიახ, თავის შეწუხება არავის ნებავს. განა ასე ძნელია, შენსავე სულს ჩაულრმავდე და ჰკითხო: აბა, რამდენად ურევია ჩემი ხელი იმ არეულ-დარეულობასა და ბოროტებაში, ამქვეყნად რომ სუფევს?! ამის გაკეთება კი არავის უნდა, ჰერმინე! მაშასადამე, ყველაფერი ასე გაგრძელდება და ყოველდღიურად ათასობით ადამიანი ჩაებმება ახალი ომისათვის გამალებულ მზადებაში. ჰოდა, ეს ყველაფერი რომ ვიცი, სწორედ იმიტომ მიკვდება გული და მიპყრობს სასოწარკვეთა. ჩემთვის ალარც „სამშობლო" არსებობს და ალარც იდეალი; ეს ხომ მხოლოდ დეკორაციაა იმ ვაჟბატონებისათვის, მომავალ სისხლიან სასაკლაოს რომ ამზადებენ. ყოველგვარი აზრი დაკარგა ადამიანურად ფიქრმა, ლაპარაკმა, წერამ თუ ქეთილმა ზრახვებმა; ორ-სამ კაცზე, სალად რომ აზროვნებს, ყოველდღიურად ათასობით ჟურნალ-გაზეთი, სტატია, ღია თუ დახურული კრება მოდის; მათ ჯიქურ უდგანან კრიჭაში და აკი აღწევენ კიდევაც მიზანს.

ჰერმინე თანაგრძნობით მისმენდა.

— ჰო, — თქვა მერე, — ეს კი მართალია. ომი, რა თქმა უნდა, ისევ იქნება; გაზეთებიც რომ არ იკითხო, კაცი ისედაც მშვენივრად მიხვდები ამას. როგორ არა, ამ ამბავმა შეიძლება შეგაწუხოს, მაგრამ დიდად კი მაინც არ ღირს თავის ატკივება. რამდენიც არ უნდა იხტუნო, სიკვდილს სად გაექცევი?! სიკვდილთან ჭიდილი კი, ძვირფასო ჰარი, ყოველთვის კეთილშობილური, ღირსეული და მშვენიერი საქმეა, ისევე როგორც ომის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ეს ბრძოლა რატომღაც მაინც უიმედო დონკიხოტობა მგონია მუდამ.

— შესაძლოა მართლა ასე იყოს, — ვთქვი მკვახედ, — მაგრამ იმ ჭეშმარიტების წყალობით, რომ მაინც დავიხოცებით და ამიტომ ყველაფერი ფეხებზე უნდა დავიკიდოთ, მთელი ცხოვრება უხამსი და სულელური ხდება. მაშასადამე, შენი აზრით, ყველაფერზე თვალი უნდა დავხუჭოთ, უარვყოთ ყოველგვარი მიზანსწრაფვა, სულის ყოველგვარი გამოძახილი, უარი ვთქვათ ადამიანურობაზე, დავემონოთ პატივმოყვარეობასა და ფულს, წინ დავიდგათ ლუდით სავსე კათხა და წრუპვა-წრუპვით დაველოდოთ, როდის დაგვაწყებინებენ კაცთა კვლას, არა?

საოცარი მზერა მესროლა ამჯერად ჰერმინემ, ეშმაკური და თან დამცინავი.

მაგრამ ამ მზერაში ამავე დროს ძმაკაცური თანაგრძნობა, გამოცდილების სიმძიმე და ღრმა სიდინჯე გამოსჭვიოდა!

— არა, არა, — მითხრა საოცარი დედობრივი გრძნობით, — შენი ცხოვრება არამც და არამც არ გახდება უხამსი, თუგინდ დარწმუნებული იყო, რომ ეგ ბრძოლა გამარჯვებით არ დაგვირგვინდება. ჩემო ჰარი, გაცილებით უფრო დიდი უხამსობაა, როცა რაღაც კეთილ საქმეს, იდეალს ესწრაფვი და ფიქრობ, რომ ვალდებული ხარ ხორცი შეასხა მას. განა ადამიანს იდეალები იმისთვის გააჩნია, რომ განახორციელოს ისინი? განა ამქვეყნად იმისათვის მოვსულვართ, სიკვდილს კარი გადავურაზოთ? არა, ჩვენ იმისათვის ვცოცხლობთ, რომ ჯერ სიკვდილის შიში გვქონდეს, მერე კი ერთმანეთი გვიყვარდეს. განა სწორედ სიკვდილის წყალობით არ არის ხოლმე ეს ცხოვრება ზოგჯერ ასე გასაოცრად წარმტაცი? ნამდვილი ბალღი ხარ, ჰარი! ახლა კი დამიჯერე და გამომყევი. დღეს ბევრი საქმე გვაქვს, აღარ მინდა ომზე და გაზეთებზე ფიქრი. შენ?

არა, არც მე მინდოდა ამაზე ფიქრი. მუსიკალურ მაღაზიაში წავედით-- დღეს პირველად მოგვიხდა ქალაქში ერთად გასეირნება, — და გრამაფონების თვალიერებას შევუდექით: ვაღებდით და ვხურავდით, დასაკრავად მოვმართავდით. ბოლოს ერთ-ერთი მათგანი სხვებზე მეტად მოგვეწონა და ფასიც არცთუ ისე ძვირი გვეჩვენა. ყიდვა დავაპირე, მაგრამ ჰერმინე არ ჩქარობდა და მეც ამაღებინა ამ განზრახვაზე ხელი. კიდევ ერთ მაღაზიაში შემიყვანა და ყველა სახისა თუ ზომის გრამაფონი მომასმენინა. მხოლოდ ამის მერე დამთანხმდა ისევ წეღანდელ მაღაზიაში დაგბრუნებულიყავით და იქ შერჩეული გრამაფონი გვეყიდა.

— აი, ხომ ხედავ, — გუთხარი მე, — თურმე გაცილებით იოლად შეიძლებოდა ამ საქმის მოგვარება.

— ასე გგონია? ვაითუ ზუსტად ასეთი გრამაფონი ხვალ სხვა მაღაზიის ვიტრინაში გვენახა და იქ ოცი ფრანკით იაფი ყოფილიყო, მერე? ესეც არ იყოს, რაიმეს ყიდვა ხომ ადამიანისთვის სიამოვნებაა, ხოლო რაც სიამოვნებას განიჭებს, მთელი არსებით უნდა დატკბე. ეჰ, ჯერ კიდევ რამდენი რამ უნდა ისწავლო!

გრამაფონი მუშას ჩემს ბინაზე წავაღებინეთ.

ჰერმინემ ყურადღებით დაათვალიერა სასტუმრო ოთახი, შემიქო ღუმელი და ტახტი. სათითაოდ ჩამოჯდა ყველა სკამზე, გადაფურცლა წიგნები, მერე კარგა ხანს იდგა ჩემი სატრფოს სურათთან. გრამაფონი წიგნებდახროვილ კომოდზე შემოვდგით. მეცადინეობა დაიწყო. ჰერმინემ ფოქსტროტის ფირფიტა დადო, პირველი მოძრაობები მიჩვენა, ხელი მომკიდა და ცეკვა-ცეკვით ოთახი შემომატარა. მორჩილად დავაბოტებდი მასთან ერთად, ვეჯახებოდი სკამებს, ვასრულებდი მის ბრძანებებს, არ მესმოდა, რას მეუბნებოდა, ფეხებს ვუმტვრევდი და ჩემი მოუქნელობა ტოლს არ უდებდა ჩემსავე მოწადინებას. მეორე ცეკვის შემდეგ ჰერმინე ტახტზე დაეცა და ბავშვივით აკისკისდა.

— ღმერთო ჩემო, რა მოუქნელი ხარ! თავისუფლად იმოძრავე, ვითომ დასეირნობ! თავს ნუ დაატან ძალას. მგონი, გაიხვითქე, არა? კარგი, ერთი ხუთი წუთით შევისვენოთ! ყური მიგდე! ცეკვა თუ იცი, ფიქრივით გეადვილება, მისი სწავლა კი ფიქრზე ბევრად იოლია. ამიერიდან უფრო დიდბუნოვანი გახდები, შეუნდობ ადამიანებს იმას, რომ ფიქრი არ შეუძლიათ, რომ ურჩევნიათ

ბატონ ჰალერს სამშობლოს მოღალატე დაუძახონ და მშვიდად დაელოდონ მომავალ ომს.

ჰერმინე ერთ საათში წავიდა, თან მანუგეშა, შემდეგ ჯერზე უკეთ წავა საქმეო. მე კი ამის თაობაზე საბირისპირო აზრისა გახლდით და საძინელ იმედგაცრუებას ვგრძნობდი საკუთარი სილენჩიხა და მოუქნელობის გამო. ასე მეგონა, ამ ერთი საათის განმავლობაში სრულებით ვერაფერი ვისწავლე და არც იმის იმედი მქონდა, მომავალში უკეთ წავიდოდა საქმე. არა, ცეკვისთვის ადამიანს ნიჭი უნდა ჰქონდეს, რაც მე არ გამაჩნია; უნდა იყოს მხიარული, უცოდველი, ლაღი და ანცი. რას იზამ, ეს ადრევეც ვიცოდი.

საკვირველი კია, მაგრამ შემდეგ შეხვედრაზე საქმე მართლა უკეთ წავიდა და ცეკვამ დამაინტერესა კიდეც. გაკვეთილის ბოლოს ჰერმინე მარწმუნებდა, ფოქსტროტის ცეკვა უკვე შეგიძლიაო. მაგრამ როდესაც გამომიცხადა, ხვალ მე და შენ რესტორანში უნდა წავიდეთ და ვიცეკვოთო, ცოტა არ იყოს, შემეშინდა და უარი ვუთხარი. ჰერმინემ ცივად შემახსენა, მორჩილების ალთქმა რომ მქონდა დადებული, და მიბრძანა, მეორე დილით ჩაიზე სასტუმრო „ბალანსში" მივსულიყავი.

იმ საღამოს შინ ვიყავი. წიგნის წაკითხვა მოვინდომე, მაგრამ ვერ შევძელი. ხვალინდელი დღის შიშს შევეპყარი. იმაზე ფიქრიც კი მზარავდა, რომ ეს ბებერი, მორცხვი, უქმური კაცი უბრალო სტუმარი კი არ ვიქნებოდი უხამს, მოდურ რესტორანში, სადაც ჯაზურ მუსიკას უსმენენ და საცეკვაოდ დადიან, არამედ ამ უცხო ხალხში მოცეკვავის როლშიც უნდა გამოვსულიყავი. თუმცა ცეკვისა ჯერ არც მაინცდამაინც გამეგებოდა. გამოგიტყდებით, საკუთარ თავზე მეცინებოდა და თან მრცხვენოდა, როცა ჩემს წყნარ სამუშაო ოთახში გრამაფონი მოვმართე და მარტომ, თითის წვერებზე გავიმეორე ფოქსტროტის ილეთები.

სასტუმრო „ბალანსში" მეორე დღეს ბატარა ორკესტრი უკრავდა. სტუმრებს ჩაითა და ვისკით უმასპინძლდებოდნენ. ჰერმინეს გულის მოგებას შევეცადე, ნამცხვარი და ძვირფასი ღვინო შევთავაზე, მაგრამ გული ვერ მოვულბე.

— აქ იმისათვის კი არ მოსულხარ, რომ ისიამოვნო. იცოდე, ცეკვის გაკვეთილი გაქვს, — მითხრა მან.

ორჯერ თუ სამჯერ მომიხდა ცეკვა. შესვენების დროს ჰერმინემ საქსოფონისტი გამაცნო. ეს შავგვრემანი, ლამაზი ყმაწვილი, ეტყობა, ესპანური თუ სამხრეთამერიკული წარმოშობის უნდა ყოფილიყო და, როგორც ქალმა მითხრა, მსოფლიოს ყველა ენაზე ლაპარაკობდა. საკმაოდ კარგად იცნობდა ჰერმინეს, ის კი არადა, მგონი, მეგობრებიც უნდა ყოფილიყვნენ. ყმაწვილს წინ ორი სხვადასხვა ზომის საქსოფონი ედო. საკრავებს რიგრიგობით აჭყვიტინებდა და თან მოელვარე თვალებით ყურადღებითა და სიამოვნებით შესცქეროდა მოცეკვავეებს.

ამ უწყინარ, ლამაზ მუსიკოსზე უცბად ვიეჭვიანესავით და ამან საშინლად გამაკვირვა. არა, ეს არ იყო სიყვარულის ეჭვიანობა, — ჩემსა და ჰერმინეს შორის ხომ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, — ჩემი ეჭვიანობა იმან გამოიწვია, რომ მათ შორის უფრო მეტი სულიერი სიახლოვე და მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება ვიგრძენი; თანაც მომეჩვენა, რომ ეს კაცი არ იყო იმ განსაკუთრებული ყურადღებისა და პატივისცემის ღირსი, რასაც ჰერმინე მის

მიმართ იჩენდა. „ეს რა უცნაური ნაცნობები გავიჩინე-მეთქი", — გავიფიქრე უკმაყოფილოდ.

ჰერმინე რამდენჯერმე გაიწვიეს საცეკვაოდ. მე კი მაგიდასთან მარტო ვიჯექი და ვუსმენდი მუსიკას, რომლის მოსმენაც დღემდე აუტანლად მეჩვენებოდა.

„ღმერთო ჩემო, — ვფიქრობდი გულში, — ნუთუ ამ ბერიკაცებს აქ უნდა დავიდო ბინა, უნდა შევეჩვიო აქაურობას, მოქეიფეებისა და დარდიმანდების ჩემთვის საძულველ ყოფას?! მე კი ყოველთვის ვცდილობდი გავქცეოდი მარმარილოს მაგიდებს, ჯაზური მუსიკის, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებისა და კომივოიაჟერების ამ უღიმღამო, სტანდარტულ სამყაროს!"

უხალისოდ ვსვამდი ჩაის და თან ჩემ გარშემო მყოფ არცთუ მთლად ღირსეულ საზოგადოებას ვათვალიერებდი. მალე მზერა ორ ლამაზ ქალიშვილზე შევაჩერე. ორივე კარგად ცეკვავდა. შევცქეროდი მათი მოქნილი სხეულების მშვენიერ, მხიარულ და თვითდაჯერებულ მიხრა-მოხრას და შურსა და აღტაცებას ველარ ვმალავდი. ამ დროს ჰერმინეც გამოჩნდა, უკმაყოფილო იყო ჩემი. „განა აქ იმიტომ მოხვედი, ასე მოჟამული იჯდე და ჩაის მიირთმევდე. აბა, კეთილინებე, ახლავე გახალისდი და იცეკვე!" — მითხრა აღშფოთებულმა. მივუგე, აქ არავის ვიცნობ-მეთქი, მაგრამ ჰერმინემ მიპასუხა, ეს სრულებით არ არის აუცილებელი, ნუთუ შენი მოსაწონი ქალი აღარ გამოჩნდაო?

მეც ერთ-ერთ იმ გოგოზე მივუთითე, ყველაზე ლამაზი რომ მეჩვენა. იქვე ახლოს იდგა. ძალზე შვენოდა ხავერდის კოხტა ქვედატანი, საამო საცქერი იყო მისი მოკლედ მოკრეჭილი სქელი თმა და სავსე მკლავები. ჰერმინემ დამიუინა, ახლავე მიდი და საცეკვაოდ გამოიწვიეო. არა და არ დავთანხმდი.

— რომ არ შემიძლია? — ვუთხარი და იმ წუთში ძალზე უბედურად ვიგრძენი თავი. — ახალგაზრდა, სანდომიანი რომ ვიყო, კიდევ მესმის! ცეკვაც არ ვიცი ხეირიანად, ჰოდა, მიდი და ამ ყრუჩუნა ბებერმა ახალგაზრდა ქალი საცეკვაოდ გაიხმე! ხომ მასხარად ამიგდო!

ჰერმინემ დამცინავად და თან ზიზღით შემომხედა.

— მე თუ დაგცინებ, ამას, რა თქმა უნდა, აინუნში არ ჩააგდებ, არა? ო, რა ლაჩარი ხარ! რას იზამ, გოგოსთან როცა მიდიხარ, ყოველთვის გელის საშიშროება, რომ გაბითურებული დარჩები. ისე რომ, უნდა გაბედო, ჰარი, დიდ-დიდი დაგცინონ, მერე რა მოხდა?! თორემ იცოდე, შენს მორჩილებაში ეჭვი შემეპარება.

არა და არ შეპუებოდა. მუსიკამ ხელახლა დაუკრა თუ არა, ნირწამხდარი წამოვდექი და იმ ლამაზმანისკენ გავეშურე.

— ისე, მართალი გითხრათ, მარტო არა ვარ, — მითხრა მან და ცნობისმოყვარეობით შემავლო დიდრონი, ცოცხალი თვალები, — მაგრამ ჩემი პარტნიორი, ეტყობა, ბარში შეყოვნდა. რა გაეწყობა, წავიდეთ!

წელზე ხელი მოვხვიე და პირველი ნაბიჯები გადავდგი. ერთობ გაოცებული დავრჩი, მაშინვე უარი რომ არ მტკიცა. ქალი მალე მიხვდა ჩემს გაჭირვებას და თითონ წამიყვანა. მართლაც რომ შესანიშნავად ცეკვავდა. მეც თანდათან ეშხში შევედი, ყველა ნასწავლი წესი პირწმინდად დამავიწყდა. დავსრიალებდი ჩემს ლამაზმანთან ერთად, ვგრძნობდი მის მკვრივ თეძოებს, სხარტ, მოქნილ მუხლებს, შევცქეროდი მის ქორფა, გაცისკროვნებულ სახეს. გამოვუტყდი და ვუთხარი, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვცეკვავ-მეთქი. გამამხნე-

ვებლად გამიღიმა და ჩემს აღტაცებულ მზერაზე თუ მაამებელ სიტყვებზე საოცრად თვინიერად მიპასუხა; მაგრამ მიპასუხა არა სიტყვებით, არამედ აუღელვებელი, თავბრუდამხვევი მოძრაობებით. ეს მოძრაობები ორივეს კიდევ უფრო გვაახლოებდა და აღგვაფროთოვანებდა. მარჯვენა ხელი მაგრად მქონდა მის წელზე მოხვეული, თან ნეტარებითა და გაფაციცებით ვიყავი მეყურადებული მისი ფეხების, ხელებისა თუ მხრების მოძრაობას. ჩემდა გასაოცრად, ერთხელაც არ დამიბიჯებია მისთვის ფეხი. მუსიკა რომ მიჩუმდა, ჩვენც გავჩერდით და ტაში დავუკარით. მერე ისევ გაისმა მუსიკის ხმა და ერთხელ კიდევ თავდავიწყებით, გატაცებითა და მოწიწებით შევასრულე ეს რიტუალი. ცეკვა რომ დამთავრდა, — ჰოი, რა ხანმოკლე გამოდგა იგი, — ჩემი ხავერდოვანი მზეთუნახავი გაუჩინარდა, წინ კი უეცრად ჰერმინე ამესვეტა, რომელსაც თვალი არ მოუშორებია ჩვენთვის.

— იმედია, ახლა მაინც შეამჩნიე ზოგიერთი რამ? — კმაყოფილებით გაიცინა მან, —ვგონებ, მიხვდი, რომ ქალის ფეხები რაღაცით განსხვავდება მაგიდის ფეხებისაგან. ბარაქალა! მადლობა ღმერთს, ახლა ფოქსი უკვე იცი, ხვალიდან კი ბოსტონის სწავლას შევუდგებით. სამ კვირაში ხომ კარნავალი გაიმართება „გლობუსის“ დარბაზებში!

შესვენების დროს მაგიდას მივუსხედით. სწორედ ამ დროს მოგვიახლოვდა ბატონი პაბლო, წელანდელი ახალგაზრდა ლამაზი საქსაფონისტი; თავი დაგვიქნია და ჰერმინეს გვერდით დაჯდა. ეტყობა, გულითადი მეგობრები იყვნენ. უნდა გამოვტყდე და ვთქვა, რომ ეს კაცი ერთი ნახვით სრულებით არ მომეწონა. წუნს ვერ დადებდი, ნამდვილად ლამაზი იყო, — პირისახეც მშვენიერი ჰქონდა და აღნაგობაც, მაგრამ სხვა რამ ვერაფერი ღირსება აღმოვუჩინე. სხვადასხვა ენაზე საუბარსაც ძალზე ადვილად ართმევდა თავს, რამეთუ უმეტესად დუმდა და მხოლოდ „კი ბატონო“, „გმადლობთ“, „სავსებით მართალია“, „რა თქმა უნდა“, „დიახ, გისმენთ“ და სხვა ამგვარს თუ იტყოდა. ამის თქმას კი მართლაც მრავალ ენაზე ახერხებდა. დიახ, ბატონი პაბლო უმთავრესად გაჩუმებული იყო. რატომღაც ვიფიქრე, ეს ლამაზი რაინდი, ეტყობა, ფიქრითაც დიდად არ იწუხებს თავს-მეთქი. მთელ მის საქმიანობას ჯაზში საქსაფონზე დაკვრა შეადგენდა, და, როგორც ჩანს, დიდი სიყვარულითა და გატაცებით ეკიდებოდა ამ საქმეს. ხანდახან შუა დაკვრაში ტაშს შემოჰკრავდა, ანდა თავს ნებას აძლევდა გრძნობებისათვის გზა ეტია და სიმღერით წამოიძახებდა ხოლმე: „ო, ო, ო, ჰაჰა, ჰალოო!“ საერთოდ კი ამქვეყნად იმისთვის იყო გაჩენილი, თავისი სილამაზით ქალები გაეგიჟებინა; ატარებდა უკანასკნელი მოდის საყელოებს თუ ჰალსტუხებს და თითებზე უამრავი ბეჭედი ჰქონდა აჩონჩხლილი. საუბარში მისი მონაწილეობა იმით ამოიწურებოდა, რომ ჩვენ გვერდით იჯდა, გვიღიმოდა, დროდადრო მაჯის საათს დახედავდა და პაპიროსს გრაგნიდა, — ამ საქმეში კი, ვერაფერს იტყოდით, ერთობ გაწაფული ჰქონდა ხელი. მის მუქ, კრეოლურ, ლამაზ თვალებში და შავ კულულებში რომანტიკის ნატამალიც კი არ გამოკრთოდა, მისთვის უცხო იყო ყოველგვარი პრობლემა, აზრი თუ ფიქრი. ახლოდან რომ შეგეხედათ, ეს ღვთაებრივი სილამაზის, ეგზოტიკურად მშვენიერი ყმაწვილკაცი მხიარული და ერთობ განებივრებული ბიჭი იყო მხოლოდ და მეტი არაფერი. საქსაფონზე და ჯაზური მუსიკის ტემბრზე ჩამოვაგდე საუბარი. ვიფიქრე, მიხვდება, რომ ძველ მელომანსა და მუსიკის მცოდნესთან აქვს საქმე-მეთქი, მაგრამ საუბარში არ ამყვა. მინდოდა თავაზიანობა გა-

მომეჩინა მის, უფრო სწორად, ჰერმინეს მიმართ და შევეცადე ჯაზური მუსიკისათვის რაღაც თეორიული გამართლება გამომეძებნა. მაგრამ პაბლომ უწყინარი ღიმილი მტყორცნა მეც და ჩემს ცდასაც,— ეტყობა, აზრზე არ იყო, რომ ჯაზის გარდა ამქვეყნად კიდევ სხვა მუსიკაც არსებობდა. ვერაფერს ვიტყვი. სასიამოვნო და წესიერი კაცი ჩანდა, ღიმილს გაეცინა [illegible] მისი დიდრონი, უაზროდ მზირალი თვალები. მაგრამ ჩვენ შორის არაფერი ხეო საერთო; ის, რაც მას მნიშვნელოვნად და წმინდად მიაჩნდა, მე არ მაღელვებდა; სხვადასხვა სამყაროს შვილები ვიყავით და ჩვენს ენაში სიტყვაც არ ერია ზიარი (მოგვიანებით ჰერმინემ ერთი საგულისხმო ამბავი მამცნო: იმ საუბრის შემდეგ თურმე პაბლოს ჩემზე უთქვამს, მაგ კაცს ძალზე უნდა მოუფრთხილდე, დიდი უბედური ვინმე ჩანსო, ხოლო როცა ჰერმინეს უკითხავს, საიდან დაასკვენიო, უპასუხია: „აბა შეხედე მაგ საბრალოს, როგორი თვალები აქვს! სიცილიც კი არ ძალუძს").

შავთვალა ყმაწვილი დაგვემშვიდობა და წავიდა. ამასობაში კვლავ დასჭექა მუსიკამ და ჰერმინე წამოდგა.

— ჰარი, ახლა შეგიძლია მეც მეცეკვო. ან იქნებ ალარ გინდა ცეკვა?

ჰერმინესთანაც მსუბუქად, ლაღად და მხიარულად ვცეკვავდი, მაგრამ იმ უდარდელმა თავდავიწყებამ კი გამიარა, წელან, იმ მეორე ქალთან რომ განვიცადე. ჰერმინემ უფლება მომცა ცეკვის დროს წამეყვანა და სიოსავით მსუბუქი და ნაზი ნაბიჯით მომყვებოდა. ახლა უკვე მასთან ცეკვაშიც ვგრძნობდი იმ ხიბლს, ხან ნიავივით რომ მელამუნებოდა, ხან კი უკვალოდ ქრებოდა; ახლა ისიც აფრქვევდა ქალურობისა და ტრფობის სურნელს, მისი ცეკვაც სქესის ნაზი ,გულში ჩამწვდომი გალობა იყო, მაგრამ მაინც არ ძალმიძდა მთლიანად მივცემოდი ჩემს განცდებს, თავისუფლად, მხიარულად და თავდავიწყებით შემეგრძნო ყოველივე. ჰერმინეს ერთობ ახლობლად ვიგულვიდი, ის ხომ ჩემი მეგობარი, გულისწორი და ალი-კვალი იყო! თანაც ჰერმინე საოცრად ჩამოგავდა ჰერმანს, — ჩემი სიყრმის მეგობარს, მეოცნებეს, პოეტს, ჩემი სულიერი წრთობისა და დროსტარების მხურვალე თანამეინახეს.

— ვიცი, — მითხრა ქალმა, როცა ამაზე ჩამოვუგდე სიტყვა, — ძალიან კარგად ვიცი, რომ თავს უთუოდ შეგაყვარებ, მაგრამ ეს საჩქარო არ არის. ჯერჯეროობით კი ამხანაგები გვქვია; ჩვენ ის ადამიანები ვართ, რომლებიც ბედმა შეჰყარა ერთმანეთს და იმედოვნებენ, ძმაკაცები გახდებიან. ჯერჯეროობით კი ბევრი რამ გვაქვს ერთმანეთისგან სასწავლი და ერთმანეთთან თამაშიც მოგვიწევს. მე ჩემს პაწია თეატრს გაჩვენებ, გასწავლი ცეკვას; გასწავლი, როგორ უნდა მხიარულება თუ სისულელეების ჩადენა; შენ კი შენს ფიქრებს გამანდობ და ცოდნას გამიზიარებ.

— ეჰ, ჰერმინე, აბა მე რისი გამზიარებელი ვარ! შენ ხომ ჩემზე ბევრად მეტი იცი. დიდი უცნაური ადამიანი კი ხარ, ჩემო გოგონავ, გულთამხილავივით ხვდები, რა ხდება ჩემს გულში და ყველაფერში მისწრებ. ნუთუ რაიმე ფასი მაქვს შენს თვალში? ნუთუ თავი არ შეგაწყინე?

ჰერმინემ ძირს დახარა პირჭუში მზერა.

— არ მომწონს, ასე რომ ლაპარაკობ! გახსოვს, იმ საღამოს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი როგორ მომეკედლე, მტანჯველ მარტოსულობას ხელიდან დაუსხლტი და ამხანაგად გამიხდი. როგორ გგონია, რატომ მოხდა, რომ იმ დღეს შენი გულისნადები ამოვიცანი და გითანაგრძნე?

— ჰო, ჰერმინე, მითხარი, რატომ?

— იმიტომ, რომ ერთ ბედკვეშა ვართ ორიეენი. მეც ხომ შენსავით ეულად ვგრძნობ თავს, ზუსტად შენსავით არ შემწევს სიყვარულის უნარი და ამ ცხოვრებას, გარშემომყოფთ თუ საკუთარ თავს სერიოზულად მეც ვერ ვიდგიქვამ. მუდამ არიან ადამიანები, ცხოვრებისგან უმაღლეს საზღაურს რომ ელოდებიან და ვერ ეგუებიან იმ სისულელესა და უხეშობას, იქ რომ გამეფებულა.

— ერთი ამის დამიხედეთ! — წამოვიძახე გაოცებულმა. — ჩემო მეგობარო, მშვენივრად მესმის შენი! ასე კარგად ალბათ ვერც ვერავინ გაგიგებს, მაგრამ მაინც გამოცანას წარმოადგენ ჩემთვის. განა შენ არა ხარ, ასე თამაშთამაშით რომ მიუყვები ცხოვრების კიბეს, ეთაყვანები ყოველგვარ ტკბობას და შეჰფოფინებ ცხოვრების ყველა წვრილმანს?! მაშ, რატომღა უნდა გრძნობდე თავს ამ ცხოვრებისგან გარიყულად? რატომ უნდა ეძლეოდე სასოწარკვეთას?

— ჩემო ჰარი, სასოწარკვეთას არასოდეს ვეძლევი, ტანჯვა კი ბლომად მიგემია ცხოვრებაში. ჰო, ამის გამოცდილება კი მაქვს. ალბათ გიკვირს, უბედურად რომ ვგრძნობ თავს, არა? მე ხომ ცეკვაც ვიცი და ცხოვრების ოლროჩოლროებზეც მარჯვედ ვიკვალავ გზას?! მეგობარო, მე კი შენი გამკვირვებია, ცხოვრებაში ასე იმედგაცრუებულს რომ გხედავ. აბა შენსავით ვის უგრძვნია მშვენიერზე მშვენიერი და ამაღლებული ცნებების ჯადო-თილისმა. შენ ხომ შინაური კაცი ხარ სულის, ხელოვნებისა და ზრის საუფლოში?!, აი, სწორედ ამიტომ იყო, რომ ანდამატივით მივიზიდეთ ერთმანეთი და და-ძმა გავხდით. მე გასწავლი ცეკვა-თამაშს და ლიმილს, მაგრამ იმასაც, რომ არათდეს დაგეუფლოს კმაყოფილების გრძნობა. შენგან კი ვისწავლი აზროვნებას, დაგცინცლავ ცოდნას, მაგრამ ისიც მემახსოვრება, რომ კმაყოფილებას არ უნდა მივეცე. განა არ იცი, რომ ორთავენი ეშმას ნაშიერები ვართ?!

— ჰო, მისი მოდგმისა ვართ. ეშმა—სულია, ჩვენ კი მისი უბედური ნაშიერები, ბუნების კალთიდან გადმოცვენილი და ახლა სიცარიელეში გამოკიდებული მისი პირმშოები. მაგრამ აი, რა გამახსენდა: გახსოვს, ტრამალის მგლის ტრაქტატი რომ ვახსენე? ჰოდა, იქ ასეთ რამეს წავაწყდი: მხოლოდ ჰარის წარმოსახვის ბრალია, როცა ფიქრობს, რომ მას ერთი ან ორი სული აქვს, ანდა ერთი ან ორი არსება; სინამდვილეში ყველა ადამიანი ათი, ასი, ათასი სულის პატრონიაო.

— ეს კი ძალიან მომწონს. — წამოიძახა ჰერმინემ, — აი, მაგალითად, შენ ძალზე განვითარებული გაქვს სულიერი საწყისი, სამაგიეროდ ცხოვრებისეულ წვრილმანებში გაუწაფავი ხარ და ვერ ერკვევი. ჰარი მოაზროვნეს ალბათ უკვე ასი წელი შეუსრულდა, ჰარი-მოცეკვავე კი ჯერ ერთი დღისაც არ არის. ახლა მასაც გავანათლებთ და მასავით სულელ და უმწიფარ მის უმცროს ძმებსაც.

ესა თქვა და ლიმილით შემომხედა. მერე შეცვლილი ხმით ჩუმად მკითხა:

— როგორ მოგეწონა მარია?

— მარია ვინ?

— შენ რომ ეცეკვებოდი. ძალზე ლამაზი გოგოა. თუ არ ვცდები, მგონი, ცოტათი შეყვარებულიც კი ხარ, არა?

— განა შენ იცნობ ამ ქალს?

— ო, რა თქმა უნდა, მშვენივრად ვიცნობთ ერთმანეთს. ძალიან გავიტაცა?

— მომეწონა და გამეხარდა, რომ ჩემს ცეკვას ასეთი ლმობიერი თვალით უყურებდა.

— ეს არის და ეს? ჰარი, მოდი, გაეარშიყე ამ ქალს! ძალიან ლამაზია. შესანიშნავად ცეკვავს, თან შენც ნამდვილად შეყვარებულივით ჩანხარ. გგონებ, ხელმოცარული არ უნდა დარჩე.

— ოჰ, ამას არც ვჩემულობ.

— ახლა კი სცრუობ. ხომ ვიცი, რომ სადღაც სატრფო გყავს; ისიც ვიცი, დიდი-დიდი, წელიწადში ორჯერ თუ ხვდები. მერე კი ყველაფერი ჩხუბით მთავრდება. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ გინდა იმ შენს უცნაურ სატრფოს უერთგულო, მაგრამ ნება მომეც, ამ ამბავს არცთუ მაინცდამაინც სერიოზულად შევხედო! საერთოდ კი სიყვარულს ერთობ სერიოზული თვალით უნდა უყურებდე. ისე, ნება შენია, მაგ მეოცნებე სიყვარულით, რამდენიც მოგეხალისება, იმდენი გიყვარდეს, მაგაზე მე ვერ ვიმტვრევ თავს. ჩემი საზრუნავი ახლა ისაა, როგორმე ცხოვრებისეულ წვრილმანებში გაგწაფო და დაგახელოვნო, ყოფით თამაშში ჩაგაბა და ზოგიერთ მის ილეთსაც გაზიარო. სწორედ ამ მხრივ ვაპირებ შენს გათვითცნობიერებას და ეჭვი არ შეგეპაროს, რომ იმ შენს საოცნებო სატრფოზე უკეთეს მასწავლებლობასაც გაგიწევ! ისე, ტრამალის მგელო, ურიგო არ იქნებოდა, ვინმე ლამაზ გოგოსთან გაგეთია ლამე.

— ჰერმინე, — წამოვიძახე გაოცებულმა, —აბა შემომხედე, ნუთუ ვერა ხედავ, რა ბებერი ვარ?!

— იცი, რას გეტყვი, ბებერი კი არა, პატარა ბიჭი ხარ. ცეკვის სწავლაც ზუსტად ასევე გეზარებოდა და, ოტა დარჩა, ეს დრო ხელიდან არ გაუშვი. სიყვარულის სწავლაც სიზარმაცის გამო არ გინდოდა. ო, ჩემო მეგობარო, რაც მართალია, მართალია, მეოცნებე, ტრაგიკული სიყვარულის უნარი, რა თქმა უნდა, მშვენივრად შეგწევს, ამაში ოდნავაც არ მეპარება ეჭვი; მაგრამ, იცოდე, დღეის შემდეგ უბრალო, ადამიანური სიყვარულიც უნდა ისწავლო. პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმული გაქვს, სულ მალე მეჯლისზეც შეიძლება გაგიშვას კაცმა. ბოსტონის სწავლა კი მაინც მოგიწევს. ამ საქმეს ხვალიდან შევუდგებით. სამ საათზე შენთან ვიქნები, ჰო, მართლა, როგორ მოგეწონა აქაური მუსიკა?

— მშვენიერია!

— აი, ხომ ხედავ! ესეც წინგადადგმული ნაბიჯია, ზოგ-ზოგ რაღაცაში უკვე ერკვევი კიდეც. აქამდე ვერ იტანდი საცეკვაო და ჯაზურ მუსიკას, სიდინჯე და სიღრმე აკლიაო, ამბობდი; ახლა კი მიხვდი, რომ სრულიად არ არის საჭირო ასე სერიოზულად აღიქვამდე მას. ამიერიდან უკვე იცი, რომ ეს მუსიკა შეიძლება სასიამოვნო და მიმზიდველიც კი იყოს. სხვათა შორის, პაბლო რომ არა, კაპიკია ამ ორკესტრის ფასი. ის არის მისი სული და გული და შთაგონების წყარო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

თომას მანი

ფრიად საეჭვო რამ

(ერთი თავი რომანიდან „ჯადოსნური მთა")

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან თარგმნა დავლი ფანჯიკიძემ

●

ედვინ კროკოვსკის ლექციებმა წლების განმავლობაში მოულოდნელი მიმართულება შეიძინა. მის გამოკვლევებს, რომლებიც სულის დანაწევრებასა და ადამიანის ქვეცნობიერ ცხოვრებას ემსახურებოდა, ყოველთვის ჰქონდა ქვესკნელისა და კატაკომბებისეული ხასიათი, ახლახან კი მან ფრთხილად, საზოგადოებისთვის ძლივს შესამჩნევად გადაუხვია ჩვეული გზიდან და გეზი მაგიისა და იდუმალების სფეროსაკენ აიღო. და აი, მისი ორკვირეული ლექციები, სანატორიუმის ეს მთავარი ატრაქციონი, პროსპექტის სიამაყე, ის ლექციები, იგი სასადილო დარბაზში სერთუკსა და სანდლებში გამოწყობილი რომ ატარებდა, იდგა სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან და ეგზოტიკურად გაწელილი აქცენტით ლაპარაკობდა სულგანაბული ბერგჰოფული საზოგადოების წინაშე, უკვე აღარ ეხებოდა სიყვარულის შენიღბულ მოქმედებას და გაცნობიერებულ აფექტად ავადმყოფობის უკუგარდაქმნას, ლექციებში ახლა ლაპარაკი იყო ჰიპნოტიზმისა და სომნამბულიზმის ამოუცნობ უცნაურობებზე, ტელეპათიის ფენომენზე, წინასწარმეტყველურ სიზმრებსა და ნათელმხილველობის ნიჭზე, ისტერიის საოცრებებზე, რომელთა განმარტების წყალობით დიდად ფართოვდებოდა ფილოსოფიური ჰორიზონტი და მსმენელებს ერთბაშად ისეთი გამოცანები აუთამაშდებოდათ თვალწინ, როგორიცაა მატერიის მიმართება ფსიქიკასთან, თვით სიცოცხლის არსის საკითხი, ხოლო მათთან მიახლოება თურმე შიშისა და ავადმყოფობის გზით უფრო ადვილად შეიძლებოდა, ვიდრე სიჯანსაღის გზით...

ამას იმიტომ გიამბობთ, რომ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია შევარცხვინოთ ის მალემრწმენი სულები, აქაოდა, დოქტორი კროკოვსკი მხოლოდ იმისთვის გადასწვდა იდუმალების სფეროს, უნდა თავის ლექციები უსაშველო მონოტონურობისგან იხსნასო, ესე იგი, წმინდა ემოციური მიზნები ამოძრავებსო. ასე ლაპარაკობდნენ ავი ენები, რომლებიც ყველგან მოიძებნება. მართლაც, ორშაბათის ლექციებზე მამაკაცები უწინდელზე უფრო ბეჯითად იჩიჩქნიდნენ ყურებს, რომ მათი სმენისუნარიანობა გაეძლიერებინათ და ფროილაინ ლევიც კიდევ უფრო მეტად მიაგავდა მკერდში მექანიზმჩადგმულ ცვილის ფიგურას, ვიდრე ოდესმე. მაგრამ ეს ზემოქმედებაც ისეთივე კანონიერი ჩანდა, როგორც განვი-

თარგების ის გზა, სწავლულის გონს უფლება რომ ჰქონდა გაევლო, მით უმეტეს, როცა ეს არა მარტო ლოგიკური თანმიმდევრობით, არამედ აუცილებლობით გახლდათ ნაკარნახევი. მის კვლევის სფეროში ხომ აქამდეც შედიოდა ადამიანის სულის ის ბნელით მოცული და გამოუკვლევი სფეროები, ქვეცნობიერს რომ უწოდებენ, თუმცა უფრო მართებული იქნებოდა, „ზეცნობიერი" გვეწოდებინა, რადგან ამ სფეროებიდან ზოგჯერ ისეთი ცოდნა ამოხეთქავს, ინდივიდის გაცნობიერებულ ცოდნას ბევრად რომ აღემატება და გვაფიქრებინებს, ცალკეული სულის ღრმად ჩამალულ, წყვდიადით მოცულ სფეროებსა და ყოვლისმცოდნე საერთო სულს შორის რაღაც კავშირი და ურთიერთობა უნდა არსებობდესო. ქვეცნობიერის სფერო, „ოკულტური", ამ სიტყვის ფართო გაგებით, სულ მალე ოკულტური აღმოჩნდება ამ სიტყვის უფრო ვიწრო გაგებითაც და ერთ-ერთი ის წყაროთაგანი გახდება, საიდანაც გამოედინება ის მოვლენები, ზემოხსენებული სახელი რომ დავარქვით. ეგ კიდევ არაფერი. ვინც ავადმყოფობის ორგანულ სიმპტომებში ცნობიერი სულიერი ცხოვრებიდან გამოძევებული ისტერიული აფექტის ნამოქმედარს ხედავს, მან უნდა აღიაროს მატერიალურთან მიმართებაში ფსიქიკური საწყისის შემოქმედებითი ძალა, ძალა, რომელიც იძულებულნი ვართ მაგიური ფენომენის მეორე წყაროდ შევრაცხოთ. პათოლოგიის იდეალისტი, რომ არა ვთქვათ, პათოლოგიური იდეალისტი-თქო, ძალაუნებურად იმ აზრთა მდინარების საწყის წერტილში აღმოჩნდება, რომელიც სულ მოკლე ხანში ყოფიერების პრობლემას, უკეთ რომ ვთქვათ, სულისა და მატერიის ურთიერთობის პრობლემას მიადგება. მატერიალისტი, სიჯანსაღის ფილოსოფიის პირმშო, არასოდეს მოიშლის იმის მტკიცებას, სულიერი მატერიალურის ფოსფორესცირებული პროდუქტიაო. იდეალისტი კი, პირიქით, შემოქმედებითი ისტერიის პრინციპიდან გამომდინარე, ჯერ ყოყმანით, სულ მალე კი მტკიცედ იტყვის, პრიმატის საკითხი სრულიად საწინააღმდეგო აზრით უნდა გადაწყდესო. საბოლოო ანგარიშით, არც მეტი და არც ნაკლები, აქ დგას ძველთაძველი საკამათო საკითხი, რომელი გაჩნდა ადრე: ქათამი თუ კვერცხი — ამ საკამათო საკითხს კი განსაკუთრებით ართულებს ორი ფაქტი: წარმოუდგენელია, ქათამს რომ არ დაუდვია, ისეთი კვერცხი და ასევე წარმოუდგენელია ისეთი ქათამი, წინასწარ ნაგულისხმევი კვერცხისაგან არ იყოს გამოჩეკილი.

ასე და ამგვარად, დოქტორი კროკოვსკი ერთი ხანია თავის ლექციებში სწორედ ამ საკითხებს უტრიალებდა. იგი ორგანული, კანონიერი, ლოგიკური გზით მოვიდა აქამდე, ამ გარემოებას განსაკუთრებით ვუსვამთ ხაზს და თან იმასაც დავსძენთ, რომ ასეთ საკითხებს იგი მანამდე დიდი ხნით ადრე იკვლევდა, სანამ სცენაზე ელენ ბრანდი გამოჩნდებოდა და საქმე ემპირიულ-ექსპერიმენტულ სტადიაში გადავიდოდა.

ეს ელენ ბრანდი ვიღაა? კინაღამ დაგვავიწყდა, ჩვენი მსმენელები ელენ ბრანდს რომ არ იცნობენ, ჩვენთვის კი, რა თქმა უნდა, ცნობილია ეს სახელი. ვინ იყო იგი? ერთი შეხედვით თითქმის არავინ. ეს ცხრამეტი წლის სანდომიანი არსება, სელისფერთმიანი დანიელი გოგონა, რომელსაც ელის ეძახდნენ, კოპენჰაგენელიც კი არ იყო —აქ ფიუნენის ოდენსიდან ჩამოვიდა, სადაც მამამისს კარაქის მაღაზია ჰქონდა. თვითონ უკვე მსახურობდა, რამდენიმე წელი მარჯვენა ხელზე მუფთაწამოცმული იჯდა მბრუნავ სავარძელში, დედაქალაქის ბანკის პროვინციულ ფილიალში, სქელ-სქელ დავთრებთან და სიცხიანობაც იქ

დასჩემდა. ელი ბრანდს მძიმე ავადმყოფი არ ეთქმოდა, ტუბერკულოზს მხოლოდ ეჭვობდნენ, თუმცა ელი სუსტი გოგონა იყო, სუსტი დ ძალიან ხასხლნაკლული, თან უეჭველად სიმპათიურიც, პირდაპირ მოგინდებოდათ სელისფერ თმაზე გადაგესვათ ხელი, რასაც ჰოფრატი ხშირად აკეთებდა. კიდეც, როცა სასადილო დარბაზში გამოელაპარაკებოდა ხოლმე. ელი თითქოს ჩრდილოური სიგრილით იყო გარემოსილი და ეს ბროლისებურ-უბიწო, ბავშვურ-ქალწულური ატმოსფერო ისევე გიზიდავდათ, როგორც მისი ლურჯი თვალების გულღია და წმინდა, ბავშვური მზერა, ასევე მიმზიდველი ჰქონდა მეტყველებაც; ლაპარაკობდა წკრიალა, წვრილი და ნაზი ხმით, გერმანულს ოდნავ ამტვრევდა — ტიპიური, პატარ-პატარა ფონეტიკური შეცდომები მოსდიოდა, მაგალითად, „ხორცის" ნაცვლად „ხოზს" წარმოთქვამდა. სახის ნაკვთებით თავს ნამდვილად ვერ მოიწონებდა, ხოლო ნიკაპი მეტისმეტად მოკლეც კი ჰქონდა. ელი კლეეფელდის მაგიდასთან იჯდა და იგიც დედობრივი მზრუნველობით ეკიდებოდა.

და აი, ამ ქალწულს, ამ ელი ბრანდს, ამ თავაზიან, პატარა დანიელ ველოსიპედისტსა და კანტორაში მუშაობით წელში გადრეკილ გოგონას აღმოაჩნდა ზოგიერთი თვისება, რასაც ამ სახენათელი პიროვნებისაგან კაცი ვერც პირველ და ვერც მეორე შეხედვაზე ვერ წარმოიდგენდა, მაგრამ მისმა თვისებებმა აქ, მთაში ამოსვლიდან რამდენიმე კვირის თავზე ნელ-ნელა იჩინა თავი და მათი უცნაურობის ამოცნობა დოქტორ კროკოვსკის საქმე შეიქნა.

სწავლულს დაფიქრების პირველი საბაბი სალამოს თავყრილობებზე შემოღებულმა გასართობებმა მისცა. პაციენტები ნაირ-ნაირ გამოსაცნობ თამაშობებს იგონებდნენ. შემოიღეს აგრეთვე დამალული საგნის პოვნა პიანინოზე დაკვრის დახმარებით; თუ მძებნელი სამალავს მიუახლოვდებოდა, დაკვრის ხმა მატულობდა და კლებულობდა, როცა ადამიანი მცდარი გზით მიემართებოდა. ამას სხვა თამაში მოჰყვა. ვინმეს კარს უკან დააყენებდნენ და შემოსვლისთანავე, ერთმანეთთან წინასწარ შეთანხმებისამებრ, რამდენიმე ეტაპისაგან შემდგარ მოქმედებას შეასრულებინებდნენ: მაგალითად, მას რომელიმე ორი პიროვნებისათვის უნდა შეეცვალა ბეჭდები; ვინმესთვის სამჯერ დაეკრა თავი და საცქვაოდ გაეწვია; ბიბლიოთეკიდან დანიშნული წიგნი გამოეტანა და ამა და ამ კაცისთვის გადაეცა და სხვა მისთანანი. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ტიპის თამაშობანი ჩვეულებად არ ჰქონდა „ბერგჰოფის" საზოგადოებას, პირველმა ვინ წამოიწყო იგი, აღარავის აბსოვდა. ელის ხომ ნამდვილად არ წამოუწყია და არა, მაგრამ ეს თამაში პირველად მის იქ ყოფნაში კი შემოიღეს.

მონაწილეთაგან, ჰანს კასტორპის ჩათვლით, თითქმის ყველა ჩვენი ძველი ნაცნობი იყო. თამაშში ყველანი ან მეტ-ნაკლებ ნიჭს იჩენდნენ, ან სრულ უნიჭობას ამჟღავნებდნენ, ელი ბრანდს კი განსაკუთრებული, თვალშისაცემი, მისთვის შეუფერებელი უნარი აღმოაჩნდა. დამალული ნივთის ძებნისას მისი მიხვედრილობა ტაშსა და აღტაცების სიცილს იწვევდა, კომბინირებული მოქმედების შესრულებისას კი გაოცებისაგან ყველას ენა უვარდებოდა. იგი ყველაფერს ასრულებდა, რასაც საიდუმლოდ განუზრახავდნენ და ასრულებდა შემოსვლისთანავე, ნაზი ღიმილით, უყოყმანოდ და წარმმართველი მუსიკის გარეშეც. ერთხელ, მაგალითად, სასადილო დარბაზიდან მოიტანა ერთი მწიკვი მარილი, პროკურორ პარავანტს თავზე დააყარა, შემდეგ ჩაჰკიდა ხელი, მიიყვანა პიანინოსთან და ცალი თითით „ჩიტი მოფრინდას" დასაწყისი დააკვრევინა. შემ-

დეგ პროკურორი თავის ადგილზე დააბრუნა, რევერანსი გაუკეთა, მოიტანა დაბალი სკამი და ბოლოს მის ფეხებთან, იმ სკამზე მოიკალათა, — ზუსტად ისე, როგორც დიდი თავისმტვრევის შედეგად მოიფიქრეს დანარჩენებმა.

ეტყობა, ყურს გვიგდებდაო!

იგი გაწითლდა. დარცხვენა რომ შეატყვეს, გული მოეკალთ და ერთხმად დაუწყეს ლანძღვა, ის კი ყველას არწმუნებდა, არა, არა, თუ დამიჯერებთ, არაო! გარედან, კარს უკან არ მიგდია ყური, ნამდვილად არაო!

გარედან კარს უკან არაო?

დიახ, ნაპატიეთ, მაგრამ ოთახში რომ შემოვდივარ, მაშინ ვუგდებ ყურს, რომ არ მივუგდო ყური, არ შემიძლიაო.

არ შემიძლიაო? ოთახშიო?

დიახ, ყურში ჩურჩული მესმისო, თქვა მან. ვიღაც ჩამჩურჩულებს, რა უნდა გავაკეთო, ჩუმად, მაგრამ მკაფიოდ და გარკვევით ჩამჩურჩულებსო.

ეს ნამდვილ აღიარებას უდრიდა. ელი მაინც დამნაშავე გამოდიოდა, იგი, ასე იყო თუ ისე, ცრუობდა. უნდა ეთქვა, ასეთი თამაშისთვის არ გამოვდგები, რაკი ყველაფერს ყურში ჩამჩურჩულებენო. შეჯიბრი ყოველგვარ აზრს ჰკარგავს, როცა ერთ-ერთ კონკურენტს ზებუნებრივი უპირატესობა აღმოაჩნდება. სპორტული წესების თანახმად ელენს მყისვე მიეცა დისკვალიფიკაცია, მაგრამ მის აღსარებაზე ზოგს ტანში ჟრუანტელმაც კი დაუარა. რამდენიმე ხმამ ერთად დაიძახა, დოქტორ კროკოვსკის მოუხმეთო. მის მოსაყვანად გაიქცნენ და ისიც მოვიდა: ჩაფსკვნილი, მხნედ მომღიმარე, მიხვედრილი და მთელი თავისი არსებით ნდობის ჩამნერგავი. სულმოუთქმელად მოახსენეს, სრულიად არანორმალური მოვლენა აღმოვაჩინეთო, გამოჩნდა ყოვლისმცოდნე ქალიშვილი, ყურში ხმები რომ ესმისო. ოჰო, მერე, მერეო? მშვიდად, მეგობრებო, ვნახავთ, ვნახავთო. ეს სფერო მისი საყრდენი და სარბიელი იყო — სხვებისთვის იქნებ მოტორტმანეც და ჭაობივით დრეკადიც, მაგრამ თვითონ ზედ მტკიცედ და სიამოვნებით კი დაადგებოდა. მან ელის გამოჰკითხა და აამბობინა ყველაფერი. ოჰო, ხედავთ, ხედავთო!

— მაშ, ასეა თქვენი საქმე, შვილო? —ჰკითხა შემდეგ და მანაც, სხვების არ იყოს, სიამოვნებით დაადო გოგონას თავზე ხელი. უაღრესად საყურადღებო მოვლენაა, მაგრამ შესაშინებელი აქ არაფერიაო. შემდეგ თავის თაფლისფერი, ეგზოტიკური თვალებით ღრმად ჩახედა ელი ბრანდს ღია ცისფერ თვალებში და თან ხელი თავიდან მკლავზე ნაზად ჩამოუცურა. ელიმ მის მზერას მორჩილზე მორჩილი მზერა შეაგება, თანდათან ქვემოდან ზემოთ დაუწყო ყურება და თავი ნელ-ნელა ჯერ მკერდზე და მერე მხარზე ჩამოუვარდა. თვალები მიელულა თუ არა, სწავლულმა სახესთან დაუდევრად აუქნია ხელი, მერე განაცხადა, ყველაფერი რიგზეაო, და აღელვებული საზოგადოება საღამოს სამკურნალო სამსახურში გაისტუმრა, ელის გამოკლებით, რომელთანაც ცოტა „წამუსაიფება" სურდა.

წამუსაიფება! ყველას წარმოედგინა ეს წამუსაიფება. არავის არ ესიამოვნა მხიარული „კამერადისგან", კროკოვსკისაგან ამ სიტყვის გაგონება. ყველას ცივმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში. ჰანს კასტორპსაც გააჟრჟოლა, როცა ამჯერად დაგვიანებით წამოწვა თავის ჩინებულ შეზლონგზე და მოაგონდა, ჯერ ელის უცნაურ მოქმედებაზე, მერე კი მის მორცხვ ახსნა-განმარტებაზე თითქოს მიწა რომ შეერყა ფეხქვეშ, ცუდად გახდა, ტანშიც ისე გააზრიალა.

თითქოს მსუბუქი ზღვის ავადმყოფობა მოერიოთ, მიწისძვრას არასოდეს შესწრებია, მაგრამ გაიფიქრა, ალბათ იმ დროსაც ასეთივე გამთანგველი შიშის გრძნობა დაგეუფლებოთ, თუმცა ელენ ბრანდის ფატალურმა ნიჭმა ცნობისმოყვარეობა კი გაუღვიძა. ამ ცნობისმოყვარეობაში სრული უიმედობის შეგრძნებაც ერია, მიხვდა, გონით იმ სფეროს ვერ მისწვდებოდა, მისი ცნობისმოყვარეობა ხელის ცეცებით რომ დაეძებდა, ხოლო აქედან ეჭვიც გაუჩნდა, ჩემი ცნობისმოყვარეობა იქნებ ფუჭიც არის და ცოდვილიცო, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ცნობისმოყვარეობა ცნობისმოყვარეობად დარჩენილიყო. ჰანს კასტორპს, როგორც ყოველ ადამიანს, თავის სიცოცხლის მანძილზე რაღაც-რაღაცები გაგონილი ჰქონდა ბუნების იდუმალებისა თუ ზებუნებრივი მოვლენების შესახებ, ნათელმხილველი ბებიდაც ნახსენები ვვყავს, მის მელანქოლიურ ამბავს ჰანს კასტორპის ყურამდეც რომ მოეღწია, მაგრამ ის სამყარო, რომლის არსებობაც მზად იყო თეორიულად და გულის გარეთ ეღიარებინა, მას პირადად არასოდეს შეეხებია, ამ დარგში პრაქტიკული გამოცდილებაც არასდროს შეუძენია და ამგვარი გამოცდილებისადმი ზიზღი. მის წინააღმდეგ ამხედრებული გემოვნება და ესთეტიკური გრძნობები, ამხედრებული ადამიანური სიამაყე, — თუკი შეიძლება ასეთი პრეტენზიული გამოთქმები გამოვიყენოთ ჩვენი უპრეტენზიო გმირის მიმართ, — მის ამაფორიაქებელ ცნობისმოყვარეობას თითქმის უტოლდებოდა. წინასწარ გრძნობდა, გრძნობდა ნათლად და გარკვევით, გამოცდილების შეძენის ცდა როგორც არ უნდა წარმართულიყო, მაინც მდარე, გაუგებარი და ადამიანის ღირსების შემლახავი გამოდგებოდა და მაინც სული მისდიოდა, ეს გამოცდილება შეეძინა. მშვენივრად ესმოდა, რომ ალტერნატივა „ფუჭი თუ ცოდვილი“. უკვე თავისთავად საკმაოდ დიდი სისაძაგლე იყო, სიმართლე თუ გნებავთ, მას ალტერნატივაც ალარ ეთქმოდა, რადგან მისი შემადგენელი ნაწილები სავსებით ემთხვეოდა ერთმანეთს და ისიც კარგად ესმოდა, რომ სულში დაბუდებული უიმედობა მხოლოდ აკრძალული ბილის ამორალურ გამოხატულებას წარმოადგენდა. და მაინც, placet experiri, ჩანერგილი იმ კაცისაგან, ვინც უეჭველად გაილაშქრებდა ასეთი ცდების წინააღმდეგ, ზედმიწევნით მტკიცედ ჰქონდა ტვინში ჩაბეჭდილი, რაც მთავარია, მისი ზნეობაც მთლიანად ემთხვეოდა მის ცნობისმოყვარეობას და ამიტომ მუდამ შესაბამისად იქცეოდა კიდეც: სწავლას მოწყურებული მოგზაურის დაუოკებელი ცნობისმოყვარეობისათვის, მას შემდეგ რაც პიროვნების საიდუმლოს გაუსინჯა გემო, შორეული არც ახლად ამოტივტივებული სფერო უნდა ყოფილიყო და ესეც რომ არა, აქ სამხედრო ხასიათიც იჩენდა თავს — თუკი აკრძალულს სადმე გადაეყრებოდა, მის წინაშე უკან არ დაეხია. ასე გადაწყვიტა ჰანს კასტორპმა საგუშაგოზე მდგარიყო და შორიდან არ ეცქირა, თუკი ელენ ბრანდის თავს კიდევ ახალი ამბები დატრიალდებოდა.

დოქტორმა კროკოვსკიმ ამიერიდან სასტიკად აკრძალა ფროილაინ ბრანდის იდუმალ ნიჭზე დილეტანტური ექსპერიმენტების ჩატარება. მან გოგონას მეცნიერული ყადაღა დაადო, სეანსებს უტარებდა თავის ანალიტიკურ დილეგში, ჰიპნოზს უკეთებდა, როგორც ამბობდნენ, ცდილობდა მისი მთვლემარე ნიჭი განევითარებინა და დისციპლინისთვის დაემორჩილებინა, და თან მის წარსულ სულიერ ცხოვრებას იკვლევდა. ამასვე აკეთებდა, სხვათა შორის, ჰერმანე

[1] ცდის დაყენება სასიამოვნოა (ლათ.).

კლეეფელდიც, მისი დედობილი და პატრონი, მან საიდუმლოდ შესანახად გამოიძია კიდეც რაღაც-რაღაცები და ასევე საიდუმლოდ შესანახად ისე მოსდო მთელ სანატორიუმს, თვით კონსიერჟის ჯიხურიც კი არ დაუტოვებია. მაგალითად, შეიტყო, რომ იმ ვის თუ რას, რომელიც პატარას თამაშის დროს შესასრულებელ ამოცანას ყურში ჩასჩურჩულებდა, ჰეგელი [illegible] ყმაწვილი ჰოლგერი, spirit,[1] კარგად ნაცნობი, ეთერში — გაძალებული არსება, პატარა ელენის ერთგვარი მფარველი სული. — მაშ, მან გაანდო ერთი მწიკვი მარილისა და პარავანტის საჩვენებელი თითის ამბავი? — დიახ, მის ყურს მიელამუნა აჩრდილის ტუჩები, ცოტა კიდეც შეუღიტინა და გააცინა, და ყურში ჩასჩურჩულა, რა უნდა გაეკეთებინა. —ალბათ სასიამოვნო იქნებოდა, ჰოლგერი სკოლაში რომ ჰკარნახობდა, როცა ელიმ გაკვეთილი არ იცოდა ხოლმე. —ამაზე ელენი ჯერ გაჩუმდა. მერე კი თქვა, ამის უფლება ჰოლგერს არ ჰქონდაო. ასეთ სერიოზულ საქმეში ჩარევა ეკრძალებოდა და ესეც არ იყოს, სასკოლო პროგრამა ალბათ თვითონაც არ ეცოდინებოდაო.

შემდეგ გამოირკვა, რომ ელენს ბავშვობიდანვე, მართალია, დროის მოზრდილი ინტერვალებით, მაგრამ ხილვები ჰქონია — ხილულიც და უხილავიც.— უხილავი ხილვები რას ჰქვია? — მაგალითად, აი, ამას: ერთხელ, თექვსმეტი წლის რომ იყო, თავის მშობლიურ სახლში, დღისით, მზისით, მარტო იჯდა სასტუმრო ოთახში და ხელსაქმობდა, მის გვერდით ხალიჩაზე კი მამამისის დოგი, ძუ ფრაია იწვა. მაგიდაზე ჭრელი სუფრა ეფარა, აი, ისეთი თურქული შალი, მოხუცი ქალები სამკუთხად გაკეცილს მხრებზე რომ იხვევენ ხოლმე. შალი ირიბად ეფინა მაგიდაზე და ბოლოები მაგიდის ძგიდეებზე მოკლედ გადმოჰკიდებოდა, და აი, უეცრად ელენმა დაინახა, მისი მოპირდაპირე ბოლო ნელ-ნელა როგორ დაეხვია: შალი უხმოდ, გულმოდგინედ და კოხტად ეხვეოდა, ლამის მაგიდის შუაგულამდე მოაღწია და საკმაოდ გრძელი გრაგნილი გამოვიდა; სანამ შალი იგრაგნებოდა, ფრაია აიქოჩრა, ადგილს მოსწყდა, წინა თათები იატაკს დაასო, ერთი ჩაცუცქდა, მერე ღმუილით გავარდა მეზობელ ოთახში, დივნის ქვეშ შეძვრა და ნახევარი წელიწადი თურმე ისე გავიდა, სასტუმრო ოთახში ფეხი ვეღარ შემოადგმევინეს.

შალი ჰოლგერმა დაგრაგნაო? — შეეკითხა ფროილაინ კლეეფელდი. — პატარა ბრანდმა ეს არ იცოდა. — მაინც როგორ ახსენი ეს მოვლენაო, — რახან ამის ახსნა სრულიად შეუძლებელი იყო, ელის თავიც აღარ შეუწუხებია — მშობლებს თუ უთხარიო. — არაო. — უცნაურია. თუმცა ამ ამბავს ვერავითარი ახსნა ვერ მოუძებნა, ელის მაინც გასჩენია გრძნობა, რომ ახლაც და სხვა მსგავს შემთხვევაშიც ჯობდა ეს ამბავი მკაცრი, სასირცხო საიდუმლოსავით გულში შეენახა. გიმძიმდა მერე ამ საიდუმლოს შენახვაო? — არა, ძალიან არ გამჭირვებია, ანდა რა დიდი ამბავი იყო სუფრის თავისით დახვევა, მაგრამ აი სხვა საიდუმლო კი მძიმე სატარებელი გამოდგაო. აი, მაგალითად, ესო:

ერთი წლის წინ, ისევ თავის მშობლების სახლში, ოდენსეში, ერთხელ დილაადრიან, მკვირცხლად გამოსულა თავის ოთახიდან, მისი ოთახი პირველ სართულზე ყოფილა და ზევით, სასადილო ოთახში აპირებდა ასვლას, რომ მშობლების გაღვიძებამდე, ჩვეულებისამებრ, ყავა მოეხარშა. ის იყო თითქმის მიეღწევია კიბის მოსახვევამდე, რომ კიბის მოედანზე, მის კიდეზე, ზედ კიბის

[1] სული (ინგლ.).

საფეხურებთან ამერიკაში გათხოვილი უფროსი და ზოფი დაუნახავს — ხორცშესხმული და ნამდვილი. ზოფის თეთრი კაბა სცმია, თავზე რატომღაც დუმფარების გვირგვინი დებია და ხელები მხრებზე ჰქონია შემოჭდობილი. მას დისთვის თავი დაუქნევია: „ზოფი, შენ აქა ხარ?“ თან სიხარულით და თან შიშით უკითხავს ადგილზე გაშეშებულ ელენს. ზოფის კიდევ ერთხელ დაუქნევია თავი და ნელ-ნელა გაცრეცილა. მერე გამჭვირვალე გამხდარა, სულ მალე ცხელი ჰაერის ნაკადივით ალივლივებულა სივრცეში, მერე კი სულ გაუჩინარებულა და ელენს გზა გახსნია. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ გაუგიათ, რომ იმ დილით, ზუსტად იმ დროს, მისი და ზოფი ნიუ-ჯერსში გულის შეტევით გარდაცვლილა.

ჰო, თქვა ჰანს კასტორპმა, როცა კლეეფელდმა ეს ამბავი უამბო, ასეთი რამ კიდევ გასაგებია და საინტერესო. დის გამოცხადება აქ, მისი სიკვდილი იქ, — ამ ფაქტში შეიძლება საყურადღებო ურთიერთკავშირის ღანახვაო, დასძინა მან, და დათანხმდა მონაწილეობა მიეღო სპირიტულ სეანსში, ანუ ჭიქის ტრიალში, რომელიც მოთმინებადაკარგულ საზოგადოებას უნდოდა, დოქტორ კროკოვსკის ეჭვიანი აკრძალვის მიუხედავად, ელენ ბრანდთან ერთად ჩაეტარებინა.

შინაურულ სეანსზე, კლეეფელდის ოთახში, მხოლოდ რამდენიმე პიროვნება მიიწვიეს: მასპინძლის, ჰანს კასტორპისა და პატარა ბრანდის გარდა აქ იყვნენ მხოლოდ ქალბატონები შტორი და ლევი, ბატონი ალბინი, ჩეხი ვენცელი და დოქტორი ტინ-ფუ; საღამოს, როგორც კი ჩამოჰკრა ათმა საათმა, ყველამ ჩუმად მოიყარა თავი და ჩურჩულით დაათვალიერეს ნივთები, ჰერმინეს რომ მოემზადებინა: ოთახის შუაგულში იდგა შიშველი, საშუალო ზომის მრგვალი მაგიდა, ზედ იდო გადაბრუნებული ფეხიანი ღვინის ჭიქა, ხოლო ირგვლივ, მაგიდის კიდესთან, ერთმანეთისაგან სათანადო მანძილზე ელაგა ძვლის კოჭები და სათამაშო მარკები, რომლებზეც მელნითა და საწერ-კალმით ანბანის ოცდახუთივე ასო ეხატა. კლეეფელდმა ჯერ ჩაი მოართვა სტუმრებს, რასაც მადლობით შეეგებნენ ყველანი, რადგან ქალბატონები შტორი და ლევი ჩიოდნენ, ამ ვითომ ბავშვური, უწყინარი თამაშის მოლოდინში მაინც ხელ-ფეხი გვეყინება და გულიც გვიფართხალებსო. შეთბნენ თუ არა, მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ. მასპინძელს განწყობილების შექმნის მიზნით პლაფონი გამოერთო, მხოლოდ შებურვილი სალამური ნათურა დაეტოვებინა და ამიტომ ოთახში მკრთალი ვარდისფერი შუქი იდგა. ყველამ მარჯვენა ხელის ერთი თითი მსუბუქად მიადო ჭიქის ფეხს. ასეთი იყო წესი. შემდეგ გარინდულნი უცდიდნენ, ჭიქა როდის ამოძრავდებოდა.

ეს სულ ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან მაგიდას პრიალა ზედაპირი ჰქონდა, ჭიქას პირი კარგად გახეხილი და ათრთოლებული თითებიც ფეხზე ისე მსუბუქად ეხებოდნენ, რომ დაწოლა, ცხადია, არათანაბარი გამოდიოდა, აქეთ უფრო ვერტიკალურად იყო მიმართული დაწოლის ძალა, იქით უფრო გვერდულად და ეს ცოტა ხანში ალბათ, საკმარისი აღმოჩნდებოდა, ჭიქა მაგიდის შუაგულიდან დაძრულიყო. სამოძრაო სივრცის პერიფერიებში იგი ასოებს წამოედებოდა და თუკი ამ ასოების ერთობლიობა აზრიან სიტყვებს შეადგენდა, ეს იქნებოდა ლამის შინაგან უსინდისობამდე მისული ჩახლართული მოვლენა, მთლიანად ან სანახევროდ შეუცნობელი ელემენტების, ზოგიერთების სურვილისამებრ ჭიქაზე ხელის წაშველების, — სულ ერთია, ისინი ამას

ალიარებდნენ თუ არა, — და საერთოდ, სულის ბნელი ფენების ფარული შეთანხმების ნაზავი, გამიზნული ვითომ უცნობი შედეგის მისაღწევად საიდუმლო თანამშრომლობისათვის, რაშიც მეტნაკლებად ჩაებმებოდა თითოეულის სულის ბნელეთი და ყველაზე მეტად, ცხადია, მშვენიერი პატარა ელენ ბრანდისა. ეს, სიმართლე თუ გნებავთ, ყველამ წინასწარ იცოდა და ასეთ ექსტრაპმა, ჩვეულებისამებრ, წამოროშა კიდეც, რასაც ფიქრობდა, სანამ თითებაკანკალებულნი ისხდნენ და ჭიქის ამოძრავებას ელოდნენ. ქალების გაყინული ხელფეხი და აფართქალებული გულები, მამაკაცების ნაძალადევი მხიარულებაც სწორედ იქიდან მომდინარეობდა, ეს რომ იცოდნენ, ანუ, ამ წყნარ ღამეს საკუთარი ბუნების კარნახით რომ შეკრებილიყვნენ უწმინდური თამაშისათვის, თავიანთი „მეს" უცნობი სფეროების შიშნარევი ცმობისმოყვარეობით დასაჭაშნიკებლად და იმ მოჩვენებით თუ ნახევრად მატერიალურ მოვლენებს დადარაჯებოდნენ, მაგიური რომ ერქვა სახელად. თან ვითომ ეს ყველაფერი მბოლოდ ფორმალურად, ანდა პირობითობის დასაცავად ხდებოდა და ამიტომ ვარაუდობდნენ, ჭიქის მეშვეობით გარდაცვლილთა სულებს გავესაუბრებითო. ბატონმა ალბინმა ყველას სახელით იკისრა გამოცხადებული სულის ინტელექტთან ურთიერთობის დამყარება, რადგან აქამდეც ჰქონია თურმე შემთხვევა მონაწილეობა მიეღო სპირიტულ სეანსებში.

გავიდა ოცი წუთი, თუ ცოტა მეტი. საჩურჩულო მასალა გამოიღლია, პირველმა დაძაბულობამაც გაიარა. ზოგიერთებმა მარჯვენა იდაყვს მარცხენა ხელი შეაშველეს. ჩეხ ვენცელს თვლემა მორეოდა. ელენ ბრანდს თითი მსუბუქად მიედო ჭიქაზე და ფართოდ გახელილი, ბავშვივით ნათელი თვალები ახლოს მდებარე საგნებს ზემოთ, საღამური ნათურის შუქისკენ მიეპყრო.

უეცრად ჭიქა შეტორტმანდა, მაგიდაზე დააკაკუნა და გარშემო მსხდომთ ხელიდან გაექცა. ისინი გაჭირვებით ადევნებდნენ თითებს. ჭიქა მაგიდის ძგიდემდე მისრიალდა, მოკლე მანძილზე ნაპირ-ნაპირ ირბინა და შემდეგ სწორხაზოვნად დაახლოებით შუაგულს დაუბრუნდა. აქ ერთხელ კიდევ დააკაკუნა და გაირინდა.

ყველა შიშნარევმა სიხარულმა მოიცვა. ფრაუ შტორმა წაიფშლუკუნა, ჯობია, თამაშს თავი დავანებოთ, მაგრამ შეუწყრნენ, ამაზე ადრე უნდა გეფიქრათ, ახლა კი კეთილინებეთ და წყნარად იჯექითო. საქმე, ეტყობა, კარგად მიდიოდა. დათქვეს, ჰოსა და არას სათქმელად, ჭიქას ასოები კი არ შემოეღლო, არამედ ერთხელ ან ორჯერ დეკაკუნებინა.

— არის აქ ვინმეს ინტელექტი? — მკაცრად იკითხა ბატონმა ალბინმა და ყველას თავზემოთ სივრცეში გაიხედა... პასუხი დაყოვნდა. მერე ჭიქა შეტორტმანდა და თანხმობის ნიშნად დააკაკუნა.

— რა გქვია? — თითქმის მკვახედ იკითხა ბატონმა ალბინმა და მიმართვისთვის მეტი ენერგიულობის მისანიშნებლად თავიც დააქნია.

ჭიქა დაიძრა. მან ზიგზაგებით მტკიცედ ჩამოუარა რამდენიმე მარკას, შიგადაშიგ კი მაგიდის შუაგულისკენ იხევდა ხოლმე; მიირბინა ჰ-სთან, ო-სთან, ლ-სთან, შემდეგ თითქოს დაიღალა თუ დაიბნა და აღარ იცოდა, გზა როგორ გაეგრძელებინა. მაგრამ ისევ მოეგო გონს და კიდევ გ, ე, რ და ი იპოვა. ასეც ფიქრობდნენ! ეს გახლდათ პირადად ჰოლგერი. ჰოლგერის სული, ის, ვინც გამოიცნო ერთი მწიკვი მარილისა და მისთანების ამბავი, მაგრამ სკოლის საქმეებში რომ არ ერეოდა ხოლმე. იგი აქ იყო, ჰაერში ლივლივებდა, მათ წრეს

დასტრიალებდა თავს. ახლა რაღას უპირებდნენ? თითქოს ყველანი გამოთაყვანდნენ, მერე ერთმანეთში ჩუმად, პირზე ხელაფარებულებმა ითათბირეს, რა აჯობებდა მისგან შეეტყოთ. ბატონმა ალბინმა გადაწყვიტა ეკითხა, სიცოცხლეში ვინ იყო და რა საქმეს მისდევდა ჰოლგერი. მან ესეც დაკითხვის კილოზე წარმოთქვა, მკაცრად და წარბშეკრულმა.

ჭიქა ერთხანს სდუმდა. შემდეგ ტორტმანითა და ბორძიკით გაექანა მ-სკენ, გადმოუხვია და გ- გამოსახა. ნეტავ რა გამოვიდოდა? დაძაბულობა უსაშველოდ გაიზარდა. დოქტორმა ტინ-ფუმ ჩაიქირქილა. ჰოლგერი, მგონი, მგელკაცა ყოფილაო. ფრაუ შტორს ისტერიული სიცილი აუვარდა, მაგრამ ჭიქას ამით მუშაობაში ხელი არ შეშლია, მართალია, კოჭლობით და წკარუნ-წკარუნით, მაგრამ მაინც მისრიალდა ო-მდე და ს-მდე. [illegible] შეეხო და შემდეგ ალბათ შეცდომით თუ გამორჩა ერთი ასო, რადგან სიტყვა ი-თ დაასრულა. გამოისახა „მგოსანი“.

ეშმაკმა დალახვროს, მაშ ჰოლგერი მგოსანი ყოფილა? ჭიქა დამატებით, ეტყობა, თავის მოსაწონებლად, კიდევ ერთხელ შეტორტმანდა და თანხმობის ნიშნად დააკაკუნა.

— ლირიული პოეტი? — იკითხა კლეიფელდმა და ჰანს კასტორპს ყურში უსიამოდ მოხვდა. კლეიფელდს კ რომ გამორჩა... ეტყობა, ჰოლგერს არ ეჭაშნიკა ასეთი ზუსტი კლასიფიკაცია და პასუხი ალარ გაუცია. სამაგიეროდ, ერთხელ კიდევ გამოსახა იგივე სიტყვა. სწრაფად, მტკიცედ და მკაფიოდ, და გამორჩენილი ა-ც ჩაუმატა.

კარგი, კარგი. მაშასადამე, პოეტი ყოფილა. უხერხულობამ იმატა — ეს იყო უცნაური უხერხულობა. გამოწვეული შინაგანი სამყაროდან მომდინარე, კონტროლს დაუმორჩილებელი იმპულსებით, მაგრამ ამ იმპულსების თვალთმაქცური, ნახევრად მატერიალური თვისებების წყალობით იგი მაინც გარესინამდვილისაკენ იყო მიმართული. შემდეგ მოინდომეს გაეგოთ, ჰოლგერი ბედნიერი და კმაყოფილი თუ აირისო. ჭიქამ მეოცნებესავით გამოსახა სიტყვა „მოსვენებული“. მაშ, „მოსვენებული“ ყოფილა. რა გაეწყობოდა, თავისით ეს სიტყვა არ მოაგონდებოდათ, მაგრამ რაკი ჭიქამ ასე გამოსახა, შესაძლებლად და კარგ ნათქვამად ჩაუთვალეს. — მაინც რამდენი ხანია ჰოლგერი მოსვენებულია? — პასუხად კვლავ ისეთი რამ დაიწერა, არავის რომ არ მოუვიდოდა აზრად, და ესეც მეოცნებე სულის გამონაყურს ჰგავდა. პასუხად მიიღეს: „აჩქარებული დაყოვნება“ — ძალიან კარგი! შეიძლებოდა „დაყოვნებული აჩქარებაც“ გამოსულიყო. ეს გარეგნულად მუცლით მეზღაპრის პოეტურ აფორიზმს ჰგავდა და პირადად ჰანს კასტორპს ძალიან მოეწონა. მაშ, ჰოლგერის დროის სტიქია აჩქარებული დაყოვნება ყოფილა, შემკითხველებისთვის, მას ბუნებრივია, აფორისტულად უნდა გაეცა პასუხი, დედამიწისეულ სიტყვებსა და საზომ ერთეულებს იგი ხომ გადაჩვეული იქნებოდა. — კიდევ რის შეტყობას ისურვებდნენ მისგან? ლევი გამოტყდა, ცნობისმოყვარეობა მკლავს, ჰოლგერი როგორია, ანუ ოდესღაც როგორი იქნებოდაო. ნეტავ ლამაზი ჭაბუკი თუ იყოო?— თქვენ თვითონ ჰკითხეთო, უბრძანა ბატონმა ალბინმა, რადგან თვითონ ასეთი ცნობისწადილის გამომჟღავნება ეთაკილებოდა. ლევიმ შენობით ჰკითხა სულს, ჰოლგერს ქერა კულულები ხომ არა აქვსო.

— მშვენიერი წაბლისფერი, წაბლისფერი კულულები, — ამცნო ჭიქამ და სიტყვა „წაბლისფერი“ ასო-ასო ორჯერ გამოსახა, წრეში ჟრიამული ატყდა.

მანდილოსნები გულახდილად გაიძახოდნენ, შეყვარებული ვართო და პლაფონისკენ ჰაეროვან კოცნას აგზავნიდნენ. დოქტორმა ტინ-ფუმ ჩაიქირქილა, მისტერ ჰოლგერი საკმაოდ თავმომწონე ჩანსო.

ამაზე ჭიქა გაბრაზდა და გადაირია! გიჟივით, უაზრობამდე [illegible] მაგიდაზე. გააგებული ტორტმანებდა, მერე გადაბრუნდა და [illegible] ქალთაში ჩაუგორდა, შიშისაგან ფერწასული შტორი ხელებს ასავსავებდა და ჭიქას ისე დასცქეროდა. ჭიქა ციმციმ ასწიეს და დიდი ბოდიშებით დააბრუნეს თავის ადგილზე. ჩინელი გაიცინეს. ეს რამ გააბედვინა! ხომ ხედავს, სანამდე მიგვიყვანა ასეთმა კადნიერებამ! მაშინ რაღა ვქნათ, ჰოლგერი რომ გაბრაზდეს, წავიდეს და სიტყვა აღარ გვითხრას? ჭიქას დაუყვავეს. იქნებ რამე შეგვითხზაო! შენ ხომ პოეტი ყოფილხარ, სანამ აჩქარებულ დაყოვნებაში გაეხვეოდი და იფარფატებდიო. ო, როგორ ენატრება ყველას ერთი ლექსი! სულით და გულით ისიამოვნებდნენ!

და შეხეთ, კეთილმა ჭიქამ „ჰო“ დააკაკუნა. ეს ისე გააკეთა, მართლა იგრძნობოდა შემრიგებლური სიკეთე. შემდეგ კი ჰოლგერის სულმა დაიწყო თხზვა, თხზავდა გულმოდგინედ, დაწვრილებით და დაუფიქრებლად, ვინ იცის, რამდენ ხანს, გეგონებოდათ, ველარასოდეს გააჩუმებო! საოცარი იყო ეს ლექსები, იგი რომ მუცლით მეზღაპრესავით თხზავდა, ირგვლივ მსხდომნი კი მის სიტყვებს აღტაცებით იმეორებდნენ. ეს იყო მაგიური წარმონაქმნი, ზღვასავით უკიდეგანო, და, სხვათა შორის, ლექსებშიც უპირატესად ზღვა იხსენიებოდა, — ზღვაზე გრძლად გაწოლილი ნისლი ნაპირ-ნაპირ მიუყვება ციცაბო დიუნებიანი კუნძულის ფართო ყურეს. ო, შეხედეთ, მწვანე სივრცე მარადისობაში რომ მილივლივებს, იქ, სადაც ნისლის ფართო ზოლებში, მღვრიე მეწამულ და რძისფერ შუქში ხაფხულის მზე ჩასვლას აყოვნებს! ენა ვერ იტყვის, ვერცხლისფრად მოლივლივე წყალს როდის დაედო სადაფისფერი, ან ფერთა თამაში მქრქალის, ჭრელის და ოპალისფრის, როდის დაემსგავსა მთვარის ქვის ციალს და ყოველივე მყის გადაფარა... ო, რა უჩუმრად დაიბადა და ჩაკვდა კიდეც ეს ჯადოსნური იდუმალება. ზღვას ჩაეძინა. მაგრამ მზის გამოსათხოვარი ნაზი სხივები აქა-იქ დარჩა გაბნეული და შუალამემდე აქ სიბნელე ვერ გამეფდება. დიუნებზე შეფენილ ფიჭვნარში აჩრდილივით გაცრეცილი შუქი ჩაბრძანებულა და მოთეთრო ქვიშნარი თოვლივით აუკიაფებია. გვეჩვენება, თუ ზამთრის ტყეა, რომ გარინდულა და ტოტებს ატკაცუნებს მძიმე ფრთების ფართქუნით ბუს გადაფრენა! იყავ ჩვენი ნავსაყუდელი! რა რბილად დავაბიჯებთ, რა დიადი და ალერსიანია ღამე! ქვევით კი მშვიდად ფშვინავს ზღვა და სიზმარში გაბმით ბუტბუტებს. გინდა კვლავ იხილო ეს მშვენიერება? მაშინ ამოდი გლეტჩერებით დაღარულ დიუნებზე, ბალის სულ მაღლა ქვიშნარს შემოუდექი, და ფეხსაცმელებში ქვიშა გრილად შემოგეპარება. ქვიანი სანაპიროსკენ ციცაბოდ ეშვება ბუჩქნარიანი ფერდობი, ხოლო შორეული სივრცის კიდეებს დღის ნათელი კიდევ შემორჩენია... ჩამოჯექ ქვიშაზე! სიკვდილივით ცივი, ფაშარი და აბრეშუმივით რბილია იგი! პეშვში მოქცეული არ გიჩერდება, თითებშუა უფერო, თხელ ნაკადად მიედინება და მიწაზე პატარა, ნაზ ბორცვს ქმნის. გეცნობა ეს სათუთი ჭაელი? ეს ქვიშის საათის ვიწრო ყელში უხმოდ ჩამდინარე წვრილი ნაკადია, იმ მკაცრი, მყიფე ხელსაწყოსი, მწირის სენაკს რომ ამშვენებს. გადაშლილია წიგნი, დევს თავის ქალა და სადგამზე, მსუბუქ ჩარჩოში ორმუცლიანი კოლბა დგას. შიგ ცოტა ქვიშა ყრია, მარადისობისგან აღე-

ბული ქვეშა, და მიედინება იგი, როგორც დრო მიერეკება იდუმალებითა და სიწმინდით დაშინებულ არსებას მისას...

ასე გადაინაცვლა აზრების ნაკადში თავისუფლად მონავარდე ჰოლგერის სულმა თავის ლირიკულ „იმპროვიზაციებში" მშობლიურ ბუნებაზე, წყალზე და მის საუკეთესო ხელსაწყოებზე, სხვა ადამიანურ და ღვთაებრივ ამბებსაც ბევრს გადასწვდა მეოცნებე, თამამი სიტყვებით, ყოველ სიტყვას უსაზღვრო აღტაცებაში მოჰყავდა პატარა წრე, სული გამოსახავდა სიტყვებს და ისინი აღტაცების შეძახილების ჩასართავად დროს ველარ პოულობდნენ, ისე სწრაფად, ზიგზაგებით დაჰქროდა იგი და გაჩერებას არ აპირებდა. ლექსების თხზვაში ისე გავიდა ერთი საათი, ბოლო არსაიდან ჩანდა, ამოუწურავად მოედინებოდა ლექსი დედის სიმძიმილზე, შეყვარებულთა პირველ კოცნასა და მოწამებრივ გვირგვინზე, ღმერთის შამობრივ სიმკაცრესა და გულკეთილობაზე, პოეტი ჩაუღრმავდა სულიერის საქმიანობას, ჩაიკარგა საუკუნეთა სიღრმეებსა და ქვეყნებში, ვარსკვლავებში, ერთხელ ქალდეველები და ზოდიაქოც კი ახსენა და ნამდვილად გათენებამდე არ მოიღლებოდა, მის გამომხმობლებს ბოლოს და ბოლოს ჭიქისთვის თითები რომ არ მოეცილებინათ და დიდი მადლობა არ მოეხსენებინათ ჰოლგერისათვის, ამჯერად კმარიო, წარმოუდგენლად დიდებული იყო, რაც მოვისმინეთ და რა დასანანია, ლექსები არავის რომ არ ჩაუწერია, ისინი დავიწყებას მიეცემა, დიახ, სამწუხაროდ, მეტი ნაწილ, უკვე მიეცა დავიწყებას, რადგან ისინი სიზმარივით მყიფეა და მალე განქარდებიანო. სხვა დროს წინასწარ მოიმარაგებენ ქალალდსა და კალამს და ნახავენ, შავით თეთრზე დაწერილი და ერთმანეთის მიყოლებით წაკითხული ლექსები როგორ შთაბეჭდილებას მოახდენსო; ამჯერად კი, სანამ ჰოლგერი თავის აჩქარებულ-დაყოვნებულ ენამს მოსასვენებლად მიაშურებდეს, უკეთესი იქნება და უეჭველად ულრმეს თავაზიანობად ჩაეთვლება, თუ აქ მყოფთ სხვადასხვა პრაქტიკულ საკითხზე უპასუხებსო, ჯერ არ ვიცით, რა კითხვას დაგისვამთ, მაგრამ ინებებთ თუ არა ახლავე დაგვიდასტუროთ, საამისოდ მზად თუ ხართო?

— დიახ, — გაისმა პასუხი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დაბნეულებმა ერთბაშად ვერ მოისაზრეს, რა ეკითხათ. როგორც ზღაპარშია ხოლმე, ფერია ან ჯადოქარი კაცუნა შეკითხვის უფლებას რომ იძლევა და ადამიანს ეშინია ხელიდან არ გაუშვას სანუკვარი შესაძლებლობა. აწმყოსა და მომავალში ბევრი რამ იყო საინტერესო და არჩევანის გაკეთებას დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოჰკიდებოდნენ. რაკი დაწყებას ვერავინ ბედავდა, ჰანს კასტორპმა ერთი თითი ჭიქას მიადო, ლოყა მარცხენა ხელს ჩამოაყრდნო და მოინდომა გაეგო, თავიდან მონიშნული იმ სამი კვირის ნაცვლად სულ რამდენ ხანს მომიწევს აქ ყოფნაო.

კეთილი და პატიოსანი, რაკი სხვა ველარაფერი მოიფიქრეს, სული თავისი ცოდნის სალაროდან ამ ალალბედზე დასმულ შეკითხვაზე ამცნობდათ პასუხს. ხანმოკლე დაყოვნების შემდეგ ჭიქა დაიძრა. მან რალაც უცნაური რამ გამოსახა და, როგორც ეჩვენათ, ისეთი შეუსაბამოც, რომ ზედ ვერაფერს დაამენებდით. გამოსახა ორი მარცვალი — „იარ", შემდეგ სიტყვა „სიგანეზე", რომელსაც ჯერ ვერაფერი მოუხერხეს, მაგრამ შემდეგ რალაც დაიწერა ჰანს კასტორპის ოთახზე, ასე რომ, მთელი ეს პატარა განკარგულება ღალადებდა, შენს ოთახში სიგანეზე იარეო. თავის ოთახის სიგანეზე? ნომერი 34-ის სი-

განეზე? რას უნდა ნიშნავდეს ეს? სანამ ბჭობდნენ და თავს აკანტურებდნენ, კარზე მუშტის მძიმე დარტყმის ხმა გაისმა.

ყველა გაქვავდა. ნუთუ თავს დაესხნენ? ნუთუ კარს ეკან დოქტორი კროკოვსკი იდგა და აკრძალულ სეანსს ჩაშლას უპირებდა? ნირწამხდარნი ისხდნენ და მოტყუებულის შემოსვლას ელოდნენ. ამ დროს მაგიდის შუაგულში ისეთი ხმა გაისმა, თითქოს ზედ მთელი ძალით მოქნეული მუშტი დაეშვათ, და ცხადი გახდა, რომ გარედან არც პირველი დარტყმა მოდიოდა, და, ცხადია, არც მეორე.

ეს ბატონი ალბინის იაფფასიანი ხუმრობა იქნებოდა! მან პატიოსნება დაიფიცა, მე არ მიქნიაო და კაცმა რომ თქვას, ყველას უამისოდაც თითქმის სჯეროდა, მათი წრიდან ხელი რომ არავის გაუნძრევია. მაშ ეს ჰოლგერმა ქნა? მათ ელის გადახედეს, რომლის დუმილი უეცრად ყველას ერთბაშად მოხვდა თვალში. მკლავებჩამოყრილი ელი თავის სკამზე მისვენებულიყო, სახსრებმოდუნებული ხელები თითის წვერებით ჩამოეყრდნო მაგიდის ძგიდეზე, თავი მხარზე ჩამოვარდნოდა, წარბები აეზიდა, მოკუმული ტუჩების ოდნავ ჩამოწეულ კუთხეებზე ძლივს შესამჩნევი, თან იდუმალი და თან უმანკო ღიმილი უკრთოდა და ცისფერი, ბავშვური თვალების უჩინო მზერა სიცარიელისკენ ალმაცერად მიემართა. დაუძახეს, მაგრამ გრძნობის ნიშანწყალი არ დასტყობია. და სწორედ ამ დროს საღამური ნათურაც ჩაქრა.

ჩაქრაო? ფრაუ შტორს გულმა მეტი ველარ გაუძლო და ავიშვიშდა, რადგან მან ჩხაკუნი გაიგონა. შუქი თავისით არ გამორთულა, იგი გამორთეს, იგი გამორთო ხელმა და ძალიან რბილად ნათქვამი გამოგვივიდოდა, მას მხოლოდ უცხო ხელს თუ ვუწოდებდით. ნუთუ ეს ჰოლგერის ხელი იყო? აქამდე იგი ნაზად, წესიერად და პოეტურად იქცეოდა და ახლა ისე აიწყვიტა, რომ ონავრობას მოჰყვა? ვინ იყო თავდები, რომ ის ხელი, რომელმაც კარსა და მაგიდას მუშტი დასცხო და ონავრულად ჩააქრო სინათლე, ვინმეს ყელში არ სწვდებოდა? სიბნელეში ზოგი ასანთს მოითხოვდა და ზოგი ჯიბის ფარანს. ლევიმ იწივლა, შუბლზე თმა ჩამომწიწკნესო. შიშმა ფრაუ შტორს სიმორცხვე გადაავიწყა და ღმერთს ხმამაღლა შეევედრა, შეგვიწყალეო, იგი გაჰკიოდა და ქვითინებდა, დასჯის ნაცვლად მოწყალება მოიღე, თუმცა ჯოჯოხეთის ცდუნება ვგავბედეთო. ერთადერთმა დოქტორმა ტინ-ფუმ მოისაზრა პლაფონი აენთო და ოთახი მყისვე გაკაშკაშდა. როცა დაადგინეს, რომ საღამური ნათურა ნამდვილად შემთხვევით არ ჩამქრალა, იგი გამოთიშეს, და ახლა საკმარისი იყო მალულად შესრულებული მოძრაობა ადამიანის ხელით გაგვემჯორებინა და ისიც აინთებოდა, პირადად ჰანს კასტორპმა სიურპრიზი იხილა, რაც აქ მოთარეშე პრიმიტიული ბნელი ძალების განსაკუთრებული ყურადღების გამოხატულებად უნდა მიეღო; მუხლებზე ედო მსუბუქი საგანი, ის „სუვენირი", მისი კომოდიდან ოდესღაც ბიძამისმა რომ აიღო და შეეშინდა; დიახ, ეს გახლდათ შუშის დიაპოზიტივი, კლავდია შოშას შინაგანი პორტრეტი, რომელიც ამ ოთახში მას, ჰანს კასტორპს, ნამდვილად არ მოუტანია.

დიაპოზიტივი ისე ჩაიდო ჯიბეში, სხვების ყურადღება არ მიუქცევია. ყველანი ელენ ბრანდს დასტრიალებდნენ თავს, რომელიც კვლავ თავის ადგილზე, ერთხელ უკვე აღწერილ პოზაში იჯდა, თვალი გაშტერებოდა და უცნაურად კეკლუცი სახე მიეღო. ბატონმა ალბინმა სული შეუბერა, მერე დოქტორ კროკოვსკის მიბაძა და სახესთან ხელი აუქნია. ელი ამ მოძრაობაზე გამოფხიზლდა და რატომღაც წამოიტირა: გოგონას თავზე ხელი გადაუსვეს, დააწყნარეს, შუბ-

ლზე აკოცეს და დასაძინებლად გაუშვეს. ლევიმ თავი გამოიდო, ღამეს ფრაუ შტორთან გავატარებო, რადგან ეს ბრიყვი დედაკაცი აცხადებდა, ვერ წარმომიდგენია, ლოგინში როგორ უნდა ჩავწვეო. ჰანს კასტორპს გამოხმობილი სულისგან მოძღვნილი ნობათი გულჯიბეში ედო, მას უარი არ უთქვამს, ეს უჩვეულო ღამე სხვა მამაკაცებთან ერთად ალბინის ოთახში კოხიკის სმაში გაეთენებინა, რადგან ფიქრობდა, ამდაგვარი ამბები, მართალია, არც გულზე მოქმედებს და არც ჭკუა-გონებაზე, მაგრამ კუჭის ნერვებზე კი ახდენს ზეგავლენას, უფრო სწორად, მერე უფრო მოქმედებს, როგორც ზღვის ავადმყოფობის გადატანის შემდეგ იცის, ადამიანი ხმელეთზეც კიდევ რამდენიმე საათს რომ გრძნობს გულის რევასა და თავბრუსხვევასო.

ჰანს კასტორპს ჯერჯერობით ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებული ჰქონდა. ჰოლგერის ლექსი იმ წუთში თითქოს არ იყო ურიგო, მაგრამ მთელი ლექსის წინასწარვე ნავარაუდევმა აშკარა შინაგანმა უსასოობამ და ბანალურობამ ისეთი უსიამო გრძნობა მოჰგვარა, რომ იფიქრა, ჯოჯოხეთის ცეცხლის რამდენჯერმე შემოგზნება ხომ ვიწვნიე, და ისიც კმარაო. ბატონმა სეტემბრინიმ, როგორც მოსალოდნელი იყო, სულით და გულით მოუწონა განზრახული, როცა ჰანს კასტორპმა თავისი თავგადასავალი უამბო.

— ესღა გვაკლდა! ვაი, სირცხვილო! — წამოიძახა მან და ბევრი არ უფიქრია, ისე განაცხადა, პატარა ელი პირწავარდნილი მატყუარაააო.

მის მოწაფეს არც ჰო უთქვამს და არც ზრა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა და თქვა, რა არის სინამდვილე, მგონი, ზუსტად და ნათლად ჯერ კიდევ არ არის დადგენილი და აქედან გამომდინარე, ტყუილი საიდანღა გვეცოდინება, რა არისო. ისინი ერთმანეთისგან მკაცრად არც იქნებიან გამიჯნულნი, ალბათ ერთმანეთში გადადიანო. ბუნებას მათი შემფასებელი სიტყვები არ გააჩნია, მაგრამ აქვს რეალურობის ხარისხები, რომლებიც ისეთ შეფასებას არც დაემორჩილებიან, მათ მკაცრად შემოხაზულ ზნეობრივ ჩარჩოებში რომ მოაქცევდაო. მაინტერესებს, როგორ ესმის ბატონ სეტემბრინის სიტყვა „ილუზია". ამ ცნებაში ისეა ათქვეფილი სიზმრისა და სინამდვილის ელემენტები, რომ იგი ბუნებას უფრო ნაკლებად ეუცხოება, ვიდრე ჩვენს ყოველდღიურ უხეშ აზროვნებასო. სიცოცხლის საიდუმლოება უძიროა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით და, რა გასაკვირია, ზოგჯერ მისგან ილუზიებს მოველოდეთ, რომელიც... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, როგორც ჩვენი გმირის ხათრიან, დამყოლ და მერყევ ბუნებას შეეფერებოდა.

ბატონმა სეტემბრინიმ ტყავი გააძრო ჰანს კასტორპს, ერთი წუთით მაინც მოახედა სინდის-ნამუსისაკენ და დაპირებისმაგვარი აღთქმაც გამოსძალა, ისეთ საშინელებებში აღარასოდეს გარეულიყო.

— პატივი ეცით თქვენს ადამიანურ ღირსებას, ინჟინერო! — მოუწოდა მან, — მიენდეთ ნათელ და ჰუმანურ აზრებს და ტვინის ღრძობასა და სულიერ დამყაყებას ზიზღით მოეკიდეთ! ილუზია? სიცოცხლის საიდუმლოება? Caro mio![1], სადაც ზნეობრივ სიმტკიცეს ლპობა შეეპარება და იგი სინამდვილისა და ტყუილის გარჩევა-შეფასებას მოჰყვება, იქ საერთოდ ელება ბოლო სიცოცხლეს, განსჯას, ყოველგვარ ფასეულობას, სრულქმნილების პრო-

[1] ჩემო ძვირფასო! (იტალ.).

ცესს და მორალური სკეპსისისაგან მომდინარე ხრწნის პროცესი ფაქტის ამაზრზენ საქმეს შეუდგება.

ადამიანი ყოველივეს საზომიაო, დასძინა მან, ხელშეუხებელია მისი უფლება, განსაჯოს კეთილი და ბოროტი, სინამდვილე და მოჩვენებითობა და ვაი მას, ვინც მოინდომებს შეურყიოს ამ შემოქმედებითი უფლების ხიბლენა! ამას სჯობია, ადამიანს კისერზე დოლაბი გამოაბა და ღრმა ჭაში ჩააბრჩოო.

ჰანს კასტორპმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მართლაც პირველ ხანებში იმ ამბებისაგან შორს ეჭირა თავი. მის ყურამდე მოდიოდა ჭორები, დოქტორი კროკოვსკი თავის ანალიტიკურ ქვესკნელში ელენ ბრანდს სეანსებს უტარებს და ამ სეანსებს რჩეული საზოგადოება ესწრებაო. ჰანს კასტორპმა სეანსებში მონაწილეობაზე გულგრილად თქვა უარი, თუმცა, ბუნებრივია, ცდების შედეგებზე მონაწილეთაგან ან თვით დოქტორ კროკოვსკისაგან რაღაც-რაღაცებს მაინც გებულობდა ხოლმე. იმ ტიპის საოცარ, ძალისმიერ გამოვლინებებს, რაც კლეეფელდის ოთახში მათდა უნებურად მოხდა, ანუ დაბრახუნებას მაგიდასა და კედელზე, ნათურის ჩაქრობასა და სხვა კიდევ უფრო მნიშვნელოვან ამბებს იმ თავყრილობებზე სისტემატურად აღწევდნენ და მათ ნამდვილობას შეძლებისდაგვარად ამოწმებდნენ კიდეც, როგორც კი დოქტორი კროკოვსკი პატარა ელის ჰიპნოზის ხელოვნების წესების დაცვით ძილ-ღვიძილში გადაიყვანდა. გამოირკვა, რომ მუსიკა ექსპერიმენტებს აიოლებდა, ამიტომ ასეთ საღამოებზე გრამაფონი ადგილს იცვლიდა, მაგიური წრის გამგებლობაში გადადიოდა და ამ დროს მას ბოჰემიელი ვენცელი ემსახურებოდა ხოლმე. ვენცელი მუსიკალური კაცი იყო, იგი, ცხადია, ინსტრუმენტს უდიერად არ მოეკცეოდა, არ გააფუჭებდა და ამიტომ ჰანს კასტორპს მშვიდად შეეძლო ინსტრუმენტის მომსახურება მისთვის მიენდო. ფირფიტების ფონდიდან ამ საგანგებო შემთხვევისათვის მან ცალკე ალბომი შეადგინა, ალბომში ნაირ-ნაირი მსუბუქი მუსიკა, საცეკვაოები, პატარ-პატარა უვერტიურები და ამდაგვარი რაღაც-რაღაცები მოათავსა და იგი თავის მოვალეობას მშვენივრად ასრულებდა კიდეც, რაკი ელი უფრო ამაღლებულ მუსიკას არც მოითხოვდა.

ამგვარად, როგორც ჰანს კასტორპს უყვებოდნენ, ამ ჰანგების თანხლებით თურმე ცხვირსახოცი თავისით, უფრო სწორად მის ერთ-ერთ ნაოჭში ჩამალული „ბრჭყალების" დახმარებით, მაღლა-მაღლა ადიოდა, დოქტორის ქალაღლების კალათა ჭერისკენ მიფარფატებდა, კედლის საათის ჭანჭარა „არავის ხელით" ხან გაჩერდებოდა, ხან ისევ ამოძრავდებოდა, „არავინ" მაგიდის ზარს „იღებდა" და რეკავდა და მრავალ ამის მსგავს წვრილმანს სჩადიოდა. ცდების სწავლული ხელმძღვანელი ბედნიერად გრძნობდა თავს, რაკი შეეძლო ეს ამბები მეცნიერული კეთილსინდისიერებით აღსავსე ბერძნული ტერმინებით მოენათლა. ეს გახლდათ, როგორც იგი თავის ლექციებსა და კერძო საუბარში განმარტავდა, „ტელეკინეტიკური" მოვლენები, შორიდან მართვის შემთხვევები და იმ ფენომენების სფეროს განეკუთვნებოდა, მეცნიერებას მატერიალიზაციის სახელით რომ მოენათლა და, ცხადია, ელენ ბრანდთან ჩატარებულ ცდებში დოქტორის გრძნობა-გონება სწორედ აქეთკენ მიემართებოდა.

მისი ენით თუ ვილაპარაკებდით, აქ საქმე ეხებოდა ობიექტური სამყაროსაკენ მიმართული ქვეცნობიერი კომპლექსების ბიოფსიქიკურ პროექციებს, ანუ ისეთ პროცესებს, რომელთა წყაროდ მიიჩნეოდა მედიუმის კონსტიტუცია, მისი სომნამბულური მდგომარეობა, და ისინი იმდენად შეეძლებოდა მიგვეღო

ობიექტივირებულ სიზმრებად, რამდენადაც მათში მქღავნდებოდა ბუნების იდეოპლასტიკური ძალა და გარკვეულ პირობებში მოხვედრილას ერისათვის დამახასიათებელი უნარი, მატერია მიეზიდა და მისთვის ეფემერული რეალობა მიენიჭებინა. ეს მატერია მოედინებოდა მედიუმის სხეულიდან, რათა თავის გარეთ ბიოლოგიურ, ცოცხალ კიდურებად, ჩაბღაუჭების უნარის ქერქ-სხეულის ასოებად, ხელებად ჩამოყალიბებულიყო და სწორედ ისინი ასრულებდნენ იმ გასაოცარ წვრილმან მოძრაობებს, რომელთა მოწმენიც დოქტორ კროკოვსკის ლაბორატორიაში მყოფნი იყვნენ. გარკვეულ ვითარებაში ისინი, ეს კიდურები, ისე ხილულნი და ხელშესახებნი ხდებოდნენ, რომ პარაფინში ან თაბაშირში შეიძლებოდა მათი ფორმების ჩამოსხმა, ეს კიდევ არაფერი, სხვა შემთხვევაში ექსპერიმენტატორთა თვალწინ თავები, ინდივიდუალური სახეები, მთელი ფანტომები ყალიბდებოდნენ და მათთან ავად თუ კარგად ურთიერთობასაც ამყარებდნენ... აი აქ კი დოქტორ კროკოვსკის მოძღვრება ნელ-ნელა ფერს იცვლიდა, სიელმე ეპარებოდა და დაახლოებით ისეთივე მერყევ და ორჭოფულ ხასიათს იძენდა, როგორიც „სიყვარულზე" მის სჯა-ბაასს ჰქონდა ხოლმე. მსჯელობა თანდათანობით ჰკარგავდა სიცხადესა და მეცნიერულ სახეს, აღარ ეხებოდა მედიუმისა და მისი პასიური თანაშემწეების რეალობაში არეკლილ სუბიექტურ გამოვლინებებს, ახლა, მართალია, სანახევროდ, მართალია, ნაწილობრივ, მაგრამ სარბიელზე მაინც გამოდიოდა გარედან მოვლენილი, იმქვეყნიური მეობები; ახლა ლაპარაკი მიდიოდა — ცხადია, შეძლებისდაგვარად მთლად გამოტეხილად არა —არაცოცხალ გამოვლინებებზე, ისეთ არსებებზე, რომლებიც ამ ჩახლართულ და იდუმალ, ხელსაყრელ წამს იყენებდნენ, რათა კვლავ მატერიაში უკუქცეულიყვნენ და მათ გამომხმობელს შეხმიანებოდნენ. მოკლედ, საქმე ეხებოდა მიცვალებულთა სულების გამოძახებას.

თურმე „კამერადი" კროკოვსკი თანამზრახველთა წრესთან მუშაობისას ამდაგვარი შედეგების მოსაპოვებლად იღვწოდა. ეს ჩაფსკვნილი, მხნედ მომღიმარი, ნდობის ჩამნერგავი კაცი მტკიცედ ადგა თავის გზას, ამ დაჭაობებულ, საეჭვო, ქვეადამიანურ სფეროში თავს შინაურულად გრძნობდა და წინამძღოლად მხდალებსა და ამ სფეროების მიმართ ეჭვით აღსილთაც კი გამოადგებოდა. იმის მიხედვით, რაც ჰანს კასტორპმა შეიტყო, დოქტორ კროკოვსკის ელენ ბრანდის არაჩვეულებრივი მონაცემების წყალობით, რომელთა განვითარებასა და გამოღვიძებას იგი ცდას არ აკლებდა, მგონი, გარკვეული წარმატებებიც მოეპოვებინა. წრის ზოგიერთ წევრს თურმე უკვე უგრძნია მატერიალიზებული ხელის შეხება. პროკურორ პარავანტისათვის ტრანსცენდენტური სამყაროდან სილა გაუწყნავთ, მას წმინდა მეცნიერული ხალისით დაუდასტურებია ეს ფაქტი და ინტერესის გულისათვის მეორე ლოყაც მიუშვერია, თუმცა სილა ვიტალური წარმომავლობის რომ ყოფილიყო, იგი, როგორც კავალერი, იურისტი და ყოფილი კორპორანტი, ცხადია, სულ სხვაგვარად მოიქცეოდა. ა. კ. ფერგეს, ამ უბირ მარტვილს, ვისთვისაც უცხო იყო ყოველივე ამაღლებული, ერთ მშვენიერ საღამოს საკუთარ ხელში სჭერია ამდაგვარი აჩრდილისეული კიდური და შეხებით დარწმუნებულა მის ნამდვილობასა და სრულყოფილებაში, მერე კი იგი, თვითონაც ვერ გეტყოდათ როგორ, უეცრად გასხლტომია ხელიდან, თუმცა ხელის ჩამორთმევა არც ზრდილობის ფარგლებიდან გამოსულა და არც გულითადობა ჰკლებია. ასე გაგრძელდა კარგა ხანს, მთელი ორთვენახევარი ტარდებოდა კვირაში ორ-ორი სეანსი. სანამ ყველას თვალწინ არ წარმოუდგა იმქვეყ-

ნიური წარმომავლობის ხელი, მოწითალოდ განათებული წითელი ქაღალდით შებურვილი მაგიდის ნათურის შუქით — ეტყობოდა, ყმაწვილი კაცის ხელი, — ხელს თითები მაგიდის თავზე აუთამაშებია და ფქვილით სავსე თეხის ჯამში თავისი ანაბეჭდი დაუტოვებია. სულ რაღაც რვა დღის შემდეგ კი მოხდა ისე, რომ დოქტორ კროკოვსკის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი ალბინის, შტარისა და ცოლ-ქმარ მაგნუსების შემადგენლობით, აღტაცებისაგან სახეგაფითრებულები და თვალებანთებულნი შემოცვივდნენ ჰანს კასტორპის ლოჯიაში და ყინვისგან თვლემამორეულს სხაპასხუპით, არეულ-დარეულად ამცნეს, ელის ჰოლგერი დაგვენახვაო, მისი თავი სომნამბულის მხარზემოთ გამოჩნდა, მარილაც „მშვენიერი წაბლისფერი, წაბლისფერი კულულები" ჰქონია და საოცრად ნაზად და მელანქოლიურად გაგვიღიმა, სანამ გაქრებოდაო!

ჰანს კასტორპმა გაიფიქრა, ნეტავ როგორ ეხამება ეს კეთილშობილური სევდა ჰოლგერის თავაშვებულ საქციელს, უფანტაზიო, ბავშვურ ცელქობასა და უგუნურ ონავრობას, ან თუნდაც იმ სავსებით არამელანქოლიურ ალიყურს. პროკურორმა რომ მისგან იწვნიაო? როგორც ჩანს, აქ ხასიათის თანმიმდევრული წყობა არც იყო მოსალოდნელი. ალბათ აქაც იმ კუზიანი კაცუნას მსგავსი ჭკუა-გონება თუ მოქმედებდა, ერთ სიმღერაში რომაა გამოყვანილი, ბოროტი, დარდიანი კაცუნა გამოსარჩლებასა და თანაგრძნობას რომ მოითხოვსო. ჰოლგერის თაყვანისმცემლებს, ეტყობა, სულაც არ ენაღვლებოდათ ასეთი ამბები. მათი მთავარი საზრუნავი ჰანს კასტორპის ხელახალი გადმობირება გახლდათ. საქმე ისე დიდებულად მიდის, შემდეგ სეანსს აუცილებლად უნდა დაესწრო. თანაც ელი ძილში შეგვპირდა, შემდეგ სეანსზე ნებისმიერი გარდაცვლილის სულს გამოვიძახებ, ვისაც კი თქვენ მოითხოვთო.

ნებისმიერსო? ჰანს კასტორპი მაინც უარზე დადგა, მაგრამ ნებისმიერი მიცვალებულის გამოძახება რომ შეიძლებოდა. ამ აზრმა ისე დაიბყრო, რომ სამ დღეში საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო. უფრო ზუსტად, სამი დღე კი არა, ამ სამ დღეში რამდენიმე წუთი აღმოჩნდა გადამწყვეტი. აზრი მაშინ შეეცვალა, როცა ერთ საღამოს ჩვეულებისამებრ განმარტოდა მუსიკის სალონში და ისევ ის ფირფიტა დაუკრა, ვალენტინის ზესიმპათიური ხატება რომ იყო აღბეჭდილი. ჰანს კასტორპი თავის საკარძელში იჯდა და ომში მიმავალი ჯარისკაცის ვედრებას უსმენდა, ჯარისკაცს დიდების ველისკენ მიუწევდა გული და მღეროდა:

„და თუკი ღმერთი ზეცად ძიძიხმობს,
იქიდან მაინც დაგიფარავ,
ო, მარგარიტა!"

ამ დროს, როგორც ყოველთვის ემართებოდა ხოლმე ამ სიმღერის მოსმენისას, მაგრამ ამჯერად გარკვეული შესაძლებლობების გაჩენის გამო, უფრო ძლიერად შემოაწვა გულზე მღელვარება, მერე მღელვარება სურვილად ექცა და გაიფიქრა, თუნდაც ფუჭი იყოს და ცოდვილი ასეთი თავგადასავალი, უცნაური და სასიამოვნო კი იქნებაო. თუკი ჩემს განსვენებულ ბიძაშვილს, იოახიმს რაიმე კავშირი აქვს ასეთ ამბებთან, მისი ხასიათი რომ ვიცი, ნამღვილად არ გამინაწყენდებაო, დაასკვნა გულში, და გაახსენდა მშვიდად და ლიბერალურად ნათქვამი სიტყვები. კარგი, კარგიო, ოდესღაც გასაშუქებელ კაბი-

ნეტში წყვდიადიდან რომ შემოესმა, როცა ოპტიკასთან დაკავშირებული მოუ-
რიდებელი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების უფლება ითხოვა.

მეორე დილით საღამოს დანიშნულ სეანსში მონაწილეობის სურვილი
გამოთქვა და ვახშმიდან ნახევარი საათის შემდეგ იმ პაციენტებს შეუერთდა,
რომლებიც, აქაოდა იმქვეყნიურ ამბებში გაშინაურებულნი, ვარდოფის-
კენ მიმავალ გზას არხეინი საუბრით მიუყვებოდნენ. ეისაც კიბეზე გადაეყარა,
ან დოქტორ კროკოვსკის სენაკში შეხვდა, ყველანი აქ კარგად დაფუძნებული.
ძველი პაციენტები იყვნენ; დოქტორი ტინ-ფუ და ბოჰემიელი ვენცელი, პრო-
კურორი, ქალბატონები ლევი და კლეეფელდი, რომ აღარაფერი ვთქვათ შუა-
მავალზე — ელი ბრანდზე და იმათზე, ვინც ჰოლგერის თავის გამოცხადების
ამბავი აუწყა.

როცა ჰანს კასტორპმა საღარბაზო ბარათით დამშვენებული კარი შეაღო,
ჩრდილოეთის ასულს უკვე დოქტორი კროკოვსკი დაჰპატრონებოდა და გვერდ-
ში ამოეყენებინა. კროკოვსკის თავისი შავი სამუშაო ხალათი ეცვა და ელისთვის
მამაშვილურად გადაეხვია მხარზე ხელი. ელი სტუმრების მოლოდინში მას-
თან ერთად იდგა იმ კიბის თავში, რომელიც საღაფიდან კიდევ უფრო ქვევით,
ასისტენტის ბინისკენ მიემართებოდა, და შემოსულებს ესალმებოდა. მისალმე-
ბაში ორივე მხრივ მხიარული და უდარდელი გულითადობა იგრძნობოდა. ეტ-
ყობოდა, ყველას მიზნად დაესახა ყოველგვარი საზეიმო შეზღუდულობისაგან
განთავისუფლებულიყო, ამიტომ ერთმანეთს ხმამაღლა და ხუმრობით
ელაპარაკებოდნენ, ფერდებში გამამხნევებელ მუჯლუგუნს ჰკრავდნენ და ყო-
ველნაირად ცდილობდნენ ეჩვენებინათ, შეხედეთ, რა ლაღად გვიჭირავს
თავი. დოქტორ კროკოვსკის მისალმებისას მხნეობისა და ნდობისაკენ მო-
წოდების ნიშნად წვერებში წამდაუწუმ უკრთოდა ყვითელ-ყვითელი კბილები,
განსაკუთრებით გულითადად კი მაშინ გამოუვიდა თავისი „სალამი“, როცა ჰანს
კასტორპს მიესალმა, რომელიც ხმას არ იღებდა და სახეზეც ყოყმანი ეტყო-
ბოდა. „ყოჩაღად, ჩემო მეგობარო!“ — თითქოს ამბობდა მასპინძლის თავის
ანტური, როცა ახალგაზრდა კაცს თითქმის უხეშად უჭერდა ხელზე ხელს. „ნუ
ჩამოგიყრიათ ყურები! აქ არც თვალთმაქცობაა და არც პირმოთნეობა, მხო-
ლოდ და მხოლოდ ხალისიან, წინასწარი ცრურწმენებისგან თავისუფალ ვაჟ-
კაცურ კვლევას გთავაზობთ!“ პანტომიმის ადრესატს ამით გულზე არ მოშვე-
ბია. მართალია, გადაწყვეტილების მიღებისას გასაშუქებელი კაბინეტი გავახ-
სენებინეთ, მაგრამ ეს ასოციაცია მისი სულიერი მდგომარეობის დასახასია-
თებლად ვერ იკმარებდა. თვითონ ამ წუთში ცხადად აგონდებოდა ის უცნაური
ოა დაუვიწყარი, სიხარულით და ნერვიულობით, ცნობისწადილით, ზიზღითა და
ძოწიწებით შეზავებული გრძნობა, მრავალი წლის უკან რომ დაეუფლა, როცა
შეზარხოშებულმა ამხანაგებთან ერთად პირველად გაბედა სანკტ-პაულის სა-
როსკიპო მოენახულებინა.

რაკი აღარავინ აკლდა, დოქტორი კროკოვსკი ორი ასისტენტის თანხლე-
ბით — ამჯერად ასისტენტებად ფრაუ მაგნუსი და სპილოსძვლისფერი ლევი და-
ნიშნენ — მედიუმის ფიზიკური მდგომარეობის შესამოწმებლად მეზობელ
ოთახში გავიდა, ჰანს კასტორპი კი ცხრა მონაწილესთან ერთად ამ რეგულა-
რული და მუდამ უშედეგო, მხოლოდ მეცნიერული სიმკაცრის დამადასტუ-
რებელი აქტის დასრულებას დოქტორის სამუშაო და საორდინატორო კაბი-
ნეტში ელოდებოდა. ამ ოთახს კარგად იცნობდა აქ, ოხიმის ზურგს უკან ანა-

ლიტიკოსთან ერთ დროს ხშირად უსაუბრია. ოთახში იდგა საწერი მაგიდა თავის სავარძლით, ხელმარცხნივ, ფანჯარასთან, პაციენტის სკამი მოეთავსებინათ, გვერდითა კარის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ თაროებზე სხვადასხვა სახის ცნობარი ელაგა, მარჯვნივ, ოთახის სიღრმეში, საწერი მაგიდის [illegible] რამდენიმე საგდულიანი თეჯირით გამოცალკევებული, მუშამბაგადაკრული შეზლონგი მოჩანდა, იმავე კუთხეში ინსტრუმენტების შუშის კარადა იდგა, მეორე კუთხეში ჰიპოკრატეს ბიუსტი აღმართულიყო, ხოლო გაზის ბუხრის თავზე რემბრანდტის „ანატომიის" გრავიურა ეკიდა. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივ დღეებში ეს ოთახი სხვა მრავალი მისაღები ოთახისაგან არაფრით განირჩეოდა, ამ საღამოს კი საგანგებო შემთხვევის გამო მის მორთულობაში ცოტაოდენი ცვლილებები შეეტანათ. წითელი ხის, სავარძლებშემოწყობილი მრგვალი მაგიდა, ჩვეულებრივ, თითქმის მთელი ოთახის გადამწვდენ წითელ ხალიჩაზე, შუა ოთახში, ელექტროჯაღის ქვეშ იდგა ხოლმე, ახლა კი იგი წინა პლანზე იმ კუთხეში მიეწიათ, სადაც ბიუსტი იდგა, ხოლო ცენტრიდან ასევე მოშორებით, ანთებული ბუხრის ახლოს, საიდანაც მშრალი მხურვალება მოდიოდა, მომცრო მაგიდა დაედგათ. მაგიდას თხელი სუფრა ეფარა, ზედ წითლად შებურვილი ლამპა მოეთავსებინათ, მის თავზე ჭერიდან კიდევ სხვა, ასევე წითლად შებურვილი ნათურა ეშვებოდა, ოღონდ ამ უკანასკნელს ზემოდან კიდევ შავი ქსოვილი ჰქონდა შემოხვეული. მაგიდაზე და მის გვერდით რამდენიმე სახელგატეხილი საგანი მოჩანდა: ზარი, უფრო სწორად, ორი სხვადასხვა კონსტრუქციის ზარი, ერთი მაგიდის, მეორე კი ღილაკიანი, ფქვილით სავსე თეფში და ქალალდების ჩასაყრელი კალათა. მომცრო მაგიდას ნახევარწრედ თორმეტიოდე სხვადასხვანაირი სკამი და სავარძელი ჰქონდა შემოწყობილი, ნახევარწრის ერთი ბოლო შეზლონგის ფეხებთან მიდიოდა, მეორე ბოლო კი თითქმის ოთახის შუაგულამდე აღწევდა და ჭაღის ქვეშ მთავრდებოდა. აქ, ბოლო სკამია ახლოს, გვერდითა კარისკენ მიმავალი გზის შუაგულში მუსიკალური სკივრისთვის მიეჩინათ ადგილი. მსუბუქი მუსიკის ალბომი იქვე, მის გვერდით იდო სკამზე. ასეთი გახლდათ ოთახის მოწყობილობა. წითელი ნათურები ჯერ არ ენთო. ჭაღი დღის სინათლესაკით კაშკაშა შუქს აფრქვევდა. ფანჯარას, რომლისკენაც საწერი მაგიდის ვიწრო გვერდი იყო მიქცეული, მუქი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, იმ ფარდაზე კიდევ კრემისფერი, მაქმანისებურად ნაქსოვი, ეგრეთ წოდებული შტორი ეკიდა.

დოქტორი სამ მანდილოსანთან ერთად ათი წუთის შემდეგ გამოვიდა კაბინეტიდან. პატარა ელი სულ გადასხვაფერებულიყო, ტანსაცმელი გამოეცვალა და სეანსის შესაფერ სამოსში გამოწყობილიყო. თეთრი კრეპის, დილის ხალათის მსგავსი, წელზე ზონარშემოჭერილი უსახელო სამოსიდან წვრილი, შიშველი მკლავები მოუჩანდა. ქალწულებრივი მკერდი ისე რბილად და თავისუფლად ენაკვეთებოდა, რომ ეტყობოდა, სამოსის ქვეშ ბევრი არაფერი უნდა სცმოდა.

მას ერიამულით შეხვდნენ: „ჰალო ,ელი! რა მომხიბლავია! ნამდვილი ფერიაა! აბა შენ იცი, ჩემო ანგელოზო!" მან შეძახილებს ღიმილით უპასუხა, ეტყობოდა, თვითონაც იცოდა, მოსაცმელი რომ უხდებოდა.

— წინასწარი შემოწმების შედეგები უარყოფითია, — განაცხადა დოქტორმა კროკოვსკიმ. — აბა, ცოცხლად, საქმეს შევუდგეთ, კამერადებო! — დასძინა მან და ბოლოს თავისი ეგზოტიკური „რაე" გამოუტია. ჰანს კასტორპს

უსიამოდ გააჟრჟოლა ამ მომართვის გაგონებაზე, დანარჩენები ლაპარაკ-ლაპარაკითა და ჰალოს ძახილით დაიძრნენ, ერთმანეთს მხარზე უტყაპუნებდნენ ხელს და ნახევარწრედ დადგმულ სკამებზე სხდებოდნენ. ის იყო მარიაც დააპირა სადმე მიყუჟულიყო, რომ დოქტორმა პირადად მას მიმართა:

— თქვენ, ჩემო მეგობარო (ჩემო მეგობაროო), რაკი ჩვენს წრეში დღეს სტუმრად თუ ახალბედად ითვლებით, მინდა განსაკუთრებით საპატიო უფლებები მოგანიჭოთ, და ჩვენი მედიუმის კონტროლი მოგანდოთ. — უთხრა მან და ახალგაზრდა კაცი ნახევარწრის იმ ბოლოსკენ მიიპატიჟა, რომელიც შეზლონგსა და თეჯირა ებჯინებოდა. იქ ჩვეულებრივ სელის სკამზე იჯდა ელენ ბრანდი და სახე უფრო საფეხურებდატნეული შემოსასვლელი კარისკენ მიექცია, ვიდრე ოთახის შუაგულისაკენ. დოქტორმა ისეთივე სკამი ელისთან სულ ახლოს მიაჩოჩა, პირდაპირ დაუჯდა, ხელები დაუჭირა და მისი მუხლები მუხლებშუა მოიქცია. — აი თქვენც ასე გააკეთეთ! — უბრძანა მან ჰანს კასტორპს და თავისი ადგილი დაუთმო. — დამეთანხმებით, რომ საჭიროა მაგრად დაჭერა. ვინმეს კიდევ მოგაშველებთ. ფროილაინ კლეეფელდ, ნება მიბოძეთ შეგაწუხოთ!— ამ უაღრესად თავაზიანი და ეგზოტიკური განკარგულებით მოხმობილი კლეეფელდი ჯგუფს შემოუერთდა და ორივე ხელი ელის სუსტ მაჯებს შემოაჭდო.

ჰანს კასტორპს სახე ისე ახლოს მიეტანა მასზე მიჯაჭვულ ქალწულ ვუნდერკინდთან, რომ არ შეიძლებოდა მისთვის სახეში არ ჩაეხედა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ ელიმ დაიმორცხვა, ჯერ ზევით აღაპყრო და მერე დახარა თვალები, რაც ამ ვითარებაში სავსებით გასაგები გახლდათ, მერე თავი გვერდზე გადახარა, ტუჩები წინ წამოზიდა და ისევე კეკლუცად გაიღიმა, როგორც ერთხელ ჭიქის სეანსზე იღიმებოდა. სხვათა შორის, მის ზედამხედველს ამ უსიტყვო კეკლუცობაზე სხვა უფრო შორეული მოგონებები აეშალა. მოაგონდა, რომ თითქმის ასევე იღიმებოდა კარენ კარსტედი, როცა იგი იოახიმთან და მასთან ერთად „სოფლის“ სასაფლაოზე თავის ჯერ კიდევ გაუთხრელ სამარესთან იდგა...

ნახევარწრე დალაგდა. ცამეტნი იყვნენ, ბოჰემიელი ვენცელის ჩაუთვლელად, რომელიც „პოლიჰიმნიის“ მიხედვას კისრულობდა და თავისუფლად ყოფნას იყო დაჩვეული. მან აპარატი მოამზადა და იქვე, ოთახის შუაგულისკენ პირშექცევით მსხდომთა ზურგს უკან ტაბურეტზე ჩამოჯდა. გიტარაც თან ჰქონდა. დოქტორი კროკოვსკი ჭაღის ქვეშ დაჯდა, იქ, სადაც მორკალული რიგი თავდებოდა, მანამდე კი ხელის ერთი მოძრაობით ორივე წითელი ნათურა აანთო და იმწამსვე დღის კაშკაშა შუქიც ჩააქრო. ოთახი მინავლულ შუქში ჩაეფლო, შორეულ კუთხეებს კი თვალი საერთოდ ვეღარ არჩევდა. კაცმა რომ თქვას, მოწითალო შუქით მხოლოდ მაგიდის ზედაპირი და მისი უახლოესი მიდამო იყო სუსტად განათებული. პირველ წუთებში იქ მყოფნი ერთმანეთის სახეებსაც ვეღარ არჩევდნენ, მაგრამ თვალი ნელ-ნელა მიეჩვია სიბნელეს და ნებადართული სინათლის გამოყენებაც ისწავლეს, რომელსაც ოდნავ აძლიერებდა ბუხარში აცეკვებული ცეცხლის ენები.

დოქტორმა რამდენიმე სიტყვა მიუძღვნა განათებას და მისი მეცნიერული ნაკლისთვის მოიბოდიშა. ღმერთმა დამიფაროს, ამ განათებას განწყობის შესაქმნელად ან მისტიფიკაციისთვის ვიყენებდეო. სამწუხაროდ, ძალიანაც რომ გვინდოდეს, შუქს ვერ გავაძლიერებთ. აქ გამოსამყღავნებელი და შესასწავ-

ლი ძალების ბუნება კაშკაშა შუქს ვერ ეგუება, სინათლეში ისინი არც გამომ-ქლავნდებიან და ძალასაც ვერ გამოავლენენო. ამ აუცილებელ წინაპირობას ჯერჯერობით ანგარიში უნდა გაეწიოსო... ჰანს კასტორპს ეს გაფრთხილება ესიამოვნა. სიბნელე ამშვიდებდა, იგი მთელ ამ [illegible] ვითარებას არბილებდა. გარდა ამისა, სიბნელის გასამარჯვებლად [illegible] საშუქებელი კაბინეტი გაიხსენა, იქაც სიბნელეში ისხდნენ გარინდულნი და დღის ნათელს მიჩვეულ თვალებში სიბნელეს ივლებდნენ, სანამ რაიმეს „დაინახავდნენ“ ხოლმე.

მედიუმს, განაგრძო თავის შესავალი სიტყვა დოქტორმა კროკოვსკიმ, — იგი აშკარად ჰანს კასტორპის გასაგონად ლაპარაკობდა, — მისი ხელით, ანუ ეჭიმის ხელით, დაძინება დიდი ხანია აღარ სჭირდება. ზედამხედველი თვითონვე დაინახავს, იგი ტრანსში თავისით რომ გადავა, მაშინვე მისი მფარველი სული, ყველასათვის ცნობილი ჰოლგერი მისი პირით გამოგველაპარაკება და ჩვენც ჩვენი სურვილები მას უნდა ვამცნოთ და არა ელისო. სხვათა შორის, დიდ შეცდომას ჩაიდენთ და შეიძლება მარცხიც განიცადოთ, თუ იფიქრებთ, ნებისყოფასა და გონებას ძალით უნდა მოვუყაროთ თავი და ამ ფენომენისკენ მივმართოთო, პირიქით, ყველაფერს სჯობია თუ მოვეშვებით და თან ერთმანეთთანაც ვისაუბრებთო. ჰანს კასტორპმა უპირველეს ყოვლისა იმაზე იზრუნოს, მედიუმის კიდურებს არ მოაკლდეს ყურადღებაო.

— შეჰკარით ჯაჭვი! — დაასრულა საუბარი დოქტორმა კროკოვსკიმ და ჯაჭვი სიცილ-სიცილით შეჰკრეს. ეცინებოდათ, სიბნელეში ერთმანეთის ხელებს მაშინვე რომ ვერ პოულობდნენ. დოქტორი ტინ-ფუ ჰერმინე კლეეფელდის გვერდით იჯდა, მან მარჯვენა ხელი კლეეფელდს გადახვია მხარზე, მარცხენა კი მეორე მხარეს მჯდომ ვეეზალს გაუწოდა. დოქტორის გვერდით ისხდნენ ბატონი და ქალბატონი მაგხუსები, მათ ა. კ. ფერგე მოსდევდა, მას, თუ ჰანს კასტორპს თვალი არ ატყუებდა, მარჯვენა ხელში სპილოსძვლისფერი ლევის ხელი ეჭირა და ასე შემდეგ.

— მუსიკა! — ბრძანა დოქტორმა კროკოვსკიმ. ჩეხმა, რომელიც დოქტორისა და მისი მეზობლების ზურგს უკან იჯდა, აპარატი აამუშავა და ფირფიტას ნემსი დაადო.

გაისმა თუ არა მილლეკერის უვერტიურის პირველი ტაქტები, დოქტორმა კროკოვსკიმ კვლავ გასცა განკარგულება, ილაპარაკეთო, ყველა მორჩილად აფუსფუსდა და სულ უმნიშვნელო ამბებზე წამოიწყეს კიდეც საუბარი, აქეთ ამ ზამთრის თოვლიანობაზე, იქით უკანასკნელ მენიუზე, პაციენტთა ცალკეულ გამოხდომებზე, თვითნებურ თუ კანონიერ გამგზავრებაზე და ასე შემდეგ, საუბარს ზოგჯერ სანახევროდ აბშობდა მუსიკა, ზოგჯერ იგი თვითონვე წყდებოდა, მერე ისევ გაცხოველდებოდა და ასე ხელოვნურად იგრძელებდა სიცოცხლეს. ასე გავიდა რამდენიმე წუთი.

ფირფიტა ჯერაც არ ჩათავებულიყო, ელი რომ ღონივრად შეირხა. მთელი ტანით აცახცახდა, ამოიხვნეშა, ზედატანით წინ ისე გადმოიხარა, რომ შუბლით ჰანს კასტორპის შუბლს შეეხო და ამავე დროს მისმა მკლავებმა ზედამხედველების მკლავებთან ერთად წინ და უკან უცნაური, დგუშისებური მოძრაობა დაიწყო.

— ტრანსი! —ყოვლისმცოდნის კილოზე განაცხადა კლეეფელდმა. მუ-

სიკა დადუმდა. საუბარი შეწყდა. უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში ვიღაცის დოქტორის რბილი, გაჭიანურებული ბარიტონი, რომელმაც ოკითხა:

— ჰოლგერი აქ არის?

ელი ისევ აცახცახდა და სკამზე რწევას მოჰყვა. შემდეგ ჰანს კასტორპმა იგრძნო, გოგონამ ორივე ხელზე როგორ სწრაფად და ლონივრად მოუჭირა ხელი.

— ელი ხელს მიჭერს, — მოახსენა მან საზოგადოებას.

— ის, — შეუსწორა დოქტორმა. — ხელს ის გიჭერთ. მაშასადამე, აქ არის. — მოგესალმებით, ჰოლგერ, — დათაფლული ხმით განაგრძო მან. — კეთილი იყოს შენი მობრძანება, მეგობარო, ნება მომეცი შეგახსენო! უკანასკნელად რომ იყავი ჩვენთან, შეგვპირდი, ნებისმიერ მიცვალებულს, ვისაც კი თქვენი წრიდან დამისახელებენ, ქალი იქნება თუ კაცი, გამოვიხმობ და თქვენს მოკვდავ თვალისჩინს ხილულად წარმოვუდგენო. მზად ხარ და გრძნობ საიმისო ძალას, რომ დანაპირები შეგვისრულო?

ელის ისევ შეაჟრჟოლა, ამოიხვნეშა და პასუხი დააყოვნა. ხელები ზედამხედველების ხელებთან ერთად შუბლთან მიიტანა და ცოტა ხანს შუბლზე გაიჩერა. შემდეგ ზედ ჰანს კასტორპის ყურთან დაიჩურჩულა: „ჰო!“

ბგერების ფშვინვა შიგ ყურში ჩაუძვრა ჩვენს მეგობარს და კანი აუბურძგლა, ამას ხალხში „ბატის კანს“ უწოდებენ, ხოლო მისი არსი ერთ მშვენიერ დღეს ჰოფრატმა აუხსნა ჰანს კასტორპს. ჩვენ კანის აბურძგვლა ვახსენეთ, რათა წმინდა ფიზიკური მოვლენა სულიერისაგან განგვესხვავებინა, რადგან ამ შემთხვევაში შიშის ზარზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მან დაახლოებით ასეთი რამ გაიფიქრა: „ხედავ, რა შორს შესტოპა!“, მაგრამ თან გული აუჩვილდა, ლამის შეძრწუნდა, შეცბუნება, გულის აჩუყება და შეძრწუნება ერთად მოერია, ეს გრძნობები დაბნეულობამ, უფრო სწორად, სიცრუის ატმოსფერომ აუშალა, ამ ნორჩმა არსებამ, ვისი ხელებიც თვითონ ეჭირა. მის ყურთან „ჰო“ რომ ამოიფშვინა.

— მან თანხმობა განაცხადა, — უპატაკა საზოგადოებას და შერცხვა.

— კარგი, ჰოლგერ! — თქვა დოქტორმა კროკოვსკიმ, — სიტყვა სიტყვაა. ყველა ვიმედოვნებთ, რომ დანაპირებს პატიოსნად აღასრულებ. იმ ძვირფას სახელს, რომლის გამოძახებასაც მოგთხოვთ, ახლავე გეტყვით. მეგობრებო, — მიუბრუნდა იგი საზოგადოებას, — ხმა ამოიღეთ! ვის გაქვთ სურვილი მოფიქრებული? ვინ გვიჩვენოს ჩვენმა მეგობარმა ჰოლგერმა?

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ერთმანეთს უცდიდა. ამ ბოლო დღეებში განა არ ჩაფიქრებულან, საით, ვისკენ მიილტვოდა მათი ფიქრები, მაგრამ გარდაცვლილის დაბრუნება, ანუ, ასეთი დაბრუნების სასურველობა, ეტყობა, მეტისმეტად ჩახლართული და საჩოთირო საქმე ყოფილა და იქნება, გულახდილად თუ ვიტყვით, სინამდვილეში ეს სასურველობა საერთოდ არ არსებობს, იგი მოჩვენებითია; კარგად თუ დავაკვირდებით, ისევე შეუძლებელია ვისურვოთ მიცვალებულის დაბრუნება, როგორც თვით ეს საქმეა შეუძლებელი, რაც მშვენივრად გამოჩნდებოდა, ბუნებას ერთხელ მაინც რომ შესაძლებელი გაეხადა გარდაცვლილის დაბრუნება; ამგვარად, ის, რასაც ჩვენ გლოვას ვუწოდებთ, ალბათ მხოლოდ იმ ტკივილის შეგრძნება როდია, ჩვენს მიცვალებულს ცოცხალს რომ ვეღარ ვიხილავთ, არამედ იმის ტკივილიცაა, ამ სურვილის გულში გავლებაც რომ არ შეგვიძლია.

ამას ბუნდოვნად ყველა გრძნობდა და, თუმცა საქმე სიცოცხლესთან სერიოზულ და ნამდვილ მობრუნებას არ ეხებოდა და ეს მხოლოდ წმინდა სენტიმენტალური, თეატრალიზებული სანახაობა შეიძლებოდა ყოფილიყო, სადაც გარდაცვლილი მხოლოდ უნდა დაგენახა და, მაშასადამე, შენს სიცოცხლეს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, მაინც ეშინოდათ თავიანთი ფიქრის საგნის დანახვა და ერჩივნათ სურვილის გამოთქმის უფლება მეზობლისთვის გადაელოცათ. მართალია, ჰანს კასტორპს კვლავ ყურებში ედგა სიბნელიდან გულკეთილად და ლიბერალურად ნათქვამი, კარგი, კარგიო, მაგრამ გადამწყვეტ წამს ლამის ისიც მზად იყო, პირველობა სხვისთვის დაეთმო. მაგრამ ამ გაჭიანურებულ დაძაბულობას ვეღარ გაუძლო, თავი სეანსის წინამძღოლისკენ მიაბრუნა და ჩახრინწული ხმით თქვა:

— მე მინდა ჩემი გარდაცვლილი ბიძაშვილი იოახიმ ციმსენი ვიხილო.

ყველამ შვებით ამოისუნთქა. აქ მყოფთაგან მხოლოდ დოქტორი ტინ-ფუ, ჩეხი ვენცელი და მედიუმი არ იცნობდნენ გამოხმობილს. დანარჩენებმა: ფერგემ, ვეეზალმა, ბატონმა ალბინმა, პროკურორმა, ბატონმა და ქალბატონმა მაგნუსებმა, შტორმა, ლევიმ და კლეეფელდმა ხმამაღალი, ხალისიანი შეძახილებით გამოხატეს თავიანთი მოწონება, დოქტორმა კროკოვსკიმაც კი კმაყოფილების ნიშნად დააქნია თავი, თუმცა იოახიმთან არასოდეს გულთბილი ურთიერთობა არ ჰქონია, რადგან იგი საანალიზოდ ნაკლებად დამყოლი აღმოჩნდა.

— ძალიან კარგი, — თქვა დოქტორმა. — გესმის, ჰოლგერ? შენ სიცოცხლეში არ იცნობდი დასახელებულ პიროვნებას. შეიცნობ კი იმქვეყნად და მზად ხარ მოგვიყვანო?

მოლოდინი მეტისმეტად გაძნელდა. მძინარე ირწეოდა, კვნესოდა და თრთოდა. ეტყობოდა, რაღაცას დაეძებდა და ებრძოდა, აქეთ-იქით ქანაობდა, ხან ჰანს კასტორპის და ხან კლეეფელდის ყურს მიაწყდებოდა და რაღაცას გაურკვევლად დაიჩურჩულებდა. ბოლოს ჰანს კასტორპმა მისი ორივე ხელის მოჭერა იგრძნო, რაც „ჰოს“ ნიშნავდა. მან საზოგადოებას ეს ცნობა მიაწოდა და...

— კარგი, კარგი! — შესძახა დოქტორმა კროკოვსკიმ. — საქმეს შეუდექ, ჰოლგერ! მუსიკა! ილაპარაკეთ! —კვლავ შესძახა მან და გაიმეორა თავისი შეგონება, რომ საქმეს ხელს შეუწყობდა არა გონების დაძაბვა და მოსალოდნელი სანახაობის ძალდატანებით წარმოდგენა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ძალდაუტანებელი რუდუნება.

ამას მოჰყვა ყველაზე საოცარი საათები, რაც კი ჩვენს გმირს თავისი ყმაწვილკაცობის მანძილზე განეცადა და თუმცა მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის მთლად ნათელი არ არის და იგი ჩვენი მოთხრობის ერთ რომელიმე მომენტში თვალთაგანაც დაგვეკარგება, მაინც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავის სიცოცხლეში ამაზე საოცარს ვეღარაფერს მოესწრებოდა.

გავიდა, ბარემ ახლავე ვიტყვით, მოკლე შესვენების ჩათვლით, ორ საათზე მეტი ჰოლგერის თუ ქალწული ელის „მუშაობაში“, და ეს მუშაობა ისე შემაძრწუნებლად გაჭიანურდა, რომ შედეგს ლამის იყო აღარავინ ელოდა. რამდენჯერმე იმ ზომამდეც მივიდნენ, რომ მზად იყვნენ ყველაფერზე ხელი ჩაექნიათ და სეანსი შეემოკლებინათ, რადგან ეს მუშაობა მართლაც საშინლად მძიმე ჩანდა და არ შეიძლებოდა მისი ტვირთის მატარებელი სუსტი მხრები

არ შეგბრალებოდათ. ჩვენთვის, მამაკაცებისათვის, თუკი ადამიანურ თვისებებს არ დავკარგავთ, ერთი ცხოვრებისეული სიტუაციიდან ნაცნობია ეს აუტანელი სიბრალულის გრძნობა, სასაცილოა, მაგრამ ამ გრძნობას არც სრავინ გვიმადლის და ალბათ მართლაც უადგილოა ეს ალშფოთებით „კმარა!“, საკაა რომ ალმოგვხვდება მკერდიდან, თუმცა „ეს“ [illegible] ვერ იქნება და არც შეიძლება იყოს, რადგან, ასე თუ ისე, ის პროცესი ბოლომდე უნდა ჩათავდეს. ალბათ მიგვიხვდით, მშობიარობისას მეუღლისა და მამის მდგომარეობაზე რომ ვლაპარაკობთ. ელის ჭიდილი ისე ცხადად და მკაფიოდ ჰგავდა იმ აქტს, რომ ისინიც კი შეიცნობდნენ, ვისაც იგი საერთოდ არ ენახა, თუნდაც ახალგაზრდა კასტორპი, რომელმაც თავი არ აარიდა სიცოცხლის საიდუმლოებას და ეს ორგანული მისტიკით გაჟღენთილი აქტი ამგვარი სახით იხილა-და მერე როგორი სახით! ან რისთვის გამიზნული! ან რა ვითარებაში! სკანდალურის მეტი რა შეიძლებოდა გვეწოდებინა წითელი შუქით განათებულ აზრიალებულ სანთიობოში დატრიალებული ამბის ნიშან-თვისებებისა და დეტალებისათვის, თუნდაც ამ ხალათმოღებილი, მკლავებგაშიშვლებული ქალწულის საშობიარო ჭიდილისათვის, ანდა სხვა ამბებისათვის, თუნდაც გრამაფონის გაუთავებელი ჭყვიტინისათვის, ძალდატანებული საუბრისათვის, ნახევარწრე ბრძანებით რომ განაგრძობდა, „მშობიარისკენ“ მიმართული გამამხნევებელი შეძახილებისათვის: „ჰალო! ჰოლგერ! ყოჩაღად! სულ ცოტა დარჩა! არ მოეშვა, ჰოლგერ, თავი არ დაზოგო და გამოგივა!“ ჰოდა, აქ ვერასგზით ვერ გამოვრიცხავთ „მეუღლის“ პიროვნებასა და მის განცდებს, — თუკი უფლება გვაქვს ამ საქმეში თავისი სურვილით ჩაბმულ ჰანს კასტორპს მეუღლე ვუწოდოთ, — განა მეუღლე არ იყო, „დედის“ მუხლები მუხლებში რომ მოექცია და მისი ხელები ეჭირა, ისეთივე სველი და სლიპინა, როგორც ოდესღაც პატარა ლეილას ჰქონდა, და იძულებული ხდებოდა წამდაუწუმ ხელი მოენაცვლებინა, თორემ ისინი ხელიდან გაუსხლტებოდა.

მათ ზურგს უკან გაზის ბუხარი ვარვარებდა.

მისტიკა და მოწიწება? ნურას უკაცრავად! მოწითალო სიბნელეს თვალი ისე შესჩვეოდა, რომ ოთახში ყველაფერს არჩევდნენ და ახლა აქ უხამსი ჟრიამული იდგა. მუსიკა და შეძახილები ხსნის არმიის აღსაგზნებ მეთოდებს მოაგონებდათ, მოაგონებდათ იმათაც კი, მაგალითად, ჰანს კასტორპს, ვისაც არასოდეს უნახავს გაშმაგებული სალოსების რელიგიური დღესასწაული. ამ ვითომ მისტიკურ და იდუმალებით აღსავსე სცენას ღვთისმოსაური გრძნობები უნდა გაეღვივებინა, მაგრამ სინამდვილეში სულ არ იწვევდა იმქვეყნიურობის განცდას, პირიქით, როგორც უკვე მოგახსენეთ, იგი ახლო და ინტიმურ ნათესაობას ბუნებრივ, ორგანულ მოვლენებთან უფრო ამჟღავნებდა. ელის მტკივნეული ჭიდილი და სიმშვიდის წუთები ერთმანეთს ენაცვლებოდა, სიმშვიდის წუთებში იგი სკამზე მოწყვეტით გადაეკიდებოდა და სავსებით ითიშებოდა, რასაც დოქტორი კროკოვსკი „ღრმა ტრანსს“ უწოდებდა. შემდეგ ისევ წამოიწევდა, გმინავდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, შფოთავდა, თავის ზედამხედველებს ებრძოდა, ყურთან მის ცხელ სუნთქვას გრძნობდნენ და მისი უაზრო ჩურჩული ესმოდათ, ელი აქეთ-იქით ისე ეხეთქებოდა, თითქოს თავის წიაღიდან რაღაცის გამოძევება უნდათ, კბილებს აკრაჭუნებდა და ერთხელ კბილებით ჰანს კასტორპს საყელოზეც კი ჩააფრინდა.

ასე გაგრძელდა საათზე მეტხანს და სეანსის წინამძღოლმა საყოველთაო

ინტერესებისათვის მიზანშეწონილად სცნო შესვენება გამოეცხადებინა. ჩეხ ვენცელს მრავალფეროვნების შემოტანის მიზნით მუსიკალური ინსტრუმენტი დაესვენებინა და კარგა ხანია გიტარას აკვნესებდა და აყღურტულებდა, მაგრამ ახლა საკრავი მანაც გვერდზე გადადო. ყველამ ამოიხვნეშა და ხელები გაინთავისუფლა. დოქტორი კროკოვსკი ჰაღის ასანთებად კედელთან მივიდა. ოთახი თვალისმომჭრელმა თეთრმა შუქმა გაანათა და ყველამ მოჭუტა ლამის სიბნელისაგან აზრდაკარგული თვალები. ელი წინ გადმოხრილიყო, სახე ლამის კალთაში ჩაერგო და თვლემდა. იგი უცნაურ საქმეს იყო შებმული, ამას სხვები, ეტყობა, მიჩვეულნი იყვნენ, ჰანს კასტორპი კი ელის გაოცებითა და ყურადღებით უცქერდა: რამდენიმე წუთის განმავლობაში იგი ხელისგულებს თეძოებზე ისვამდა, ხელს ხან მოიშორებდა, მერე კვლავ ისე გამალებით აამოძრავებდა, თითქოს რაღაცას ბოჭავს და აგროვებსო. შემდეგ რამდენჯერმე შეტოკდა, თვალები დაახამხამა, მანაც სხვებივით უაზრო, ნამძინარევი თვალებით შეხედა შუქს და გაიღიმა.

გაიღიმა კეკლუცად და საკმაოდ თავდაჭერილად. მისი ტანჯვა-ვაება სიბრალულს მართლაც აღარ იწვევდა. არც განსაკუთრებული დაღლა ეტყობოდა და ალბათ არც აღარაფერი ახსოვდა. იგი ფანჯარასთან, პაციენტებისთვის განკუთვნილ სავარძელში იჯდა საწერი მაგიდის ვიწრო მხარესთან, საწერ მაგიდასა და თეჯირს შუა, რომელიც შეზლონგს ეფარებოდა. სავარძელი ისე დაედგა, რომ მკლავით საწერ მაგიდას ჩამოყრდნობოდა და ოთახისკენ ეცქირა. ასე იჯდა იგი, მისკენ ხშირად აპარებდნენ გულაჩუყებულ მზერას, ხან გამამხნევებლად უქნევდნენ თავს, მას კი მთელი შესვენების მანძილზე, რაც თხუთმეტ წუთს გაგრძელდა, ხმა არ ამოუღია.

ეს იყო ნამდვილი შესვენება — ლაღი და შესრულებული სამუშაოს გამო კმაყოფილებით აღსავსე. ისმოდა მამაკაცების სათუთუნეების ტკაცუნი. ისინი დინჯად აბოლებდნენ და ჯუფ-ჯგუფად მდგარნი სეანსის თავისებურებებზე მსჯელობდნენ. ჯერ ნაადრევი იყო საქმეზე ხელის აღება, აქაოდა, მაინც არაფერი გამოვაო. მრავალი ნიშანი გვარწმუნებდა, რომ სულსწრაფობის გამოჩენა არ ღირდა. ვინც ნახევარწრის მეორე ბოლოში, დოქტორთან ახლოს იჯდა, ერთხმად ირწმუნებოდა, რამდენჯერმე გარკვევით ვიგრძენით ის ცივი სიო, ფენომენის გამოჩენის წინ მედიუმის პიროვნებიდან ყოველთვის ერთი გარკვეული მიმართულებით რომ მოჰქრისო. სხვები ირწმუნებოდნენ, შუქისმიერი მოვლენები შევნიშნეთო, თეთრი ლაქები, ანუ შეკუმშული მოხეტიალე ძალები, თეჯირზე რომ დარიალებდნენო. მოკლედ, არავითარი უკანდახევა! არავითარი გულგატეხილობა! ჰოლგერმა სიტყვა მოგვცა და უფლება არა გვაქვს მისი სიტყვის სიმტკიცეში ეჭვი შევიტანოთო.

დოქტორმა კროკოვსკიმ სეანსის განახლების ნიშანი მისცა. სანამ სხვები კვლავ თავთავიანთ ადგილებს მიაშურებდნენ, მან თვითონ მიაცილა ელი თავის საწამებელ სკამამდე და თმაზე ხელი გადაუსვა. სეანსი განახლდა. ჰანს კასტორპმა ითხოვა პირველი ზედამხედველის პოსტიდან განთავისუფლება, მაგრამ სეანსის წინამძღოლმა სასტიკი უარი უთხრა. მე პირადად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, ის, ვინც ამ საქმეს იკისრებს, უშუალოდ დავარწმუნო, რომ მედიუმის მხრივ საზოგადოების შეცდომაში შესაყვანი მანიპულაციები პრაქტიკულად გამორიცხულიაო. რა გაეწყობოდა, ჰანს კასტორპმა კვლავ დაიკავა ელის ახლოს თავისი ადგილი. სინათლე ჩაქრა და ოთახში ისევ მოწითალო სიბ-

ნელემ დაისადგურა. კვლავ ახმიანდა მუსიკა. რამდენიმე წუთის შემდეგ ელიმ ძველებურად დაიწყო ტოკვა და დგუშისებური მოძრაობები, და ამჯერად ხაზოგადოებას ჰანს კასტორპმა ამცნო „ტრანსის" დაწყების ამბავი. საკმაოდ ცარიელი მშობიაობა გაგრძელდა.

რა საშინლად მძიმედ მიმდინარეობდა მშობიაობა! თითქოს, დასასრული არ უჩანდა, თუმცა შეიძლებოდა კი ჰქონოდა დასასრული? რა სიგიჟეა! აქ დედობას რა ხელი ჰქონდა? მოლოდინება? როგორ, რანაირად?, „მიშველეთ! მიშველეთ!" გმინავდა გოგონა და საცაა ის მავნე და სახიფათო, გახანგრძლივებული კრუნჩხვა მოუვლიდა, განათლებული ბებიაქალები ეკლამპსიას რომ უწოდებენ. იგი დროდადრო დოქტორს უხმობდა, ხელი შემაშველეთო, და იგიც გამამხნევებელი შეგონებებით აშველებდა ხელს. ჰიპნოზი, თუკი მართლა არსებობდა იგი, გოგონას ბრძოლის გასაგრძელებელ ძალას მატებდა.

გავიდა მეორე საათიც, ამ დროის განმავლობაში ხან გიტარა მღეროდა და ხან გრამაფონი აფრქვევდა მსუბუქი მუსიკის ალბომიდან ამოღებულ მელოდიებს. და დღის შუქს გადაჩვეული თვალები ასე თუ ისე ხელახლა ეგუებოდნენ სიბნელეს. ამ დროს მოხდა ერთი ინციდენტი და იგი ჰანს კასტორპმა გამოიწვია: მან მოვლენებს ბიძგი მისცა. გამოთქვა ერთი სურვილი და მოსაზრება, რასაც კაცმა რომ თქვას, თავიდანვე ელოლიავებოდა და ისედაც ჯობდა ადრე გამოეთქვა. ელიმ სახე სწორედ იმ წუთში ჩარგო გაკაკვებულ ხელებში, „ლრმა ტრანსში" გადავარდა და ბატონი ვენცელიც ის იყო აპირებდა ფირფიტა გამოეცვალა ან გადაეტრიალებინა, რომ ჩვენმა მეგობარმა მტკიცედ წამოიწყო, ერთი რამ მინდა შემოგთავაზოთ, შეიძლება უმნიშვნელო, მაგრამ, მე მგონი, მან სარგებლობა უნდა მოგვიტანოსო. მას აქვს... უფრო სწორად, სანატორიუმის ფირფიტების კოლექციაში არის ერთი მუსიკალური ნომერი: „ვალენტინის ვედრება" გუნოს „მარგარიტადან", ბარიტონი მღერის ორკესტრთან ერთად, მშვენიერი რამაა და მისი, ანუ ჰანს კასტორპის აზრით, ურიგო არ იქნებოდა ბედი ერთხელ ამ ფირფიტით გვეცადა.

— ეგ რაღა საჭიროა? — მოწითალო სიბნელიდან გაისმა დოქტორის ხმა.

— განწყობილების, გრძნობის საქმეა, — მიუგო ახალგაზრდა კაცმა. დასახელებული ნაწარმოების სულისკვეთება თავისებური და სპეციფიკურია, იქნებ გაგვიმართლოს ცდამ. ჩემი აზრით, გამორიცხული არაა, ამ სულისკვეთებამ და სიმღერის ხასიათმა შეამოკლოს აქ მიმდინარე პროცესიო, დასძინა მანვე.

— ფირფიტა აქ არის? — იკითხა დოქტორმა.

არა, აქ არ არის, მაგრამ ჰანს კასტორპს ითლად შეუძლია მისი მოტანა.

— ეგ რამ გაფიქრებინათ! — კატეგორიულად უარჰყო კროკოვსკიმ ეს წინადადება. როგორ? ჰანს კასტორპს უნდა წავიდ-წამოვიდეს, რაღაც მოიტანოს და ისევ განაგრძოს შეწყვეტილი მუშაობა? აი რას ნიშნავს გამოუცდელობა. არა, ეს ყოვლად დაუშვებელია. ყველაფერი დაგვენგრევა და თავიდან გაგვიხდება დასაწყები. გარდა ამისა, ასეთ თვითნებურ გასვლა-შემოსვლაზე მეცნიერული სიზუსტე ფიქრსაც კი გვიკრძალავს. კარი ჩაკეტილია. გასაღები მას უდევს ჯიბეში. მოკლედ, თუ ფირფიტა აქ არა გვაქვს, მაშინ... მას ლაპარაკი ჯერ არ მოემთავრებინა, რომ გრამაფონის გვერდით მჯდომმა ჩახმა გამოსძახა:

— ფირფიტა აქ არის.

— აქ არის? — ჰკითხა ჰანს კასტორპმა.

დიახ, აქ არის, მარგარიტა, ვალენტინის ვედრება. ინებეთ, იგი შემთხვევით მოხვედრილა მსუბუქი მუსიკის ალბომში, წესით კი მისი ადგილი მეორე ნომერ, არიების მწვანე ალბომში უნდა ყოფილიყო. დიახ, იგი შემთხვევით, უცნაურად, ვილაცის დაუდევრობის წყალობით, ჩვენდა [illegible] ალმოჩნდა მხიარულ სიმღერებში და ისლა დაგვრჩენოდა დაგვეკრა.

ჰანს კასტორპმა რაღა თქვა? მას არაფერი უთქვამს, ეს დოქტორმა თქვა, მით უკეთესია, და ბევრმა აუბა მხარი. ნემსმა დაიზუზუნა, სახურავი დაიბურა და ქორალივით აჟღერდა ვაჟკაცური ხმა: „უნდა განვშორდე...“

ლაპარაკი შეწყდა. ყველანი სმენად იქცნენ. ელიმ სიმღერის დაწყებისთანავე განაახლა მუშაობა. იგი მაღლა იწევდა, ცახცახებდა, გმინავდა, რაღაცას ტუმბავდა და სველ, გალიპულ თითებს შუბლზე ისვამდა, ფირფიტა ბრუნავდა. დაიწყო შუა ნაწილი, რიტმი უეცრად შეიცვალა, ეს იყო ბრძოლისა და საფრთხის მაუწყებელი, ომახიანი, ღვთისმოსავი, ფრანგული სულით გაჟღენთილი ნაწილი. იგი ჩათავდა და აჟღერდა ფინალი, ორკესტრმა დასაწყისის რეპრიზა გააძლიერა და მძლავრად გაისმა:

„უზენაესო, შეისმინე ვედრება ჩემი...“

ჰანს კასტორპს ელი გაუხდა მისახედი. იგი წელში გაიზნიქა, კრუნჩხვისგან შევიწროებული ყელით ძლივს ჩაისუნთქა ჰაერი, მერე ერთი გრძლად ამოიხვნეშა, მიილუშა და ადარც განძრეულა. ჰანს კასტორპი მზრუნველად დაიხარა მისკენ და ამ დროს გაიგონა შტორის წრიპინა ხმა:

— ციმ-სენ!..

ჰანს კასტორპი წელში ველარ გაიმართა. პირში მწარე გემო იგრძნო. გაიგონა, როგორ ცივად გამოეპასუხა შტორს სხვა, ბოხი ხმა:

— მე მას დიდი ხანია ვხედავ.

ფირფიტა დამთავრდა, გაიჯმიანა ჩასაბერი ინსტრუმენტების უკანასკნელმა აკორდმა, მაგრამ აპარატი არავის გაუჩერებია. სიჩუმეში დისკოზე ფუჭად ტრიალებდა ნემსი და ფირფიტას ფხაჭნიდა. ჰანს კასტორპმა თავი ასწია და ძებნა არ დასჭირვებიათ, თვალებმა თავისით მონახეს სწორი გზა.

ოთახში მყოფთა რიცხვი ერთით გაზრდილიყო. იქ, საზოგადოებისგან მოშორებით, უკანა პლანზე, სადაც წითელი შუქის ანარეკლი თითქმის ღამეში იკარგებოდა, ისე რომ თვალი თითქმის ველარაფერს არჩევდა, საწერი მაგიდის ფართო გვერდსა და თეჯირს შუა, ოთახისკენ პირშექცეულ, პაციენტებისთვის განკუთვნილ სკამზე, იქ, სადაც შესვენებისას ელი იჯდა, იჯდა იოახიმი. ეს იოახიმი იყო, ჩაცვენილი ლოყებითა და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში წამოზრდილი მეომრული წვერით, წვერებში მსხვილი, ამაყად მოხაზული ტუჩები რომ მოუჩანდა. იგი სავარძლის საზურგეს მიყრდნობოდა და ფეხი ფეხზე გადაედო. თავსაბურავი სახეს უჩრდილავდა, მაგრამ მის გაცრეცილ სახეზე ამოიცნობდით ტანჯვის კვალსაც და იმ სერიოზულ და მკაცრ გამომეტყველებასაც, მის სახეს ოდესღაც ვაჟკაცურ სილამაზეს რომ ანიჭებდა. შუბლზე, თვალებშუა, ორი ნაოჭი აჩნდა, თვალები ფოსოებში ღრმად ჩასცვივნოდა, მაგრამ მის მშვენიერ, ფართო, შავ თვალებს ნაზი გამომეტყველება მაინც შერჩენოდა და ეს წყნარი, ალერსიანი და გამომცდელი მზერა ჰანს კასტორპისაკენ, მხოლოდ მისკენ მიემართა. მისი ოდინდელი სადარდებელი, განზე გამდგარი ყურები,

უცხაური, გაურკვეველი მოყვანილობის თავსაბურავის ქვემოდანაც მოუჩანდა. იოახიმს სამოქალაქო ტანსაცმელი არ ეცვა; ხმალი თითქოს ზემოდან გადადებულ ფეხზე ჰქონდა მიყუდებული, ხელები ვადაში ჩაევლო და ქამარზე კიდევ რევოლვერის ბუდესავით რაღაც მოუჩანდა. მაგრამ მისი ტანსაცმელი სამხედრო ფორმასაც არ ჰგავდა. ზედ არც არაფერი უბრწყინავდა და არც რაიმე ფერადი შეიმჩნეოდა, ხალათს ქურთუკისებური საყელო და ჩაჭრილი ჯიბეები ჰქონდა და სადღაც ქვევით ებნია ჯვარი. იოახიმს ფეხები წვრილი მოუჩანდა, ტერფები კი უზარმაზარი. წვივებზე ტოლაღები ჰქონდა დახვეული, მაგრამ ისინი სპორტულს უფრო წააგავდა, ვიდრე ჯარისკაცურს. ეს თავსარქმელი რაღა იყო? გეგონებოდათ, იოახიმს თავზე საველე ჭურჭელი, კარდალა ჩამოუცვამს და ნიკაპქვეშ ზონრით დაუმაგრებიათ. მიუხედავად ამისა, ამ თავსარქმელს ძველებური, მეომრული იერი ჰქონდა, ლანდსკნეხტების მუზარადს მიაგავდა და იოახიმსაც რატომღაც საოცრად უხდებოდა.

ჰანს კასტორპი ხელებზე ელენ ბრანდის სუნთქვას გრძნობდა, გვერდიდან კი კლეეფელდის აჩქარებული ქოშინი ესმოდა. სხვა არაფერი, მხოლოდ ჩამთავრებული ფირფიტა ბრუნავდა და ნემსის ქვეშ ზუზუნი გაუდიოდა. ფირფიტის გამჩერებელი კი არავინ იყო. ჰანს კასტორპი თავის კომპანიის არც ერთ წევრს არ უყურებდა, მათი დანახვაც არ უნდოდა. მის მუხლებზე დასვენებულ თავსა და ხელებს ზემოთ, მთელი ტანით წინ გადახრილიყო, მოწითალო სიბნელეში იცქირებოდა და საკარძელში მჯდომ სტუმარს თვალს არ აცილებდა. ერთი წუთით მოეჩვენა, რომ საცაა გული აერეოდა. ყელში რაღაც უჭერდა და ქვითინი ახრჩობდა. „მაპატიე!“ — წაიჩურჩულა მან; შემდეგ თვალები ცრემლმა დაუბურა და აღარაფერი დაუნახავს.

ჩურჩული გაიგონა: „დაელაპარაკეთ!“ მერე მოესმა დოქტორ კროკოვსკის ბარიტონი, რომელმაც საზეიმოდ და მხიარულად წარმოთქვა მისი სახელი და გვარი მოწოდება გაუმეორა. თანხმობის ნაცვლად მან ელის სახეს ხელები გამოაცალა და ფეხზე წამოდგა.

დოქტორმა კროკოვსკიმ ისევ დაიძახა მისი სახელი და ამჯერად ხმაში სიმკაცრე და მუქარა გამოურია. მაგრამ ჰანს კასტორპი რამდენიმე ნაბიჯით შემოსასვლელი კარის საფეხურებთან გაჩნდა და თეთრი შუქის მანჭვილი სწრაფად გადაატრიალა.

მძიმე შოკში ჩავარდნილი ბრანდი კლეეფელდის მკლავებში ცახცახებდა. ის საკარძელი ცარიელი იყო.

კროკოვსკი ფეხზე იდგა და ჰანს კასტორპს უჯავრდებოდა. ჰანს კასტორპი სულ ახლოს მივიდა მასთან. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ სიტყვის თქმა ვერ შეძლო. მხოლოდ მწყრალად გაიქნია თავი და ხელი გაიშვირა. გასაღები მისცეს თუ არა, დოქტორს სახეში შეხედა, თავი რამდენჯერმე მუქარით დაუქნია, ქუსლებზე შემოტრიალდა და ოთახიდან გავიდა.

□

მიხაილ ლერმონტოვი

ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა **ოთარ შალამბერიძემ**

* * *

წინასწარმხილველს ნუ დასცინი შენ ჩემს გულისთქმას.
ასეც ვიცოდი — ბედისწერა ბედს არ შემყრიდა;
ისიც, რომ თავი დაბანგული სიყვარულისგან
დაეშვებოდა ტანჯვის კუნძზე შენი მკერდიდან.
უცხოა ჩემთვის სიამეც და დიდების სხივიც,
გითხარი კიდეც, —
როგორ დამცემს ჟამი განკითხვის,
მტრობა კი მარჯვედ აიფარებს მლიქვნელის ღიმილს
და ჯერ უმწიფარ ჩემს გენიას ლაფით გათითხნის.

ასე უკვალოდ ჩავაკვდე იქნებ
აუსრულებელ იმედებს ხელში;

მაინც უშიშრად ველოდები ნაადრევ სიკვდილს,
ისედაც უცხო სამყაროსკენ მიმიწევს გემი!..
დე, ფეხით შედგეს უბირი ბრბო პოეტის გვირგვინს,
არ მენაღვლება, ეკლესიაა რამეთუ იგი!..
დე, ფეხით შედგეს!
მას არასდროს არ ვცემდი პატივს.

სიმღერა

არ ვიცი სწორედ, ზაკვის მსხვერპლი ვიყავი განა,
ალარც ის ვიცი, თუ მაყრიდი სიცილს ფარულად;
რაც მართალია, მართალია — მიყვარდი თავად,
კვალიც დატოვა იმ სიყვარულმა.
გაფიცებ ზეცას და ყველაფერს კიდითი-კიდე,
არ უწერია ხელმეორედ ახდენა რასაც;
ბედნიერებას, ჩემთვის უცნობს, გაფიცებ კიდევ,
ეს სიყვარული მიმიჩნიო შენდობის ფასად.

II

მჯერა, ნაკლებად რომ ენდობი მდაბიურ სიტყვებს,
მაგრამ თანდათან ეს ფურცლები გაიძულებენ
ძნელად ასახსნელ ჩემს გრძნობებს მიჰყვე
და მას, უარჰყავ რაიც სრულებით.
დაგცდება ოხვრა და ეგების მოხდეს ასედაც —
სხივიერ თვალებს ცრემლის ლული დაასხდეს უხვად
სწორედ მის გამო, ვისაც აღარ ეძვირფასება
არც სხვისი სევდა, არც სხვისი მდუღვრა.

III

ველარ იხილავს უგრძნობელი ეს საუკუნე
ვერცა სურვილთა, ოცნებათა, ვერცა ნაღველთა —
ბედმა მქროლავ სულს ჯეელისას რომ ჩააღვენთა, —
მას აქეთ, რაკი ყველა იმათ შენც არ უყურებ.
მაგრამ იმ დღეებს გული თუ კვლავ მიუბრუნდება,
დღეებს, ჯერ კიდევ ხსოვნაში რომ შფოთვით იძვრიან,
ისევ მოვიხვევ ტანჯვის ოლარს ღრუბლის გუნდებად,
რამეთუ სხვაფერ სიყვარული არ შემიძლია!

წმინდა ელენე

პატივის კია მარტოობის კუნძული ღირსი,
სად ზღვის ნაპირას დარდმორეული
ხშირად შორეულს იგონებდა საფრანგეთს თვისას
ნაპოლეონი.

საფლავი შენი, ო, ზღვის შვილო, ზღვებს შორის არის.
აი, სანაცვლო იმ წამებით აღსავსე დღეთა, —
ვერ მოისმინა ლაფდასხმულმა სამშობლო მხარემ
დიადი გულის საბოლოო, უძლური ფეთქვა!

დევნილი იყო, ნაღვლიანი. ბრმა ბედისწერის
და ვერაგობის შხამით ვნებული.
როგორც იცხოვრა — უწინაპროდ და უშვილძიროდ,
მოკვდა იმგვარად, თუმც ძლეული, მაინც ქებული!
ის დაიბადა შემთხვევითი ბედის თამაშით,
მაგრამ გრგვინავდა, ვით ზღვაური ტალღებნაცემი;
ო, ყველაფერი საიდუმლოდ შენივთდა მასში —
დღე აღზევების და დღე დაცემის!

ცა და ვარსკვლავები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმენდილია ცარგვალი მწუხრის
და კამკამებენ ვარსკვლავნიც შორით,
ვითარცა ბავშვის ბედნიერება.
მე კი, ცთომილნო, გაფიქრებაც არ შემიძლია,
ჩემი ნასიბი შევადარო თქვენსას, ზეციურს.

რითი არა ხარ ბედნიერი,
ვიეთნი ამას მეტყვიან, ვიცი.
ო, იმითა ვარ მე უბედური,

კეთილო ხალხო, რომ იგი ცა და ვარსკვლავები
მარტო ცაა და ვარსკვლავები! — მე კი ცოდვილი!..

ადამიანებს ურთიერთ შორის
შური და მტრობა აქვთ გამართული,
მე კი პირიქით, — მხოლოდ და მხოლოდ
მშურს ვარსკვლავების შორეული მშვენიერება
და მინდა ვიყო მშვენიერი იმათებურად.

რუსული მელოდია

სულ სხვა სამყარო დავიმკვიდრე ჩემს გონებაში,
ყოფიერების სულ სხვანაირ სახეთა ქორო;
მერე ისინი გადავაბი ერთმანეთს ჯაჭვით,
განა — სახელი, მივანიჭე იერი მხოლოდ.
იჩქითად სივრცე საზარელმა ქუხილმა გასჭრა
და ყალბ ქმნილებას სამუდამოდ მოელო ბოლო.

2

აგრე, დარდიმანდ დუნდგოს წინაშე
ხალხურ საკრავზე გულდანდობილი
ზის მომღერალი მორთხმით ჩრდილნარში
მოუსყიდავი და კმაყოფილი.

3

პა, მომღერალმა მოიღერა უეცრად ყელი
გულით საყვარელ ბანოვანის პატივსაცემად.
მკვეთრმა ხმამ სიმებს წამისყოფით დარია ხელი,
ეს კი, დიახაც, მუსიკობის იყო დაწყება,
რომლის დასასრულს ჩვენ, ყველანი,

ამაოდ ველით!..

ვარსკვლავი

ცად ვარსკვლავი თითქოს
ფარნით ხელში დადის...
ჩემს გონებას იპყრობს
მისი შარავანდი.
ოცნებები წმინდა
იხიბლება მაღლით,
მოკამკამე ციდან
ზღვა სიამეს მაღვრის.
ამნაირი გახლდათ

ის სათუთი მზერაც,
მე რომ შემიყვარდა
და ჩემს ბედისწერას.
ის ჩემს ფარულ ტკივილს
უშველიდა განა? –
ისიც ვარსკვლავივით
შორი იყო მარად.
მისი მზერა მენთო
ძილდაკარგულ თვალზე
და მეც უიმედოდ
ვუცქეროდი ასე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების თასი

1

ჩვენ ცხოვრების სასმურიდან
ვსვავთ და ვნაბავთ თვალებს;
ცრემლი ქობავს თასის კიდეს,
ჩვენი ცრემლი მწარე.

2

სიკვდილის წინ, თავში ცემა
როცა არას გვარგებს,
დავიწყებას მიეცემა,
რაც გვხიბლავდა ადრე, –

3

მაშინ ვიგრძნობთ – ოქროს თასი
ცარიელი გახლდათ,
და ოცნებაც, შიგ რომ ესხა,
ხვედრი იყო სხვათა.

□

ენ ვეტვეა

მონუმენტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

ესტონურიდან თარგმნა **ამირან ქალაძემ**

მისი უდიდებულესობის ტყეებში, სეირნობისას ნადირის სავალ ბილიკებზე მახეებს ვაგებდი, ხოლო ტბის სანაპიროზე ნებივრობის ჟამს წყალში ანკესებს ვისროდი.

ა. დიუმა „სამი მუშკეტერი"

1

სიგარეტს მოვუკიდე, სავარძელში მოხერხებულად ჩავეფლე და ასე ნეტარებით მისვენებულმა თვალები მივლულე. მგონი, ხმამაღლაც ჩავილაპარაკე:

„და სძლია იელოვამ იაკობს და აღაპყრნა იგი სხვათა თავსა ზედა. დიდება შენდა ყოვლისშემძლე იელოვა! ამინ!..."

სიგარეტმა სასიამოვნოდ გამაბრუა, რადგან აგერ უკვე ორი საათია, სანამ ოთახში იატაკის მხეხავები ჩალიჩობდნენ, მე ბავშვური ჟინიანობით ვიკავებდი თავს მოწევისაგან. იმთავითვე გადავწყვიტე, რომ ჩემს ახალ ბინაში მხოლოდ მარტო დარჩენილს ჩამეყოლებინა გემო პირველი ნაფაზისათვის. ჰოდა, აკი ასეც მოვიქეცი.

ტორშერი გამოვრთე. ქუჩიდან შემოსული რეკლამის შუქი ფანჯრის ფარდებს ელაციცებოდა და ხან წითელლვინისფრად, ხანაც მწვანევაშლისფრად ანათებდა. ბოლოს და ბოლოს რა ამ ფერების ბრალია, თუ ახლა ისინი არცთუ ისე პოეტურ მიზანს ემსახურებიან და ჩვენ, უკაცრავად და, ჩიტირეკიებს, დაჟინებით მოგვიწოდებენ, რათა გონს მოვუხმოთ და ფული შევინახოთ შემნახველ სალაროში!

ქვემოდან, თითქოს ნატვრაზეო, ხმადაბალი საცეკვაო მუსიკა მოისმოდა... თრთოდნენ საფორტეპიანო აკორდების მსუბუქი ჰორიზონტები! არ ვიცი, სიზარმაცით მოსდიოდა და არ ვიცი დაღლილი იყო — საქსაფონისტი ცნობილი ვალსის მელოდიას უხალისოდ, ჩახრინწული ხმით ადუდუნებდა. ჭერისკენ დაძრული კვამლის რგოლები სალამოს ბინდბუნდში ირეოდნენ წითელლვინისფრად... მწვანევაშლისფრად... ფერთა ლიცლიცს მილულული თვალებით ვჭვრეტდი და სწორედ რომ ბუხრის პირას მთვლემარე კატასავით ვნებივრობდი. არა, ღმერ-

თმანი, დასანანია, რომ ამქვეყნიურ სიამოვნებათა სრულიად განსაცდელად ჩემი შორეული წინაპრები საერთოდ არ იცნობდნენ კრუტუნის ხელოვნებას.

დიახ, გამოდის, რომ მე, ასე თუ ისე, მაინც მივაღწიე რაღაცას. შესარჩევი ტურები დასრულდა. დასრულდა წარმატებით! ყოველ შემთხვევაში, ახლა ყველა უფლება მაქვს უზრუნველად წამოვკოტრიალდე და ბმამდლეს ვანვაცხადო: მშვიდობით, ჩემო სტუდენტურო ცხოვრებავ, საერთო საცხოვრებლის ფეხმორღვეულო და ჭრაჭუნა საწოლებო! მშვიდობით, დახრუკულო ტაფის სუნო! მშვიდობით, საერთო ხელსაბანო და სტუდენტურო ღრიანცელო... შენც კარგად მეყოლე, ჩემო სამსაწოლიანო საასპირანტურო ოთახო და იაფფასიანო კარტოფილის პიურევ!

ო, რა საყვარელნი ხართ!... ოღონდ მოსაგონებლად, ოღონდ შორიდან, ჩემო ძვირფასებო... დღეიდან ჩემი ცხოვრება იღებს ახალ სტარტს „ნაცად ოსტატებთან" საასპარეზოდ... ხოლო სასტარტო იმედები იმდენად ნათელია, რომ ძნელია მათი გამომზეურების ცდუნებას გაუძლოს კაცმა!

ვარ ოცდაათი წლის (არადა, რაც არ უნდა დამაკვირდეთ, ჰა და ჰა, ოცდახუთისა თუ მეთქმის)

ვარ დიპლომიანი მოქანდაკე... და რაც მთავარია, არქიტექტურის კანდიდატის წოდებით!

უკვე სამი წელია ვარ პარტიის წევრი...

ვცხოვრობ აი აქ, მხატვართა ახალაშენებულ სახლში.

და მადლობა ღმერთს! — ვარ უცოლო.

ახლა კი უფრო მთავარზე გადავიდეთ: თქვენ ხომ არ გგონიათ, მე აქ იმიტომ დავბინავდი, რომ დილიდან საღამომდე ფერად-ფერადი რგოლები ვაბურაქო? არავითარ შემთხვევაში! ამ კედლებში უნდა დაიწყოს ჩემი ახალი ცხოვრება და მოღვაწეობა! დიახ, სწორედ აქ, აღორძინების ეპოქის ამაღლებულ სტილს თუ მოვიშველიებთ, ფრიად პატიეცემული სტუმრები — **პატივი** და **დიდება** უნდა გვეახლონ!

ჰმ! „ნაცად ოსტატებთან ასპარეზობა..." „ფრიად პატივცემული სტუმრები"... როგორია, ჰა? შეიძლება ახლა, ამ წუთში, ყველაფერი ეს უსუსურადაც კი ეღერდეს, მაგრამ თვალშეუდგამ მწვერვალიდან რომ გადაიხედავ, უმალ ილიოტურად ლურჯი სურვილი გებადება, რათა დაიყვირო: „ოდეს ღრუბელთა სიმაღლიდან გავყურებ არეს..." და ა. შ.

სახეზე უთუოდ ღიმილი დამთამაშებდა, როცა დღევანდელ გადმობარგებასთან დაკავშირებული აურზაურის შემდეგ დაღლილობამ თავისი გაიტანა და ჩამეძინა.

თვალი რომ გავახილე, კარგა მაგრად ბნელოდა. საათის ფოსფორიანი ისრები ულვაშებივით გადაბრეხილიყვნენ, ანუ თერთმეტის ათი წუთის საკადრისად განლაგებულიყვნენ. სინათლე ჩავრთე და ოთახი კიდევ ერთხელ შევათვალიერე. ერიჰა! ჯერ სადა ხარ... ყველაფერი-ყველაფერი და ახალი ავეჯის შეძენა უბრალოდ აუცილებელია!

კედლიდან ფრაგონარის* „თავადის ასული" მითვალთვალებდა. მის დანახვაზე ტანში თბილმა ჟრუანტელმა დამიარა და კარგი ვქენი, თან რომ წამოვიღე-მეთქი, გავიფიქრე. იქ, საერთო საცხოვრებლის ღრიანცელში ჩემზე უფ-

* ფრაგონარი — ფრანგი მხატვარი (1768-1830).

რო, რა თქმა უნდა, ამ გალელ ასულს უჭირდა გაძლება. როკოკოს მინაზებულ სტილში შესრულებული მისი ბუდუარული პორტრეტი მერამ ჩემს თავთით ეკიდა. არადა, ამ რეპროდუქციის გადამკიდე, ვინ მოთვლის, რამდენჯერ გავმხდარვარ დაცინვისა და ჭირჭილის ობიექტი... აცვენილ-ახალგაზრდა მხატვრებს ვერაფრით ვერ გაეგოთ, თუ მე, ასე თუ ისე ნორმალურ ტიპს, რით მაჯადოებდნენ ეს მაქმანები... მათ საწოლებთან მეტწილად შავი და წითელი ფერების მჭევრმეტყველურ ნაზავში აყირავებული გალაქტიკები ინგრეოდნენ, უფრო ხშირად კი იმგვარი ვნებათაღელვანი ბობოქრობდნენ, ახალგაზრდა პოეტების თავისუფალ ლექსებში რომ ვხვდებით... ამგვარი სურათებით ხანდახან ვერთობი კიდეც. მართალია, ისინი ბაზრის ქოთქოთა ბებრუხუნებივით გაბეზრებენ თავს (რაც ჩვეულებრივად ახალგაზრდებს აფრთხობს), მაგრამ საკმარისია მცირეოდენი მოთმინებით აღიჭურვო და უმალ თავისთავად დაცხრებიან, ბობოქრობას შეწყვეტენ, საკმაოდ სულელურად დადუმდებიან... ეს ჩემი „თავადის ასული“ კი ბევრად უფრო ეშმაკუნა ვინმე გახლავთ: მის ლიმილში ერთი შეხედვით გულღია კეკლუცობა კი გამოსჭვივის, მაგრამ იმის მიღმა იმდენი რალაცეებია!.. მოითმინეთ, ყმაწვილო, მოითმინეთ! ახალგაზრდა საბჭოთა მხატვრის როკოკოთი აგრერიგად გატაცება ხომ, რბილად რომ ვთქვათ, მეტად უცნაურია! არა, რაც მართალია, მართალია, ამ დღეებში მშობლიურ—ჩრდილოურ სტილში შესრულებული რამდენიმე სურათიც უნდა დაიკიდოს კედელზე. თავი და თავი მაინც პირქუში გულწრფელობაა!

სრულიად მოულოდნელად გამახსენდა, რომ ჯერაც არ მივახშმია. სასწრაფოდ წამოვდექი და იმის იმედით, რომ სადმე წახემსებას კიდევ მოვასწრებდი, ტანზე გადავიცვი.

ძველი ტალინის დაბინდულ ქუჩებს მივუყვებოდი და ცოტა არ იყოს უცნაური გრძნობები მეუფლებოდა. მე ხომ ემოციათა გონივრულად ხარჯვის მიზნით ჯერ კიდევ როდის გადავწყვიტე თავიდან ამომეგდო და გადამეტებული მნიშვნელობა არ მიმენიჭებინა რაციონალიზმის ეპოქისათვის შეუფერებელი იმ უსარგებლო ცნებისათვის, რომელიც „მშობლიური ქალაქი“. და მიუხედავად ამისა მაინც ძირტკბილას სუნდაკრული შეგრძნება მეუფლებოდა ძეშეცდომილისა... რაც იქნება, იქნება! თუ სენტიმენტალობაა, სენტიმენტალობა იყოს — გავიფიქრე მე და მშობლიური ზღვიდან მონაბერი ჰაერი ხარბად შევისუნთქე.

მოსკოვში გატარებული ბოლო შვიდი წლის შემდეგ ტალინის გვიანდროინდელი ტლანქი გოთიკა, რომელსაც ერთ დროს უსუსურ ცინიზმს არ ვაკლებდი, ახლა ისევ საყვარლად და მიმზიდველად გამოიყურებოდა.. .ეს ძველთაძველი, ხორკლიანი კედლები რალაც სათუთსა და ნაზს მაგონებდნენ, ლირიული განწყობილებით მავსებდნენ... რატომღაც ბეტი ალვერის* ლექსი მომაგონდა, რომელშიც ვირის მერხის უკან ეშმაკი ზის და გაბურძგნულ წვერებზე თივამიყრილს ხელში შავი ლაქებით გათხვრილი ქაღალდი უჭირავს.

„გლორიას“ კარებზე აბრა გამოეკრათ. „თავისუფალი ადგილი არ არის!“ მკაცრად გვაუწყებდა წარწერა. კიბეზე სამი ნირწამხდარი ბიჭი იდგა. ბიჭები სწორედ იმ ასაკისანი ჩანდნენ, როცა თავს დაკაცებულად თვლიან, თუნდაც იმიტომ, რომ ამაზე საერთოდ აღარ ფიქრობენ (შენიშვნა: ვინ იცის, იქნებ

* ბეტი ალვერი — ესტონელი პოეტი ქალი.

ამ ფრაზაში სიბერის საწინააღმდეგო რეცეპტიც იმალებოდეს!). რესტორნის კარებზე გამოკრულ აბრას ბიჭები, რა თქმა უნდა, შორიდანვე შეამჩნევდნენ, მაგრამ უთუოდ იხტიბარი არ გაიტეხეს და ისეთი სიფათები მიიღეს, თითქოს ეს გაფრთხილება მათ გარდა ყველას ეხებოდა. ინსტინქტებს მიბღალული ბიჭები ციხე-სიმაგრის შემინულ კარებს ფორსირებული მარშით კი უტევდნენ, მაგრამ სწორედ რესტორნის კარი გახლავთ ის შეუცნობელი წინააღმდეგობა, რომლის წინაშეც ნიუტონის კანონი მასის, სიჩქარისა და ძალის შესახებ ერთბაშად წყვეტს ხოლმე თავის მოქმედებას!

ფიქრში წასულმა ნაბიჯი შევანელე, დღეს ხომ შაბათია, მაშასადამე, ყველგან ასეთი აბრები ექნებათ გამოკრული... სხვა გზა არ იყო, საუწრაფოდ თავდაჯერებული კაცის გამომეტყველება უნდა მიმეღო, რათა ბიჭების წინ მშვიდად გამევლო.

— თქვენ უკვე გელოდებიან! — მომახსენა კარისკაცმა და კარი თავაზიანად გამიღო.

მოყურადებული ბიჭები კიბეზე დაეშვნენ და ღამის ბინდში გაუჩინარდნენ. ამ მოტყუებულ სამეულთან ერთად, რატომღაც საკუთარი თავიც შემეცოდა.

იმათ თუ უარი სტკიცეს, მე რად გამიშვეს? არა, აქ მარტო ტანსაცმელში როდია საქმე. კარისკაცი იმასაც ხომ უნდა მიხვდარიყო, რომ მაინცდამაინც „გლორიაში" დასათრობად თავგამოდებული ამ ლაწირაკებისაგან უფრო მეტ გადასაკვრელ ფულს მიიღებდა, ვიდრე ჩემგან. და მაინც... ეტყობა, სწორედ წითელ-მწვანე ფერთა ლაციცმა და სავარძელში ნებივრობამ დამმუხტა იმგვარი ენერგიით, რომლის წინაშეც მთელი მსოფლიოს კარისკაცები დაჰყრიდნენ ფარ-ხმალს.

დაკვირვებული ვარ — კარისკაცებთან ურთიერთობისას წმინდაწყლის იდეალისტი ვხდები ხოლმე. ჩემი ღრმა რწმენით ისინი სრულიად განსაკუთრებულ მეექვსე გრძნობას უნდა ფლობდნენ! ხანდახან კი ასეთი რამეებიც მეჩვენება: აი, თითქოს მე იმ უზარმაზარ მაგიდას ვუზივარ, სადაც საყოველთაო განკითხვის დღე უნდა დაინიშნოს... ხოლო ღვინით გატიალებული არბიტრი უბრალო კარისკაცის კი არა — ყოვლად უზენაესის თვალებით შემომყურებს! ჰოდა, რა გზა გვაქვს — მისი უნეტარესობის თანდასწრებით იმ თავდაცვითი ტირადების ამაოებაშიც ვრწმუნდებით, რაშიც ასე მაგრად გვეგონა საკუთარი პერსონა გამოქექილი. ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ჩვეულებრივად უამრავი დრო მიაქვს ზეციურ სამართალმცოდნეობაში! ვიმედოვნებ, უზენაესი არსთაგამრიგე მსგავს მოსაზრებებს ერეტიკოსობაში არ ჩამოგვართმევს, რამეთუ მისივე ალიკვალი მიწიერი განმგებელნიც არ იწვევენ ჩემში მაინცდამაინც დიდ აღფრთოვანებას.

რესტორანში ორი მაგიდა აღმოჩნდა თავისუფალი. რატომღაც ისევ წითელ-მწვანე კვამლის რგოლები გამახსენდა... ისევ ღიმილგარეული ფიქრი მიკვადევნე მოგონებას: **„და ცეცხლოვანი ახოებით მივაწერდი ცის კაბადონზე: დაჰმორჩილდი, მოკვდავო, შენის წარმავალის დიდებითა რესტორნისა კარსა!"**

ცხარე საჭმელებზე თავის არიდების მიზნით „კიევური" ქათმის კატლეტი ჰოვატანინე და გემრიელად გეახელით. მერე კი ყავაც შევუკვეთე. მაინც არსად არ მეჩქარებოდა და ვიფიქრე, თვალს წყალს დავალევინებ-მეთქი.

რა დასაძალია და ჩვენ მართლაც ლაზათიანად გვეხერხება ხოლმე რეს-

ტორნების მოწყობა. მარტო კედელზე მიხატული მუსიკოსები, რად ღირს — არქაული და ულტრათანამედროვე ინსტრუმენტების შეხმატკბილებით მშვენიერ რუნებს* რომ აღუღუნებენ. არადა, მათი დაელმებული თვალები იმასაც მეტყველებენ, რომ არც ესენი უნდა ღალატობდნენ ძველ ტრადიციებს ხშირ-ხშირად გადაკვრის დარგში, და ფრიად საეჭვოა: ეს ტრადიცია რამემ შეცვალოს... ამ მხრივ ჩვენ გამოუსწორებელი კონსერვატორები ვართ!

ჩემი ყურადღება იმ გრძელმა მაგიდამ მიიპყრო, რომელსაც მხოლოდ ქალები უსხდნენ, მგონი, რომელიღაც დაწესებულების იუბილეს აღნიშნავდნენ. დროგამოშვებით ქალებს გვარიანად შეზარხოშებული კაცები ეახლებოდნენ და შეძლებისდაგვარად მოწესრიგებულნი საცეკვაოდ იწვევდნენ. მობარბაცეთა თვალთვალში მშვენივრად ვერთობოდი... დიახ, ტემპერამენტისა და ნაკითხობის შესაფერის პოზაში დაჭერილ სახის ნაკვთებს უნდა წარმოეჩინა ახლა ამათი მამაკაცური მომხიბვლელობა. ჩემი აზრით, ქალები, რომლებიც მამაკაცებს საკუთარი გარეგნობისადმი გულგრილობაში გვდებენ ბრალს, საკმარისია ახლა ამ მობარბაცე ჯენტლმენებს დაკვირვებოდნენ და თავიანთ ბრალდებას, ღმერთმანი, უკანვე წაიღებდნენ.

თანამეინახე ქალთა ნახევარზე მეტი სახით ჩემკენ იჯდა. უმრავლესობას შუა ასაკის ფინიშამდე მიეღწია. მათი ჩაცმულობა და უალკოჰოლო მხიარულება კი იმის ნიშანი იყო, რომ ესენი სავსებით ზნეკეთილი მეოჯახე ქალები იყვნენ.

(ამათი ჭორაობა ხვალ უნდა გენახა: „მაგარი დრო გავატარეთ გუშინ, ჰაჰ! ყველაფერი გადასარევად მიდიოდა, ბოლოში რომ კ-ს არ აერია!...)

მხოლოდ სამნი გამოიყურებოდნენ ახალგაზრდულად. ერთმანეთის გვერდით ჩამომსხდარი ეს ქალიშვილები საოცრად არ ჰგავდნენ ერთმანეთს. ერთერთ მათგანს მხოლოდ ცეკვებს შორის თუ მოჰკრავდი თვალს. ეს იყო მკვირცხლი, ლამაზი, შავგვრემანობის წყალობით ოდნავ მოიტალიურო ტიპი, რომელმაც თავისი გარეგნობის ყველა სიკეთე, რა თქმა უნდა, ხუთი თითივით იცოდა. ამნაირ ქალებზე რესტორნებში ჩვეულებრივად „დიდი მოთხოვნილებაა". ცეკვებს არც მეორე იკლებდა. აი, ის, მარჯვნივ რომ იჯდა, ეს იყო ქერათმიანი, სიმონა სინიორეს მიხვრა-მოხვრის ქალიშვილი, რომელსაც სახეზე ხაზგასმული თავშეკავება აღბეჭდვოდა. ლილისფრად ამოღებილი მისი ქუთუთოები განსაკუთრებით ოფიცრებს ატყვევებდა. ცეკვის დროს იგი მოხერხებულად კი აეკვრებოდა პარტნიორს, მაგრამ მისი თვალები საღღაც შორს, დასაკარგავში იყურებოდნენ... და იყო ამაში რაღაც ტიპიური.

ჩემი ყველაზე დიდი დაკვირვების ობიექტი მათ შორის ჩამჯდარი ქალიშვილი გახლდათ. ეს გაწრიპული გოგო დიდი-დიდი თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა.

პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს მისი ამაღელვებლად კუდაბრეხილი კიკინები და ტანზე გემოვნებით მორგებული კაბა იყო. მაგრამ ჯერ თურმე სად ვიყავი! მერე და მერე იმასაც ჩავხვდი, რომ ჩემ წინაშე ყოვლად გამოუსწორებელი კაცთმოძულე იჯდა... მართლა, მართლა! არადა, მართლაც გული დაგწყდებოდათ, რომ მისი ბავშვური სახე, რომელსაც ხიზლის გამოსახატავად

* რუნები — ესტონურ-ფინური ხალხური სიმღერები ალიტერაციული ლექსით.

არც ერთი ნაკვთი არ ემორჩილებოდა, მაინცდამაინც საამისოდ ირჯებოდა. ამ გოგოს დაუნდობლად განმკითხველ თვალთაგან ახლა მთელი რესტორანი იყო მსჯავრდადებული! მისი რისხვა იფრქვეოდა ირგვლივ, ვერტიკალურად, ჰორიზონტალურად... ეს ფილაცაა მაგარი ვინმე დადგება! ადვილი შესაძლებელია სულაც კოსმონავტი გახდეს!.. აი, მომავალმა კოსმონავტმა უკვე მენაშენედ სტაცა უარი ეგოისტ, ლაზღანდარა, მოდებილო და მდუღარე კუპრში ამოსაწყვეტ კაცებს! მობარბაცე ჯენტლმენებმაც სწორი დასკვნები გამოიტანეს, სათოფეზე აღარ ეკარებოდნენ და ეს ახალგამოჩეკილი ბრალმდებელი უკვე მოთმინებადაკარგული ელოდა ახალ მსხვერპლს. თქვენ წარმოიდგინეთ, ერთიორჯერ მეც კი გამომხედა. ეტყობა, მიხვდა, რომ აწ არავინ თხოვდა, მეცეკვეო. კაცების მოსაგერიებელ, ზიზღში ნალეს იარაღს უმოქმედობისაგან ჟანგი ეკიდებოდა.

ამ ქორფა დიანასთან ცეკვაში ახლა რას არ მივცემდი! წარმოდგენილი მაქვს, როგორ აქღურტულდებოდა... თუმცა ცდებისა და უპერსპექტივო ილუზიების დრო სადღა მქონდა! ავდექი და ისევ მისი ქერათმიანი მეზობელი გავიწვიე საცეკვაოდ.

ადამიანების შორიდან შეფასება რა ადვილია, არა? მე ხომ სტუდენტური წლები საკმაოდ ასკეტურად გავატარე... ხოლო ის პატარ-პატარა „ცოდვები", როცა შურით დამწვარი ბიჭები ოთახს მითმობდნენ, თვითონ კი ერთ ლოგინზე იძინებდნენ, აქ რა მოსატანია! მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი მარტოხელა გავხდი, სხვადასხვა მიწიერ პირობითობათა შორის, ჩემმა სულიერ-არისტოკრატულმა თავშეკავებამაც მოგჭამა ჭირი.

ჩემი აზრით დიდი ცოდვაა კაცების ბუნებრივ ინსტინქტებს უბრალოდ პრიმიტიულს ვუწოდებდეთ! ქერათმიანი პარტნიორი პირველივე ცეკვის შემდეგ საოცრად ინტელიგენტურ არსებად მეჩვენა. მე უკვე მასში ღრმად მიჩქმალული მრავალი ღირსების აღმოჩენაც მოვასწარი... ცეკვას ხომ ნუ იკითხავთ! — ქერათმიანი მართლაც გადასარევად ცეკვავდა. სინდიოფალასავით მწყაზარი სახის ნორჩი კაცთმოძულე, რა თქმა უნდა, დაუფარავი ზიზღით გვითვალთვალებდა, მაგრამ ახლა იმისთვის ვის ეცალა!

ახალი ბინის ჭერქვეშ შემნახველი სალაროს ნეონური ნათება და ფრაგონარის პაწაწინა რეპროდუქცია, ეტყობა, ჩემზე დოპინგივით მოქმედებდა. ყოველ შემთხვევაში, მათი გახსენებისთანავე ახალგაზრდულ ნაკრებში ახალჩარიცხული მოკრივის თავდაჯერება და სახელმოხვეჭილი კრიტიკოსის მჭევრმეტყველება მეუფლებოდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემი ქერაკულულებიანი პარტნიორი ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ახალსახლობაზე მივიპატიჟე, აჰ, არაო... როგორ შეიძლებაო... გაინაზა, რა თქმა უნდა. ორი ცეკვის შემდეგ კი მხოლოდ ორიოდე წუთით შემოვლაზე დამყაბულდა... ეტყობა ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ ვერ გამოიღო სასურველი ზნეობრივი რეზონანსი „ნორორტე ჰეალში"* დაბეჭდილმა ისეთმა სტატიებმა, როგორიცაა: „სწორად მოიქცა იმბი?" ან „რამ დააყენა ფუქსავატობის გზაზე ლეა?"

მომტანს ერთი ბოთლი „პერნო"-სა და შოკოლადის შეხვევა ვთხოვე. ამ კბილებდაკრეჭილმა ვირისთავმა, რასაკვირველია, ყველაზე ძვირიანი შემირჩია. მეც ავდექი და მაშინვე იაფფასიანი შოკოლადით შევაცვლევინე. ამით მომტან-

* ესტონური გაზეთი („ახალგაზრდობის ხმა")

სა და ქერთმიანს ერთდროულად ვაგრძნობინე, რომ გამოუსვლელ ხახოსთან არ ჰქონდათ საქმე.

დარბაზიდან გამოსულები ქალთა საზოგადოების განმაქიქებელმა მზერამ გამოგვაცილა („მაგარი დრო გავატარეთ გუშინ, ჰა? ყველაფერი გადასარევად მიდიოდა, ბოლოში რომ კ-ს არ აერია!...“)

II

ჩემი ქერაკულულებიანი სტუმარი დილის რვა საათამდე გაუჩინარდა. სხვა რა ჩარა იყო, ოთახში დარჩენილი სუნამოს მძაფრი სურნელება ხარბად შევისუნთქე, («Белая ночь» — ფლაკონი 75 კაპ.), წავრგე თავი ბალიშებში და დამატებითი მამაპაპური ძილი გამოვაცხვე.

თერთმეტის ნახევარზე გვარიანად გამოძინებული წამოვდექი. გადავწყვიტე ახალ ბინაში გათეული პირველი ღამის აღსანიშნავად დილის გამამხნევებელი ვარჯიშები შემესრულებინა. ე. ი. გამეკეთებინა ის, რასაც მე ჩვეულებრივად მეორე დღისათვის გადავდებ ხოლმე. რამდენიმე წუთის შემდგ საკუთარი ენერგიულობით აღფრთოვანებულმა აბაზანაში ნებივრობაც არ დავიკელი, რათა სადღეისო გეგმები სასიამოვნო განცხრომაში დამეწყო.

გადაწყდა! ტოონელტის ნახვას დღეს წყალი არ გაუვა. გუშინ არ იყო ამ „ფესვდამწვარმა პროფესორმა“ (ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ეგ სახელი თვითონ დაირქვა) ქუჩაში რომ შემაჩერა და აუცილებლად მესტუმრეო, მიბრძანა! რა უნდა ნეტავი? იქნებ სამუშაოც შემომთავაზოს, ა? კი ბატონო, რატომაც არა. ერთი სიტყვით, ტოონელტთან კარგი ურთიერთობა უნდა დავამყარო. ჩემთვის ასე აჯობებს. ჰმ! მოდი და ნუ გაოცდები — ამდენი ხნის შემდეგ ისევ უნდა შევხვდე იმ ცოცხალ კლასიკოსს, ვისზედაც აქ უამრავ ანეკდოტებს ჰყვებიან. უფრო სწორად, ეს იქნება ჩვენი პირველი შეხვედრა პირისპირ! აბა ის როდის იყო, — მაშინ ხომ ცხვირმოუხოცავი ღლაპი ვიყავი, ტოონელტი რომ ტალინის სამხატვრო ინსტიტუტში ლექციებს მიკითხავდა პირველ კურსზე... მერე მოსკოვში წასვლის ვარიანტიც გაიჩითა (რესპუბლიკური ადგილი) და მშობლიური ქალაქიდან შვიდი წლით გავემგზავრე სასწავლებლად. სწორედ ამის გამო იყო, რომ ტოონელტს ძალზედ იშვიათად ვხვდებოდი და ისიც სამეცნიერო სესიებზე, გამოფენებზე და ა. შ. ერთი-ერთზე კი არასოდეს შევხვედრივარ. ნეტავ რა შთაბეჭდილებას მოვახდენ მასზე? უნდა ვცადო! ამ კაცზე ხომ სამომავლოდ ბევრი რამ არის დამოკიდებული... თუ საჭიროებამ მოითხოვა, იმასაც უნდა მივმართო, რასაც ზოგჯერ „პადხალიმაჟს“ ეძახიან. თანაც ისეთი კულტურული და დახვეწილი ფორმებით უნდა „ვიპადხალიმო“, რომელიც ჩვეულებრივი შემგუებლობის ჩარჩოებს არ გასცდება.

სასაცილოდ გაჩაჩხულ ფეხის თითებს ვაკვირდებოდი და შემგუებლობის პრობლემებზე ვფიქრობდი. კანტი არ იყო, რომ ამტკიცებდა, ინტელიგენტურობა სხვა არაფერია, თუ არა შემგუებლობის ნიჭიო?!... — მოდი და ნუ გაოცდები: კაცობრიობამ ხომ მრავალსაუკუნოვანი გარჯა მოანდომა მლიქვნელური შემგუებლობის დიდ ინტელექტუალურ ხელოვნებად გარდაქმნას და ახლა რა? — თავის პირმშოს ზიზღით უნდა მოეკიდოს?! ისე გამოდის, რომ გაბედულ რისკზე, ცინცხალ ფანტაზიასა და ღრმა განსწავლულობაზე დაფუძნებული ქცევის ნორმები თითქოს რამეში ჩამოუვარდებოდნენ არსებობისათვის

ჩალიჩის სხვა ფორმებს. ამ საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს ის უფრო ემარჯვებათ, კონკურენტი ძვლებიანად და საზამთრო ქურქიანად შეახრამუნონ, ვიდრე დამაჯერებელი წარმატების გასანაღდებლად შედარებით მსუბუქსა და ჰუმანურ მეთოდებს მიმართონ. მაგალითად: მოხერხებულად იმპროვიზირებულ გულაჩუყებას, ხბოს აღტაცებას, ენით გამოუთქმელი გულწრფელობის ფიზიონომიას, საკუთარი თავის გამათრახების სეანსებსა და ა. შ. არა, მართლა შტერი უნდა იყო, ადამიანური სისუსტეები რომ ვერ გამოიყენო! ბოლოს და ბოლოს კომუნიზმში კი არ ვცხოვრობთ! შემგუებლობას შეიძლება უკეთილშობილესი მიზნებიც ამოძრავებდეს! ერთი სიტყვით, შემგუებლობაა მეცნიერება, სპორტი და ხელოვნება ერთად აღებული...

თუ არ ვცდები, დაახლოებით ასე უნდა იწყებოდეს ერთი ჩემი ძველი ტრაქტატის ხელნაწერი. ჩვენ ხომ, გარკვეულ ასაკში, კაცობრიობის ჭკუათხელი ნაწილის ბეჭდვითი სიტყვით განათლებას ვისახავთ მიზნად! საკუთარი ტემპერამენტის საკადრისად ვწერთ ქალებზე (სადარბაზოში კოცნაობაზე... ხშირად ალიყურზეც, რომელიც უფრო დასამახსოვრებელია!) ანდა ასევე ბუნდოვან დროსა და სივრცეს ვაანალიზებთ, და თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით ვიგონებ იმ დროს, როცა სრულიად ხელუხლებელი თემა აღმოვაჩინე! ავდექი და მლიქვნელური შემგუებლობა რამდენიმე სახეობად დავანაწილე. თანაც ამ საქმეს სრული სერიოზულობით, ანუ პატარა ფილოსოფოსისა და დიდი ბუღალტრის პედანტურობით მივუდექი.

ამ კლასიფიკაციაში შედიოდა: პარტნიორის სისუსტეთა მოსასინჯი „ანალიტიკური შემგუებლობა", ხელსაყრელ მომენტში გამოსაყენებელი, შენი პიროვნების შეფასებაში თავგზის ამბნევი „მადეზორიენტირებელი შემგუებლობა"; ამას დავუმატოთ ე. წ. „სარკისებური შემგუებლობა", ე. ი. როცა პარტნიორს შენივე ნებით „ეხსნები", ოღონდ აგრძნობინებ, რომ ეს „გახსნა" წინასწარაა გათვლილი. ამ დროს ორ გონიერ ადამიანს საშუალება ეძლევა ღირსეულად გაუგონ ერთმანეთს; შემდეგ მოდიოდა საკუთარი პერსონის გამამხიარულებელი, ე. წ. „ესთეტიზირებული შემგუებლობა" და ბოლოს მლიქვნელური შემგუებლობის ტექნიკის სავარჯიშო. საგანგებოდ დამუშავებული „სპორტული პოდხალიმაჟი";

მთელი ეს კლასიფიკაცია, თუ არ ვცდები, ოც კატეგორიად მქონდა დაყოფილი და თვითოეულ მათგანს შესაბამისი მაგალითებით დახუნძლული ცალკე ქვეთავი ეძღვნებოდა. ახლაც თვალწინ მიდგას ტრაქტატის შემაჯამებელი სტრიქონები, რითაც იმხანად დიდ ვინმედ მომქონდა თავი:

„...ასე და ამრიგად, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შემგუებლობა გახლავთ ის პრაქტიკული, უხილავი და საიმედო იარაღი, რომელიც, ჯერ ერთი, მუდამ თქვენს ხელთაა და მეორეც — თავისი ძლევამოსილებით ბევრად აღემატება ნებისმიერ სხვა იარაღს (ბაქტეროლოგიურს, თერმობირთვულსა და სხვ). მიუხედავად იმისა, რომ ეს ფილოსოფიას სულაც არ ეხება, მაინც მინდა საბოლოო დასკვნის სახით შემოგთავაზოთ შემდეგი შეგონება: დაე, ვირტუოზ შემგუებელთაც არ დაევიწყებინოთ ეთიკა, დაე, ისინიც მხოლოდ იქითკენ ისწრაფოდნენ, რომ კიდევ უფრო ბედნიერი და ლამაზი გახდეს ცხოვრება ჩვენს პლანეტაზე!"

მაგარია, ჰა? რას იტყვით!

მახსოვს, მაშინ შემგუებლობის შესწავლის მიზნით ამოცანების შედგენა-

საც მივყავი ხელი, მაგრამ ბოლოს სიკვდილის შემდგომ დიდებას მაინც დღევანდელი კვერცხი ვარჩიე და დაუმთავრებელი ხელნაწერი საწერი მაგიდის უჯრაში ჩავმალე.

დღეს, რა თქმა უნდა, ამის გახსენება სასაცილოა, მაგრამ მაშინდელ ნაცოდვილარს ტვინის ჭყლეტად სულაც არ ვთვლი.

ახლა კი დროა თეორიებიდან პრაქტიკაზე გადავიდეთ-მეთქი, გავიფიქრე და აბაზანიდან ამოსულმა ტანსაცმელების კარადას მივაშურე, რათა ჩემი ავლადიდებისათვის კიდევ ერთხელ გადამევლო თვალი. მერე რა, რომ ჩემი გარდერობი ჯერჯერობით ღარიბულად გამოიყურება; სამაგიეროდ საპასუხისმგებლო ვიზიტებისათვის შესაფერისი შავი კოსტუმი გვაქვს! თუმცა არა, ტოონელტმა რომ ასე გამოპრანჭული დამინახოს, ნაღდად გამამასხრებს. თიხით გათხვრილი სპეცტანისამოსით რომ ვეახლო? არა, ეს ნამეტანი გამჭვირვალე სვლა იქნება — ტოონელტი უმალ უსუსურად პრიმიტიულ მლიქვნელს დაინახავს ჩემში...

მაინც შავ კოსტუმში გამოვიპრანჭე და კოხტად დაკეცილი, არცთუ ისე ქათქათა ცხვირსახოცი პიჯაკის გულის ჯიბეში ჩავიკოკრე. ორიოდე წუთის შემდეგ სარკიდან სასიძოსავით გამოპრანჭული ჯენტლმენი შემომცქეროდა. ნამეტანი დენდის შთაბეჭდილება რომ არ დამეტოვებინა და პიჯაკის სამკლავეებზე ოდნავი ნოჭები მაინც დამემჩნია, მხარმკლავის მოძრაობით სახელდახელო სეანსი ჩავიტარე. ბოლოს საკმაოდ მოძველებული ნაცრისფერი პალტო ჩავიცვი და სახლიდან გავედი. კი ბატონო, იჭირჭილოს ტოონელტმა, დამცინოს რამდენიც უნდა, იმხიარულოს... ძალიანაც კარგი! მლიქვნელობის ამგვარ კატეგორიას თავის დროზე, მგონი, „სასაჩუქრო შემგუებლობა“ დავარქვი. ერთობ ჰუმანური კატეგორიაა, ჩემმა მზემ!

უზარმაზარი მუხის კარის წინ ვიდექი და მიხაროდა, რომ, ცოტი არ იყოს, მართლაც ვდელავდი: ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ბოლოს და ბოლოს ამ კარს იქით ცხოვრობს ის კაცი, რომლის დონესაც მე ორი ათეული წლის შემდეგ თუ მივაღწიე, დიდი ვაჟკაცობა უნდა.

კარზე დავაკაკუნე.

— შემოდი, რისი გეშინია? — ეგრევე მომახალა თითქმის ორ მეტრზე აწოწილმა, სანახევროდ გახდილმა გიგანტმა. დათვივით გაბანჯგვლულ მკერდზე ოფლის მარგალიტები ასხდა, მომიახლოვდა, სავარჯიშო ორბირთულა ჭილობზე დააგორა და უზარმაზარი მარჯვენა ისე ღონივრად ჩამომართვა, გული შემიქანდა —ეს რა პაწაწინა ხელი მქონია-მეთქი. ღმერთო ჩემო, აი ნამდვილი სამსონი! რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემ წინაშე მთელი თავისი მონუმენტურობით იდგა ესტონური ჭანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

— ვვარჯიშობ ცოტ-ცოტას... არ ვნებდები სიბერეს!

ჰმ! ტოონელტი და სიბერე? ჯერ ერთი ღერი თმაც არ გათეთრებია და სამი ჩუმისთანაც ვერაფერს დააკლებს...

— საშა როგორ არის, საშა! შჩერბაკოვი... ხომ არის კენჭივით!..

პროფესორი შჩერბაკოვი კარგად ბრძანდება და... დიდ მოკითხვას გითვლით-მეთქი, ავლულლულდი მე. ასეთი აქტიური მიღებით ნირწამხდარმა მეტის თქმა ვერც მოვახერხე.

— გადასარევი კაცია საშა, მაგრამ რად გინდა! — როგორც მოქანდაკე,

ღორს რომ უყვარს იმნაირია... — თქვა და ოდნავ მომწვანო, უცნაურად მოციმციმე ბუს თვალებით (რაღაცით პანსოს* თვალებს რომ მოგაგონებდა) თავით ფეხამდე შემათვალიერა. დაფანჩულ წარბებქვეშ წამით მაცდური ღიმილისნაირი რაღაც გაუკრთა.

ჩემი კოსტუმისადმი დამოკიდებულება ტოონელტს გადაჭრულადაც არ გამოუხატავს. ერთბაშად იმის გაფიქრებამაც კი შემაკრთო, რომ ამ კაცის თვალისათვის ჩემში არაფერი არ იყო დაფარული.

— რა, არ მეთანხმებით, თუ?

რა უნდა მეპასუხა. ხმა არ დამიძრავს.

— მართალს ვამბობ, მაშ! კაცი რომ ორბირთულებით არ ივარჯიშებს, საათევზაოდ არ ივლის და თავის დღეში თოფს არ გაისვრის, ის რა მოქანდაკე უნდა იყოს! — თქვა და დათვივით გაბანჯგვლული მკერდიდან გულიანად ამოიხარხარა.

— ერთი წუთით გავალ და რამეს გადავიცვამ, თორემ, ვინ იცის, სოფლელ ტეტიადაც მომნათლოთ. აბა, ჩემს მოსვლამდე აგერ წიგნებით გაერთე, — მითხრა და კედელზე ჩამოშვებული ფარდა გადახსნა... ოო, აქ მუხის უზარმაზარი თაროები ყოფილა: ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე, იატაკიდან ჭერამდე, ირგვლივ, ყველგან... მხატვრული ალბომები, ჟურნალები, წიგნები...

— აი ეს დაათვალიერე. გუშინ ვიშოვნე! — მითხრა და მაგიდაზე სქელტანიანი ჟურნალი მოისროლა. ფრანგული ალმანახი აღმოჩნდა... და მე, კაცი, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ფრანგული ენის ცოდნას ვიკვეხნიდი, ბოლოს და ბოლოს იძულებული გავხდი გამოვმტყდარიყავი, რომ სურათებს კი ვხედავ, მაგრამ ნაწერს ვერ ვგებულობ-მეთქი...

— არა უშავს, სხვაცა მაქვს.

რამდენიმე წამიც და ჩემს ხელში იმავე ალბომის იტალიური გამოცემა აღმოჩნდა! ხმა არ გამიღია... მრავალრიცხოვან გრიფებს, სფინქსებსა და კენტავრებს დავყურებდი და ზოგი მათგანი ალბომის პატრონს მაგონებდა...

ტოონელტი ჩასაცმელად გავიდა. თქმა არ უნდა, ამით სულის მოთქმის საშუალება მომცა. საოცარი კაცია ტოონელტი! საკმარისია ერთი შემოგხედოს და თავს გასრესილ მუმლად წარმოიდგენ... ოო, ამასთან თვალთმაქცობისაგან ღმერთმა დამიფაროს! აქ ისევ სიმორცხვეგარეული საქციელი დალოცოს ღმერთმა! მე შენ გეტყვი, ამის გათამაშება დაგჭირდება, თუ რა? თანაც, რახან სტუმრების მილება მაინცდამაინც ამგვარად ეხერხება — მორცხვები ჰყვარებია და ეგ არის!

— მოდი აქ დავსხდეთ! — მომესმა ცოტა ხნის შემდეგ მეორე ოთახიდან.

მომცრო, ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში შევედი. ფანჯრებზე სქელი ფარდები ეკიდა. მაგიდაზე ძველებური წითელაბაჟურიანი ლამპა ციმციმებდა. მოჩუქურთმებულ, მაღალსაზურგიან საეარძელში ჩაფლულმა ტოონელტმა თერმოსს თავი მოხსნა და პაწაწკინტელა ფინჯნები ცხელი ყავით შეავსო. საშინაო, ლილისფერ ქურთუკში გამოწყობილი ტოონელტი ახლა ცბიერსა და ბრძენ აღმოსავლელ მბრძანებელს ჰგავდა. ოთახის მკრთალ განათებას თვალი შევაჩვიე თუ არა, კედლებზე გადმოკიდებული ფრინველთა ფიტულები შევნიშნე. ეს ყველაფერი, ერთი შეხედვით, ჯადოსნურ სამყაროს ჰგავდა: ფიტულების შუშის

* ვოლდემარ პანსო — ცნობილი ესტონელი რეჟისორი.

თვალები ისეთი იდუმალებით ციმციმებდნენ, თავს ძალად ხომ არ რმკვდარუნებენ-მეთქი, გაეიფიქრე. ვაითუ ყველაფერი მშვენივრად ესმით და ჩემი სიტყვების დამახსოვრებას ცდილობენ-მეთქი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...და ფიტულების ჩუმად თვალთვალშ
ვით მზიან დარში მეხის გავარდნა,
ო, რა საშინლად თავზარდამცემი
მეწვია ფიქრი დაუკითხავად; —
გრძნეულთა ხელით გამოშიგნულ
ამ ფრინველებში
ვაითუ კაცნი იყვნენ-მეთქი
გამომწყვდეულნი,
მაგიის ძალით
სამუდამოდ დატყვევებულნი!..

გამახსენდა სტრიქონები „Atta Troll"-იდან და ამ პარალელის მოხელთებამ, რა თქმა უნდა, ღიმილი მომგვარა.

ყავა მოვსვი. მწარე იყო და სურნელოვანი. ტოონელტი ისევ ქვეშქვეშად მითვალთვალებდა, რის გამოც დირექტორის კაბინეტში გამოძახებულ მოსწავლესავით ვგრძნობდი თავს. ბუხრის თაროზე ძვლისაგან გამოთლილი ფიგურები შევნიშნე... აქაურობა და ორბირთულები ახლა დიდ კონტრასტში იყვნენ ერთმანეთთან. ჩემდაუნებურად ტოონელტის ქანდაკებები გამახსენდა, რომელთაც არა მარტო ათეული წლების წინათ, სამწუხაროდ აგერ ახლაც, ორმოცდაათიან წლებშიც კი, ფსევდოხალხურად მოიხსენიებდნენ. „...სოფლური სიუხეშე და უბრალოება კი ის ნიღაბია, რომლის მიღმაც პოსტიმპრესიონიზმის შიდა ემიგრანტი იმალება!" — სრული სერიოზულობით წერდა იმ დროს ერთი გაწიწმატებული და სხვათა შორის არცთუ ისე დოყლაპია ხელოვნებისმცოდნე. მაშინ ხომ სიტყვა „იმპრესიონისტი" „რეციდივისტზე" საშინლად ეღერდა, მიუხედავად ამისა ტოონელტის წამოკიდება არც ისე იოლი გახლდათ: იგი ჯერ კიდევ ოციან წლებში გახდა კომუნისტი. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ „ყოვლისშემძლესთან" დაახლოებულმა ერთმა კაცმა მას ბაღის სამი ქანდაკება შეუკვეთა.

როგორც ამბობენ, თურმე ერთ უსაშველოდ გამოტვინებულ, მაგრამ იმ დროისათვის საკმაოდ ავტორიტეტულ მოსკოველ კრიტიკოსს ჩვენს სამხატვრო ინსტიტუტში რაღაც სკანდალი მოუწყვია. ეს ჩვენი ტოონელტიც ამდგარა და, არც მეტი და არც ნაკლები, ასე მიუხლია:

„ჯერჯერობით კრემლს მეეზოვის საშუალებით ჩემთან მოლაპარაკება არ უცდია... კრემლის მეეზოვე უნდა ელაპარაკოს ჩვენი ინსტიტუტის მეეზოვეს! მორჩა და გათავდა!"

ასეთივე შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნია მოსკოვშიც, აი იმ სამი ქანდაკების დამკვეთის სახელზე, და როგორ გგონიათ?! — მრავალრიცხოვან მოშურნეთა გულის გასახეთქად ყურებზე ხახვიც ვერ დაუჭრიათ!

— ასე შეჭირვებულად რატომ გამოიყურებით? ჩემმა ორბირთულებმა ხომ არ დაგაფრთხოთ?.. — ღიმილით მკითხა ისევ „თქვენობით" ფორმაზე გადასულმა ტოონელტმა, — საოცარი ბედი აქვთ მხატვრებს: საკმარისია რომელიმე მათგანმა ცხოვრება ნორმალურად ააწყოს, რომ ხალხი მაშინვე გაოცებული შეაჩერდება... ზოგი ბატონი სამ ცოლს არ კმარობს, წვერს მწვანედ

იღებავს და დრამთეატრის ირგვლივ გალეშილი დაფოფხავს, მაგრამ შენც არ მომიკვდე, — არავინ ყურადღებას არ აქცევს!.. მე კი საკმარისია დილ-დილობით მაწონი ვიყიდო და საკუთარ ბალში ხუთიოდე წუთით წავივარჯიშო, რომ მაშინვე აქირქილდებიან — დახეთ, ჩვენი პროფესორი [illegible] იაფფასიანი ეფექტებით პოზიორობსო... თუმცა ჯანდაბას მაგათი [illegible] ბესია თქვენს სამომავლო გეგმებზე ვისაუბროთ.

მე გულახდილად ვაღიარე, რომ თუ რამდენიმე ჩანაფიქრსა და თემას სათვალავში არ ჩავთვლით, ჯერ განსაკუთრებული გეგმები არ დამისახავს, ვფიქრობ სათანადო შემზადებაც მაკლია-მეთქი...

— აგერ ახლა სამხატვრო ინსტიტუტში დამპირდნენ, შემოდგომაზე დაგასაქმებთო და ვნახოთ... — დავძინე ბოლოს.

— შემიძლია ერთი წინადადება შემოგთავაზოთ, — მშვიდად დაიწყო ტოონელტმა, — ქალაქგარეთ, ძმათა სასაფლაოზე, ფაშიზმის მსხვერპლთა მონუმენტი უნდა აიგოს. იმთავითვე ჩემთვის უნდოდათ ეთხოვათ, მაგრამ ერთდროულად იმდენი სამუშაო მაქვს დაწყებული, ვერაფრით თავს ვერ გავართმევდი. მოკლედ, ჩვენი დეკანები, როგორც იქნა, დიდი ჩიჩინის შემდეგ დავიყოლიე, რომ ეს შეკვეთა საარმასთვის მიეცათ. მართალია, აინი ჯერ მთლად ახალგაზრდაა, სულ რაღაც ერთი წლის კურსდამთავრებული, სამაგიეროდ უკვე საზრიანი და ფრიად ნიჭიერი ყმაწვილი ჩანს. თუმცა რას გიყვებით, თქვენ ხომ მას მშვენივრად იცნობთ...

თანხმობის ნიშნად თავი კი დავუქნიე, მაგრამ აინ საარმას შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი. მხოლოდ გვარი მახსოვდა საიდანლაც, ეს იყო და ეს.

— ამას წინათ ჩემი და აინის საუბარში გაირკვა, რომ მონუმენტზე თქვენი ერთად მუშაობა ყოველმხრივ მიზანშეწონილი იქნებოდა. რაც არ უნდა იყოს, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ბრძანდებით, ასე ვთქვათ, სოლიდური პიროვნება... — ჩაიღიმა ტოონელტმა.

შეუძლებელია ამ თითქმის მეგობრული, თითქოს კეთილგანწყობილი და ნახევრად გამქირდავი ღიმილის სიტყვებით გადმოცემა... ყოველთვის, როცა უფროსი თაობის მხატვრებთან ვსაუბრობ, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ჩვენი წლოვანების განმასხვავებელი ყოველი წელი ჩემი ლატარიის ბილეთი იყოს, მაგრამ ასეთი გაღიმება მასწავლა და გეფიცებით ბილეთების მთელ დასტასაც არ დავიშურებ. — არა, თქვენ ნაუცბათევად ნუ დამყაბულდებით, — სიტყვა შემაწყვეტინა ტოონელტმა, — საქმე იმაშია, რომ ამ სამუშაომ შეიძლება მტრებიც შეგძინოთ. არის ერთი საკმაოდ გამოქექილი ბიძა, რომელსაც თქვენთან და აინთან კონკურენტობა აქვს გადაწყვეტილი, ხელოვნების თვალსაზრისით ის, რა თქმა უნდა, არარაობაა, მაგრამ ისე კი... ეს კაცი გახლავთ მაგნუს ტეე!

— მაგნუს ტეე? მაგას როგორ არ ვიცნობ... ერთ დროს „ღვთის რისხვას“ ვეძახდით, — გავიხსენე მე.

ტოონელტმა ოდნავ შესივებული ქუთუთოები ზემოთ აზიდა და მუქმწვანედ მოკიაფე ორი ლამპა, ანუ გამჭოლი მზერა მომაპყრო. ახლა იგი იმ მოხუც მომთვინიერებელს ჰგავდა, რომლისგანაც შეიძლება ასეთი რამეც გაიგონო:

„ეს კობრა არც ისე საშიშია, მართალია, მან უკვე ორი კაცი იმსხვერპლა და ჩემი უმცროსი ვაჟიც მოშხამა, მაგრამ მასთან გამკლავება მაინც შესაძლებელია...“

— სხვათა შორის მთლად გამოუსადეგარი მოქანდაკეც არაა — გააგრძელა ტოონელტმა, — მაგრამ მას შემდეგ, რაც გზაჯვარედინებზე წამოჭიმული მოოქროვილი ირმები და მკლავზე პურის თავთავებგადაწვენილი მანდილოსნები დაანგრიეს, მაგნუსის ხელოვნებაც გაუგებარი გახდა თითქოს... ეტყობა, რა ექნა? ისიც ადგა და სულ სხვა ფასეულობათა შექმნას მიჰყო ხელი...

ამისთანა გამანადგურებელი დახასიათების შემდეგ გაცინებაც კი ვერ გავბედე. არც თვითონ იღიმებოდა, იჯდა და თავისი უშველებელი არაითითით ცხვირის კეხს ისრესდა, — ასე რომ თქვენ თვითონ ასწონ-დასწონეთ ყველაფერი...

ერთი სული მქონდა მელიარებინა, რომ ამ ყოფილი „ღვთის რისხვისა“ მე სულაც არ მეშინია, რომ მის ჯიბრზე უკეთ ვიმუშავებ... მაგრამ სწორედ ამ დროს ტოონელტი ერთ-ერთ თაროსთან დაიხარა და ოთახი მაშინვე ფრინველთა ჟივილ-ხივილით გაივსო. ჭიკჭიკსა და ტია-ტიას შორის ერთი-ორჯერ ყელგადაგდებული გალობაც გაისმა.

— აბა ეს თუ იცით, რომელია? — მკითხა ტოონელტმა, — ან აი ეს?

გუგულის ხმის გარდა ვერც ერთი ვერ გამოვიცანი და ჩემი მიუხვედრელობა დაუფარავად ვალიარე.

— დიდი მელა ხარ შენ! მიწაში რა დევს ის იცი და ჩიტების ხმა ვერ გამოიცანი, ხომ? ვინ ჭამს მაგას! — ისევ გაიღიმა ტოონელტმა.

ჩიტები ჟივჟივებდნენ, ჭიკჭიკობდნენ, გალობდნენ... კედლებიდან კი ისევ ეშმაკურად თავმომქვდარუნებული ბუები მითვალთვალებდნენ...

მაგნიტოფონი დასრულდა თუ არა, ტოონელტი წამოდგა.

— ასე რომ ყველაფერი აწონ-დაწონეთ. სიჭაბუკეში შეცდომების დაშვება საბედისწეროა. შეიარეთ აინთან... და კიდევ აი რა: ესეც მაგნუს ტეეს ეხება — კარგა ხნის წინათ აინს პატარა ინციდენტი შეემთხვა ე. წ. „ქალთა საკითხში“. ჰოდა, ეს ჩვენი მაგნუსიც დღემდე შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, მის „მორალურ სახეზე“ რომ არ ემსჯელოს. სხვათა შორის დღეს ტელეფონით შემატყობინა, რომ ამ დილით თქვენი ბინიდან ვიღაც ქალი გასულა... აი, ასეთი კაცი გახლავთ მაგნუს ტეე! და ცხოვრობს იგი სწორედ თქვენს თავზე.

ტოონელტი ოდნავ წინ გადმოიხარა. მისი ღიმილი ახლა „კეთილ ვულკანს“ მოგაგონებდა.

კარის ზღურბლთან ტოონელტი ისევ ტოონელტად იქცა.

— ორფუთიანია! — მიმანიშნა ორბირთულაზე, — ფუთიანიც მაქვს, თუ გინდა გათხოვებ...

მერე მხარზე ხელი შინაურულად მომითათუნა და კარი ისე სწრაფად მომიკეტა ცხვირწინ, მგონი, ოთახიდან გამოძევებულს ვგავდი...

პატარა ბიჭივით სტვენა-სტვენით მივაბიჯებდი. იქნებ სულაც ტოონელტის მაგნიტოკოლექციაში ჩაწერილ რომელიღაც იშვიათი ჯიშის სკვინჩას ვბაძავდი. რა გადავწყვიტე? რა და შემოთავაზებულ წინადადებას დიდი სიამოვნებით ვღებულობ! რაც შეეხება მაგნუს ტეეს, ანუ „ღვთის რისხვას“ — მაგასთან უსათუოდ სიფრთხილეა საჭირო! ასეთ შემთხვევაში ზრდილობიანი დამოკიდებულებისა და კეთილი სურვილების გადმოსაფრქვევად მასთან სტუმრად მისვლა პირდაპირ მისწრება იქნება. ჩვეულებრივად მოოქროვილი ქორბუდების შემოქმედნი ერთობ გულწრფელი ხალხია, რომლებთან ურთიერთობასაც მე მშვენივრად ვახერხებ. მთავარია, ისინი თავიანთ ახალგაზრდობაზე აქაქანო, შენ

კი ამ დროს პირდაღებული მსმენელის პოზა დაიჭირო. ასევე დადებიო ეფექტს იძლევა ვითომ რჩევა-დარიგების მიზნით ესკიზების ჩვენებაც. ოღონდ ესკიზები დაუმთავრებელი უნდა იყოს... თუმცა მას შემდეგ, რაც ტორნელტთან ვიბაასე, ეს თავისებურად მშვენიერი მეთოდი, ცოტა არ იყოს, გულსაკრავად მეჩვენა.

ბიბლიოთეკა

ერთი სიტყვით, ფრთხილად უნდა ვიყოთ! საქმეს კი ნაღდად კარგი პირი უჩანს! და თანაც როგორი!..

საზოგადოებრივ ტუალეტში, ანუ „გადაუდებელ საჭიროებათა ჩეჩმაში“ შევედი. დღეს ისეთ კარგ გუნებაზე ვიყავი, „გამარჯვების მოედნის“ ფართე ხელისგულზე ავთვისებიანი მეჭეჭივით წამოზრდილი ეს საბირფარეშოც კი სიმპათიურად მეჩვენებოდა. მწვანე კედელზე მიხატული უზარმაზარი უკანალის დანახვაზე უგერგილოდ მეცინებოდა და ვფიქრობდი, თუ რა საოცრად ენათესავებიან ერთმანეთს თანამედროვე თვითნაბად ხელოვანთა და გამოქვაბულში მცხოვრები ადამიანების თვითგამოხატვის მანერები-მეთქი... ახლა თვითნასწავლ სიტყვის ოსტატებს არ იკითხავთ? — საოცარია პირდაპირ, სულ რაღაც ერთი უბრალო გაუვრცობელი წინადადებით ახერხებენ ისინი არც მთლად მსუბუქი ემოციების გადმოცემას... მავანი ავტორისთვის კი ერთადერთი სიტყვაც საკმარისია, და ისიც სახელობით ბრუნვაში!..

არა, ნაღდად კარგ გუნებაზე ვიყავი!

მე თქვენ მიყვარხართ, ქალებო! უთქვენოდ ცხოვრება დიდი საშინელება იქნებოდა. თქვენ რომ არა, ვინღა მოგვაშავებდა ესოდენ ძვირფას ინფორმაციებს? აბა რომელი კაცი გაუძლებდა საათნახევრიან ლაილაის აინ საარმასა და მის მეუღლეზე, ისიც ფინჯანი ყავის და მარწყვის ნამცხვრის ამარა! ოო, ეს შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ანეს, ჩემი ბავშვობის მეგობარს. დიახ, დედაბოძივით შეურყეველი პრინციპებისა და ასეთივე ფეხების პატრონ ანეს ეხერხება ეს და ეხერხება მაღალოსტატურად! აი ახლაც მთელი საუბრის მანძილზე მხოლოდ ერთადერთი ფრაზის ჩაგდება მოვახერხე: —როგორც ჩანს, მე და აინს ერთობლივი სამუშაო მოგველის-მეთქი. ეს ის ანეა, თავის დროზე სამხატვრო ინსტიტუტში მოხვედრას რომ ცდილობდა, მაგრამ აქედან რომ არაფერი გამოუვიდა, გარკვეულ კანონზომიერებათა წყალობით ძალზედ ავტორიტეტულ ხელოვნებათმცოდნედ იქცა. ამჟამად იგი ერთ-ერთი გაზეთის კულტურის განყოფილებაში მუშაობს და სხვადასხვა გამოფენების შესახებ სისტემატურად თხზავს მელანქოლიურ რეცენზიებს, რომლებშიც დიდ მხატვრებს შინაურულად, ე. ი. მხოლოდ სახელებით მოიხსენიებს. მავანს კი ზოგჯერ დამთრგუნველად ალერსიანი უპირატესობითაც თანაუგრძნობს ხოლმე: „...იგი ჭეშმარიტი შემოქმედია“. მერედა როგორ ეხერხებათ კრიტიკოსებს ამგვარი გამოთქმები! თუ მოეპრიანათ, ამ სამ სიტყვაში იმდენ ზიზღს ჩააქსოვენ, რამდენიც ჩვეულებრივ ჰიგოს აქვს ხოლმე ჩამჭკნარი ოქროცერცვას იმ ჭოტებისადმი, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ მზისკენ მიილტვოდნენ, საცოდავად იკლაკნებიან! მათდამი ზიზღს შიგადაშიგ მკრთალი, გონებამახვილური, ფილოსოფიური, ერთი შეხედვით კეთილშობილი სევდაც გადაჰკრავს ხოლმე თვით საგნის არსში დაყურსული უსამართლობის გამო: ეს ჭოტები ხომ იქ გა-

მოებმებიან, სადაც სულ არ არის მათი ადგილი, თორემ წესით და რიგით განა ჭიგოზე არ უნდა იზრდებოდნენ?!

ნეტა რას ვაჭარბებ, ამხელა ლექციისათვის ანეს მადლობასაც უნდა ვეუბნებოდე. აკი მისგან შევიტყვე, რომ აინი მართლაც ნიჭიერი [illegible] ყოფილა, ოღონდ ღვინოში ვერაფერ მთლად დალაგებული [illegible] თურმე იშვიათად კი სვამს, მაგრამ თუ დათვრა, მერე მოგჭამა ჭირი, — აყალმაყალი, ჰაი-ჰუი და ბოლოს რა თქმა უნდა, მილიცია... ორი თვის წინ სასტიკი საყვედური აუკიდებია, უკანასკნელი გაფრთხილებით. განრისხებულ მაგნუს ტეეს მხატვართა კავშირიდან მისი გაპანღურება მოუთხოვია... ბოლოს, დიდი დავიდარაბის შემდეგ, ისევ ტორონელტს გადაურჩენია...

გარდა ამისა აინს თურმე იოტისოდენა პრაქტიციზმიც არ ჰქონია. მაგალითად, რამხელა დოყლაპია უნდა იყო, რომ ყოფილ მოდელიორს, თანაც არქიტექტორ კიომეცის საყვარელს თავი გაამასხარავებინო!.. არადა, ეს კლანჭებდალესილი კალკულატორი „შესახედავად მაინც ჰგავდეს რამეს!..“ გაუთხოვარ ქალებთან საუბრის დიდი გამოცდილების ბრალი თუა, რომ ანეს ამ ბოლო ფრაზას სრულებით არ გავუოცებივარ. შინაბერების გავრცელებული აზრით ხომ მთელი ქვეყნის მამაკაცებს პირი აქვთ შეკრული და ჭკვიან ლამაზმანებს იმიტომ გაურბიან, რათა პათოლოგიურ მახინჯებზე დაქორწინდნენ...

ანეს კომენტარები დამახსოვრებით კი დავიმახსოვრე, მაგრამ მათი გულთან მიტანაც არ ღირდა. მე ხომ აინთან და მის ცოლთან სამეგობროდ ვემზადებოდი. ზოგჯერ ადამიანებისა და საგნების ძირის-ძირამდე ცოდნა არცაა საჭირო. მაგალითად, ბავშვობაში ლოყების გამლაჟლაჟებელ ჰემატოგენზე მანამდე ვგიჟდებოდი, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ამ სამკურნალო ნუგბარის დამზადების ტექნოლოგიას არ გავეცანი!

ნასადილევს მე უკვე საარმას სტუმარი ვიყავი, ამისათვის მხოლოდ კიბის ოცდაოთხი საფეხურის ავლა შეიქნა საჭირო — ჩვენ ხომ ყველანი ერთ სახლში ვცხოვრობთ...

ევა საარმა ერთი კოპწია, საკმაოდ პირმშვენიერი ქალი გამოდგა, ვნებიან ტუჩებთან ერთად თითების მოუსვენარი მოძრაობითაც რომ გეცემოდათ თვალში. მისი თითები მხოლოდ ამა თუ იმ ფრაზის ბოლოს ქაოვდებოდნენ თეატრალურად, რათა მომდევნო ფრაზაში ისევ ნერვიულად ატოკებულიყვნენ. აღგზნებული ჟესტიკულაციით დამუხტული ახალი ფრაზა კი უმრავლეს შემთხვევაში ასე იწყებოდა: „როგორც მე და აინმა გადავწყვიტეთ...“ ევას ნაცრისფერი, მკაცრად კორექტულ თარგზე გამოჭრილი კოსტუმი მის მაღალ გემოვნებას სულაც ვერ ადასტურებდა. მართალია, ერთი შეხედვით, საზრიანი ქალის შთაბეჭდილებას კი ტოვებდა, მაგრამ მისადმი დიდი აღტაცებით განვეწყვე-მეთქი, რომ ვთქვა, სწორი არ ვიქნები, და ეს ანეს კომენტარების, ან ევას ლაპარაკის მანერის ბრალი არ გეგონოთ, რომელშიც ერთ სიტყვასაც ვერ ჩაურთავდით. ევა ხომ ახალ-ახალ ფრაზებს ოქროს სამკაულებივით გთავაზობდა, თანაც თვალსაჩინოების მიზნით დამღითა და სინჯით ზეამობრუნებულს... არა, ყველაფერი მოგონების ბრალი იყო. მე მაშინ ჩვიდმეტი წლისაც არ ვიყავი...

სამწუხაროდ ეს მოგონებაც პიკანტურთა რიგს განეკუთვნება.

ერთხელ სასკოლო არდადეგებს ჩუდის ტბის სანაპიროზე ვატარებდი.

ჩვენი ბანაკის ხელმძღვანელი ერთი ახალგაზრდა, ოცდაათ წელს მიტანებული ქალი იყო, რომელიც ახლა რომ ვადარებ, ევას ჰგავდა ძალიან. ხაშინლად მკაცრი ვინმე იყო: ვარჯიშის, საუზმისა და სადილის გრაფიკს მუდამ განუხრელად იცავდა ხოლმე. „მკვდარი საათის“ შემდეგ კი ჩვეულებრივად „კულტურულ-აღმზრდელობითი“ ხასიათის გართობებით ვყავდით დაკავებული. მისი ხმა ორად-ორი რეგისტრისაგან შედგებოდა, პირველი: ხაზგასმულად გამამხნევებელი, გულისამრევად კეთილგანწყობილი და შინაურული — „მე თქვენ, ბავშვებო, სიურპრიზი მოგიმზადეთ. დღეს ჩვენ ჩავატარებთ რას? — **ვიქ-ტო-რინას!** რაში? — რუსულ კლასიკურ **ლიტერატურაში!**“ და მეორე: დაუნდობელი, სკალპელივით ცივი: — „დღეს თქვენ პიონერულ მწკრივზე მთელი სამი წუთით დააგვიანეთ!“ ორივე რეგისტრი იმდენად საზიზღრად ჟღერდა, რომ ჩვენი ბანაკი სასკოლო კი არა (თუმცა აქ მოსწავლეებთან ერთად ჩვენზე ბევრად უფროსი ხალხიც ისვენებდა) სამხედრო ყაზარმას უფრო ჰგავდა.

გამოსათხოვარი საღამოს აღსანიშნავად დიდი კოცონი ავაგიზგიზეთ. კაცებმა სოფლიდან მთელი კასრი ლუდი მოაგორეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე აეწყო, რომ დღეს „ლუდკულტურული გართობა“ არ აგვცდებოდა. უცნაური კი იყო, მაგრამ ჩვენს ტირანს საყვედურიც არ დასცდენია. ალბათ, დამლევი რომ ბევრი იყო და კასრი პატარა, ეგმიტომ. ასე იყო თუ ისე, გადავწყვიტე დღეს ჩემი ხელმძღვანელის ჯიბრზე დავმთვრალიყავი. მერედა რა ადვილი აღმოჩნდა ეს—სასმელი თვალის დახამხამებაში მომეკიდა. გაცოფდა, მაგრამ რა გაცოფდა ჩვენი ტირანი! კაცები სულ ლანძღვა-გინებით აიკლო, ეგ რა გიქნიათ, მცირეწლოვანი გაგიბრიყვებიათო (NB!) და იქაურობას დაუყოვნებლივ გამარიდა. ტირანმა ბანაკის ბოლოში მისთვის საცხოვრებლად დადგმულ ერთადერთ ხის ფარდულში შემამწყვდია და კარს გარედან ბოქლომი დაადო, თვითონ კი მოზეიმე კოცონთან დაბრუნდა. მაშინვე მკვდარივით ჩამეძინა. ღამის ორ საათზელა გამომეღვიძა და მთვარის შუქით განათებულ ოთახში გულამოვარდნილი შევყურებდი, თუ როგორ იხდიდა ჩემი ტირანი...

ის ღამე, რასაკვირველია, თეთრად გავათენე, ხოლო მეორე დღეს, დილის რვა საათზე (დღესასწაულთან დაკავშირებით ერთი საათით გვიან) მე უკვე მოვარჯიშეთა საერთო მწკრივში უძილობით თვალებჩასისხლიანებული ვიდექი და სკალპელივით ცივი ხმის გაგონებაზე ტანში ჟრუანტელი მივლიდა: „გავშალოთ ფეხები, ერთი-ორი! შევაერთოთ, სამი-ოთხი! გავშალოთ! შევაერთოთ! ერთი-ორი, ეეორე, რატომ არ შლით ფეხებს! სამი-ოთხი...“ და არც ერთი ალერსიანი თვალის გადმოკვრა!

დილის ათ საათზე მე უკვე ბანაკიდან სახლისაკენ მიმავალი ავტობუსით მივჯაჭჯაყებდი. მახსოვს, ფერდაკარგულსა და ქანცგაწყვეტილს გულზე მაზიდებდა და მთელი ქვეყნის ქალები თავბრუდამხვევ მორევად მეჩვენებოდა. მართალია, მას შემდეგ მოხმარების საგნად არავის არ გავუხდივარ, მაგრამ როგორც კი იმ ჩემს რომანტიულ პირველ ღამეს გავიხსენებ, ბოლმა მაღრჩობს. კაცი ვერ იტანს, თუ ქალი ისე მოექცა, როგორც თვითონ ექცევა ხოლმე ქალს! სხვათა შორის ის ქალბატონი ამჟამად უზარმაზარი ფიგურა გახლავთ ტურიზმის დარგში (არა, მე იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს კარიერისტების დაუძინებელი მტერი ვიყო, უბრალოდ, სტანდარტულად ტიპიურ კარიერისტებს ვერ ვიტან). ევას ლაპარაკი და მანერები საბავშვო ბაღის იმ ვინეგრეტს მაგო-

ნებდა, რომლისგანაც ბავშვობაში ისევ და ისევ ჩემი ლორმუცელობის გამო მოვიწამლე.

— უსუსური ლოთების ჯოგი! — აი, ასე მოკლედ დაახასიათა ევამ ახალგაზრდა მხატვრები, — გადაყლურწავენ ეს გრამს და „ეყვარდეს“ მოჰყვებიან ქაქანს თავიანთ გეგმებზე. ორას გრამზე მშობიარე ქალის ტკივილებს აღიბეჭდავენ სახეზე, ნოლო სამას გრამზე უკვე ყველაფერი იციან! (თითები წამით ეფექტურად ქვავდებიან.) მათ უკვე მიაგნეს იმ ერთადერთ ხაზს, რომელსაც მთელი ცხოვრება ეძებდნენ! იმ ხაზს, რომელიც სურათს სურათად აქცევს და ა. შ. ისინი ახლავე, ახლა კი არა, ამ წუთშივე თავიანთ სახელოსნოებს მიაწყდებიან და დაწყებულ სამუშაოს გააგრძელებენ... მაგრამ შემდეგ კიდევ ასი გრამი მოდის და ისინი მართლაც მიდიან, ოღონდ ამჯერად მამალმიხატულ კარებისაკენ! და ნახევარი საათი არწყევენ... მეორე დღეს ყველაფერი თავიდან იწყება: ისევ ძველი ბაიათები ,ისევ ბობოქრობენ, ეძიებენ, ჰპოვებენ და ბოლოს, რა თქმა უნდა, ისევ უნიტაზთან მთავრდება ყველაფერი!

ანესაგან მიღებული ინფორმაციის შემდეგ, რომელიც აინის სიმთვრალესაც შეეხებოდა, ევას პოზიცია მეტად უცნაურად მეჩვენებოდა. ოო, ქალბატონო, თქვენ შემთხვევით მორალურ-აღმზრდელობით სეანსს ხომ არ გვიტარებთ? ამაოდ ირჯებით, გეთაყვა. უნდა მოგახსენოთ, რომ მათრობელა სასმელებს ჩვენ ზედმიწევნით ზომიერად ვღებულობთ! ახლა აინს არ იკითხავთ? იგი თავისთვის იჯდა და ცოლს თვალებში შესციცინებდა. დიახ, კი არ უსმენდა — შესციცინებდა და, ცოტა არ იყოს, ქრისთვის შეუფერებელი აღტაცებითაც კი შესციცინებდა. ღმერთმანი, კარუსელის წინ დაყუდებულ სოფლელ მეთევზეს ჰგავდა. კი, აინს მე განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ვუთვალთვალებდი: იშვიათად, ძალზე იშვიათად თუ შეხვდებით ასე შეუხედავ, უფრო სწორად, ასე უფერულ ადამიანებს. წარმოიდგინეთ პატარა ტანი, ჩავარდნილი კისერი და ზედ შემოდებული არაპროპორციულად უზარმაზარი თავი. ძალზედ დაბალზე შეკრეჭილი (უთუოდ ევას ბრძანებით) შეთხელებული ქერა თმა და... ნეტავ არ დამენახა! — ფეხსაცმელზე გადმოპორწიალებული ნიფხავის ზორტი! ყოველივე ამის შემდეგ აინი ჩემდაუნებურად იშვიათ ეგზემპლართა სიაში ჩავუშვი. საოცარია პირდაპირ — მავანი მხატვრისთვის გონჯური სიფათი ერთგვარი პრივილეგიაც კია! საკმარისია ასეთმა ტიპმა არაუშავს ისეთი რამ შექმნას, რომ ეგრევე განუმეორებელ ტალანტად მონათლავენ. ნათლიებად კი, როგორც წესი, ხელოვნებისაგან ძალზედ შორს მდგარი ადამიანები მოგვევლინებიან.

ასეა თუ ისე, აინ საარმა, ეტყობა, მართლა ნიჭიერი ბიჭია. ტოონელტი მაინც არ შეცდებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ასეთ სოლიდურ შეკვეთას ბარე ორი ვერ ეღირსება!

ნეტავ დღემდე რა აქვს გაკეთებული-მეთქი, სულ ეს კითხვა მიტრიალებდა თავში. მე ხომ მოსკოვში ცხოვრების პერიოდში ესტონელ მხატვართა ცხოვრებას მთლიანად მოწყვეტილი ვიყავი. მართალია „Sirp ja Vasar“ კი მქონდა გამოწერილი, მაგრამ ათასგვარ გამოფენებზე სირბილისა, უცხოური ჟურნალების თვალიერებისა და სტუდენტური ცხარე კამათების შემდეგ ესტონური პრესისათვის აღარც დრო მრჩებოდა და აღარც სურვილი. რა დასამალია და, ესტონეთი უკვე შორეულ პროვინციად მეჩვენებოდა.

---

* Sirp ja Vasar — ესტონური გაზეთი.

— **დიახ...** — არ ცხრებოდა ევა, — დიუმამ, ბატონო, სამასი რომანი დაწერა, ჰაიდნმა ასზე მეტი სიმფონია... ამის გაფიქრებაზე ხომ უნდა წითლდებოდე, არა? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენი საუკუნის ათინას მუზარადის ნაცვლად ხელში კოქტეილით სავსე ჭიქა უჭირავსო... ამგზნები აბებით ჯიბეგამოტენილი ჩვენი ეროსი კი, მაპატიეთ და, მამაპაპურად ხვრინავს... უძლურება, ბუზღუნი, სკეპსისი!..

„ხოლო ელექტროღუმელთან მოკალათებული ჩვენი კერიის გამღვივებელნი შავი ყორნებივით დაგვჩხავიან და სულ მუდამ გაკაპასებულნი სრულ უძლურებას გვიწინასწარმეტყველებენ". აი რისი თქმა მინდოდა, მაგრამ უმალ კვერი დავუკარი.

— ჰეშმარიტად ასეა! ვაი, რომ ბუნებრიობა და ძალისხმევა ახალგაზრდებს მართლაც გვაკლია. ეს ყველაფერი თავზე გადამდის-მეთქი, სამწუხაროდ ვერც მე დავიკვეხნი, თუმცა ყველაფერზე მაღლა სწორედ მათ ვაყენებ... ის კი არა, ბუნებრიობის უპირველეს კრედოდ ალიარების გამო ზოგჯერ დაცინვის საგანიც გავმხდარვარ. საერთო საცხოვრებელში, მაგალითად, ჩემი საწოლის თავთით მუდამ აყირავებული გალაქტიკები და დაუცხრომელი ვნებათაღელვანი ეკიდა. ზეთში შესრულებული, რასაკვირველია. ეს გალაქტიკები იქნებ წითელი და შავი ფერების გულუბრყვილო ნაზავის გამო იღუპებოდნენ, მაგრამ...

— მაგრამ გულუბრყვილობის ფასი-�ія უნდა იყოს ამ ქვეყანაზე! — სხარტად მომიჭრა ევამ.

— დიახ, — მაშინვე დავეთანხმე მე, თუმცა იმ წუთში სულ სხვა გულუბრყვილობას ვგულისხმობდი, — მეამაყება, რომ კოხტაპრუწობას ჯერ კიდევ სტუდენტობისას ვერ ვიტანდი. სხვათა შორის იქ, ჩვენთან, მოსკოვში როკოკოთი გაგიჟებული სნობებიც იყვნენ. აი ისეთები, ფრანგონარსა და მის მსგავს ვაუბატონებზე რომ ირევიან, ზოგს თავის საწოლ ოთახში ყვავილებისა და მაქმანების მთელი გამოფენა ჰქონდა მოწყობილი. თანამედროვე მხატვარმა ეს უნდა იკადროს? პირველ რიგში განა პირქუში გულწრფელობა არ უნდა იდგეს?!

— ო, როგორ მიხარია, რომ თქვენ და აინმა ერთად უნდა იმუშაოთ. რამხელა ბედნიერებაა, არა?

— დიახ, საოცრად კარგია, — აღტაცებით დავეთანხმე მე.

— საოცარია, — დაგვეთანხმა აინიც.

— დიახ, ნამდვილად საოცარი და კარგი რამაა! — წერტილი დაუსვა ევამ და ჩვეულებისამებრ გაირინდა.

ერთი გადახარხარება ქვეყანას მერჩია. რომელიღაც პერსონაჟი გამახსენდა (მგონი, ტამსაარედან)*, ერთთავად „მართალია, მართალია! კი ნამდვილად მართალია!"-ს რომ გაიძახის.

— თქვენ აქ ცოტა ხანს ხელოვნებით წაიხემსეთ, მე კი გულზე რომ არ დაგადგეთ, იქნებ ყავა მოგიხერხოთ, — ომახიანად გამოგვიცხადა ევამ. მსგავსი განცხადებები, ეტყობა, მათი ყოველდღიური ცხოვრების წესიდან გამომდინარეობდა. მერე ხელში რაღაც ალბომი მომაჩეჩა და სამზარეულოში გავიდა.

— სტუდენტური ნაოდვილარებია, სანახავადაც არ ღირს! — ჩაიდუდ-

* ანტონ-ჰანსენ ტამსაარე — ესტ. კლასიკოსი მწერალი.

ღუნა აინმა და თმაზე ხელი გადაისვა, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, მოკლედ შეკრეჭილი თმა ისევ ყალყზე დადგა.

აინ საარმას ქანდაკებათა ფოტოსურათებს გადავხედე თუ არა, პირველივე ნამუშევრებმა გამაოცა.

ყოველი ეპოქა საკუთარ ნოვატორულ ფორმებს კი წარმოგვიჩენს, მაგრამ რით განისაზღვრება შემდგომში მთელი ეპოქის სახე, ეს სხვა თავსატეხია... ეჭვს არ იწვევს, რომ თუ მუშაობას იმთავითვე ძველი არსენალიდან ნასესხებ, ნაცად მანერებზე დაყრდნობით დაიწყებ, მეტნაკლებად გათვითცნობიერებულ წრეებში იქნებ ნიჭიერის სახელიც კი დაგანათლონ. მე პირადად მოდურობის საკითხი უფრო მაინტერესებს... Даже неизвестный мне известен! ახლა ხომ ახალგაზრდა, მოდურ მოქანდაკეთათვის დეკორატიულობა, ფაქტიურის განზრახ გაუხეშება და თავისებური ნეოკუბიზმია დამახასიათებელი. აინის ალბომს ვათვალიერებდი და თვალნათლივ ვგრძნობდი, რომ იგი საყოველთაო და საერთო მდინარებას განზე გასდგომოდა, სწორედ იმ მდინარებას განრიდებოდა, რომელთანაც პირადად მე, გარკვეული მიზეზების გამო, მყარი შეხების წერტილები მაკავშირებდა. მისი ალბომიდან გულჩათხრობილი, გაავებული, ერთი შეხედვით სახეგადაყინული პორტრეტები მომჩერებოდნენ. დეკორატიულობა რა სათქმელია! — აქ უმეტესად მორიდებულობა იგრძნობოდა...

ბოლოს სადიპლომო ნაშრომსაც მივადექი. ამ ყოვლად უცნაურ ნამუშევარს სათაურიც უცნაური ჰქონდა: — „ხბოსმკვლელი“.

მიწაზე ფეხებშებორკილი, გაძვალტყავებული ხბო გდია, რომელსაც ასევე გაძვალტყავებული და სახეგამეხებული, მალალყელიან ჩექმებში გამოწყობილი, დანამომარჯვებული ბიჭი წასდგომია თავს... ხბო — შიმშილით გაძვალტყავებული, ბეწვებგაცვენილი, იქნებ ქეციანიც... ბიჭი — შიმშილით გაძვალტყავებული, თმაგაცვენილი, იქნებ ქეციანიც... საშინელი თემის საშინელი გადაწყვეტა! უფრო ამაზრზენი კი ისაა, რომ ამ უცნაურ ნახატში ხარვეზების გვერდით დაკვირვებული თვალი მოულოდნელ კანონზომიერებასაც აღმოაჩენს: — საკმარისია მასში რამე ოდნავ შეცვალო, ან შეასწორო, რომ ყველაფერი ერთბაშად გაუფერულდეს, თავდაყირა დადგეს! იცოდეს მაინც ამ ბედოვლათმა, რა მაგარი რამე გამოსვლია-მეთქი, გავიფიქრე და ჩემდაუნებურად თვალი მისკენ გავაპარე.

— მე... გავალ ერთი... ფინჯნების მოტანაში წავუკრავ ხელს... — ისევ დაბნეულად წაიბუტბუტა აინმა, მერე მთელი ტანით ჩემკენ შემობრუნდა და განსაცვიფრებლად ალალი ღიმილით მომმართა: — იცით, მე ჯერ კიდევ უხერხულობა მეუფლება ხოლმე, როცა ჩემს ნამუშევრებს ჩემივე თანდასწრებით ათვალიერებენ... — მოულოდნელად აინის სახეზე ალალი ღიმილის ნაკვალევი გაქრა — სად დაიკარგა ამდენ ხანს ეს ქალი! — თქვა და სამზარეულოს კარებში გაუჩინარდა.

ფოტოსურათებით ნამდვილი ქანდაკების აღქმა ძნელი კია, მაგრამ მე მაინც ვათვალიერებდი... ვათვალიერებდი და ვფიქრობდი. გაურეგნულად აქ ყველაფერი პრიმიტიული რეალიზმის ფარგლებში იყო მოქცეული, მაგრამ ამ მოჩვენებითი სანახაობის მიღმა მესამე პლანის მაჯისცემაც იგრძნობოდა... ლაქსნესის „დამოუკიდებელი ადამიანები“ გამახსენდა. ამგვარი ასოციაციის გამომწვევი მიზეზები აქ უთუოდ არსებობდა. იყო რაღაც სხვაც... და რაც უფრო

მეტს ეფიქრობდი, მით უფრო მებნეოდა თავგზა. წამით ისიც კი დავიჯერე, თითქოს აინი, ის დანამომარჯვებული ბიჭი და ხბო — დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ ხბოც კი! — ისეთ ერთადერთსა და შთამბეჭდავ რაღაცამია გაჩხეულებული, რისი გააზრებაც მე მხოლოდ ბუნდოვნად შემიძლია-მეთქი... ღმერთო. შენ გვიშველე! ვითომ საგნები თავისთავში?.. კარგი ერთი, [illegible] ზვიადებ!

როგორც სიხელდახელოდ ავხსენი, ამ ნაწარმოებში იგრძნობოდა პროტესტი რაღაც უკიდეგანოსა და მარადიულის წინააღმდეგ, მაგრამ კონკრეტულად რის წინააღმდეგ, ამის მოაზრებას ვერ ვახერხებდი. არა, მაგარი ნამუშევარი როა, აქ ორი აზრი არ არსებობს! ის კი არა, აინის მიმართ შურიც კი ვიგრძენი. ვაითუ მოდურ ლაკონიზმს სულ ტყუილად ვებღაუჭები-მეთქი, გამიელვა თავში.

ცოტა ხნის შემდეგ ახალი თავსატეხით აფორიაქებულმა ალბომი კიდევ ერთხელ გადავათვალიერე და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ აინისა და ჩემი ერთად მუშაობა არაფრით არ გამოვიდოდა. ამნაირ მოქანდაკესთან ერთად ამხელა შეკვეთაზე მუშაობა ერთგვარ რისკთანაც იყო დაკავშირებული. მარტო ის რად ღირს, რომ მოოქრული ქორბუდების ავტორები დაუნდობელ კონკურენციას გიცხადებენ. აინის პირქუში ქანდაკებები გამოფენებისთვის კიდევ ჰო! ჰო კი არა — ნაღდად გამოდგება! მაგრამ აინი და მონუმენტი?!. ის მონუმენტი, რომლის ესკიზებმაც დამტკიცებამდე უამრავი ინსტანცია უნდა გაიაროს?! არა, ძმაო, მონუმენტი შენ ხუმრობა არ გეგონოს. აქ პირველ რიგში მასიური მაყურებლის გულამდე მისასვლელი გზაწვრილებია საძებარი. მონუმენტი უნდა იყოს ოდნავ დეკორატიული, ოდნავ პათეტიური და, რაც მთავარია, არაორაზროვნად მებრძოლი!.. ე. ი. ისეთი, როგორიც აინის ნამუშევრებშია წარმოუდგენელი. მოულოდნელად მისი გულუბრყვილო, ცისფერი თვალები და არაპროპორციულად ვეებერთელა თავი წარმოვიდგინე, მერე მის შესახებ ანეს მონათხრობიც გავიხსენე და ვიგრძენი, რომ ვღელავდი. ეს ბიჭი ისეთი კერკეტა ვიღაცა ჩანს, არავის არაფერს არ დაუთმობს... ტოონელტს მაინც რისი იმედი აქვს? თუმცა გასაგებია, შეუდრეკელი ტოონელტი ხომ მთელი ცხოვრება რისკზე მიდის... მე კი ასეთი რამეებისაგან ღმერთმა დამიფაროს!

და რაც მთავარია — ჩვენ ხომ, როგორც მოქანდაკეები, სრულიად განსხვავებული ხელწერის ხალხი ვართ. როდის იყო, ორი მზარეულის ხელში გემრიელი კერძი გამოდიოდა! არა, ჩვენი ერთად მუშაობა ვერ წარმომიდგენია! ფუნქციებიც როგორ უნდა დავინაწილოთ ნეტავ!...

აინმა ყავადანი და ორაგულის ნაჭრები შემოიტანა.

— ყოჩაღ შენ! სადიპლომო ნამუშევარი მაგრად გამოგსვლია, — შევეცადე ორ სიტყვაში მომექცია მთელი ქება-დიდება.

— სოფლელი რომ ვარ, იმიტომ თუ გამომივიდა ასე ბუნებრივად, — მომიგო ჩემი გადაუჭარბებელი ქებით აშკარად ნაამებმა აინმა.

ამ დროს ევაც შემოვიდა.

— სანაძლეოს ჩამოვდიგარ, თუ თქვენ ალებასტრიდან გამომზირალ ჩემ მშვენიერ ფიზიონომიას ეს სადიპლომო საზიზღრობა არ გერჩიოთ! არა, ყველა ასე ერთნაირად გულქვები როგორ ხართ მაინც!.. ეხ, კაცებო, კაცებო, როგორ გაკლიათ გალანტურობა! — დაგვიცაცხანა ევამ.

— თქვენს პორტრეტს როგორღა შევნიშნავდი, როცა ასლი ასე თვალში-

საცემად ჩამორჩება ორიგინალს! — ჩავაბულბულე საუკუნის ყველაზე გაცვეთილი ქათინაური.

— გაიგონე, აინ? უსმინე და დაიმახსოვრე! თქვენა ხართ ერთადერთი მოქანდაკე ამქვეყნად, ვისაც მე თავაზიანობა შევნიშნე, ემეტრენ ნენა მიბოძეთ. ჩემი ხელით ყავაც დაგისხათ და შაქარიც ჩაგიყაროთ. დღევანდელი ახალგაზრდები ხომ სულ ტოონელტის ნამოწაფრებია, მაგათი მძიმე ქათინაურები მხოლოდ მარმარილოს სამტვრევად თუ გამოდგება! ჰო, მართლა, ის თუ იცით, ტოონელტმა ცოლი როგორ შეირთო?

არა, ეს მე არ ვიცოდი და, ცხადია, სმენად ვიქეცი. თანაც ალბომიდან ევას სურათი ამოვიღე და მოჩვენებითი ყურადღებით შევათვალიერე. საკმაოდ ულიმ-ლამო პორტრეტი იყო. მას აკლდა ის, რამაც დანამომარჯვებული ბიჭი და ხბო თითქმის შედევრად აქცია, ანუ ის, ურომლისოდაც აინი უსუსურ დილეტანტად გამოიყურებოდა.

— იმ წლებში ტოონელტი თავის სახელგანთქმულ „მეკარტოფილეებზე" მუშაობდა, — დაიწყო ევამ — აი, ის, ორი წინწახრილი ქალის ფიგურა, გახსოვთ ალბათ. ჰოდა, მათ შორის უფრო ახალგაზრდის გამოსაქანდაკებლად მოდელიორს რომ ეძებდა, ბევრი ეძება თუ ცოტა ეძება, კაფე „კულტასში" თავის მომავალ შარლოტას გადაეყარა. ასე არ ეძახიან მოქანდაკეები თავიანთ ცოლებს? მეც შარლოტა ვარ, სხვათა შორის. მოკლედ, როგორც კი ტოონელტმა ამ უცნობ ქალიშვილს თვალი მოჰკრა, არც აცია და არც აცხელა, პირდაპირ მის მაგიდას მიაშურა და გვერდზე გაიხმო.

„მე თქვენ მჭირდებით, ქალიშვილო" — ეუბნება ტოონელტი.

„მე?!" — ეკითხება გაოცებისაგან თვალებგაფართოებული ქალიშვილი.

„თქვენ კი არა, უფრო სწორად, თქვენი კეფა და საჯდომი მჭირდება". ვითომც აქ არაფერიო, პასუხობს ტოონელტი. ამის გამგონე ქალიშვილს რა დაემართა, მემატიანე დუმს, — ევას ხელები წამიერად ქვავდებიან, — ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ახლაც არავინ იცის, თუ როგორ დაითანხმა ტოონელტმა ის ქალიშვილი პოზირებაზე. ქანდაკებაზე მუშაობა რომ დაუმთავრებია, მაესტროს ხელები შეუწმენდია და ასე ამოუშაქრავს: „ესეც ასე. მართალია, აწი მე ესენი არაფერში მარგია, მაგრამ ჩემი სურვილია დარჩნენ აქ!" — ხელის თხოვნის რა ორიგინალური ფორმაა, არა?

— საინტერესოა, აინმა როგორ შეირთო, თავისი შარლოტა, ჰა? — შევძახე მე სიცილისაგან ჩაბჟირებულმა. მართალია, ეს ამბავი პირველად მესმოდა, მაგრამ რახან ტოონელტს შეეხებოდა, მისი დაჯერება არც გამჭირვებია.

— აინ საარმამ როგორ შეირთო თავისი შარლოტა? როგორ და ძალიან უბრალოდ. ერთ მშვენიერ დღეს თავის ქარვასლაში შეიტყუა და მერე აღარ გამოუშვა. ეს იყო და ეს.

ევას სიცილი სულ არ უხდებოდა. ასეთ ხალხზე, რბილად რომ ვთქვათ, სახე უცინის და თვალები არაო, ამბობენ. თუმცა მთლად ასეც არ იყო საქმე. ხანდახან ევას თვალებიც იცინოდნენ, ოღონდ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მათ უძრავსა და გაუცინარ სილრმეში რაღაც მექანიზმი ჩაუდგამთო. ძნელი წარმოსადგენია, რას ჰგავდა ეს, პედანტურად ზუსტ გამომთვლელ მანქანას თუ რაღაც ამგვარს, ერთი სიტყვით, ბავშვების ტერმინოლოგიას თუ მოვიშველიებთ, ევას თვალები „ვითომ" იცინოდნენ, ტოონელტის ფიტულებიც „ვითომ" მკვდრები არ იყვნენ?

ჩემს მასწავლებელთან გუშინდელი შეხვედრა გამახსენდა. ჩვენ ხომ ნახევარი საათი კაფეში ვისხედით; ვსვამდით ყავას; ვხარობდით მთელი არსებით; ვიხსენებდით მოსწავლეობის „ბედნიერ ხანას“ და ა. შ. მე კი თვალწინ სულ ის მკვდარი ვირთაგვა მედგა, „ბედნიერი ხანის“ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი „მეორე დედის“ რედიკიულში რომ ჩავაძვრინე. იმ ვირთაგვას [illegible] ალბათ ჩემს მასწავლებელსაც...

დღევანდელ ჩვენს საუბარსაც მოჩვენებითი გულახდილობის ელფერი დაჰკრავდა, ოღონდ ხატზე დავიფიცებ, რომ არც ახლა და არც შემდეგში ამ ოჯახის წარმოსახვით რედიკიულში წარმოსახვითი ვირთაგვის ჩასმაც კი არ მიფიქრია!

ევამ უთუოდ დროებით ჩამოვარდნილი უხერხულობა იგრძნო, აინი სამზარეულოში გაიხმო და რაღაც დავალება მისცა. აქეთ მე დამარწმუნა, ორიოდე წუთით სასწრაფო ტელეგრამის გასაგზავნად გაიქცაო. ბოლოს მაინც მივხვდი, რაშიც იყო საქმე. თურმე სახლში ერთი წვეთი დასალევი არ ჰქონიათ.

მე და ევა ცოტა ხნით მარტო დავრჩით და გაურკვეველი მიზეზების გამო თავი ოდნავ თავისუფლად ვიგრძენით.

დღევანდელი საუბარი დახვეწილად, მაღალი საზოგადოების მანერებით წარვმართეთ-მეთქი, ვფიქრობდი მე. აწ რაღა დარჩა, დარჩენილ დროსაც სიცილ-კისკისით ჩავამთავრებთ და განშორებისას თუმცა კი შვებით ამოვისუნთქავთ, უახლოეს დღეებში თავშეყრას მაინც დავთქვამთ, რამეთუ დღევანდელი ერთად ყოფნით ასე ძალიან გავიხარეთ და ა. შ.

და ამ დროს ჩემს თავში ამოტივტივდა იდეა, რომელიც ეგრევე დავახეთქე:

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ნიჭიერია აინი! ისეთი ნიჭიერია, ისეთი, რომ ცოტა არ იყოს, მებრალება კიდეც, — წარმოვთქვი და წამიერი პაუზა დავიჭირე, რათა ევას რეაქციებით დავმტკბარიყავი, — დიახ, საუბედუროდ ისე ხდება, რომ ნიჭიერი ხალხი უმრავლეს შემთხვევაში ფრიად მოუქნელნი არიან, თანაც იქ, სადაც ეს თითქმის დამღუპველია. მთელი უბედურება იმაშია, რომ მონუმენტი საგამოფენო ნამუშევარი არ არის, ჩემი ღრმა რწმენით, ამისთანა საშური შეკვეთის ხათრით აინმა მთლიანად უნდა შეიცვალოს თავისი ხელწერა. მონუმენტს ცოტ-ცოტა ყველაფერი ჭირდება: დეკორატიულობაც, პათეტიურობაც, ხაზგასმული იდეურობაც...

— ე. ი. თქვენ ამბობთ, რომ საჭიროა წახალტურება, არა? — კატეგორიული ტონით შენიშნა ევამ.

— არა, რამდენადაც მოგვიხერხდება, ხალტურას უნდა ვერიდოთ. მთავარია, ეს ჩვენი გრანდიოზული შეკვეთა პირველი და უკანასკნელი არ გამოდგეს... მონუმენტი თავისთავად საზიზღარი ჟანრია. ვფიქრობ, ასი წლის შემდეგ მათ წამოჭიმვას სრულებით შეწყვეტენ. ბოლოს და ბოლოს ალბათ დარწმუნდებიან, რომ სულის სიღრმეში მთრთოლვარე გრძნობათა მოედნებზე გამოჯგიმვა-გამომზეურება მიუტევებელი უმეცრებაა... საშინელი უტაქტობაა! ამასობაში კინალამ ყველაზე მთავარი დამავიწყდა: ჩვენი კონკურენტი იქნება შაგნუს ტეე!

— შაგნუს ტეე?! — გაფაციცებული, ზიზღნარევი ხმით ჩამეკითხა ევა.

— დიახ. მონუმენტის ჟანრში მასთან პაექრობა ძალზეც სახიფათოა. რაც უფრო თავბრუდამხვევ, ანუ საკამათო გადაწყვეტაზე შევჩერდებით ჩვენ, მით უფრო ხელსაყრელი იქნება ეს მისთვის!.. აი, ამაშია საქმე.

— ღმერთო ჩემო, ხელოვნებისა და პოლიტიკანობის აღრევა ხომ საშინელებაა! საზიზღრობაა! ხელოვნება თავისუფალი უნდა იყოს! — არც მთლად დაუეჭვებლად წამოიძახა ევამ. ეტყობა, ჩემი მოსაზრებები იმდენად კეთილგანწყობილი კილოთი და დამაჯერებლად გამოვთქვი, რომ ზეირიანად აღარც კი იცოდა, რა ეფიქრა.

— ჩემი აზრით, ხელოვნება ჩვენში საკმაოდ თავისუფალია, — წამოვიწყე მე, — აი თუნდაც „ხბოსმკვლელი“ ავიღოთ. ეს სადიპლომო ნამუშევარი აკი შეისყიდეს? (გამოვიყენე ანესაგან მიღებული ინფორმაცია) რატომ? იმიტომ რომ საგამოფენო ნამუშევარი სხვაა და მონუმენტი სულ სხვა. მონუმენტებს ჩვენ სახელმწიფო გვიკვეთავს, ასე რომ საესებით ბუნებრივია, თუ ეს შეკვეთა მასიურ მომხმარებელზეა გათვლილი. მონუმენტის ამოსავალი წერტილი მისი სარგებლიანობის ფაქტორით განისაზღვრება. ეს კი თავისთავად განსაკუთრებულ უბრალოებასა და მიმხვედრელობას მოითხოვს მოქანდაკისაგან. ასე იყო და იქნება ყველგან და ყოველთვის!

მე ოღონდ ისეთ თემებზე მალაპარაკე, როგორიცაა პარტიულობა ხელოვნებაში, ბერლინის საკითხი, პიროვნების კულტი... და მთელი დღე რომ ვიყბედო, არ მომწყინდება. შედარებით მოუმზადებელ თანამოსაუბრესთან თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში. პირდაპირ ვირტუოზულ ერუდიციას ვამჟღავნებ, რომელსაც ორპირიანი, ჯარისკაცული დანა-ჩანგალივით ვიყენებ: — მინდა შევჭამ, მინდა შევურჭობ!

„მე არა ვარ იმათ მხარეზე, ვინც ხელადებით უარყოფს სტალინის ეპოქას!“ — მიყვარს ასეთი გამოთქმები.

„საგანი გარე სამყაროსთან კავშირში, ანუ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით უნდა განვჭვრიტოთ. მე ვერ დავდგები იმათ მხარეზე, ვისაც ჰგონია, თითქოს ბედგამწარებული ადამიანების ვაებისა და ამაოდ გაღებული მსხვერპლის გამართლება მხოლოდ ქვანახშირის ამოღების ზრდით, ანდა ახალი მარკის კომბაინით შეიძლებოდეს!“ — ასეთი რამეების დახვავებაც მიყვარს ხოლმე.

— დღემდე აინის ნამუშევრებს ქება არ მოჰკლებია... — ჩაილაპარაკა ევამ.

— მომავალშიც ასევე იქნება! მთავარია, ეს მონუმენტი გამოგვივიდეს და მერე ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყეფს... ოღონდ ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი; დღემდე მე და აინს ახალგაზრდა მოქანდაკეებად გვთვლიდნენ, ე. ი. გვექცეოდნენ, როგორც ბავშვებს... ბავშვი კი შეიძლება ტალახიანი ფეხებით დივანზე ან მაგიდაზე აბოტლდეს, მაგრამ არაფერი. დაუტატანებენ, დაუყვავებენ და გაიცინებენ. ჩვენ ეს შეკვეთა იმიტომ მოგვანდეს, რომ უკვე ჩამოყალიბებულ მოქანდაკეებად გვთვლიან, ე. ი. ამიერიდან სულ სხვა მოთხოვნებს წამოგვიყენებენ... ხოლო თუ ჩვენ გავკადნიერდებით და ამ მოთხოვნებს არ შევასრულებთ, მათ შეუძლიათ საჭიროებისამებრ მთელი წარსული შეგვახსენონ... სხვათა შორის ბალლობაში მაგიდაზე აფოფხებაც! (მე ვლაპარაკობდი გამართულად, ძალდაუტანებლად, სიამოვნებით).

ყურადღებად ქცეულმა ევამ დახვეწილ მანერებსა და გადაპრანჭულ თავაზიანობას თავი ანება და ახალ გამომსახველობით ფორმებზე გადაერთო... ერთი სიტყვით, ჩემ წინაშე სულ სხვა, მანამდე ბუნდოვნად წარმოსადგენი ევა იჯდა. ვგრძნობდი, რომ ახლა მე ტიპიური ფარისეველი ბუნების ის ქალი მომჩერებოდა, რომელსაც ოღონდ ვერნისაჟის გახსნაზე ლენტი გააჭრევინონ და

მეტი არაფერი უნდა. ამას კი დროზე თუ ვერ მოესწრო, თვალის უპეებთან რომ ნაოჭები დაეტყობა, მერე რაღა ფასი აქვს! აი რატომაა ასე ჩახმახშემართულივით ევა. წამით მომეჩვენა, რომ მე და ეს ქალი მშვენივრად გავუგებდით ერთმანეთს... ამის გამო თუ იყო, რომ ახლა იგი გარეგნულადაც უფრო მესიმპათიურებოდა. ჭეშმარიტად, ყველას თავისი საქმიანობა უხდება — მეწაღესაც და დირიჟორსაც! ასე არ არის? თანდათან დავრწმუნდი, რომ ამ ქალთან სიმორცხვე და მისთანანი სულაც არ იყო საჭირო... მართალია, კაფეში, მეგობრებთან საუბრისას იგი აინის ექსპერიმენტების გამართლებაზე გამოიდებს თავს, არადა, ქმრის მთელ საქმიანობაში, ცხადია, მარტოოდენ ის აინტერესებდა, რაც დაუყოვნებელ აღიარებას მოუტანდა... ხომ არიან პაწაწინა, ე. წ. ჭიჭყინა ლოცმანები, რომლებიც გოლიათ თევზებს გემრიელი ლუკმის პოვნაში ეხმარებიან და ამის წყალობით თვითონაც უდარდელად გრძნობენ თავს... და აი, ეს წუთია ამ მშვენიერმა ლოცმანმა არაჩვეულებრივი ინფორმაცია ჩაყლაპა. ახლა მხოლოდ ყველაფრის მისხალ-მისხალ აწონ-დაწონვა ანუ ბოლომდე გათვლაა საჭირო და მორჩა! „მე თვითონ როგორ ვერ მივხდი! — მკაფიოდ იკითხებოდა მის თვალებში, — ღმერთო ჩემო, თურმე რამხელა გამოუსწორებელი შეცდომების დაშვება შეიძლებოდა!..“ ევას თვალში ელვის სისწრაფით ვმაღლდებოდი. მისგან მომავალშიც ბევრ მადლობას უნდა ველოდე. ევასთანებმა რა ხანია პროფესიონალურად აითვისეს სიკეთის სიკეთით გადახდის მეცნიერება. ამიტომაა, რომ ეგეთები უმრავლეს შემთხვევაში პატიოსანი საქმოსნები არიან... დიახ, დიახ! უფრო პატიოსანი, ვიდრე ჩვენ გვგონია.

— გმადლობთ, — საოცრად გულში ჩამწვდომი უბრალოებით მითხრა ევამ, — ამ დღეებში მე და აინი მოვითათბირებთ. ვეცდები კარგად ავუხსნა საქმის ვითარება, ოღონდ მის სწორ გზაზე დაყენებაში თქვენც უნდა დამეხმაროთ...

— ვეცდები... მაგრამ აინიც უნდა დამეხმაროს, — გალანტურად გადავედი თავდაცვაზე, რადგან უკვე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, აინს სწორედ ისე ავამუშავებდით, როგორც საქმეს მოუხდებოდა.

ჩემი წამხდარი გუნება-განწყობილების აღწერა აქ რა მოსატანია, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ თავბრუდამხვევი წარმატების მწვერვალზე ასეთი მწარე ჭინაჭინათი გამიმასპინძლდებოდნენ:

— კარგით ერთი, თქვენ რა დახმარება გჭირდებათ, ისედაც მშვენივრად გაართმევთ თავს. თქვენ ხომ არც ისე რთული ამოცანა გაქვთ გადასაწყვეტი. კვარცხლბეკის გაკეთებას რა უნდა! მით უმეტეს ამ თემაზე ჯერ იყო და სოლიდური გამოკვლევა გამოაქვეყნეთ. მერე კი საკანდიდატოც დაიცავით... რაც შეეხება გვერდებზე გასაკრავ ორ ჯგუფურ ბარელიეფს, ამის გაკეთება თქვენთვის ალბათ ყველაზე ადვილი რამაა. ბარელიეფში ხომ მეტი გასაქანიცაა, უფრო თავისუფლად და პირობითად შეიძლება გადაწყვიტოთ ყველაფერი... განა ასე არ არის? მე მგონი, ასეა...

ცოტა ხნის წინ გადასანსლული ორაგული კუჭიდან. ყელისკენ დაიძრა!.. გამოდის, რომ ტოონელტს როლები უკვე გაუნაწილებია! ახლა მთავარია, ევა არ მიხვდეს, რომ ყველაფერი ეს ამ წუთამდე არ ვიცოდი... არ მიხვდეს! არ მიხვდეს! არ მიხვდეს! გადავრჩი! ევა ვერაფერსაც ვერ მიხვდა, თორემ ერთობ იდიოტურ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი.

მისი ყურადღების სხვა რამეზე გადატანის მიზნით პიჯაკის კალთაზე ორაგულის ნაჭერი დავიგდე და ავწრიალდი.

— ნუ გეშინიათ, არაფერი არ დააჩნდება, გაყინული ორაგულია, — დამამშვიდა ევამ.

ესეც შენ! ე. ი. რა გამოდის — ამ სოფლელი ბიჭების მონუმენტებისათვის მე მხოლოდ „საკმაზი“ უნდა შევანელო და მეტი არაფერი? თანაც თანამედროვე კულინარიული ხელოვნების დონეზე! კარგია, გადასარჩენი ღვეზელი გამოვა ჩემმა მზემ!.. ტოონელტმა მეტის ღირსად არ გვცნო!.. მე კი სწორედ მეტის იმედი მქონდა. ისე გამოდის, თითქოს მე მოსკოვიდან იმიტომ ჩამოვედი, რათა ჩემზე უმცროს მოქანდაკეებს აქ კვარცხლბეკების პროექტებით მოვემსახურო! როგორია, ჰა? აგერ, ახლაც გულდათუთქული სამარიტელივით წამოვმჯდარვარ აქ და ვიღაც ევას გათვითცნობიერებას ვაკლავ თავს!.. მერედა ვის რაში სჭირდება ეს?..

მონუმენტზე საუბრის გაგრძელება უკვე საშიში იყო. ვაითუ ევას ქალური გუმანისათვის ჩემი ავბედითი ფიქრები ზედმეტად გამჭვირვალენი გამხდარიყვნენ... უცებ ბაგირზე წონასწორობადაკარგული ჯამბაზივით ნაძალადევად გავიღიმე და იმის დასადასტურებლად, ვითომ ყველაფერი გადასარევად მიდისმეთქი, კედელზე გაკრული ხალიჩის დამამშვიდებელი ჩალისფერი შევაქე, ასეთის შოვნა სად შეიძლება-მეთქი, დავინტერესდი და ა. შ. „დამამშვიდებელ“ ხალიჩას კი, ჩვენ შორის დარჩეს და, ზუსტად ბაეშვის განავლის ფერი ჰქონდა.

ჩემი თვითგვემა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ამასობაში სამვარსკვლავიანი სომხური კონიაკით ხელდამშვენებული აინიც დაბრუნდა.

მას შემდეგ, რაც სასმისები შევავსეთ და ერთმანეთს დიდი წარმატებები ვუსურვეთ, ევამ შეთქმულივით ფრთხილად გადმომხედა და მეორე ოთახში გაუჩინარდა, რათა კაცები ერთი-ერთზე სათათბიროდ დავეტოვებინეთ. ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ მასალაპარაკებლადაც არაფერი დაგვრჩენოდა. ტოონელტს ხომ ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილი: აინი ქანდაკებებზე იმუშავებდა, მე კი კვარცხლბეკი და ბარელიეფი უნდა მომეფიქრებინა... ხალხის მოთმინების თემაზე!

აინის დაჟინებულ თხოვნას ყური არ ვათხოვე და ჩემი მეგობრული ვიზიტი დასრულებულად გამოვაცხადე. ზოგ სხვა რამესთან ერთად, დღეს ანეს ინფორმაციების გადამოწმებაც მოვასწარი: აინს მართლა ჰყვარებია დალევა. თავისი წილი კონიაკი ახლაც სულმოუთქმელად გადახუხა და ლაპარაკის საღერღელიც აეშალა. მე კი მისი მოსმენის თავი არ მქონდა.

კიბეებზე რომ ვეშვებოდი, წამით შეეჩერდი — რამე სიმბოლური არ იყოს ამ დაშვებაში-მეთქი, გავიფიქრე.

ოთახში შევედი თუ არა, ტახტზე ცოცხალმკვდარივით დავეხეთქე.

თვალებში სულ აინის „ხბოსმკვლელი“ მებლანდებოდა. რა არ ვეცადე, მაგრამ არ იქნა და თავიდან ვერ ამოვიგდე. რატომღაც სულ ჩემს სადიპლომო ნამუშევარს, „მჭედლებს“ ვადარებდი. იმ „მჭედლებს“ ,რომელიც ამჟამად ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ავტოქარხნის დასასვენებელ პარკს ამშვენებს. ერთი რამ ცხადია— კულტურა და არტისტიზმი მე უთუოდ მეტი მაქვს: ჩემი „მჭედლების“ კუნთები ხომ ჰიმნის ომახიან დაგუგუნებასა ჰგავს... ოღონდ რატომ და რისთვის გუგუნებენ ეს კუნთები, ეშმაკმა დალახვროს, დღემდე მე თვითონ ვერ გამიგია. ვითომ მარტოოდენ პლასტიკური ანატომიის ცოდნის

გამომქლავნებას ვესწრაფოდი? თუ ასეა, გაგვწყრომია მუზა და ეგ არის... რა არ ვიფიქრე, საიდან არ მივუდექი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ამ დასკვნამდე მივედი, რომ აინის დანამოძარჯვებული ბიჭი ჩემს მეგობლებს რაღაცით ჯობნიდა. მაგრამ რით? როგორ? სად არის ძალის თავი დამარხული?!

იქნებ სულაც ეროვნულ თვითმყოფადობასთან გვაქვს საქმე? [illegible] მგონია. რაც მართალია მართალია. მე ხშირად, ძალიან ხშირად (ჩემი აზრით სავსებით ამომწურავადაც კი) გამიანალიზებია ესტონური თვითმყობადობა.

ჩვენი ხალხური პოეზია ბლანტია და თმაგაწეწილი; მოჯამაგირის სიზმარივით უფერული ჩვენი რუნები კვინტიდან კვარტოზე გადარბიან... ცეკვებიც დუნე გვაქვს, რაღა თქმა უნდა, ხოლო ხუმრობა, ხუმრობა რუსული ნაჯახივით მძიმე და მოუქნელი... ახლა ჩვენს ეროვნულ საქმელებს არ იკითხავთ? — ქართველებს შიშხინა მწვადი აქვთ, უნგრელებს ბილბილი, ფრანგებს ათასგვარი დელიკატესი... ჩვენ კი, ჩვენ „კაერაკილე" — კამაგარეული ლაბა, ანუ თავფეხის ნახარშში შეზავებული ოქროცერცვასა და შვრიის სალაფავი. უგემურობა და ხელმოკლეობა! მოვეშვათ საქმელებს. ამ ბოლო ხანებში ეტყობა ჩვენს ეროვნულ თვითმყობადობასაც „კაერაკალათი" აქვს პირი გამოტენილი!...

საქმე იმაშია, რომ ყველაფერ ამას მუ[illegible] თავისებური გამართლებაც მოვუნახე.

ფიზიკის კანონების თანახმად ნივთიერება გარეგანი გარსის წარმოსაქმნელად უზარმაზარ შინაგან ენერგიას ხარჯავს ხოლმე. ხალხების ენერგიაც უთუოდ ამ დღეშია! ჩემი ხალხის მთელი პოტენცია საუკუნეების მანძილზე ფიზიკურად თავის გადარჩენას ემსახურებოდა... განა ეს ტრაგედია არ არის? თუმცა შიშველ ყოფასაც რა აზრი უნდა ჰქონდეს. ანდა რა სიკეთეს უნდა მოელოდე ორ სახელმწიფოს შორის გაჩხერილი ძუნწი, ჯიუტი და გამოფიტული მიწისაგან... რა ხანია გერმანელებში ან რუსებში თოვლივით უნდა გაემდნარიყავით...

ერთი შეხედვით სად „ხბოსმკვლელი" და სად ეს აზრები, მაგრამ რაღაც უხილავი კავშირი მათ შორის ალბათ მაინც არსებობს. მე ხომ მოსკოვში სწავლის გასაგრძელებლად იმიტომ გავემგზავრე, რათა ჩემს შემოქმედებაში ყოველგვარი ვიწრო ესტონურისაგან განთავისუფლებულიყავი... და ნუთუ შევცდი?

რა აზრები არ მომდიოდა თავში და ყველა ერთნაირად გულშემოსაყრელი.

მე პარტიის წევრი ვარ: ტოონელტიც! — აინი კი არა! მაშ რაღა მაინცადამაინც იმას მიანდეს მთავარი როლის შესრულება? ე. ი. მე სულ ტყუილად შევსულვარ პარტიაში, რახან მას ჩემთვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია?! სტალინის დროს სულ სხვაგვარად იქნებოდა...

მე ხომ პარტიაში შესვლა-არშესვლის საკითხი იმთავითვე საფუძვლიანად გავაანალიზე!

მე არასოდეს არ მქონია მიდრეკილება დაჯავშნული მსოფლმხედველობისადმი. რკინის აბჯარი, ჯერ ერთი, მოძრაობაში გვიშლის ხელს და მეორეც, მოქნილობის უნარს გვიჩლუნგებს. კომუნიზმის მიმართ, ცოტა არ იყოს, გულგრილადა ვარ განწყობილი: — სიკეთე მოთხოვნილების მიხედვით კი არა, შესაძლებლობის მიხედვით უნდა განაწილდეს... მე რომ მეჯიბრებიან, ისეთები თუ ბევრად ჭარბობს მათ, ვისაც მე ვეჯიბრები, ასეთ პირობებში თანასწორუფ-

ლებიანობას ნეტავ რა თავში ვიხლი! ეს ყველაფერი პრობლემის ერთი მხარეა, ხოლო მეორე მხარე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

როგორც ისტორია გვასწავლის, ჩვენს საუკუნეში უკვე არავის არ ძალუძს დარჩეს აპოლიტიკურ პიროვნებად... ინგრევიან ციტადელები... ხოლო პროგრესი ინდივიდებზე კი არა, მთლიანად კოლექტივზეა დამოკიდებული, ამის საილუსტრაციოდ რა საჭიროა აინშტაინის, ბრეხტის ან ფოიხტვანგერის ბიოგრაფიების დამოწმება, თუკი ცხვირწინაც უამრავი მაგალითი გვიდევს. ორი დიდი ბანაკიდან აუცილებლად ერთ-ერთს რომ უნდა ეკუთვნოდეს, ამას წყალი არ გაუვა! მაგრამ რომელს?..

მამაჩემი გერმანელების მხარეზე იყო, ბიძაჩემი კი საბჭოთა არმიაში იბრძოდა. ორივე ძმა ფილოლოგი იყო, ორივე სქელშუშიან სათვალეს ატარებდა და გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ომი ორივესათვის ერთნაირად გაუგებარი იყო. სახლში გამოგზავნილ წერილებში ორივე აღნიშნავდა ჯარისკაცული ჟარგონით დაინტერესებას... ორივეს სიცოცხლე ომმა შეიწირა, ასე რომ, თავიანთ საწერ მაგიდას ვერც ერთი ვერ დაუბრუნდა.

ესენი რომ მამაჩემი და ბიძაჩემი არ ყოფილიყვნენ, შეიძლება ისიც კი მეთქვა, ბედისწერასაც თავისებური იუმორის გრძნობა ჰქონია-მეთქი.

მე სქელშუშიანი სათვალის გარეშე ვცხოვრობ და დიადი სპექტაკლის ფაბულა უფრო მაინტერესებს, ვიდრე მოქმედ პირთა ლინგვისტური დახასიათება. მაინტერესებს, თუ რით დამთავრდება ყველაფერი ეს... მე ხომ თავსატეხ კითხვებზე პასუხს (ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში) მარქსის, შპენგლერის, კაზანოვა-კალერისა და ლენინის შრომებში ვეძებდი. ვეძებდი, ვეძებდი და მივხვდი, რომ კომუნისტურ პარტიაში შესვლა იყო საჭირო!

ჩემი გადადგმული ნაბიჯით დღემდე კმაყოფილი ვიყავი... ჩემს არჩევანს არასოდეს არ შევუვიწროებივარ... დღეს უკვე საკუთარი გამოცდილების წყალობით ვიცი, რომ საქმეები შეიძლება შეიცვალოს სიტყვებით, რომ რკინის აბჯარი ტანზე კი არ უნდა გადაიცვა, არამედ უნაგირის წინა მხარეზე უნდა დააკრა, რათა ფარის მაგივრობაც გაგიწიოს და მანევრირებაშიც არ შეგიშალოს ხელი... მაგრამ რატომ ვერ დამიცვა ამ ფარმა აინისაგან? რატომ? რატომ?..

ო, რა გულისამრევი ფიქრებით მქონდა თავი გამოტენილი! აბჯარი, ფარი, სტალინის დრო... ღმერთო ჩემო, ნუთუ ასეთი უსუსური და უნიჭო ვარ!

შხაპი მივიღე და ლოგინში ჩავწექი. ამასობაში თავი იმით დავიმშვიდე, რომ კვარცხლბეკის და ბარელიეფის დაპროექტება არც ისე სამარცხვინო საქმიანობაა, რომ ანაზღაურების მხრივ უფრო მომგებიანიც კია და ა. შ.

არც ამან მიშველა. ძილი არ მომეკარა და ღამე თეთრად გავათენე.

IV

კვირა დღეა. ერთი ახალგაზრდა კაცი მხატვართა სახლის კიბეებს აუჩქარებელი ნაბიჯით მიუყვება:

MAGNUS TEE SKULPTOR

ღიღადებს № 8 ოთახის კარებზე გაკრული სპილენძის ფირფიტა.

სვენ ვორრე წამით ჩერდება, კიბის მოედანს თვალს ავლებს და ეფინება, რადგან აგერ, ნახევრადჩაბნელებულ კუთხეში, თითქოს მის შეხვედრად გამოსულაო, მტვერში ამოგანგლული თაბაშირის მეომარი [illegible] შუბლშეჭმუხნულია, რადგან მის ცალ პაგონზე მწითური კატის [illegible] ალათებია და არხეინად ამთქნარებს. ამ თავხედ კატაზე ფიქრების უკუსაგდებად თაბაშირის მეომარი ყაზარმას იგონებს. ყაზარმაში ყველანი მხედრულად დააბიჯებენ და მისალმებისას ქუსლებს ერთმანეთზე უბაკუნებენ. ყაზარმის ეზოში ხეივანია. ხეივანში თუნუქის ფირნიშებია ჩამწკრივებული.

Орудие любит ласку, чистку и смазку!

აწერია ერთ-ერთ მათგანზე.

მწითური კნუტი კი ნებიერად ამთქნარებს. ამთქნარებს და იხმორება შეძლებული ოჯახიდან გამოსული ეს ტიპიური მუქთახორა, რომელსაც არავითარი იდეალი არ გააჩნია.

სვენ ვორრე ელექტროზარის ღილაკს აჭერს თითს და მის გამახვილებულ სმენას მაშინვე პარკეტზე მოჭრიალე ჩექმების ხმა სწვდება.

— ოო, ახალგაზრდობა, ახალგაზრდობა! ხელოვნების ხვალინდელი დღე!— კარის გაღებისთანავე გაისმის მაგნუს ტეეს მჭექარე ხმა.

მართლა ჩექმები აცვია (ოთახშიც კი!). ვუნიბაში ეცინება სვენს. ალბათ ასე უნდა გამოიყურებოდნენ კვირა დილაობით თადარიგის გენერლები...

— გაბედულად, გაბედულად, ყმაწვილო! — მაგნუს ტეე ზმნებთან მწყრალადაა და მათ მაგივრად ჟესტებს იშველიებს ხოლმე. — მაშ ერთ ჭერქვეშ არა? აბა სიახლეები, იდეები, ესკიზები, შეკითხვები, ყმაწვილო!..

მაგნუს ტეე სტუმარს მხარზე ხელს უთათუნებს და ტახტისაკენ მიუძღვება. ტახტია ძველებური, სპარტანულად მაგარი, რომელიც „ხელოვნების ხვალინდელი დღის“ სიმძიმის ქვეშაც კი არ ჭრიალებს. მაგნუს ტეეს სკამი მოაქვს, სტუმრისაგან ზუსტად ერთ მეტრზე ჯდება და სახეს ისე დათაფლულად ალაგებს, საუბრის ყოველგვარ ხალისს რომ დააკარგვინებს კაცს.

— მაპატიეთ, რომ გაწუხებთ... თქვენთვის ხომ ყოველი წუთი ძვირფასია, ეს მე ვიცი... — ლუღლუღით იწყებს სვენ ვორრე და მაგნუს ტეეს ისეთი თვალებით უყურებს, გეგონება, ახალდაბადებული ხვლიკი თავის უზარმაზარ ნათესავს, ნიანგს აკვირდებაო.

— ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი დრო ყოველთვის ჩვენს ხელთაა!.. ჩვენ ძველი გვარდია, თქვენ ახალგაზრდა გვარდია!.. ხომ? — ეტყობა, სვენ ვორრემ თავიდანვე სწორ ტონს მიაგნო, რადგან „ღვთის რისხვის“ ნახევარმთვარისებური, წითელ-ყვითელ ფერებში შეყუჟული ცხვირპირი საგულდაგულოდ მომართული მექანიზმივით მოძრაობს. „ღიმილისათვის მოვემზადოთ!“ აი იშვიათი ბრძანება, რომელიც ეს წუთია მკაცრად მოთრიმლულმა ნაოჭებმა მიიღეს. მაგნუს ტეე ფეხებს ჭიმავს და გაპრიალებული ჩექმების ჭრაჭუნიც გაისმის, სვენ ვორრეს კი რატომღაც ეჩვენება, თითქოს ეს ჭრაჭუნი თვით მაესტროს შიგნეულმა გამოსცა... ორივე გვარდიელი დუმს.

— იცით, თქვენი შეწუხება მხოლოდ იმიტომ გავბედე, რომ... როგორ

გითხრათ... თქვენი რჩევა-დარიგება მჭირდება ძალიან... მე ხომ სულ ახლახან დავბრუნდი მოსკოვიდან და...

— ოო, მოსკოვი, მოსკოვი! ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი! — გუგუნებს ამბ. მ. ტეე.

— დიახ! სულ ახლახან დავბრუნდი ჩვენი სამშობლოს უმშვენიერესი დედაქალაქიდან (სწორედ რომ სასკოლო გრამატიკის სახელმძღვანელოდან ამოღებულ სანიმუშო წინადადებასავით ჟღერს!) და აი ჩამოსვლისთანავე ერთი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი... — სვენი თავს დაბლა ხრის და მორცხვად იღიმება, — იცით, ამ დღეებში პროფესორმა ტოონელტმა აინ საარმას მონუმენტისათვის კვარცხლბეკის დაპროექტება შემომთავაზა... მეც დავეთანხმე, მაგრამ ხომ არ შევცდი-მეთქი, ვფიქრობ...

— აინ საარმა? ახალგაზრდა მოქანდაკე ხომ? — რობოტის გულითადობით კითხულობს მაესტრო.

— დიახ, ახალგაზრდა მოქანდაკეა, სხვათა შორის საკმაოდ ნიჭიერიც, თუმცა... (პაუზა, ნერწყვს ყლაპავს) ამას წინათ მისი ნამუშევრები დავათვალიერე და მომეჩვენა, რომ მათში ბევრი რამაა სადავო...

— ბევრი რამაა სადავო! — სიამოვნებით იმეორებს მაგნუს ტეე და წამით მის თვალებში კმაყოფილების ნაპერწკალი კიაფობს, მაგრამ მალევე ქრება და მის ადგილს უმალ უფროსი ამხანაგის პედაგოგიური მზრუნველობა იკავებს.

— ჩემი აზრით მის ქანდაკებას ოპტიმისტური ცხოველმყოფელობა და ახალგაზრდული აღმაფრენა აკლია... მონუმენტი ამაღლებული ჟანრია!... მონუმენტები საუკუნეებს უძლებენ!.. ისინი ხალხის საკუთრებას წარმოადგენენ. და ბოლოს მონუმენტი ხომ იდეოლოგიური იარაღია... მე კი ეჭვი მეპარება, რომ აინ საარმა უკვე ასეთ საპასუხისმგებლო შეკვეთისათვის იყოს მომწიფებული... როგორც ჩანს, მე და საარმას სხვადასხვანაირად გვესმის ხელოვნების დანიშნულება... და სწორედ ამიტომ მჭირდება თქვენი რჩევა-დარიგება, რამდენად სწორად მოვიქეცი, ტოონელტს რომ დავეთანხმე...

„ამაღლებული ჟანრი", „იდეოლოგიური იარაღი", „შეკვეთისათვის მომწიფებული"... — ყველაფერმა ამან ერთობ გულისამაჩუყებლად იმოქმედა ამბ. მ. ტეეზე. აი იგი განჯინასთან მიდის, იქ კარგა ხანს იქექება და ბოლოს თეფშზე ორცხობილებს ალაგებს. „უსათუოდ ნაფტალინის სუნი ექნება!" — ფიქრობს ვოორე, მაგრამ ერთ ორცხობილას მაინც იღებს და მორიდებულად კვნეტს,— არც ასეა საქმე. — საკმაოდ გემრიელი ორცხობილა ყოფილა!

სვენ ვოორე ორცხობილას ჭამს და იმასაც ამჩნევს, თუ რა მამობრივი მზრუნველობით მისჩერებია მას მაგნუს ტეე. მადლობა ღმერთს! სვენი უკვე მეხუთე ორცხობილას შეექცევა და გაფაციცებული ყურადღებით უსმენს ტეეს. მის სიტყვებში თანდათანობით გამორეულ ზმნებს ფრაზები ისე ხარბად ისრუტავენ, როგორც გამოგვალული მიწა ისრუტავს ხოლმე მონატრებული წვიმის ნაყურს. მაგნუს ტეე ლაპარაკობს ძალდაუტანებლად, სიამოვნებით, ცოცხლად... „აყვავდებიან უდაბნოში თეთრი ვარდები..." იგონებს რომელიღაც პოპულარულ სიმღერას სვენი და „ბუნების საოცარ ფერიცვალებას" ყურადღებით აკვირდება. აკვირდება და მაგნუს ტეეს აზრებით, ცოტა არ იყოს, ერთობა კიდეც. და ბოლოს იმასაც ხვდება, რომ ტეეს ყველაზე მეტად მუშფაკში გატარებული სიჭაბუკის წლების მოგონება უყვარს.

„ღმერთო ჩემო, თურმე რა ადვილი ყოფილა ამისთანა მაგნუსებთან საქმეების მოგვარება, —ასკვნის სვენ ვოორე, — ეგოისტი ნამდვილად არ ჩანს, ვერც თვალთამაქცობას დასწამებ მაინცდამაინც. ერთი სიტყვით არც ისე ცუდი კაცი ყოფილა... ხოლო რაც შეეხება გარიცხვებსა და სასტიკ საყვედურებზე ხელის აწევას..." და უცებ ახალგაზრდა გვარდია ხვდება, რომ მაგნუს ტეე ის გამრჯე მებაღეა, რომელიც სიბერის დროსაც კი ძველებური მონდომებით უვლის ყვავილნარს, თავის დროზე შეაქვს ნაკელი, თხრის სარეველებს და ა. შ. ოღონდ ეგაა, რომ სიბერისას თვალს დააკლდა. არა, მაგნუსის ასე ობლად მიტოვება ახალგაზრდობას ნამდვილად არ ეკადრება! სასწრაფოდ მორიგეობის გრაფიკი უნდა შედგეს და ვაი იმას, ვინც თავის მორიგეობას გააცდენს! ერთი სიტყვით მაგნუსს ხშირად უნდა ვეწვიოთ, ვაჩვენოთ სტუდენტობისდროინდელი ესკიზები მაინც, მივართვათ წითელი ყვავილები სახელმწიფო დღესასწაულებზე და ა. შ. ხოლო თუ ეს ჩვენი ვეტერანი რამეს გამოჩორკნის — მისი ნაცოდვილარი მასხარად კი არ უნდა ავიგდოთ, პირიქით, წახალისების მიზნით მოვუწონოთ, სადმე დავადგმევინოთ... მაგალითად, პიონერთა ბანაკში, ე. ი. ქალაქიდან შორს, თანაც ძეგლის გახსნის ცერემონიალზე სასულე ორკესტრისა და პენსიონერთა შერეული გუნდის მოწვევაც-ერ უნდა დაგვავიწყდეს. ძველებური სიმღერები და დოლ-გარმონი, ვინ იცის, როგორ ეამება... ასეთი ტკბილი ურთიერთობების წყალობით კი ქანდაკება თუ არა, მოქანდაკე მაინც დარჩება მოგებული. მაგნუსი ხომ სწორედ ის ბიძაა, ვინც მოსკოვში უნდა აფრინო მხატვართა ფონდის ფულის სათხოვნელად... ჰმ! რამდენი რამე გვაქვს დაკარგული... ამდენ ხანს მაინც სად გვეძინა! ფიქრობდა თავისთვის სვენ ვოორე.

მაგნუს ტეე კი ისე დაიქოქა, ენას არ აჩერებს. აი იგი თავისი ვაჟიშვილების ფოტოსურათებს უჩვენებს სვენს. ორივე შვილი, რასაკვირველია, ოფიცერი ჰყოლია. ვიქტორი სამამულო ომში დაღუპულა, იგორი კი ამჟამად ფორტიფიკაციის კურსს კითხულობს სამხედრო აკადემიაში.

ერთ-ერთ ფოტოზე ახალგაზრდა არსება იღიმება მორცხვად. ეს მაგნუსის მეუღლე ტანიუშა ყოფილა, რომელიც თურმე მეორე ვაჟიშვილის მშობიაროობას გადაჰყოლია. (ცოტა არ იყოს მკრეხელურად კი ჟღერს, მაგრამ) ასეთ ქალს სწორედ მშობიაროობაზე გადაყოლა შვენისო, ფიქრობს სვენი. ერთ სურათზე მაგნუსი და ცისფერთვალება ტანია ერთმანეთის გვერდიგვერდ დგანან. ტანიუშა ქმარს ბეჭებამდეც ვერ წვდება, მაგნუსს მარცხენა ხელი ცოლის მხარზე უდევს, მარჯვენათი კი მზადყოფნის ნიშნად რევოლვერის ბუდე აქვს ჩაბღუჯული. ტანიუშას მინდვრის ყვავილების უშველებელი თაიგული აქვს გულზე მიკრული... ცოლ-ქმრის ზურგს უკან სამოქალაქო ომისდროინდელი, ჯერაც „ტვიორდი ზნაკებით" აჭრელებული ლოზუნგი ფრიალებს... ეს სურათი ნამეტანი სევდისმომგვრელია და სვენ ვოორეს ლამის შეებრალოს ამხანაგი ტეე.

ბოლოს „ღვთის რისხვა" საკუთარ ესკიზებს უჩვენებს სვენს. ესკიზები, რა თქმა უნდა, თარიღის მიხედვითაა დალაგებული, რის გამოც ვოორეს შიშნარევი ფიქრი ეძალება, - ნუთუ ეს კაცი დღე და ღამე ჯოჯოხეთურ შრომაშია?!

ვიზიტის დასასრულს, როგორც მოსალოდნელი იყო, საუბარი ისევ მონუმენტს უბრუნდება. მაგნუს ტეეს ღრმა რწმენით სვენმა კვარცხლბეკიც უნდა დააპროექტოს და აინ საარმაზეც უნდა მოახდინოს გავლენა. როგორმე უნდა

დაეხმაროს, აუხსნას, შეაგნებინოს, რომ მონუმენტი ესაა... ესაა იდეოლოგიური იარაღი და ა. შ.

და აი, სვენ ვოორე თანდათან ხვდება, თუ რატომ ჩეენ მონუმენტზე გამოცხადებულ კონკურსში თვით ტეე. პირდაპირ საოცარია, ტოონელტი როგორ ვერ მიხვდა ამას. აქ ხომ არავითარ ანგარებასთან და პატივმოყვარეობასთან არა გვაქვს საქმე... უბრალოდ მაგნუს ტეე გრძნობს, რომ საბჭოთა ხელოვნების დასაცავად უნდა დადგეს! ეს არის და ეს. მან კი, რასაკვირველია, ზედმიწევნით კარგად იცის, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ნორმალური მონუმენტი... კი, შეიძლება მისი ესკიზები არც მოიწონონ და არც მიიღონ, მაგრამ მაგნუსი ხომ თავის ვალს პირნათლად მოიხდის! ე. ი. ყველაფერს გააკეთებს მხოლოდ სინდისის კარნახით... სხვათა შორის არბიტრებსაც მეტი არჩევანი ექნებათ.

„ეჰეი, მაგნუს ტეე! შე საბრალო „ღვთის რისხვავ!" — რიტორიკულ ფიქრებში ეფლობა სვენ ვოორე, — რა დანჯღრეული ფორდივით რახრახებ, შე ძველო... თუმცა არა, ფორდივით კი არა, ჩვენი სამამულო მანქანათმშენებლობის პირმშოსავით ძაგძაგებ. აი, დგახარ და კომფორტაბელურ „ვოლგებსა" და „ჩაიკებს" გულდაწყვეტილი მზერით მიაცილებ. ამ მანქანებს არც რადიო აქვიათ და არც მოდური სალონი... აბა მაგათ რას დაეწევი! დაწევა კი არა, ერთთავად მტვრის კორიანტელის პირისპირ რჩები, რადგან სისწრაფე აუცილებლად მტვერსა და ბუღს აყენებს ხოლმე. მტვერი კი ცალკე ხველებით გაბრჩობს, ცალკე შუქფარებზე ეფინება და წინ გახედვას გიშლის. შენ ბორგავ და მთელი არსებით ცდილობ კაცობრიობის ხსნას. ამიტომაცაა, რომ აქეთ-იქით აწყდები და ხელს უშლი მოძრაობას, რომლის მიმართულებაც შენთვის უკვე უცნობია... ესეც შენი იდეურობა ეგოიზმის გარეშე! აი რა ამბები ტრიალებს შენს თავს, ვეტერანო!"

სიბერე ჭეშმარიტად უცნაური რამაა და ტოონელტისებურად ბევრი ვერ ახერხებს ამ უცნაურობაში გადასვლას... დროა თანდათანობით მეც დავეუფლო ამ დაფარულ სიბრძნეს! — ასკვნის საბოლოოდ სვენ ვოორე.

გამომშვიდობების წინ ვოორე პირობას დებს, რომ სულ მალე ისევ შემოივლის. გახარებულ მაგნუს ტეეს, რა თქმა უნდა, სჯერა მისი. იგი ბოლოს და ბოლოს ისეთ ახალგაზრდასთან შეხვედრას მოესწრო, რომელსაც სწორად ესმის ცხოვრება... განშორების წუთებში მაგნუს ტეე „ღვთის რისხვას" კი არა, მოსეს უფრო ჰგავს. დიახ, სწორედ იმ მოსეს, რომელიც ნათელს აფრქვევდა.

V

ყოველდღიურად, დაახლოებით დილის ცხრა საათისათვის ორი ცხვირჩამოშვებული კაცი სახელოსნოსაკენ უხმოდ მიემართება...

დღემდე ვერ გამიგია, რომელმა ჭკუათამყოფელმა დააგდო ხმა, ხელოვნების ხალხი პოეტური ბუნებისანი არიანო. კარგით ერთი, თუ ღმერთი გწამთ! ხელოვნებით წვა და დაგვა მარტოდენ უხეირო ფილმებში გამოიყურება მიმზიდველად. სხვათა შორის მეც მახსოვს ის ფილმი, რომელშიაც სახელდახელოდ ფერმიხდილი მთოვარეს იდილიურ ნათელში ბეთჰოვენი უზენაესი შთაგონებით თავის „მთვარის სონატას" ქმნის... ნეტავ მართლაც ასე ყოფილიყო!

შემოქმედება ერთი გაუთავებელი წამებაა და ბედნიერ ალმოჩენათა წამებს ათასში ერთხელ თუ ეღირსება კაცი. საკუთარ წვალებას კიდევ ეო, გაუძლებ როგორმე, მაგრამ სხვისი ტანჯვის ცქერა ნამდვილად აუტანელი რამაა.

ტორნელტის მიერ განაწილებული სამუშაოებით დაბოლოვს კი მოვერიე, მაგრამ ჯერ თურმე სად ვიყავი! — აინთან ერთად ერთ სახელოსნოში გაძლებაც არანაკლებ ძნელი აღმოჩნდა. ნერვები დამაწყვიტა ამ თავქარიანმა!.. საქმე იქამდე მივიდა, რომ 25-კაპიკიანი ფილტრიანი მუნდშტუკი შევიძინე და დღეში ორ კოლოფ „შიპკას“ ვაბურაქებდი. ნიკოტინის ცხელ კვამლს მადიანად ვახრჩოლებდი და უჩვეულოდ გულაჩუყებული მოსკოვის იმ სკვერებს ვიგონებდი, სადაც უზრუნველი კვიცივით დავკუნტრუშებდი ხოლმე. სიძნელეები, რა თქმა უნდა, იქაც შემხვედრია, მაგრამ ასეთი?!

დილა მოსკოვურ სახელოსნოში: მახსოვს კოსტია... ეს ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი ციმბირელი ყოველ სამუშაო დღეს ჩვეულებისამებრ საათის მომართვით იწყებდა, მერე ცელოფანის მომცრო პარკს ფილოსოფიური სიმშვიდით გაბერავდა და რომელიღაც თაბაშირის მოაზროვნეს თავში წაუშენდა... ანდა იმას რა დამავიწყებს, ჯგუფში ერთადერთი ქალიშვილი, მაყვალივით შავკიკინებიანი ლიუდმილა თიხის ასაღებად რომ დაიკუზებოდა, ყველანი მის ქათქათა ბარძაყებს მივალენჩდებოდით... ის კი აჩა, ახლა, უადგილო ადგილზე თიხის მიგდების გამო ვულკანივით ცეცხლის მფრქვეველ დეიდა ფროსიასაც კი მზრუნველ დედასავით ვიგონებ ხოლმე... ერთი სიტყვით, მთელი ჩემი წარსული სკვერის ფანრებით იყო გაჩახჩახებული.

ახლა კი რა გამოვიდა! აქ, ესტონეთში, ანდა როგორც მას რომანტიკოსები უწოდებენ — ქალწული მარიამის დანისლულ მიწაზე ამ ბუდეაშლილ კრუხივით დაბნეულ კუნძულელთან ერთად უნდა ვიცოდვილო?!. არადა, ამ საბრალოს დანახვაზე გულიც რომ მეკუმშება?!.. ფაქტი ფაქტია და გამოსავალიც არ ჩანს: — მე და აინი უკვე იმ ინდივიდუალური სექტორის უკანასკნელ მოჰიკანებს ვეკუთვნით, რომლებსაც არსად ჩივილის უფლება არა აქვთ... დირექტორსა და სამუშაოთა მწარმოებელსაც კი ვერ დააბეზღებენ...

რაც მართალია, მართალია — აინს ძალიან უჭირდა მუშაობა. მოსამზადებელი სამუშაოც კი, რომელსაც მოქანდაკეთა უმრავლესობა განსწავლული ხელოსნის მომხიბლავი ელეგანტურობით ართმევს თავს, აინისათვის ენით გამოუთქმელი წამება იყო. გაჯიუტებული ინსტრუმენტი არა და არ ემორჩილებოდა მის ხელს... და მე, ყოველდღიურად ამ საშინელების მხილველი, ვითომ რა გუნებაზე უნდა ვყოფილიყავი?

აინმა ოცამდე სხვადასხვა ესკიზი შექმნა, მაგრამ საბოლოოდ ყველას თიხის საყრელ ურნაში უკრა თავი. თიხა ხარ და თიხადვე იქცევი!.. თვითონაც არ ვიცი, რა მინდა, გამომიტყდა ერთ დღეს. ვერც ვერასოდეს გაიგებ-მეთქი, გავიფიქრე. მისი ხელმოცარული მუშაობის შემხედვარეს ნეტავ სხვა რა უნდა მეფიქრა. მართალია ამ გაძვალტყავებულ ბავშვებზე, მოხუცებზე, მუშტებმოღერებულ კაცებზე და დედა-შვილობის სხვადასხვა ვარიანტებზე „დედა ეხ რა ვნახეო“ ვერ იტყოდი, მაგრამ სანაძლეოს ჩამოვდივარ, ყველა მათგანიდან გამოვიდოდა რამე, საქმე რომ ბოლომდე მიეყვანა.

ამგვარ სიუჟეტებში ან კი რა უნდა თქვა ისეთი, შენიც რომ იყოს და ორიგინალურიც? კაცობრიობამ ხომ მონუმენტების ნახევარზე მეტი თავისი ბნელი საქმეების უკვდავსაყოფად აღმართა... და აი, ვიღაც საარმა, აქაც საკუთარი

სიტყვის თქმას ცდილობს! ნუთუ დღესაც არსებობენ შეურყვნელი იდეები?.. რაღაც არა მგონია, აკი ჯერ კიდევ მოხუცმა სოლომონმა გვიქადაგა, მზისქვეშეთში არაფერი არ არის ახალი...

ამდაგვარ შეგონებებს შიგადაშიგ აინსაც ვჩურთავდი ხოლმე, მაგრამ რა!— შენ, მგონი, მართალი ხარო, უმალ კვერს დამიკრავდა და სულ ერთიანად აქლოშინებული ისევ თავისას მიერეკებოდა. — სულო ცოდვილო! ერთი პირობა ინასაც ვფიქრობდი, ჩემს ჯიბრზე ხომ არ იქცევა ასე-მეთქი, თუმცა ამ წამიერი ფიქრის აბსურდულობაშიც მაშინვე ვრწმუნდებოდი. მე და აინი შუშის ქილაში დამწყვდეულ ორ ხოჭოს ვგავდით... და ასეთ პირობებში ადამიანური ლოგიკით რას გააწყობ! მერე და მერე იქნებ ფსიქოლოგიის ისეთი „გეი-ლუსაკიც" გამოჩნდეს, რომელიც ინდივიდუალური შემეცნების, ლოგიკის, სულიერ-პარციალური წნევისა და ემოციათა ტემპერატურის შორის არსებულ ურთთიერთკავშირსაც აგვიხსნის... დღეისათვის კი ჩვენი პარციალური წნევა სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს...

მოსკოვში, სახელოსნოში მუშაობის დროს ყველანი ლაყბობას ვიყავით მიჩვეულნი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ენითა და ხელებით ერთდროულ მუშაობას არავითარი ზიანი არ მოაქვს. ვმუშაობდით, ანეკდოტებს ვყვებოდით, ლიუდმილას ველაზღანდარებოდით და ა. შ. აინს კი, შენც არ მომიკვდე, ვერაფრით ხმას ვერ ამოაღებინებდი. ის კი არა, ყველაზე ეფექტურ ანგლობაზეც დიდი-დიდი ორიოდე სიტყვა ამოეღერღა: „ჰო-ო?", „რას მელაპარაკები!" და ა. შ. სამაგიეროდ ზუსტად ყოველ ორმოცდახუთ წუთში, დიახ, ისე ზუსტად, რომ კაცი საათსაც გაასწორებდი, აინი ნამუშევარს კარგა მანძილზე მოშორდებოდა, სახელოსნოს კართან დადგებოდა და თითებს რატომღაც სამჯერ შეუბერავდა სულს. მერე ცხვირს ერთი ლაზათიანად დაირეკავდა და ისევ საქმეს მიუბრუნდებოდა.

ჭირი და ლხინი ამხანაგებიაო, რომ ამბობენ, მართალი ყოფილა. ის იყო ნერვიულობით გამოწვეული ქავილი ქეცში უნდა გადამზრდოდა, რომ მოულოდნელად, როგორც იტყვიან, მზემ გამოანათა.

ვფიქრობ, არავის არაფერი არ უნდა ჰქონდეს საწინააღმდეგო, თუკი მე ჩემს ფანტაზიას ძუკნა ძაღლს შევადარებ. სამუშაოს დასაწყისი ატეხილობის პერიოდსა ჰგავს: აი მშიერ-მწყურვალი, გამოსავათებული ფანტაზია მოგონებათა ქალაქის დაბინდულ უბნებში დაწანწალებს და მანამდე ვერ მოისვენებს, სანამ არ მოხდება ის, რაც უნდა მოხდეს, ანუ სანამ წამოსაგებზე არ წამოეგება...

უეცრად ორი-სამი ისეთი მზიანი დღე გამოგინათდება, ისეთი, ისეთი, რომ სიხარულით მეშვიდე ცას ეწევი. ამ დროს სამუშაოც გავიწყდება, ვალებიც და ვალდებულებანიც. ასე უზომოდ აცეტებული ქუჩა-ქუჩა დაეხეტები და არა თუ „ცოცხალ კლასიკოსებს", უკვე მათ ცოლებსაც ვერ ამჩნევ, რითაც ძალზედ დიდ ხიფათს უმზადებ საკუთარ თავს. გზადაგზა იმასაც ხვდები, რომ იდიოტურად იღრიჭები, მაგრამ რას იზამ! ასეთ დღეებში ხომ შენს თავს არ ეკუთვნი. და ეს ყველაფერი განა გაღიზიანებს, პირიქით — გეამაყება კიდეც. მაგრამ ასეთი დღეები, სამწუხაროდ, ელვისებური სისწრაფით გარბიან და ესკიზის დამთავრებისთანავე უკვალოდ ქრებიან...

მეორე დღეს შენს ნახელავს საღი თვალით რომ დააკვირდები, გულზე შემოგეყრება და, ეს რა ჯოჯოხეთის მაშხალა გამიკეთებიაო, გაიფიქრებ.

მაგრამ მერე და მერე ნამუშევრის მიმართ თანდათანობით მშობლიური გრძნობა გეუფლება, გადასაგდებად ვერ იმეტებ და შვილივით ინახავ. უფრო მეტიც — ამიერიდან მისთვის სულსა და გულს არ იშურებ, საკუთარ სისხლსა და კალციუმის გლიუკონატსაც კი უნაწილებ... ერთი სიტყვით, იმდენ ხანს ელოლიავები, სანამ ერთ დროს დაწუნებულ შენს პირმშოს ლოყები არ გაუვარდისფერდება.

განა არ ვიცოდი, რომ ბარელიეფის დასრულებულ ფორმაზე თავისტეხვას ისა სჯობდა, აინისათვის დამეცადა. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა შენახა, თუ რა გადაწყვეტას აირჩევდა იგი, მაგრამ ტყუილად ჯდომას ისევ შრომა მერჩია. სხვა გამოსავალი არც მქონდა. სხვათა შორის პრინციპულ საკითხებზე ჩვენ იმთავითვე შევთანხმდით: აინი განწირულთა რამდენიმე ფიგურას გამოაქანდაკებდა, მე კი ხალხის რისხვასა და ვაებაზე უნდა მეფიქრა. ასე რომ, მცირე დამოუკიდებლობას მაინც ვინარჩუნებდი.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი კვირა თვალის დახამხამებაში გაგვიფრინდა, ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მას შემდეგ, რაც მე ბანალურად სევდიანი ალმოჩენის ავტორი გავხდი („ჯოჯოხეთის მაშხალა!"), ყოვლად უცნაური რამ მომეჩვენა: თითქოს ბარელიეფზე გამოსახულ ხალხს თვით მე არ ვყოფნიდი სასაცილოდ. ამის გამო დარცხვენილმა მზერა აინისაკენ გავაპარე. ო, როგორ მინდოდა მასაც ისე მოსცარცოდა ხელი, რომ ინსტრუმენტები იატაკზე დაეხეთქებინა... შენებრ წაბორძიკებულს რომ ნახავ, ერთბაშად დამშვიდდები კაცი. ჩემი აზრით სწორედ ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ბადეში მოყოლილი თევზები ერთხანს მშვენივრად გრძნობენ თავს.

აინს, მართალია, ჯერაც ვერაფერი მოეფიქრებინა, მაგრამ მაინც შეცვლილი მეჩვენებოდა: ჯერ იყო და მისმა ჟესტებმა შეიძინეს მეტი გამბედაობა, მერე კი, სტვენა რომ წამოიწყო, ყური ხომ არ მატყუებს-მეთქი, გავიფიქრე.

ღმერთი გამიწყრეს, მაშინ თუ მისი სტვენის მიზეზი მცოდნოდეს! ეს უფრო მისტიკას ჰგავდა. იმ დღეს აინი სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე მუშაობდა. ერთთავად ხელებს, ფეხებს და მხრებს ძერწავდა... რატომ? რისთვის? ამ პირველი კურსის სავარჯიშოებს ნეტავ რა ეშმაკად დაუბრუნდა? ბოლოს იქამდეც მივიდა, რომ სახელოსნოში ძველთაძველი ანატომიური ატლასი მოათრია! მიუხედავად ყველაფრისა, აინი ვერც ერთ გადაწყვეტას გულს ვერ უდებდა და კიდურების ქაოსს კანიბალის ალტაცებით უკირკიტებდა. ამ ამბავით პირდაპირ თავზარდაცემული ვიყავი.

ბოლოს ავდექი და, რას აპირებ-მეთქი, ვკითხე.

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ მალე მეცოდინება, — დელფოს ორაკულის თავდაჯერებით მიპასუხა აინმა და ჩემს დაუმთავრებელ ბარელიეფს გადახედა,— ყოჩაღ შენ! მაგრად შეგიბერია... — ჩაიბურტყუნა და მთელი თავისი ემოციები ამ ორ სიტყვაში ჩააქსოვა. მერე ისევ ამოჩემებული მელოდია დაუსტვინა და მუშაობას შეუდგა.

მე ხომ მის ადგილზე უფრო სხვანაირად მოვიქცეოდი...

საკუთარ თავში ღრმად დარწმუნებული ადამიანები ყოველთვის პატივისცემას იმსახურებენ. რატომღაც „ხბოსმკვლელი" გამახსენდა. არა, ეს კაცი რაც შეიძლება მალე უნდა შევისწავლო... რაც შეიძლება მალე!

VI

ერთ საღამოს მე და აინი სუფთა ჰაერზე სასეირნოდ გამოვედით. ჩემი ბარელიეფები სულ უფრო და უფრო სრულყოფილ სახეს ღებულობდნენ. აინი კი ისევ ორჭოფობდა, ჭირვეულობდა, ცხვირჩამოშვებული დადიოდა და დუმდა. გული მიგრძნობდა, რომ სწორედ ამ საღამოს ავაწყობდით გულახდილ საუბარს.

ბინდი თითქოს ბუნებრიობისაკენ გვიბიძგებს... მერე და მერე სიბნელეში გამბედაობაც გვემატება და პოზიციობაში ვალეულ დღეს კაბასავით შემოვიფხრეწთ ხოლმე ტანზე! თანაც ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ სხვებიც ასევე იქცევიან. არიან ქალები, რომლებიც მხოლოდ წყვდიადში ბედავენ თავიანთი ენებების გამომჟღავნებას... რაც შეეხება გულახდილ საუბარს, კაცებსაც სიბნელე ურჩევნიათ საამისოდ. ჩვენც ქალაქის გაჩახჩახებულ ცენტრს ვცილდებოდით და კალამაიას ჩაბნელებულ უბანს ვუახლოვდებოდით. სწორედ იმ უბანს, სადაც ქალაქი მთავრდება და ზღვასთან შესახვედრად ემზადება.

უკვე ბევრი რამ ვუამბე აინს ჩემს სიყმაწვილეზე, მოსკოვში გატარებულ წლებზე და სასიყვარულო თავგადასავალზეც კი. ახლა ისიც უნდა ალაპარაკებულიყო! ამასობაში შევნიშნე, რომ მე თვითონ შემეცვალა ლაპარაკის მანერა. ეს, რა თქმა უნდა, ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად მოხდა და გასაკვირიც არაა — ამ უტყვი თანამგზავრის, ჩაბნელებული გარეუბნისა და აპრილის მოღუშული საღამოს შემხედვარე ვითომ რა კალამბურების გუნებაზე უნდა ვყოფილიყავი?!

აინი ყურადღებით მისმენდა და ჯერაც მიწაზე მიყინულ ქვის კენჭებს თავისდაუნებურად გაჰკრავდა ხოლმე ფეხს. ზუსტად ისე, ბავშვობაში რომ „სეირობანას“ ვთამაშობდით.

— აბა მე რა მაქვს მოსაყოლი... კუნძულ საარემაზე დავიბადე და გავიზარდე. ხის გამოთლა-გამოჩუქურთმებით ჯერ კიდევ ბაბუაჩემი და მამაჩემი იყვნენ გატაცებული... სკოლაში სიარული რომ დავიწყე, იმ წელს ბაბუაჩემმა ძვლისტარიანი მოღუნული დანა მაჩუქა. ჰოდა, მეც ავდექი და მაშინვე რაღაცრაღაცების გამოთლას შევუდექი. იმ დროისათვის ეს საქმიანობა მომგებიანიც კი იყო: ერთმა გერმანელმა ოფიცერმა ჩემი გამოთლილი ეშმაკი რომ ნახა, ძალიან მოეწონა და ერთ კილო კარაქში გამიცვალა. მართალია, როგორც შემდეგ გამოირკვა, კარაქში კარტოფილის ფქვილი ყოფილა ბლომად გარეული, მაგრამ ოფიცერს ეს არც ეცოდინებოდა... ჰოდა, ჩემი გამოთლილი ეშმაკი გერმანიაში ცოლს გაუგზავნა — აქაოდა, ნახე, ესტონეთი რა ეგზოტიკური ქვეყანაა...

როგორც შევატყვე, აინი თვითონაც განიცდიდა, არაფერი რომ არ ჰქონდა მოსაყოლი.

— ეს არქაული და ტლანქი მანერა შენი აზრით საიდან უნდა გამოგყოლოდა, ჰა? — ვკითხე მე და მაშინვე ვინანე, ნამეტან კორესპონდენტურ სტილში ხომ არ გამომივიდა-მეთქი. არადა, სულ სხვანაირ, უფრო ბუნებრივ საუბარს ვაპირებდი.

— ეს კი ნამდვილად არ ვიცი, რანაირად არ ვცადე — აი ისეც — თანამედროვეს რომ ეძახიან... არაფერიც არ გამოვიდა! მართლა ასე ტლანქია?

— კი, ტლანქია, მაგრამ ნაღდიც რომ არის? შენს მხატვრულ ჩანაფიქრსაც რომ უხდება?!

დიალოგი ისევ გაცივდა. ასეთი მიხვეულ-მოხვეული გზებით ჟინის გულამდე მისვლა არ მოხერხდებოდა. და სწორედ ამ დროს თავში ამომიტივტივდა იდეა: მასთან ურთიერთობაში გამომეცადა ჩემი „ბუნებრივი ადამიანის თეორია“.

ათი ზრდადასრულებული კაციდან, რომლებიც მაინცადამაინც ადამიანის არსისა და დანიშნულების თეორიებს უკირკიტებენ, ცხრა უსათუოდ იდიოტია (ერთი ნახევრად იდიოტი). ამ სამწუხარო ჭეშმარიტებას, რა თქმა უნდა, მეც უყოყმანოდ ვიზიარებ, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობათა გამო იძულებული ვარ ჩემი პერსონაც იმ სასაცილო საამქროს მივაკუთვნო, სადაც მუდმივ ძრავას იგონებენ... ჩემს მრავალრიცხოვან, ურთიერთგამომრიცხავ ოპუსთა შორის ხომ ყველაზე დიდი პრაქტიკული სარგებლობა სწორედ „ბუნებრივი ადამიანის თეორიის“ ეფექტურ გამოყენებას მოაქვს.

დიახ, უმრავლესობას-მეთქი, ვერ დავიჩემებ, მაგრამ საკუთარი თავის შელამაზების სურვილი, თქვენ რომ გგონიათ, იმაზე მეტ ხალხს აქვს. ამის დასადასტურებლად რამდენიმე მაგალითის მოყვანაც შემიძლია.

კარგა ხანია ერთი რბილი ხასიათის, ცოტა არ იყოს, ქალწულებრივად გაანაზებულ კაცს ვიცნობ, რომელსაც საკმაოდ დახვეწილი ტენორი აქვს, მაგრამ ბარიტონით ლაპარაკს კი ცდილობს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს კაცი ხელოვნურად მოღუშული სახის შენარჩუნების ცდაშია დღენიადაგ. როგორც ამბობენ, ახალგაზრდობაში ბალეტით ყოფილა გატაცებული, ახლა კი მოტოსპორტის გარდა არაფრის გაგონება არ სურს.

როდესაც მსგავსი ხერხებით ამა თუ იმ ნაკლის დაფარვას ვცდილობთ, ყოვლად შეუძლებელია საკუთარ თავში აღმოჩენილმა ფარისეველობამ არ შეგვაძრწუნოს. და რა უსაზღვროა ჩვენი გაოცება, როცა ისეთ ადამიანს შევეჩეხებით, რომელიც არათუ არ მალავს თავის ნაკლსა და სისუსტეებს, არამედ ხმამაღლაც გმობს. (აი, მაგალითად რას იფიქრებდით ისეთ ტიპზე, რომელიც შემდეგი აღსარებით მოგმართავდათ: „საერთოდ, ცხოვრების უკმაყოფილო არა ვარ, მაგრამ ქალებს არ მოვწონვარ და ეს მადარდებს. თუმცა არა, ყველაზე მეტად იმას განვიცდი, ჰკუა-გონება რომ არ გაიმეტა ჩემთვის ღმერთმა...“)

ასეთ გულახდილ ადამიანებს, ჩვენ რომ გულწრფელსაც ვეძახით ხოლმე, რაც არ უნდა ეცადო, ვერავითარ წყენას ვერ მიაყენებ. ამის ცოდნა ყველასათვის სასარგებლოა!

ერთხელ მე და ჩემი მეგობარი რომანი (გამხდარი, წითურა გრაფიკოსი) მართალია, ფულზე ქესატად ვიყავით, მაგრამ საგამოცდო სესიების დამთავრების აღსანიშნავად მაინც რესტორან „პრაღას“ მივადექით. სანამ მაგიდას მივუსხდებოდით, მე ყველაზე მრისხანე სახის მომტანი შევარჩიე, გვერდზე გავიხმე და ყოველგვარი უხერხულობის გარეშე გავანდე: მეგობარო, ჩვენ ამდენი და ამდენი მანეთი გვაქვს-მეთქი, მთლიანად არ გვინდა შემოგვეხარჯოს, რადგან „გუმ“-ში გადასარევი ჩინური ავტოკალმები მიუღიათ-მეთქი და ა. შ. მომტანმა იმწუთშივე დარეხვილად მიმიღო, მაგრამ მე არ დავბნეულვარ და ახლა იმის ახსნას შევუდექი, თუ რა გადასარევი, რა მოოქრული, რა გამძლე კალმები აქვთ ამ მუდმივებს და ფული თუ არ გიჭირს, ერთი ცალი იქნებ შენც იყიდო-მეთქი, ვურჩიე ბოლოს. ყველაფერი ეს ისეთი გულითადობით ჩავუჭიკჭიკე, თითქოს ერთმანეთთან მრავალი წლის მეგობრობა გვაკავშირებდა. ახ-

ლა შედეგს არ იკითხავთ? — „ბუნებრივი ადამიანის“ გულითადობით მომტანი ისე მოიხიბლა, რომ სულ მალე ერთად (!) დავსხედით და ნორმალური პურის საჭმელად რვამანეთ-ნახევარი დავიანგარიშეთ. „არა, შეგვეშალა, რვა-ნახევარი კი არა, რვა! — დავაზუსტე მე. — შვეიცარსაც ხომ უნდა დავუტოვოთ? მაგათ პატარა ხელფასი აქვთ...“

თვალის დახამხამებაში ისეთი სუფრა გაგვიწყვეს, ბარეორ ფულიანსაც რომ შეშურდებოდა: აქეთ ცივი ღვინო, იქით საუზმე «à la carte»-ს სტილში. მოკლედ ჩიტის რძე არ დაგვკლებია. ბოლოს პაწაწინა კიბორჩხალების მაგვარი ისეთი გემრიელი დელიკატესიც დავურტყით, რომ მისი გემო ახლაც პირში მაქვს.

„ბუნებრივი ადამიანის“ როლი სხვა დროსაც დიდი წარმატებით გამითამაშებია. თუმცა „გათამაშება“ რა სათქმელია! — საკმარისია ამ ჰომუნკულუსს ცოტაოდენი სისხლი გადაესხა და სული შთაბერო, რომ წარმატებით გათამაშებული როლი უმალ დამაჯერებელი სინამდვილის სახეს მიიღებს.

— იცი რა, აინ... — დავიწყე მე, — შენ გვერდით რომ ვარ, რაღაც მემართება... სულ ის მეეჭვება, ვითომ საჩემო საქმეზე არ მიკიდია ხელი-მეთქი. — აინი გაოცებით შემომაჩერდა, — ჩემი აზრით, მოქანდაკე სწორედ შენნაირი უნდა იყოს! შენ მიწის შვილი ხარ, აინ! მუხლებამდე ხარ მასში ჩაფლული... მშობლიურ მიწაში ღრმადა გაქვს გადგმული ფესვები. შენ რომ გიყურებ, ასე მგონია, ბუნება სწორედ შენისთანების პირით ლაღადებს თავის სათქმელს... მე უფრო შარანვეტიას ვგავარ. ერთი შეხედვით თითქოს კულტურულ, მაგრამ მაინც აბჩატებულ შარანვეტიას... .მთელი უბედურება კი ისაა, ჩემივე მანკიერი თვისებებით რომ ვიჯგიმები! ახლა ამას ჩემი ჭრელაჭრელა სვიტერები და უცხოური ჰალსტუხებიც დაეუმატოთ და... შენ გგონია, მე ვერ ვხვდები, ყველაფერი ეს სასაცილო რომაა? როგორ ვერ ვხვდები, მაგრამ იმასაც ვიმედოვნებ, ჩემს მიხვედრილობას სხვებიც გრძნობენ-მეთქი. რა ვქნა, ძმაო, ესენიც თუ გავიხადე, ჩემგან რაღა დარჩება?... იქნებ სულ სხვა პროფესია უნდა ამერჩია. მახსოვს, სკოლაში მათემატიკით ვიყავი გატაცებული. ერთ დროს დიფერენციალურ გეომეტრიასაც ვაჭყლეტდი ტვინს. ახლა ვინმემ რომ მკითხოს, რაღა მაინცდამაინც ხელოვნება ამოირჩიეო, შენ წარმოიდგინე, ვერაფერსაც ვერ ვუპასუხებ... — როგორც შევნიშნე, ჩვენ უკვე ფეხაწყობილი მივაბიჯებდით. ეს კარგის ნიშანი იყო! თქვენ თუ გიფიქრიათ ოდესმე, ასე თავგამოდებით რატომ ასწავლიან ჯარში ფეხაწყობილ სიარულს?.. — ეტყობა, ჩემს მეცნიერულ მონაცემებს თავის დროზე შესაფერისი რწმენა ვერ შევაშველე. — გავაგრძელე მე, — ჯერ კიდევ მაშინ ვგრძნობდი, რომ ნამდვილი მეცნიერი თავდაუზოგავი და შეუპოვარი უნდა ყოფილიყო... აბა მაშინ რა ვიცოდი, ამ ქვეყანაზე თუ ყველანაირი მეცნიერი ცხოვრობდა! აბა რა ვიცოდი, წყალბადის ბომბის გამომგონებელი ტელერი სონეტებსაც თუ წერდა!... ოპენჰეიმერი ქალების მუსუსი თუ იყო, ხოლო ჰეიზენბერგი გამოუსწორებელი ავანტიურისტი!.. შენ ვერავინ ვერ წარმოგიდგენს საჭრეთლისა და ოიხის გარეშე, მე კი სრულიად შემთხვევით გავხდი მოქანდაკე...

— მართლა? — სიტყვა ჩამომართვა აინმა. —აბა მე მეზღვაური უნდა გამოვსულიყავი. ხელოვნებაც ძალიან მიზიდავდა, მაგრამ მხატვრებზე თავიდანვე იმხელა წარმოდგენა შემექმნა, ჰალსტუხებისა და სვიტერების გარეშე ვერც ერთი მათგანი ვერ წარმომედგინა. აი როგორც შენა ხარ... — შემომცქე-

რის და იღიმება! — სხვათა შორის ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ნამდვილი მხატვარი შენა ხარ და არა მე... შვიდწლედის დამთავრებისთანავე საზღვაო სკოლას მივაშურე. არ გამიმართლა, მათემატიკაში ჩავიჭერი. ვიფიქრე, საარეშაში რა პირით ჩავიდე, იქნებ სხვაგან მაინც ჩავაბარო-მეთქი... ვიფიქრე, ვიფიქრე და ოდესღაც ხის თლაში ვიღაცისაგან შეგულიანებული ტარტეს სამხატვრო სკოლაში ჩავირიცხე...

ბაწრის მგრეხავთა ქუჩას მივადექით. მახსოვს, ბავშვობაში არა მარტო ამ ქუჩის, მთელი კალამაიას უბნის შიში მქონდა. თანაც ეს შიში უფრო ადრე გამიჯდა ტანში, ვიდრე ამ ქუჩაზე დასახლებული ჯალათებით დამაშინებდნენ.

ახლა, რა თქმა უნდა, არავითარი მოჩვენებისა არა მჯერა, თუმცა იმას კი ვგრძნობ, რომ ამ ქვეყანაზე ყველაფერს თავისი სული უდგას. სადღაც წამიკითხავს, თურმე ძველ საზღვაო რუკებზე ისეთ ადგილებსაც აღნიშნავდნენ, რომლებსაც გემის კაპიტნები განსაკუთრებით უნდა მორიდებოდნენ. თანაც წყალქვეშა კლდეების შიშით კი არა, უფრო იმიტომ, რომ ამ წყლებში ცურვისას ყველაზე დისციპლინირებული მეზღვაურებიც კი უმიზეზო აყალმაყალს ტეხდნენ ხოლმე. რაციონალურ მეცხრამეტე საუკუნეს, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ეს ამბავიც სასაცილოდ არ ეყო და მთელი რუკები სასწრაფოდ გადაყარეთ. ახლა ისევ დაირხა ხმა ნეიტრონულ ძალისმიერ ველსა და ტელეპათიურ კავშირზე... ეს ყველაფერი შეიძლება სისულელეც იყოს, მაგრამ, ვინ იცის, ერთ მშვენიერ დღეს, სამყაროს კანონზომიერებათა ახლებურად გააზრებისას იქნებ ბოჩვენებანიც კი გაითვალისწინონ, როგორც ენერგიის ნარჩენები... მერე და მერე ეს ნარჩენები იქნებ ხალხის სამსახურშიც კი ჩააყენონ...

სანაპირო სველი თოვლით შემოგვეგება. სახეზე და ტანსაცმელზე ფართე ფანტელები გვეფინებოდა. ძველი სახლების სარკმლებიდან თბილი შუქი გადმოიღვარა... სადღაც ფანჯარა გაიღო და მაშინვე გაანჩხლებული ჩვილის გულისგამაწვრილებელი ღნავილი გაისმა, ასეთი გულახდილი ტირილი მარტოდენ ჩვილებს ეზერხებათ! საერთოდ ბავშვებს ბევრი სხვა რამეც გამოსდით გულწრფელად. ბავშვის ღნავილი, იდუმალად მოფარფატე ფიფქები, მოწყენილი ფანჯრები... ყველაფერი ეს ყვითელი სიზმარივით ლღვებოდა.

— კი, ასეა... ჩემს მოქანდაკეობას ეშმაკს უნდა ვუმადლოდე, — გაისმა ფიქრებში წასული აინის ხმა.

— ვის? ეშმაკს?! — ყურებს არ დავუჯერე მე.

— დიახ, ეშმაკს.

ბორჩა, ახლა უკვე არავითარი შეკითხვების მიცემა არ იყო საჭირო. თუ რამე ჰქონდა მოსაყოლი, ისედაც მოყვებოდა. ლაპარაკის საღერღელი მას სწორედ ახლა უნდა აშლოდა. ეგლა მაკლია, ჩემმა ჰომუნკულუსმა, ანუ ხელოვნურად — ბუნებრივმა ადამიანმა ამას ენა ვერ ამოადგმევინოს და ლაპარაკის იშტაზე არ მოიყვანოს!

— ყველაფერი ეშმაკით დაიწყო. მაშინ მე ხუთი-ექვსი წლის ვიქნებოდი. ერთხელ უთენია გამელვიძა. ჩემს და-ძმებს ეძინათ. მამაჩემსაც ეძინა. დედაჩემი საბძლის მოღიავებულ კართან იჯდა და ქსოვდა. იმ დღეებში ჩვენს კრიიტს ხბო უნდა მოეგო. ბებერი ძროხა იყო, ზედიზედ მეორე დღეა წვალობდა. ტიხრიდან გარკვევით მესმოდა კრიიტის ზმუილი და ქშენა. ერთხანს ნავთის ლამპით განათებულ ჭერზე უცნაური ლანდების ბორიალს ვუთვალთვალებდი. ის იყო თვალი უნდა მიმეღლულა, რომ მოულოდნელად შორეული ნაბიჯების

ხმა ჩამესმა. ეს იყო მონოტონური, მძიმე, გრძელი პაუზებით გამოყოფილი ნაბიჯების ხმა... ეშმაკი! გამიელვა მაშინვე თავში — ეშმაკი დაბაჯბაჯებს სადღაც!

თავზე ბალიში წავიხურე... ნაბიჯების ხმა კიდევ უფრო ძლიერად ისმოდა. თვალები მაგრად დავხუჭე და ნათლად დავინახე ეშმაკი — ტალინდრი ეხურა, ფეხზე მეთევზეების ჩექმები ეცვა და დედამიწის კიდეზე სასაცილოდ დააბოტებდა (დედამიწა რომ თეფშივით მრგვალია, ეს უკვე გაგონილი მქონდა), ხოლო თეფშის შუაგულში მეთევზეებით დასახლებული ჩვენი სოფელი თვლემდა.

ეს ჩექმებიანი ეშმაკი კი თეფშს კიდე-კიდე მიუყვებოდა. მე თავზარდაცემული ვიყავი, რადგან რამდენ წრესაც შემოუვლიდა, იმდენი უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა.

მთელი ეს მოჩვენება თავში გადაცემული სისხლის პულსაციის ბრალი ყოფილა. ვიფიქრე, ახლავე ავდგები და ყველაფერს დედას მოვუყვები-მეთქი. ის იყო უნდა წამოვმდგარიყავი, რომ კრიიტი ისევ აზმუვლდა და დედაც მისკენ გაექანა. საბრალო ძროხა ზედ ჩვენს სადგომს მოტმასნოდა, ტკივილებით გაწამებულს ენაგადმოგდებული თავი ჩვენს გამყოფ ტიხარზე გადმოედო და ძალიან უცნაური თვალებით მოგვჩერებოდა, კრიიტის თვალებში ცრემლი კიაფობდა... თეფშის კიდეზე ეშმაკი დააბოტებდა... კრიიტმა ადამიანის გამოჩენამდე უშველა თავს და მკვდარი ხბო შობა. ხბო იყო სულ მთლად ლორწოიანი, ბალანგაცვენილი, გადასლეპილი... ღონემიხდილი კრიიტი მანამდე ბორგავდა, სანამ ყელი არ გამოჭრეს... მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია: აქეთ სანთლისფრად გადასლეპილი ხბო, იქით კრიიტის ცრემლით სავსე თვალები და იქვე ეშმაკი! მე რატომღაც დამნაშავედ ვგრძნობდი თავს — იქნებ ხბო არც კი მომკვდარიყო, მე რომ ეშმაკი არ მეხილა-მეთქი. ბოლოს ისევ დედაჩემმა დამიყვავა, სულელური სიზმარია, ალბათ საბანგადახდილს გეძინაო, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ ეს სიზმარი არ იყო! ნეტავ დედა როგორ ვერ ხვდებოდა ამას! დროთა განმავლობაში ჩემი თავი დავარწმუნე, რომ ეშმაკის ნაბიჯების ხმა მხოლოდ მე მესმოდა... რომ მე რაღაცით ვგავდი კრიიტს... კრიიტს, რომელსაც დედაჩემმაც კი ვერ უშველა...

იმ დღეებში ღმერთს სულ იმას ვევედრებოდი, რათა ეშმაკს გზა-კვალი არეოდა და ჩვენამდე არ მოეღწია, ჩემმა ვედრებამ თითქოს გაჭრა კიდეც — ნაბიჯების ხმა ისე მძიმედ არ ისმოდა. იქიდან მოყოლებული სულ იმას ვცდილობდი, როგორმე ჩემი ბავშვობისდროინდელი გაშეთება გამომეთალა, მაგრამ ყოველთვის რაღაც სასაცილოდ გაჩაჩხული რამ გამომდიოდა... არადა, ის ეშმაკი სულაც არ იყო სასაცილო! და მეც ვთლიდი და ვთლიდი! აი სწორედ ერთი ასეთი ეშმაკთაგანი იყო, იმ გერმანელ ოფიცერს რომ მოეწონა. სამხატვრო სკოლაშიც ეშმაკით მიმიღეს. მერე ტარტუს სასწავლებელი ფრიადოსნის დიპლომით რომ დავამთავრე, ტალინში ჩამოვედი და ტოონელტთან მოვხვდი... ჰო, ყველაფერს ეშმაკს უნდა ვუმადლოდე!

უკვე ზღვასთან ვიდექით. ქარი არ ქროდა. თოვლის ფანტელებიც შეთხელებულიყო. სანაპიროზე ყინულის ტუტლიანი ნალეწები ჩახერგილიყო. რიგრიგობით ციმციმებდნენ შუქურები. ჩვენ გატრუნული ვიდექით და ზღვის სუნთქვას ვაყურადებდით.

— ახლა შენ მომიყევი რამე...

მისი მეტყველება ისევ დაჭუცმაცდა, ისევ თავის თავში გაუჩინარება იწყო. ტანზე პალტო არ ჰქონდა მორგებული, თავზე კი ქუდი. მე ამჯერად სრულებით არაფერი არ მქონდა სათქმელი. თუმცა ამას მანამდეც მძაფრად ვგრძნობდი. რა დასამალია და შურით მისკდებოდა გული... მოჭუტული თვალებით, დანახული მზე, ნაირგვარი სურნელება, ფიქრები ფერთა ლაციაზე და სხვენში მიყრილი გამტვერილი სათამაშოები... ეს იყო და ეს, სხვა რა უნდა მომეგონებინა. აინის მოგონებებთან შედარებით ეს მხოლოდ აბსტრაქცია და უძლურება იქნებოდა! არც ოფლი,.. არც სისხლი!.. მხოლოდ ლიმფა! მხოლოდ შემგუებლობისა და „ბუნებრივი ადამიანის" თეორიები...

— სხვა დროს იყოს, ჯერ შენი მონათხრობის შთაბეჭდილებებიდან ვერ გამოვსულვარ, აინ, — დავიძვრინე თავი მე.

უკან გამოვბრუნდით, შუქურები რიგრიგობით ციმციმებდნენ.

ღმერთო ჩემო, რა გულახდილი ყოფილა! ნუთუ ყველასთან ასე მიმნდობია? მე მუდამ მისი ერთგული უნდა ვიყო! მე ის ყველგან და ყოველთვის უნდა დავიცვა!

აინს გავხედე: დაბალ ტანზე შემოდებული არაპროპორციულად უზარმაზარი თავი, რომელშიც, ვინ მოთვლის, რამდენი უცნაური აზრი ფუთფუთებს...

ო, როგორ მინდოდა აინს ჩემს თვალებში ამოეკითხა ის, რასაც ახლა მთელი სულით და გულით ვნატრობდი: — მოდი დავმეგობრდეთ, აინ!

VII

მაისის დამდეგს მე უკვე კვარცხლბეკისა და ბარელიეფის საბოლოო ვარიანტები მქონდა დამუშავებული, აინს კი ჯერაც ვერაფერი მოეფიქრებინა. დღედაღამ ყან ეფელის „სამყაროს შექმნიდან" გადმოსული ღმერთივით თავის ჯერაც შეუქმნელ ადამის კიდურებს უკირკიტებდა. ამ ბოლო ხანებში ერთთავად ხელებით იყო გატაცებული. მისი საცოდაობით გული მეთუთქებოდა, მაგრამ რა მექნა? რით დავხმარებოდი? საკონკურსო ვადები იწურებოდა... ყველაფერი ზაფხულის დადგომამდე უნდა მოგვეგვარებინა, თორემ მერე მხატვართა კავშირში მკვდარი სეზონი დაიწყებოდა... მთავარია ხელშეკრულების გაფორმება მოგვესწრო და ჰონორარის 25% დაგვეთრია. იქნებ აინს რამეში წაადგეს-მეთქი და საღამოობით, მოცალეობის ჟამს მეც დავიწყე ჯგუფური ქანდაკების ესკიზებზე მუშაობა. თუმცა სიმართლე რომ ვთქვა, უფრო შორსაც ვუმიზნებდი.

ერთ დღეს, გახურებულ მუშაობაში რომ ვიყავი, კარზე ზარის ხმა გაისმა. ეს აინი იყო.

— დღეს რალაც შეუძლოდ გავხდი... მთელი დღე ლოგინში ვკოტრიალობდი... ჰოდა, ესეც მაშინ მოვარდა...

— ვინ მოვარდა? — დავიბენი მე.

— ახლავე ნახავ!

აინი იღლიაში ამოჩრილი გრაგნილის გაშლას შეუდგა, მე კი რატომღაც ავი წინათგრძნობა დამეუფლა.

— აჰა, შეხედე! რას იტყვი, ა?

ასეთმა აღგზნებულმა ტონმა ისე გაშაოცა, რომ პირველ რიგში გრაგნილი კი არა, თვითონ აინი შევათვალიერე. იგი იმ პატარა ბიჭივით გაბადრულიყო.

ვინც ეს წუთია საახალწლო ნაძვისხეზე შეუშლელად წაკითხული ლექსის გამო ნანატრი ციგურებით დააჯილოვეს...

ახლა ყურადღება გრაგნილზე გადავიტანე, მაგრამ თავდაპირველად ვერაფერი გავიგე: მხრები, უკან გადაგდებული თავი და ორი ხელი. მთელი გრაგნილის სიგრძეზე ალმართული ორი უშველებელი ხელი. ... ეს უნდა ნიშნავდეს-მეთქი, გამიელვა თავში.

— ეს ალბათ ხელებია, ხომ?

— კი, ხელებია.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— წარმოიდგინე: ვაკე ადგილზე ამოზნექილი მომცრო გორაკი... უბრალო დაბალი ბორცვი. ყოველგვარი ბარელიეფებისა და სულელური კავრცხლბეკების გარეშე... მხოლოდ გრანიტის ლოდი და იქიდან ამოშვერილი.. .აი, ესენი? ა?

აინს ტანის სიმძიმე ხან ერთ ფეხზე გადაჰქონდა, ხან მეორეზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ერთ ადგილზე ვერ ჩერდებაო.

და მოულოდნელად მართლაც თვალწინ წარმომიდგა ყველაფერი ეს!.. საფლავის ქვის კიდეზე დაყრდნობილი მხრები, კისრის გადაწყვეტამდე უკან გადაგდებული თავი... და ხელები, არაბუნებრივად გრძელი, სიცარიელის მოსახელთებლად გაწვდილი ხელები!

ეს ხელების კივილი იყო!

...აი თურმე რატომ აკლავდა თავს ხელებს!

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მაშ ხელების კივილი, ხომ? არა, ეს უფრო მუქარასა ჰგავს! ყოველ შემთხვევაში, მე რომ ნამდვილად მემუქრებიან, ამას წყალი არ გაუვა!

— კი მაგრამ, ბარელიეფები?

— რა ბარელიეფები? ჰოო... მართლა, გამახსენდა... ბარელიეფები არ არის საჭირო! განა მათ გარეშე უფრო შთამბეჭდავი არ არის? ყოველ შემთხვევაში. მე ასე მგონია.

რა უნდა მეპასუხა?

— ბარელიეფების გარეშე ჯობია, აბა რა! ვაკე ადგილი, ვაკეზე ბორცვი. ბორცვზე ხელები და მორჩა!

ისევ ვდუმდი.

— ჰო მართლა შენ... გამოდის რომ სულ ტყუილად გაისარჯე... ახლა ამაზე ფიქრობ, ხომ? და ფულზეც...

როგორც შევნიშნე, აინი თავისივე მიხვედრილობით გაღიზიანდა. თუმცა მალევე გაუარა.

— ფულს... ფულს გავიყოფთ და ის იქნება! ბოლოს და ბოლოს ფული რა სათქმელია... სანახევროდ გავიყოფთ და მორჩა!

— არა, თავიდანვე რომ გეთქვა...

საშინელი ხელები უკვე ყელამდე მწვდებოდნენ... მახრჩობდნენ, მემუქრებოდნენ!

— კი, მართალი ხარ... უნდა მეთქვა, მაგრამ... — დაიბნა აინი, — მაგრამ ხატი-რჯული! თავიდან მე თვითონ არ ვიცოდი. უბრალოდ ვგრძნობდი, რომ შიშველ ხელებშიც იყო რაღაც... რაღაც ისეთი, რასაც ვერსად ვერ ნახავ... აბა რას წარმოვიდგენდი, შიშველ ხელებსაც თუ შეეძლოთ რამე! გეფიცები. დღეს მივხვდი ამაზ პირველად...

— ვცდილობ დაგიჯერო... — ირონიულად ჩავილაპარაკე მე, თუმცა აინს ჩემს ნახევარტონებში ჩასაღრმავებლად სულაც არ ცხელოდა.

— მიხარია, რომ გჯერა ჩემი, — დაიწყო აინმა, — მაინც რა მაგარი რამე გამომივიდა, არა? არავითარი პოზიორობა და გადაპრანჭული კეკლუცობა! მხოლოდ ხელები და მორჩა, მეტი არაფერი! წამო, სვენ, ერთი მაგრად გამოვთვრეთ! კლუბში წავიდეთ: ამ ხელებს დასველება მოუხდება... ხუმრობა ხომ არაა, ორი თვე ვწვალობდი და ბოლოს მაინც მივაგენი! ახლა ყველაფერი ფეხებზე მკიდია. ახლა მამაპაპურად უნდა შევუბეროთ!

ასეთი აინი მე ჯერ არ მენახა... უსაზღვროდ აღტაცებული იყო და მართლაც ახლადაწყვეტილი ქაჯივით ბობოქრობდა.

— არა, იცი... დღეს არაფრით არ შემიძლია.

— წამო, წამო! ნეტა რა საქმე გაქვს ასეთი?

— არა, მართლა არა მცალია. დღეს ჩემთან... — დაბნეულად დავიწყე მე. მოთმინების ფიალა თანდათან მევსებოდა, — დღეს ერთ ისეთ სტუმარს ველოდები რომ... შენ წადი და მოგვიანებით მეც შემოგიერთდები.

— შენც იტყვი რაღა! რა სტუმარი, რის სტუმარი! ამოჰკარი ჭიტლაყი და მაშინვე კლუბში წამოდი.

აინი პიჯაკის ღილზე მეჭაჩებოდა და გასაქანს არ მაძლევდა.

— ყოველ მიზეზგარეშე გელოდები, იცოდე, შენთვისაც მექნება შეკვეთილი... მე მგონი, ათამდე მოასწრებ... იქ კი მე დავტრიალდები, ღამის ორ საათამდე რომ არ გამოგვყარონ.

— ევასთან ერთად რომ წასულიყავი? — ახალ-ახალ გზებს ვეძებდი მე.

— ევასთან ერთადო? — ხა-ხა-ხა! ევა მინდა ახლა მე?! ქალების მეტი რაა ამ ქვეყანაზე. ევა ხვალაც მეყოფა, ნაბახუსევზე რომ წაიღებს ტვინს თავისი ჭიკჭიკით... აბა შენ იცი, არ დააგვიანო, იცოდე!

ნაბიჯების ხმა თანდათანობით მიწყდა. სახელოსნოში ისევ მარტო დავრჩი.

ჩაი ავადუღე და, ფინჯანში რომ ვასხამდი, მოულოდნელად საკუთარმა ხელებმა მიიქციეს ჩემი ყურადღება: ეს იყო ამაზრზენად უცხო, მოცახცახე, გრძელთითებიანი ხელები... პედანტურად მოვლილი ფრჩხილები... თუ რამ ღირებული გამაჩნია, სულ ამ თითების ნაძერწია! თუ რამ გამაჩნია... ახლა კი რა, უცხო ხელებისაგან დამფრთხალნი ასე უსუსურად უნდა ცახცახებდნენ?.. ჰმ! „ყოველგვარი ბარელიეფებისა და სულელური კვარცხლბეკების გარეშე!“ — ასე არ თქვა?

ჩაის ნაყენი ერთობ მწარე გამოდგა და, ცოტა არ იყოს, გამაბრუა კიდეც.

მართალია, ჯერ ცხოვრებაში სერიოზულ წინააღმდეგობებს არ წავწყდომივარ, მაგრამ პატარ-პატარა სიძნელეებს ყოველთვის ადვილად ვერეოდი და აი, პირველი შავი დღეც გათენდა: ჩემი ნამუშევარი თვალებზე ჩამოშლილი ქულულივით გვერდზე მოიქნიეს... თვითონაც რომ არ მოელოდნენ ისე! ჯერ იყო და კერძის ნაცვლად საკმაზის შენელება მომანდეს, ახლა კი თეფშიდან მწვანილის ფოთლის ამოყრაც მომინდომეს!.. თვითონაც რომ არ მოელოდნენ ისე!

წამოვდექი, შუქი ჩავრთე. რატომღაც სარკეში ჩახედვა მომინდა. ცხვირის წვერი მურით მქონდა გათხვრილი: ღმერთო, ნუ გადამრევ! — ეს მური მაინც საიდან?! თუმცა რა გასაკვირია... ტრაგედიას ხომ ჩვეულებრივად იქ უნდა

მოველოდეთ, სადაც ფორთოხლის ნაფცქვენები ჰყრია... ხოლო როდესაც ყველაზე სანდო ძმაკაცი შენს ცოლს რესტორანში მიაცუნდრუკებს, შენ კი ამ დროს გზაჯვარედინზე დგახარ და გალახული ძაღლივით იმათ არშიყობას უთვალთვალებ, ზუსტად იმხელა ქარი დაუბერავს, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ თავზე ქუდი წაგძვრეს და წუმპეში ჩავარდეს. ასეთია ბუნების კანონები!

ათრთოლებული ხელით ცხვირი გავიწმინდე და ახლა ჩემი თმა შევათვალიერე. ჯერ კიდევ დატალღული ქოჩორი მაქვს. ოდნავ გამეჩხერებული თავის კოჭორი ხშირი თმითაა შენიღბული... საკუთარ თავს ვაკვირდებოდი და მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ საკმარისი იყო ახლა ბელურას ნაბიჯისოდენა პოზიცია დამეთმო და მერე მთელი ცხოვრება კუსავით უკან-უკან ბობღვაში უნდა გამეტარებინა... არა! რადაც არ უნდა დამიჯდეს, მაგრად უნდა დავდგე, თორემ უფერულ ბრბოში გასალღვობად ფოკუსიდან ოდნავ ამოვარდნაც საკმარისია...

ჩაი კიდევ დავისხი.

...თანაც როგორაა დარწმუნებული თავის თავში! გამარჯვებულის თავდაჯერება! — აი მთელი მისი გამომეტყველების ანფასი და პროფილი. კი მაგრამ, ხომ შეიძლება მის ნამუშევარსაც ჰქონდეს ხარვეზი? შეიძლება, როგორ არ შეიძლება, მაგრამ აინის თავში ასეთი ფიქრი არ გაიჭაჭანებს. ეძება, მიაგნო და მორჩა! „ფულს გავიყოფთ და ის იქნება!“ ახლა კი ეს ჩვენი აინი, რომელმაც მარცხენა ხელში ჩანგლის დაჭერაც კი არ იცის, კლუბში ზის და ჭიქებს ატრიალებს... ამისთანასთან დამარცხება, ღმერთმანი, სირცხვილიც კია! „ბოლოს და ბოლოს ფული რა სათქმელია...“, აბა, ბიჭო, შენ ეგა თქვი!

შევეცადე აინის ქანდაკება დასრულებული სახით წარმომედგინა. ცადაღმართული ხელები... აკივლებული ხელები... კი, ნამდვილად შთამბეჭდავი სანახაობაა. იქნებ მართლაც უფრო შთამბეჭდავი, ვიდრე მარმარილოს დაფა, ბარელიეფები და ეს „სულელური კვარცხლბეკები“ იქნებოდა... მაგრამ აბა კარგად დავაკვირდეთ! ხომ შეიძლება ეს „აკივლებული“ ხელები პრიმიტიულადაც გამოიყურებოდნენ?! იქნებ სულაც პაციფიზმისა და აბსტრაქტული ჰუმანიზმის მღაღადებელნიც იყვნენ!.. ერიჰაა, ეს რა ობიექტური ენით ავჭიკჭიკდი... რა გაცვეთილი ეპითეტები დავახეთქე, არა? ოოო... ეს ხომ ამხ. მაგნუს ტეეს ლექსიკონიდანაა. უეცრად პერ-ლაშეზის სასაფლაოზე აღმართული ფაშიზმის მსხვერპლთა ძეგლი გამახსენდა და... მოიცა, მოიცა! ამ საქმეს, მგონი, პლაგიატის სუნიც აუვიდეს?.. თუმცა არა მგონია — ლენინგრადში აღმართულ ფალკონეს „ბრინჯაოს მხედარს“ ხომ მისივე მსგავსი სხვა „მხედრები“ ვერაფერსაც ვერ აკლებენ... ასეთია ქანდაკების ხელოვნება! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე აღმართული ხელები ერთმანეთშია გადახლართული. აინის ქანდაკება კი მთელი თავისი სულით, განწყობილებით, არომატითა და ა. შ. სრულიად თავისებური ძეგლია.

ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ესკიზი კიდევ ერთხელ უნდა მენახა. ჭკვიან კაცს უთქვამს — ეჭვიანობის ჭია სხვა ჭიებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი სულ მუდამ თავის გასუქების ცდაშიაო... ეს თვისებები თურმე სხვა ტკივილებსაც ჰქონიათ!

ისევ ევას შეწუხება ვამჯობინე. ქანდაკების ესკიზები ხომ აინს უსათუოდ სამუშაო მაგიდაზე ექნება მიყრილი. მეც ავდექი და თან წასაღებად ჩემი გრაგ-

ნილი დავახვიე. აი ის, რომელზედაც აინის „მხარში ამოსადგომად“ ჩემეული ესკიზები მქონდა დამუშავებული (თურმე ვის რაში ჭირდები!) და ოცდათხით კი არა, ამჯერად კიბის თორმეტი საფეხურით გავუყევი ზედა სართულისაკენ.

— აინმა შემოგითვალათ, ცოტას გავისეირნებო...

ჩემი მოულოდნელი სტუმრობით შეცბუნებული ევა საშინაო ხალათით გამომეგება. მერე აინის ქაღალდები გადაქექა და ის გრაგნილი გამომიწოდა, რომელსაც მე თვალდახუჭულიც ვიცნობდი.

— ეს არ არის?

— კი, ეგ არის... რა მაგარი რაღაცაა, არა? ნიჭიერი და მოხერხებული ქმარი შემხვდაო, თქვენ უნდა თქვათ სწორედ...

ევამ ჯერ ცერად გამომხედა, მერე კი, დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს მიუჩვეველმა, თანხმობის ნიშნად ღირსეული მეუღლის საკადრისი ღიმილით დამიქნია თავი.

— არც კი ვიცი, როდის მოიფიქრა... ალბათ ახალი ამბავია. დღეს ისე უცნაურად იყო აღგზნებული...

— ძალიან ნიჭიერი ბიჭია, ძალიან! — კვერი დავუკარი მე.

— ღმერთო ჩემო, რა კარებში გავჩერებულვართ! შინ შემობრძანდით.

— უკვე გვიანია და... მხოლოდ ორიოდე წუთით, თუმცა... — ზომიერი პაუზა დავიჭირე და სახე „ჩვენ შორის დარჩეს“ ღიმილზე გადავაწყვე, — მოულოდნელად აინი რომ დაბრუნდეს, რას იფიქრებს...

— ნუ გეშინიათ, ტანსაცმელების კარადაში დაგმალავთ, — გაიცინა ევამ.

— ოო, მაგ კარადაში ჯდომა ბედნიერთა ხვედრია! თქვენი პარფიუმერიის თავბრუდამხვევ სურნელებაში...

— თქვენ რომ ყველაზე გალანტური მოქანდაკე ხართ, ეს მე პირველი შეხვედრისთანავე გამოვიცანი! — აღტაცება ვერ დაფარა ევამ.

სიმართლე რომ ვაღიარო, ამ ევას შთამომავალ ევასთან საუბარი სულაც არ მეპიტნავებოდა. თუმცა იმასაც ვგრძნობდი, რომ ეს მსუბუქი სიტყვიერი ფლირტი ახლა დაკარგულ წონასწორობას აღმიდგენდა... და რაც მთავარია, მარტო არ ვიყავი!

— მაშ შევსვათ სადღეგრძელო თქვენი საარაკო გმირობისა, რომლის წყალობითაც ადვილი შესაძლებელია ხელოვნების ისტორიაშიც ამოჰყოთ თავი! მგონი, ცოტაოდენი გადასაკრავი კიდევ მოგვეძევება...

მართალია, ყველაფერი ეს მეგობრულად, უფრო სწორად მინიატურულად, ოდნავ შესამჩნევი ირონიით წარმოითქვა, მაგრამ ჩემს გასაღიზიანებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. კი, ბატონო, ნამუშევარი მე არ მეკუთვნის და არც არაფერია მასში იხეთი, რასაც ჩემად გავასაღებდი... ოღონდ მთელი უბედურება იმაშია, ეს ევაც რომ სხვის ხარჯზე გასვლას ცდილობს!

— მხოლოდ ერთი ჭიქა... მეტს ვერ დავლევ!

— ნება თქვენია. ახლა იცით, რომელი ანეკდოტი გამახსენეთ? აი ის, რეკიზორზე, ერთ ჭიქაზე და ორ დირექტორზე რომაა, — გადაიკისკისა ევამ და წარღვნისდროინდელი ანეკდოტის მოყოლას შეუდგა.

— მართლაც რა სასაცილო ხალხი ცხოვრობდა წინათ, — როგორც იქნა ჩავურთე მე, — ის კი არა, მოსკოვში სწავლის დროს ასეთი რამის მომსწრე გავხდი: ერთ-ერთი დეკორაციული სახელოსნოს დირექტორი ლოთობის გამო პარტკომში გამოიძახეს და, ასი გრამის გადამხუხავი ნორმალურ მუშაობას თუ

შეძლებსო, ჰკითხეს. შეძლებს და მერე როგორო, უპასუხა დირექტორმა. ორას გრამზე რას იტყვიო, დააყარეს აქეთ-იქიდან. ნამდვილი მუშაობა სწორედ ორასი გრამის შემდეგ იწყებაო, თვალიც არ დაუხამხამებია, ისე მიახალა დირექტორმა, და აი, სწორედ ამ დროს, ესაოდა ყურებით გვაგებინა დაჭერილიო, ერთ ბოთლზე რაღას იტყვიო, ჰკითხეს. როგორც გვაცნობეს, სამუშაო საათებში თქვენ თურმე ასეთ დოზებსაც ღებულობთო. ოო, მაშინ, რა თქმა უნდა, რაღა მუშაკი ვიქნები... თუმცა ნამდვილი ხელმძღვანელობა სწორედ ერთ ბოთლზე შემიძლიაო, მცირედი დაფიქრების შემდეგ გამოტყდა დირექტორი.

წამით ჩემს ხელებს დავხედე. ისინი ღირსეულად და, რაც მთავარია, მშვიდად მისვენებულიყვნენ მაგიდაზე...

— ევა, იცით, მე ერთი რამ მაფიქრებს ძალიან... — მცირე პაუზა დავიჭირე და ძალზედ სერიოზული გამომეტყველება მივიღე, — მოხდა ის, რისიც მეშინოდა... აბა, თქვენ თვითონ ნახეთ! — ვთქვი და მაგიდაზე აინის ესკიზი გავშალე, — აი დაუკვირდით ამ ხელებს. ეს თავისთავად ორიგინალური გადაწყვეტა კია, მაგრამ აბა ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რას იტყვის ამაზე ქიური... იტყვიან ესაო, ისაო, აბსტრაქტული ჰუმანიზმიაო, პრიმიტიულიაო და ა. შ. მისი უდიდებულესობა მაგნუს ტეეს ხმაც ხომ გესმით: „...ბიჭებმა გადაწყვიტეს სამი თითის კომბინაცია მიეშვირათ ჩვენი მებრძოლი ხელოვნებისათვის! დიახ, დიახ! არც მეტი და არც ნაკლები, სამი თითის კომბინაცია! აბა მარჯვენა მუშტს კარგად დააკვირდით..." თანაც ასე რბილად იგი მხოლოდ მეგობართა ვიწრო წრეში იტყვის! და ისიც ფინჯან ყავაზე... ტრიბუნისათვის კი, გაგიხარიათ, იგივე აზრის გამოსახატავად უფრო მძიმე-მძიმე სიტყვებს შეარჩევს!

— სამი თითის კომბინაცია? — თავისთვის ჩაილაპარაკა ევამ, — თქვენ მართლა ასე ფიქრობთ? თუმცა ვინ იცის... ალბათ... ალბათ ტოონელტს უნდა მოვეთათბიროთ.

ევა აშკარად დაბნეული ჩანდა.

— ტოონელტსო? არავითარ შემთხვევაში!

— რატომ?

— რატომ და საციმბიროდ ხელს მოვაწერ, ტოონელტი ამ ნამუშევრით ალტაცებული თუ არ დარჩეს! ადგება და, როგორც ჩვევია ხოლმე, ერთი მოსმით ვეშაპის დაჭერაზე, ანუ ამ ესკიზის დაცვაზე დადებს თავს... ჰოდა, დაგვღუპავს კიდეც!

— თქვენ ღრმადა ხართ დარწმუნებული?

— რაში? იმაში, რომ ტოონელტი პროექტის დაცვას დაიწყებს? არა, ამაში შეიძლება არც ვიყო მთლად დარწმუნებული, ამ ნამუშევრის დაცვა რომ წყლის ნაყვაა, იქნებ თვითონაც კი მიხვდეს...

— ერთი სიტყვით, თქვენ ფიქრობთ, რომ აინის გადაწყვეტა არ შეეფერება...

— ერთი სიტყვით და სამწუხაროდ კი, მე ასე ვფიქრობ. არადა, საგამოფენო ნამუშევარი აქედან ნამდვილად გამოვიდოდა...

— აინს თუ ელაპარაკეთ?

— არა, ჯერ არ მილაპარაკია, — თავი დავხარე მე, —ან კი როგორ უნდა მელაპარაკა... სიხარულით ისე იყო გაგიჟებული, ისე ბობოქრობდა, თითქოს ოთხი წლის წინ დაძინებული დევი გააღვიძესო. ხვალ მოველაპარაკები და

ყველაფერს ავუხსნი. ჩემს ესკიზსაც ვუჩვენებ, მაგისი ოქრო ხელის ამბავი რომ ვიცი, თუ მოეწონა, ხელად დაასრულებს. მთავარია, ვიჩქაროთ, თორემ მაგნუს ტეემ თუ დაგვასწრო, მერე მოგეჭამა ჭირი, ფულსაც დავკარგავთ და...

— თქვენი ვარიანტი უკვე მზადა გაქვთ?

— რა თქმა უნდა, მზადა მაქვს თუნდაც იმიტომ, რომ სხვანაირად ბარელიეფებს ვერ მოვიფიქრებდი. მართალია, მთლად დასრულებული არაა, მაგრამ აინმა თუ მოინდომა, მაგის გაკეთებას რა უნდა.

ამას რომ ვამბობდი, ჩემს გრაგნილს ხელში მორცხვად ვატრიალებდი. ერთი სული მქონდა ევა როდის მთხოვდა, თუ შეიძლება მაჩვენეთო.

— თუ შეიძლება მაჩვენეთ, რა!

— კი, ბატონო, როგორ არ შეიძლება, ოღონდ, როგორც გითხარით, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი და მიჯლაბნილ-მოჯლაბნილია...

ევამ გრაგნილი ჩამომართვა და აინის ესკიზის გვერდით გაშალა. ჩვენი ნამუშევრები ცა და მიწასავით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან: აქეთ, უბრალო სახატავ ფურცელზე დაუდევრად, ხელის ერთი მოსმით შესრულებული „მყვირალა ხელები“, იქით უმაღლესი ხარისხის ცარცის ქაღალდზე წამოჩოქებული ჩემი მეომარი! არა მგონია ამხელა კონტრასტს ევა გაეხარებინოს... დრო მაინც თავზე საყრელად მქონდა და ყველაფერი ჩემს გემოზე გავაკეთე. საგულდაგულოდ დამუშავებულ-დასრულებულ ესკიზზე ასოებიც კი ულამაზესი—სამხაზველო შრიფტით მქონდა გამოყვანილი. სხვათა შორის ესკიზების ზედმიწევნით სუფთად, ფილიგრანულად შესრულებას ისე ვარ მიჩვეული, რომ მთელ თავისუფალ დროს კლასიკური შრიფტის დამუშავებას ვანდომებ. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც ამ ბოლო ნამუშევარს არ აკლდა არაფერი. ნაუცბათევად შესრულებულ ესკიზზე აინს მხოლოდ ორად ორი სიტყვა მიეჯლაბნა: „ესეც თქვენ!!!!“ ამ ორი სიტყვის დაწერამდე აინის შთაგონებით წვერდალეული ფანქარი, ვინ იცის, რამდენს იცოდვილებდა! ასეა თუ ისე, ჩემი არისტოკრატული ესკიზის გვერდით აინის ნამუშევარი ერთობ უმწეოდ გამოიყურებოდა.

ევას ფიქრების გამოცნობა ახლა ძნელი იყო. დაბნეულმა და აფორიაქებულმა „ძალიან საინტერესოა“ თუ რაღაც ამგვარი ჩაილაპარაკა და სასწრაფო საქმის მომიზეზებით სამზარეულოში გაუჩინარდა. მარტო დარჩენილმა ჩემი და აინის ესკიზები ერთმანეთს შევადარე, მაგრამ ახლაც ვერაფერი სანუგეშო ვერ აღმოვაჩინე. ამისთანა ჩოქზე დაცემულ მეომარს ხომ ყოველ მესამე ქალაქში შეხვდებით!

უცებ ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

— აინი იქნება! — გავძახე სამზარეულოში გასულ ევას და ნებართვისათვის არც კი დამიცდია, ისე დავავლე ხელი ყურმილს. ჩურჩულით წარმოთქმულმა ჩემმა „ალო!“-მ — თვითონ გამაოცა.

— ევა საარმა ბრძანდებით? — გაისმა მამაკაცის წრიპინა ხმა, რომელიც რა თქმა უნდა, აინს არ ეკუთვნოდა. წესით და რიგით ახლავე ვთხოვ-მეთქი უნდა მეპასუხა, მაგრამ წრიპინა ხმამ საამისოდ არ დამაცალა და მეც ცნობისმოყვარეობით გავირინდე.

— მხატვართა კლუბის კარისკაცი გაწუხებთ... აი, თქვენ რომ მთხოვეთ დამერეკა, თუკი... მოკლედ თქვენი ქმარი ამჟამად აქაა. მთლად კისერმოტეხილიც არაა, ოღონდ ნამეტანი მხიარულ გუნებაზეა და... სასმელიც ბლომადა

აქვს მომარაგებული... ვიღაც უნდა მოვიდესო, იძახის, მაგრამ ჯერ არავინ ჩანს. იქნებ წაგეყვანათ... თორემ რამდენიმე წუთის წინ ერთ ჭრელსვიტრიან ახალგაზრდა პოეტს აუხირდა... მე, რა თქმა უნდა, ბოდიშს გიხდით.

— გმადლობთ, ახლავე მოვალთ, — რატომღაც ამჯერადაც ჩურჩულით ვუპასუხე მე. კარისკაცი თავისი ჭკუით ევას ელაპარაკა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ყურმილი კი დავკიდე, მაგრამ ერთმანეთში არეული ხმების ზუზუნი კიდევ კარგა ხანს მესმოდა. ყურებში ჩარჩენილი შორეული გნიასი ნემსებივით მჩხვლეტდა. აქეთ ზუზუნი, იქით ნემსები და ამასობაში მხატვართა კლუბიც წარმოვიდგინე მთელი სიცხადით.

აი ერთ-ერთ მაგიდასთან გვარიანად შეზარხოშებული საბავშვო მწერალი მალმი ზის. მომწვანო სახე, სათვალის სქელი შუშები... „მგონი, ჩემი ვიოლინოს მოსატანად რომ მივდიოდე, ის დროა!..“ იქვე პირმრგვალი ახალგაზრდა ქალი ზის და საბავშვო მწერალს აქლემზე შემოსკუპულ გოგონასავით თვალებგაბრწყინებული მისჩერებია. ბრეზენტის „სპეცოვკაში“ გამოწყობილი ახალგაზრდა არქიტექტორი ყოველ ხუთ წუთში ახალ-ახალ მაგიდას იცვლის და გარუჯულ სახეზე რაღაცნაირი მოჩვენებითი ენერგიულობა დასთამაშებს. ვიღაც საესტრადო ფიცარნაგზე ადის და გრძელი სიტყვის წარმოთქმას აპირებს. „ღრმად პატივცემულო საზოგადოებავ...“ ლუღლუღებს იგი.

სადღაც კუთხეში კი მამაპაპურად გამობრუცული აინი ქეიფობს და მე მელოდება. იქეიფებს, აბა რა იქნება! მან ხომ ამის უფლება ერთმანეთზე გადაბმული უძილო ღამეებით, შემოქმედებითი წვითა და დაგვით მოიპოვა!.. ახლა, როდესაც ყველაფერი მიგნებულია, გადაწყვეტილია, დამთავრებულია... და ჩემი შრომა წყალში გადაყრილი!..

„ისე დამთავრალა, კისერიც მოუტეხია! ნეტავ ვინმე მიბეგვავდეს კიდეც... ეგ მე არ ვიდარდო! ნეტავ მილიციაშიც მოხვდებოდეს..“ აი რა ფიქრები მიტრიალებდა თავში.

— აინი იყო? — შემეკითხა ევა და სამზარეულოდან მაშინდელივით ორაგულის ნაჭრებით გაწყობილი თეფში შემოიტანა.

— არა, კობლის საბარგო სადგურიდან დარეკეს, სასწრაფოდ სატვირთო მანქანა გამოგვიგზავნეთ, 3000 ჭილა ტვინის პაშტეტი მივიღეთო...

— რაო, რა მივიღეთო?

— ტვი-ნის პაშ-ტე-ტი! ძვირფასო ამხანაგო მომხმარებლებო, შეიძინეთ ჩვენი მაღალხარისხოვანი ტვინის პაშტეტი!

— ააა... — გაელიმა ევას, —ისევ არასწორად შეგვაერთეს?

— მე ვუთხარი, მანქანიდან სამი სკაროსი გაიბარა და მძღოლი სიდედრის დაბადების დღეზე გამოთვრა-მეთქი...

— წარმოგიდგენიათ, ახლა რომ მართლა...

— მერე ჩვენ რა გვენალვლება! კედელზე თავიც უხლიათ. მოდი მაგათი სადღეგრძელო შევსვათ! ჩვენ კი ჩვენი ტვინითაც გავიტანთ თავს... მაიონეზში ჩაწყობილ მაღალხარისხოვან ტვინს ბლიუს ცხვარივით ინტელიგენციის კონსერვი! ხო-ხო-ხო-ხო, თითებს ჩააკვნეტ... Prozit!

— Prozit! — გადაიკისკისა ევამ. — სიმართლე გითხრათ, არ მევონა, თუ ასეთი ხუმარაც იყავით.

VIII

ჰმ! „ასეთი ხუმარა“... ხუმარა კი არა რეგვენი ვარ [illegible]. ამბი ნახევარ საათში რომ ისევ დარეკავდნენ, ამას ვერ უნდა [illegible]? აინი რომ ერთ გრაფინს გამოწრუპავდა და ორ იმდენს კიდევ შეუკვეთდა, დარეკავდნენ მაშ არ დარეკავდნენ? ხომ იკითხავდა ის კარისკაცი, რომ დამპირდით, რატომ არ წაიყვანეთო... რით გინდოდა მაშინ დაგეძვრინა თავი ან ევასთვის როგორლა უნდა შეგეხედა თვალებში?

ისევ დღეში ჩავვარდი, ერთი პირობა გაპირვაც კი გადავწყვიტე, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე. რას იფიქრებდა ევა? რას და, ეს ჩვენი მოსკოველი ხალტურისტი სვენ ვორე შეთავსებით თეატრმე აფერისტიც ყოფილაო! ღმერთო ჩემო, რამ გამომათაყვანა. დღეს!

— ევა, თქვენ ჯერ ჩემი ბინა არც გინახავთ. შეგვიძლია ახლავე ჩავიდეთ, ორიოდე წუთით... მე ხომ პროფესიონალი ბერბიჭი ვარ და ახალი ბინის მოსაწყობად ორიოდე კეთილ რჩევას თუ შემაწევთ, ერთი ქილა კიბორჩხალების კონსერვი ჩემზე იყოს!

ევა ორჭოფობდა.

— ძალიან გთხოვთ, რა! — მივეძალე მე, — ბარემ სხვა ესკიზებსაც გაჩვენებდით, შემიძლია მწვანე ჩაითაც გაგიმასპინძლდეთ! რიაეტსა და ჰინდემითს მოგასმენინებთ... იცით, ამას წინათ პალესტრინიც კი ვიშოვე... ხომ არ გეშინიათ? — შევლიმე ყოველ შემთხვევისათვის. — ჩემი აზრით თქვენ სავსებით მშვიდად შეგიძლიათ გაერთოთ ცოტა ხნით. ჯერ ხომ არც ისე გვიანია. თანაც თქვენს ქმარს, ისე ვიცი, ტორნელტთან უნდა გამოევლო, — გადავწყვიტე დაჟინებული თხოვნისადმი ქარაფშუტული ტონიც მიმეცა, ხანდახან ეს უფრო ჭრის ხოლმე, — მოკლედ თქვენი ოჯახის მეგობარი დღეს გადასარევ გუნებაზეა... რა, თქვენი აზრით ასეთი აცეტება არ შემფერის, ხომ? გეთანხმებით, სრული ჭეშმარიტებაა. მე ხომ უმკაცრესი ბალტიისპირულ-გერმანული სულისკვეთებითა ვარ აღზრდილი. და აი, ჩემი ასკეტური აღზრდილობა ყურში ჩამჩურჩულებს, რომ ასე გვიან სტუმრობაში არის რაღაც საეჭვო...

ევას დაყაბულებას ბევრი არაფერი უკლდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა: მას ხომ ჯერ არაფერიც არ უთქვამს ჩვენს ესკიზებზე, ვინ იცის, ახლა იმის შიშიც კი გაუჩნდა, ვაითუ ვორეემ საკონკურსოდ სულ სხვა პროექტი წარადგინოს და აინის კონკურენტი გახდესო. ამის გაფიქრება და ეფექტური სვლის მონახვა ერთი იყო.

— ვაიმე! მგონი, უთო დამრჩა ჩართული! ჩქარა გავიქცეთ, თორემ მთელ სახლს გადავწვავთ... — დამდუღრულივით წამოვვარდი მე, ჩემს გრაგნილს ხელი წამოვავლე და გასასვლელისაკენ გავვარდი.

ახლა მთავარია, ისიც მალე მოვიდეს-მეთქი, გამიელვა თავში. ისე ყველა ნატვრა აგიხდეთ, როგორც მე ევა მომყვა ფეხდაფეხ. ორიოდე წუთით შემოვირბინე, ტანზეც კი არ გამომიცვლიაო, ამიხსნა შემოსვლისთანავე. დაპირებისამებრ მწვანე ჩაი გავამზადე და ბოთლში დარჩენილი კონიაკი ჩამოვასხი, ახლა მთავარია, რაც შეიძლება დიდხანს შევიქციო-მეთქი, გავიფიქრე და ფირსაკრავი ჩავრთე.

ჩემი გრამფირფიტების კოლექცია პროფესიონალ მუსიკოსსაც კი შეშურდებოდა. მამაჩემს კლასიკა უყვარდა, მე კი ჩვენი საუკუნის მუსიკას ვმოულობდი

შეძლებისდაგვარად, ვგრძნობდი, რომ თავი ქუდში მქონდა. აინის „ხელები“ უკვე ფეხებზე მეკიდა... ვიცოდი, რომ ამ საქმეს ისე დავადგამდი თავს, როგორც ჩემს მოხერხებულობას შეეფერებოდა. მე და ევამ ცოტა კიდევ მოვსვით და მუსიკას მივაყურადეთ. გაჯიუტებული ჰობოი ცხვირში დუდღუნებდა. კლარნეტი და ფაგოტიც მას ბაძავდნენ, ეს იყო „ანდანტინოს“ „კვინტეტი სალამურისათვის“, რომელშიაც მე ყველაზე ძალიან სარკასტულად მშრალი ალეგრო მომწონდა.

კარგა ხანს ვდუმდით.

ბოლოს ევამ მაგიდაზე გაშლილ ესკიზს დახედა და იდეალურად გულგრილი ხმით მომმართა:

— რომ არ დაგიმალოთ, აინის ნამუშევარი მე უფრო მომწონს... თუმცა თქვენიც მშვენიერია. დამტკიცებითაც უეჭველად თქვენსას დაამტკიცებენ... ცალკე თუ წარადგენთ კონკურსზე. მართლა, მართლა! მე და აინს სულაც არ გვეწყინება. მეგობრობა კარგია, მაგრამ შემოქმედება სულ სხვა რამეა. განა ასე არ არის?

ეს შეკითხვა იმგვარი გულწრფელობით იყო შენიღბული, რომ მავანი საამისოდ დახარჯულ ძალასა და ენერგიას საკადრისად ვერც შეაფასებდა.

— როგორ გეკადრებათ! ეგ რამ გაფიქრებინათ, ევა... ყველაფერს გეფიცებით, ასეთი რამ ფიქრადაც არ მომსვლია! — წამოვიძახე ხაზგასმული აღშფოთებით... და რაც მთავარია მტკიცედ! ახლა ყველაფერი უნდა მეღონა, რათა ევას სასურველი ორჭოფობის გრძნობა ერთი წუთითაც არ განელებოდა.

— რატომ, რატომ? თქვენ ხომ ამდენი იშრომეთ, იწვალეთ... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხელოვნება შეჯიბრია და სხვა არაფერი... ჩემი აზრით თქვენ ყველა უფლება გაქვთ, ჟიურის საკუთარი პროექტი წარუდგინოთ, დამოუკიდებელი... — მომაყარა ევამ და გამჭოლი მზერა ლურსმანივით მომარჭო.

— დიახ, გეთანხმებით, ოღონდ ხელოვნება შეჯიბრია და არა ჭიდაობა. მე ისეთი კი არა ვარ, ფულისათვის ყველაფერზე რომ მიდიან... თანაც აინმა იმდენად ძლიერ გადაწყვეტას მიაგნო, რომ დამოუკიდებელი ნამუშევრის წარდგენით ჯერ კიდევ საკითხავია ვინ ვის აჯობებს. ეს ისე, სიტყვას მოჰყვა, თორემ აინთან შეჯახებისაგან ღმერთმა დამიფაროს. საბედნიეროდ „კულტის“ დრო ისტორიას ჩაბარდა. ასე რომ, გაბედულ იდეებს ახლა შეტი გასაქანი აქვთ.

ერიჰაა, მე უკვე საკუთარ თავს ვუპირისპირდებოდი! ამან კი ევა ბრინჯივით დააბნია.

— ხელოვნებას თავისი განსაკუთრებული ეთიკა აქვს, რომელსაც მე პირადად ყოველთვის დავიცავ, — წარმოვთქვი მეტად სერიოზულად.

ისეთი დუმილი ჩამოვარდა, გულმა რეჩხი მიყო — ნამეტანი ხომ არ გადავამლაშე-მეთქი. ამიტომ გადავწყვიტე სიმძიმის ცენტრისათვის ადგილი მომენაცვლებინა.

— ევა, რაზეც ახლა თქვენ ფიქრობთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოხდება. მთავარია, აინს ჩემი ნამუშევარი მოეწონოს და მის საბოლოო დამუშავებაზე დაგვთანხმდეს. ჭალალდიდან თიხამდე ისეთივე მომჭანცველი გზაა, როგორც თიხიდან ლითონამდე, — სულგრძელად განვმარტე მე, — რა დასამალია და აინი თუ გაგვიჯიუტდა, ე. ი.

მაინცდამაინც თავისი ვარიანტის გატანა დაიჩემა, მთელი შრომა წყალში ჩამეყრება... ჩემი დამუშავებული ბარელიეფები აინის ესკიზს სრულებით არ ესადაგება. მაშ რა გამოდის, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ? — ცხადზე ცხადი იყო, რომ ევა უკვე საჭირო კონდიციამდე მყავდა აფორიაქებული. ღმერთმა ნუ ქნას და ჩემს მოსაზრებებში იოტისოდენა ეჭვი, რომ შეეტანა, ხომ დავიღუპებოდი! — ჯანდაბას ჩემი თავი, რაც იქნება იქნება! მე მზადა ვარ არა მარტო შევცვალო ბარელიეფები, არამედ, თუ საქმეს არგებს, საერთოდ უარი ვთქვა მათზე... სხვათა შორის, გამოგიტყდებით და, აინის ნამუშევრის დამტკიცების იმედი რომ მქონოდა, ჩემს ესკიზს სულაც არ გიჩვენებდით... ეს კი ის ესკიზია, რომელსაც მე არასოდეს არ წარვადგენ საკონკურსოდ! და იცით რატომ? იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ მერე ვერც თქვენ შემოგხედავთ თვალებში და (მხოლოდ საგრძნობი პაუზის შემდეგ)... ვერც აინს!

მოულოდნელად ზეზე წამოვიჭერი და რაც შეიძლებოდა პათეტიკურად განვაცხადე:

— ახლა იცით, რას ვიზამ? ცოტა ხნით დაგტოვებთ და ერთ სა-ინ-ტე-რე-სო ქილას გავხსნი! თქვენ კი შეგიძლიათ უფრო მხიარული ფირფიტაც დასდოთ...

სამზარეულოში გავედი. ღმერთო ჩემო, რაც მე ახლა ევას ვექაქანე, სიყვარულის ახსნას უფრო ჰგავდა. — მართალია, გაუბედავს, მაგრამ მაინც! ახლა ის ღრმადაა დარწმუნებული, რომ ჩემი სახით თავფქვილა ბიჭთან აქვს საქმე და არა საშიშ კაცთან.

— მოგეხმარებით, სვენ! — დამაწია ხმა ევამ.

— არავითარ შემთხვევაში! თქვენ ვერც წარმოიდგენთ, რა საშინელი სანახავია მარტოხელა კაცის სამზარეულო! — გავეპასუხე მე და ოთახის კარი გავიხურე.

განჯინიდან კიბორჩხალების კონსერვი გადმოვიღე და გახსნას შევუდექი. ქილების საჭრელი ძველი დანა კარგა ხანია არაფერს არ ჭრიდა! ისე გავმწარდი, მარმარილოს საფერფლეს დავავლე ხელი და დაბლაგვებული დანის ტარს მთელი ძალით დავკარი. ხიფათიც აქ მელოდა — კონსერვის ქილა გვერდზე გასხლტა და დანის წვერი შიგ ხელისგულში ჩავირჭე!.. სისხლის დანახვას ისედაც ვერ ვიტან და საკუთარი ხელისგულიდან თქრიალით წამოსული სისხლის დანახვაზე ჭკუიდან კინაღამ გადავედი. ონკანი მოვუშვი და ხელისგული ცივ წყალს შევუშვირე. ჭრილობიდან გადმომდინარე სისხლის ყურებას ველარ გავუძელი და დაბალ სკამზე ისე გულშემოყრილი დავეხეთქე, ჩემი თავი მე თვითონ შემეზიზღა.

უეცრად ისეთი საშინელი დარდი შემომაწვა, ისეთი დამთრგუნველი უმწეობის გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩემს თავზე მეცხრე ტალღას გადაევლოს. ნაღდად უაზრობის ყულფში მქონდა თავი გაყოფილი! სულერთია ევა მაინც არ მენდობა ბოლომდე!. აინის ესკიზს ტორნელტი გაიტანს, მე კი იდიოტურ მდგომარეობაში ჩავარდნა არ ამცდება!

დღეს არ იყო, სარკის წინ რომ გამურულ ცხვირს ვიწმენდდი?.. ცოტაც და საკუთარი თავის უმწეობით თავგაბეზრებული ძაღლივით ავყმუვლდებოდი. დამაცადე, აინ! ყველაფერი შენი ბრალია... არ შეგარჩენ, იცოდე! სულ მალე გადაგიხდი სამაგიეროს!

რაღა მაინცადამაინც ახლა გამახსენდა, მეოთხე კლასში რომ გამლახეს... **მაშინ ჩემი** დასმენით ბიჭებმა ორიანები მიიღეს. გაბრაზებულმა ბიჭებმა იმ-

დენი მოახერხეს, რომ ჩვენი ეზოს სამრეცხაოში შემიტყუეს და ცხვირიდან ძმარი მადინეს. ბოლოს კი მათ შორის ყველაზე პატარა მომმეტრდა და სახეში შემაფურთხა. აი ეს არ დამავიწყდება არასოდეს! ისიც კარგად მახსოვს, კიბეზე რომ ავძვერი და სამრეცხაოდან გასულ ბიჭებს ქვები დავუშინე... ზურგს უკან! დიახ, ზურგს უკან!

აი, ასე გულშემოყრილი, ხელებში თავჩარგული ვიჯექი და ეზით გამოუთქმელ ბოლმას ვიგერიებდი. როგორ მინდოდა წამოვმხტარიყავი და ყველაფერი დამელეწა... მართლაც საშინლად გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი ჩავარდნილი.

ცხვირსახოცს რომ ვეძებდი, გულისჯიბიდან დაჭმუჭნული ქაღალდის ნაგლეჯი ამომივარდა.

„მაგნუს ტეესთან დარეკვა!“

ძლივს გავარჩიე გაცრეცილ ქაღალდზე კლასიკური შრიფტით გამოყვანილი სიტყვები.

ნეტავ როდის შემდეგ მიდევს ეს ქაღალდი გულის ჯიბეში? ან მაგნუს ტეესთან რატომ უნდა დამერეკა? აი, კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა მე უკვე აღარ შემეძლო. გახსენების დროც არ იყო! ძლივს გასარჩევი ასოები კოჭლი ჯამბაზებივით მიხტოდნენ თვალებში.

...მაგნუს ტეესთან დარეკვა...

...მაგნუს ტეესთან დარეკვა...

ევრიკა! ხელის ტკივილი ვიღას ახსოვდა. სკამიდან გიჟივით წამოვხტი... კი, ეს ნამდვილი აღმოჩენა იყო!

არა, ისე მაინც რამ გამომათაყვანა, რომ მაგნუს ტეე სულაც არ გამხსენებია! ეს ხომ სწორედ ის კაცია, ვისაც აინის ესკიზი არავითარ შემთხვევაში არ მოეწონება! ახლა ხომ მაგნუს ტეეზე უკეთეს საფრთხობელას ვერც ინატრებ. ეს ის ძველთაძველი, ჩახმახჩაჟანგული იარაღია, რომელსაც გინდა მარილს გაასროლინებ და გინდა საფანტს. ტყვიაც შეიძლება... ბახ! ბახ! ბახ! მე შენ გეტყვი, გავარდნამდე ხეზე დამალვას ვერ მოვასწრებ, თუ რა! მაშ ასე. რა დროს ყურების ჩამოყრაა! ახლა წესით № 8 ოთახში უნდა ვიჯდე, ნაფტალინის სუნი რომ აუდის, იმ ნამცხვარს შევექცეოდე და შიგადაშიგ აინის ესკიზს ვათვალიერებდე: „საოცარია პირდაპირ, ასეთი ნიჭიერი ბიჭი და ამხელა შეცდომა!..“

დიახ! საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ყველაფერი წინაა!

გასასვლელ დერეფანში ფეხაკრეფით გავდივარ, ვაყურადებ... მართალია, მუსიკა ბოლომდეა აწეული, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ტკივა. კიბეზე სირბილით ვეშვები და ჩემი სახლის წინ დადგმულ ტელეფონის ჯიხურში შევრბივარ...

4... 4.. 0... 0.. 3 და 6..

როგორც იქნა, ადგება საშველი. ყურმილს მერვე ზუმერზე იღებენ. და:

— ალოო! რომელი ხარ ამ შუალამისას? — მეკითხება მკაცრი ხმა.

— უკაცრავად, მე გაწუხებთ... სვენ ვოორე...

— ამხანაგი ვოორე? დიახ, დიახ. რა ამბავია? ხომ მშვიდობაა? — როგორც იქნა მზრუნველი ტონი ილანდება მკაცრ ხმაში.

— ასე გვიან შეწუხებისათვის ბოდიშს გიხდით, მაგრამ... მაგრამ საქმე მართლაც ვერაა კარგად. იცით, დღეს აინ საარმამ თავისი საკონკურსო ნამუ-

შევარი მიჩვენა და... მართალია, ამის თქმა ძალიან მიჭირს, მაგრამ... ჩემი აზრით საშინელი რალაცაა... დიახ, რა არ ვუთხარი, საიდან არ მივუდექი, მაგრამ... არაფერი გამოვიდა. ახლა სხვა დროაო, დაუჩემებია...

— როგორ თქვა, როგორ? ახლა სხვა დროაო?

მაგნუსის ხმა უკვე ჩემთვის სასურველ რეგისტრს უახლოვდება.

— რაო მაინც, რა აქვს ასეთი ამ ესკიზზე?

— ორად ორი ხელი! მორჩა და გათავდა. მიწიდან ამოშვერილი ორი მგლოვიარე ხელი. ასეთ ძეგლს იქნებ ვინმე სიურრეალისტის საფლავი კი დაემშვენებინა, მაგრამ... მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია, რა კავშირი უნდა ჰქონდეს ამ მგლოვიარე, პასიურ და მორჩილ ხელებს ჩვენი გმირების საძმო საფლავთან! იმათ საფლავთან, რომლებიც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ... ამ ხელებს რომ ბავშვი, შაშხანა ან ვარსკვლავი ეჭიროთ, კიდევ ჰო!.. ასე ცარიელ-ტარიელი ხელები კი პრიმიტიული პაციფიზმია და მეტი არაფერი! ყოველ შემოხვევაში მე ასე ვფიქრობ... ბევრი ვიდავეთ, ვიკამათეთ, კინალამ ხელითაც გავიწიე, მაგრამ... შეაყარე კედელს ცერცვი! რა კარგი იქნებოდა, თქვენც რომ გენახათ! იქნებ მე ვცდები კიდეც... ასეა თუ ისე, ჩვენ ორში მხოლოდ ერთია მართალი — ან მე, ან აინი! სხვათა შორის აინის ესკიზი ამჟამად ჩემს ხელთაა და თქვენი ნებართვით ახლავე შემიძლია მოგირბენინოთ... თქვენი რჩევა-დარიგება ჩემთვის ბევრ რამეს ნიშნავს...

— თვითონ საარმა სადღაა?

— მხატვართა კლუბშია. ქეიფობს... ესკიზი უნდა დავასველოთ და... სამაგიეროდ ევა საარმაა ამჟამად ჩემთან სტუმრად. თუ არ შეწუხდებით და აქით გვეწვევით, ძალიან კარგი იქნება... აინი ისეთი თავნებაა, რომ ესკიზის განხილვა ევას თანდასწრებით აჯობებს...

— ახლა ისე ვარ დაკავებული... ცოტა ხანს კიდევ მინდოდა მეფიქრა; ერთი მოწინავის პორტრეტზე ვმუშაობ. სამაგალითო მეცხოველეა, კომუნისტური შრომის დამკვრელი! — თავი დაიფასა მაგნუსმა, — ვცდილობ რაც შეიძლება კარგად გამომივიდეს, განსხვავებული კუთხით... კარგი, კარგი, რა გაეწყობა. ცოტა ხნის შემდეგ შემოვიცლი. ოცდაათი-ორმოცდახუთი წუთის შემდეგ შეიძლება?

— როგორ არ შეიძლება, მობრძანდით! დაგელოდებით, მაშ მოწინავე მეცხოველის პორტრეტზე მუშაობთ, არა? იცით, როგორ მაინტერესებს... თუ ნებას მომცემთ, ხვალვე ვნახავდი...

აშკარად ნასიამოვნები მაგნუს ტეე დაუყოვნებლივ ნებას მრთავს.

— ოღონდ ერთი დიდი სათხოვარი მაქვს, — გაუბედავად ვიწყებ მე,— როცა მობრძანდებით, ძალიან გთხოვთ ევას ნურაფერს ნუ აგრძნობინებთ. ვითომ არც გვისაუბრია... რა ვიცი, არ იფიქროს, თითქოს მე... ხომ იცით, მაინც ქალია და... თუმცა ჩემგან არ გესწავლებათ.

ოო, ეს თხოვნა ძალზედ სარისკო იყო. ვაითუ ამხანაგ პრინციპიალს რამე ისეთი ეყნოსა! ამ ჯირკვით პრიმიტიულ მაგნუს ტეეს შენ გაუგებ, როდის რა ჭკუაზეა?

საუბრის დასასრულს ყურმილში ფრუტუნისმაგვარი, გაურკვეველი რეგისტრის ხმა გაისმა. ცოტაც და გულზე მომეშვა — გაურკვეველი ფრუტუნი, როგორც იქნა, ხითხითში გადაიზარდა.

— ეხ, ახალგაზრდობავ, ახალგაზრდობავ! როგორ გაკლიათ მოქალაქეობ-

რივი შემართება... ნეტავი როდის უნდა დაღვინდეთ! კარგით ვოორე, რაც იქნება, იქნება! ამოგიდგებით მხარში!

როგორც შევატყვე მაგნუს ტეე საკუთარი გონებამხვილობით იყო მოხიბლული.

— მაშ გელოდებით...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ყურმილი დაკიდეს.

ორმოცდახუთი წუთი კი არა, ნეტავ ახლავე ჩემთან გაჩნდებოდეს-მეთქი, გავიფიქრე გულში. ეს ორმოცდახუთი წუთი ახლა მთელ საუკუნედ იქცეოდა! შევძლებდი კი ევას ამდენი ხნით გაჩერებას? სხვა გზა არ არის — მაგნუს ტეეს მკაცრი შეფასება ევამ დღესვე უნდა მოისმინოს!.. ეს გულჩვილი ინკვიზიტორი ალბათ ვერც კი წარმოიდგენს, რომ ახლა იგი თავისივე „წმინდათა წმინდა ღონისძიებების“ სასარგებლოდ უნდა მოიჩქაროდეს ჩემკენ... ის კი დამჯდარა და ტალახში ითითხნება! „განსხვავებული კუთხით!“, „მეცხოველე“ „ახლებურად“... ჰმ!

— სად დაიკარგეთ, სვენ, ამდენ ხანს?

— ეშმაკმა დასწყევლოს! აი, ქილების გასახსნელი დანით ხელი გავიჭერი...

— ოჰ, რა ხართ მაინც ეს ხელოვანი ხალხი, — შემიბრალასავით ევამ და ხელები ერთ პოზაში გააქვავა, — ჩემი აინიც ასე მოუხერხებელია. ბინტი მაინც თუ გაქვთ?

ევამ გაჭრილი ხელი შემიხვია და ისევ მაგიდას მივუჯექით. ჩემი სტუმარი მსუქან-მსუქან კიბორჩხალებს ირჩევდა და თავისი წვერწამახული, მეჩხერი წინა კბილებით დაუნდობლად კვნეტდა. მისი ღრმა რწმენით, მე იმიტომ დავყოვნდი სამზარეულოში, რათა ჩემივე ბოლო ფრაზის ალზე დავმწვარიყავი... „ვერც თქვენ შეგხედავთ თვალებში და...“ მახსოვს, ეს სიტყვები განსაკუთრებული სიმორცხვით წარმოვთქვი... სიყვარულის აზსნასავით. ევა ჩემს ამნაირ დამორცხვებას ნამდვილად არ მოელოდა. ახლა იგი მშვიდად იჯდა, მე კი სულ იმის ცდაში ვიყავი, თავი ხელში ამეყვანა და როგორმე დავწყნარებულიყავი. ამიტომ მივაყარე და მივაყარე:

— ახლა, სამზარეულოში ყოფნისას, იმასთანა გენიალური იდეა მომივიდა თავში, რომ, მართალია, მასზე მთელ იმედებს ვერ დავამყარებთ, მაგრამ ჩემი აზრით დაკარგვითაც არაფერს დავკარგავთ. ევა, ჩვენ რომ დიპლომატიის ოტისოდენა ნიჭი გვქონოდა, აბა თუ მიხვდებით, ვისთვის უნდა გვეჩვენებინა პირველ რიგში აინის ესკიზი? — ამ სიტყვებზე დინჯად ვდგები, კარადიდან ფაიფურის მინიატურულ თოჯინას ვიღებ და ხელში ვათამაშებ, — როგორ ფიქრობთ, ვისთვის უნდა გვეჩვენებინა? ვისთვის და მისი უდიდებულესობა მაგნუს ტეესათვის! მაშ!

— რატომ მაინცდამაინც მაგნუს ტეესათვის? ეს ხომ გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული... — დაეჭვებით იკითხა ევამ და მინიატურულ თოჯინას დააცქერდა, რომელსაც ეს-ესაა სალტო-მორტალე გავაკეთებინე.

— კი, გარკვეულ რისკთან თითქოს მართლაც არის დაკავშირებული... ყოველ შემთხვევაში, მაგნუსი რომ უსაზღვროდ გაიხარებს, ეს უდავოა, რჩევადარიგებას რომ ვთხოვთ... ესკიზს რომ ვაჩვენებთ, ამის შემდეგ კრიჭაში კი არ ჩაგვიდგება, პირიქით, ჩვენს მხარეზე გადმოვა. „სასარგებლო აზრებს“ შეგ-

ვაწევს, ე. ი. ყურებით გვეყოლება დაჭერილი! თანაც მე საკმაოდ კარგი თვალით მიყურებს. ამას წინათ საკუთარ ბუნაგში ვეწვიე და საათნახევრიანი ლექცია მაჯახა „ჩვენი ხელოვნების წინაშე დაყენებული გრანდიოზული ამოცანების შესახებ“. ჰოდა, ჩვენც ავდგეთ და ჩვენი „გრანდიოზული ამოცანა“ შევთავაზოთ. სულერთია, რაც არ უნდა ვეცადოთ, მაგნუსს მაინც ვერ ავუვლით გვერდს, გინდა არ გინდა, თავისი სიტყვა მაინც ხომ უნდა თქვას. მაგის სიტყვას კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ წონა აქვს... ასე რომ, ახლა გვაქვს ყველაზე კარგი მომენტი და ამ მომენტს დაუყოვნებლივ გამოყენება უნდა! ცდას რა უდგას წინ...

— დიახ, ლოგიკურია... — აღიარა ევამ.

— მე კი აინის ჯიუტი ხასიათი მაფიქრებს. ვაითუ მაგნუსის რჩევა-დარიგება ყურად არ იღოს... აინი ჩვენი დროისათვის გადაჭარბებულად გულწრფელიც კია. მართალია, მაგნუსი სისულელეს ურჩევს, მაგრამ... ეხ, ნეტავ თქვენ ყოფილიყავით ჩემი თანაავტორი, ევა! მართლაც ყველაფერს მოევლებოდა. მე და თქვენ უფრო ადვილად შევთანხმდებოდით...

ევას თვალი თვალში გავუყარე და შპარგალკების ვირტუოზულად გამომყენებელ მოსწავლესავით გავიღიმე.

ჩემი თანამოსაუბრე აშკარად აფორიაქებული ჩანდა.

— ერთი სიტყვით, ამაზე დაფიქრება ნამდვილად ღირს... დარწმუნებული ვარ, თქვენ თანდათანობით შეაჩვევთ აინს იმ აზრს, რომ ხვალ-ზეგ მე და მას ტეესთან ლოცვა-კურთხევა მოგვიწევს, — დავასრულე მე.

— დაფიქრება ნამდვილად ღირს, — გაუბედავად ჩაილაპარაკა ევამ.

ახალი ფირფიტები გადმოვიღე და ისევ მუსიკას მივუგდეთ ყური. ნირწამხდარი ვიჯექი. მართალია, მაგნუსის ვითომ მოულოდნელი ვიზიტი მშვენივრად მოვამზადე, მაგრამ იყო კი ახლა მისი მოსვლა საჭირო?

მაგნუსის აქციები სულ უფრო და უფრო ეცემა... ჩვენი ხელოვნება აღორძინების გზაზეა. ადამიანები დღითი დღე უფრო ენდობიან ერთმანეთს... უკვე აჩრდილებიც აღარ გველანდებიან... მერედა ღირს კი ასეთ პირობებში მაგნუს ტეესთან მეკავშირეობა? ფრიად საეჭვოა! მთავარი სვლების დროც დადგა, ოღონდ ფრთხილად! მოჩქარეს მოუგვიანდესო, ნათქვამია.

ვინ მეტყვის, სწორად მოვიქეცი თუ არა, მაგნუს ტეეს რომ დავურეკე? მე მგონი, არ უნდა დამერეკა... ოღონდ ევას ჩემი შეშფოთება არ შეემჩნია და ენას არ ვაჩერებდი. მაგალითად, მთელი სერიოზულობით ვამტკიცებდი, რომ თუ კიბორჩხალებისა და ხიზილალის წარმოება საგრძნობლად გაიზარდა, გარდუვალ ომს უნდა ველოდეთ-მეთქი... მიუხედავად ჩემი ბუნდოვანი წარმოდგენებისა მაინცდამაინც ჰინდემითისა და ბახის ბოლიფონიებს ვადარებდი ერთმანეთს... დაუზოგავი ლანძღვა-გინებით ვიკლებდი დასავლეთელ მეშჩანთა საცხოვრებელ სახლებში გავრცელებულ ნეოროკოკოს — რალა გვეშველება, ჩვენს სკამებსაც თუ ასე უკულმართულად მოუგრიხეს ფეხები-მეთქი... მაგნუს ტეეს მოლოდინით გულგაწვრილებული, ენაგაუჩერებლად ელაპარაკობდი და ვლაპარაკობდი.

და სწორედ ამ დროს გაისმა ის, რასაც ასე ჩქარა არ ველოდი! კარებზე ზარს რეკავდნენ.

IX

— ეს წუთია ერთი გრაფომანი კინაღამ შემომელახა! — კარის გაღებისთანავე მომახალა აინმა.

ისეთი კისერმოტეხილი იყო, ენას ძლივს აბრუნებდა. მოუსმენელობისაგან ადგილზე გავიყინე. აინმა კი პალტო გაიხადა, წინა ოთახში შემოალაჯა და ხელში ვარდისფერ ქაღალდში შეხვეული კონიაკის ბოთლი მომაჩეჩა.

— აჰა! თითოც დავლიოთ... გელოდე, გელოდე... ჰოდა, რომ არ გამოჩნდი, ვიფიქრე, ახლავე წავალ და მაგის სტუმარს დედას ვუტირებ-მეთქი... რა, არა გჯერა? აბა მიყურე... — ჩაიხითხითა აინმა, მერე თვალი ჩამიკრა და ტუჩები ღილივით დაამრგვალა, — არა, ძმაო, თუ ეს სტუმარი შენთვის სასიამოვნო ბანოვანია... შეუძლია ჩვენთან ერთად იპურმარილოს.

აინი არყის სუნით ყარდა. არ ვიცი, საკუთარი თავის ქალა რაღა მაინცადამაინც დაცარიელებულ ფუღუროს შევადარე! ფუღუროს კი არა, კისრიდან წაწყვეტილ საჰაერო ბუშტს, რომელიც ზევით-ზევით მიფარფატებს...

— მაგის დალევას მოვესწრებით, — მანიშნა აინმა ბოთლზე და ოთახში შესასვლელი კარი გამოაღო.

და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო!

— შენ?! — შეჰყვირა აინმა და ადგილზე გაქვავდა.

ცოტაც და საშინელი სკანდალი დაიწყებოდა... აინს გვერდი ავუქციე და თვალის დახამხამებაში ევას გვერდით აღმოვჩნდი.

— კი მაგრამ, შენ აქ საიდან?

— შენ თვითონ საიდან? — მიამიტურად შეჰღიმა ევამ. ეტყობა, ჯერაც ვერ ხვდებოდა, თუ რა გატიალებული იყო მისი ქმარი, — მე და სვენი გეგმებს ვაწყობდით...

— აჰ, გეგმებს აწყობდით? გასაგებია... გასაგებია... — თავზარდამცემად ჩახლეჩილი ხმა ამოუშვა აინმა, — მაშ ეგ იყო ის შენი სტუმარი, არა? — მომიბრუნდა მე. თუმცა პასუხს არც დალოდებია, ისევ ევას მიაშტერდა. გაოგნებულ სახეზე ისეთი გულუბრყვილო ღიმილი დასთამაშებდა, გეგონებოდა, ჯერ კიდევ პატარა ბიჭუკელაა და უეცრად გატეხილ სათამაშოს დასჩერებიაო. ბოლოს პირი დააღო და მისი უაზრო ღიმილი მთელ სახეზე გალღვა...

ზურგს უკან მოღიავებული კარის ჩარჩო ახლა არარაობაში გასაძრომ იმ შავ ხვრელსა ჰგავდა, რომლის ფონზეც აინი, ეს საშინლად დაპატარავებული აინი, რეალური სამყაროდან გამოცხადებული მოჩვენება გეგონებოდათ.

ამასობაში აინის სიმთვრალე ევამაც შენიშნა.

— დიახ, დიახ, გეგმებს ვაწყობდით!.. — დაბნეულად გაიმეორა მან და მუდარით სავსე თვალებით შემომხედა.

— ღმერთო, მომკალი, ესენი აქ გეგმებს აწყობდნენ, მე კი ხელი შევუშალე! წარმოგიდგენიათ?.. შენ მაინც რაღას მიმალავდი! გეთქვა პირდაპირ...— მომიბრუნდა მე.

— კარგი რა, სისულელეებს ნუ როშავ, აინ! — ხმადაბლა ჩავილაპარაკე მე. დიახ, ხმადაბლა, თორემ აბა ერთი ხმამაღლა გადამეხარხარებინა ანდა ფერდში მუჯლუგუნი მეკრა, იმწამსვე დაცხრებოდა! მე კი მისი მალე დამშვიდება რატომღაც სულ არ მინდოდა. ამას თუ მაინცდამაინც რქადადგმულად წარმოუდგენია თავი, ნეტა მე რაში მენაღვლება-მეთქი, ვფიქრობდი გულში.

— შენ მთვრალი ხარ, აინ! — გაისმა მკაცრი ხმა. ნერვიულობისაგან ევას ქვედა ტუჩი და ნიკაპი უკანკალებდა. სანერვიულო კი ნამდვილად ჰქონდა: სტუმრის პირობაზე საკმაოდ გვიან მოსულს, ტანზეც ნამეტანი შინაურულად ეცვა.

— მერე რა, მთვრალი რომ ვარ! აკი ყველა თავის ჭკუაზე ატარებს დრეს... ასე არაა, სვენ? თუ მოგეწონა მაინც ჩემი ცოლი? — აინის თვალებში ავის მომასწავებელი ალი აკიაფდა. პირის ჭრილის კიდეებზე წითლად გამონაყარი შევნიშნე. — თუმცა, ჩემი აზრით, ევა არცთუ დიდ პატივს უნდა გცემდეს, ხომ ხედავ, რა დაუდევრადაა ჩაცმული! ამ საშინაო კაბით ხომ ეს უცოდველი კრავი ყოველდღე სამზარეულოში დაცუქცუქებს და გემრიელ ნამცხვრებს მიცხობს... თუმცა რა მოხდა მერე — პირველად ხომ არ არის აქ, ხომ? ახლა რაც შეეხება საცვლების საკითხს... რაც მართალია, მართალია — ამჯერად საცვლებზე ვერაფერს ვერ ვიტყვი!

და მოულოდნელად ისეთი სიცილი აუტყდა, ისე უშნოდ აბუყბუყდა, თითქოს პირში წყალი ჰქონოდეს დაგუბებული. საკარძელში ჩაეხეთქა და აქეთ-იქით თავის კანტურს მოჰყვა.

როგორმე მთლად არ უნდა გაგიჟებულიყო.. ევას გავხედე. ცხვირსახოცს აცოდვილებდა.

— აინ, ძვირფასო, რა მოგდის? რეებს ბოდავ... არ გრცხვენია, აინ? — დაიწყო ევამ და აინისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— მომწყდი თავიდან! — მთელი ხმით დაიღრიალა აინმა და ამიკაკით მოწამლული ვირთხის გაბოროტებული თვალებით შემოგვხედა. უკვე აღარ ხითხითებდა. ყველაზე მეტად ხომ სწორედ მის ხითხითს გამოვყავდი წონასწორობიდან! მე კი დავმშვიდდი, მაგრამ სასკანდალო სცენები უკვე გადადიოდა წრე-გადასულ აურზაურში.

— შენ იცი, რას გეტყვი, ვაჟბატონო! ბლომად გიხუხია და ვერ კი მოგინელებია... რა გააჭირე საქმე ბოლოს და ბოლოს, ან ამ ქალს რას ერჩი? — შევუბღვირე მე საკმაოდ მკაცრად, მაგრამ რად გინდა, აინს ჩემთვის სულაც არ სცხელოდა.

— ახლავე შეგიძლია შეიტანო განცხადება განქორწინებაზე, ახლავე! ერთი წუთითაც არ გაკავებ... — გაჰყვიროდა ის.

ზომაზე მეტად აფორიაქებულთა შორის მშვიდად ყოფნა, ცოტა არ იყოს, სასიამოვნოც კი ყოფილა.

— აინ, თუ ხვდები მაინც, რაებს როშავ? — ღიმილით წარმოვთქვი მე და თმაზე ხელი გადავისვი.

ევამ მადლიერი მზერა მომაპყრო. ო, როგორ მიხაროდა, რომ ახლა იგი თვალნათლივ ხედავდა იმ განსხვავებას, რაც ჩემსა და აინს შორის იყო.

— ნუთუ შენთვის ასე ძნელია იმის წარმოდგენა, რომ კაცი და ქალი შეიძლება ცალკე ოთახში იყვნენ, მაგრამ არ... — წამოდგა ევა.

— კარგად გიცნობ, რა ჩიტიცა ხარ! — დაჭრილი დათვივით დაიღრიალა აინმა. ამისთანა ფლეგმატური ტიპი თუ ასე სხაპასხუპით შეძლებდა სიტყვების ამოსროლას, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. — აბა რა საერთო გაქვთ თქვენ ერთმანეთთან, სხვა რა უნდა გეკეთებინათ, რა?!

გრიგალი სადაცაა ჩადგებოდა.

— რა და შენ რომ ვერ წარმოგიდგენია, ის, — აინის ავადმყოფური ისტე-

რიკის დაცხრობისთანავე გადმოხეთქა ჯებირი ევას მოთმინებამ. არადა, მე ხომ ვიცი, რომ ეს ჭიჭყინა ლოცმანი ნამდვილად კეთილშობილური განზრახვით მოცურდა ჩემთან...

— სანამ შენ სასმელში იხრჩობოდი, აი ჩვენ რაზე ვსაუბრობდით! — აინის ესკიზს წამოავლო ხელი ევამ.

— მერედა შენ რა გაგეგება ქანდაკებისა! როდის იყო, რომ ჩემს საქმეებში ცხვირის ჩაყოფას გთხოვდი?... თუ ამას უყურებ... ამ აფერისტს წესით იქით უნდა ვასწავლიდე! — ისევ დაიღრიალა აინმა.

— კარგი რა, აინ! გეყოფა აწი... ხომ იცი, რომ ახლა შენგან არაფერი არ მეწყინება... აბა რა აზრი აქვს ახლა შენთან კამათს! ასე ავადმყოფურად ეჭვიანი თუ იყავი, ნამდვილად არ ვიცოდი...

არა, ეჭვიანი მართლა არ მეგონა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ყველას თავისი სისუსტე აქვს და აინიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანია. მით უმეტეს, ვინ იცის, იქნებ თავის შეუხედაობასაც გრძნობს და იმასაც, ევას გარდა რომ არავინ შეიყვარებს. საბრალო ბიჭი! — ირონიული თანაგრძნობით გავიფიქრე მე.

აინი არავითარ თანაგრძნობას არ საჭიროებდა. ჩამქრალი თვალები ერთი წერტილისათვის გაეშტერებინა და ყველაფერზე ეტყობოდა, რომ მისი მღვრიე ფიქრები ახლა დასაკარგავში დაეხეტებოდნენ. მოულოდნელად მთელი ტანით შემოტრიალდა და ისედაც პირგამეხებულ ევას უხეშად მიახალა:

— ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელია! ხომ არ დაგვიწყებია, რით და როგორ მოხვედი კომეტსიდან... როგორც იტყვიან, ყველაფერი მეორდება! ოღონდ მაშინ მე ამასავით მომენტებით არ მისარგებლია...

ოთახში ისეთი დაძაბულობა ჩამოწვა, სადაცაა ფიზიკურად ხელშესახებიც გახდებოდა. მიტკალივით გადაფითრებულ ევას გრძელი ფრჩხილები ხელისგულებში მაგრად ჩაერჭო და მისი თეთრი პირისახის ფონზე წითელი ჰომადა ისე ამაზრზენად გამოკვეთილიყო, როგორც მიცვალებულის კბილებში გაჩრილი მიხაკი.

აინი ნებიერა ბიჭივით ამრეზილი იდგა. „ესეც შენ! მიიღე თუ არა! მიიღე თუ არა!“ იკითხებოდა მის თვალებში. სხვათა შორის ახლა ენაც რომ გამოეყო, ცალ ფეხზე ახტუნებულიყო და სულ „ხომ გაჯობე! ხომ გაჯობეო!“ ეძახა, არც კი გამიკვირდებოდა. ევას წონასწორობიდან გამოყვანას, ეტყობა, დიდ წარმატებად თვლიდა.

აი სწორედ ამ დროს გაისმა დელიკატური ბიმ-ბომ! ამ ხმას მამიდაჩემისაგან მემკვიდრეობით მიღებული კედლის საათი გამოსცემდა. მართალია, ეს შვეიცარული რელიქვია კარგა ხანია აფრენდა, ანუ უკან-უკან რჩებოდა, მაგრამ ხავერდოვან ზარისცემაში დღემდე ვერც ერთი საათი ვერ შეედრებოდა! თავის აკუსტიკურ შედევრს ყოველცისმარე ისეთი გულმოდგინებით გამოსცემდა, როგორც გადაყრუებული დონ ჟუანები არიგებენ ხოლმე თავიანთ იაფფასიან ქათინაურებს. აი ახლაც გადამტკბარი შოკოლადის ბომბების ზუზუნივით ჩამესმოდა იმისი ბიმ-ბომ! ბიმ-ბომ! ბიმ-ბომ!

ამ მოულოდნელ საათის რეკვას ყველამ ისე ერთდროულად მივაყურადეთ, თითქოს ეს წუთია ვილაცამ „არ ითვლებაო!“ დაიძახა და ჩვენც წესების მკაცრად დამცველი ბავშვებივით უმალ შევწყვიტეთ თამაში... რაც მართალია მართალია, ერთ რაღაცაში ნამდვილად ვგავართ ერთმანეთს ადამიანები: ახალბედა დრამატურგებისა არ იყოს ტრაგიკულ სიტუაციაში მოხვედრისთანავე მელოდ-

რამაში ვვარდებით ხოლმე .აბა ერთი განრისხების ჟამს დაუკვირდით საკუთარ თავს, — ასეთ დროს ალბათ თქვენც ცუდი ფილმების პერსონაჟებს ბაძავთ...

საათის რეკვა დასრულდა. ევას გადავხედე.

— შენ ბოდავ!

ქუჩის გოგოს ვულგარულად კაპასა ხმით წამოიყვირა ევამ და მისი მრგვალი სახე რატომღაც კვადრატული გახდა. ეს იყო ულამაზო, უხეში, აბსოლუტურად არაქალური სახე. ოთახში ისევ მრისხანების ბურუსი ჩამოწვა. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მაგიდისა და სკამების წაწვეტებული კუთხეები შუბლზე კოპის დასაჯენად მემუქრებოდნენ.

— ხედავთ, სვენ, რა აუტანელ კაცთან მიხდება თურმე ცხოვრება?

სავარძელი ბოლმიანი ჭირჭილით აივსო. ევას კი ამასობაში საგრძნობლად დაურბილდა ხმა და შესაბრალისად მოკუმულმა მისმა ვნებიანმა ტუჩებმა ოქროცერცვას ლებანი გამახსენა რატომღაც.

— ღმერთო! მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, —უმწეოდ ჩაილაპარაკა მან და თვალებზე ხელებაფარებული გასასვლელი კარისკენ გაემართა. და ამ დროს თანაგრძნობის ნიშნად მხარზე რომ მოვხვიე ხელი, თავბრუდამხვევი სურნელება მომხვდა ცხვირში... ჩვეულებრივად ყველა აცრემლებულ ქალს მოცელილი თივის ტკბილად ჩახუთული სუნი აუდის ხოლმე...

— აატირე ქალი და გიხარია, ხომ? — ევას გასვლისთანავე მივუბრუნდი აინს. თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა მართლა მეცოდებოდა ეს ქალი. მით უმეტეს, გაცილების დროს წამიერად ნაგრძნობი მისი ხერხემლის სითბო ჯერ კიდევ მიღიტინებდა ხელისგულზე. ორიოდე წუთის წინ ისიც კი წარმოვიდგინე, თუ რა სიამოვნებით დავამშვიდებდი ამ უმწეო არსებას ჩემს ლოგინში... დიახ, პატივცემულო კოლეგა! ვინ იცის, იქნებ მომავალში შენი ეჭვიანობა სულაც არ გამოდგეს უსაფუძვლო!

აინი ხმას არ იღებდა. ხელებში თავჩარგულს მხრები უცახცახებდა, ჭიქაში დარჩენილი კონიაკი გადავკარი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ფეხი იატაკზე დავკარი.

— შეწყვიტე ბოლოს და ბოლოს ეს მელოდრამა! ახლავე წადი და შენს ცოლს პატიება თხოვე...

— კი, მაგრამ შენ ვისი არამკითხე მოამბე ხარ?!

კიდეც მეზიზღებოდა და კიდეც მეცოდებოდა ეს კაცი.

მახსოვს, მოსკოვში სწავლის დროს ერთ შუახნის ქალს შევუყვარდი, იმას კი შევუყვარდი, მაგრამ მე აზრზეც არ ვიყავი. მართალია, ეს ჩათქვირებული ქალი სილამაზით არ ბრწყინავდა, მაგრამ მეტად მახვილგონიერი (შეუხედავებში ბევრია ასეთი) და საამხანაგო ქალი იყო. დრო გადიოდა, მე კი ამ ჩვენს ძალდაუტანებელ ურთიერთობას უწყინარ და მსუბუქ ფლირტად აღვიქვამდი. ასე იყო თუ ისე, ჩემდა სამარცხვინოდ, ძალიან გვიან მივხვდი, რა სერიოზულადაც მიუღია ამ ქალს ყველაფერი. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩვენი ურთიერთობა კანონზომიერ დასასრულს მიუახლოვდა, მე პირველად გავხდი მოწმე იმისა, თუ სანამდე მიჰყავს ადამიანი იმ აბსტრაქტულად პოეტურ ახუნტრუცებას, რასაც სიყვარული ჰქვია. ერთ დროს შესაშური გონებამახვილობით გამორჩეული ეს მხიარული ქალი, რომელიც თუ საჭირო იყო არაყის გადაკვრასაც არ თაკილობდა, სულ რაღაც ორიოდ წუთში ისეთ წებოვან-გაოფ-

ლილ მასად იქცა (ნამეტანი ნატურალური, მაგრამ სამართლიანი შედარება გამოგვივიდა, არა?), რომელიც ზუსტად აბაზანის წყალსაწრეტში გამავალი წყლის ბუყბუყს გამოსცემდა. ერთი სიტყვით თვალის დახამხამებაში შეიცვალა და რა სიბრალულის გრძნობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, თუკი მის მიერ მოწყობილი სცენების გადამკიდე სადაცაა რომელიმე [illegible] ინვალიდობას დავირტყამდი.

— აინ, გეყოფა აწი! აი ნახე, ხვალ თუ სამივემ არ ვიცინოთ ამ სისულელეზე...

— ხელი აიღე! ცხვირმოუხოცავო ლაწირაკო! — კბილებში გამოსცრა აინმა და გაბოროტებული თვალებით შემომხედა.

— ეეე... აბა ახლა რა უნდა გელაპარაკო! — ამოვიხვნეშე მე, — რა ჩახეთქე მაინც ამისთანა მოუნელებელი!

— არაფერიც არ ჩამიხეთქია!.. შენზე მეტი დავლიე თუ? აგერ ერთი ბოთლი თქვენც კარგად გამოგიწრუპავთ!..

როგორც შევატყვე, აინი თავის ფხიზლად დაჭერას ცდილობდა. ცდილობდა და რამდენადმე ახერხებდა კიდეც. თანაც ამდენ დავიდარაბაში, ცოტა არ იყოს, მართლა გამოფხიზლდასავით. არადა, გალეწილი მთვრალი, მგონი, თავიდანაც არ ყოფილა... ჰოდა, მით უარესი! მით უფრო სულელურად გამოვიდა ყველაფერი...

— აინ, ნეტავ რა გული გიძლებს, ევას დასამშვიდებლად რომ არ მიდიხარ... ხომ იცი, რომ ტირის... — ახალი სვლა მოვსინჯე მე.

აინი მართლაც წამოდგა. მეც წამოვდექი. გავაცილებ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ სახლში წასვლის მაგივრად უხეშად მომიცილა და სამზარეულოში შეალაჯა. მერე ონკანი მოუშვა და ცივი წყლის ქვეშ თავშეყოფილი კარგა ხანს ფრუტუნებდა. სახლში წადი და ცოლს ბოდიში მოუხადე-მეთქი, რომ ვექაქანებოდი, ეტყობა, ამით აუტკივარი თავი ავიტკივე. ისევ გაბრაზებულ გულზე თუ წაეთრეოდა თავისით, თორემ აწი შენ მოიცილებ ამას?! დაჯექი ახლა და ელოლიავე! თავიდანვე კინწისკვრით უნდა გამეგდო...

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, აინი რომ დაბრუნდა სამზარეულოდან. ცივ წყალს საკმაოდ ადამიანური სახე დაებრუნებინა მისთვის.

ნეტავ რატომ არ მიდის? ვაითუ ჩემი წონასწორობიდან გამოყვანა აქვს გადაწყვეტილი? არაფერი შეგეშალოს, ვაჟბატონო! ეგეთები ჩემთან არ გადის!

— მაგაზე ჭკვიანური დღეს არაფერი გიქნია, — ყოვლისშემწყნარებელი ღიმილით წარმოვთქვი მე, — ცივი წყალი ახლა მისწრებაა შენთვის. ტყუილად კი არ მღერიან, „დილდილობით ცივი წყლით დაიზილეთ ტანიო!“

აინმა რაღაც ჩაიბურტყუნა. მე კი მაშინვე მივხვდი, რომ მას ხწორედ ეს ჩემი სიმშვიდე და კეთილგანწყობილი თავმდაბლობა აღიზიანებდა. ძალიანაც კარგი.

— შენ აქ არარსებული რომანი გამოიგონე, — დავიწყე მე, — ჩვენ კი პატიოსნად ვიჯექით და შენი ესკიზის იდეას ვარჩევდით. იცი რა, სანამ შენ კლუბში გრიალებდი, მე ყველაფერი ავწონ-დავწონე და მივხვდი, რომ ეს შენი ესკიზი ამ სახით არ გავიდოდა!.. შენ რა, ძმაო, ვერ ხედავ, როგორი ძეგლებითაა ქალაქი სავსე, თუ რა! „ესტონიას“ წინ რომაა აღმართული, მარტო ის რად ღირს! ამისთანა ესკიზი მაგნუს ტეეს რომ მოსვლოდა თავში, რაც თავისთავად გამორიცხულია, მაშინ კიდევ ჰო, შეიძლება გასულიყო, შენი კი...

— ჩემიც ბავა! — გადამლაშებული თავდაჯერებით შეჰყვირა აინმა. მერე მაგიდაზე მიგდებული ფაიფურის მინიატურული თოჯინა აიღო და გაბურებულ საფეთქელზე მიიდო.

— კარგი ერთი... ნუთუ შენ მართლა გჯერა, რომ მაგნუს ტეე და მისთანანი შენს ესკიზს მოიწონებენ? ხომ იცი, ადგებიან და უმალ ბაკურიზმად, გადაპრანჭულ პირობითობად, აბსტრაქტულ ჰუმანიზმად, მებრძოლი იდეებისაგან დაცლილ ნაწარმოებად მოგინათლავენ... ისიც გაითვალისწინე, რომ დღესდღეობით მაგნუსი მრავალი კომისიის წევრია!

— მაგნუს ტეე არარაობაა! სიცარიელეა! მაგას მალე უტილში ჩააბარებენ!

ო, რა თავდაჯერებული იყო აინი.

— კი, გეთანხმები, შეიძლება მართლაც უტილში ჩააბარონ, მაგრამ მანამდე იცოდე, მაგ შენს მიწისქვეშა მებრძოლებს ან შაშხანას დააჭერინებს ხელში და ან ხუთქიმიან ვარსკვლავს!

აინი არ მისმენდა.

— მაგნუს ტეეს მალე უტილში ჩააბარებენ! ერთი ჭკუის დარიგება გამიბედოს და მერე მე ვიცი! — ფაიფურის თოჯინა ახლა აინის ხელისგულზე ხტოდა, — ადრე თუ გვიან შენც უტილში ჩაგაბარებენ!

— დიდი მადლობელი ვარ! თუ არ შეწუხდები, იქნებ ეს თოჯინა მაინც დააყენო თავის ადგილზე. ნაჩუქარია! — ჭელში მოწოლილი ბოლმა სადაცაა გადმოსკდებოდა.

აინს რომ თავიდანვე ჩემი გაცოფება ჰქონდა გადაწყვეტილი, კი ვგრძნობდი, მაგრამ მოთმინებიდან გამოსვლას თუ ვერ შევნიღბავდი, არ მეგონა.

— ერთმანეთზე გადაგაბამენ და ისე ჩაგაბარებენ! თუმცა არა, თქვენ შორის დიდი განსხვავებაცაა: მაგნუსი ჩვეულებრივი ხისთავიანია, შენ კი იმხელა მამაძაღლი და ინტრიგანი ხარ, რომ პირად საქმეებს ლოგინშიაც კი აჭახრაკებ!

წამით თვალები დამიბნელდა. ხომ უნდა ამოჰკრა ახლა ამას ჭიტლაყი და თავისი „მყვირალა ხელებიანად“ კინწისკვრით გააგდო აქედან-მეთქი, გავიფიქრე და ჩემდაუნებურად კედლისაკენ მივიხედე.

ნებიერა თავადის ასული ვარდის კოკორს ფურცლავდა. ლამაზ სახეზე მაცდური ღიმილი და ნეტარება გადაჰფენოდა. საოცარია, მაგრამ მის დანახვაზე რაღაცნაირი სიმშვიდე დამეუფლა, სამარისებური სიმშვიდე... ბოლოს, როგორც იქნა, გავარვარებულ, ლავადქცეულ ბოლმას მოვერიე და სიმწრით ჩაყლაპულ ნერწყვთან ერთად უკან ჩავაბრუნე.

— მაშ, ლოგინშით, ამბობ, არა? რატომაც არა! ხომ იცი, ქალების უმრავლესობას სხვა სიკეთესთან ერთად თავიანთ სახელგანთქმულ ქმრებზე ბევრად უკეთესი განსჯის უნარი აქვთ! — მივახალე შე და თვალი თვალში გავუყარე.

აი, ამან კი იმოქმედა! სადავეები ისევ ჩემს ხელში იყო. დამერწმუნეთ, რომ თვითეულ ჩვენთაგანს, დიახ, უკლებლივ თვითეულ ჩვენთაგანს საკუთარი სისუსტეები, ანუ სასაცილოდ მგრძნობიარე წერტილები აქვს... კედლის საათისაკენ გავიხედე. ჩემი ბოლო სატელეფონო საუბრის შემდეგ კაი ერთი საათი გასულიყო!

— ასეა, ძმობილო, ასე! აბა შენ რა გეგონა, ძვირფასო კოლეგა! ცხოვრება ურთულესი თამაშია! გგონია, თითქოს შენი სასაცილო ქედმაღლობით უკვე

რალაცას მიაღწიე და თავი ქუდში გაქვს! არაფერი შეგეშალოს! — ჩავიჭირჭილე მე, — უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო! კატაც თუ არაა და თაგვების ზეიმი მაშინ უნდა ნახო შენ... მაგნუს ტეეს კი, დაიმახსოვრე, ჯერჯერობით ყურებზე ხახვსაც ვერ დავაჭრით!

კონიაკი ჩამოვასხი და ერთი ჭიქა აინს მივაჩეჩე.

— ისე, კაცმა რომ თქვას, შენთვის არც უნდა მომეწოდებინა... თუმცა ისე ხარ გამობრუშული, აწი გინდა დაგილევია და გინდა არა. **Prozit!** თქვენის ნებართვით, რა თქმა უნდა.

აინმა ჭიქა ჩამომართვა, ერთხანს დაჟინებით ჩააშტერდა და მერე სულმოუთქმელად გადაჰკრა. ბოთლი და ჭიქები ავალაგე და კარადაში შევინახე.

ზარის ხმა გაისმა.

— წადი ახლა და შენი ცოლი დააწყნარე! — ცივად ვუთხარი მე.

X

— ოჰ, ეს თქვენა ხართ? რომ იცოდეთ, რა კარგ დროს მობრძანდით! აგერ აინ საარმა მესტუმრა თავისი ესკიზით და თქვენი აზრი აინტერესებს ძალიან...— რაც შეიძლება ხმამაღლა შევძახე და მაგნუს ტეეს ოთახში შევუძეხი.

— კარგით, კარგით... თავს ნუ იკატუნებთ! როდის იყო კვერცხები ქათმებს უთანხმდებოდნენ! — ჩაიცინა თავისივე ხუმრობით ნასიამოვნებმა მაგნუსმა და მაშინვე გულზეშემოსაყრელი ელვარებით ჩაწიკწიკებული ვერცხლის კბილები გამოაჩინა. ვერცხლისას იტყვიან, თორემ მე ხომ ვიცოდი, რომ ეს ჩვეულებრივი რკინის კბილები იყო. ის იყო პირქუში სამყაროს რკინის ჭიშკარს მცირეოდენი სიცილი დაუსხლტა, რომ მაგნუსმა პირი დამუწა , ე. ი. ცეცხლგამძლე და ტყვიაგაუმტარი სეიფიც საიმედოდ ჩაიკეტა.

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, რომ ამბობენ, აქ უთუოდ სკოლისდროინდელ ჩვევებსაც გულისხმობენ. როგორც კი მაგნუსი ოთახში შემოვიდა, აინი მაშინვე ფეხზე წამოხტა, რის გამოც ბოსის ზურგს უკან მოფარებული ირონიული ღიმილით დავასაჩუქრე. ჩვენი სტუმარი გადასარევ გუნებაზე იყო. ოთახში შემოსვლისთანავე აინისაკენ გაემართა და ისე მეგობრულად გაუწოდა ხელი, რომ „მყვირალა ხელების" ავტორმა თავაზიანი მისალმების გარდა ვერაფერი მოახერხა. მართალია, ჩემი ოთახი დიდი შუქით არ იყო გაჩახჩახებული, მაგრამ მაგნუსმა მაინც შეამჩნია, რომ აინის სახეზე არავითარი შრომითი ენთუზიაზმი და აღტყინება არ იკითხებოდა. ამის გამო თუ იყო, რომ უმალ საავდრო ცასავით მოიქუფრა.

— პორტრეტის საქმე როგორ მიდის? ალბათ მალე გვანახვებთ, არა? — აინის გასაცოფებული ცნობისმოყვარეობით ვკითხე მე.

— თფუ! თფუ! თფუ! ჯერჯერობით კარგი პირი უჩანს. თუმცა საფუძვლიანი დამუშავება კი სჭირდება, — მიპასუხა მაგნუსმა და აინს ზურგი შეაქცია,—როგორც ჩემი მასწავლებელი ივან ზახარიჩი იტყოდა ხოლმე, „დამუშავება, დამუშავება და კიდევ ერთხელ დამუშავება! ხელოვნება მხოლოდ ამით გამოირჩევა ხელოსნობისაგან!"

ჭეშმარიტად ოქრო სიტყვებია!

ფილოსოფიურად აჭიკჭიკებული ამხანაგი ტეე ისე ღრმად ჩაეფლო სა-

ვარძელში, რომ სტაფილოსფერ საშინაო ქურთუკს ქვედა ღილი შეაწყდა და ხალიჩაზე გაგორდა.

— ყავას ხომ არ მიირთმევთ?

— თავს ნებას ვერ მივცემ! უკვე გვიანია. ვერ გავბედავ! მოგეხსენებათ, ჯანმრთელობა...

აბა როგორ, აბა როგორ! ირონიულად გავიფიქრე მე. შენ რომ რამე მოგივიდეს რაღა გვეშველება! ხომ დაღუბა ერთმა ფინჯანმა ყავამ მთელი ესტონური საბჭოთა ხელოვნება! ახლა ხომ სადღაც ზევით, ბნელ ოთახში, თიხის უზარმაზარი მოწინავე ბიცოლა დგას და საკუთარ უკვდავებას გულის ფანცქალით ელოდება!

მოულოდნელად შევნიშნე, რომ აინი თავის ესკიზს ახვევდა და მაშინვე ხელებში ვეცი.

— კარგი რა, აინ! ნეტავ რისი გერიდება. ორი წუთის წინ თავს იკლავდი, ამხანაგი ტეეს აზრი მაინტერესებსო და...

და სანამ აინი რამეს მოიფიქრებდა, მისი ესკიზი უკვე მაგნუსის მუხლებზე გადაშლილიყო!

— მე... — ჩაიბურტყუნა აინმა.

— აა, შენიშვნების ჩაწერა გინდა, ხომ? — შევაწყვეტინე მე, — აჰა შენ ფუცელი და ფანქარი. გულდასმით მოუსმინე და ყველაფერი ჩაიწერე, თორემ დავიწყება იცის.

აინმა ისეთი მზერა მესროლა, რომლის სიტყვებით გადმოცემა ყოვლად შეუძლებელია.

— ჰჰმმ... დიახ... — გაურკვეველი ხმები ამოუშვა მანგუს ტეემ. იგი „მყვირალა ხელებს“ დაჰყურებდა, — დაუდევრადაა შესრულებული... დიახ, ძალიან დაუდევრად... ეს რაღაა?

ამხანაგი ტეეს მთელი ყურადღება ბატიფეხურად მიჯღაბნულ „ესეც თქვენ!!!“-ს მიეპყრო.

— შემოქმედებითი წვა... აზარტი... დღესასწაული!.. — ჩავურთე მე ისე, რომ აინისათვის თვალი არ მომიცილებია, მაგიდის კუთხეს ჩაფრენილი აინი კი ალბათ იმასღა ოცნებობდა, ნეტავ ახლა ეს მაგიდა ზღაპრულ ხალიჩად იქცეოდეს და აქედან გამაფრენდესო. მისი მოთმინებიდან გამოსვლას არაფერი აღარ უკლდა. ცოტაც და... თუმცა უკეთეს დღეში არც მე ვიყავი. სატელეფონო საუბრის დროს თუ ერთგული და მზრუნველი ამხანაგის ხმა მქონდა, ახლა... ახლა ჩემი საქციელი მაგნუსსაც კი აოცებდა. აინის აცახცახებულ თითებს რომ დავაკვირდი, უხმოდ გავუღიმე და ფაიფურის თოჯინა მივაწოდე. აჰა, ძმაო, დალეწე! დაამსხვრიე! მოიოხე გული .. აი რას ნიშნავდა ჩემი ჟესტი.

—ხოლო რაც შეეხება შინაარსს... აქ კი... — მაგნუსმა ნეკა თითით ყური მოიქექა და აინისაკენ მთელი ტანით შემობრუნდა, მართლაცდა რისი თქმა გსურდათ, ამხანაგო საარმა?

აინი ხმას არ იღებდა. მაგნუსმა კი ამასობაში თავისი რკინის კბილები გამოაჩინა. ოლონდ ახლა სულ სხვა იყო ეს ღიმილი. აინის ესკიზი მისთვის სრულიად გაუგებარი იყო! ამხანაგი ბოსი პასუხს ელოდა. მოთრიმლულ სახეზე გაკვესებული ფოლადის ღიმილი მართლაც საშინელი სანახავი იყო. აინი კი ისევ დუმდა.

— აი, ხომ ხედავ, აინ! ჩემი არ იყოს, არც ამხანაგ ტეეს არ ესმის შენი კრედო! —სერიოზული ხმით წარმოვთქვი მე.

—ძალიან დასანანია, ძალიან... ამგვარი მონუმენტები მხოლოდ სევდას და ნაღველს თუ აღგვიძრავენ... მერედა გვჭირდება ეს? არა, ჩვენ ეს არ გვჭირდება! მართალია, გმირები დაეცნენ, მაგრამ ჩვენ ხომ სწორედ მათი წყალობით მოვესწარით ბედნიერ ცხოვრებას! მათივე წყალობით ვაშენებთ გიგანტურ (ზუსტად ასე თქვა!) კომუნიზმს...

ეს სიტყვები, ეტყობა, ესკიზის ნახვამდე ჰქონდა მოფიქრებული, თორემ ასე სახელდახელოდ როგორღა მოუყრიდა თავს.

—გმირების სიკვდილი თქვენ უბრალო სიკვდილი არ გეგონოთ! ეს მთელი ეტაპია... და აქ მაგნუსს ენა დაება, მაგრამ მაინც პათეტიურად დაასრულა, — ყველაფერს მოძრაობაში უნდა ხედავდეთ, ყმაწვილებო! მარადიულ მოძრაობაში! დიალექტიკურად.

— ამხანაგი ტეე, რა თქმა უნდა, მართალს ბრძანებს. დი-ა-ლექ-ტი-კურად. — კვერი დავუკარი მე.

აინს შეაძაგძაგა.

—ამ ხელებს ხელკეტი რომ ეჭიროს, უფრო დიალექტიკური გამოვიდოდა...

აინს ამ სიტყვების ირონიულად წარმოთქმა უნდოდა და გაბოროტებულად კი გამოუვიდა. სამაგიეროდ მაგნუს ტეე, ეს ოქროსავით კაცი მიუდგა საქმეს მთელი სერიოზულობით.

—არა, ხელკეტებს ისევ შაშხანა და ყუმბარა აჯობებდა, — თქვა მაგნუსმა და თავისი მოსაზრების ჟესტიკულაციური თვალსაჩინოების მიზნით წინ გადაიხარა.

ღმერთო, შენ გვიშველე! ერთი გემრიელი გადახარხარება ახლა მთელ ქვეყანას მერჩია. ამდენ თმენაში შუბლზე ცივი ოფლი დამასხა და აძაგძაგებულ მხრებს ძლივს ვიმორჩილებდი. ყუმბარაშემართული ხელის წარმოდგენაზე ხომ კინაღამ სიცილით გავიგუდე... მით უმეტეს ამ თემატურ კომპოზიციას სათაურიც შესაფერისი მოვუძებნე. „და ლოთობა გრძელდებოდა თხრილშიაც!..“ ყუმბარები — ღვინის ბოთლები!.. წამოცდენილი ხითხითი უმალ ხველებად გავასაღე და ჭეშმარიტად შეუდარებელ მაგნუს ტეეს თვალი ავარიდე.

აინის მოთმინების ფიალა ივსო. აწყვეტილი ძაღლივით წამოხტა და ეს ჩვენი მოკრძალებული მდუმარება სარკასტული ხარხარით გადააყრუვა.

—არა, მართლა ყუმბარები კი არაა აუცილებელი... ეს ისე, იმპროვიზაციულად... პარალელის გავლების მიზნით... — და მოულოდნელად მისმა განრისხებამაც გადმოხეთქა, — მერე რა?! თუნდაც ასე იყოს, რაა აქ სასაცილო, შელაწირაკო! — დაიქუხა მაგნუსმა და სახე ქურთუკივით სტაფილოსფერი გაუხდა.

აინს კი თავი გვერდზე გადაეგდო და გულიანად ხარხარებდა. ეს იყო თავშეუკავებელი, არანორმალური, საკუთარ თავზე კონტროლდაკარგული კაცის გიჟური ხარხარი.

—ხმა ჩაიწყვიტე! — დაიღრიალა მანგუს ტეემ.

—აინ! — მივაყვირე მეც, — შენ რა, გაგიჟდი?! ვაი სირცხვილო! ამხანაგო ტეე, წყალი ხომ არ მოგართვათ?

—უტილში... უტილში! თქვენ ყველას უტილში ჩაგაბარებენ! — ბობოქ-

რობდა აინი, — იმ... იმ თქვენი დიალექტიკით! იმ თქვენი ბუდუარებით! იმ თქვენი ჰეშმარიტებით, მკვდარი რომ მოძრაობაში გინდათ წარმოიდგინოთ!.. დალუპული გმირების შემდეგდროინდელი ეტაპით!.. რა საერთო გაქვთ თქვენ ხელოვნებასთან, რა?!

აინმა თავის ესკიზს წამოავლო ხელი და კარისკენ გაეშურა. მეც არ მე დავაყოვნე, გზა გადავუჭერი და საყელოში ვეცი.

—ახლავე ბოდიში მოიხადე!.. ახლავე, თორემ მუშაობას დაემშვიდობე... — დავუცაცხანე მე, — ახლავე თუ ბოდიშს არ მოიხდი, ჩემს დახმარებას ვერ ელირსები, იცოდე!

ამ ჯანიანი ბიჭის დაკავება არც ისე ადვილი იყო. უეცრად სახეზე რაღაც თხევადი შემომეფრქვა, მაგრამ იმ წუთში ყურადღება არ მიმიქცევია. აინს ხელს არ ვუშვებდი და რაც ძალი და ღონე მქონდა ვანჯღრევდი. ამასობაში მაგნუსიც წამოხტა და ჩემს დასახმარებლად გამოემართა. ამ გაწევ-გამოწევაში მუხლში აინის ფეხი მომხვდა და ხელი შევუშვი. ჩემგან განთავისუფლებულმა აინმა ჯერ თავისი ესკიზი დაფხრიწა ნაკუწ-ნაკუწ, მერე კი გვერდზე გახტა და ძალლივით დაგვიყეფა.

—თქვენ თვითონ გააკეთეთ! თქვენ თვითონ! კისერიც მოგიტეხიათ! მე კი თავს არ დავიმცირებ, არა! —მოგვახალა აინმა და ოთახიდან გავარდა.

სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ისევ ფეხის ტკივილი მოვიმიზეზე და ცალ ფეხზე დავიჩოქე.

— ჯიუჯიცოს ილეთი გამოიყენა, ხომ? გამოტყდი, ნუ მიმალავ!—ჩამეკითხა მაგნუს ტეე და ფეხზე წამოდგომაში დამეხმარა.

—რა ვიცი, აბა! — ჩუმად ჩავილაპარაკე მე.

XI

— აინ საარმას ვიცნობ, როგორც კარგ ამხანაგს და ნიჭიერ ახალგაზრდა მოქანდაკეს. ჩვენს ერთობლივ ნამუშევარს საკმაოდ კარგი პირი უჩანდა. ამიტომ ძალზე დასანანია, რომ იგი ასე სავალალოდ შეწყდა. მე პირადად მზადა ვარ მას ყველაფერი ვაპატიო, აინი ხომ გადაჭარბებულად მგრძნობიარეა... წონასწორობასაც ადვილად კარგავს! და რაც მთავარია, იმ მომენტში არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

რაც შეეხება აინ საარმას იდეურ მოწიფულობას, აქ მე ჩემზე წინ გამოსულ ორატორს, ამხანაგ ტეეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევეკამათები. თუ არა პოლიტიკური გაუნათლებლობით, მაშ რით უნდა აიხსნას მის მიერ დაუფიქრებლად წამოროშილი სენტენციები ჩვენი საბჭოთა ხელოვნებისა და პირადად ამხანაგ ტეეს მიმართ?! აინ საარმა ხომ თავისი ბუნებით კეთილი და დელიკატური პიროვნებაა! თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა მსგავსი ადამიანებისათვის მიგვენდო ისეთი საპასუხისმგებლო დავალება, როგორიც ფაშიზმის მსხვერპლთა მონუმენტია, ვფიქრობ, ეს საკამათო არც უნდა იყოს. იმ ავადსახსენებელ საღამოს აინმა ფაქტიურად უარი განაცხადა ამ მონუმენტის პროექტის შექმნაზე და სამართლიან კრიტიკას ესკიზის დემონსტრაციული დახევითლა უპასუხა.

ახლა კი ორიოდე სიტყვა თვით ესკიზის შესახებ.

მართალია, ესკიზი თავისებურად საინტერესო იყო, მაგრამ, ჩემი აზრით,

რამდენიმე სერიოზული მინუსიც ჰქონდა. დღეისათვის, ვფიქრობ, საკმარისი არ უნდა იყოს მონუმენტის საშუალებით მარტოდენ აბსტრაქტული ჰუმანიზმისა და პასიური პაციფიზმის ქადაგებას მივყოთ ხელი... მონუმენტი საბრძოლველადაც უნდა მოგვიწოდებდეს! დასავლეთ გერმანიაში კვლავ შეგინვარე მხეცმა, ფაშიზმმა წამოჰყო თავი! ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას ისევ და ისევ ექსტრემისტი ნაძირალები ეპოტინებიან!.. მას შემდეგ, რაც ჩვენი ერთად მუშაობის პერიოდში აინ საარმას ზოგიერთი კონცეფცია ჩემთვის მიუღებელი გახდა, მე ჩემდაუნებურად შევუდექი ახალი გადაწყვეტის ძიებას... ამას წინათ კი ჩემი ახალი ესკიზი ამხანაგ ტეეს ვაჩვენე და სიამოვნებით შემიძლია გაუწყოთ, რომ პრინციპულ ასპექტში ამ ნამუშევარმა მისი მოწონება დაიმსახურა. თანაც ამხანაგმა ტეემ არა მარტო აქა-იქ დაშვებული შეცდომების ლიკვიდაციაში აღმითქვა დახმარება, არამედ ჩემი პროექტის თანაავტორობაზეც დამთანხმდა. ამით კი, რა თქმა უნდა, უამრავ სიძნელეს დავაღწიე თავი.

მაგრამ ისევ აინ საარმას დავუბრუნდეთ.

ერთი რამ მინდა გთხოვოთ: მოდით მეტისმეტ სიმკაცრეს ნუ გამოვიჩენთ მის მიმართ! მე ახლა მაგონდება ვლადიმერ ილიჩის სიტყვები იმის შესახებ, რომ ტალანტი — იშვიათობაა! რომ ტალანტებს განსაკუთრებულად უნდა ვუფრთხილდებოდეთ!.. ჰეშმარიტად ბრძნული სიტყვებია, ამხანაგებო! და თუ დღეს აინ საარმამ ჩვენთან მობრძანება არ ისურვა, ამის მიზეზი, ჩემი აზრით, თავგასულობა კი არა, სირცხვილის გრძნობა ან... ანდა სულაც ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ხალხისათვის დამახასიათებელი ის სიჯიუტეა, რომელიც თავისთავად დაგმობას კი იმსახურებს, მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და ვალიაროთ, რომ ასეთი ადამიანები რაღაცით მაინც გვესიმპათიურებიან... თუნდაც ჩვენი მშობლიური ლიტერატურა ავიღოთ — განა ყველანი ერთნაირად არა ვართ მოხიბლულნი ზღვის სანაპიროზე დასახლებული პერსონაჟებით! ისინი კუნძულ საარემაზე ამოსულ ღვიასავით უდრეკნი არიან! აკი აინმაც თავის მშობლიურ კუნძულს მიაშურა. დაე, იქ მშვიდად ასწონ-დასწონოს თავისი შეცდომები! დაე, იქ მოეგოს გონს!

დასასრულს მინდა განვაცხადო შემდეგი: გაგება იგივე მიტევებაა! მე პირადად წინააღმდეგი ვარ აინ საარმას მხატვართა კავშირის რიგებიდან გარიცხვისა!

აი როგორი სიტყვა წარმოთქვა სამი დღის შემდეგ სვენ ვორემ ერთ-ერთ დახურულ კრებაზე.

ახალი მონუმენტი დასრულებულია. იგი ფაშიზმის მსხვერპლთა სასაფლაოზე დგას. ღამით პროექტორები ანათებენ.

მონუმენტთან უამრავი ყვავილი მიაქვთ და იმ მეომრის წინაშე ალაგებენ, რომელიც, მართალია, მუხლზეა დაცემული, მაგრამ მის შორს გაწვდილ ძლიერ ხელებს მრისხანე მუშტები შეუკრავთ... ეს ხომ სამართლიანობისა და შურისძიების ღაღადისია.

ზამთრის უძირო ციდან ფაფუკი ფიფქები ეშვებიან და მონუმენტს ეფინებიან.

მონუმენტის საზეიმოდ გახსნის დღეს გადავწყვიტე გვიან საღამოს მარტოდმარტოს მომენახულებინა იგი. ვიდექი და სიხარულით გულანთებული შევ-

ყურებდი მონუმენტს, რომლის კვარცხლბეკზეც სადა შრიფტით იყო ამოტვიფრული: MAGNUS TEE SVEN VOORE ANNO 196...

მოშორებით შავპალტოიანი ზორბა მოხუცი იდგა. ისიც მონუმენტს შეჰყურებდა. დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოეშურა. ეს პროფესორი ტოონელტი გახლდათ.

—საინტერესოა, ძალიან საინტერესოა... — თქვა მან.

—როგორ ფიქრობთ, თქვენი აზრით კარგი მონუმენტი გამოვიდა? — მორიდებულად ვკითხე მე.

— მე მონუმენტს არ ვუყურებ, მე თქვენ გიყურებთ, ყმაწვილო!

—მე?

— დიახ, თქვენ, საინტერესოა, თქვენ თვითონ რას ფიქრობთ გულში!

ასე მომიგო პროფესორმა ტოონელტმა და მისმა ბუსავით მწვანე თვალებმა სიბნელეში გაიელვეს. ბოლო ფრაზა დინჯად, ხმის აუმაღლებლად წარმოთქვა, მერე კი ერთბაშად შებრუნდა და ზურგი შემაქცია. თოვდა. საყელოწამოწეული პროფესორი თანდათან მშორდებოდა.

□

ადამ მიცკევიჩი

პან ტადეუში (ნაწყვეტი პოემიდან)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა **ოთარ ჭელიძემ**

●

გენიალური პოლონელი პოეტის, ადამ მიცკევიჩის პოემა „პან ტადეუში" ქართულ ენაზე პირველად იბეჭდება.

ხალასი იუმორით, ცოცხალი მალალმხატვრული სახეებით დაყურსული ეს ვრცელი ეპიური ნაწარმოები დაწვრილებით ასახავს მე-19 საუკუნის I ნახევრის პოლონეთის ცხოვრებას.

მეფის რუსეთის უღელქვეშ მგმინავი, მიყრუებულ პროვინციად ქცეული ქვეყნის მოწინავე შვილები სხვა ქვეყნისაგან ელიან შველას. მაგრამ სხვათა მოიმედე ხალხი მალე რწმუნდება, რომ მათ სამშობლოში უცხო ლაშქრის შემოსვლით მხოლოდ ჩინოვნიკთა მუნდირის ფერი შეიცვალა, სხვა არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ვინც მეფის ერთგული იყო, ახლა ნაპოლეონის მზეს ფიცულობს.

დიდი შთაგონებით შექმნილი გმირთა ხასიათები პოემის თორმეტივე წიგნში გვატყვევებენ თავიანთი უშუალობითა და განუმეორებლობით. ვაქვეყნებთ „პან ტადეუშის" ბოლო თავს და ეპილოგს.

ძმური სიყვარულის სადღეგრძელო

წიგნი მეთორმეტე

შინაარსი. უკანასკნელი ძველპოლონური ნადიმი... — საოცარი ჭურჭელი. — მისი ფიგურების ახსნა. — მისი ცვალებადობა. დომბროვსკი იღებს საჩუქარს. — ისევ სციზორეკი. — კნიაზევიჩი სამემკვიდრეოს მიღებისას. — გერვაზის შენიშვნები. — კონცერტი კონცერტებს შორის. — პოლონეზი. — ძმური სიყვარულის სადღეგრძელო.

ბოლოს ხმაურით გამოიღო კარი ბოლომდე
და პან ვოისკიმ ხალხს შეავლო თვალი მხოლოდენ,
არც სალამი თქვა, არც მაშინვე დაჯდა სუფრასთან,
რადგან გაძღოლა ევალება ახლა სტუმართა,
ძალაუფლების მთავარ ნიშნად ამ შეკრებისას
მას ხელთ უპყრია კვერთხი კარის მარშალეკისა,
ყველას თავისი სკამ-ადგილი რომ მიუთითოს,
თავაწეული მიდი-მოდის, თითქოს გულდიდობს;
სავოევოდოს უპირველეს ხელისუფალთგან
ჯერ პოდკომორნის მიანიშნებს ხელით სუფრასთან,

სპილოს ძვლით შემკულ სავარძელზე ჯდება დიდკაცი:
მარჯვნივ გენერალ დომბროვსკის სვამს, ხოლო მის მარცხნივ, —
კნიაზევიჩს და მალახოვსკის, ბოლოს კი — პაცის;
მწკრივად, წყვილ-წყვილად განლაგდება ქალი და კაცი.
ვოისკი, ვიდრე სხვებს დასხამდა, მანამდე მხედრებს
შუაში უსვამს პოდკომორნის თანამეცხედრეს,
მემამულეებს, ოფიცრობას, შლახტელ ბატონებს
ქალის გარეშე პან ვოისკი არც ერთს არ ტოვებს.

პან მოსამართლე თავის სახლში, პირველყოვლისა,
შინაურულად მასპინძლობდა მკვიდრებს სოფლისას;
გრძელი მაგიდის ორთავ მხარეს დასხა მშრომელნი,
სუფრის ერთ თავში თვითონ დაჯდა მღვდლის მოშორებით.
ხოლო ტადეუშს და ზოფიას მათთან — ყველასთან
პირველ ნადიმზე მასპინძლობა რადგან ემართათ,
უწევდათ მიწყივ ფეხზე დგომა ძველი ადათით;
ლოცავდნენ ახალ მემკვიდრეებს გლეხნი ღაღადით.

ახალი კერძის მოლოდინში გატრუნულები
მშვენიერ ჭურჭელს დაჰყურებდნენ მათი სტუმრები,
ოქრომჭედლური ნაკეთობის თეფშებს, ლამბაქებს,
ხელთუქმნელივით უძვირფასეს თასებს, ლარნაკებს,
ჯამებს, სასმისებს დასცქეროდნენ გაოცებულნი.
რაძივილ-ობოლს[1] (ძველთაგან აქვთ გადმოცემული)
უბრძანებია, რომ ამ ჭურჭლით ვენეციაში
დიდი ნადიმი გაემართათ ძეგლთა წინაშე,
ძველპოლონური ადათ-წესით, მაგრამ შვედებთან
ომის დროს მისი დიდებული გაქრა მშვენება,
გადაივიწყეს, ახლა იგი ,რა გზით, არ ვიცით,
ისევ ეწვია შლახტელების სახლებს თავისით,
ამოალაგეს ძველებურად განძთსაცავიდან,
დღესაც ბოლომდე ყველა სუფრას გასწვდა თავიდან.

ნაღების ქაფით იყო სავსე დიდი ლანგარი,
თოვლივით თეთრად ქათქათებდა თლილი შაქარი —
გამცოცხლებელი მშვენიერი ზამთრის სურათის,
შუაში იდგა დიდი გორა მაყვლის მურაბის
და აქეთ-იქით მთის კალთებზე ფიქრში ჩაფლული
სოფლები ჩანდა ისლის ქოხებმიმოფანტული;
ჭურჭელს, ყველა ამ სილამაზის შემკრებ ნაწილად,
გარს ფაიფურის ფიგურები ედგნენ პაწია,

---

[1] რაძივილ-ობოლმა ძალზე ბევრი იმოგზაურა და ბოლოს გამოსცა დღიურები თავისი მოგზაურობისა წმინდა მიწაზე.

გამოწყობილნი პოლონურად, სტუმართ სალხინოდ,
თითქოს პიესის წარმოდგენა სურდათ მსახიობთ;
გამოარჩევდი თვითეულის სახეს ადვილად,
ხმას ვერ იღებდნენ, თორემ ცოცხლებს გავდნენ ნამდვილად.

ცნობისმოყვარე თვალი ტკბება მათი ყურებით,
ვინ არიანო? კითხულობენ პანის სტუმრები,
(ჭამამდე არაყს გადაკრავენ სათითურებით).
ვოზნიმ ასწია კვერთხი და თქვა: „ეს ფიგურები,
დიდნო ბატონნო ჩემნო, გეტყვით, ნებას თუ დამრთავთ,
ძვირფას ჭურჭელზე, რასაც თვალი ხედავს სტუმართა,
ისტორიაა პოლონეთის მთელი სეიმის,
ბევრი იმედის გაცრუების, ბევრი ზეიმის,
თათბირების თუ გამარჯვების და სხვა მრავალთა,
ჩემგან შეცნობილ სცენებს გიხსნით ახლა თვალნათლად.
აქ, მარჯვნივ, დიახ, შეკრებილა შლახტა ნამდვილად,
სეიმიკამდე პატიჟებენ ზღვა ხალხს ნადიმად,
გაშლილ სუფრაზე არ სხდებიან, ყველა ქუჩდება,
ყველა მხარე ბჭობს, კამათობენ ერთად, ჯგუფებად,
აბა, შეხედეთ, ხომ დგას ყველა ჯგუფის შუაში
ვიღაცა კაცი, ხედავთ? იმ ერთს უთრთის ულვაში,
ღია პირზე და ზემოთ აწვდილ ხელზე ეტყობა
რომ ლაპარაკობს და ხელს უშლის სხვების ყბედობა,
თითებით ხსნის და ხელისგულზე იწერს რაღაცას,
ალბათ კანდიდატს იცავს ყველა ისევ დასაცავს,
ვიდრე სეიმში თავის კაცს არ დაასახელებს
ყოველი ჯგუფი, ამას ვამჩნევ მაგათ სახეებს.

მეორე ჯგუფი გარინდულა ანაღელვები,
ხედავთ? ჯიბეში ჩაუწყვია მავანს ხელები,
მავანი ყურთან ცალ ხელს იდებს და მეორეთი
ულვაშებს იგრეხს და ნთქავს ნათქვამ აზრებს გონებით.
მოლაპარაკეს უხარია, მას ეჩვენება,
რომ ერთხმად მისცეს ხმა ერთგულმა ამომრჩევლებმა,
ჯიბეზე იდებს ხელს, უქრება უცებ ეჭვები,
რადგან ჯიბეში ეგულება უკვე კენჭები.

მესამე ჯგუფი ყურსაგდებად არ ისარჯება,
ორატორს უწევს მსმენელების ძალით დაჭერა,
შეხედეთ! როგორ გაურბიან გაბეზრებულნი,
ერთს სახე რისხვით მოქცევია. გაბრაზებული
ხელებს იქნევს და ემუქრება მოლაპარაკეს,
მოქიშპეს მისას ალბათ იგი სწორად არ აქებს,
მეორე თავს ხრის კამეჩივით და მოქადაგეს
გაჯავრებული სადაცაა რქებზე ააგებს,

ზოგს ხმის ჩახშობა უნდა მისი, ზოგს კი — გაპარვა,
ზოგს ხმალზე ხელი უტაცია, ზოგიც ამდგარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდენ ჯგუფს შორის ჩუმად მხოლოდ ერთი კაცია,
ალბათ მერყევი შლახტელია, ძრწის, კი არ სცივა,
თვითონვე ებრძვის საკუთარ თავს, დღეს ხმა ვის მისცეს?
ხელები ცისკენ აღუპყრია, ღმერთს თხოვს სიმტკიცეს,
თვალდახუჭული საჩვენებელ თითებს გამოწვევს,
უნდა ერთმანეთს შეახვედროს, ამით ამოწმებს —
თითი თითს თუ ვერ შეახვედრა ტყუპად, ორთითად,
მაშინ გადაწყვეტს ხმის მიცემას უარყოფითად.

მარცხენა სცენა, ჰო, მონასტრის სატრაპეზოა,
როგორც ეტყობა, დღეს იქ შლახტას აქვს დარბაზობა,
ხნიერნი სხედან და ფეხზე მდგარ ახალგაზრდობას
მზერა გაურბის ცენტრისაკენ გადასაძრომად,
სადაც მარშალეკს საარჩევნო ურნა უპყრია,
რაშიც კენჭები, დასათვლელი, უხვად უყრია,
ხმებს ითვლის ვოზნი, თვალით ჭამენ მას შლახტელები,
ბოლო კენჭისას ზე აღმართა სწრაფად ხელები,
ურიადნიკის ხმამაღალი დასახელებით.

ერთს ფანჯარაში გაუყვია თავი, მძვინვარებს,
საყოველთაო შეთანხმებას არ იზიარებს,
სახტად დარჩენილს, თვალდაჭყეტილს, ხახადაბჩენილს
შთანთქმა სწყურია თითქოს ყველა სხვა დანარჩენის,
ამ შლახტელის ხმა, რა თქმა უნდა, ბოლოს veto[1]-ა,
უჩხუბრად ახლა ვეღარ გაძლებს, როგორც ეტყობა,
ერთი შეხედეთ, რა თამამად იწევს კარისკენ,
როგორ იღერებს აჭარხლებულ კისერს ხარისებრ,
საცაა გარეთ გავარდება ხმლის მოსატანად,
სისხლისმღვრელ ბრძოლას გააჩაღებს, როგორც სატანა.

მაგრამ შეხედეთ, ბატონებო, ბნელ დერეფანში
მიმავალ აბატს, ანაფორის მრუმე ფრთებგაშლილს,
მას ოლარიდან Sanctissimum რარიგ გამოაქვს,
ბიჭი ზანზალაკს რეკავს, წესრიგს და გზის დათმობას
ითხოვს იგი და უბრუნდება ხმლები ქარქაშებს,
ქსენძი კი მიდის, მიიჩქარის — სადაც კაშკაშებს
დაშნების ელვა, შლახტის შფოთი სადაც არ იკლებს;
დააშოშმინებს ყველას იგი და შეარიგებს.

---

[1] Veto — არ ვუშვებ.
[2] Sanctissimum (ლათ.) — წმინდანი.

ეჰ, ბატონებო, სულ ახლახან, განა ოდესღაც,
შეხმატკბილებულ, აბჯარასხმულ შლახტას როდესაც
ვერავითარი პოლიცია ვერ აწუხებდა,
პატივისცემა უფლებათა, რწმენა სუფევდა,
ქვეყნის დიდებით და სიკეთით ხალხი სუნთქავდა,
წესრიგს იცავდა ძმობა ძმათა თავისუფალთა,
სხვაგან სამხედრო რეჟიმია კანონმდებლების —
პოლიციისა, ჟანდარმების და კონსტებლების,
დღეს გაბედულად ხმლის მომქნევიც არ მეგულება,
რომ დაამყაროს იმ ქვეყნებში თავისუფლება.

გაბეზრებული პოდკომორნი სთხოვს პან ვოისკის;
„ეგ ისტორია სეიმიკის ცოტას მოიცდის,
(თან გულმოსული სათუთუნეს აკაკუნებდა)
გვშია, მოგვართვან რამე, გაეც განკარგულება“.

ვოისკიმ კვერთხი ძირს დახარა და თქვა: „ეს კვერთხი,
დიდო ბატონო, გადატეხე! მერე ვერ გეტყვით,
უცებ აგიხსნით ერთ სურათსაც სეიმიკისას:
აი, ახალი მარშალეკი ზეიმის დღისას
სატრაპეზოდან მოყავთ ხელში ატატებული
და მისი მომხრე შლახტელები, აღტაცებულნი,
ქუდებს ისვრიან პირღიანი „ვაშას“ ძახილით,
მეორე მხარეს პანი ობლად დგას თავდახრილი,
ჩამოფხატვია ქუდი შუბლზე, იქვე, სახლის წინ
ხელმოცარულ ქმარს ელოდება დიასახლისი,
მიხვდა, რაც მოხდა — ქმრის დანახვამ უმალ აცნობა
და ამიტომაც იქვე მისდის გული საცოდავს;
წოდება დიდი ქალბატონის თუმცა ეწადა,
მაგრამ ქალბატონს კიდევ სამ წელს უნდა ეცადა!

მორჩა აღწერას... ვოზნი კვერთხით მიმტანთ ანიშნებს
და ლაქიებიც დაფაცურდნენ ფიცხლად მაშინვე,
წყვილ-წყვილად მოაქვთ მათ კერძები მზამზარეული,
სამეფო ბორშჩი და შინ წლეულს დამზადებული
ძველპოლონური მჟავეული, რაშიც ვოისკიმ
დაწნილებამდე, საიდუმლოდ, ჯანმრთელობისთვის
მარგალიტები და ლითონის ფული ჩაყარა,
(ასეთი წნილი სისხლსა წმენდსო ფილტრისდაგვარად),
რა კერძების და სანოვაგის დადგეს გორები,
ვილასღა ახსოვს! მიხვდნენ ჩვენი სამხედროები,
რომ ეს ყოველი იმ სიკეთით სავსე დროების
მადლი იყო და მათ ეწვია ასე, დროებით.
დაამშვენებდა ალბათ ყველა მეფის ქორწილსაც:
სურნელოვანი ბულიონი თეთრი ხორცისა,

ყველა სტუმრის წინ — ნუშის რძეთი სავსე ფიალა,
ყველანაირი თევზეული და ხიზილალა —
ვენეციური თუ თურქული — შავიც, წითელიც,
ლვინო — მსუბუქი, მოვარდისფრო, შარშანწინდელი,
შაქარყინული, ხმელი ხილი, სხვა ტკბილეული
ბროლის ვაზებით დიდ ლანგრებთან ჩამწკრივებული,
ტახის, შვლის, ირმის და მრავალი სხვა ხორცეული...
მენადიმენი ნაყრდებოდნენ დამორცხვებულნი,
ფაქიზად გახლდათ შეკაზმული ზეთხი, ჭანარი —
ნამდვილშლახტური, ჩვენებური სუფრის ჯავარი!
ბლომად — დუნაის ორაგული, სვია — ციცხალი,
მწყრები, კაკბები, თითო თეფშზე — თითო ციცარი,
შემწვარი ქარიყლაპიები სხვადასხვა ზომის
და ბოლოს, ერთი საიდუმლო ამ დარბაზობის —
ვეება ღლავი, დაუჭრელი, თავშეკაზმული,
წვენში — ბოლოთი მოხარშულით, ტანშებრაწული.
არ კითხულობდა, ვინც იმ ზღაპრულ სუფრას სტუმრობდა,
რა ერქვა კერძებს და არც იმათ უცნაურობას,
ყველა მხედრულად, მადიანად შეექცეოდა
და სასმელისგან სახე წითლად ელეწებოდა.

ჭურჭლეულს ცვლიან და გარემო მთლად დათოვლილი
თეფშებზე უკვე ახასხასდა მწვანე მოლივით,
თანდათან გათბა გაზაფხულის ძალით გამთბარი
თეთრი, ქათქათა, გაყინული ქაფი მაქარის.
ფსკერი გამოჩნდა, თვალისათვის ჯერ უნახავი,
ჭრელ ყვავილებად გამობრწყინდა წლის დრო ახალი,
მწვანე და მრავალფეროვანი გამოზაფხული
მღელვარე ზღვასებრ ისე იყო გამოსახული,
თითქოსდა ჯეჯილს საფუარი ზრდიდა თანდათან
და მეფდებოდა ოქროსფერი ბზინვა თავთავთა.
წლის ახალი დრო სხვა ლაზათით იდგა, სხვა ეშხით,
ვაშლი და მსხალი უკვე კარგად მწიფდა ბაღებში.
სიამოვნებას გვრიდათ ეს დრო ძვირფას ძღვენებად,
სტუმრები სთხოვდნენ პან ვოისკის მის გაგრძელებას,
მაგრამ ჭურჭელი, პლანეტისებრ, ბოლო შემოვლით
ეამს ცვლის და უკვე წელიწადის სხვა დრო შემოდის.
სითბო ოქროთი დახატული პურის ყანების
გაქრა დარბაზში და, ვით ცაში გუნდი ყვავების,
ხმელი ფოთლები ფარფატებენ ახლა ჰაერში,
თითქოს დაიწყო შემოდგომის ქარმა თარეში.
ბალახი ხმება და წუთის წინ მწვანე ხეებსაც
აშიშვლებს ახლა ქარიშხალი, ტანზე ეხვევა.
ჩანს წვრილ ზოლებად დარიჩინი, დაფნის ტოტები,
ფიჭვებს რომ ცვლიდნენ, ასცვერიან ცას შეშფოთებით,

თითქოს ქცეულან დასაჩეხი შეშის ხეებად,
საცოდაობით აღარც ერთი შეიხედება.
იწყეს სტუმრებმა, დროს ხუმრობით ვინც ატარებდა,
რტოების მტვრევა გრილ ღვინოზე მისატანებლად
გახარებული, რომ არ უკრეს ხელი ამაგზეალიროვანი
ვოისკი სუფრას გარს უვლიდა შვებით აღსავსე.

უკვირს დომბროვსკის, კითხვებს აყრის თავკაცს ზედიზედ:
„ამ ჩინურ კერძებს ეშმაკუნებს ამზადებინებთ?
ლიტვაში სუფრებს როდიდან შლით ასე მეფურად?
ყოველგვარ ზეიმს ასე ხვდებით? კვლავ ძველებურად?
ბრძანეთ, გეთაყვა, აბა, რაღა მემახსოვრება!
სულ უცხოეთში გავატარე ჩემი ცხოვრება".

„არა, ბატონო გენერალო, სუფრაც, კერძებიც
თავყრილობათა ძველთა გახლავთ ნაანდერძევი,
ჩვენს წინაპართა ოჯახებში დამკვიდრებული,
ურწმუნოებას ნუ მიაწერთ გაკვირვებული",
ჰენრიკ დომბროვსკის თავდახრილი, დაფიქრებული
ეტყვის ვოისკი — სამეჯლისო საქმის ერთგული:
როდესაც ლოცვა იყო ლალი და ბედნიერი,
თავისუფლებას შეირგებდა ერი ძლიერი.
თქვენ მეკითხებით, კვალი თუ ჩანს ამ განახლების?
საუბედუროდ! ახალ მოდას აყვნენ შლახტელნიც.
ზოგი გაჰყვირის, ვერ ვიტანო ძველ ფუფუნებას,
მაგრამ ჭამს, როგორც ებრაელი, ხვდება სტუმრებსაც,
უნგრული ღვინო ეამება, ოღონდ ზარხოში
მოდურ მოსკოვურ შამპანურს სვამს, ბოლოს ბანქოში
იმდენ ზლოტს აგებს, მთელი შლახტის საძმოს ეყოფა,
(რაც სათქმელი მაქვს, ახლა ვიტყვი, რა გაეწყობა!
დეე, პოდკომორნი ნუ ჩამითვლის ძმას სიძულვილად),
როცა ამ ჭურჭელს ვალაგებდი საგანძურიდან,
მესმოდა, მისას დასცინოდა ძველმოდურობას,
ახალგაზრდობა დაიწყებსო ზედმეტ ხუმრობას,
არ შეშვენისო სახელოვან ხალხის სტუმრობას,
მოიწყენენო, მოსამართლეც მას დასტურობდა
ახლა ხომ ვნახე, სასაცილოდ ჩანდა კი არა,
ყველა განცვიფრდა! შრომამ უქმად არ ჩამიარა!
მოგიწყობთ ეფრო უკეთესად შემდეგ შეხვედრას,
როგორც თქვენ, დიდად პატივცემულს შეგეფერებათ!
ბატონ გენერალს, ვისაც ახლა სიტყვით მივმართავ,
მინდა პირადად საოჯახო წიგნი მივართვა.
უცხო მონარქის შინ სტუმრობა როცა მოგიწევთ,
ნადიმზე, თუნდაც ნაპოლეონს, როცა მოიწვევთ,

იხელმძღვანელეთ დიდებული წიგნის მიხედვით,
თან როგორ ვიგდე იგი ხელში მას მოგიყვებით“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ დროს კარს იქით აყიეინდა ბრბო ხალხმრავალი;
„ვაშა! ყიოდეს ეკლესიის თავზე მამალი!“
და ხალხს დარბაზში შემოუძღვა სწრაფად მაჩეი,
სოპლიცამ ძმურად ჩაიკონა პატივს ნაჩვევი,
თან პატივსაცემ სტუმართშუა ჩასვა სტუმარი,
პან მოსამართლემ მიაგება მას სამდურავიც:
„მეზობელი ხარ და სადილის ბოლოს მოდიხარ?“
„მე სასადილოდ არ მოვსულვარ, სწორი რომ გითხრა,
გამომიტაცა აქეთ ცნობისმოყვარეობამ,
ვიხილო ახლოს — მშობლიური რომ გყავს მხედრობა;
რად მემკითხავა, ნამდვილად ის არის თუ არა?..
წამომიყვანა ბერიკაცი შლახტის მუდარამ,
თქვენ კი შინ დამხვდით, სანადიმოდ გაშლილ სუფრასთან,
მადლობელი ვარ, მეზობელო“, — თქვა მან გულმართლად,
მერე დაამხო ჯამი პირქვე ძველმა გურმანმა,
ნიშნად იმისა, პურის ჭამა რომ იუარა.
უცებ დობჟინელს გენერალი დობჟინსკი კითხავს:
„მგონი, იბრძოდი კოსტიუშკოს ლაშქარში დიდხანს?
მაჩეი-როზგო, შორს გაჰქუხდა შენი დიდება!
რა ყოჩაღად ხარ! გატყობ, ჟანგი არ გეკიდება!
რამდენმა წელმა განვლო, ხედავ, გავჭაღარავდი,
შენ კი ძველებურ ბრძოლას შეძლებ ახლა ჭარმაგიც,
ახალგაზრდულად როზგს ისევე აამუშავებ...
ვიცი, მეფის ჯარს ამას წინათ რაც დაუშავე!
შენს ძმებს ვერ ვხედავ — სციზორეკსა და სამართებელს —
ლიტვის დიდების უკანასკნელ გამანათებლებს.
„პან გენერალო, თქვა სოპლიცამ, ამ გამარჯვებამ
ალარ ანდომა დობჟინელებს სხვაგან დარჩენა,
ყველამ თავის სახლს მიაშურა, ალბათ, იმ ღამეს;
ხალხი ვაფრინე და ხაცაა აქ მოიყვანენ“.
მას ახალგაზრდა ოფიცერმა სწრაფად ახარა:
„ჩვენთან ულვაშა საფრთხობელა გახლავთ ჭაღარა,
ტანად ზორბაა, როგორც ციხე აუღებელი,
სახელად ჰქვია მოხუც ვახმისტრს მაკურთხებელი,
ხოლო მაზურებს ლიტვურ დათვად გადაუნათლავთ;
პან გენერალო, აქ მოგიყვანთ, ნებას თუ დამრთავთ“.
კვერი დაუკრა პორუჩიკმა: „სხვებიც არიან,
შემოუერთდნენ თავიანთი ნებით არმიას,
ერთია შტაბის ბრძანებათა დამტარებელი,
მეორეს ჰქვია მეტსახელად სამართებელი.
მსროლელთა პოლკში კიდევ ორი დობჟინელია“,
გენერალმა თქვა: „ო, გვერდზე ვერ მომიჯენია...

საუბარი მსურს დობეინელთა გმირ მეთაურთან,
თუ სციზორეკი არმიაში ისევ დაბრუნდა,
იმ საოცარი კაცის მინდა ნახვა გულწრფელად,
წუხელ მაცნობდა პან ვოისკი მას დაუსწრებლად".
„იმ ბრძოლის შემდეგ სციზორეკი, თქვა პან ვოისკიმ,
გადაიმალა და გამოჩნდა ახლა, ომის წინ,
ძიების შიშით ძრწოდა ზამთრის ტყეში მარტოკა,
რადგან საცოდავს არ ეწადა ემიგრანტობა;
მაინც გმირია, თუმც უჩივის ბერიკაცობას,
ჰო, აი ისიც, აქეთ მოდის თქვენს გასაცნობად".
ვოისკიმ თითი გაიშვირა, სადაც წინკართან
გლეხთა უამრავ თავებს ზემოთ თავი ბრწყინავდა;
მელოტმა, სავსე მთვარესავით, სამჯერ იელვა,
სამჯერვე უცბად ჩაიმალა, ბოლოს პირველმა
გამოარღვია ხალხის ტალღა ძნელგასავალი
და სციზორეკმა როცა უძღვნა ყველას სალამი,
თქვა: „პან ჰეტმანო, ანდა იქნებ პან გენერალო,
სულერთი არის, რას გიწოდებს, ვთქვათ, რემბაილო,
რომელიც ელის მოუთმენლად შენს დაძახებას,
იმ ხმლითურთ, რასაც სციროზეკი ჰქვია სახელად,
რაიც სიმტკიცით, განა კვეხნით იმკის დიდებას,
რისთვისაც ახსოვს და ეცნობა იგი დიდ ჰეტმანს.
რომ შესძლებოდა ხმალს ტლიკინი, ალბათ აქებდა
ბერიკაცის ხელს, რადგან სხვებზე არანაკლებად
იცავდა იგი ერთგულებით და ღვთის წყალობით
მამულს და ბატონ ჰორეშკების ოჯახს აწყობილს.
ხალხი ამაგით გაიხსენებს მუდამ მოპანკუს,
სოფლის მწერალმა ყველამ თითი უნდა მოკაკვოს —
თავები მისგან დაჩეხილი ვეღარ დათვალეს,
რადგან თავიდან ათი თავით სჯობდა სხვა თავებს!
თავად კი ვერსად ვერ შეამჩნევ ნაჭრილობევსაც,
პატარა ჩხუბებს არასოდეს საჭიროებდა,
მხოლოდ დიდ ომებს ესწრაფოდა, დიდ შეტაკებებს,
და მხოლოდ ერთხელ, შეევრდომოს ქვეყნის გამგებელს,
უიარაღო კაცი მოკლა, საუბედუროდ!
ღმერთია მოწმე, ისიც მხოლოდ
pro bono publico[1]
„კატოვსკის ელვა, შენ დიდება რამაც შეგძინა,
აბა მაჩვენე", თქვა დომბროვსკიმ და გაეცინა,
უშველებელი ხმალი ხელში მართლაც ემძიმა,
მერე გადასცა სხვა ოფიცრებს, რომ აეწიათ.
იქ მყოფთა შორის ესკადრონის შეფმა დვერნიცკიმ[1]

---

[1] ლათ. ხალხის საკეთილდღეოდ.

[1] იუზეფ დვერნიცკი (1778-1857) — 1812 წ. პოლონური კორპუსის ესკადრონის შეფი.

და ასეულის მეთაურმა დევმა რუჟიცკიმ[1]
ვეება რვალი დაძრეს მძიმედ, განა იოლად
ხმალი ხელიდან ხელში ასე გადადიოდა.
თქვეს, რომ დემბინსკი[2] მას იოლად აიტაცებდა,
მაგრამ წასულა, პოლიგონზე ჯარისკაცებთან.
ყველამ მოსინჯა, ყველამ სცადა, მაგრამ მხოლოდღა
იმ ორმა შეძლო აეწია ხმალი ბოლომდე.
ამ დროს სტუმრებში მარტო ტანით კი არ შეირჩა,
ყველას აჯობა გენერალმა კნიაზევიჩმა,
შეათამაშა ხმალი, როგორც დაშნა პატარა,
სტუმართა თავებს ზემოთ ფიცხლად შემოატარა,
თან გაიხსენა გასართობი მათი თაობის —
ყველა ილეთი პოლონური ფარიკაობის.
ეს თავშექცევა გაოცებულ დევკაცს აღელვებს,
გენერლის ფერხთით დააჩოქებს მეგასაღებეს,
ხელებს შემოხვევს მას მუხლებზე და ცრემლნარევი
ლუღლუღით ხვდება, როცა წივის ხმალზე პაერი,
ყოველ მოქნევას, ილეთს ურთავს: „ეჰ, ლამაზია!
ეგ პულაცკების ხერხი არის! ეგ სავასია!
ეგ დობეინელი მაჩეკისა, ეგაც გასწავლეს?
საუცხოოა! გენერალო, შენ გენაცვალე!
ეგ დარტყმა უყვარს რემბაილოს!.. ჩემმიერია!
თავს არ შევიქებ, ღმერთო, მართლაც მშვენიერია!
ხხვამ შესძლო ჩემი, ჩემი დარტყმის კარგად სწავლება?
ახლა კი მშვიდად შემიძლია გარდაცვალება!"
ადგა, შეუშვა მას ხელები შემოხვეული
და შელაღადა ბერიკაცმა მთელი სხეულით:
„ამ ქვეყანაზე კიდევ დარჩა კაცი, რომელიც
მოეფერება ჩემს ძვირფას ბავშვს, როგორც მშობელი,
არ მასვენებდა დღე და ღამე სადარდებელი —
ჩემს მერე ყანგს არ შეეჭამა სამართებელი!
ო, ჩემო დიდო გენერალო, მყავხარ თავდებად,
რომ სციზორეკი არასოდეს არ დაეანგდება!
გერმანულ დაშნას რომ ატარებ, სასაცილოა,
მაგ კეტის შებმა შლახტელისთვის სამარცხვინოა,
პან გენერალო, ყურად იღე რჩევა ბებერის,
ვიღე ხმალი ძველშლახტური, შენც რაც შეგფერის!
აი, სციზორეკს შენს ფერხთით ვდებ მაგარვადიანს,
მასზე ძვირფასი ქვეყნად აბა რა მაბადია!
მე არასოდეს მიფიქრია ყოლა ცოლ-შვილის,
ეგ იყო ჩემი შვილიც, ცოლიც, მონა-მორჩილიც...
მარტო ოროდეს არ ყოფილა დაჯუდებული,

---

[1] სამუელ რუჟიცკი (1784-1834) — მონაწილეობდა 1812 წ.-ის ომში, ნოემბრის აჯანყებისას გენერალი იყო.

[2] ჰენრიკ დემბინსკი (1791-1864) — 1812 წ. პოლონური კორპუსის პორუჩიკი.

შუალამემდე გულში მყავდა ჩახუტებული,
ვათამაშებდი, ღამით მასთან ერთად მეძინა,
დღისით ნაბრძოლი რიჟრაჟამდე გვერდზე შეწვინა,
როცა დავბერდი, ჩამოვკიდე ჩემს სარეცელთან,
როგორც ურია რჯულის კანონს ვერ გაეცლება,
მაგის გარეშე ვერ გავშორდი ესე საწუთროს,
მაგრამ მემკვიდრე ვპოვე — დაე, შენ გემსახუროს!"
თან გაიცინა პან დომბროვსკიმ, თან შეებრალა. —
„ჩემო კეთილო მეგობარო, თქვა გენერალმა,
ძე თუ დამითმობ ცოლ-შვილს, ქვეყნად რაღა დარჩები? —
მოხუცი, ქვრივი, მარტოხელა, სხვათა სარჩენი!
მიბრძანე, რითი შემიძლია, ეგებ როგორღაც
სამაგიერო შევაწიო შენს ქვრივ-ობლობას"?
„მე ციბულსკი ვარ? გეკითხები, როგორც მამა შვილს,
ცოლი წავაგე ჯარისკაცთან ბანქოს თამაშში?
გახსოვს სიმღერა? ჯარისკაცმა ჰკითხა გენერალს,
ისაც მეყოფა, რომ ვუცქერდე ხმლის გაელვებას,
რომ სციზორეკი ეგეთ ხელში მუდამ იბრწყინებს,
ოღონდ, ბატონო გენერალო, ნუ დაივიწყებ,
მას მოსაქნევად უნდა გრძელი თასმით იბამდე,
მარცხენა ყურთან ვისაც დასცხებ, გახსნის ჭიპამდე"
კნიაზევიჩმა რომ მიიღო ხმალი საჩუქრად! —
სამმა მსახურმა დიდ ფურგონში სადღაც ჩაჩურთა,
ვერ ატარებდა, სიგრძის გამო, პან გენერალი
და იმ დღის მერე ხმალს ვერ მოკრა თვალი ვერავინ.

დომბროვსკიმ უთხრა მაჩეკს: „სდუმხარ კაი ხანია,
ჩვენი სტუმრობა, ძმონი, დიდად არ გიხარია?
რო მოღუშულხარ დაბოღმილი ბერიკაციით,
ნახვა არ გალხენს ოქროსი და ვერცხლის არწივის?
არ გესმის?.. ყურში კოსტიუშკოს მარშს ჩაგყვირიან!
შენი დუმილი, მაჩეკ, მართლაც გასაკვირია!
მე შენ ყველაზე ყოჩაღი და მარჯვე მეგონე,
ცხენი და ხმალი აქ რად მინდა? აპყევ მეგობრებს,
იმხიარულე და დალიე, სანამ შესძლებდე...
ნაპოლეონსა და ჩვენს იმედს არ ადღეგრძელებ"?
„ეჰ, თქვა მაჩეიმ, გავიგონე, ვხედავ, რაც ხდება!
ორი არწივი ერთ ბუდეში ერთად მარცხდება!
ფრანგთა კეისრის მოწყალება ცრუ მარტს მაგონებს,
დიდი გმირობა! მისი ქება უყვართ ბატონებს!
მაგრამ ვიხსენებ პულაველებს, როგორც ახლობლებს,
დიმურიერის შემყურენი რას იძახოდნენ:
იტალიელი ანდა ფრანგი რისთვის გვიძღვისო,
პოლონეთს მხოლოდ პოლონელი გმირი იხსნისო, —
ჩვენი იანი, იუზეფი, თუ გინდ მაჩეკიც...

პოლონურია ჩვენი ჯარი? ნუ ვიქაჩებით!
ის მსროლელები, ცხენოსნები, გრენადერები
მწყობრში დგომისას გეგონება გერმანელები,
პრუსიული აქვთ წოდებები განა ხალხური,
არა სჭირდება ჯარში ასეთ ამბავს თვალყური?
თურქებთან ერთად არმიაში გვყვანან თათრები,
ურჯულოები, ქრისტეს მტრები და წარმართები,
თავად ვიხილე — ქალებს როგორ სცემდნენ საშინლად,
ტაძრებს ძარცვავენ, მიაქვთ, წმინდა რაც გაგვაჩნია!
კეისარი კი მოსკოვისკენ მიდის თარეშით,
აურჩევია ეს გზა ღმერთის რჩევის გარეშე,
დაუწყევლია ეპისკოპოსს... ეს კი, ანაწყო,
ხომ არ ნიშნავს, რომ... აქ მან ლუკმა წვენში ჩააწო,
უცებ ჩაჩუმდა, ლაპარაკი აღარ განაგრძო.
მოხუც მაჩეკის პოდკომორნიმ არ უთანაგრძო,
ახალგაზრდობა ახმაურდა, მაგრამ დაასწრო
მათ მოსამართლემ, გაცხარება არ დააცადა,
მესამე წყვილის მობრძანება გამოაცხადა.
ნოტარიუსი გამობრძანდა, მაგრამ ვერც ქალმა,
ვერც კაცმა იცნო, შავ ფრაკს ისე გამოეცვალა,
ადრე ყოველთვის პოლონური ეცვა ხალათი,
ხალვათ ტანსაცმელს გაუბედა ეხლა ღალატი.
მისი საცოლის (ტელიმენას) გამო ტანჯული
წვალობდა ფრანგულ ყაიდაზე გამოპრანჭული.
მან იძულებით დაუჯერა თავის დანიშნულს,
რომლისაც ესმის — საკმაოა თვალით ანიშნოს.
ახლა კი სული გაუმწარა იმ ტანსაცმელმა,
მისთვის უჩვევმა ვიწრო ფრაკმა ვით განსაცდელმა,
როგორც გაჭიმულ თოკზე, მსგავსად აკრობატისა,
მიდის და თითქოს ეშინია გადმოვარდნისა,
განზე გახედვას ვერ ახერხებს, მიდის პირდაპირ,
ხალხს თავს ვერ უკრავს, ველარ აჩენს ღიმილს პირბადრი,
ხელების ქნევის და ჟესტების მამამთავარი
დრკება, ხელები სად წაიღოს? არ აქვს ქამარი,
გულხელს დაიკრებს, არა ყოფნის გამოცდილება,
შეცდომას ხვდება, კიბოსავით წამოწითლდება,
თითქოს როზგებით უნდათ მისი დასჯა დაიწყონ,
ხელები უშნოდ ცალ ჯიბეში მარჯვნივ ჩაიწყო.
ფრაკის რცხვენოდა, როგორც ურცხვი საქციელისა
და უცებ იგი, ტანში სიმწრით გაციებისას,
მაჩეკის თვალებს წააწყდება, აცახცახდება,
სულით და გულით მის მოყვარულ კაცთან წახდება.
უმზერდა იგი ამღვრეული, მწვანე თვალებით,
ნეფე კი ღილებს ძლივს იკრავდა ნაფერმკრთალები,

ბოლოს მან მაჩეკს შიშნაჭამმა ზემოთ ახედა,
ეგონა მზერით იმ ტანსაცმელს შემოახევდა.
ახალმოდური ჩაცმულობის გამო ცოდვილი,
სიკვდილს ნატრობდა სანიშნობოდ გამოწყობილი.
მას იმ ფრაკისთვის ხალხში თავი მოსჭრა [illegible]
„ბრიყვო! სულელო! "მან ხმამაღლა ორჯერ დანჯეფა,
მერე წამოდგა, ხალხს გახედა წყენით მოხუცმა,
გარეთ გავარდა და სოფლისკენ ცხენით მოკურცხლა.

ამასობაში ტელიმენა ტკბილი ღიმილით
აციმციმებდა თვალებს ნაზად წყვილი ღილივით,
ფრანგულ მოდაზე შეკერილი კაბის მშვენებას,
თმებს — ბაბთებიანს ტანის რხევით ხალხს უჩვენებდა,
ნოტარიუსის დანიშნული ჰგავდა ოცნებას,
ვერ შევძლებ კალმით მის დახატვას და გადმოცემას.
მის გვირგვინს, მის ბეწს, მის ძვირფას თვლებს, მის გარეგნობას
სჭირდება ფუნჯი — გრაფს რომ ახლავს — მის კარგ მეგობარს.

ის იცნო გრაფმა და გაფითრდა გაოცებისგან,
წამოხტა, დაშნის ქარქაშიდან ამოწევისას,
შესძახა: „რას ჰგავს!.. მატყუებენ ჩემი თვალები?!
უცხო კაცს ჩემი თანდასწრებით ეტრფიალები?
ო, მოღალატევ, ეგ ცრუ სული აბა რად მინდა?
სირცხვილნაჭამო, მიწა ახლავ რად არ ჩაგიტანს?
ამ ბაფთებს მკერდზე რად მაბნევდი, რა დაიფიცე?
სულ ახლანდელი შენი ფიცი რად დაივიწყე?
ო, ბრალი ნეფის, რომ მოუწევს ცეცხლთან თამაში,
ჩემი სიკვდილის შემდეგ შეხვალთ ერთად საყდარში".

ნოტარიუსი გაშრა, ადგნენ სამხედროებიც,
პოდკომორნის სურს ჩამოაგდოს ზავი დროებით,
მაგრამ გრაფს იხმობს ტელიმენა, ცოდვისამარა,
ჩურჩულით ეტყვის: „ჯერ მაგისი ცოლი არა ვარ,
შენ თუ მიკრძალავ, ნიშნობები არ გასამდება,
თქვი, მიპასუხე ახლავ, მოკლედ და გასაგებად:
ისევ გიყვარვარ? ჩემზე გული არ შეგიცვლია?
ჯვარის დაწერა ჩემთან დღესვე არ შეგიძლია?
დიას, ახლავე, ნოტარიუსს ვკადრებ ცივ უარს".
გრაფი მოუჭრის: „ო, მიმაჩნდი ადრე ციურად,
მეგონა, ჩემთან პოეზიად სარ მოვლენილი,
ახლა კი მყავხარ მდარე პროზად წარმოდგენილი.
ეს ჯვარისწერა ჯაჭვი არის თურმე წკრიალა,
ხელებს გიერთებთ იგი მხოლოდ, სულებს კი არა!
გწამდეს, არსებობს თანაგრძნობა ახსნის გარეშე,
ვალდებულებაც — ყოველგვარი ვალის გარეშე,

ო, დედამიწის ორ მხარეზე ცხელი ვულები
ხხივთა ციმციმით საუბრობენ შეფიცულები,
ვარსკვლავებივით კრთიან უხმოდ და დედამიწაც
მზისკენ იხწრაფის, უნდა შეხვდეს თავის ხატიცარს,
მთვარესაც უყვარს დედამიწა, მაგრამ ყოვნდება,
უმოკლესი გზით ცდილობს მასთან დაახლოებას
ერთმანეთს ჭვრეტენ, იზიდავენ, მაგრამ უძილართ
თქვენსავით ასე შეერთება არ შეუძლიათ".
„პლანეტა არ ვარ, ღვთის წყალობით, კმარა! გეყოფა!
ქალი ვარ, გრაფო, წინ თუ ვინმე გადამეღობა,
მე ვიცი მაშინ... მაშ ზღაპრებით სხვა მოალხინე,
და თუ ერთ სიტყვას კიდევ დასძრავ ახლა, გაფრთხილებ,
მე ამ ფრჩხილებით, თუმც სტუმრებთან ვარ უკაცრავად,
თავს მოგჭრი ხალხში, არ გაგიშვებ დაუკაწრავად".
თქვა დედოფალმა და პასუხიც ეცა ცხელ გულში;
„ბედნიერებას, ძველ ადათ-წესს ხელს არ შევუშლი".
კვნესა აღმოხდა ტელიმენას ხმაწყვრილ კლავიშის,
გრაფი ეახლა პოდკომორნის ტანმსხვილ ქალიშვილს.

პან პოდკომორნი მოქიშპეთა დასამშვიდებლად
სტუმრებს ამბების მოუყოლად არ ამშიებდა,
ნიბლოსის ტყეზე იწყო თხრობა, მერე დენასეს
და ნოტარიუსს შორის შუღლის ჩამოვდებაზე;
ამბებს დესერტიც დააყოლეს ნასადილრებმა
და ბოლოს ბაღში გაიშალნენ გასაგრილებლად.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თარგმნა ნოდარ ᲒᲔᲠᲒᲔᲖᲘᲫᲔ

თოვლის ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔᲑᲐ

ᲖᲘᲕᲐ, სენ-მორიცში თოვლია, გათბობის რადიატორი კარგადაა გახურებული და მე (სასტუმროს ნომერში) პიჟამოთი ვსეირნობ. მე არც მოთხილამურე, არც მოციგურავე და არც ექსკურსიების მოყვარული გახლავართ, არც ციგით სრიალი მიყვარს, ხოლო მთები ზაფხულობით მოსაწყენი, ზამთრობით კი აუტანელი მეჩვენება. მე აქ სააბალწლოდ ჩამოვდივარ ხოლმე ჩემი მეგობრის ქინდის მოწყობილი ბალეტის სანახავად, მუყაოს სახედრის, ჩასაბერი საყვირის, ქუდისა და რამენაირი სათამაშოს საჩუქრად მისაღებად და აგრეთვე იმისათვის, რომ მაყურებლის როლში ვიგრძნო თავი შამპანურის საცობთა გრიალის იანბლებით გამართულ საოჯახო ზეიმზე. მაგრამ ჩემი ჩამოსვლის უმთავრესი მიზეზი თოვლის ქანდაკების, ანუ დიდი თოვლის თოჯინის ნახვა გახლავთ. ქანდაკებას ბატონი ს. დგამს თავისი სასტუმროს წინ, რომელიც ამავე დროს სწორედ ჩემი სასტუმროს პირდაპირაცაა. ამ თოვლის ჰაპით მე ჩემი ფანჯრებიდან ცქერით ვტკბები. სამი მეტრი სიმაღლის ქანდაკებას თავზე ფრთიანი შლაპა ახურავს, პირში კი სიგარა აქვს გაჩრილი, რომლისგანაც ჰა და ჰა, ფერფლი ჩამოცვივდება, ორი ცალი სტაფილო ყურების მოვალეობას ასრულებს, ორი თავი ხახვი თვალებისას, ხოლო სამი თალგამი პიჯაკის ღილებისას, რაღაც საშუალოა ჩერჩილსა და გროკს[1] შორის. განსაკუთრებით მიზიდავს ხახვის თვალები. როცა პირველად დავინახე, მე — ასოციაციით — უდიდესი შეცოდების გრძნობა დამეუფლა. უზარმაზარი ბუა რომ სტირის ეს უდავოა. ის ერთადერთია, ვისაც აქ ამ ზეიმის დღეებში ნამდვილად ტირილი შეუძლია. იგი ცხარე წითელი ცრემლებით ტირის, მისი ყოველი კურცხალი ბილიარდის ბურთის ზომისაა, მაგრამ ვერც ერთი სულიერი, ჩემს გარდა, ვერ ამჩნევს მის მსხვილ, ლაპალუპით ჩამოდენილ ცრემლებს. მართალია ეს ის თოვლის ჰაპა კი არ არის წინა წლებში აქ რომ იდგა, ყოველწლიურად მას ხელახლა ძერწავენ, მაგრამ ჩემთვის იგი მაინც ყოველთვის ერთი და იგივეა. იგი ტირის არა მარტო იმი-

[1] გროკი (ნამდვილი სახელი და გვარია ალრიენ ვედაში, 1880-1959) — ცნობილი შვეიცარიელი კლოუნი.

ტოს, რომ თვალის ბუდეებში ხახვის თავები აქვს ჩადგმული, მას ტირილისათვის სხვა მიზეზიცა აქვს, რომლის ახსნა მე არ შემიძლია — და, მგონია, არც არის საჭირო. და როცა მას ახალი თოვლი მიეფიფქება ხელმე და თვალები ცრემლებით ევსება, იგი ალარა ჰგავს ჩერჩილს, ნამდვილი გროკი გეგონებათ. მე მესმის მისი სიტყვები: „თქვენ მხიარულადა ხართ? კარგ დროსტარებას გისურვებთ. მე ყველა თქვენთანაანის მაგივრად ვტირი. შემდეგ კი გავდნები და ხახვებს გზის ჭენჭყოში გადავყრი".

მე არასოდეს შევხვედრივარ მობი დიკს, თეთრ ვეშაპს, მაგრამ მრავალჯერ შინახავს გროკი, და, როცა ჩემი სუნთქვით გაორთქლილ ფანჯარასთან ვდგავარ, ვცდილობ გავესაუბრო საოცარ თოვლის პაპას. „ნება მომეცით, მაესტრო — ვეუბნები მას, — მეც შევუერთდე თქვენს შეუკავებელ, მსოფლიო, სამყაროსეულ ტირილს. მე აქ სიგანგეებოდ, თქვენს სანახავად ჩამოვედი. იქნებ ეს არ დამიმსახურებია, მაგრამ მე ერთადერთი ვარ, ვისაც ბედმა არგუნა ამოეცნო თქვენი ცრემლების მიზეზი. მეც დავდნები ისევე, როგორც თქვენ და მეც თქვენსავით თვალების ნაცვლად ორი ხახვი მაქვს ჩადგმული, თალგამი ყ ცხვირის მაგიერ... ნება მომეცით... მაესტრო, მე..."

კარებზე უხმაუროდ აკაკუნებენ. მსახურმა ჩაი შემოიტანა. იგი ტოსკანელია და პრაქტიკული ქალია, არც მისტიკისაკენ აქვს დიდი მიდრეკილება.

— დაინახეთ? — მკითხა მან, ფანჯარასთან მდგომი რომ შემამჩნია, — ამ წელსაც ისევ დადგეს საოთამაშო ფიტული.

— აბა რა, — ვუპასუხებ გულგრილად, — ის ვეებერთელა თოჯინა... თუ რა ჰქვია კიდევ?

დინარული პეპელა

კაფეში, სადაც მე ვიჯექი, ყოველდღე მოფარფატდებოდა შაფრანისფერი პეპელა და (მე ასე მეგონა) ჩემთვის მოჰქონდა შენი ამბები. ისევ მოვა თუ არა იგი დინარიდან[1] ჩემი წასვლის შემდეგ ამ მომცრო, ქარიან მოედნებზე? აბა სხვაგვარად წარმოუდგენელი იყო ბრეტანის ცივ ზაფხულს გათოშილი ბაღებიდან ასე მთლად ერთნაირი და ერთი ფერის ნაპერწკლები ამოეკვესა. უფრო დასაჯერებლად მიმაჩნდა, რომ მე სხვადასხვა პეპელას კი არა, არამედ ერთს, ერთადერთ დინარულ პეპელას ვხედავდი. მხოლოდ ის მაფიქრებდა, დილის სტუმარი მართლაც მარტო ჩემთვის მოფრინდებოდა სხვა კაფეების გვერდის ავლით, იმისათვის რომ აქ, „კორნოულზე" ვენახე? იქნებ, ეს ადგილი, უბრალოდ მისი ყოველდღიური მარშრუტის მხოლოდ ნაწილს შეადგენდა .ერთი სიტყვით, ეს მხოლოდ უბრალო დილის გასეირნება იყო თუ საიდუმლო დავალება?... ყოველ შემთხვევაში ეჭვის გასაფანტად გადავწყვიტე დინარიდან ჩემი წასვლის წინ ოფიციანტი ქალისათვის მოზრდილი pourboire[2] და ჩემი იტალიური მისამართი დამეტოვებინა. მას უნდა შეეტყობინებინა, ან ჰო, ან არა, მოფრინდებოდა პეპელა კაფეში ჩემი წასვლის შემდეგაც თუ უკვე ალარ გამოჩნდებოდა. ასე რომ, მე დაველოდე სანამ პეპელა ყვავილებიან ლარნაკს დააფრინდებოდა, შემდეგ ამოვიღე ასფრანკიანი კუპიური, ქალალდის ფურცელი, ფანქარი და ჭალიშვილს მოვუხმე. ჩემი

ჩიქორთული ფრანგულით მას საქმის არსი ავუხსენი. რა თქმა უნდა, ყველაფერი როდი გავანდე. თავი გავაცანი, თითქოს მოყვარული ენტომოლოგი ვარ და მინდა ვიცოდე კვლავ მოფრინდება თუ არა პეპელა აქ, ამ კაფეში, ან როდემდე გაუძლებს იგი ასეთ სიცივეს. ყველაფერი ეს [illegible], მღელვარებისაგან ოფლმა დამასხა.

— Un papillon? Un papillon jaune?[3] — მკითხა გრაციოზულმა ქალიშვილმ: და გრეზის[4] ფუნჯის საკადრისი თვალები ფართოდ გაახილა — იმ ლარნაკზე? მე ლარნაკზე ვერავითარ პეპელას ვერ ვხედავ. ალბათ, თქვენ შეცდით. Mersi bien, Monsievr[5]. — მან ასფრანკიანი კუბიური ჯიბეში ჩაიდო და ყავის ფილტრით ხელში თვალს მიეფარა. მე თავი დავხარე და გეორგინებიან ლარნაკს კვლავ როცა შევხედე, პეპელა ალარსად იყო.

ქვრივები

ჩემი საუკეთესო მეგობრები გარდაიცვალნენ .არა მათზე უმცროსნი, არა მათზე უმჯობესნი, არც მეტად ღირსეულნი დღეგრძელობისა, კვლავაც გაგრძობენ სიცოცხლეს მათი თანამეცხედრენი. ისინი უკვდავყოფენ ქმრების ხსოვნას, იმოსებიან ფოჩებიანი სამგლოვიარო ტანსაცმლით; სარგებლობენ პრეფექტთა პატივისცემით, სათავეში უდგებიან კომიტეტებს, გამოფენების გახსნისას ჭრიან ლენტებს, წყალში ჩაშვების წინ ხომალდების კილზე ამსხვრევენ შამპანურის ბოთლებს, ასწორებენ ქმრების კორექტურებს, ერთი საფლაოდან მეორეზე გადაასვენებენ ხოლმე მეუღლეთა ცხედრებს, ნიშნავენ სტიპენდიებს, არ აქრობენ ცეცხლს, რომელსაც ერჩივნა ჩამქრალიყო ლამპარში ზეთის ნაკლებობის გამო. „დაგვანებეთ თავი!“ — მოისმის საიქიოდან განსვენებულთა სუსტი ხმა. მაგრამ ქვრივები ჯიუტობენ, და, როცა დავიწყების პირველი ბინდები ჩამოწვება გორაკებზე გაბნეულ ჩაის მაგიდებზე, საიდანაც მოჩანს აპუანის ალპების ხედი, ისინი შლიან ქალალდს, თამაშობენ ბანქოს და ადგენენ: „უკან“! Non prevaledunt[6]!»

ისინი ქალაქში არ დარჩნენ, ძვირფასი ქვრივები, რადგან რელიქვიების გადაქექვა ძალიან მძიმე საქმეა. ისინი სხვადასხვა მხარეს დაიფანტნენ — ზოგი ზღვისაკენ გაემართა, ზოგი მთისაკენ და ბინოკლში უყურებენ ჩერვინოს მწვერვალიდან დაშვებულ ალპინისტებს, მსგავსად ვეშაპებისა შხეფების შაღრევნებს ადგაფუნებენ, ვენეციის ლიდოს წლის სარკეზე, გულიაშს სანსლავენ ჩინკუალეში, პატარა უნგრულ რესტორანში. ისინი ყნოსვით გრძნობენ ერთიმეორეს, ერთად იკრიბებიან და ლაპარაკობენ... ლაპარაკობენ მათზე, ვინც მათ დაასწრო სასუფეველში წასვლა. ისინი სხვადასხვა ენასაც ჰფლობენ, ეს ყოყოჩა, ქედმაღალი, ცივსისხლიანი ქალბატონები; თუ კი ისინი ხელმეორედ თხოვდებიან, ინარჩუნებენ პ ი რ ვ ე ლ ი ქ მ რ ი ს კულტს.

---

[1] დინარი — საკურორტო ადგილი ბრეტანში (საფრანგეთი).

[2] ხაჩეტქარი, ჯილდო (ფრანგ.).

[3] პეპელა? ყვითელი პეპელა? (ფრანგ.).

[4] გრეზი — (ჟან ბატისტ გრეზი ფრანგი მხატვარი — 1725-1805).

[5] დიდი მადლობა, ბატონო (ფრანგ.).

[6] ისინი ვერ დაგვამარცხებენ (ლათინ.).

„Main Mann“ — ლაპარაკობს ერთი, „mon mari“ — ამბობს მეორე, „my husband“[1] — იმეორებს მესამე, ხოლო მეოთხე ყურში ჩასჩურჩულებს მეხუთეს: „შამიეშიც კი... ისეთ მომენტებშიაც... წარმოგიდგენიათ, მას მოსწონდა, როცა წინდები მეცვა... (ჩლიფინობს)“.

ჩემი საუკეთესო მეგობრები გარდაიცვალნენ და მე ერთი ვებრძვი მათ კულტს, რომელსაც ელოლიავებიან ძვირფასი ქვრივები. მე მეგობრებს ჩემებურად ვიხსენებ — როცა ტრამვაიში ვჯდები, როცა აპერიტივს ვსვამ; მე მათ ძალლის სიფათში ვცნობ, პალმის სილუეტში, ფეიერვერკის ტრაექტორიაში. ხანდახან მათი სახეები მე იმ პლასტმასის სანაგვე ყუთის კონტურში მეჩვენება, რომელსაც ზღვა კალამბრონეს ნაპირებისაკენ ერეკება, ხან — ძველი „ბაროლოს“ მოხაზულობაში, ჭიქის ფსკერზე, ხან — კატის ნახტომში, რომელიც გუშინ ღამით მასსეში მოედანზე ფარვანას იჭერდა და არავინ ამბობდა „my husband“ და ჩემი მეგობრები ბედნიერები იყვნენ, ისინი ჩემთან ერთად ცოცხლობდნენ.

[1] ჩემი ქმარი (გერმ. ფრანგ. ინგლ.).

ანდრეი ბელი

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ზვიად ალხაზიშვილმა

ვლ. სოლოვიოვის მიბაძვით

ქარვისფერი ღრუბლების ზოზინა ქარავანი
თითქოს ცაში გაქვავდა, დღე ჩააქრეს ლანდებმა,
დაიძინე, ძვირფასო, დარდები განიქარვე,
საღამოა... ჩვენი გზა ნისლში მიემართება.

ჩვენი წმინდა აღთქმანი ისევ ანთებიან,
მაგნოლიის ტოტებში ჩამქრალა მზის მკლავები,
ტკივილები ბებერი დაღლილ სულში ქრებიან,
ისე, ვით ნაკვალევი მოწყვეტილ ვარსკვლავების.

შორეული ნაღველის ღრუბლისფერი სიმძიმე,
ზეცა მოიქუფრება, ქარებით დამძიმდება,
მოლურჯო-მოწითალო ანარეკლის ციმციმი
გამოჩნდება ცაზე და მყისვე მიეძინება.

დავსხდეთ, აქ დავისვენოთ, მთვარის აფრა გაშლილი
გზას აღარ გაგვინათებს, მწუხრისფერი გროვდება,
დარდები განიქარვე, დაიძინე დამშვიდდი,
ძილის დროა, ძვირფასო, საღამო ახლოვდება.

უიმედობა

კმარა ლოდინი ცრუ და ამაო,
ხალხო, ბეჩავო, მომოიფანტე,
გაქრი მტანჯველო წლების ღამეო —
წლიდან წლამდე რომ უფრო იმატებ.

დროო მონობის და სიღარიბის,
ნეტავ როდემდი უნდა გითმინო,
მომეცი ნება, ვინმე ყარიბმა,
საშობლოვ, შენზე რომ ვიქვითინო:

იქ, სადაც დგანან მწვანე მუხები —
ყოროში შვენის ვაკეს კუზიანს,
იქ, სადაც ღრუბლით ცა იმწუხრება,
სადაც ტყვიისფერს ცა გაუვსია,

იქ, სადაც ველზე შიში ლაღრაკებს
და გაბარჯღულა ხმელი ბაგეები,
იქ, სადაც შლეგი ქარი ალამებს,
მწვანე რტოებში ისევ გაჩქეფს.

იქ, სადაც მრუმე და ნამთვრალევი
მოჩვენებათა გუნდი ვიდოდა,
სულში მიმზერენ შლეგი თვალები
უაზრო, შეშლილ სამიკიტნოთა.

სადაც სიკვდილი ბატონობს მკაცრი
და სიავადე მეფობას ჩემობს,
გაქრი სივრცეში, რუსეთო, გაქრი,
გაქრი, რუსეთო, ჩემო!

1908 წ.

ჩხუბი

1

საბედისწერო წლები მწუხარე...
ო, სიყვარული ჩუმად ქრებოდა,
აყურადებდა ქარბუქს ბუხარი
და ცეცხლიც ნელა ინაცრებოდა.

ნაკვერჩხლის სითბო სახეს გიხურებს,
ზიხარ ბუხართან თავჩაკიდული,
აღარ საუბრობ, აღარ მიყურებ,
ხარ მოთენთილი და გარინდული.

შეხედე, თითქოს ცეცხლი ღვივდება,
მოისმის მოთქმა ნიავქარული,
ქარბუქის მერანს მოურიდებლად
სახურავებზე გააქვს თქარუნი.

დიდი ხანია, რაც მონდობილი
შენ მიშანთავდი ტუჩებს ტუჩებით,
ყვავილთა ზღვაში ძირს დამხობილი —
მეფერებოდი და მაყუჩებდი.

მაგრამ წახვედი და სიბოროტე
ცეცხლის საზღვრიდან მიყურებს ახლაც,
შენი შუბლი კი შთანთქა ბოლომდე
ოქროსფერი თმის მსუბუქმა ტალღამ.

ჰაეროვანი ფერი ლოყების
გაგიფერმკრთალდა, უფრო განაზდა,
ვილაც ძახილით უკან მომყვება,
რომ „სიყვარული ჩაქრა ანაზდად“.

ვერ გააღვიძე სუნთქვა ქარბუქის,
გაუფერულდა ვნება თავნება,
თუ დაივიწყე დრო სიჭაბუკის
გარდასულ დღეთა აღფრთოვანება.

თუ სიყვარული ადრე მოსული
გაქრა და ჩემთან არ გაკავშირებს,
წავალ ღამეულ ბინდით მოსილი
და მივაშურებ ველებს გაშლილებს.

მე უკუნეთში გადავეშვები,
გავფარფატდები მსუსხავ ღამეში
და ცივი ქარი შავი ეშვებით
ძონძებს მომახლის უცებ სახეში.

მე მივაბარებ საფლავს დათოვლილს
განუყოფელი ტრფობის სიმწარეს...
უცებ წამოხტი, ისე ათრთოლდი,
მიხიგედი, ჩემი სიტყვა იწამე

2

გააქვს თქარუნი ქარბუქის მერანს,
ბუხარში ცეცხლის გიზგიზი ისმის,
აბრეშუმივით შრიალებს ჯერაც
ცეცხლი და ლალის ნაპერწკლებს
ისვრის.

„გამოიღვიძე, ძილმა დაგვღუპა"...
(უკვე ეჭვები არად მიჩანდა),
მომიახლოვდა, კვლავ გადამბუგა
და ბაგე ბაგით ამომიშანთა.

„ისევ მიყვარხარ, გესმის გულის ხმა?!"
ნაკვერჩხლის სუსტი ფრთები თანდათან,
ააბრიალა მხეცმა გულისცემამ,
აბრეშუმისფერ შუქში გაფანტა.

ფანჯრებში მოჩანს თოვლის ლაბადა,
სოფელი — თოვლით დაოსებული
და საუკუნო სიღრმე საფლავთა —
მარადი სევდით ამოვსებული.

ის შეუერთდა ღამეს უძილოს,
ჩამოიცილა დღის საბურველი,
ის დროის მილმა იდგა
უძირო,
შეურიგალი და სასურველი.

განდევნილი

მე ვტოვებ ქალაქს საღამოისას,
მაკრთობს ხმაურით, ხმებით
მგრგვინავით,
თუმცა შორიდან ისევ მოისმის
ხმა მოქირქილე და დამცინავი.

იქ, მარადიულს წლები შევწირე,
არც გიფიქრიათ ჩემი დანდობა,
მყისვე ჩამქოლეთ, არ შემეწიეთ,
თქვენ ჩემი ტანჯვით გსურდათ
გართობა.

გტოვებთ, რადგანაც ვარ განდევნილი,
თავისუფლებას ველარ წამართმევთ,
გავრბივარ მწირი, ობლად შთენილი,
პურის ყანაში, მზე რომ ანათებს.

გავრბივარ ისევ და გზას მილოცავს
ვრცელი ველები და მე არ ვცხრები,
მე დავეცემი ლურჯ ღიღილოსთან,
მიწას ჭალარით დავენარცხები.

ყვავილო, ნამით კვლავ დამასველე,
მაპკურე შენი ბროლის წვეთები,

მე მეამბოხე სულს მოვასვენებ —
სულს გატანჯულს — და მოვითენთები.

მზე ჩადის, სხივი ჩუმად მიცოცავს,
მზე ჩამავალი ზეცის ფერს შეცვლის,
გრილი ნიავი თმას ამიწეწავს,
საუბედუროდ, ადრე შევერცხლილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტი

მარტოსული ხარ, შენ მართავ
სწრაფვას,
შეუპოვრობით სძლიე ყიამეთს,
თოვლში და კვამლში სიმებად აბამ
წმინდა მწვერვალთა მსუსხავ სიამეს.

მთად დაჭიმული ნაკადულები
შენ გიმღერიან ვერცხლის ჩქერებით,
ო, შენ არა ხარ მარტო სრულებით,
გვიმზერ ბინდიდან ყელმოღერებით.

ცას ვარსკვლავიანს მისწვდა არწივი,
დაფრენს არწივი ცად დაკარგული
და შენმა ლანდმა კვლავ თავგანწირვით
გაჭრა ყინულის კლდე მოსარკული.

დგახარ მწვერვალზე, სადაც ბროლივით
ბრწყინავს ყინულის ცივი მახვილი,
შენ გამოიწვევ მზეს საბრძოლველად
სასოწარკვეთილ ამოძახილით.

არ ჩამოვარდე, ფრთხილად! შენ ნახავ,
როცა დაიწევს ფრთა ნისლოვანი,
როგორ გაგიღებს უფსკრულის ხახას
სიმაღლეები ყინულოვანი.

ზღვაში ვარდება ოქროს ყინული,
მზე ყინულივით ზღვაში გაქრება,
წელი ჩავლილი თვალებს მილულავს,
სილაჟვარდეში ჩაიკარგება.

□

ნიკოლაე ესინეინკუ (მოლდაველი)

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ

სინათლე გრძელდება

თუ გსურს თავადვე:
დამიჯერე, დამიგდე ყური!
მე ვდგავარ ახლა თვალშეუდგამ
აეროდრომზე,
ყველა გზა თოვლმა გადამიჭრა
და ჩამიჩუმქრა.
სდექო, —
მეგზურნი მიკიჟინებენ,
რას გააწყდბო ამ თოვლის შქერში
და სულსწრაფობას ჩემსას ძრახავენ..
ქარს მიაქვს თოვლი
და თანგავს ჰაერს
ძერას ფრთასავით მძლავრი ლანქერი.
არა!
ამგვარად ყოფნა მე უკვე
არც ძალმიძს და არც ხელმეწიფება.
უნდა დავადგე გზას უსათუოდ,
ჩემს მძვინვარ ამქრებს —
თოვლს და ქარაშოტს
ღონიერ ფრთაზე ავესვეტები.
მხოლოდ ერთს გვედრი:
შუქს ნუ ჩააქრობ,
ვინძლო მოვიდე
და თუკი იგი თავად გამოქრა,
თმები ზურგზე გადაიყარე
და მაგ მცხუნვარ ალის ამარა
გამოდი ჩვენი სახლის ერდოზე.

ვარდების წარლვნა

ქარი ხვეწს ვარდებს
და ფურცელ-ფურცელ მიაფრიალებს.
შენ შიგ ვარდების წრეში დგეხარ
და უმკლავდები უნაზეს წარლვნას,
მაგრამ როდემდე,
ნეტავ როდემდე აჰკრეფ ჰაერის
ლბილ ფარდაგებზე
დაყრილ ტეხილებს ქარზე უმალეს?
სელისგულებზე გისვენია
და თმებში იწნავ.
და რომ არ იცი
სად წაიღო,
ტუჩის ნაპრალთან იბნევ დროებით,
მაგრამ არასგზით არ იშრიტება
ეს მეწამული ვარდების წარლვნა,
შენც ჩაგითრიეს მრეშმა ზვირთებმა
და ზე აწვდილი
ტალღის წვერივით
ჩანხარ ხანდახან.
თითებზე სისხლი გდის ეკლებისგან.
შენ ცრემლებს იწმენდ
სოველ თვალებზე და მწარედ ჰყვირი.
ეძახი ბავშვებს, რომ შეგეწიონ
და წინ აღუდგნენ ვარდების რისხვას.
ბავშვები ხელზე გახვევენ სახვევს,
შენ ხელისგულით ცრემლის ნამს
იწმენდ
და კვლავ ინთქმები ვარდების ცეცხლში.

არვინ

ჩემს მაგიერ
ვილაც გატეხავს პურს.
ჩემს მაგიერ
სხვა მიუჯდება ტაბლას.
ჩემს მაგიერ
მავანი განლევს დროჟამს.
ჩემს მაგიერ
სხვა არ მოქვდება არვინ.

ომი, მამა

დედაჩემისებრ
მაშინ მინდვრად მეც გავდიოდი,
მხარი მტეხდა
და დაკორძილი მქონდა ტერფები.
მამავ, გეძახდი,
ქუში ექო ნთქავდა შენს სახელს,
ჩემი ხმა იქვე გაქვავდა
და ვერ მოგაწვდინე.
დედაჩემისებრ
სურათ-ხატად მედექი თვალწინ:
სისხლის გუბეში თავჩარგული პირაღმა
ეგდე.
ვეხეტებოდი აღმა-დაღმა,
სახელს გეძახდი
და არაფერი არ შემეძლო ძახილის
გარდა.

მსურს რომ იცოდე

მსურს რომ იცოდე,
ჩვენს ბინაში ყვავილი გაჩნდა.
მწვანე ქსოვილი იქსელება მანამდე,
ვიდრე თავის ნაზ საცეცს
რომელიმე ნივთს არ ჩაჰკიდებს.

უკვე შებოჭა ჩემი წიგნები,
სავარძელი, საწერ-მაგიდა
და თანდათან მწვანე ქსოვილი
მიიწევს რკინის საწოლისაკენ.

□

მიხაილ ზოშჩენკო

მზის ამოსვლის წინ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ეთერ თევარაძემ

●

ამ წიგნის დაწერა დიდი ხნის წინათ მქონდა ჩაფიქრებული, თითქმის იმ ხანებშივე, ჩემი „დაბრუნებული ახალგაზრდობა“ რომ გამოვაქვეყნე.

მთელი ათი წელიწადი ვაგროვებდი საამისოდ მასალებს და მერე ველოდი, როდის ჩაცხრებოდა ომის ხანძარი, რომ ჩემს მყუდრო კაბინეტში მუშაობას შევდგომოდი;

მაგრამ იმედი არ გამიმართლდა.

გერმანელთა ყუმბარამ ორჯერ ჩამომამხო თავზე ჭერი, აგურის ნამსხვრევები და ბათქაში დაშვავდა პორთფელზე, სადაც ჩემს ხელნაწერებს ვინახავდი. ტყავს უკვე ცეცხლის ალი ლოკავდა და ახლაც ვერ მივმხვდარვარ, რა სასწაულით გადაურჩა დაბუგვას.

ჩემი ხელნაწერებიანად დავტოვე ალყაშემორტყმული ლენინგრადი და გერმანელების ფრონტს თვითმფრინავით თავს გადავუქროლე.

თან ოცამდე რვეული მიმქონდა. ტეირთი რომ შემემსუბუქებინა, რვეულებს კოლენკორის სქელი ყდები შემოვაცალე, მაგრამ ამით ბევრი არა მოგია რა, ხელნაწერები მაინც რვა კილოგრამს იწონიდა. მე კი თან მხოლოდ თორმეტი კილოგრამი უნდა წამელო, მეტის უფლება არ მქონდა. იყო წუთები, როცა ძალიან ვწუხდი — ნეტავი ამ ხარახურის ნაცვლად, თბილი საცვალი ან ზედმეტი წყვილი ფეხსაცმელი წამომელო-მეთქი.

მაგრამ ლიტერატურის სიყვარულმა მძლია და ჩემ ავ ბედს შევურიგდი. მავი, შელანძღული პორთფელით ჩავიტანე ჩემი ხელნაწერები აწ კურთხეულ ქალაქ ალმა-ათაში.

აქ მთელი წელიწადი ვწერდი სცენარებს დიდი სამამულო ომის თემებზე, რვეულები კი ჩავაწყვე ხის ტახტში, საწოლის მაგივრად რომ მედგა.

ზოგჯერ ტახტს თავს ავხდიდი ხოლმე და ფირფიცრის ძირზე ჩემს ოც რვეულს და ერთ ტომარა ორცხობილს შევათვალიერებდი — (ლენინგრადში შეძენილი ჩვეულების თანახმად, ორცხობილა აქაც მოვიმარაგე).

ვფურცლავდი რვეულებს და გულშეჭირვებული ვფიქრობდი, არ იქნა და არ დადგა დრო საამისოდ, რომ ჩავუჯდე სამუშაოს, ასე საეგებოდ რომ

მეჩვენება ახლა და არაფრით არ ესადაგება ომს, ზარბაზნების გრიალს და ჭურვების წივილს-მეთქი.

„არაფერია, — ვიმშვიდებდი თავს. —ომის დამთავრებისთანავე შევუდგები მუშაობას“.

რვეულებს კვლავ თავის ადგილზე ვაწყობდი და ტახტზე წამოწოლილი გუნებაში ვვარაუდობდი, საოდიოდ შეიძლებოდა დამთავრებულიყო ომი. ჩემი აზრით, ეს არცთუ ისე მალე მოხდებოდა, მაგრამ ზუსტად რამის თქმა, რასაკვირველია, არ შემეძლო.

„კი მაგრამ, იქნებ საჭიროა ახლავე მოვკიდო ხელი ამ საქმეს?—გამკენწლა ერთხელ ფიქრმა. — რაზე ვილაპარაკებ ჩემს წიგნში? — გონების გამარჯვებაზე, მეცნიერების განვითარებასა და ცნობიერების პროგრესზე. აქ ხომ უარყოფილია ფაშიზმის „ფილოსოფია“, რომელიც ქადაგებს, გონება კაცობრიობას უბედურებას ატეხს თავს და ადამიანი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს ბედნიერი, როცა უარყოფს ცივილიზაციის მიღწევებს და ბარბაროსობის, ველურობისაკენ იბრუნებსო პირს.

რა თქმა უნდა, მკითხველი ყოველივე ამას ახლა უფრო მეტი გულისყურით მოეკიდება, ვიდრე ოდესმე, სხვა დროს“.

ომის დამთავრებას აღარ დავლოდებივარ, 1942 წლის აგვისტოში ხელნაწერები მაგიდაზე ამოვალაგე და მუშაობას შევუდექი.

I პროლოგი

ათი წლის წინათ დავწერე ჩემი „დაბრუნებული ახალგაზრდობა“. ეს გაიღდათ ერთი ჩვეულებრივი მოთხრობა, როგორსაც მწერლები მრავლად წერენ ხოლმე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თან ერთვოდა კომენტარები და ფიზიოლოგიური ხასიათის ეტიუდები, რომლებიც განმარტავდნენ გმირთა საქციელს და ამავე დროს მკითხველს აწვდიდნენ შესაბამის მონაცემებს ადამიანის ფსიქოლოგიასა თუ ფიზიოლოგიაზე.

„დაბრუნებული ახალგაზრდობა“ არ იყო მეცნიერული ნაშრომი. მიუხედავად ამისა, სწორედ მეცნიერები მოეკიდნენ მას განსაკუთრებული გულისყურით. ეწყობოდა დისპუტები, იმართებოდა კამათი, ბევრი გესლიანი სიტყვა მასმინეს, მაგრამ არც გულთბილი, გამამხნევებელი სიტყვები დამკლებია.

ცოტა არ იყოს, შეცბუნებული გახლდით, სწავლულნი ასე ცხარედ და სერიოზულად რომ მეკამათებოდნენ. მაშასადამე, აქ მთავარი სულ სხვა რაღაც უნდა იყოს-მეთქი, ვფიქრობდი. — საქმე ის კი არ იყო, სხვაზე მეტი რომ ვიცოდი, უბრალოდ, როგორც ჩანს, მეცნიერებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სათანადოდ გამოკვლეული ეს საკითხები, ჩემი გამოუცდელობით ასე გაბედულად რომ შევეხე.

ასე იყო თუ ისე, მეცნიერები როგორც ტოლს, ისე მელაპარაკებოდნენ და „ტვინის ინსტიტუტში“ გამართულ სალამოებზე მოსაწვევებსაც ხშირად მიგზავნიდნენ ხოლმე.

პავლოვმაც კი ლირს მყო, მის „ოთხშაბათობებს“ დავსწრებოდი.

მაგრამ, ვიმეორებ, ჩემი თხზულება მეცნიერთათვის არ იყო განკუთვნილი. ეს გახლდათ წმინდა წყლის ლიტერატურული ნაწარმოები, სამეცნიერო მასალა კი მხოლოდ და მხოლოდ მის თანდართულ ნაწილს წარმოადგენდა.

მხატვარმა, ვიდრე ადამიანის სხეულის ხატვას შეუდგებოდეს, პირველ ჯერ, ანატომია უნდა შეისწავლოს, რადგან მხოლოდ ამ გზით თუ შეძლებს თავიდან აიცდინოს შეცდომები ადამიანის ხატის ქაღალდზე გადატანისას. მე მუდამ მაოცებდა ის ამბავი, რომ მწერალი, ვინც მოწოდებულია ასახოს ადამიანის სხეულზე უფრო რთული და აღმატებული — მისი ფსიქიკა თუ გონებრივი სამყარო, არცთუ მაინცდამაინც ისწრაფვის დაეუფლოს ცოდნას ამ მიმართებით. მე მოვალედ ვრაცხდი თავს, ასე თუ ისე, შემესწავლა ეს საკითხები და შემდგომ ჩემი ცოდნა მკითხველისთვისაც გამეზიარებინა.

ამრიგად შეიქმნა ჩემი „დაბრუნებული ახალგაზრდობა“.

ახლა, ათი წლის განვლის შემდეგ, ჩემთვის ნათელია ამ წიგნის ნაკლოვანი მხარეები, ვხედავ, რომ იგი არასრული და ცალმხრივი გამომივიდა და ალბათ ავის დროზე საჭიროც იყო ჩემს მოწინააღმდეგეებს საამისოდ კარგა მაგრად შევეხურებინე და იმაზე მეტიც თქმულიყო, წიგნის განხილვისას რომ ითქვა.

1934 წლის შემოდგომაზე ერთი შესანიშნავი ფიზიოლოგი გავიცანი. როდესაც სიტყვა ჩემს ნაშრომზე ჩამოვარდა, ფიზიოლოგმა მითხრა:

— საერთოდ, თქვენი ჩვეულებრივი მოთხრობები უფრო მომწონს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ თქვენ მიერ აღძრული საკითხები ფრიად აქტუალურია. ამ მხრივ უეჭველად უფრო მეტიც უნდა დაიწეროს. ცნობიერება მარტო მეცნიერთა კვლევის საგანი როდია. ჩემი აზრით, ჩვეულებრივ ამ საკითხით მეცნიერებზე მეტად, მწერლები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი. მე ფიზიოლოგი ვარ, ამიტომ ამას უშიშრად ვამბობ.

— გეთანხმებით, — მივუგე პასუხად. — ჩვენ, მწერლებს უფრო მეტად გვმართებს ცნობიერების უმაღლესი ფსიქიკური მოქმედების სფერო თქვენზე ღრმად ვიკვლიოთ. ადამიანის ქცევა შეიძლება შესწავლილ იქნას ძაღლისა და ლანცეტის მეშვეობით, მაგრამ ადამიანს (ამდენადვე ძაღლსაც) ზოგჯერ ოცნება იპყრობს ხოლმე, რაც უჩვეულოდ ცვლის შეგრძნების ძალას თვით ერთი და იგივე გამღიზიანებლის ზემოქმედების პირობებშიც კი. მსგავს შემთხვევებში დროდადრო საჭირო ხდება „ძაღლთან საუბარი“, რათა გავარკვიოთ მისი წარმოსახვის სირთულე. „ძაღლთან საუბარი“ კი არსებითად თქვენ სფეროს განეკუთვნება.

მეცნიერმა გაიღიმა და მითხრა:

— ნაწილობრივ მართალი ხართ, გაღიზიანების ძალასა და პასუხს შორის თანაფარდობა ხშირად ერთნაირი არ არის, ეს მით უფრო შეგრძნებების სფეროზე ითქმის და თუ თქვენ ამ სფეროზე პრეტენზიას აცხადებთ, მაშინ ერთბაშად სწორედ აქ უნდა შევხვდეთ.

ამ საუბრის შემდგომ რამდენიმე წელმა განვლო. როდესაც გაიგო, გამოსაცემად მეორე წიგნსაც ვამზადებდი, ფიზიოლოგმა მთხოვა გამეცნო მისი შინაარსი.

— მოკლედ რომ ვთქვა, ამ წიგნში მინდა აღვწერო, როგორ დავაღწიე თავი გამუდმებულ ტანჯვას და შედარებით ბედნიერი გავხდი.

— ტრაქტატი იქნება ეგ თუ რომანი?

— არც ერთი და არც მეორე. განზრახული მაქვს დავწერო ლიტერატურული ნაწარმოები, სადაც მეცნიერულ საკითხებზე ისევე ვილაპარაკებ, როგორც ლაპარაკობენ, მაგალითად, ისტორიაზე რომანებში.

— კვლავ მსჯელობასა და კომენტარებს მოიშველიებთ?

— არა, ეს უფრო მთლიანი სახის ნაშრომი უნდა იყოს.

— და ეს ნაშრომი თქვენზე იქნება დაწერილი?

— ალბათ ნახევარი მაინც ჩემზე იქნება და, გულახდილად გეტყვით, რომ ეს მეტისმეტად მაღელვებს.

— გსურთ თქვენს ცხოვრებაზე ელაპარაკოთ მკითხველს?

— არა, ისეთ საკითხებს მინდა შევეხო, რაზედაც წერა რომანებში მაინც-დამაინც მიღებული არ არის. იმის იმედითღა ვარ, რომ აქ უნდა აღსახო ჩემი ახალგაზრდობის წლები, ეს კი იგივეა, თითქოს მიცვალებულზე მეთქვას რაღ.

— რამდენ წლამდე გნებავთ გმირად გამოიყვანოთ საკუთარი თავი?

— დაახლოებით ოცდაათ წლამდე.

— უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, თხუთმეტიოდე წელიც წაგემატებინათ? მაშინ წიგნი გასრულებულ სახეს მიიღებდა. მთელ თქვენს ცხოვრებას წარმოაჩენდა.

— არა, ოცდაათი წლის შემდეგ სულ სხვა ადამიანი გავხდი, ამიტომ ჩემი თხზულების გმირად უკვე აღარ გამოვდგები.

— განა თქვენი ცხოვრება ასე მკვეთრად შეიცვალა?

— იმას, რაც მოხდა, ცვლილება არც ეთქმის, უბრალოდ, ადრინდელთან შედარებით, ყველაფერი მკვეთრად გადასხვაფერდა.

— კი მაგრამ, როგორ? ფსიქოანალიზის გზით შეძელით ეს? ფროიდის გავლენა განიცადეთ?

— რატომ ფროიდის? პავლოვის იდეებით, მისი პრინციპებით ვხელმძღვანელობდი.

— თავად რა მოიმოქმედეთ?

— პირადად მე, არსებითად, სულ უბრალო რამის გაკეთება მომიხდა, ჩამოვიცილე არასწორი პირობითი რეფლექსები, რომლებიც მცდარად აღმოცენდნენ ჩემს ცნობიერებაში და, პავლოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, გავწყვიტე „დროებით კავშირები", ხელ-ფეხს რომ მიბორკავდნენ.

— როგორ შეძელით ეს?

მე მაშინ საფუძვლიანად არ მქონდა დამუშავებული და გააზრებული ჩემი მასალები, ამიტომ პასუხი გამიძნელდა, მაგრამ ძირითადი პრინციპები მაინც გავაცანი, თუმცა, ვგონებ, საკმაოდ ბუნდოვნად.

მეცნიერი დაფიქრდა და მითხრა:

— დაწერეთ, მაგრამ ადამიანებს ნურაფერს დაპირდებით.

— ფრთხილად ვიქნები, დავპირდები მარტოოდენ იმას, რისი მიღწევაც თავად შეეძელი, ისიც მხოლოდ იმ ადამიანებს, ვისაც ჩემდა მსგავსად მოუწია ცხოვრების გზაზე სიარულმა. ვისაც ჩემდაგვარი თვისებები აღმოაჩნდება, — მივუგე პასუხად.

— ეგ ცოტაა, მაგრამ პრინციპულად მაინც სწორია, ტოლსტოის ფილოსოფია, მაგალითად, თვით მისთვისვე იყო საჭირო და მისაღები, სხვებისთვის კი დიდი არაფერი შენაძენი გახლდათ, — სიცილით მითხრა მეცნიერმა.

— ტოლსტოის ფილოსოფია რელიგიური ხასიათის ნაშრომი იყო და არა მეცნიერული გამოკვლევა. ეს იყო რწმენა, რამაც დიდ მწერალს კარგი სამსახური გაუწია, მე კი რელიგიისგან შორს ვდგავარ და საუბარი მექნება არა ფილოსოფიურ სისტემებზე, არამედ დიდი მეცნიერის მიერ შემოწმებულ მყარ

ფორმულებზე... თავად ჩემი როლი კი აქ მეტად მოკრძალებულია, რადგან მხოლოდ პრაქტიკულად შევამოწმე ეს ფორმულები და გავაერთიანე ის, რისი გაერთიანებაც თითქოს შეუძლებელი ჩანდა.

ამ საუბრის შემდეგ დავშორდი მეცნიერს და ერთმანეთი [illegible] რასოდეს გვინახავს. ალბათ ეგონა, სათქმელს თავი ვერ გავართვი [illegible] წერა მივატოვე.

მე კი, როგორც მოგახსენეთ, იმის დამთავრებას, წყნარი დღეების დაბრუნებას ველოდი.

ძალიან საწყენია, ასე რომ არ მოხდა. ზარბაზნების გრიალში გაცილებით ცუდად ვწერ, ნაწერს სიცხადე აკლდება. სულიერი მღელვარება სტილს შეამღვრევს, ცოდნას დაამცრობს. ნერვიულობას აჩქარებაში ჩამითვლიან, ბრალს დამდებენ, რომ დაუდევრად ვეკიდები მეცნიერულ საკითხებს, პატივს არა ვცემ სწავლულთა აზრს.

სწავლულო!

უკეთუ თვალს მოჰკრავ ჩემს უთავაზო სიტყვას, ამოშალე იგი, გაძლევ ამის უფლებას. დაე, განათლებულმა მკითხველმა შემინდოს დანაშაული.

II. მე უბედური ვარ, — არ ვიცი კი, რატომ

> რა სიმწარეა, ბრწყინვალებას,
> გაექცე მზისას
> და ნეტარება ლამპის მიმქრალ
> შუქზე ეძიო...*

თვალს რომ გადავავლებ ჩემს ცხოვრებას, როცა შემომეჯარება წარსულის სურათები და გამახსენდება, რამდენი უბედურების, ამაო მღელვარების და კაეშნით სავსე დღეების გადატანა მომიხდა ჩემს ახალგაზრდობაში, გაოცებული ვრჩები.

სიჭაბუკის ყველაზე წარმტაცი წლები ქუფრი ფერებით იყო მოჭამული. ბავშვობაში მსგავსი არაფერი განმიცდია, მაგრამ ახალგაზრდა კაცის პირველივე ნაბიჯები ჩამიშავებნელა გასაოცარმა სევდამ, რომლის მსგავსი შეუძლებელია კაცმა წარმოიდგინოს.

მე ველტვოდი ადამიანებს, ვხარობდი სიცოცხლით, დავეძებდი მეგობრებს, სიყვარულს, ვოცნებობდი ბედნიერებაზე... მაგრამ შვება არსით იყო, ჩემს ირგვლივ ყველაფერი უფერული და ერთფეროვანი ჩანდა. კაეშანი ფებდაფებ მდევდა.

უბედური ვიყავი და ვერ მივმხდარიყავ, რა იყო ამის მიზეზი. მაგრამ მაშინ ოერამეტი წლისა გახლდით და ყველაფერი ერთბაშად ამოვხსენი.

„ცხოვრება საზიზღრობაა, — ვფიქრობდი მე. — ადამიანები კი უმსგავსი არსებები არიან. სასაცილოა მათი ცხოვრება: არა, ჩვენ შორის არაფერია საერთო".

საწერ მაგიდასთან სოფოკლეს ოთხტაეპიანი ლექსი დავიკიდე:

> ღვთის წყალობაა არგაჩენა ამ ქვეყანაზე,
> მაგრამ თუ მაინც დავენახეთ ჩვენ მზის ნათელი,
> დაბრუნდი-მეთქი, ო, დაბრუნდი იმავ ბილიკით,
> არარსებობის და არყოფნის მშობლიურ ჭერქვეშ...

---

* ლექსები თარგმნა ბათუ დანელიამ.

რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ არსებობდა სულ სხვაგვარი განწყობა სიცოცხლისადმი — სიხარულით აღსავსე, ხალისიანი, მაგრამ ჩემს თვალში პატივისცემას არ იმსახურებდნენ ადამიანები, ვინც მზად იყო, დაეწყო როკვა ცხოვრების უხეში და უხამსი მუსიკის ჰანგზე. ასეთებს ველურად და პირუტყვებად ვრაცხდი.

ყველაფერი, რასაც ჩემ ირგვლივ ვხედავდი, კიდევ უფრო აღრმავებდა ამ თვალსაზრისს.

პოეტები ნაღვლიან ლექსებს წერდნენ და ამაყობდნენ, რომ კაეშნით იყვნენ მოსილნი.

„მეახლა სევდა, ჩემი მბრძანებელი...“

ვბუტბუტებდი რომელიღაც ავტორის რომელიღაც სტრიქონებს.

ჩემი საყვარელი ფილოსოფოსები ერთგვარი რიდითა და მოკრძალებით ლაპარაკობდნენ მელანქოლიაზე. „მელანქოლიით შეპყრობილნი ამაღლებული გრძნობებით გამოირჩევიან“, — წერდა კანტი, ხოლო არისტოტელესთან ამოვიკითხე: სულის მიდრეკილება მელანქოლიისადმი ღრმა აზროვნების საწინდარია და მხოლოდ გენიოსებს ახასიათებთო.

თუმცა ჩემს მინავლებულ კოცონზე მარტოოდენ პოეტები და ფილოსოფოსები როდი აყრიდნენ ჩინჩხვარს. საოცარია, მაგრამ ჩემს სიჭაბუკეში გაბატონებული იყო აზრი, თითქოს ყველა მოაზროვნე სევდით იყო შეპყრობილი. იმ წრეში, სადაც მე ვტრიალებდი, პატივს იმსახურებდნენ ფიქრიანი, კაეშნით მოსილი და ცხოვრებაზე გულაყრილი ადამიანები*.

აქედან გამომდინარე, მეც დარწმუნებული გახლდით, რომ მოაზროვნე, დახვეწილი, მაღალი წრის ადამიანი უეჭველად მელანქოლიით შეპყრობილი უნდა ყოფილიყო და მეც ხომ იმავე წრეში ვტრიალებდი.

მაშასადამე, მელანქოლიას მეც უნდა დავეთრგუნე. რაც შეეხება კაეშანს და სიცოცხლისადმი ზიზღის გრძნობას, ეს ალბათ უკვე ჩემი გონების თავისებურება უნდა ყოფილიყო. „თუმცა, როგორც ჩანს, არა მარტო ჩემი, არამედ ყველასი, ვინც კი ისწრაფვის საკუთარი გონება და ცნობიერება ცხოველის ცნობიერებაზე მაღლა დააყენოს-მეთქი“. — ვფიქრობდი.

„მეტად საწყენია, თუ ეს მართლაც ასეა, მაგრამ, აქ ვგონებ საეჭვო არაფერია. ბუნებაში უხეში ქსოვილები პირველობენ, უხეში გრძნობები, პრიმიტიული აზრები მძლავრობენ, სათუთი და დახვეწილი გრძნობები კი დასაღუპად არის განწირული“.

ამგვარი ფიქრები მიტრიალებდა თავში თვრამეტი წლის ჭაბუკს, და არ დავფიცავ, აზრი დიდხანს არ შემცვლია.

მაგრამ, თურმე, სასტიკად ვცდებოდი და ახლა ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ შემიძლია ამის გამხელა.

ჩემი შეცდომა მაშინ ლამის სიცოცხლის ფასად დამიჯდა. სიკვდილს ვნატრობდი, რადგან სხვა გამოსავალი ჩემთვის არ ჩანდა.

1914 წელს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. უნივერსიტეტი მივატოვე და ფრონტზე წავედი, რათა ბრძოლის ველზე ღირსეულად დამედო თავი. ჩემი ხალხის, ჩემი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

---

* ამას წინათ ვ. ბრიუსოვის „დღიურებს“ რომ ვათვალიერებდი, ამგვარ წინადადებას წავაწყდი: „კარგი ადამიანია, ჩინებული, ცხოვრებაზე გულაღრღნილი...“

ფრონტზე სევდა ჩამომშორდა და შედარებით ბედნიერად მაშინლა ვიგრძენი თავი. ხანდახან თუ მომეკიდებოდა ხოლმე გულზე ნალველი, მაგრამ მალევე გამეცლებოდა. მინდოდა გავრკვეულიყავ, რამ გამოიწვია ეს საოცარი ცვლილება ჩემს ორსებაში. ბევრი ფიქრის შემდეგ დავასკვენი: ფრონტზე შესანიშნავი ამხანაგები შემხვდნენ და მათი წყალობით სევდაც [illegible] ჩამომშორდა-მეთქი. ეს ჩემი დასკვნა ლოგიკური იყო.

მე კავკასიის გრენადერების დივიზიის მეგრელთა პოლკში მოვხვდი. ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ერთმანეთში ძალიან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა, იქნებ მაშინ მეჩვენებოდა ამგვარად.

ცხრამეტი წლისას უკვე პორუჩიკობა მომცეს.

ოცი წლისას ხუთი ორდენი მქონდა და კაპიტნობაზე ვიყავი წარდგენილი. მაგრამ ესოდენი პატივი იმიტომ როდი მომაგეს, რომ მართლა აღიარებული გმირი ვიყავი. უბრალოდ, პოზიციებზე ორ წელიწადზე მეტი დავყავი.

მრავალი ბრძოლის გადატანა მომიხდა, დამჭრეს, გაზითაც მოვიწამლეგული დამიავადდა, მაგრამ, თავს მუდამ ხალისიანად ვგრძნობდი.

რევოლუციის დღეებში პეტროგრადში დავბრუნდი.

წარსულზე ოდნავადაც არ დამწყვეტია გული. პირიქით, მინდოდა მენახა ახალი რუსეთი, თავისუფალი და არა სევდით გათანგული, როგორიც ადრე მახსოვდა, მსურდა ჩემ ირგვლივ ყოფილიყვნენ სიცოცხლით სავსე, ჯანსაღი ადამიანები და არა ჩემნაირი მელანქოლიკები.

ჩემთვის არავითარი „სოციალური უთანხმოება“ არ არსებობდა, მიუხედავად ამისა, სევდამ ისევ შემომიტია.

უნდა მომეშორებინა ეს სევდა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაღუპვა მელოდა. ვიცვლიდი საცხოვრებელ ადგილს. პროფესიას, სადღა არ ვიყავი, რა არ ვიღონე. თავდაპირველად არხანგელსკს მივაშურე, მერე მეზენში, ყინულოვანი ოკეანის ნაპირთან, დავიდე ბინა, მალე ისევ პეტროგრადში დავბრუნდი. აქედან ნოვგოროდს გავემგზავრე, ნოვგოროდიდან ფსკოვში ამოვყავი თავი. ვიყავი სმოლენსკის გუბერნიაში, ქალაქ კრასნისაც ვეწვიე და ბოლოს ისევ პეტროგრადს მივაშურე...

კაეშანი ფეხდაფეხ მდევდა.

სამი წლის განმავლობაში თორმეტ ქალაქში მომიხდა ცხოვრება, თანაც ათი პროფესია გამოვიცვალე.

ვიყავი მილიციელი, მოანგარიშე, მეწალე, მეფრინველე-ინსტრუქტორი, სასაზღვრო დაცვის ტელეფონისტი, სისხლის სამართლის სამძებროს აგენტი, სასამართლოს მდივანი, საქმეთა მმართველი...

მაგრამ ვგრძნობდი, მტკიცედ არ ვიდექი ფეხზე, დაბნეული ვიყავი.

ნახევარი წელი კვლავ ფრონტზე დავყავი, ნარვასა და იამბურგთან, მხოლოდ ამჯერად წითელი არმიის რიგებში გამამწესეს.

მაგრამ გაზის წყალობით გული დაზიანებული მქონდა და ახალი პროფესიის შეძენაზე უნდა მეფიქრა.

1921 წელს მოთხრობების წერა დავიწყე.

ჩემი ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც კალამს ხელი მოკიდე, მაგრამ სევდა მაინც ვერ მოვიცილე. მოვიცილე კი არა, ახლა უფრო მძაფრად ჩამიჯირა ხელში.

მივაკითხე ექიმებს, შავნაღვლიანობასთან ერთად, გულსაც ვუჩიოდი, კუჭი და ღვიძლიც ხშირად მახსენდება თავს.

ექიმებმა ენერგიულად იწყეს ჩემი განკურნება

გულს, კუჭსა და ღვიძლს აბებით და წყლით მკურნალობდნენ, უმთავრესად მაინც წყლით, შიგნით და გარედან.

კაეშნისაგან ჩემს განთავისუფლებას კი კომბინირებული მეტევით აპირებდნენ. გადაწყდა, ოთხი მხრივ, — ფლანგებიდან, პირისპირ თუ ზურგიდან ერთბაშად მოეტანათ იერიში. აქ იგულისხმებოდა მოგზაურობა, ზღვის აბაზანები, შარკოს შხაპი და გართობა-დროსტარება. ეს უკანასკნელი ჩემი ასაკისათვის აუცილებელიც კი იყო.

ექიმების რჩევით, წელიწადში ორჯერ მივემგზავრებოდი კურორტებზე იალტაში, კისლოვოდსკში, სოჭსა და სხვა, ღვთით კურთხეულ ადგილებში.

სოჭში გავიცანი ერთი კაცი, რომელსაც სევდით ჩემზე მეტად ჰქონდა გული გასენილი. წელიწადში, სულ ცოტა, ორჯერ მაინც წაპყოფდა ყულფში თავს, მაგრამ, ბედად, ყოველთვის იხსნიდნენ ხოლმე.

უღიდესი მოკრძალებით ვესაუბრებოდი ხოლმე ამ კაცს. ჭკუა-გონებით აღსავსე და დიდად განსწავლული მეგონა, ველოდი, რომ სახეზე გაუკრთებოდა სევდიანი ღიმილი, ღიმილი გენიოსისა, ვინც უნდა შეგუებოდა ამ ხრწნად საწუთროში ცხოვრებას.

მაგრამ მისი ღიმილისთვის თვალი არასოდეს მომიკრავს.

ჩემ წინაშე იყო ერთი გონებაშეზღუდული, გაუნათლებელი ადამიანი, ვისაც მთელ თავის სიცოცხლეში ორიოდე წიგნი თუ წაეკითხა. ამ კაცს ფულის, ჭამა-სმისა და ქალების გარდა, ამქვეყნად არაფერი აინტერესებდა.

ერთი სიტყვით, ერთი უბრალო კაცი იყო, უხამსი აზრებითა და გაცვეთილი სურვილებით დაჩურთული.

თავდაპირველად ვერაფერს ვხვდებოდი. ამ კაცთან საუბრისას ჩემი მემართებოდა, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს თამბაქოს ბოლით ავსილ ოთახში ვიგუდებოდი, ან ბარომეტრი ქარიშხლის მოახლოებას იუწყებოდა. მერე და მერე ვიაზრე, ბრიყვი და ფუტურო რომ იყო, წარმოუდგენელია, კაცს ძისი ბჟუტურისთვის სამ წუთზე მეტი გაეძლო.

ჩემს ფილოსოფიურ რწმენას წყალი შეუდგა, მივხვდი, მარტო მაღალი ინტელექტი არაფერს ნიშნავდა, აბა რა იყო აქ გადამწყვეტი? ამაზე პასუხის გაცემა უკვე ადარ შემეძლო.

უდრტვინველად დავმორჩილდი ექიმების ნებას.

ორი წლის განმავლობაში ნახევარი ტონა ეხვნილი და აბი მაინც მექნებოდა ნაყლაპი.

მორჩილად ვსვამდი ყოვლად საზიზღარ წამლებს, შემდეგ კი გულისრევა მეწყებოდა და მაზიდებდა.

არ ვჯიუტობდი, როდესაც ნემსებით მჩხვლეტდნენ, ან აბაზანაში მაბანებდნენ. მაგრამ მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. ბოლოს საქმე ისე გამიხდა, რომ ნაცნობები ქუჩაში ველარც კი მცნობდნენ. ძალზე გავხდი, ტყავგადაკრულ ჩონჩხს დავემსგავსე, ერთთავად მციოდა, ვიყინებოდი, ხელები მიკანკალებდა. ჩემი კანის სიყვითლე ექიმებსაც კი ანცვიფრებდა. ბოლოს ეჭვში ჩავარდნენ, ეგება მწვავე ჰიპერტონია იყოსო, ყველა ზემოჩამოთვლილი პრო-

ცედურის ჩატარება ზედმეტად მიიჩნიეს და ახლა ჰიპნოზი და კლინიკური მკურნალობა დამინიშნეს.

ერთმა ექიმმა, როგორც იქნა, შეძლო ჩემი დაძინება, ძილში ჩაგონება დამიწყო: ამაოდ სწუხარ და ნაღვლობ, ტყუილად იტანჯები, ამქვეყნად ცხოვრება საამურია და ჭმუნვის საბაბი კაცთა მოდგმისთვის არ არსებობს.

ორი დღის განმავლობაში როგორღაც უფრო მხნედ ვგრძნობდი თავს. მერე და მერე კი უარესობა დამეტყო.

შინიდან თითქმის აღარ გამოვდიოდი, ყოველი დღე მძიმე ტვირთად მაწვა მხრებზე.

დღე თენდებოდა და ღამდებოდა,
და წლებს, გაფრენილს, მე არ ვითვლიდი,
მეწვენებოდა, თითქოს დავკარგე
ხსოვნა მიწაზე მომხდარ ამბავთა.

ქუჩაში გაჭირვებით დავლასლასებდი, გულის შეტევები და ღვიძლის ტკივილი ილაჯს მიწყვეტდა.

აღარც კურორტებზე სიარულის თავი მქონდა, უფრო სწორად, ჩავიდოდი ხოლმე სადმე, ორ-სამ დღეს წვალებით გავათენ-დავალამებდი და კიდევ უფრო გულშეჭირვებული და გაწამებული-უკანვე ვბრუნდებოდი.

რაღა დამრჩენოდა, ისევ წიგნებს მივუბრუნდი, ოცდარვა წლის ახალგაზრდა კაცი უკვე მწერალი ვიყავი და, ბუნებრივია, ჩემი მეგობრების — მწერლებისა და მუსიკოსებისთვის უნდა მიმეგართა...

მაინტერესებდა, მათაც ხომ არაფერი სტანჯავდა, იქნებ ისინიც ჩემებრ იყვნენ სევდით გულგასენილნი. და თუ ასე იყო, რა ედო საფუძვლად ამ სევდას ან მისგან თავდასაღწევად რა ღონეს ხმაროობდნენ.

თუკი რამ საყურადღებოს ვნახავდი, მაშინვე უნდა გადამეწერა, ვიწერდი ყველაფერს, რაც კი კაეშანს შეეხებოდა, ვცდილობდი ყურადღება შემეჩერებინა საყოველთაოდ ნიშახდობლივ ფაქტებსა თუ მოვლენებზე, ისეთებზე, რაც ადამიანის ცხოვრებაში, ასე თუ ისე, მეორდებოდა და წუთიერ წარმოსახვებს, წუთიერ ემოციებს არ წაგავდა.

ამ ამონაწერებმა ძალზე გამაოცა, წლების მანძილზე თან მდევდა მათზე ფიქრი.

„სახლიდან გამოვდივარ, ქუჩებს მივუყვები, სევდა მზაფრავს და ისევ შინ ვბრუნდები, რატომ ვჩადი ამას? იმიტომ ხომ არა, კვლავ ჭმუნვას მივეცე?“ (შოპენი. 1800. წერილები).

„არ ვიცოდი, როგორ დამელწია თავი კაეშნისათვის, ვერც ის გამერკვია, რატომ ვიყავი ეგზომ გულშეჭირვებული“ (გოგოლი — დედას. 1837 წ.).

„თავს საშინლად ვგრძნობ, სულიერად თუ ხორციელად დატანჯული ვარ. სიცოცხლე მომძაგდა“ (ედგარ პო — ანის. 1846 წ.).

„წარმოუდგენლად ვიტანჯები, სულიერად ასე დათრგუნული ჯერ არასოდეს ყოფილვარ, ამაოდ ვებრძვი კაეშანს, უბედური ვარ, არ ვიცი კი, რატომ..“ (ედგარ პო — კენედის. 1835 წ.).

„დღეში ორჯერ მაინც გამახსენდება პისტოლეტები და ამ დროს თითქოს ბედამ შვებას ვგრძნობ“ (ნეკრასოვი — ტურგენევს. 1857 წ.).

„ყველაფერი შემძაგდა, ასე მგონია, სიამოვნებით გავყოფდი ყულფში

თავს, მაგრამ სიამაყის გრძნობა ხელ-ფეხს მიბორკავს" (ფლობერი. 1835 წ.).

„აუტანელია ჩემი ცხოვრება, ძალიან ცუდად ვარ, ყოველ დღეს ერთსა და იმავეს ვფიქრობ, ხომ არ აჯობებს, თავი მოვიკლა-მეთქი" (სალტიკოვ-შჩედრინი — პანტელეევს. 1885 წ.).

„ამას თან ერთვის ენით აუწერელი სევდა, აღარ ვიცი, სად გადავიკარგო ან რას მივეკედლო (გოგოლი — პოგოდინს. 1840 წ.).

„ამქვეყნად ყველაფერი მომძაგდა, რა აუტანელი, რა მოსაწყენია ცხოვრება, ლაპარაკი, წერა... (ლ. ანდრეევი, „დღიურები". 1919 წ.).

„ძალიან დავიტანჯე. ისე ვეწამები, ღამის დილიდან საღამომდე ვიტირო... მაღიზიანებს ჩემი მეგობრების სახეები, ყოველდღიური საუბარი, ერთსა და იმავე საწოლზე ძილი, საკუთარი ხმა, და სარკეში საკუთარი სახის ანარეკლიც კი..." (მოპასანი. „მზის ქვეშ". 1881 წ.).

„თავის ჩამოხრჩობა ან წყალში გადავარდნა წამლად მიმაჩნდა, შვებად მეჩვენებოდა" (გოგოლი — პანტელეევს. 1846 წ.).

„დავიღალე, მომჭანცა ამ ურთიერთობებმა, ადამიანებმა და სურვილებმა გული შემიჭამეს. მინდა სადმე უდაბნოში გადავიხვეწო ან მივიძინო, „საუკუნო ძილით" (ვ. ბრიუსოვი, „დღიურები". 1898 წ.).

„ვმალავ თოკს, რათა მარტობის ჟამს ჩემსავე ოთახში თავი არ ჩამოვახრჩო. სანადიროდ რომ მივდივარ, თოფი აღარ დამაქვს, მეშინია, ვერ გავუძლებ ცდუნებას და თავს მოვიკლავ. ასე მგონია, ჩემი ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ სულელური ფარსი იყო" (ლ. ნ. ტოლსტოი, 1878 წ.).

მსგავსი ამონაწერებით მთელი რვეული ავავსებდი და, მართალი გითხრათ, გაოცებული და თავზარდაცემული დავრჩი. მე ხომ მრავალჭირგამოვლილი, სიცოცხლეგაარმებული, სიკვდილით დაჩაგრული ადამიანები არ შემირჩევია, პირიქით, ისეთებს დავეძებდი, ვინც თვითონვე ამბობდა, არ ვიცი, ასე სასტიკად რატომ ვიტანჯები, ან რა არის მიზეზი ჩემი უბედურებისაო.

შეძრწუნებული და შეფიქრიანებული ვიყავი. რა იყო ამ ადამიანების ტანჯვის მიზეზი, რაში გამოიხატებოდა ეს ტანჯვა, ან რა გზითა და რა საშუალებებით შეიძლებოდა მასთან ბრძოლა?

შესაძლოა, ამ ადამიანების ტანჯვის მიზეზი მოუგვარებელი ცხოვრება, სოციალური პირობები, საყოველთაო პრობლემები იყო. იქნებ ყველა ეს საკითხი ნიადაგს ქმნიდა მსგავსი კაეშნის აღმოსაცენებლად?

„დიახ, შეიძლება მართლაც ასე იყოს", — გავიფიქრე, მაგრამ ანაზდად გამახსენდა ჩერნიშევსკის სიტყვები: მსოფლიო პრობლემების გამო ადამიანები თავს არ იხრჩობენ, ტყვიას არ იხლიან და არც სიგიჟემდე მიდიანო.

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო მეტად დამაბნია. ჩემს კითხვას პასუხი ვერ მოვუძებნე, აღარაფერი მესმოდა.

„ეგება სწორედ ეს არის მსოფლიო სევდა, დიდ ადამიანებს მათი მაღალი ინტელექტის წყალობით რომ აღეძვრით", — გავიფიქრე ხელახლა.

მაგრამ, არა! იმათ გარდა, ვინც ზემოთ ჩამოვთვალე, არანაკლებ დიდ და ცნობილ ადამიანებთან მომიწია შეხვედრა (ისეთები უფრო მრავლად იყვნენ, მაგრამ მათ სევდის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდათ, მიუხედავად იმისა, რომ გონებრივად სხვებზე მაღლა იდგნენ).

შოპენისადმი მიძღვნილ საღამოზე დაღლილი და გაწამებული მივედი,

მაგრამ „მეორე კონცერტმა“ ჩემი დაღლილობა ერთი ხელის მოსმით სადღაც გააქრო. დარბაზი ძლიერი, ომახიანი ხმებით აივსო.

„რამ ჩაუდგა ესოდენი ძალა ამ სუსტ ადამიანს, გენიალურ მუსიკოსს, რომლის ტანჯულ ცხოვრებას უკვე ასე კარგად ვიცნობ? — გავიფიქრე მაშინ. საიდან მომდინარეობს ესოდენი სიხარული, ასეთი აღტაცება? მაშასადამე, ყველაფერი ეს იმთავითვე არსებობდა მისი სულის სიღრმეში, ოღონდ დატყვევებული, შებორკილ-შებოჭილი. კეთილი, მაგრამ, რა იყო მიზეზი ამ შებოჭილობისა?“

აქ უეცრად გამახსენდა ჩემი მოთხრობები, მკითხველს რომ აცინ-ახარხარებდა, მაგრამ ეს სიცილი მხოლოდ წიგნის ფურცლებიდან ისმოდა და არა ჩემი გულიდან.

რაღა დაგიმალოთ, შიშმა ამიტანა, როდესაც მოვინდომე დამეზუსტებინა, რა ბოჭავდა ჩემს ძალას, რატომ ვიყავი მთელი სიცოცხლე ასე გულშეჭირვებული, ან რატომ იბადებოდნენ ჩემნაირი ადამიანები — იმთავითვე დათრგუნვილნი მელანქოლიითა და უმიზეზო სევდით.

1927 წლის შემოდგომით თითქმის ძალისძალად გავემგზავრე იალტაში, სადაც მთელი თვე დავყავი.

ათი დღე სასტუმროს ნომერში მწოლარემ გავატარე, შემდეგ თანდათანობით ვიწყე სიარული. დავდიოდი მთებში, ზოგჯერ კი საათობით ვიჯექი ზღვის ნაპირზე. მიხაროდა, თავს უკეთ რომ ვგრძნობდი, თითქმის გამოკეთების გზას ვადექი.

ერთ თვეში საკმაოდ გამოვმჯობინდი, დავმშვიდდი, გავხალისდი, დასვენება რომ გამეხანგრძლივებინა, ბათუმამდე თბომავლის ბილეთი ავიღე, რომ მერე იქიდან პირდაპირი მატარებლით მოსკოვს გავმგზავრებულიყავ.

ცალკე კაიუტაში მოვთავსდი და იალტიდან გამოსვლისას საუცხოო გუნებაზე გახლდით.

ზღვა მშვიდი იყო, მოსარკული. მთელი დღე გემბანზე გავატარე, ყირიმის ნაპირებს გავცქეროდი და მათი სილამაზით ვტკბებოდი, თვალი ვერ მომეწყვიტა ზღვისთვისაც. იალტაში ხომ იმიტომ ჩამოვდიოდი, რომ ზღვა გაგიჟებით მიყვარდა.

დილით, რიჟრაჟზე კვლავ გემბანზე ვიჯექი.

გასაოცარი დილა იღვიძებდა.

საამო ფიქრებში ჩაძირული, შეზლონგზე ვიჯექი. შესანიშნავ გუნებაზე ვიყავი. ვფიქრობდი მოსკოვზე, მეგობრებზე, ვინც იქ უნდა დამხვედროდა, მიხაროდა, რომ კაეშანი, როგორც იქნა, ჩამოვიცილე, ნურასოდეს მეცოდინება, საიდან მატყდება თავს, ოღონდ კვლავ ნულარ გამტანჯავს-მეთქი, ვამბობდი გუნებაში.

სისხამი დილა იყო. საამო გრძნობით შევმზერდი ზღვის მსუბუქად მოლივლივე ტალღებს, მზის ათინათებს, თოლიებს, უამური ყვირილით რომ ეშვებოდნენ წყლის ზედაპირზე.

და უეცრად შეუძლოდ შევიქენი. ეს არ ჰგავდა სევდის შემოტევას. გული ამიჩქროლდა და თითქმის შიშმა ამიტანა. გაჭირვებით წამოვდექი, რის ვაივაგლახით მივაღწიე კაიუტამდე და მთელი ორი საათი საწოლზე გაშოტილი ვიყავი. მოზღვაევებული სევდა უეცრად ლოდივით დამაწვა გულზე. სულით-ხორცამდე ასე გათანგული ჯერ არასოდეს ვყოფილვარ.

ვცადე თავს შევბრძოლებოდი, კვლავ გემბანზე ავედი. ყური მივუგდე მგზავრების საუბარს, რათა ფიქრი სხვა საგანზე გადამეტანა, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩამიარა.

სიდმე ნაპირზე უნდა გადავიდე, გზის განსაგრძობად ძალ-ღონე არ მეყოფა-მეთქი, გავიფიქრე.

ძლივს ჩავაღწიე ტუაფსეამდე და იქვე დავრჩი იმ განზრახვით, რომ გამოვკეთდებოდი თუ არა, კვლავ გზა განმეგრძო.

ნერვული ციებ-ცხელება მაწამებდა, სასტუმრომდე კი მივაღწიე ეტლით, მაგრამ რამდენიმე დღის განმავლობაში ფეხზე წამოდგომა ვეღარ შევძელი.

ნებისყოფის დაძაბვით მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მოვახერხე გასამგზავრებლად თადარიგი დამეჭირა.

გზამ გამართო და გული გამიხსნა, გაცილებით უკეთ შევიქენი, საშინელმა სევდამ თანდათანობით პირი იბრუნა.

წინ კიდევ დიდი გზა მედო და ფიქრი ჩვენებებს გაჰყვა, ვფიქრობდი ჩემს უკმურ ავადმყოფობაზე, ელვის უმალ რომ დამაცხრებოდა ხოლმე თავს და ასევე მოულოდნელად აილაგმებოდა. რა იყო მიზეზი ამისა, რა იწვევდა ამ შემოტევებს?

ეგება მიზეზი არც არსებობდა და ყველაფერი „ნერვების სისუსტის", გადაჭარბებული მგრძნობიარობის ბრალი იყო? შესაძლოა, მხოლოდ ამის გამო ვაწყდებოდი აქეთ-იქით უმწეოდ, საათის ქანქარასავით.

მართლა ასეთი სუსტი და მგრძნობიარე დავიბადე, თუ ჩემს ცხოვრებაში მოხდა რაღაც საყურადღებო, მნიშვნელოვანი, რამაც სიცოცხლე ამირ-დამირია, ნერვები დამაწყვიტა, მტვრის უბადრუკ ნაწილაკად მაქცია და საპორწიალოდ ქარს მიმცა?

და უეცრად მომეჩვენა, რომ არ შეიძლებოდა ეგზომ უბედური და უმწეო დავბადებულიყავი. მესმის, ვყოფილიყავი შობითვე სუსტი, ცალხელა, ცალყურა, ზნეშეყრილი, მაგრამ განა იმისთვის მოვედი ამქვეყნად, რომ კაეშნისთვის შემექმნია გული, უმიზეზოდ მენაღვლა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ცხოვრება ესოდენ უაზრო მეჩვენებოდა? კი მაგრამ, მე ხომ მარსიდან არ ჩამოვფრენილვარ, მიწის შვილი ვარ და ყველა სხვა სულდგმულივით აღტაცებული და ბედნიერი უნდა ვიყო მით, რომ ვცხოვრობ და ვარსებობ, ბედნიერი უნდა ვიყო, როცა ყველაფერი რიგზეა და ვიბრძოლო, თუ საქმე ცუდად მიდის, მე კი შავნაღვლიანობა მკლავს, მაშინ როდესაც მწერიც კი, სულ რაღაც ოთხი საათის სიცოცხლე რომ არგუნა ბუნებამ, აღტაცებული შეჰხარის მზეს. „არა, შეუძლებელია ასეთი საბუარი დავბადებულიყავ", — გავიფიქრე და უეცრად მთელი სიცხადით შევიგრძენი, რომ ჩემი უსაფუძვლო ტანჯვის მიზეზი წარსულში უნდა მეძია. ეჰვგარეშეა, რაღაც შემემთხვა, მოხდა რაღაც ისეთი, რამაც სულით-ხორცამდე დამთრგუნა და დამიმონა. კი მაგრამ, რა უნდა მომხდარიყო, ან როდის? როგორ ვიპოვო ჩემი ამოცანის გასაღები?

„უნდა გავისიგრძეგანო მთელი ჩემი ცხოვრება, გავიხსენო წარსული",— გავიფლე გუნებაში, მაგრამ მყისვე ვიაზრე, რომ ყველაფერი ამაოდ ჩამივლიდა, თუკი ამ ჩემს მოგონებებს რამენაირად სისტემაში არ მოვიყვანდი.

„წვრილმანების გამოკიდება როდი იქნება საჭირო, — ვფიქრობდი. — საკმარისია გავიხსენო ყველაზე მძაფრი, შთამბეჭდავი ამბები, უმეტესწილად

ისეთი, ოდესღაც სულიერ მღელვარებასთან რომ იყო დაკავშირებული. მხოლოდ ამ გზით თუ შევძლებ რაიმეს გარკვევას".

ფიქრს ჩავუღრმავდი, განვლილ ცხოვრებას თვალი გადავავლე და დავწმუნდი, რომ ყველაფერი არაჩვეულებრივი სიზუსტით მახსოვდა, მახსოვდა ყოველგვარი წვრილმანი, დეტალები, ფერი... სუნიც კი არ დამვიწყნოდა.

სულიერმა მღელვარებამ მკვეთრად ააელვარა წარსული — წამოაცოცხლა ჩემს მეხსიერებაში შემორჩენილი წამიერი ფოტოსურათები.

უჩვეულო მღელვარებით შევუდექი ამ ფოტოსურათების შესწავლას და გავისაცნაურე, რომ ეს გულში ცხოვლად ჩარჩენილი ამბები უფრო მეტად მაღელვებდა, ვიდრე სურვილი — დამედგინა და მეპოვა ჩემი დაუსრულებელი ტანჯვის მიზეზი.

III ᲓᲐᲪᲕᲔᲜᲘᲚᲘ ᲤᲝᲗᲚᲔᲑᲘ

ადამიანის მიწიერი ცხოვრება მაინც
მას იმეორებს, რაც მომხდარა მის გაჩენამდე,
და თუ ჩაწვდება თავის წარსულს ადამიანი,
მას შეუძლია მაშინ ზუსტად წარმოიდგინოს
და დაინახოს, მომავალში რაც უნდა მოხდეს.

ამრიგად, გადავწყვიტე მეპოვა ჩემი ტანჯვის მიზეზი. საამისოდ კი საჭირო იყო, გამეცოცხლებინა წარსული, მიმეკვლიდ უბედური შემთხვევისათვის, მტვრის უბადრუკ ნაწილაკად რომ მაქცია და სიცოცხლე ჩამიშავებნელა. პირველ ყოვლისა, გონებაში უნდა აღმედგინა დიდ სულიერ მღელვარებასთან დაკავშირებული, გულში ჩაღმწევი ამბები, რადგან ვთვლიდი, მხოლოდ მათი მეშვეობით შევძლებდი რაიმეს ამოხსნას.

„ბავშვობის გახსენება საჭირო არ იქნება, — გავივლე გუნებაში. — რა სულიერი მღელვარების გადატანა მოუხდებოდა ყმაწვილს? ჰმ, დიდი რამეც კია, თუ სამკაპიკიანი სადმე მიაკარგა, ბიჭებმა თუ გალახეს, შარვალი შემოაფხრიწეს, ოჩოფეხები მოპარეს, ან მასწავლებელმა ერთიანი დაუწერა... სხვა რაზე შეიძლება აქ ლაპარაკი? უმჯობესია, შემდგომი ამბები გავიხსენო, მით უფრო, რომ ავადმყოფობამ ბავშვობაში კი არა, უკვე მოწიფულობაში დამრია ხელი. ასე, თექვსმეტი წლის ასაკიდან დავიწყებ..."

1912-1915

ჰოი, წარსულო, დღეს რომ
ზღაპრის სახე მოგეცა,
ო, პეპლის ფრთებო,
რომ გაგცვივდათ მტვერი ოდესღაც...

ᲐᲠᲐ ᲛᲪᲐᲚᲘᲐ

ეზოში ფეხბურთს ვთამაშობ. ბურთმა უკვე თავი მომაბეზრა, მაგრამ მაინც არ ვეშვები, დავრბივარ და თან ნამალევად ვაპარებ თვალს მეორე სართულის ფანჯრისკენ.

იქ ტატა ტ. ცხოვრობს. ტატა ახალგაზრდა ქალია, ასე, ოცდასამი წლისა იქნება. ქმარი კი მოხუცი ჰყავს, ორმოც წელს მიტანებული და ჩვენ, — გიმ-

ნაზიელები, ჩუმ-ჩუმად დავცინით ხოლმე, სამსახურიდან შინ მიმავალი გვერდით რომ ჩაგვივლის.

უეცრად ფანჯარა იღება. ტატა ტ. თმას ისწორებს, იზმორება და ამთქნარებს.

ჩემს დანახვაზე სახეზე ღიმილი გადაურბენს.

ოჰ, რა ლამაზია. ახალგაზრდა ვეფხვს წააგავს. ასეთი ვეფხვი ზოოპარკში მინახავს, მკვეთრი, მბზინავი, თვალისმომჭრელი ფერებით შემკული. ეს ფერები თითქმის მზერას მიბორკავს.

ტატა ტ. მიღიმის და მეუბნება:

— მიშენკა, ერთი წუთით ამოირბინეთ ჩემთან.

სიხარულისაგან ლამის გული ბუდიდან ამომვარდეს, მაგრამ მიწაზე თვალმილურსმული კუშტად ვპასუხობ:

— ხომ ხედავთ, არა მცალია, ფეხბურთს ვთამაშობ...

— კარგით, მაშ ქუდი შემომიშვირეთ, რაღაც უნდა გადმოგიგდოთ.

გიმნაზიელის ქუდით ხელში ფანჯრის წინ ვდგავარ და ტატა ტ. ბაფთით გადაკრულ პატარა შეკრულას მიგდებს შიგ. შეკრულაში შოკოლადია.

საჩუქარს ჯიბეში ვიდებ და ფეხბურთის თამაშს განვაგრძობ. მერე შინისკენ გავრბივარ, შოკოლადს გემრიელად შევექცევი, ბაფთას კი წამიერ ლოყით ვეკონები და მერე მაგიდის უჯრაში ვინახავ.

წერილი

ყავისფერი შპალერით აკრული სასადილო ოთახი. სასადილო მაგიდა და ზედ ბროლის სამარილე, აყირავებულ პირამიდას რომ წააგავს.

სუფრას დედა და ჩემი დები უსხედან.

გიმნაზიაში შემაგვიანდა, შინ დროზე ვერ მოვბრუნდი და სადილობა უჩემოდ დაუწყიათ.

დები ერთმანეთს უყურებენ, ჩუმ-ჩუმად იცინიან. სუფრასთან ჩემს ადგილას ვჯდები. თეფშთან არაჩვეულებრივად სურნელოვანი იასამნისფერი მოგრძო კონვერტი დევს.

ხელის კანკალით ვხსნი კონვერტს და წერილს ვიღებ. ოთახში ისე ძლიერად იფრქვევა ნელსაცხებლის სუნი, რომ დები თავს ვერ იკავებენ და ხითხითს იწყებენ.

შუბლშეჭმუხნილი დავჩერებივარ ქაღალდს, მაგრამ ასოები ჩემ თვალწინ დავლურს უვლიან.

„ოჰ, რა ბედნიერი ვარ, რომ გაგიცანით..." — ვკითხულობ და გულში რამდენჯერმე ვიმეორებ ამ ფრაზას.

უეცრად დედაჩემის მოცინარე თვალებს შევეფეთე.

— ვინ გწერს? — მეკითხება დედა.

— ნადიას წერილია, — ცივად, თითქმის ვაბრაზებით ვპასუხობ.

დები უფრო ხმამაღლა ხითხითებენ.

— რა სისულელეა, ერთ სახლში ვცხოვრობთ, ყოველდღე ხვდებით ერთმანეთს, წერილი რამ დააწერინა? სხვა თუ არაფერი, სასაცილოა, — ამბობს უფროსი და.

და მრისხანედ ვუბრიალებ თვალებს, ხმის ამოუღებლად ვხვრეპ სუპს და ნელსაცხებლის სუნით გაჟღენთილ პურს ვატან.

პაემანი

პეტერბურგში, კამენოოსტროვსკის პროსპექტზე „მოლარაჯის" ძეგლთან ვზივარ. ღია კინგსტონთან ორი მეზღვაურია გამოქანდაკებული, ბრინჯაოსფერი წყალი ტრიუმში მიედინება.

თვალმოუცილებლად შევმზერ ბრინჯაოსფერ მეზღვაურებს და ამავე ფერის წყლის ნაკადს. მომწონს ეს ძეგლი, მიყვარს ამ ტრაგიკული სანახაობის ცქერა, გემის დაძირვას რომ გამოხატავს.

ჩემ გვერდით, ძელსკამზე, გიმნაზიელი გოგონა ნადია ვ. ზის. ორივენი თანატოლები, თექვსმეტ-თექვსმეტი წლისანი ვართ.

— ძალიან ვნანობ, რომ შეგიყვარეთ, ტყუილად კი არ მაფრთხილებდნენ ჩემი მეგობარი გოგონები... —ამბობს ნადია.

— კი მაგრამ, რატომ? — ვეკითხები და ძეგლს მზერას ვაშორებ.

— თუნდაც იმიტომ, რომ ყოველთვის მხიარული, გონებამახვილი მამაკაცები მომწონდნენ, თქვენ კი აგერ, ნახევარი საათია და მეტიც, სიტყვა არ დაგცდენიათ.

— დიდ ღირსებად არ მიმაჩნია იმის გამეორება, რაც ჩემამდე ათობით ათასჯერ თქმულა.

— თუ ასეა, მაშინ უნდა მაკოცოთ, — მთავაზობს ნადია.

აქეთ-იქით ვიხედები.

— აქ შეიძლება დაგვინახონ, — ვამბობ დაეჭვებით.

— მაშინ კინოში წავიდეთ.

კინო „მოლნიაში" მივდივართ და იქ მთელი ორი საათი ვკოცნით ერთმანეთს.

დედასთან სწორია

გიმნაზიიდან გამოსული, რეალური სასწავლებლის მოსწავლეს, სერიოჟა კ-ს შევხვდი. სერიოჟა მაღალ-მაღალი, თეთრი, სახენაღვლიანი ყმაწვილია.

ახლაც ნერვულად იკვნეტს ტუჩებს და მეუბნება:

— გუშინ საბოლოოდ დავცილდი ვალკა ბ-ს, მაგრამ, წარმოვიდგენია? ჩამციებია, ჩემი წერილები დამიბრუნეო.

— უნდა დაუბრუნო. —ვუმოწმებ მეც.

— რა თქმა უნდა, წერილებს დავუბრუნებ, მაგრამ ასლები კი უნდა შევინახო. მართლა, დამავალე და ერთი თხოვნა შემისრულე, ის ასლები უნდა დამიმოწმო.

— ასლები რაღად გინდა? — ვკითხე.

— ვინ იცის, რა მოხდება, — მპასუხობს სერიოჟა. — შეიძლება ვალკამ თქვას, არასოდეს მყვარებიხარო, მაგრამ თუ დამოწმებული ასლები მექნა...

ამასობაში სერიოჟას სახლსაც ვუახლოვდებით. სერიოჟას მამა სახანძრო ნაწილის უფროსია, ამიტომ მათთან შესვლა მაინტერესებს.

სერიოჟა მაგიდაზე დებს სამ წერილს და წინასწარ გადაღებულ სამ ასლს.

სულაც არ მინდა ამ ასლებზე ხელის მოწერა, მაგრამ სერიოჟა დაჟინებით მთხოვს ამას.

— ჩვენ უკვე დიდები ვართ, — მეუბნება იგი. — ბავშვობის წლები უკან დარჩა... ძალიან გთხოვ, ხელი მომიწერო.

ასლებს არც კი ვკითხულობ, ისე ვაწერ ქვეშ — დედანთან სწორია-მეთქი და მერე ქაღალდზე ჩემი გვარი გამომყავს.

მადლობის ნიშნად სერიოჟას ბაღში მივყავარ და საიერიშო კიბეს და მზეზე გასაშრობად გამოტანილ სახანძრო შლანგებს მიჩვენებს.

ალდგომის ღამე

ცისკრის ლოცვაზე მივიჩქარი, სარკის წინ ვტრიალებ, გიმნაზიელის მუნდირი მჭიდროდ მაქვს შემოტმასნილი ტანზე, მარცხენა ხელში ლაიკის თეთრი ხელთათმანები მიჭირავს, მარჯვენით კი შუაზე გაყოფილ თმას ვისწორებ.

არცთუ ისე კმაყოფილი ვარ საკუთარი თავისა, სარკიდან პირტიტველა ყმაწვილი შემომცქერის.

თექვსმეტი წლისა ასე უმწიფარი არ უნდა ვჩანდე.

დაუდევრად მოვიგდე მხრებზე შინელი და ოთახიდან გავედი. დაბლიდან კიბეს ტატა ტ. მოუყვება.

ბეწვის მოკლე ჟაკეტი აცვია, ხელში პატარა მუფთა უჭირავს, დღეს გასაოცრად ლამაზი მეჩვენება.

— განა საყდარში არ მიდიხართ? — ეკითხე.

— არა, აღდგომას შინ ეხვდებით, — მითხრა ღიმილით, მერე მომიახლოვდა და დასძინა: — ქრისტე აღსდგა, მიშენკა!..

— ჯერ ხომ თორმეტი საათი არ არის, — წავიბუტბუტე.

ტატა ტ-მ მკლავები შემომაჭდო და მაკოცა.

ქრისტიანულად სამჯერ კი არა, ერთხელ მაკოცა, მაგრამ ამ კოცნამ მთელ წუთს გასტანა, თანდათან გავისაცნაურე, რომ ეს კოცნა ქრისტიანული ამბორი არ უნდა ყოფილიყო.

ამ აღმოჩენამ ჯერ სიხარული მომგვარა, მერე სიხარულს გაკვირვებაც ზედ დაერთო. ბოლოს კი სიცილი ამიტყდა.

— რატომ იცინით? — მეკითხება ტატა ტ.

— არ ვიცოდი, თუ ადამიანები ასე აკოცნიან ერთმანეთს.

— ადამიანები კი არა, ქალები და კაცები, სულელო, — მეუბნება ტატა ტ.

მერე სახეზე ხელებს მილამუნებს, მეალერსება და თვალებში მკოცნის. ზემო ბაქანზე კარმა გაიჯახუნა. ტატა ტ. სწრაფი ნაბიჯით აუყვა კიბეს — ლამაზი და იდუმალებით მოსილი, სწორედ ისეთი, როგორიც მიყვარდა და მინდოდა მუდამ მყვარებოდა.

ზინ ალარ დავბრუნდები

ათნი შევიკრიბენით და ნოვოე დერევნიასკენ დავადექით გზას. ყველანი მეტისმეტად აღელვებულები ვიყავით. ჩვენმა ამხანაგმა ვასკა ტ-მ გიმნაზია

მიატოვა, შინიდან წავიდა და ახლა სადღაც, ჩორნაია რეჩკაზე დამოუკიდებლად ცხოვრობს.

ვასკა გიმნაზიის მერვე კლასიდან გამოვიდა, გამოცდებსაც კი არ დაელოდა, მაშასადამე, ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა. გულში აღტაცებულნი ვიყავით მისი საქციელით.

მივუახლოვდით ხის სახლს, დამპალ, მორყეულ კიბეს ავყევით და თითქმის ზედ ჭერქვეშ, ვასკას ოთახში ავედით.

საყელომოღეღილი ვასკა რკინის საწოლზე იჯდა, გვერდით ასე, ცხრამეტიოდე წლის სიფრიფანა გოგონა მისჯდომოდა.

მაგიდაზე ძეხვს, პურს და არყიან ბოთლს დავადგი თვალი.

— აი, ამასთან წამოვიდა, — მიჩურჩულა ვიღაცამ.

სახენამტირალევი, თვალებდაწითლებული ქალიშვილი თითქმის შიშით შემოგვცქეროდა.

ვასკამ დარდიმანდულად დაგვისხა ჭიქებში არაყი.

მერე ბაღში ჩავედი. იქ ხნიერი მანდილოსანი, ვასკას დედა იდგა, მუქარით იქნევდა ხელებს მაღლისკენ და წიკვინა ხმით გაჰკიოდა, ვიღაც დედაკაცები კი უხმოდ უსმენდნენ.

— ყველაფერი მაგის ბრალია, მაგ გომბიოსი, ეგ რომ არა, ვასკა შინიდან ფეხსაც არ გადგამდა, — ყვიროდა ვასკას დედა.

ფანჯარასთან ვასკა აიტუზა:

— წადით, აქედან, დედა, — თქვა მან. — დილიდან საღამომდე აქ ტრიალებთ, ყველას გული გაუწყალეთ... წადით, წადით, აკი გითხარით, შინ ალარ დავბრუნდები-მეთქი!

დედამ მწუხარედ მოკუმა ტუჩები და კიბის საფეხურზე ჩაჯდა.

წამება

საოპერაციო მაგიდაზე გაშოტილი ვწევარ, ქვეშ თეთრი, გრილი მუშამბა მიგია. ჩემს პირდაპირ უშველებელი ფანჯარაა, საიდანაც კამკამა ლურჯი ცა მოჩანს.

სულემის კრისტალი ჩავყლაპე და ახლა კუჭი უნდა ამომირეცხონ.

თეთრხალათიანი ექიმი უძრავად დგას მაგიდასთან.

მედიცინის და რეზინის გრძელ მილს უწვდის. შემდეგ გრაფინს იღებს და წყლით აპიპინებს. ზიზღით ვადევნებ თვალს მის საქმიანობას. რისთვის უნდა გამაწამოს, განა არა სჯობდა მოვმკვდარიყავი? ამ ტანჯვა-წვალებას ხომ გადავრჩებოდი.

რუსულ თხზულებაში „ერთიანი" მივიღე. ქვეშ წითელი მელნით იყო მიწერილი „სისულელეა!" თხზულება ტურგენევის შემოქმედებაზე დაგვაწერინეს, ასეთი სათაურით: „ლიზა კალინინა". ნეტა რა მესაქმება ამ ლიზა კალინინასთან, მაგრამ ასეთი დამცირების ატანა მაინც შეუძლებელია.

ექიმი ხახაში მჩრის რეზინის მილს. საზიზღარი ყავისფერი მილი სულ უფრო და უფრო ღრმად ჩადის ყელში.

მედიცინის და გრაფინს მაღლა სწევს და მილში წყალს ასხამს. სული მეხუთება, ექიმის მკლავებში ვიხლაკნები, კვნესით ვიქნევ ხელს, უსიტყვოდ ვევედრები, შეწყვიტონ ჩემი წამება.

— წყნარად, წყნარად, ახალგაზრდავ. — მეუბნება ექიმი. — როგორ არა გრცხვენიათ, რა სულმოკლეობაა, ღირდა კია ასეთი უმნიშვნელო რამისთვის...

ხახადაფჩენილი შადრევანივით ვანთხევ წყალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ

ალაყაფის კართან პოლიციელი დგას და მთხოვს შესასვლელი ბილეთის გარდა, მატრიკულიც წარვუდგინო.

საბუთებს ვიღებ.

— გაიარეთ, — მეუბნება პოლიციელი.

ეზო ჯარისკაცებით და თოფიანი პოლიციელებითაა ავსილი.

დღეს ტოლსტოის გარდაცვალების წლისთავია.

უნივერსიტეტის დერეფანში შევდივარ, ირგვლივ ხმაურია, ყველანი აჩქარებული მიდი-მოდიან. ზომაზე მეტი გამოცოცხლება იგრძნობა.

დერეფანში ნელი ნაბიჯით მოემართება სასწავლო ოლქის მზრუნველი პრუტჩენკო. იგი მაღალ-მაღალი, ჩასხმული, ლოყებღაჟღაჟა კაცია, თეთრ მკერდზე, ვიცმუნდირის შიგნით, ბრილიანტის საკინძები მოუჩანს.

პრუტჩენკოს ცოცხალ ზღუდესავით გარს შემოხვევიან ახალგაზრდები, აკადემიური კორპორაციის სტუდენტები „ბელოპოდკლადჩიკები". ხელიხელჩაკიდებულნი მოაბიჯებენ, რათა მზრუნველი შესაძლო ექსცესებისაგან დაიცვან. მათ მბრძანებლობს და უზომოდ ფართიფურთობს ერთი აწოლილი, სახედამუწუკებული სტუდენტი, რომელსაც წელზე დაშნა ჰკიდია.

ირგვლივ ჯოჯოხეთური ხმაურია. „ქუჩებში სპილოს დაატარებენ!" — ყვირის ვიღაც, ისმის ოხუნჯობა, სიცილი.

მზრუნველი აუჩქარებლად მოდის, „ცოცხალი გალავანი" მოკრძალებით მოიწევს წინ მასთან ერთად.

საიდანღაც გამოჩნდება სტუდენტი. ტანდაბალია, უსანდომო, მაგრამ სახე გასაოცრად გონიერი და ენერგიული აქვს.

„გალავანთან" სტუდენტი ჩერდება. „გალავანი" და მზრუნველიც უნებლიეთ შედგებიან.

სტუდენტი ხელს მაღლა სწევს, სიჩუმეს ითხოვს. და როცა ხმაური ცხრება, ხმამაღლა და გამოკვეთილად ამბობს: „ჩვენთან, რუსეთში, ორგვარი უბედურება ტრიალებს — დაბლა წყვდიადის ხელისუფლებაა, მაღლა კი — ხელისუფლების წყვდიადი".

სტუდენტის სიტყვებს ტაშის გრიალი და ხანგრძლივი ხარხარი ფარავს.

აწოწილი სტუდენტი შთამბეჭდავად მიაცოცებს ხელს დაშნისკენ.

„მოეშვით, თავი დაანებეთ", — მოქანცულად ბუტბუტებს მზრუნველი.

„გამიგეთ, მაგ თავხედის გვარი", — გადაულაპარაკებს ვიღაცას აწოწილი სტუდენტი.

ᲦᲘᲠᲓᲐ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲭᲠᲘᲚᲝᲑᲐᲓ...

სტუდენტმა მიშკა ფ-მ თავი ჩამოიხრჩო, მისი სიკვდილის შემდგომ იპოვეს წერილი: „დამნაშავეს ნუ ეძებთ, მიზეზი უიღბლო სიყვარულია".

ცოტათი ვიცნობდი მიშკას, თმაებურძგნილი, გაუპარსავი და არცოუ მაინცდამაინც ნიჭიერი ახალგაზრდა იყო.

სხვათა შორის, სტუდენტებს უყვარდათ, ადვილად შემგუებელი და ამხანაგური ბიჭიაო, ამბობდნენ.

გადავწყვიტეთ, სადმე წავსულიყავით და ამ ტრაგედიის ალსანიშნავად მიშკას შესანდობარი დაგველია.

მალაიაზე ლუდხანაში მოვიყარეთ თავი.

თავდაპირველად ვიმღერეთ „ტალღისებრ სწრაფად მიედინება სიცოცხლე ჩვენი“. შემდეგ რაღაც-რაღაცები მოვიგონეთ, მაგრამ მიშკას ცხოვრებიდან საგულისხმო ვერაფერი გავიხსენეთ.

მერე ვიღაცამ თქვა, მიშკამ ერთ დღეს უნივერსიტეტის სასადილოში რამდენჯერმე ზედიზედ ისადილაო. ატყდა ხარხარი, მივყევ-მოვყევით და ბოლოს ყველა წვრილმანი და სისულელეებიც კი გავიხსენეთ. თან სიცილით ვიგუდებოდით.

სიცილ-ხარხარში ერთი სტუდენტი ყვებოდა:

— ერთხელ მეჯლისზე წასვლა გადავწყვიტეთ, მე მიშკას გავუარე, სიჩქარეში ხელების დაბანა ვეღარ მოასწრო, თითები საპუდრეში ჩაყო. ფრჩხილებქვეშ შავი ზოლები პუდრით რომ დაეფარა. —ისევ სიცილი ავტეხეთ.

— ახლა კი გასაგებია მიშკას უიღბლო სიყვარული, — წამოიძახა ვიღაცამ. ერთხანს კიდევ ვიხარხარეთ, მერე ისევ ვიმღერეთ „ტალღისებრ სწრაფად“. როგორც კი ჩავიდოდით სიტყვებამდე: „მოკვდები, დაგმარხავენ, ვითომც არ გეცხოვროს“, რომელიმე სტუდენტი გამალებით ფეხზე წამოიჭრებოდა და დირიჟორობას მოჰყვებოდა.

დაბოლოს ვიმღერეთ „გაუდემაუსი“, „მწუხრის ზარები“ და „დირლიმბომ-ბომ“.

დღეობაზე

საღამო ხანია, გულმოჯამული შინისკენ მივიჩქარი.

— სტუდენტო! — მეძახის ვიღაც. ჩემ წინ სახეშეთითხნილი და პუდრწაყრილი ქალი დგას. შლაპის ქვემოთ ღაწვმაღალი სახე და მსხვილი ტუჩები მოუჩანს.

მოვიღუშე და დავაპირე იქაურობას გავცლოდი, მაგრამ ქალმა დამორცხვებული ღიმილით მითხრა:

— დღეს ჩემი დღეობაა, მესტუმრეთ, ჩაი დავლიოთ.

— მაპატიეთ, დრო არა მაქვს.

— მე არავის ვაწბილებ, ვინც მეტყვის, ყველას მივყვები, მაგრამ დღეს გადავწყვიტე დაბადების დღე გადამეხადა და თავად მიმეწვია ვინმე. გულით გთხოვთ უარს ნუ მეტყვით.

ჩაბნელებული კიბე ავიარეთ და პატარა ოთახში შევედით. კიბის საფეხურებზე აქეთ-იქით კატები გაწოლილიყვნენ.

მაგიდაზე სამოვარი იდგა, თხილი, მურაბა და კრენდელი ეწყო.

უხმოდ ვსვამდით ჩაის, არ ვიცოდი, რაზე მესაუბრა. ჩემმა დუმილმა ქალსაც რიდი შემატა.

— ახლობლები არავინა გყავთ? მეგობრები, ნათესავები, — ვკითხე.

— არა, — მომიგო ქალმა, — აქაური არა ვარ, როსტოვიდან ჩამოვედი. ჩაის სმა რომ მოვათავე, პალტო ჩავიცვი და წასასვლელად ვიქმზადე.

— ნუთუ ისე არ მოგწონვართ, რომ ჩემთან დარჩენაც კი არ ისურვეთ?— მითხრა ქალმა.

მხიარულ გუნებაზე ვიყავი, მეცინებოდა, ამ ქალისადმი სულაც არ ვგრძნობდი ზიზღს. დამშვიდობებისას მსხვილ ტუჩებში ვაკოცე.

— არ შემოივლით ჩემთან? — ისევ მკითხა ქალმა.

ოთახიდან გავედი. ეგება მაინც დავიხსომო ეს ბინა? ბნელში კიბის საფეხურების თვლა დავიწყე, მაგრამ შემეშალა. ასანთი ხომ არ გავკრა, რომ კარზე ოთახის ნომერი დავიხსომო? არა, არ ღირს, მეტად აქ აღარასოდეს მოვალ.

ფინალდადება

ვაგონიდან ვაგონში გადავდივარ, ხელში კომპოსტერი* მიჭირავს და ბილეთებზე ნიშნებს ვსვამ.

ჩემს კომპოსტერს ნახევარმთვარე გამოჰყავს.

ზაფხულობით ამ ბრწყინვალე სარკინიგზო ხაზს — კისლოვოდსკი — მინერალური წყლები, სტუდენტები ემსახურებიან. მეც ამიტომ ვარ ახლა აქ, კავკასიაში, მინდა ცოტა ფული შევაგროვო.

აჰა, ესეც კისლოვოდსკი. ვაგზლის კართან ქანდაკებასავით გაშეშებულა ვეებერთელა ჟანდარმი. მკერდზე მედლები უბრჭყვიალებს.

ვაგზლის მოლარე ღიმილით მიახლოვდება და ზრდილობიანი თავის დაკვრით მესალმება.

— კოლეგა, — მომმართავს იგი, თუმცა სტუდენტი არ არის. — ორიოდე სიტყვა უნდა გითხრათ... სხვა დროს ბილეთებს კომპოსტერით ნუღა გაჩხვლეტთ, ასევე დამიბრუნეთ...

ამ სიტყვებს მშვიდად, ღიმილითვე ამბობს, თითქოს ამინდზე მესაუბრებოდეს.

— რატომ დაგიბრუნოთ? იმიტომ ხომ არა, რომ... ხელმეორედ გაყიდოთ? — ვბუტბუტებ დაბნეული.

— რა თქმა უნდა... თქვენებს უკვე მოველაპარაკე, თითქმის ყველა თანახმაა... ფულს შუაზე გავიყოფთ...

— სტყუით, არამზადავ, — ვბუტბუტებ ისევ. — მაშ ყველას შეუთანხმდით?

მოლარე მხრებს იჩეჩს და ამბობს:

— ვთქვათ, ყველას არა, მაგრამ უმრავლესობას მაინც, რატომ გიკვირთ? აქ ყველა ასე აკეთებს... აბა, ოცდათექვსმეტ მანეთზე როგორ უნდა ვიცხოვრო?.. ეს დანაშაულად არც მიმაჩნია, თავად გვაიძულებენ, ასე მოვიქცეთ.

მკვეთრად შევბრუნდი და ფეხაჩქარებით წავედი. მოლარე წამომეწია.

— კოლეგა, თუკი არ გინდათ, ძალას ვინ გატანთ, თქვენი ნებაა... მაგრამ ამ ამბავს ნურავის ეტყვით, თუნდაც იმიტომ რომ, არავინ დაგიჯერებთ,

* კომპოსტერი — ხელსაწყო, რომლის საშუალებითაც სამგზავრო ბილეთებზე და სხვ. გაჩხვლეტით სვამენ საკონტროლო ნიშნებს.

მეორეც, ნათქვამს ვერ დამიმტკიცებთ, და მესამეც — მატყუარისა და ინტრიგანის სახელი შეგრჩებათ.

ნელ-ნელა მივაბიჯებ შინისკენ... წვიმს..

ჩემს სიცოცხლეში ასე არაფერს გავუოცებივარ.

ᲔᲚᲕᲘᲠᲐ

საღვურ „მინუტკაში“ ერთი ოთახი მაქვს. ფანჯრები ბაღს გადაჰყურებს. ჩემი ბედნიერება და სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა. მეზობელ ოთახში პენზიდან ჩამოსული ცირკის მსახიობი ელვირა შესახლდა, ჯანსაღი, თითქმის უწიგნური ქალი. პასპორტის მიხედვით, ელვირა — ნასტია გოროხოვაა.

პენზაში ხანმოკლე რომანი ჰქონია გენერალთან. გენერალი ამჟამად მეუღლითურთ „მჟავე წყლებზე“ იმყოფება. ელვირა მათ უკან გამოჰყვა. თუმცა, ღმერთმა უწყის, რისი იმედით.

ამ ქალის ფიქრები დილიდან საღამომდე უბედურ გენერალს დასტრიალებს თავს.

ელვირა მიჩვენებს თავის ხელებს, ცირკის გუმბათქვეშ სამი მამაკაცის სიმძიმეს რომ უძლებდა, და ამბობს:

— კაცმა რომ თქვას, თავისუფლად შემეძლო მომეკლა, ამისთვის რვა წელზე მეტს არ მომისჯიდნენ, თქვენ რას მეტყვით?

— მაინც რა გინდათ იმ კაცისგან? — ვკითხე.

— როგორ თუ რა! „მინუტკაში“ მაგის გულისთვის ჩამოვედი, მთელი თვეა აქა ვარ და სულელივით ყველაფერში ფულს თავად ვიხდი. ახლა მინდა წერილი მივწერო, ზრდილობის გულისთვის მაინც მომცეს აქეთ და იქით სამგზავრო ფული.

რაკიღა ელვირამ წერა არ იცოდა, მის მაგივრად ამ წერილის დაწერა მე მომიხდა. ვწერდი იმ იმედით, რომ ელვირა ფულს მიიღებდა და უკან, პენზაში გაბრუნდებოდა.

აღარ მახსოვს, რა დავწერე, მაგრამ როდესაც წერილი ელვირას წავუკითხე, მითხრა: დიახ, ეს ქალის სულის კივილია... და თუ ამის შემდეგ არაფერი გამომიგზავნა, უეჭველად ჩემი ხელით გავათავებო.

ჩემმა წერილმა გენერალს გულ-ღვიძლი გადაუბრუნა და ელვირას შიკრიკის ხელით ხუთასი მანეთი გამოუგზავნა. იმ დროისთვის ეს უზარმაზარი თანხა იყო.

ელვირა გაოგნებული ჩანდა.

— ახლა, როცა ამდენი ფული გამიჩნდა, კისლოვოდსკიდან წასვლა ნამდვილად სისულელე იქნებოდა, — მითხრა მან.

ელვირა დარჩა, სრულიად დარწმუნებული, რომ ამოდენა სიმდიდრის მფლობელი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი წყალობით შეიქნა.

ახლა ჩემი ოთახიდან თითქმის აღარ გადიოდა.

კიდევ კარგი, მსოფლიო ომმა მომისწრო და მე ფრონტზე გამიწვიეს.

1915-1917

მე უფრო მეტად მწყალობდა ბედი,
ვიდრე მრავალ სხვათ...

თორმეტი დღე

ვიატკიდან ყაზანს მივემგზავრები, ჩვენი პოლკისთვის შევსება უნდა ჩამოვიყვანო.

საბანსა და ქურქებში შეფუთნილი დახურულ ეტლში ვზივარ. საფოსტო ცხენებით ვმგზავრობ, რადგან მიმოსვლის სხვა საშუალება ამ გზებზე არ არსებობს.

სამი ცხენი მიქრის დათოვლილ გზაზე. ირგვლივ უდაბური სივრცე გვაკრავს. საშინლად ყინავს.

ჩემ გვერდით პროპორშჩიკი ს. ზის, შევსებისთვის ერთად მივდივართ.

მეორე დღეა, გზაში ვათენ-ვალამებთ, უკვე ყველაფერზე ვილაპარაკეთ, ყველაფერი გავიხსენეთ და ახლა უზომოდ მოწყენილები ვართ.

პროპორშჩიკმა ს-მ ბუდიდან ნაგანი ამოიღო და ტელეგრაფის ბოძებზე თეთრ იზოლატორებს ტყვია დაუშინა.

სროლის ხმა მალიზიანებს. გული მომდის ს-ს საქციელზე, ამიტომ უხეშად ვეუბნები, — შეწყვიტე სროლა, ჩერჩეტო!

მეგონა, ამიყვირდებოდა, იჩხუბებდა, ნაცვლად ამისა, შესაბრალისი ხმით მითხრა:

— პროპორშჩიკო ზოშჩენკო!.. ნუ შემაჩერებ, ნუ ამიკრძალავ, ჩემს ნებაზე მოვიქცე, მალე ფრონტზე მომიწევს წასვლა, იქიდან კი ცოცხალი ვეღარ დავბრუნდები.

ვუცქერი ს-ს პაჭუა ცხვირს, ვაკვირდები ამ გასაცოდავებულ, ცისფერ თვალებს და დღეს, თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, ნათლად ვიხსენებ მის სახეს.

ს. მართლაც ფრონტზე ჩასვლის მეორე დღესვე მოკლეს.

იმ ომში პროპორშჩიკები საშუალოდ თორმეტ დღემდე ცოცხლობდნენ.

ფეძინება

სადარბაზო ოთახში შევდივარ. ფანჯრებზე ხავერდის შინდისფერი შტორები ჰკიდია. იაქთაღებიდან მოოქროვილ ჩარჩოებში ჩასმული სარკეები ჭიატობს.

ჰქუხს ვალსი. ვალსს როიალზე უკრავს ფრაკიანი მამაკაცი, ღილკილოში ასტრი რომ უბნევია, სახე კი მკვლელს მიუგავს.

სიმღერით შემოდის შებრუჟული კორნეტი:

„ავსტრიელებს რა უქნიათ,
რუსთან ომი დაუწყიათ...“

სიმღერა ყველამ აიტაცა. ისმის სიცილი.

დივანზე ჩამოვჯექი. ჩემ გვერდით ასე, ოცდაათიოდე წლის ტანსრული, შავგვრემანი და მხიარული ქალი ზის.

ქალი თვალებში ჩამმზერს და მეუბნება:

— ხომ არ გიცეკვოთ?

სახემოლუშული, დაღვრემილი შევყურებ მას და უარის ნიშნად თავს ვაქნევ.

— გეძინება? — მეკითხება ქალი.— მაშინ ჩემთან წამოდი.

ქალის ოთახს ჩინური ფარანი ანათებს, აქვე პატარა ჩინური თეხეირი დგას და ჩინური ხალათები ჰკიდია. რა სასაცილოდ მეჩვენება ეს ყველაფერი.

ვწვებით.

უკვე თორმეტი საათია. თვალები მებლიტება, მაგრამ ვერ ვიძინებ, თავს ცუდად ვგრძნობ, სევდა მერევა. მოუსვენრად ვარ.

ქალს ბეზრდება ჩემთან ყოფნა, მალიმალ გვერდს ინაცვლებს, ოხრავს. მერე მხარზე ხელს მითათუნებს და მეუბნება:

— ხომ არ გეწყინება, ცოტა ხნით დარბაზში რომ გავიდე, ახლა იქ ალბათ ლოტოს თამაშობენ, ცეკვავენ.

— კი ბატონო, — ვეუბნები.

ქალი მადლობის ნიშნად მკოცნის და კარს უკან უჩინარდება. იმწამსვე ძილი მერევა.

გამთენიისას ვიღვიძებ, ქალი ჯერ არ დაბრუნებულა, ისევ ვხუჭავ თვალებს.

მოგვიანებით ისევ ვიღვიძებ. ვხედავ, ქალს მშვიდად სძინავს ჩემ გვერდით. უხმაუროდ ვიცვამ ტანსაცმელს და ოთახიდან გავდივარ.

პირველი ღამე

ქოხის კარს ვაღებ. მაგიდაზე ნავთის ლამპა დგას. ოფიცრები ბანქოს თამაშით არიან გართულნი. სამგზავრო საწოლზე პოდპოლკოვნიკი ზის და ჩიბუხს ეწევა.

დამხვდურთ ვესალმები.

— ბარგი მიალაგეთ და დაისვენეთ, — მეუბნება პოლკოვნიკი. მერე მოთამაშეებისკენ შებრუნდება და თითქმის ყვირილით ამბობს: — პორუჩიკო კ! რვა საათია, დროა სამუშაოზე წახვიდეთ.

— არის, პაველ ნიკოლაევიჩ!.. ახლავე... აგერ თამაშს დავამთავრებ და...— გაეპასუხა მკვირცხლი, ლამაზი, წვრილულვაში პორუჩიკი.

ალტაცებით შევჩერებივარ პორუჩიკს. ახლა ამ წკვარამ ღამეში „სამუშაოდ" უნდა წავიდეს. ალბათ დაზვერვაზე, იქნებ ზურგშიც მოუწიოს გადასვლა, ეგება მოკლან კიდეც ან დაჭრან, ის კი ასე მხიარულად და ხუმრობით პასუხობს.

პოდპოლკოვნიკმა რაღაც ქაღალდებს გადააავლო თვალი და მითხრა:

— დღეს დაისვენეთ, ხვალ კი თქვენც „სამუშაოდ" მოგიწევთ წასვლა.

— არის! — მივაგებე პასუხად.

პორუჩიკი მიდის. ოფიცრები დასაძინებლად ემზადებიან. სიჩუმეა. სადღაც, შორს თოფის ხმა ისმის, ვაყურადებ. პირველი ღამეა, ფრონტის სიახლოვეს რომ ვატარებ. ძილი არ მეკარება.

ალიონზე პორუჩიკი კ. ბრუნდება. დაღლილ-დაქანცულია, ჭუჭყიანი.

— ხომ არ დაჭრილხართ? — თანაგრძნობით ვეკითხები.

პორუჩიკი მხრებს იჩეჩავს.

— დღეს მეც გაუდივარ „სამუშაოდ", — ვეუბნები.

— თქვენ გგონიათ, მე საბრძოლო ოპერაცია უნდა შემესრულებინა? — ღიმილით ამბობს პორუჩიკი, — უბრალოდ, ბატალიონს გავყავი სამუშაოდ ზურგში, აქედან სამიოდე კილომეტრი თუ იქნება. იქ სიმაგრის მეორე ხაზს ვაგებთ.

თავს ძალზე უხერხულად ვგრძნობ, ბოლმისაგან ლამის ფარცხალი ვიტეხო. მაგრამ პორუჩიკი უკვე ხვრინავს.

ნერვები

ორი ჯარისკაცი ღორის დასაკლავად გამოსულა. ღორი საშინლად ჭყვიტინებს, ამის ატანა უკვე აღარ შემიძლია. ვუახლოვდები ჯარისკაცებს.

ერთი მათგანი ღორზე გადამჯდარა, მეორეს ხელში დანა უჭირავს და საბრალო ცხოველს მარჯვედ უფატრავს მუცელს. არაჩვეულებრივი სისქის ქონი აქეთ-იქით ეფინება.

— გაგებრუებინათ მაინც, ბიჭებო, ასე ცოცხლად ხომ არ უნდა აკუწოთ,— ვუთხარი.

— არ შეიძლება, თქვენო კეთილშობილებავ, — მომიგო პირველმა ჯარისკაცმა, ღორზე გადალაჯული რომ იჯდა, — ხორცს გემო დაეკარგება. — მერე უცებ ჩემს ვერცხლის ხმალსა და ვენზელებს მოჰკრა თვალი და ფეხზე წამოვარდა. ღორი გაიქაჩა და გაქცევა სცადა.

— იჯექ, იჯექ, სჯობს დროზე მოათავოთ საქმე, — ვუთხარი.

— არც აჩქარება ივარგებს, ნამეტანი აჩქარებით ქონს წავახდენ, — მეუბნება დანიანი.

პირველმა ჯარისკაცმა გულმტკივნეულად შემომხედა და მითხრა:

— თქვენო კეთილშობილებავ, ომიან! ადამიანები სისხლში ცურავენ, თქვენ კი ღორი გებრალებათ...

მეორე ჯარისკაცმა მრავლისმეტყველად აიქნია დანიანი ხელი და თქვა:

— მათ კეთილშობილებას ნერვები აწუხებს.

საუბარი ლამის ფამილარული გახდეს. ეს დაუშვებელია. მინდა წავიდე, მაგრამ რატომღაც ფეხს არ ვიცვლი.

— ავგუსტინის ტყეში აი, ამ ხელზე ძვალი გადამამსხვრიეს. ხელადვე მაგიდაზე გამშოტეს, ნახევარი ჭიქა ღვინო დამალევინეს და მოჰყვნენ ძვლის ჭრას და დაქუცმაცებას. მე კი ვწევარ ჩემთვის და ძეხვს შევექცევი, — ყვება პირველი.

— მერე არ გტკიოდა?

— როგორ არ მტკიოდა, აუტანლად მტკიოდა... ძეხვი შევჭამე და ყველი მოვითხოვე. ის იყო, ყველსაც წირვა გამოვუყვანე, და ქირურგმაც თქვა, მორჩა, ახლა გავკერავთო. თქვენ, თქვენო კეთილშობილებავ, ამდენს ვერ გაიძლებდით.

— მათ კეთილშობილებას სუსტი ნერვები აქვს, — ისევ იმეორებს მეორე ჯარისკაცი.

სწრაფი ნაბიჯით ვშორდები იქაურობას.

ციერიში

ზუსტად თორმეტ საათზე ვტოვებთ სანგრებს. უკუნი სიბნელეა. ხელში ნაგანი მიჭირავს.

— წყნარად იარეთ, წყნარად, ქვაბურებს ნუ აჩხაკუნებთ, — ვამბობ ჩურჩულით, მაგრამ ხმაურის მოსპობა შეუძლებელია.

გერმანელებმა სროლა აგვიტეხეს. მაშასადამე, მანევრს მიგვიხვდნენ, რა საწყენია!

ტყვიების სტვენა-ზუზუნში წინ გავრბივართ, რომ გერმანელები ტრანშეებიდან ამოვყაროთ.

ირგვლივ გრიგალისებური ცეცხლია. ისვრის ტყვიამფრქვევები, გრიალებს თოფები. ბრძოლაში არტილერიაც ებმება.

ჩემ ირგვლივ მოცელილებივით ეცემიან მებრძოლები. ვგრძნობ, ტყვიამ გამკაწრა, ფეხი ამეწვა, მაგრამ მაინც გავრბივარ წინ.

აჰა, უკვე გერმანელების მავთულხლართებთან ვართ. ჩემი გრენადერები მავთულს ჭრიან.

ტყვიამფრქვევის ულმობელი ცეცხლი მუშაობას გვაწყვეტინებს. ხელის წამოწევაც კი შეუძლებელი ხდება, გაუნძრევლად ვყრივართ მიწაზე. გადის ერთი საათი, ეგება ორიც.

ბოლოს ტელეფონისტი ყურმილს მაწვდის.

— ადრინდელ პოზიციებზე დაბრუნდით! — მეუბნება ბატალიონის მეთაური.

ჩემ გვერდით გართხმულ მებრძოლებს ბრძანებას ვაძლევ, უკან დაიხიონ. ჯარისკაცები ჩემს ნათქვამს მწკრივიდან მწკრივში გადასცემენ.

ხოხვით მივიწევთ უკან-უკან.

დილით პოლკის ლაზარეთში ჭრილობას მიხვევენ, ჭრილობა უმნიშვნელოა. ტყვიას კი არა, ყუმბარის ნამსხვრევს დავუჭრივარ.

— თქვენი როტით მეტისმეტად კმაყოფილი ვარ, — მეუბნება პოლკის მეთაური თავადი მაყაევი.

— ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია, თქვენო ბრწყინვალებავ, — ვპასუხობ დარცხვენით.

— თქვენ სწორედ ის გააკეთეთ, რაც საჭიროდ მიგვაჩნდა. ეს დემონსტრაცია იყო და არა იერიში.

— ოჰ, დემონსტრაცია იყო?!

— დიახ, მარცხენა ფლანგზე მოწინააღმდეგის ყურადღება უნდა მოგვედუნებინა, იერიშიც სწორედ ამისთვის მივიტანეთ.

ბოლმით ლამის გული გამისკდეს, მაგრამ გარეგნულად არაფერს ვიმჩნევ.

ბალში

საგარაკო სახლის აივნის წინ ლამაზი ყვავილნარია. იქვე, სადგარზე, მინის ყვითელი ბურთულა მოჩანს.

დახოცილებს ფორნებით ეზიდებიან და ამ ყვავილნართან შტაბელებივით ერთიმეორეზე აწყობენ. ყვითლები და საძრაობადაკარგულნი ცვილის თოჯინებივით წვანან.

გრენადერები მინის ბურთულას სადგარიდან იღებენ და საძმო საფლავის გათხრას იწყებენ.

პარმალთან პოლკის მეთაური და შტაბის ოფიცრები დგანან. მათ პოლკის მღვდელიც უერთდებათ.

სიჩუმეა. შორით არტილერიის გრიალი მოისმის.

დახოცილებს პირსახოცებზე აწვენენ და სამარეში უშვებენ.

მღვდელი სამარეს გარს უვლის, დახოცილებს პანაშვიდს უხდის. ჩვენ სმენაზე ვდგავართ.

სამარეს ფეხებით ტკეპნიან. ჯვარს დგამენ.

მოულოდნელად გვიახლოვდება კიდევ ერთი ფორანი. ისიც დახოცილებით არის სავსე.

— ასე როგორ იქნება, ბატონებო, ყველა ერთად უნდა მოგეტანათ, — ამბობს პოლკის მეთაური.

— ყველა ერთად ვერ ვიპოვეთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ესენი მარცხნივ, ღარტაფში ეყარნენ, — პატაკს აძლევს ფორნიდან ფელდფებელი.

— როგორ მოვიქცეთ ახლა? — კითხულობს გენერალი.

— ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, თქვენო ბრწყინვალებავ, — ჩქარობს თქმას ფელდფებელი, — დავტოვოთ ესენი აქ, იქნებ ხვალ კიდევ იყვნენ დახოცილები, ჰოდა, ყველას ერთად დავმარხავთ.

მეთაური დასტურს აძლევს. დახოცილები ფარდულში შეაქვთ.

ჩვენ სადილის საჭმელად მივდივართ.

მარწუხებში მოქცეული პოლკი

ჩვენი პოლკი გზატკეცილზე გაწელილა, დაღლილ-განაწამები ჯარისკაცები ფეხებს ძლივს მიათრევენ. მეორე დღეა თითქმის შეუსვენებლად მივაბიჯებთ გალიციის მინდვრებზე.

უკან ვიხევთ. ჭურვები გაგვითავდა.

პოლკის მეთაური ბრძანებას გვაძლევს, ვიმღეროთ.

მეტყველამფრქვეველებმა ცხენები ააჯირითეს და „ოკეანის ლურჯ ტალღებში“ წამოიწყეს.

ყოველი მხრიდან ისმის სროლისა და აფეთქების ხმა.

ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს მარწუხებში ვიყოთ მოქცეულნი.

ერთ-ერთ სოფელს გვერდით ჩავუარეთ. ჯარისკაცები ქოხებისკენ გაქანდნენ, ნაბრძანები გვაქვს, მოვსპოთ და გავანადგუროთ ყველაფერი, რაც გზად შეგვხვდება.

მკვდარი სოფელი გამოდგა. ძეხორციელი არსად ჭაჭანებს, ძაღლებიც კი სადღაც გადაკარგულან, ჩვეულებრივ, მიტოვებულ სოფელში ქათმებს მაინც დაინახავს კაცი, აქ კი მათი გასაგისიც მომსპარა. ასეთი პარტახის განადგურება მაინცდამაინც არც დასანანია.

გრენადერები მომცრო ქოხებისკენ გარბიან და ისლის სახურავებს ცეცხლს უკიდებენ, ბოლი ბოლქვა-ბოლქვად მიიზლაზნება ცისკენ.

უეცრად, თითქოს წამიერ, მკვდარი სოფელი ცოცხლდება. გამორბიან ბავშვები, ქალები, მამაკაცები. ძროხები ბღავიან, ცხენები ჭიხვინებენ, ირგვლივ მხოლოდ ყვირილი, ტირილი და წივილ-კივილი ისმის.

ერთგან, ჯარისკაცი, წუთის წინ სახლი ცეცხლს რომ მისცა, თავისივე ქუდით გამალებით აქრობდა მაღლა აჭრილ ალს. დავინახე, მაგრამ თვალი მოვარიდე. პოლკმა ისევ განაგრძო გზა, საღამომდე მუხლი არ ჩაგვიხრია, არც ღამით შევჩერებულვართ სადმე. ირგვლივ ხანძრები გიზგიზებს, ისმის ხროლა, ზარბაზნების გრიალი...

შეცისკრებულზე პოლკის უფროსმა გვითხრა:

— ახლა შემიძლია გაგიმხილოთ. ჩვენი პოლკი ოთხი დღე-ღამის განმავლობაში მარწუხებში იყო მომწყვდეული, ამ ღამით ძლივს დავიძვრინეთ თავი. ჩვენ იქვე, ბალახში დავცვივდით და ძილად მივეგდეთ.

ᲒᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ

ახლაც მახსოვს იმ სოფლის სახელი — ტუხლა. აქ სახელდახელოდ გავთხარეთ სანგრები, მაგრამ მავთულხლართების გაბმა ვეღარ მოვასწარით. უშველებელი ეკლიანი ხლართები ჩვენ უკან დარჩა დაწყობილი.

საღამოს ბრძანება მოვიდა, შტაბში მიბარებდნენ.

შიკრიკი გავიყოლიე და ტყვიების ზუზუნში შტაბისკენ გავემართე.

პოლკის შტაბი მიწურში იყო მოთავსებული. შევედი.

პოლკის მეთაურმა ღიმილით მითხრა:

— ახალგაზრდავ, თქვენ შტაბში დარჩებით. შემდგომ, ადიუტანტი ბატალიონს რომ ჩაიბარებს, მის ადგილს თქვენ დაიჭერთ.

იმ ღამით კარავში მეძინა, ამ ერთი კვირის განმავლობაში პირველად გავიხადე ჩექმები.

ყუმბარების გრიალმა უთენია გამომაღვიძა. კარვიდან გამოვიჭერი.

პოლკის მეთაური და შტაბის ოფიცრები შეკაზმულ ცხენებთან იდგნენ. ყველანი აღელვებული, თითქმის თავზარდაცემულნი ჩანდნენ. ჩვენ ირგვლივ ჭურვი ჭურვზე სკდებოდა, ნამსხვრევებს ჰაერში წუილი გაჰქონდა. ხეებს მიწაზე ზღართანი გაუდიოდა, მიუხედავად ამისა, ოფიცრები ქვისგან გამოკვეთილებივით გაუნძრევლად იდგნენ.

— პოლკი გარშემორტყმული და დატყვევებულია. ოციოდე წუთის შემდეგ გერმანელები აქ გაჩნდებიან... დივიზიის შტაბთან კავშირი აღარ არსებობს... ფრონტი ექვს კილომეტრზეა გაწყვეტილი, — გამოკვეთილად ამბობს ყოველ სიტყვას მეკავშირეთა უფროსი.

პოლკის უფროსი ნერვულად იწიწკნის ჭაღარა ბაკებს და მიყვირის:

— სასწრაფოდ მოახტით ცხენს და დივიზიის შტაბში გაქანდით. შეიტყვეთ მათი მითითებები. დაგაეცით, რომ ჩვენ სათადარიგო ბატალიონისკენ ვაპირებთ წასვლას.

ცხენს მოვახტი და, შიკრიკთან ერთად, ტყეში გაჭრილ გზაზე გავქროლდი.

ადრიანი დილაა. მზეს ოქროსფრად დაუფერავს მდელო ჩვენ მარჯვნივ.

ცხენი სწორედ ამ მდელოზე შევაგდე. მინდა ვნახო, რა ხდება, სად არიან გერმანელები, წარმოვიდგინო გარღვევის მთლიანი სურათი.

ჩამოვქვეითდი და გორაკის თხემისკენ გავსწიე.

ᲫᲮᲔᲖᲔ ᲩᲔᲛᲡ ᲮᲛᲐᲚᲡ, ᲓᲣᲠᲑᲘᲜᲓᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲣᲚᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲓ ᲚᲐᲞᲚᲐᲞᲘ ᲒᲐᲐᲥᲕᲡ. ᲓᲣᲠᲑᲘᲜᲓᲨᲘ ᲕᲘᲮᲔᲓᲔᲑᲘ, ᲕᲮᲔᲓᲐᲕ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ �გᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ

ცხენოსანთა არტილერიას. მხრებს ვიჩეჩავ: ისინი ხომ მიუწვდომლად შორს არიან.

უეცრად ისმის სროლის ხმა. ერთი, მეორე, მესამე, ჩემ იერიგვლივ სამდუიმიანი ჭურვები სკდება და ნამსხვრევები მიწას ეფინება. ძლივძლივობით ვასწრებ მიწაზე გაწოლას. და დაწოლილი, დაბლა, ზედ გორაკის ქუსლთან თვალს ვადგამ გერმანელთა ბატარეას. იქამდე ათასი ნაბიჯი თუ იქნება.

კვლავ სროლის ხმაა, ზედ ჩემ თავზემოთ სკდება შრაპნელი. შიკრიკი ხელს მიქნევს, მეორე ხელით ქვემოთ, გზისკენ მანიშნებს. გზას გერმანელთა ბატალიონი მოუყვება.

ცხენს ზურგზე მოვაფრინდი და კვლავ წინ გავიჭერით.

ხულ ტუუილად ვოხვედით

დათხილი მივაგდე ცხენი მალალ ჭიშკართან, აქ დივიზიის შტაბია მოთავსებული.

აღელვებული და ცეცხლმოდებული ვარ. ფრენჩის საყელო მოღეღილი მაქვს, ქუდი კი კინკრიხოზე მომქცევია.

ჩამოვქვეითდი და ჭიშკარი შევაღე.

შტაბის ოფიცერი, პორუჩიკი ზრადლოვსკი ჩქარი ნაბიჯით მიახლოვდება და კბილებს შორის სცრის:

— ასე როგორ იქნება, შეიკარით საყელო...

შეკაზმულ ბედაურებთან შტაბის ოფიცრები დგანან.

მათ შორის დივიზიის უფროსს, გენერალ გაბაევს, და შტაბის უფროსს, პოლკოვნიკ შაპოშნიკოვს მოვკარი თვალი.

მე პატაკს ვაძლევ.

— ვიცი, — გაღიზიანებით მეუბნება გენერალი.

— თქვენო აღმატებულებავ, როგორი იქნება თქვენი განკარგულება, რა გადავცე გენერალს?

— გადაეცით, რომ...

ვატყობ, გენერალს ერთი სული აქვს, ხმამაღლა შეიკურთხოს, მაგრამ, საბოლოოდ მაინც თავს იკავებს.

ოფიცრებმა ერთმანეთს გადახედეს, შტაბის უფროსმა ძლივშესამჩნევად ჩაიღიმა.

— გადაეცით რომ... აბა, რა უნდა გადავცე ადამიანს, რომელსაც პოლკი ხელში შემოეფშვნიტა. ტყუილად მოხვედით ჩემთან.

დარცხვენილი ვბრუნდები უკან.

ისევ დათხილი მომყავს ცხენი. ანაზდად ჩვენი პოლკის მეთაური დავლანდე. აწოწილი, გამხდარი, ქუდით ხელში გამოსულიყო, ჭალარა ბაკებს ქარი უწეწავდა. მინდორში იდგა და გაქცეულ ჯარისკაცებს გზას ულობავდა. ესენი ჩვენი პოლკის ჯარისკაცები არ იყვნენ, მაგრამ იგი ყოველი მათგანისკენ ყვირილით და ხვეწნა-მუდარით გარბოდა.

ჯარისკაცები მორჩილად მიდიოდნენ ტყის კიდისკენ, სადაც ჩვენი სათადარიგო ბატალიონი და ალალი მოჩანდა.

მივუახლოვდი ოფიცრებს, პოლკის უფროსი ჩვენკენ გამოემართა ბუტბუტით: „ჩემი სახელოვანი პოლკი დაიღუპა!“...

ამ სიტყვებით ქუდი მიწაზე დააბეთქა და ბრაზით გათელა. ვცადეთ მისი დამშვიდება, ვუთხარით, ხუთასი კაცი ხომ გვყავს, ეს არც ისე ცოტაა, შეგვიძლია პოლკი ხელახლა აღვადგინოთო.

ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘ

სადღაც, არდგმულში ვზივართ, სანგრებამდე სულ შვიდასი ნაბიჯი თუ იქნება. ტყვიები ზუზუნებს და ჭურვები თითქმის ჩვენ ცხვირწინ სკდება. მაგრამ პოლკის უფროსი ბალო მაყაევი კარგ გუნებაზე ჩანს, თითქმის მხიარულია — ჩვენ ისევ გვყავს სახელდახელოდ შეკოწიწებული პოლკი. სამი დღე და ღამეა წინააღმდეგობას ვუწევთ გერმანელთა იერიშებს და უკან ერთი ნაბიჯითაც კი არ დაგვიხევია.

— დაწერეთ, — მკარნახობს პოლკის უფროსი.

საველე ჩანთაზე რვეული მიდევს, დივიზიის შტაბში გასაგზავნად პატაკს ვწერ. არდგმულიდან ათიოდე ნაბიჯზე მძიმე ყუმბარა სკდება. ნაგავი თივა და ტალახი თავზე გვეყრება.

კვამლსა და მტვერში პოლკის მეთაურის მოლიმარ სახეს ვხედავ.

— არაფერია, განაგრძეთ წერა, —ამბობს მშვიდად. მე წერას განვაგრძობ. ყუმბარის ტალღები ჰაერს აზანზარებს და ფანჯარი ხელში მიხტის.

ჩვენ გვერდით სახლი ცეცხლშია გახვეული, ამ სახლს მხოლოდ პატარა ეზო გვაშორებს. კვლავ საშინელი გრიალით სკდება მძიმე ყუმბარა. ეს უკვე აგერ, სულ ახლოსაა, ნამსხვრევები წივილითა და რაღაცნაირი კვნესით დაქრის ჰაერში. პატარა ცხელ ნატეხს დავწვდი და, რატომღაც, ჯიბეში ჩავიდე.

ნეტავ რატომ ვზივართ ამ არდგმულში, რომელსაც სახურავიც კი აღარ შერჩენია.

— თქვენო ბრწყინვალებავ, — ვეუბნები პოლკის უფროსს, — მე მგონი, სჯობს წინა ხაზზე გადავინაცვლოთ.

— ჩვენ აქ დავრჩებით, — ჯიუტად ამბობს პოლკის უფროსი.

სოფელს არტილერიის გრიგალისებური ცეცხლი ატყდება თავს. ირგვლივ კვნესა, ყვირილი, წივილ-კივილი და ღრჭიალი ისმის. ასე მგონია, ჯოჯოხეთში მიკრეს თავი.

ჯოჯოხეთი-მეთქი, ვამბობ, მაგრამ ნამდვილი ჯოჯოხეთი თურმე, ოცდახუთი წლის შემდეგ მელოდა, იმ დღეს ჩვენ ცხვირწინ გერმანელების ნახევარტონიანი ყუმბარა აფეთქდა.

ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ხელში ჩემოდანი მიჭირავს, სადგურ „ზალესიეში“ ვდგავარ, მალე მატარებელი ჩამოდგება და მე, მინსკსა და დონზე გავლით, პეტერბურგში დავბრუნდები. მატარებელი მოდის. მხოლოდ ერთი ვაგონი მოჩანს, სხვა თბილანებია. ყველანი მატარებლისკენ გარბიან.

უეცრად სროლა ატყდა. ხმაზე ვცნობ — საზენიტო ქვემეხები ისვრიან. მაღლა გერმანელების სამი თვითმფრინავი გამოჩნდა და სადგურის თავზე წრიულად იწყო ფრენა. ჯარისკაცები უწესრიგოდ ისვრიან შაშხანებს.

ორი ყუმბარა ყრუ ღმუილით მოწყდა თვითმფრინავს და იქვე, სადგურთან გასკდა.

ყველანი მინდვრებისკენ გავრბივართ, იქ ბოსტნებია, ჰოსპიტალი, რომლის სახურავზეც წითელი ჯვარი მოჩანს. გვერდით მაღალი მესერია. ზედ ამ მესერთან მიწაზე გავწექი.

თვითმფრინავებმა ერთი ხანობა კიდევ უტრიალეს სადგურს, ერთი ყუმბარაც ჩამოაგდეს და მერე ჰოსპიტლისკენ გამოფრინდნენ. სამი ყუმბარა თითქმის ერთდროულად გასკდა მესერთან და მიწა სვეტებად აზიდა მაღლა. ეს უკვე ღორობაა, სახურავზე უზარმაზარი ჯვარია, შეუძლებელია თვითმფრინავებიდან ვერ ხედავდნენ.

კიდევ სამი ყუმბარა ჩამოაგდეს. ვხედავდი, როგორ მოწყდნენ ისინი თვითმფრინავს, ერთხანს დაბლა ეშვებოდნენ, მერე ირგვლივ მხოლოდ ღმუილი და ზუზუნი ისმოდა.

ჩვენი საზენიტო ქვემეხები ისევ ისვრიან, შრაპნელების ნამსხვრევები ველად იფანტება. მესერთან მიკრუნჩხულს, თვალი ჭუჭრუტანისკენ გამექცა და გავშრი — მესერს იქით არტილერიის საწყობი დავინახე.

საარტილერიო ჭურვებით დაზვინული ასობით ყუთი ღია ცის ქვეშ ეყარა. ერთ-ერთ ყუთზე გუშაგი იჯდა და თავგადაგდებული შეშტერებოდა თვითმფრინავს.

ნელ-ნელა წამოვდექი, თვალით მოვჩხრიკე იქაურობა, რომ სადმე თავშესაფარი მეპოვა, მაგრამ ყველა გზა მოჭრილი მქონდა, საწყობს ერთი ყუმბარაც რომ დასცემოდა, ირგვლივ, რამდენიმე კილომეტრზე ყველაფერს ნაცარტუტად აქცევდა.

თვითმფრინავებმა კიდევ რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს, მერე პირი იბრუნეს და იქაურობას გაეცალნენ.

ნელი ნაბიჯით გავემართე მატარებლისკენ, გულში ვლოცავდი თვითმფრინავებს, ასე რომ უჭირდათ მიზანში სროლა, „ომი აბსურდული იქნება, როდესაც ტექნიკა აბსოლუტური სიზუსტით შეძლებს ნიშნის დაჭერას, — ვფიქრობდი გულში. — ასე რომ იყოს, წელს, სულ ცოტა, ორმოცჯერ მაინც გამამგზავრებდნენ საიქიოს“.

მიყვარს

ზარს ვრეკავ, კარს ნადია ნ. მიღებს. გაოცებისაგან შეჰყვირებს და კისერზე ხელებს მხვევს.

კარის ზღურბლთან მისი დედა და დები დგანან, მათ იქვე ვტოვებთ და ქუჩაში მივდივართ. იქ ხელს არავინ შეგვიშლის. გუშაგის ძეგლთან ძელსკამზე ვსხდებით.

ნადია ხელზე ხელს მიჭერს და ქვითინებს.

— რა ღვთის! წყრომაა, რატომ წახვედით ასე მოულოდნელად, რატომ არაფერი შემატყობინეთ? წელიწადია ალარაფერი მოგიწერიათ, მე ვთხოვდები,— მეუბნება ცრემლების ულაპვით.

— გიყვართ ის კაცი? — ვეკითხები. ჯერ არც კი ვიცი, ვისზეა ლაპარაკი.

— არა, არ მიყვარს, თქვენ მიყვარხართ, სხვას ვერავის შევიყვარებ, უარს ვეტყვი.

ნადია ისევ ტირის. მე ცრემლით დალტობილ სახეს ვუკოცნი.

— კი მაგრამ, როგორღა ვუთხრა უარი, — აწყვეტინებს თავის თავს ნადია. —ჩვენ ხომ ბეჭდები გავცვალეთ, ნიშნობაც გადავიხადეთ, სწორედ იმ დღეს მამული მაჩუქა სმოლენსკის გუბერნიაში.

— ნუ ეტყვით უარს, — ვეუბნები ნადიას. — მე ისევ ფრონტზე უნდა გავბრუნდე, რატომ უნდა მელოდოთ? იქნებ მომკლან კიდეც, ან დამჭრან.

— არ ვიცი, თავად გადავწყვეტ, ახლა ნურაფერს მეტყვით, პასუხს ზეგ მოგცემთ.

მეორე დღეს ნადიას ქუჩაში შევხვდი, თავის საქმროსთან მკლავგაყრილი მოსეირნობდა.

აქ უჩვეულო და განსაკუთრებული არაფერი იყო, ყველაფერი ბუნებრივად ხდებოდა, მაგრამ მაინც გულზე ცეცხლი წამეკიდა.

საღამოს ნადიას წერილი გავუგზავნე, სასწრაფოდ ფრონტზე გამიძახესმეთქი. ერთი დღის შემდეგ კი მართლაც გავემგზავრე პოზიციებზე.

ჩემს სიცოცხლეში ამაზე უაზრო და სულელური არაფერი ჩამიდენია, ნადიასადმი სიყვარული დღემდე ვერ ამომიგდია გულიდან.

ხვალ ომდი

სადარბაზოსთან ტატა ტ-ს ვხვდები. მზის სხივს ჩამოჰგავს, ისეთი ლამაზი და შუქმფინარი ჩანს, თვალის გასწორება მიჭირს.

ჩემს დანახვაზე იცინის, ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს ჩემს ფორმას, ვერცხლის ხმალს ხელით ეხება და ამბობს, ისე დავაჟკაცებულხარ, უხერხულიც კია, ვინმემ ერთად რომ დაგვინახოს, მაშინვე ჭორებს დაგვიყრიანო.

კიბეზე ავდივართ.

დეზების წკარუნით მივყვები შინ.

ტატა სარკესთან თმას ისწორებს, ვუახლოვდები, ვეხვევი, ტატა იცინის, უკვირს, რა გაბედული გამხდარხარო.

თვითონაც მეხვევა, სწორედ ისე, ერთხელ, აღდგომას, კიბეზე რომ მომეხვია.

ერთმანეთს ვკოცნით და ამასთან შედარებით, ყველაფერი არარაობად მიმაჩნია. ტატასთვისაც სულ ერთია, რა ხდება ჩვენ ირგვლივ.

მერე უცებ საათს დახედავს და შეშინებული წამოიყვირებს:

— ჩემი ქმრის მოსვლის დროა, ეს წუთია აქ გაჩნდება!

მართლაც კარი მაშინვე იღება და ზღურბლზე ქმარი გამოჩნდება.

ტატა ძლივს ასწრებს თმის შესწორებას.

ქმარი სავარძელში ეშვება და უხმოდ შემოგვცქერის.

ტატა არ დაბნეულა, არც შემკრთალა.

— ნიკოლაი, აბა ერთი შეხედე, როგორ დავაჟკაცებულა. პირდაპირ ფრონტიდან ჩამოვიდა.

ქმარი ნაძალადევი ღიმილით მიმზერს.

საუბარი არ ეწყობა. მე ცერემონიულად ვუკრავ თავს მასპინძლებს და გასასვლელისკენ მივდივარ. ტატა მაცილებს, კიბეზე გამავალ კარს აღებს და ჩურჩულით ამბობს:

— ხვალ დილით შემოიარე, ჩემი ქმარი თერთმეტი საათისათვის წავა.

მე უხმოდ ვუქნევ თავს.

ტატას ქმრის სახე და მისი ღიმილი მთელი დღე თან დამყვება, საშინელებად მეჩვენება ხვალ დილით ტატასთან მისვლა. ეს უკვე დანაშული იქნება.

დილით ტატას წერილს ვუგზავნი, ფრონტზე მივდივარ-მეთქი.

საღამოს მოსკოვის მატარებელში ვჯდები. მოსკოვიდან კი პირდაპირ ფრონტზე მივემგზავრები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურდი

მე ბატალიონის მეთაური ვარ, ჩემს ბატალიონში დისციპლინა, ცოტა არ იყოს, მოიკოჭლებს. ეს ამბავი მეტისმეტად მაწუხებს. ჩემი გრენადერები ღიმილით მესალმებიან. ისლა აკლიათ, თვალი ჩამიკრან. ალბათ თავად ვარ დამნაშავე, ჯარისკაცები გავიშინაურე, გავუბამ ხოლმე საუბარს. ჩემს მიწურთან დილიდან საღამომდე ირევა ხალხი. ზოგი წერილის დაწერას მთხოვს, სხვები რჩევისთვის მაკითხავენ.

რა რჩევაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ზურგს უკან „ღლაპს" მეძახიან, საკუთარი ყურით მაინც არ მქონდეს გაგონილი! საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მიწურიდან ნივთები მეკარგება. სადღაც გაქრა ჩიბუხი, პატარა სარკე, მპარავენ კანფეტებს, ქალალდს.

მეტი სიმკაცრე უნდა გამოვიჩინო, არ აწყენთ მუხრუჭის მოჭერა...

შესვენებაა, მიწურში საწოლზე მძინავს.

ძილში ვგრძნობ, ვიღაც ჩემ ზემოდან მაგიდისკენ აპარებს ხელს, შემკრთალი და თავზარდაცემული ვიღვიძებ.

ვიღაც ჯარისკაცი ელვის უმალ გარბის ქოხიდან.

ნაგანით ხელში უკან გამოვენთე, ჩემს სიცოცხლეში ასე გაბრაზებული არასოდეს ვყოფილვარ, სდექ-მეთქი, დაეუყვირე და, რომ არ გაჩერებულიყო, უეჭველად ტყვიას დავახლიდი.

მივუახლოვდი. ჯარისკაცი ჩემ წინ მუხლებზე დაეცა, ხელში მონიკელებული ყუთი ეჭირა. ამ ყუთში სამართებელს ვინახავდი ხოლმე.

— რატომ აიღე? — ვკითხე.

— წეკოსთვის მინდოდა, თქვენო კეთილშობილებავ, — წაიბუტბუტა უმწეოდ.

ვგრძნობდი, უნდა დამესაჯა, სასამართლოსთვის გადამეცა, მაგრამ საამისოდ ძალა არ შემწევდა. დავცქეროდი მის დაღრეჯილ სახეს, ზედ უბადრუკი ღიმილი რომ შეჰყინვოდა, და ვფიქრობდი, რა მინდოდა, რისთვის გამოვედევნე-მეთქი. მართალი გითხრათ, თავი შემძაგდა.

სამართებელი ამოვიღე, ყუთი ჯარისკაცს გავუწოდე და, საკუთარ თავზე გაბრაზებული, ჩქარი ნაბიჯით გავეშურე ქოხისკენ.

ოცი ივლისი

სანგარში ვზივარ და ცნობისმოყვარეობით გავყურებ გაპარტახებულ ნასოფლარს. სმორგონში ვდგავართ, ჩვენი პოლკის მარჯვენა ფრთა ზედ სოფლის ბოსტნების გასწვრივ არის განლაგებული.

სმორგონი ისტორიულად ცნობილი ადგილია, აქ გადაულოცა ნაპოლეონმა მთავარსარდლობა მიურატს, თავად კი გაიქცა.

თანდათანობით ჩამობნელდა და ჩემს მიწურს მივაშურე.

ივლისის დახუთული ღამეა. ფრენჩს ვიხდი და წერილების წერას ვიწყებ.

უკვე პირველი საათი წამომპარვია, დროა, დავწვე, მინდა შეკრიბოს ცუხმო, მაგრამ ზედ ამ დროს გარედან რაღაც ხმაური მესმის. ხმაური [illegible] ძლიერდება, ჯარისკაცები ჩექმების ბრაგუნით და ქვაბურა ქუდების ჩხაკა-ჩხუკით გარბიან.

მიწურიდან გავრბივარ და უეცრად ტყბილ, სულის შემხუთველ ტალღებში ვიძირები. „გაზი!" „ნიღბები..." — ვყვირი და ისევ მიწურში შევრბივარ. აქ, ლურსმანზე, აირწინაღი მიკიდია.

მიწურში ისე გიჟურად შევვარდი, რომ სანთელი ჩავაქრე, ხელის ფათურით მივაგენი აირწინაღს და სახეზე მოვირგე, მაგრამ ქვემო სარქველის გახსნა დამ-ვიწყნოდა და ლამის იყო სული შემეხუთა. როგორც იყო, გავხსენი სარქველი და გარეთ გამოვქანდი.

ირგვლივ ჯარისკაცები დარბოდნენ და სახეზე ნიღბებად დოლბანდს იხ-ვევდნენ.

ჯიბეები მოვიქექე, ასანთი მოვიძიე და სანგრების წინ დაყრილ ფიჩხს ცეცხლი წავუკიდე. ფიჩხი ადრევე მოვიმარაგეთ საიმისოდ, მტერს გაზით რომ მოეტანა ერიში.

ცეცხლმა ჩვენი პოზიციები გაანათა, კოცონებთან მიყრილი გრენადერები დავინახე და მეც იქვე მივწექი. თავს ცუდად ვგრძნობდი, თავბრუ მესხმოდა. ეტყობა, ყვირილის დროს ბლომად ჩავისუნთქე გაზი.

კოცონთან უკეთ შევიქენი, თითქმის გამოვჯობინდი, ცეცხლის ალი მო-ნაბლულ ჰაერს მაღლა მიაქანებდა და სუნთქვის საშუალება გვეძლეოდა.

ნიღაბი მოვიხსენი.

კოცონებთან ოთხი საათი დავყავით.

ირიჟრაჟა, ახლა უკვე შეიძლებოდა დანახვა, საით მოემართებოდა გაზი.

ეს არ იყო ერთიანად აკედლილი მასა. ასე, ათიოდე საჟენზე ბოლქვა-ბოლქვად გაშლილ ღრუბელს ზანტად მოერეკებოდა ჩვენკენ სუსტი ქარი.

შეიძლებოდა მარცხნივ ან მარჯვნივ გადაგენაცვლა და ამ საშინელ ბოლ-ქვებს თავს დააღწევდი.

შიში უკვე გაგვიქრა, აქა-იქ სიცილიც ისმოდა. გრენადერები ერთმანეთს ეხუმრებოდნენ და გაზის ბოლქვებისკენ უბიძგებდნენ. დურბინდით გავხედე ვერმანელებს, დავინახე, რა თანმიმდევრული სიზუსტით და გულგრილად უშ-ვებდნენ ბალონებიდან გაზს. საზიზღარი სანახაობა იყო. გავშმაგდი, ბრძანება გავეცი, ცეცხლი გაეხსნათ იმ არამზადებისათვის, ესროლათ ყველა ტყვიამ-ფრქვევიდან, თოფებიდან, თუმცაღა ვიცოდი, ვერაფერს დავაკლებდით, ჩვენ შორის ათას ხუთასი ნაბიჯი მაინც იქნებოდა.

გრენადერები უხალისოდ ისროდნენ, მსროლელებიც არც ისე ბევრი გვყავ-და. ჯარისკაცების უმრავლესობა საძრაობადაკარგული ეყარა მიწაზე, სხვები კენესოდნენ, ძალა არ შესწევათ წამოსადგომად, რომ კოცონს მოსცილე-ბოდნენ.

ამ დროს გერმანელთა სანგრებიდან საყვირის ხმა გაისმა. გარეწარი ბკვლელები თავისიანებს შეტევის დამთავრებას ამცნობდნენ.

ჯოხზე დაყრდნობილი ლაზარეთისკენ წავლასლასდი. გზატკეცილზე მივაბიჯებდი. ირგვლივ ყვითლად ჩაწოლილიყო ბალახი და ასობით მკვდარი ბეღურა ეგდო.

ფინალი

ჩვენი პოლკი ისევ ისვენებს. მარხილებით მივემგზავრებით მეორე თანრიგის აღალისკენ — იქ ვახშამი გველის.

აღალის უფროსი ძვირფას სტუმრებს ეგებება. სუფრა დამშვენებულია მწვადებით და ნაირ-ნაირი კერძებით.

სუფრასთან ჩემ გვერდით მოწყალების და კლავა ზის.

უკვე საკმაოდ შევზარხოშდით, მაგრამ სმას ბოლო არ უჩანს, ყოველ ჭიქას თან სადღეგრძელო მოსდევს.

ვგრძნობ, უნდა შევწყვიტო სმა. გაზით მოწამვლის შემდეგ გული ხშირად მახსენებს ხოლმე თავს.

ღვინოს თავი რომ ავარიდო, ქუჩაში გავდივარ, პარმაღზე ვჯდები, კლავაც უკან მომყვება და უკვირს, ამ ყინვაში უპალტოოდ რომ ვზივარ. ხელში ხელს მკიდებს და თავის ოთახში მივყავარ. იქ თბილა, ორივენი ლოგინზე ვსხდებით. მაგრამ სუფრაზე უკვე მოგვისაკლისეს, ოფიცრები სიცილ-ხუმრობით გვიკაკუნებენ ფანჯარაზე და ჩვენც იძულებული ვხდებით კვლავ მათთან დავბრუნდეთ.

დილით ისევ პოლკის ძველ ბინაზე ვბრუნდებით. ჩემს სალაშქრო საწოლზე ვწვები და მკვდარივით ვიძინებ.

ყუმბარების გრიალი და აფეთქების ხმა მაფხიზლებს. გერმანელების თვითმფრინავი სოფელს ბომბებს უშენს, მაგრამ ძველებური გააფთრებით კი არა, ოთხ-ხუთ ყუმბარას აგდებს და ისევ უკან მიფრინავს.

ქუჩაში გავვარდი და უეცრად ვიგრძენი, სუნთქვა მეკვრება, გული მიჩერდებოდა, მაჯაზე ხელი წავივლე, მაჯისცემა არ იგრძნობოდა.

წარმოუდგენელი გაჭირვებით წავლასლასდი ჩვენი საექიმო პუნქტისკენ, გზადაგზა ღობეს ვებღაუჭებოდი.

ექიმი თავს აქნევს და ყვირის:

— ქაფური!

ქაფურს მიშხაპუნებენ.

ვწევარ თითქმის მომაკვდავი, მკერდის მარცხენა მხარე გაშეშებული მაქვს, მაჯისცემა წუთში ორმოცამდე თუ აღწევს.

— თქვენთვის სმა არ შეიძლება, — მეუბნება ექიმი, — გულის მანკი გაქვთ.

თავს სიტყვას ვაძლევ, მეტად აღარასოდეს დავლევ-მეთქი.

თებერვალია, ლზობაშეპარულ თოვლში ჰოსპიტლის გზას გამიყენეს.

1917-1920

და როცა ცხენი გავაქროლე უკან, ლაშქრისკენ,
ახალმა ქარმა დაიქროლა ქვეყნად მაშინვე.

ვერ გამიგია

მარტის პირველი რიცხვებია. სადგურიდან შინ ეტლით მივდივარ. ზამთრის სასახლეს ჩავუარეთ, ყველგან წითელი დროშები ფრიალებს.

მაშასადამე, ახალი ცხოვრება დაიწყო, რუსეთი განახლების გზას დაადგა. მეც შემეცვალა გუნება-განწყობა, თითქმის სხვა ადამიანად ვიქეცი.

დაე. ყველაფერი წარსულს ჩაბარდეს — ჩემი განცდები, ნერვები, შავნალვლიანობა, დაავადებული გული...

აღტაცებულმა შევაღე მშობლიური სახლის კარი. იმავე დღეს, გრეიხაუნელ ყველა ჩემი ახლობელ-მეგობარი. ვნახე ნადია ვ. და მისი ქმარი, შევხვდი ტატა ტ-ს. უნივერსიტეტის ამხანაგებთანაც შევირბინე.

ირგვლივ სიხარული მეფობს, საზეიმო განწყობილება იგრძნობა, ნადიას გარდა, ყველანი კმაყოფილები არიან. საშინელებაა, რუსეთი დაიღუპება, რევოლუცია კარგს არაფერს გვიქადის, — მეუბნება იგი.

ორი დღის განმავლობაში თავს შესანიშნავად ვგრძნობდი, მესამე დღეს კი ისევ შემომიტია სევდამ. გული ისევ წყვეტილად მუშაობს, ჩემ ირგვლივ წყვდიადი მეფობს და ნაღველი სულს მიბუგავს.

ვერაფერი გამიგია, ვერ მივმხვდარვარ, საიდან დამატყვრა თავს ეს კაეშანი. ალბათ მუშაობაა საჭირო, ალბათ საჭიროა მთელი ჩემი ძალ-ღონე შევალიო ადამიანებს, ქვეყანას, ახალ ცხოვრებას.

მთავარ შტაბში დროებით წარმომადგენელთან მივდივარ და ვთხოვ, ისევ არმიაში გამგზავნონ.

მაგრამ სამხედრო სამსახურისთვის უკვე ალარ გამოვდგები, ამიტომ მთავარი ფოსტა-ტელეგრაფის კომენდანტად მნიშნავენ.

მოხდა ის, რასაც ყველაზე მეტად გავურბოდი და მძაგდა. კაბინეტში ვზივარ და რაღაც ქაღალდებზე ხელს ვაწერ. არა, ეს მეტისმეტია.

ისევ შტაბს მივაკითხე და ვითხოვე, სადმე პროვინციაში გამგზავნეთ-მეთქი. არხანგელსკში რაზმის ადიუტანტობა შემომთავაზეს.

დავთანხმდი.

ერთი კვირის შემდეგ მომიწევს გამგზავრება.

ხუთი საათის ჩაი

სამართლის მცოდნე პ-მ მომაკითხა. ერთი არისტოკრატიული ოჯახის დიასახლისს, კნეინა ვ-ს სტუმრად უნდა ვეწვიოთ.

პ. მთხოვს, ორდენები არ დაგავიწყდესო.

— კნეინა ვ. ძალზე ნასიამოვნები დარჩება, — მეუბნება იგი. — მისი ქმარი ჯერ ისევ ფრონტზეა. გვარდიელთა დივიზიას მეთაურობს.

პ-ს ჩემი ორდენები გადმოვულაგე. ერთი ორდენი ჩემს კავკასიურ ხმალს ამშვენებს, ორი პორტსიგარზე მაქვს მიმოქლონებული, მეოთხე ორდენი ყელზე ჩამოსაკიდია და როგორღაც მეუხერხულება მისი ტარება. მეხუთე ორდენი ხელზე არ მიმიღია, ჯერ მხოლოდ ბრძანებით გამიფორმეს.

პ. ორდენს ფრენჩის საყელოს ქვეშ მიმაგრებს და დაჟინებით მთხოვს, არ მოიხსნათო.

თავს უხერხულად ვგრძნობ, მაგრამ პ-ს მაინც მივყვები. ადრე არა მქონია შემთხვევა არისტოკრატთა ოჯახებში მევლო. თებერვლის რევოლუციამ დალეწა წოდებრივი ზღუდეები და მეც ახლა ძალაუნებურად მათ შორის ვტრიალებ.

მომცრო სასტუმრო ოთახში გვარდიის ორი ოფიცერი, რამდენიმე სამარ-

თალმცოდნე და ერთი ლიცეისტი დაგვიხვდა. კნეინას წვრილნაკვთებიანი სახე აქვს, ტანმორჩილი, შეუხედავი ქალია, მაგრამ თავი ძალიან უბრალოდ უჭირავს, ამიტომ უხერხულობას არა ვგრძნობ.

მსახურმა უხმაუროდ შემოაგორა ოთახში მინის პატარა პორტლებიანი მაგიდა. კნეინა ჩაის დასხმას შეუდგა.

საუბარი სამეფო კარის ირგვლივ ტრიალებს. ლაპარაკობენ ნიკოლოზზე, ხელმწიფის ტახტიდან გადადგომაზე, მისი ოჯახის ამა თუ იმ წევრის ჯანმრთელობაზე, დედოფლის სულიერ განწყობილებაზე, სასახლის დიდებულთა ცხოვრებაზე.

სავარძელში კუნძივით ვზივარ, მკერდზე ორდენი მიბრჭყვიალებს. ამ საკითხების ირგვლივ სათქმელი არაფერი მაქვს, სევდიანად შევცქერი ჩემს ნაცნობ სამართალმცოდნეს, გულმოდგინედ თვალს რომ მარიდებს.

ჩაის სმა რომ მოთავდა, დიდ სასტუმრო ოთახში გადავინაცვლეთ, მაგრამ საუბრის თემა არც ამჯერად შეცვლილა.

მერე რომელიღაც სამართალმცოდნემ წამოიწყო მაშინდელი მოდური სიმღერა: „ქუჩაში ვეება ნიანგი დადიოდა...“ ჰანგი ყველამ უმალ აიტაცა.

სიცილ-ხარხარში სიმღერა ხუთჯერ თუ ექვსჯერ გაიმეორეს.

ბოლოს, როცა მიადგნენ სიტყვებს „...კბილებით ეჭირა საბნის ნაგლეჯი“, ერთ-ერთი სამართალმცოდნე პირით ვიღაცის მოსასხამს დასწვდა და აიტაცა.

ყველანი ახარხარდნენ, კნეინაც შემწყნარებლურად იცინოდა.

შვიდ საათზე ქუჩაში გამოვედით, პ-მ მკითხა, როგორ მოგეწონა საღამო. მე მხრები ავიჩეჩე.

ჩემი საცოლე ვავა

არხანგელსკში ძალზე უგუნებოდ ჩავედი, გული ნაღველით მქონდა სავსე. მიუხედავად ამისა, ან იქნებ სულაც ამის გამო, ჩემი დაოჯახება გადაწყვიტეს.

საცოლეც მყისვე შემირჩიეს — ძალზე მდიდარი თევზით მოვაჭრის ქალიშვილი ვავა.

ამ ქალიშვილს პირადად არ ვიცნობდი, არც ის მიცნობდა, ერთმანეთისთვის თვალიც კი არსად მოგვეკრა.

მაგრამ არხანგელსკში ამგვარი მაჭანკლობა მიღებული იყო. უსაქმურობით გაბეზრებული აქაური ქალები ამისთანობით თავს ირთობდნენ.

საცოლეს ვიღაცის მდიდრული სახლის ზამთრის ბაღში უნდა შევხვედროდი. ეს შეხვედრა საზეიმოდ უნდა მომხდარიყო.

ძალიან ნორჩი და მეტისმეტად წყნარი ქალიშვილის პირისპირ აღმოვჩნდი.

ყველანი გაიკრიბნენ და მარტო დაგვტოვეს, რომ ერთმანეთთან მოგველაპარაკა. მე, საერთოდ, ყოველთვის სიტყვაძუნწი გახლდით, მაგრამ იმ საღამოს მუნჯივით ჩავიგდე ენა. არ ვიცოდი, რაზე მელაპარაკა, ლამის ძალით ვექაჩებოდი პირიდან სიტყვებს. ეს ამაზრზენი სიჩუმე როგორმე რომ დამერღვია.

ქალიშვილი შიშით მომჩერებოდა, თავადაც ვერ ეპოვა სათქმელი. ხსნას არსაიდან ველოდი, ყველანი სადღაც ოთახებში გაიკრიფნენ და ზამთრის ბაღის კარიც მჭიდროდ მიიხურეს.

გამოსავალი არსით იყო და ლექსების კითხვას შევუდექი. ლექსებს ვკით-

ხულობდი ვ. ინბერის მოდურად ქცეული წიგნიდან „ნაღვლიანი ღვინო“. მერე ბლოკი და მაიაკოვსკიც გავიხსენე.

ვავა ყურადღებით მისმენდა, სიტყვაც კი არ დასცდენია.

სასტუმრო ოთახში ხალხი რომ შეგროვდა, მე თითქმის მხიარული ვიყავი.

— ლექსები თუ მოგეწონათ? — ვკითხე ვავას.

— ლექსები არ მიყვარს, — ხმამაღლა მითხრა მან.

— მაშ მთელი საათი რატომ მიგდებდით ყურს? — წამოვიყვირე. ჩემ-ფეის კი ჩავიბუტბუტე, აი, სულელი-მეთქი.

— ყური რომ არ დამეგდო, უზრდელობა იქნებოდა, — მიპასუხა ვავამ.

ითქმის ჯარისკაცურად შევტრიალდი ქუსლებზე და გაცეცხლებული ვავშორდი ქალიშვილს.

ნატის ხელთათმანები

სამშაბათობით და შაბათობით დ-სთან ვიკრიბებით. დ. ახალგაზრდა ქალია, საზღვაო ოფიცრის ქვრივი, გონებამახვილი და ქეიფიანი. მის სახლში ყოველთვის მხიარულებაა.

დ. მე არ მწყალობს. მიჩმანი ტ. გულკეთილი, ბეჭებგანიერი ოფიცერი ბოსწონს.

ჩვენ პოკერს ვთამაშობთ. დ. მიჩმანს ეკეკლუცება, თითქოს შემთხვევით მოუხდაო, ხელს ხელზე შეახებს და დიდხანს ჩასცქერის ხოლმე თვალებში. ეტყობთ, მიჩმანს ხშირად მოუწევს ამ სახლში ყოფნა.

თუმცა დ. მეც გულთბილად მეპყრობა, მაგრამ უპირატესობას მაინც ტ-ს ანიჭებს. მეტისმეტად უნდილი, არავაქაცური და ნაღვლიანი ვგონივარ. მელანქოლია ჩემი იდეალი არ გახლავთო, ამბობს.

დ-სგან ღამით მოვდივართ. ქუჩაში მიჩმანს დავცინით, იგი იდუმალად ღიმება.

ღილით ჩემს ხელთათმანებს ვეღარ ვპოულობ. ნატის ინგლისური ხელთათმანებია და თუ დაკარგე, მეწყინება. მაგრამ იქნებ დ-სთან დამრჩა?

ტელეფონით ვურეკავ დ-ს. პასუხად ხანგრძლივი კისკისი ისმის.

— ოჰ, თქვენი ხელთათმანებია? რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მიჩმანს დარჩა, — მეუბნება სიცილით.

დანიშნულ დროს დ-სთან გავემგზავრე. აღარ გამომიშვა, ჩაი მის ბუდუარში დავლიეთ.

ჩაის სმას რომ მოვრჩით, დ-მ თავი მკერდზე დამანდო.

სამი საათის შემდეგ წასასვლელად გავემზადე.

დ-მ დერეფანში ჩემი ნატის ხელთათმანები მომაწოდა.

— აი, თქვენი ხელთათმანები, ცუღლუტო, — მითხრა ღიმილით, — მე მგონია, ცოტა გულუბრყვილო ხერხია ქალთან ხელთათმანები დატოვოთ, რომ მერე ამ საბაბით მასთან მიბრუნდეთ.

მე რაღაც საბოდიშო სიტყვებს ვბუტბუტებ, დ. დატუქსვით მიქნევს თითს და სიცილით მეუბნება:

— როგორც ხედავთ, მე ჯეროვნად დავაფასე თქვენი ეს ლამაზი ფანდი. ცხიანი მამაკაცი ყოფილხართ, თქვენგან ასეთ რამეს არ მოველოდი.

ქალბატონო, გარწმუნებთ, ხელთათმანები შემთხვევით დამრჩა. არავითარი სხვა განზრახვა არ მქონია... —ვუთხარი და მყისვე ვინანე.

დ-ს სახე გაუყვითლდა, თითქმის ჩემ თვალწინ დაბერდა.

— აბა, ესე იგი... — კბილებში გამოსცრა მან. — რაკი ასეა, ძალიან ვნანობ, ოჰ, ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ-ს თავის სალამოებზე მეტად აღარ მივუწვევივარ.

მის ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი.

გზებს პარიზში მივყავართ

ჩემ პირდაპირ, სავარძელში ფრანგი პოლკოვნიკი ზის და ოდნავ გაღიმებული მეუბნება:

— ხვალ, თორმეტ საათზე შეგიძლიათ პასპორტი აიღოთ. ათი დღის შემდეგ უკვე პარიზში იქნებით... მადმუაზელ რ-ს უნდა უმადლოდეთ, მან გიპროტექციათ.

— მადმუაზელ რ-სთვის მე ეს არ მითხოვია, — ვუთხარი პასუხად. თვალმოჭუტული შემომაშტერდა.

— აჰ, მაშ ასეა საქმე! — მითხრა მან. — მაშინ ბოდიშს ვიხდი, არ ვიცოდი, რომ ეს თქვენს სურვილს ეწინააღმდეგებოდა.

— მე არსადაც არ ვაპირებ გამგზავრებას, პოლკოვნიკო. აქ რაღაც გაუგებრობაა, — ვუთხარი.

პოლკოვნიკმა მხრები აიჩეჩა.

— მეგობარო, დაუფიქრდით, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში... პირველ ყოვლისა, პროლეტარული რევოლუცია სიკვდილის საფრთხეს გვიქმნის. აქ, არხანგელსკში, ჩვენ ამას ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობთ... იფიქრეთ... ხვალ, თორმეტი საათისთვის გელოდებით.

— კეთილი, მოვიფიქრებ, — ვუპასუხე, თუმცა საფიქრალი არაფერი მქონდა. მე ეჭვები არ მაწვალებს, არ შემიძლია და არც მინდა რუსეთიდან სადმე წავიდე. პარიზში არაფერი მესაქმება.

სალამოს მადმუაზელ რ-მ. მომაკითხა. რ. ფრანგი ქალია, ძალიან ლამაზიათ, ვერ იტყვით, მაგრამ, სამაგიეროდ, გულმხიარულია, სიცილი უყვარს. რაღაცრაღაცები მეჩოთირება მისი, თუნდაც ის, რომ ჩემი საფერფლიდან ყოველთვის იღებს პაპიროსის ნამწვს და ჩანთაში ინახავს, თქვენს სახსოვრად მექნებაო, ამბობს. ვერაფრით გადავაჩვიე ამ სისულელეს, ალბათ პროვინციელია, თუმცა, მიმტკიცებს, პარიზში დავიბადეო.

რ-მ მკითხა, პოლკოვნიკი თუ ნახეთო. როცა მოვუყევი, რაც მოხდა, ცოტა არ იყოს, გაღიზიანება დაეტყო და გაბრაზებით მითხრა:

— სისულელეა. თქვენები ყველანი მიდიან, სულ ერთია, აქ ვერ დარჩებით, ყველა გზას პარიზში მივყავართ.

აღტაცებული მელაპარაკება პარიზზე და იმაზეც, თუ რა ზღაპრულად ვიცხოვრებთ იქ.

მინდა ლრუბლებიდან ჩამოვიყვანო და ვეუბნები:

— თუ ასეა, რაღად წამოხვედით პარიზიდან? აქ გუვერნანტი ხართ, მასწავლებელო აქ კი ალბათ მკერავობით უნდა გერჩინათ თავი.

— მე აქ მილიონერს ჩამოვყევი, იცით, ეს ერთგვარად საინტერესოცაა... მაგრამ პარიზში მკერავი კი არა, მეძავი ვიქნებოდი, — მეუბნება პასუხად. ორივენი ვიცინით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალაყაფის კართან

ერთი სულის მოთქმით ავრბივარ მესამე სართულზე, გულს ბაგაბუგი გაქვს.

ნადიას კართან ზარს ვრეკავ. კარს არავინ მიღებს. თავდაბირველად ნელა ვკაკუნებ, მერე კი კარს ფეხს ვუბრაგუნებ.

მეზობლის ბინის კარი იღება.

— თქვენ ვ-სთან მობრძანდით? — მეკითხება მოხუცი ქალი. — ყველანი წავიდნენ.

— სად წავიდნენ?

— არ ვიცი, მეეზოვეს ჰკითხეთ.

ალაყაფის კართან მეეზოვის წინ დავერჭე. მიცნო, გამიღიმა.

— ვ-ს ოჯახიდან ყველა წავიდა, — მითხრა თითქმის სიხარულით.

— როდის?

— გასულ თვეში. თებერვალში.

— ხომ არ იცით, სად წავიდნენ?

— როგორ თუ სად, თეთრებთან წავიდოდნენ... მათი მამა ხომ გენერალია, ცხადია, ვერ დარჩებოდნენ.

ალბათ ჩემს სახეზე დაბნეულობა და აღელვება ამოიკითხა და თანაგრძნობით მითხრა:

— თქვენ რომელი მოგწონდათ, ნადენკა თუ კატენკა?

— ნადენკა.

— მეტისმეტად სათნო ქალბატონია. მამა გენერალი ჰყავს, მეუღლე — მემამულე... რა თქმა უნდა, წავიდოდა, ბავშვიც თან წაიყვანა.

— განა ნადიას შვილი ჰყავდა?

— მეც ეგ არ გითხარით? წაიყვანა ახლადშობილი და წავიდა.

მე შინ მივდივარ. მთელი ქვეყანა შავად დაბინდული მეჩვენება.

საღამოზე

დაბალ ტაბურეტზე ვზივარ, მუხლზე ვიღაცის შელანძღული ჩექმა მიდევს და ახლად დადებულ ლანჩას ჭლიბით პირს ვუსწორებ.

მეწაღე გახლავართ. მომწონს ეს ხელობა, მძაგს ინტელიგენტური სამუშაო, ტვინის ჭყლეტა, მელანქოლიას და კაეშანს რომ იწვევს.

მორჩა, წარსულს აღარასოდეს დავუბრუნდები, იმითაც კმაყოფილი ვარ, რაცა მაქვს.

ჩემ პირდაპირ პატარა, ბინძურ მაგიდას სახელოსნოს პატრონი — მეწაღე ალექსეი ალექსეევიჩი უზის. მეწაღე ჩასუქებული მამაკაცია. ცხვირზე მონიკელული სათვალე ადგას. გვერდით მისი ძმისწული ანდრიუშა მისჯდომია. ორივენი გულდაგულ მუშაობენ.

მოზარდი ანდრიუშა ყოჩაღად ურახუნებს ჩაქუჩს ლანჩას

მათ უკან, ხის სავარძელში, გაზეთით ხელში მეწაღის შვილი ზის. ეს უქნარა უკვე ოცი წლისაა, კონსერვატორიაში შესვლას აპირებს, ვიოლინოს კლასში, და ამ საბაბით მუშაობაზე უარს აცხადებს.

უცბად ანდრიუშა იცინის და ყვება, როგორ გადმოვარდა ამ ზაფხულს ვიღაც მდგმური მეორე სართულის ფანჯრიდან. მდგმურს დენატურატი დაულევია, ფანჯრის რაფაზე გაწოლილა, ძილში ზმორება დაუწყია და ბაღში მოულია ზღარბანი. არ მომკვდარა, მაგრამ დამტვრეულა.

მესამე კვირაა, ყოველ ცისმარე დღე ვისმენთ ამ ამბავს. მიუხედავად ამისა, ყველანი იცინიან. მეც ვიცინი. — ანდრიუშას ნაამბობი რატომღაც, სასაცილოდ მეჩვენება.

ჩვენს სიცილზე ზოგჯერ სამზარეულოდან დიასახლისი შემოდის, კართან დგება და ჩვენთან ერთად იცინის, თან წინსაფრით თვალებს და ტუჩებს იწმენდს.

ანდრიუშა ამბის მოყოლას რომ დააპირებს, მეწაღე ბრაზობს და წყრება, მაგრამ, მერე და მერე ამბავი იტაცებს და გულიანად ხარხარებს. ამ დროს მუცელი ხელით უჭირავს, კუჭის წყლული აწუხებს. სიცილის დროს წყლული კიდევ უფრო მეტად ახსენებს თავს, ამიტომაცაა, ძმისწულს იმ ამბის მოყოლას რომ უკრძალავს.

მაგრამ მეწაღის შვილი ან ძმისწული განგებ ჩამოაგდებენ ხოლმე ამაზე სიტყვას. თავდაპირველად სათქმელს ნართაულად ამბობენ, იტყვიან, მაგალითად, სმაო, ხან დენატურატს ახსენებენ, ხან მძინარე ადამიანს და სათქმელს მაინც დააბოლოებენ.

ამჯერად ძმისწულმა მეეზოვის ამბით დაიწყო, რაღაცას შეუშინებიათ, თქვა. მეწაღის შვილმაც რაღაც-რაღაცები წაუმატა, თავისებურად შეამკო მეეზოვე. ბიჭი სიცილით იჭაჭება და თან ჰყვება, როგორ მოძუძგა მეეზოვემ, მდგმურის ხელი მოულოდნელად ბეჭსა და ზურგზე რომ დაეცა.

მეწაღე ხარხარებს და თან ტაბურეტზე აქეთ-იქით ირწევა, დროდადრო კი ოხრავს და მუცელზე ხელებს იჭერს.

ბოლოს სიცილს ველარ უძლებს და სამზარეულოსკენ გარბის.

— რატომ აცინებთ, ხომ ხედავთ, ცუდად ხდება, — ვამბობ მე.

— სისულელეა, მამას გული ერევა ხოლმე, მერე აზიდებს და თავს ბევრად უკეთ ვრძნობს, — სიტყვას მიჭრის მეწაღის შვილი.

მეწაღე შემოდის, თან სახელოთი პირს იწმენდს.

ჩვენ უხმოდ განვაგრძობთ მუშაობას.

წარსულის ლანდები

მემამულის ყოფილი საბატონო მანკოვო სმოლენსკის გუბერნიაშია. ეს მიწები ახლა საბჭოთა მეურნეობას უჭირავს.

აღმასკომთან არსებულ კურსებზე რიგიანად ჩავაბარე გამოცდები მეფრინველეობაში და აქ მეფრინველეობის ფერმის გამგედ გამომგზავნეს.

წიგნით ხელში დავეხეტები ფრინველებს შორის. ბევრი ჯიში ჩემთვის სრულიად უცნობია, აქამდე მათი წარმომადგენლები მხოლოდ შემწყარ-მოხრაკული თუ მინახავს.

ორი კვირის განმავლობაში ფრინველებთან ვათენ-ვალამებდი, ვსწავლობდი მათ ზნესა და ბუნებას.

მესამე კვირის თავზე თავს გასეირნების უფლება მივეცი და მეფრინველობის შემოგარენი მოვიარე. მივყვებოდი სოფლის შუკებს, გზად ზოგჯერ გლეხებს ვხვდებოდი ხოლმე. მათი შეხვედრა მუდამ მაოცებდა. ჩემგან ასე-თხუთმეტოდე ნაბიჯზე გლეხი ქუდს მოიშვლეპდა და მდაბლად მესალმებოდა.

მე ზრდილობიანად ვუხდიდი კეპს და ნირწამხდარი მივდიოდი ჩემი გზით.

თავდაპირველად მეგონა, შემთხვევით მოხდა ასე-მეთქი, მაგრამ მერე და მერე დავრწმუნდი, რომ ყოველი შეხვედრისას ერთი და იგივე მეორდებოდა.

ალბათ ამ ხალხს ვიღაც დიდი ბობოლა ვგონივარ-მეთქი, ვფიქრობდი გუნებაში.

— ბები, რა მოხდა, ასე რატომ მესალმებით? — ვკითხე ერთ დედაბერს, როცა მან ლამის იყო ბირი მიწასთან გააერთა.

დედაბერი ხელზე მემთხვია და უხმოდ გამშორდა.

მერე ერთი გლეხი შემომეყარა, ხნოვანი კაცი იყო, ქალაშნები და ხამის დაკონკილი სამოსი ეცვა. ამანაც ათიოდე ნაბიჯზე მომიხადა ქუდი და მოწიწებით მომესალმა, როცა ვკითხე, ასე რატომ იქცევი-მეთქი, ერთხელ კიდევ დამიკრა თავი და ხელზე კოცნა დამიპირა, მაგრამ ხელი გამოვტაცე.

— რით დავიმსახურე შენი წყრომა, ბატონო? — მკითხა მან და ჩემთვის ანაზდად ყველაფერი ცხადი შეიქნა. გლეხების მოსალმებაში, მათ სიტყვებში ძველი ყოფის გადმონაშთი დავინახე, ყურში ჩამესმა მემამულის მრისხანე შეყვირება და ხმადაბალი, მონური პასუხი. ის ცხოვრება ხომ სრულიად უცხო იყო ჩემთვის.

— მამილო, — ვუთხარი გლეხს. — უკვე მთელი წელიწადია ძალაუფლება მუშებისა და გლეხების ხელშია, შენ კი აგერ ხელზე საკოცნელად მეპოტინები.

— ჩვენამდე ჯერ არაფერს მოუღწევია, — მომიგო გლეხმა, — მართალია, ბატონებმა მიატოვეს თავისი მამული და ქოხებს შეეკედლნენ, მაგრამ, ვინ იცის, საქმე როგორ შეტრიალდეს...

გლეხთან ერთად მივიარ-მოვიარე სოფელი, მერე მის ქოხშიც შევყევი. ყოველ ფეხის ნაბიჯზე წარსულის ლანდები მახსენებდნენ თავს.

ᲛᲝᲮᲣᲪᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ

გლეხის ქოხში ვარ, მაგიდაზე სულთმობრძავი მოხუცი წევს. მესამე დღეა სიკვდილს ებრძვის, მაგრამ სულ-ხორცის გაყრას საშველი არ დაადგა.

დღეს მომაკვდავს ხელში სანთელი დააჭერინეს, სანთელი დავარდა და ჩაქრა, მაგრამ ისევ აანთეს.

მომაკვდავს თავთით ნათესავები უდგანან და თვალმოუცილებლად შესცქერიან, ირგვლივ წარმოუდგენელი სილატაკეა — ჭუჭყი, ძონძები, უბადრუკობა.

მოხუცი ფანჯრისკენ ფეხებმიქცეული წევს, სახე ჩაშავებული და დაძაბული აქვს, ძლივშესამჩნევად სუნთქავს, ზოგჯერ მგონია, უკვე მიიცვალა-მეთქი.

მომაკვდავის ცოლისკენ დავიხარე და ხმადაბლა ვუთხარი:

— წავალ, ექიმს მოვიყვან, არ ვარგა ასე, სამი დღეა წვალობს კაცი.

დედაბერმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არ შეიძლება მომაკვდავის შეწუხება, — მითხრა პასუხად.

მოხუცმა თვალი გაახილა, ქოხში მყოფთ აღმვრეული მზერა შეავლო, ტუჩები ააცმაცუნა და რაღაც დაიჩურჩულა.

ერთი ახალგაზრდა შავგვრემანი ქალი მოხუცისკენ გადაიხარა და უხმოდ მიაყურადა.

— რაო? — იკითხა დედაბერმა.

— ძუძუს თხოულობს, — მიუგო ქალმა, სწრაფად შეიხსნა კოფთის ღილები და მოხუცის ხელი შიშველ მკერდზე დაიდო.

დავინახე, როგორ გაუნათდა მოხუცს სახე, ტუჩებზე რაღაც ღიმილის მსგავსმა გადაურბინა. სუნთქვა უფრო თანაბარი და მშვიდი გაუხდა.

ყველანი უხმოდ, გაშეშებულნი იდგნენ.

უეცრად მოხუცი შეტოკდა, ხელი უმწეოდ ჩამოუვარდა, სახე მკაცრი და ძალზე მშვიდი გაუხდა. სუნთქვა დაეკარგა. ჩემ წინაშე უკვე მიცვალებული იდო.

მოხუცმა ქალმა მაშინვე მოთქმა დაიწყო, ყველა იქ მყოფი ავყვა. მე ქოხიდან გავედი.

ჩვენ პრეფერანსს ვთამაშობთ

მაგიდაზე კოხტა ვარდისფერთალფაქიანი ნავთის ლამპაა.

ჩვენ პრეფერანსს ვთამაშობთ.

ჩემი პარტნიორები: ჩასუქებული ქალი ოლგა პავლოვნა, კბილებჩაცვენილი მოხუცი და მისი ახალგაზრდა ქალიშვილი — ვერონიკა ყოფილი მემამულეები არიან, არ მოისურვეს თავიანთი მამულებიდან შორს გადახვეწილიყვნენ, გლეხისგან ეს ქოხი იქირავეს და ახლა აქ კერძო პირებივით ცხოვრობენ.

უკვე ოცი საათია მაგიდას ვუსხედვართ. ილაჯი წამერთვა, დიდი სიამოვნებით მივატოვებდი აქაურობას, მაგრამ მეუბერხულება, წაგების ვარ, საშინლად არ მწყალობს ბედი, სამაგიეროდ ოლგა პავლოვნას ჩინებულად აქვს საქმე, ზედიზედ იგებს ხელს და ყოველი მოგების შემდეგ უფრო და უფრო მხიარულდება.

ამ ჩამორიგებაზეც ქალალდი რომ გახსნა, ხელისგული აღტაცებით დაკრა მაგიდას და თქვა:

— ბედნიერი ქალი ვარ, ყველაფერში იღბალი მაქვს... აი ნახავთ, ორ-სამ თვეში ჩემს მამულს უკანვე დავიბრუნებ.

— პრეფერანსი სხვაა, პატივცემულო ოლგა პავლოვნა, პოლიტიკა და რუსეთის რევოლუცია კი სხვა ამბავია, — ხითხითით გაეპასუხა კბილებჩაცვენილი მოხუცი.

— სულ ერთია, — დაიჟინა ოლგა პავლოვნამ, —ეს ცხოვრებაც ბანქოს თამაშია, ერთს უმართლებს, მეორეს — არა. მე მუდამ მიმართლებდა. ყველაფერში ბედი მწყალობდა, ბანქოშიც, ცხოვრებაშიც... აი, ნახავთ, სულ მალე დავიბრუნებ ჩემს „ზატიშიეს", გლეხებს მივროზგ-მოვროზგავ და ყველაფერი ძველებურად აეწყობა.

— ასეთი ამბების შემდეგ მარტო გარეზგვას აკმარებთ? — გაიოცა მოხუცმა და სიცილი შეწყვიტა.

ოლგა პავლოვნა წამით შეჩერდა და თქვა:

— არც ისეთი უტვინო ვარ, ჩემი გლეხები ციხეში ჩავყარო, სულაც არ ვაპირებ უმუშახელოდ დარჩენას, დაიხსომეთ ეს...

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო ოლგა პავლოვნა, — გაცხარდა მოხუცი, — არაფრით არ გეთანხმებით და ყოველთვის წინააღმდეგი ვიქნები მაგ თქვენი პოლიტიკისა. ორს ჩამოვახრჩობ, უკვე ვიცი, ვისაც ... ციხის კატორღაში ვუკრავ თავს, დანარჩენებს გავროზგავ და ჯარიმას დავადებ, მთელი წელიწადი მარტოკა ჩემთვის ვამუშავებ.

ქალალდი ისეთი სიძლიერით დავახეთქე, რომ მაგიდაზე გაიფანტა და იატაკზეც დაცვივდა.

— ოჰ, — ქედმაღლურად აღმოხდა ოლგა პავლოვნას.

— არამზადებო, ყაჩაღებო! — ვამბობდი ხმადაბლა, — სულ თქვენი წყალობითაა ამდენი უბედურება, ასეთი სიბნელე და უმეცრება რომ ტრიალებს ამ სოფლებში.

ჯიბიდან ფული ამოვხვეტე და მაგიდაზე დავყარე. თან ცხროიანივით ვცახცახებდი.

წინკარში გავვარდი, ხელის ცეცებით მოვძებნე ქურქი, — ძლივს გავატე მკლავები სახელოებში.

ოთახში სიჩუმე იყო. ჩურჩულიც კი არ ისმოდა. ერთხანს ვიდექი, მეგონა, ვერონიკა გამოვიდოდა, მაგრამ არ გამოსულა.

ეზოში გავედი, ცხენი ალაგეზე გადავიყვანე და მარხილზე გავწექი.

ცხენმა მარდად გაქუსლა. გზა კარგად იცოდა.

თავზემოთ შავი ცა გადმომხობოდა. ირგვლივ მხოლოდ თოვლით დაფენილი მინდვრები ჩანდა და ამაზრზენი სიჩუმე იდგა.

რატომ ჩამოვედი აქ, რა მესაქმებოდა ამ ფრინველებსა და ტყრებში? ხვალვე წავალ, გავეცლები აქაურობას.

პოლკის შტაბში

მაგიდასთან ვზივარ. ბრძანება მაქვს გადასაწერი. ეს ბრძანება მე, პოლკის მეთაურმა და კომისარმა ამ დილით შევადგინეთ.

მე სოფლის ღარიბი მოსახლეობისაგან შემდგარი პირველი სანიმუშო პოლკის ადიუტანტი ვარ.

ჩემ წინ ჩრდილო-დასავლეთი რუსეთის რუკა დევს.

ფრონტის ხაზი წითელი ფანქრით არის მონიშნული, იგი ფინეთის ყურის სანაპიროდან ნარვა-იამბურგის გავლით მოემართება.

ჩვენი პოლკის შტაბი იამბურგშია.

ბრძანებას სუფთა ფურცელზე ვიწერ. ასოები ლამაზად და გარკვევით გამომყავს.

მეთაური და კომისარი პოზიციებზე არიან. მე გულის მანკი მაქვს, ცხენზე ჯდომა ამიკრძალეს, ამიტომაც მათთან ერთად იშვიათად მივდივარ.

უცებ ფანჯარაზე დააკაკუნეს. ვილაც უცნობი იყო, სამოქალაქო ტანსაცმელზე ჭუჭყიანი პალტო მოეცვა. კაცმა მოაკაკუნა და მერე თავის დაკვრით მომესალმა.

გუშაგს ვუბრძანე, გამოატარე-მეთქი, გუშაგმა უწადინოდ შეასრულა ჩემი ბრძანება.

— რა გნებავთ? — ვკითხე მოსულს.

კაცმა ქუდი მოიხადა და კართან აიწურა.

ჩემ წინაშე იდგა ძალზე გასაცოდავებული, უბადრუკად ჩაცმული, რიღაცით გაოგნებული, დანაღვლიანებული. რომ გამემხნევებინა, საფარველთან მივიყვანე, ხელი ჩამოვართვი და ვთხოვე დამჯდარიყო.

კაცი ყოყმანით დაჯდა.

— წითელ არმიას უკან დახევამ რომ მოუწიოს, ჩვენც თან წამოგყვეთ თუ აქვე დავრჩეთ? — მკითხა.

— თქვენ ვინა ხართ?

— მე „კრუტიერუჩეიდან“ მოვედი, იქ კეთროვანთა კოლონიაა.

ვიგრძენი, როგორ ჩამივარდა გული. მალულად შევაწმინდე ხელი ჩემს დაბამბულ შარვალს.

— არ ვიცი, — ვუთხარი, —ამ საკითხის გადაწყვეტას მარტოკა ვერ შევძლებ, გარდა ამისა, ჩვენს უკან დახევაზე არაფერი მსმენია, არა მგონია, ფრონტის ხაზი იამბურგს გასცდეს.

კაცმა თავი დამიკრა და გავიდა, ფანჯრიდან დავინახე , გუშაგს თავის წყლულებს რომ უჩვენებდა.

ლაზარეთში წავედი და ხელები კარბოლმჟავას ხსნარით გადავიბანე.

კეთრი არ შემყრია, ალბათ ასეა თუ ისე, ამ ავადმყოფობისა ყველას გადაეარბებული შიში გვაქვს.

აური

დილით შტაბიდან გამოვედი, მინდოდა ცოტა ხნით სუფთა ჰაერზე გამევლო. უეცრად გრძნობა დავკარგე. გუშაგმა და ტელეფონისტმა მომასულიერეს. რატომღაც ყურებს მისრესდნენ და დამხრჩვალივით ხელებით მავარჯიშებდნენ. გონს მაინც მოვედი.

— ახლავე უნდა წახვიდეთ დასასვენებლად, ორკვირიან შვებულებას მოგცემთ, — მითხრა პოლკის მეთაურმა.

მე პეტროგრადში გავემგზავრე.

მაგრამ უკეთესობა არც აქ დამტყობია.

რჩევისთვის სამხედრო ჰოსპიტალს მივაშურე.

გული გამისინჯეს და არმიაში სამსახურისთვის უვარგისად მიმიჩნიეს. ვიდრე კომისიაზე გამატარებდნენ, იქვე, ჰოსპიტალში დამტოვეს.

და აჰა, მეორე კვირაა პალატაში ვწევარ.

გარდა იმისა, რომ კარგად არა ვარ, შიმშილიც მაწუხებს.

ათას ცხრაას ცხრამეტი წელია, ჰოსპიტალში ავადმყოფებს ერთ მათლაფა სუპს და ორას გრამ პურს აძლევენ. ოცდასამი წლის კაცისთვის ეს ძალიან ცოტაა.

ზოგჯერ დედაჩემი შებოლილ ნაფოტა თევზს მომიტანს ხოლმე. მერიდება თევზის დატოვება, შინ ბევრნი არიან და საჭმელი თავადაც არაფერი აქვთ.

ჩემ პირდაპირ, საწოლზე ახალგაზრდა კაცი ზის, ქვედა საცვლის ამარა. ეს-ეს არის, სოფლიდან ორი დიდი პური ჩამოუტანეს. ახლა ჯიბის დანით პა-

ტარ-პატარა ნაჭრებად ჭრის პურს, ზედ კარაქს აცხებს და მადიანად ილუკმება. მგონი, ჭამის დამთავრებას არც აპირებს.

— სვიდეროვ, ერთი ნაჭერი პური მომეცი, — თხოვს ვილაც ავადმყოფი.

— დამაცადეთ, შევჭამ და მერე მოგცემთ, — პასუხობს სვიდეროვი.

როდის-როდის დანაყრდა, პური დაჭრა და ავადმყოფებს ჩამოურიგა, ოღონდ არ წამომდგარა, თავის საწოლიდანვე ესროდა.

— ჰა, ინტელიგენტო, შენც გინდა პური? — შემეკითხა ბოლოს.

— მომეცი, მხოლოდ ნუ გადმომიგდებ, მაგიდაზე დამიდე.

სვიდეროვს წყენა დაეტყო, ერჩივნა პური გადმოეგდო, ეს უფრო სასეირო იყო.

ერთხანს საწოლზე უხმოდ იჯდა და ქვეშ-ქვეშ შემომყურებდა, მერე წამოდგა და პურის ნაჭერი მაგიდაზე დამიდო, თან დაიმანჭა და თავი თეატრალურად დამიკრა. პალატაში სიცილი გაისმა.

ძალიან მინდოდა ეს მისი „მოწყალება" იატაკზე მომესროლა, მაგრამ თავი შევიკავე და კედლისკენ გადავბრუნდი.

ღამით ლოგინში შევჭამე ის პური.

ძალზე მწარე ფიქრები მახვევია თავს.

ᲧᲕᲔᲚᲘ ᲑᲠᲘ

ყოველ დილით მივდივარ მესერთან, აქ „კრასნაია გაზეტაა" გაკრული.

გაზეთს აქვს „საფოსტო ყუთი", სადაც ავტორებისთვის პასუხები იბეჭდება.

ერთი მომცრო მოთხრობა დავწერე სოფელზე, რედაქციას გავუგზავნე და ახლა არცთუ აღელვების გარეშე ველი პასუხს.

მოთხრობა ფულის ხათრით არ დამიწერია, ამჯერად სასაზღვრო ნაწილის ტელეგრაფისტად ვმუშაობ და საკმაოდ უზრუნველყოფილიც ვარ. ისე, უბრალოდ მოვკიდე კალამს ხელი, საჭიროდ მივიჩნიე სოფელზე რამე დამეწერა. მოთხრობა მ. მ. ჩირიკოვის სახელით გავგზავნე. წვიმა ცრის, ცივა, გაზეთთან ვდგავარ და „საფოსტო ყუთს" თვალებით ვჭამ.

აჰა, ჩემი პასუხიც. „მ. მ. ჩირიკოვს! — ჩვენ ახლა ჭვავის პური გვჭირდება და არა ყველი ბრი".

გაოცებული ვდგავარ, თვალს არ ვუჯერი. იქნებ ვერ გაიგეს, რისი თქმაც მსურდა? ვიხსენებ ჩემი მოთხრობის შინაარსს.

არა, თითქოს სწორად არის დაწერილი, კარგად, გულისყურით, ოდნავ მანერული კია, ცოტა შელამაზებულიც, ლათინური ციტატებით... ღმერთო ჩემო, ვისთვის დავწერე ასე? განა ამგვარად წერა შეიძლება?

ძველი რუსეთი აღარ არსებობს... განა მე ახალი სამყაროს, ახალი ხალხის, ახალი სიტყვის პირისპირ არ ვდგავარ?

სტერლნიაში სამორიგეოდ უნდა წავსულიყავი და სადგურისკენ გავსწიე. მთელი საათი ვმგზავრობდი მატარებლით.

ეშმაკმა მაცდუნა, ისევ კალამს მოვკიდე ხელი. ეს უკანასკნელია, აღარ გავიმეორებ. ცოტა იმის ბრალიცაა, სამუშაოზე უმოძრაოდ რომ ვზივარ. საქმე იმდენი არაფერია და ფიქრისთვის ძალიან ბევრი დრო მრჩება. არა, სამსახური უნდა გამოვიცვალო.

ჩვენ მას დავიჭერთ

წკვარამი ღამეა. სადღაც უშენ ადგილზე ვდგავარ.

პალტოს ჯიბეში ნაგანი მიდევს.

გვერდით საშეგრო განყოფილების თანამშრომელი მიდგას და ჩურჩულით მეუბნება:

— ფანჯარასთან ისე დადექით, ჩემი ნასროლი ტყვიაც მოგხვდეთ. თუ ვინიცობაა ის ფანჯრიდან გადმოხტა, ესროლეთ... ფეხებში მიაყოლეთ ტყვია.

სულთქმაშეკრული მიუახლოვდი ფანჯარას, შიგნიდან შუქი გამოდიოდა. ზურგით კედელს ავეკარი, თვალები დავბრიცე და ფარდის ზემოდან ოთახში შევიხედე.

სამზარეულოს მაგიდა და ნავთის ლამპა დავინახე.

მამაკაცი და ვიღაც ქალი მაგიდას უსხედან, ბანქოს თამაშობენ.

მამაკაცი ჭუჭყიან, დახეულ ქალალდს არიგებს, მერე ქალალდს ჩამოდის და ზედ ხელისგულს უტყაპუნებს, ორივენი იცინიან.

ნ. და საშეგროს ორი თანამშრომელი კარს ერთდროულად ეკვეთნენ.

შეცდნენ, კარი რაღაც სხვა ხერხით უნდა გაეღოთ.

ერთი ხელის დაკვრით მაინც ვერ შეამტვრიეს.

ბანდიტმა ლამპა ჩააქრო.

ზედ ამ დროს კარმაც გაიჯახუნა და გაიღო.

მე ნაგანი ფანჯარას ვუსწორე.

ირგვლივ სიჩუმე იდგა.

ქოხში ლამპა ავანთეთ. ტაბურეტზე ფერმიხდილი, აკანკალებული ქალი დავხვდა. ბანდიტი არსად ჩანდა, მეორე ფანჯრიდან გადამხტარიყო, ის ფანჯარა ფიცრებით იყო აჭედილი.

ვათვალიერებთ ფანჯარას, ფიცრები იმგვარად აეჭედებინათ, რომ ხელის მსუბუქი გაკვრითაც კი ამძვრალიყო.

— არაფერია, —ამბობს ნ. — დავიჭერთ, სად წაგვივა.

ალიონზე ოთხი კილომეტრის ფეხით მოვიმწყვდიეთ. სროლა აგვიტეხა და მერე თავი მოიკლა.

თოთხმეტი იანვარი

პირიდან ცივი ორთქლი ამომდის. ჩემი საწერი მაგიდის ნამტვრევები ღუმელთან ყრია. მაგრამ ოთახი ძნელად თბება.

დედაჩემი საწოლში წევს. აბოდებს. ექიმმა თქვა, „ისპანკა“ აქვსო. ისპანკა საშინელი გრიპია. პირდაპირ მუსრს ავლებს ყველას.

ვუახლოვდები საწოლს. დედა ორ საბანშია შეფუთული და ორი პალტო ახურავს.

ხელს შუბლზე ვადებ, მხურვალება თითებს მწვავს.

ჭრაქი ქრება, პატრუქს ვასწორებ და დედის გვერდით საწოლზე ვჯდები.

დიდხანს ვზივარ და მშობლის გატანჯულ სახეს დავცქერი.

ირგვლივ სიჩუმეა, დებს სძინავთ, უკვე ღამის ორი საათია.

„არა, არა, ნუ იზამთ ამას“, — ბუტბუტებს დედა.

ტუჩებთან თბილი წყალი მივუტანე, რამდენიმე ყლუპი მოსვა, წამით თვალები გაახილა, მისკენ დავიხარე, არა, ისევ უგონოდაა.

ცოტა ხნის შემდეგ სახე ნელ-ნელა დაუმშვიდდა, სუნთქვა გაუთანაბრდა. იქნებ კრიზისი იყო... ეგება გამოკეთდეს...

მხრებზე ჩამოცურებული საბანი გავუსწორე.

სახეზე თითქოს რაღაც ჩრდილმა გადაურბინა, რამის [illegible] ეს მზარავს. ნელა ავწიე ხელი და დედას შუბლზე დავადე. დედა უკვე გაციებულიყო.

რატომღაც ცრემლს ვერ ვპოულობ, გაშეშებული ვზივარ საწოლზე, მერე ვდგები, დებს ვაღვიძებ და ჩემს ოთახში გავდივარ.

ალარაფერი მინდა

ხის კაკებზე შემდგარ ხისავე მარხილზე შეულებავი კუბო დგას.

მარხილში ვებმები და სასაფლაოსკენ მივდივარ.

უკან ჩემი დები და უმცროსი ძმა მომყვებიან.

აბა, სმოლენსკის სასაფლაოც. შესასვლელთან სულ ასეთი მარხილები დგას, ჩვეულებრივი ეტლები და ბალდახინიანი ცხენები არსად ჩანს, ალბათ ცხენებიც ისევე შეიჭამა, როგორც მათი საკვები — მგრია.

კუბო საყდარში შეასვენეს. მე ქუჩაში დავრჩი, ტაძრის კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი მათხოვრების გვერდით, თავადაც გამათხოვრებული. წინ ალარაფერს ველი, არც არაფერი მინდა, ალარაფერი მსურს. მხოლოდ დედის სიბრალული მითუთქავს გულს.

კუბო ისევ გამოასვენეს საყდრიდან. მარხილს შევები და შორეული ხეივნისკენ გავათრიე, იქ მამაჩემის სამარეა. მამა თოთხმეტი წლის წინათ გარდაიცვალა. მისი სამარის გვერდით მიწაა გაჭრილი.

კუბოს სახურავი ავხადე და დედის უსიცოცხლო ხელს დავეკონე.

ახალი გზა

ურიკაზე პატარა საწერი მაგიდა, ორი სავარძელი, ნოხი და ეტაჟერი მოვათავსე.

ჩემს ახალ ბინაში უნდა გადავიტანო.

ჩემი ცხოვრება შეიცვალა.

არ შემეძლო დავრჩენილიყავი სახლში, სადაც სიკვდილმა კარი შემოაჭრიალა.

— დედათქვენი გარდაიცვალა, ჩემთან გადმოდით, — შემომთავაზა ქალმა, რომელსაც ვუყვარდი.

ამ ქალთან ერთად მმაჩში წავედი, ხელი მოვაწერეთ, ახლა იგი ჩემი ცოლია.

ესეიგი [illegible]ის ბინაში მიმაქვს, პეტროგრადის მხარეს.

წინ შორი გზაა, გაჭირვებით მივათრევ ჩემს ურიკას.

ტუჩკოვის ხიდთან პატარა ალმართია.

უკვე ძალა არ შემწევს ამ ალმართს თავი გავართვა, გულს საშინელი ბაგა-

ბუგი გააქვს. ნაღვლიანად შევცქერი გამვლელ-გამომვლელთ, იქნებ გამოჩნდეს ვინმე მადლიანი, ურიკა ალმართში ამაგორებინოს, ხელი წამიკრას.

არა, გამვლელები გულგრილად შემომცქერიან და გვერდს მიუცევენ.

ჯანდაბას მაგითი თავი, თვითონვე უნდა ავაგორო ურიკა, მაგრამ გული რომ მღალატობს?

რა უაზრობაა, სავარძლებისა და მაგიდის გადატანისას კაცს ხიდზე ამოძვრეს სული.

გასავათებულმა, როგორც იქნა, შევაგორე ურიკა ხიდზე.

ახლა ალარაფერი მიჭირს, უფრო ადვილად ვიგლი.

1920—1926

ბედნიერება მეგობრად რომ მყავდეს,
ნამდვილად,
არ ჩავიდენდი იმას,
რასაც ახლა ვჩადი.

ხელოვნების ხახლი*

I.

დერეფანში მიმოვდივარ და ლიტერატორებს ვათვალიერებ. აი, მოაბიჯებს ა. მ. რემიზოვი, ტანმორჩილი და მაიმუნივით მახინჯი, გვერდით მდივანი მოჰყვება, მდივანს პიჯაკის ქვემოდან ნაჭრის კუდი მოუჩანს. ეს სიმბოლო გახლავთ, რემიზოვი „მაიმუნთა ნებაყოფლობითი პალატის" წინამძღვარია. მოშორებით ე. ი. ზამიატინი დგას, სახე ოდნავ უბზინავს, ილიმის, ხელში გრძელი, კოხტა მუნდშტუკი და გრძელივე პაპიროსი უჭირავს.

ინგლისურად ელაპარაკება ვილაცას.

მოდის შკლოვსკიც, თავზე ალმოსავლური არახჩინი დაუხურავს, გონიერი, მაგრამ უტიფარი სახის პატრონია. ვილაცას გაცხარებული ეკამათება, საკუთარი თავისა და მოწინააღმდეგის გარდა, მისთვის ახლა ალარაფერი არსებობს.

მე ზამიატინს მივესალმე, იგი შემობრუნდა და მითხრა:

— ბლოკი აქაა, მოვიდა, თქვენ ხომ მისი ნახვა გინდოდათ.

ზამიატინთან ერთად ნახევრად ბნელ ოთახში შევდივარ.

ფანჯარასთან მამაკაცი დავინახე. მზით გარუჯული სახე, მაღალი შუბლი, და ღია ფერის ტალღოვანი, თითქმის ხუჭუჭა თმა აქვს.

უმოძრაოდ დგას და ნევსკიზე ჩირაღდნებს გასცქერის.

ჩვენ შესვლაზე არც შემობრუნებულა.

— ალექსანდრ ალექსანდროვიჩ, — შეეხმიანა ზამიატინი.

ბლოკი ნელ-ნელა მობრუნდა და შემოგვაცქერდა.

არასოდეს მინახავს ასეთი გამოცარიელებული, უსიცოცხლო თვალები.

---

* ეს სახლი მოიკისა და ნევსკის კუთხეში დგას. ლიტერატურული საღამოს დაწყების მოლოდინში დერეფანში დავაბიჯებ. სამძებროს გამომძიებელი ვარ, მაგრამ ეს არაფერი, უკვე ორი კრიტიკული წერილი და ოთხი მოთხრობა მაქვს გამოქვეყნებული, ყველამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა ადამიანს ასეთი კაეშნიანი გულგრილი სახე ჰქონოდა.

ბლოკმა დუნე, უსიცოცხლო ხელი გამომიწოდა.

თავი უხერხულად ვიგრძენი, რომ შევაწუხე იმ დროს, თავდავიწყებას რომ მისცემოდა, და რაღაც საბოდიშო სიტყვების დუდუნს მოვყევ.

— საღამოზე გამოსვლას აპირებთ? — ოდნავ მოგუდული ხმით მკითხა ბლოკმა.

— არა, ლიტერატორებს მინდა მოვუსმინო, — მივუგე.

ერთხელ კიდევ მოვებოდიშე შეწუხებისთვის და აჩქარებული ნაბიჯით დერეფანში გავედი.

ზამიატინი ბლოკთან დარჩა.

ისევ მოვყევი დერეფანში ბოლთის ცემას. ამოუხსნელი მღელვარებისაგან სული მეხუთებოდა. ახლა კი ნათელია ჩემთვის, საით მიმაქანებს ბედი. ვეჭვრეტ ჩემი ცხოვრების ფინალს — კაეშანს. ეს კაეშანი უეჭველად დამახრჩობს.

„რა ხნის იქნება ბლოკი?“ — ვკითხე ვილაცას.

„ასე, ორმოციოდე წლის“, — მესმის პასუხად.

ჯერ ორმოცისა არ შესრულებულა, ბაირონი კი ოცდაათისა იყო, როდესაც თქვა:

ნუთუ ესაა — მოყირჭება — ღამით მაღვიძებს...
დღისით კი დამსდევს მსტოვარივით ყოველ ნაბიჯზე.
ბნელია ჩემს სულში... აწ მშვენება აღარ მიზიდავს,
აღარც შენ მხიბლავ მიხვრა-მოხვრით და კისკისითა.

ბაირონს არა აქვს კითხვის ნიშანი სიტყვების შემდეგ: („ნუთუ ესაა მოყირჭება...“ ეს ნიშანი მე დავუსვი გონებაში და ვფიქრობ, ნუთუ მართლაც ეს არის მოყირჭება?)

ლიტერატურული საღამო იწყება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შილერი — მოზმავალ თაობათა სულიერი მოძღვარი

გერმანულიდან თარგმნა ნატო თხილავამ

წერილი — კარლ ლეონარდ რაინჰოლდისადმი,
გოსეკი, 1791 წლის 5 ოქტომბერი

ვინდოდა შილერის შესახებ გვესაუბრა. რა შეიძლებოდა ჩემთვის უფრო საინტერესო ყოფილიყო, თქვენთვის კი მეტი სიამოვნების მომგვრელი! ამ ბარათის წაკითხვა, ვფიქრობ, ისეთ განწყობილებას შეგიქმნით, თითქოს შილერს ეს-ესაა შეხვდითო. პოეტს აღდგენილი ჯანმრთელობის საამო შეგრძნებამ, ცხადია, სიმხნევე და სიხალისე შესძინა. თქვენ კვლავ ხშირად ისილავთ ერთმანეთს, გულისხმადებსაც გაუზიარებთ და გაფანტავთ უღიმღამო სალამოთა სევდიან განწყობილებას. მე კი, აგრერიგად რომ მიველტვი ამას, აღარ ძალმიძს ვიყო მაგ სურათის მშვიდი და უტყვი მოწმე. ოჰ, რომ იცოდეთ, შილერის სახელის ხსენება მოზღვავებულ გრძნობათა რა ტყვეობაში მაქცევს! რაოდენ ურიცხვი ფერი იყრის თავს შილერის აღმაფრთოვანებელ სახებასთან, გრძნეულ სულთა დარად ერთმანეთს რომ ეცილებიან პოეტის დამატყვევებელი ნატის სრულქმნაში.

მე, ფანტაზიის ამ ჯადოსნურ მორევში დაყვინთულს, მოსვენებას მიკარგავს გამანადგურებელი აზრი, რომ შილერი — ჩვეულებრივ მოკვდავებზე ათი თავით მაღლა მდგომი ადამიანი, სიკვდილის პირას იყო მისული. ეს უხორცოთა ტოლი კაცი, მაგიურ ძალებს რომ მეუფებდა, შესაძლოა თავად გამხდარიყო ამ ძალთა მსხვერპლი. შილერს, როგორც ჩანს, ღვთაებამ განსაკუთრებული სიყვარულით შთაბერა სული. მის ოდენ ზნეობრივ სიდიადესა და მშვენიერებასაც შეეძლო განადგურებისაგან ეხსნა ღვთაებრივი სამყარო, რომლის ბინადარიც თავად იყო.

შილერი ის კაცი გახლდათ, შინაარსს თავისი ერთადერთი ფორმა რომ მოარგო, უაღრესი ბუნებრიობით რომ განმსჭვალა ამდენი სახე-ხასიათი, ზოგადი და ინდივიდუალური შტრიხები ასე ოსტატურად რომ შეაზავა, უსაზღვრო სიკეთე სიდიადეს რომ შეუხამა, სულის ამ უკიდეგანო სიმდიდრეში ესოდენი უბრალოება რომ ჩააქსოვა, ურთულეს სისტემას უამრავი სახესხვაობა რომ დაუქვემდებარა; მრავალფეროვან ხასიათებს ასეთი ღრმა აზრი რომ მიანიჭა; ლიტერატურულ შაბლონს ასე ოსტატურად რომ განარიდა თავისი ქმნილებები; მეტაფიზიკური წარმოსახვის ამგვარი უნარი ამდენ ტრანსცენდენტულ მეთოდთან რომ შეაჯერა; განუმეორებელი სიდიადე ესოდენ ღირსებითაც რომ შეამკო, უღიდესი გულისხმიერება სიყვარულის ღრმა გრძნობით რომ გამსჭვალა და ამხელა მიმზიდველობა სერიოზულობით რომ წარმოგვისახა. შილერი ბუნებით ხელოვანი, ხელოვნებაში კი ბუნებრივი და ბოლოს მრავალი თვალსაზრისის მქონე და მაინც მხოლოდ ერთის მიმდევარი, ღმერთებთან საუბრისას იმ ხაიდუმლოებას ეზიარა, საცა სილამაზე და ჭეშმარიტება ერთი ეალღმერთია, გონება კი ის მარტოეული ნაცელი სხივი, მიწიერი ცხოვრება რომ სთავაზობს ადამიანს. იგია ღვთისაგან მომდინარე ერთადერთი ჭეშმარიტი ლოგოსი, რომელიც ბოლოს კვლავ ღვთაებას უბრუნდება. როდესაც

ვამბობ, ეს აზრი მოსვენებას მიკარგავს-მეთქი, ერთდროულად მიშიე ალმიტანს, საკუთარი არსებობისა და ბედის გამგებელი ღვთაებრივი ძალისადმი რწმენაც შეუფლება; სწორედ ამ დროს მთელი კაცობრიობის მიმართ სიყვარულითა და თანაგრძნობით ვიმსჭვალები.

შილერი ამჯერად დაუძვრა სიკვდილის კლანჭებს. იმედია, კვლავ დიდხანს იცოცხლებს. გულს სიამაყის გრძნობით მივსებს იმის შეგნება, რომ ეს ზებუნებრივი ადამიანი გერმანელია, ამასთან ჩემს ნაცნობთა წრეს მიეკუთვნება, და უფრო მეტიც — ჩემი მეგობარია. ვერავითარი ძალა ვერ წაშლის მოგონებებს შილერთან შეხვედრებზე. ჩემს მეხსიერებაში განსაკუთრებით ცხოველად აღიბეჭდა სიყრმისდროინდელ ოცნებათა მეუფესთან შეხვედრის პირველი დღე; მაშინ ჩემი შეურყვნელი სული მუზათა და ღვთაებრივ ძალთა დამატყვევებელი გალენის ქვეშ მოექცა. როცა მე, ფანტაზიის ლაბირინთებში ჩემს იდეალთან ხელიხელჩაკიდებული, შილერის წინაშე წარვდექი, ვიგრძენი, რომ იდეალური წარმოსახვები გაფერმკრთალდნენ. პოეტის მზერამ ჯერ თითქოსდა გამაცამტვერა, შემდეგ კი პირიქით — შემაგულიანა. შეხვედრის პირველსავე წამებში უსაზღვრო ნდობით განვიმსჭვალე მისდამი. საგულისხმოა, რომ შემდგომში წამითაც კი არ გამივლია გულში — ნაადრევი იყო-მეთქი ჩემი ეს აღფრთოვანება. მომავალში პოეტთან საუბრის შემთხვევაც რომ აღარ მომცემოდა, მასთან ასეთი მეგობრობა რომ არ დამემყარებინა და თავად პოეტსაც გულგრილობა რომ გამოემჟღავნებინა, ჩემი გული მაინც უსაზღვრო სითბოთი გამსჭვალული დარჩებოდა მისდამი. შილერში უზენაესი გენია შევიცანი, დროისა და სივრცის გარეშე რომ იმეუფებს. როგორ მეწადა პოეტს მოვწონებოდი, რამენაირად მიმექცია მისი სულ მცირედი ყურადღება მაინც, მისთვის მემსახურა — აი, ის ყოველდღიური საზრუნავი, შემოქმედებითი იმპულსი თუ უკანასკნელი აზრი, რასაც ძილის წინ ჩემი ცნობიერება ეთხოვებოდა.

შილერის ჯანმრთელობის უზრუნველყოფას უმძიმეს მსხვერპლის გაღებაც რომ მოეთხოვა, არც ერთი წამით არ დავიხევდი უკან, თვალცრემლიანი სატრფოს ამოვიგლეჯდი გულიდან, უარს ვიტყოდი იმ ოცნებათა ასრულებაზე, წლების მანძილზე რომ ველოლიავებოდი. ჩემი აზრით, სიცოცხლე არ წარმოადგენს უდიდეს მსხვერპლს, რისი გაღებაც ენთუზიაზმსა და სიყვარულს ძალი სალოცავი ხატისათვის ხელეწიფებათ, რამეთუ მაშინ ვერ შევიგრძნობდით ამ დანაკარგის მნიშვნელობას.

შილერის თვითეული სიტყვა, იმ ეინით აღმანთებს ხოლმე საგმირო საქმეთათვის, რომლის ჩაკვლა არც გაჭირვებასა და არც სხვა რაიმე დაბრკოლებას ძალუძს. ალბათ, სწორედ ეს გახლავთ ის სიკეთე და სილამაზე, რასთანაც შილერის მხატვრულმა სიტყვამ ბაზიარა და სიკვდილამდე გამსჭვალავს ჩემს სულს.

თუკი ოდესმე ღირებულ საფარძოებს შევქმნი, თუკი ჩემი ნახელავი რაღაცით მაინც მიუახლოვდება ლიტერატურის მაღალზნეობრივ ტრადიციასა და მის ულამაზეს თავწყაროს, ეს არსებითად შილერის დამსახურება იქნება, რომელმაც მხატვრული სახის სრულყოფის გზები მიმასწავლა. შილერმა ჩემი სული მშვენიერებისა და სიკეთის ნაზი და კამკამა საღებავებით შეფერა, რაც ჩემმა ადამიანურმა ალღომ მერე და მერე კიდევ უფრო გამოკვეთა თხრობის მკვეთრი და წახნაგოვანი ქსოვილის შესაქმნელად, რათა ჩემს ბედნიერებასა და სულიერ სიმშვიდეს საბოლოოდ დაეანებინა მარადიულობის სასუფეველში. შილერი ცათა საბრძანისიდან მიწვდის დახმარების ხელს სულის ასამაღლებლად.

პოეტის შემოქმედებითი ძალა, ასე შესანიშნავად რომ მეტყველებს მის ინტელექტუალურ ღირსებებსა და გამბედაობაზე, ოსტატურადაა გამჟღავნებული მწერლის შემოქმედებაში. მათში პოეტმა შესანიშნავად დაგვიხატა თავისივე ინტელექტუალური სახე. არა მგონია, რომელიმე სხვა მხატვარმა ეს უკეთ შეძლოს, მრავალფერადი პალიტრის დახმარებითაც კი. შილერის გული ხალხისთვის ძგერდა. სწორედ ალალი გულის ადამიანებს ეძღვნება მისი ამაღლებული სიყვარული, რის პასუხადაც პოეტი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულსავე ითხოვს.

აი, ეს გახლავთ ჩვეულებრივი მიწიერი ყოფისათვის უცხო ხილი, მწიფე ნაყოფი ჭეშმარიტი ჰუმანიზმისა. ესაა მოკვდავთა უმაღლესი ფილოსოფიის მრწამსი, იმ ნაღვლიან დღეთა ანარეკლი, როცა საბერძნეთში სიბრძნის ყვავილმა ფურცლობა დაასრულა.

ბედმა შილერს ღვთიური ძალა არგუნა. ყოველივეს, რასაც იგი თავის ჯადოსნურ კვერთხს შეახებს, კაცთა აზრიანი ყოფის უძვირფასეს საუნჯედ, სიცოცხლისადმი მაღალზნეობრივი ლტოლვის კუთვნილებად და სამუმკვიდრეო წილად გარდასახავს.

შილერის ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობის ზემოქმედებით ისევ და ისევ განვითარდებიან ფილოლოგიური მეცნიერებანი და მათი წარმომადგენელნი წამით მაინც შესძლებენ თვალი უსწორონ პოეტის დიდებულ შემოქმედებით სახეს, რომელსაც ჯერჯერობით თანამედროვე

ხელოვანის მახვილი თვალიც კი ჯეროვნად ვერ აფასებს.

შილერს, ვინც მე ჭეშმარიტებას მაზიარა, მომავალ თაობათა სულიერ მოძღვრად, ახალ საუკუნეთა აღმზრდელად აღიარებენ; შთამომავლობა მას იმ დიდ ადამიანთა შორის მოიხსენიებს, რომელთა სახელებიც ამ ბარაბაში ჩვენი დროების სურათის შეუფერავი ჩვენებისას უყურადღებოდ დავტოვე; რომელი კეთილშობილი ადამიანი არ დამეთანხმება, თუკი მე იმ დიდ ადამიანთა შორის ფრენკლინ ლინეს, ჰალერს, ნიუტონს, ბეკონს, ლუთერს, ჰუტენს, გალილეის, ლესინგს, ლაიბნიცს, სპინოზას, მიქელანჯელოს, დალამბერს, მაკიაველს მოვიხსენიებ!

ხშირად, როცა ოცნების ჟამს წინარე ეპოქის ხატი ცოცხლდება, მაშინ სამყაროს დიდსულოვანი შვილნი — ვოლტერი და ჰელვეციუსი მოდას აყოლოლ ფილოსოფოსებსა და ჩვენი დროის სხვა სახელმოხვეჭილ რაინდებს ჩრდილავენ, ისე, ვით ციხკრის ვარსკვლავის კეთილშობილი, მარტივი და თვალსაჩინო ციალი ნთქავს სოლმე ხელოვნურ შუქს. როცა ჩვენი დროის უზნეობა, ყველა ნაკლოვანება და საოცრება თავბედს გვაწყევლინებს და ბიბლიური იობის დარად გაჩენის საათს ვეძებთ, ისევ ამ ეპოქისადმი მიპყრობილი შნერა გვანუგეშებს და ბაგეებზე უკმაყოფილების გამომხატველი გრიმასი მადლიერების ჩურჩულით, სიყვარულითა და აღტაცების მგზნებარებით წარიხოცება. და ეს იმიტომ, რომ ჩვენ შილერის თანამედროვენი ვართ.

დილა-საღამოს პოეტის ჯანმრთელობაზე ვლოცულობ. მსურს კიდევ დიდხანს ვტკბებოდე შილერის ცხოვრების ბრწყინვალე პერიოდით, ისევ და ისევ ვიყო მისი პიროვნებით აღფრთოვანებული, მარად ველტკოდე მის იდეალებს.

ოჰ, ღმერთო, თუ შემისმენ, უკეთესს რას ვინატრებ! და ამისთვის რომ ვიღწვი, სწორედ ეს მანიჭებს უდიდეს სიხარულს.

□

მალკოლმ კაული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი უ. ფოლკნერის თხზულებათა ანთოლოგიისათვის

ინგლისურიდან თარგმნა **მაკა მაისურაძემ**

I

ომი რომ დამთავრდა — პირველი მსოფლიო ომი — უ. ფოლკნერი მისისიპის შტატის ქალაქ ოქსფორდს დაუბრუნდა. 1918 წელს სამეფო ავიაციაში მსახურობდა. ახლა კი შინ იყო, მაგრამ არც იყო შინ, რადგან ომისშემდგომდროინდელ მსოფლიოს ვერ ეგუებოდა. ის უვარგის ლექსებსა და მრავალ, თუმცა ამაღელვებელსა და შთამბეჭდავ, მაგრამ უმწიფარ მოთხრობას წერდა. თან თავის მდგომარეობასა და სამხრეთის დაცემაზე ფიქრობდა. ნელ-ნელა ეს ფიქრები ერთ ჭარგად შეიკრა, რომელიც მომავალ რომანებს დაედო საფუძვლად. ამ ჭარგამ გააერთიანა ოქსფორდში დანახულ-შემჩნეული ბავშვობისდროინდელი მოგონებები, შემორჩენილ ოჯახურ ტრადიციათა ნაგლეჯები (ფოლკნერების გვარს «Falkner» — როგორც ამას ზინაა წერდნენ ახლანდელი «Faulkner»-ის ნაცვლად, — თავისი შტატის ისტორიაში გარკვეული როლი შეუსრულებია), საგვარეულო სახლის სამზარეულოში ზანგი მზარეული ქალისა და მისი გულლია მეუღლის საუბრები, შაბათ ნამუადღევს ოქსფორდელთა თავშესაყარ ადგილას — კორთპაუს სკვერში გავონილი ჭორები და ის ამბები, სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცები რომ უამბობდნენ ერთმანეთს და თან ჩაცუცქულნი ხელიდან ხელში გადასცემდნენ არავით საგსე ლიტრას.

ყველა ეს წყარო, — ასე ნაცნობი მისისიპის შტატის პატარა ქალაქში მცხოვრები ბიჭისათვის, — შემდგომში მთლად გადახალისებულ-გადამუშავებული, — ფოლკნერის გრძნობების წყალობით ისეთი მფეთქავი სიცოცხლით დაჯილდოვდა, რომ ბოლოს და ბოლოს გრძნობის ესოდენი სიძლიერისაგან მისი პერსონაჟები ადამიანურ განზომილებებს გასცდნენ და ძველი სამხრეთის, ომისა და აღდგენის, ჩვეული, მიღებული ცხოვრების წესის გამანადგურებელი მანქანებისა და კაპიტალის გმირულ ანდა სატანურ სიმბოლოებად იქცნენ. იქ, ოქსფორდში ფოლკნერმა თავისი წარმოსახვა ისეთი მძლავრი ზემოქმედების ქვეშ მოაქცია, რომლის ბადალიც ჩვენს დროში ვერ მოიძებნება, თანაც ეს ზემოქმედება ორმხრივი დანიშნულებისა იყო. ერთის მხრივ, მას უნდა გამოეგონა მისისიპის შტატში მდებარე საგრაფო, რომელიც მითიურ სამეფოს დაემსგავსებოდა, მაგრამ ყოველმხრივ მოქმედი და სრული იქნებოდა. მეორე მხრივ, იოკნაპატოფას საგრაფოს ამბავი მთელი სამხრეთის იგავად ანდა ლეგენდად უნდა ექცია.

ამ ორმხრივი ამოცანის გადასაწყვეტად ფოლკნერი უფრო ნიჭითა და წარმოშობით იყო მომზადებული, ვიდრე განათლებით. ის დაიბადა ნიუ-ოლბანში, მისისიპის შტატში, 1897 წლის 25 სექტემბერს. ოთხ ძმას შორის ყველაზე უფროსი იყო. ოჯახი მალე ოქსფორდში გადასახლდა, სადაც უილიამი უფასო საშუალო სკოლაში სწავლობდა, მაგრამ სასკოლო კურსი არ დაუმთავრებია. პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ერთი წელი მისისიპის შტატის ქ. ოქსფორდის უნივერსიტეტში ისწავლა, სადაც ომის ვეტერანებს სკოლის დამთავრების ატესტატის გარეშე ღებულობდნენ. მაგრამ სწავლას ვერც აქ დაუდო გული და უნივერსიტეტი ისე მიატოვა, ხარისხი არ მიუღია.

მის თანამედროვე ცნობილ მწერალთა შორის მხოლოდ პარტ კრეინს თუ ჰქონდა მიღებული უფრო ნაკლები ოფიციალური განათლება. ჰემინგუეიც კი, რომელსაც კოლეჯში საერთოდ არ უსწავლია, სამ წელს ეწინა ენას დაეუფლა და წერა პარიზში, საუკეთესო ოსტატებისაგან ისწავლა.

ფოლკნერი გვიამბობს, რომ ძირითადად თვითონ აღიზარდა თავი „უმიზნო და მოუწესრიგებელი კითხვის მეშვეობით". ავტორები, რომლებსაც ის იხსენიებს, ან რომელთა გამოძახილიც იგრძნობა მის ადრეულ ლექსებსა დ. მოთხრობებში, არიან: კიტსი, ბალზაკი, ფლობერი, სვინბერნი, მალარმე, უაილდი, ჰაუსმანი, ჯოისი, ელიოტი, შერვუდ ანდერსონი, ი. ი. კამინგსი, უფრო ნაკლებად ჰემინგუეი (თევზაობის ეპიზოდში,) დოს პასოსი (რთული სიტყვების მართლწერის შემთხვევაში) და სკოტ ფიტცჯერალდი. იმდროინდელ მის ლექსებში იგრძნობა ძლიერი მიმბაძველობა, მაგრამ პროზა კი თავიდანვე ერთგვარად პოეზიას ემსგავსებოდა და, მიუხედავად სხვა მწერალთა გავლენისა, მხოლოდ მისეული იყო.

მოგზაურობითაც, თავის თანამოკალმე მწერალთაგან, ფოლკნერმა ყველაზე ნაკლები იმოგზაურა. ოქსფორდში რამდენიმე შემთხვევითი სამუშაოს გამოცვლის შემდეგ ცოტა ხანს ახალ ორლეანში იცხოვრა შერვუდ ანდერსონთან ერთად, სადაც მწერალთა წრეში გაერია და სატირაც კი შექმნა მათზე თავის ადრეულ, ძალიან სუსტ რომანში „ქინქლები". შემდეგ ნიუ-იორკს გაემგზავრა, იქ რამდენიმე უსიხარულო თვე წიგნის მაღაზიაში დაპყო კლერკად. 1925 წელს ფეხით მოიარა ევროპა ისე, რომ სენის მარცხენა ნაპირზე არც შეჩერებულა.[1] ცხოვრების დანარჩენი წლები, გარდა ამახწინანდელი ჰოლივუდში სტუმრობისა, ფოლკნერმა იმ ქალაქში გაატარა, სადაც გაიზარდა და, რომელიც მისი დაბადების ადგილიდან, ნიუ-ოლბანიდან, — ორმოცი მილითაც არ არის დაშორებული.

თუმცა მისისიპის შტატში მდებარე ქალაქი ოქსფორდი საუნივერსიტეტო ქალაქია, ის უფრო ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს ლიტერატურულ ცენტრად, ვიდრე მასაჩუსეტსის შტატის ქალაქი სალემი იმ დროს, როცა ჰოთორნი მწერლობას იწყებდა, და ფოლკნერიც ლიტერატურულ საზოგადოებას ჰოთორნზე მეტად გაუფდა.

მისი რომანები ისეთი კაცის მიერაა დაწერილი, რომელიც ფიქრობს ლიტერატურაზე, მეგობრებთან კი იშვიათად საუბრობს მასზე. ამ რომანებს არ ახასიათებთ სიმსუბუქე, ვერ იგრძნობ, რომ ისინი კამათში დახვეწილი გემოვნებისა და გაზიარებული აზრის ნაყოფს წარმოადგენენ. მახსენდება ნაწყვეტი ჰენრი ჯეიმსის პატარა წიგნიდან, რომელიც მან ნ. ჰოთორნს მიუძღვნა: „საუკეთესო ქმნილებებს საზოგადოდ ქმნიან ადამიანები, რომლებიც რაიმე ჯგუფის წევრები არიან. ყოველი კაცი უკეთ შრომობს, როდესაც იმავე სფეროში მომუშავე მეგობრები ჰყავს, მათ რჩევას ყურს უგდებს, თავის ნაშრომს მათსას ადარებს და ეჯიბრება კიდეც მათ. დიდებული ქმნილებები, რა თქმა უნდა, მარტოხელა მუშაკებსაც შეუქმნიათ. მაგრამ მათ შექმნაზე გაწეული შრომა გაუნახევრდებოდათ, უფრო გულღია ატმოსფეროში რომ ემუშავათ. მარტოხელა კაცს მაგალითის მიმცემი და აზრის გამზიარებელი არავინა ჰყავს. შესაძლებელია უხეირო ცდებმაც გაიტაცოს და ერთგვარად შარლატანის მდგომარეობაში აღმოჩნდეს. შარლატანს შეიძლება მცოდნე კაცის სახელი ჰქონდეს გავარდნილი, მაგრამ იმ ნაკლსა და უხერხულობას, შარლატანობას თან რომ სდევს, თავიდან ვერ აიცილებს. პირიქით, მისი ეჭვები საზოგადოებრივ გემოვნებაში პროპორციის არარსებობის გამო, რომელსაც საზოგადოების მიმართ გამეღავნებული მადლიერების გრძნობაც ერთვის, იმ ნაკლსა და უხერხულობას კიდევ უფრო აძლიერებს."

ჰოთორნის მსგავსად ფოლკნერმაც მარტოხელა მუშაობა არჩია და ამით დიდებულ თხზულებათა შექმნის სირთულე არა მარტო თავისთვის გაიორკეცა, მკითხველიც აიძულა, ზოგჯერ ორმაგი ჯაფა გაეღო. ორი თუ სამი მისი თხზულება მთლიანად, მრავალი დანარჩენი კი ნაწილობრივ უხეირო ცდას წარმოადგენს. ყველა ისეთი მაღალფარდოვანი სიტყვებითაა გადატვირთული, როგორიცაა: „უწონადი", „შეუგრძნობადი", „უკვდავი", „უცილობელი", „ძველთაძველი". ამ სიტყვებს გაცილებით მეტი სიფრთხილით იხმარდა ან საერთოდ არ გამოიყენებდა, ჰემინგუეის მაგალითისათვის რომ მიებაძა და რომელიმე მასზე უფროს მწერალთან გაეტარებინა მოწაფეობის ხანა.

ფოლკნერი სრულებით არ არის თავის თხზულებათა სანდო მსაჯული და არც ის ჰგონია, რომ მსოფლიოს აზრი მის აზრზე უფრო სანდო იყოს. მართლაც არც ერთი სხვა ამერიკელი მწერლის დაეჭვება „საზოგადოებრივ გემოვნებაში პროპორციის" არსებობას შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს ისე გამართლებულად, როგორც ფოლკნერისა.

მისი ადრეული რომანები მეტისმეტად მოს-

---

[1] სენის მარცხენა ნაპირი მხატვრულ შემოქმედებასთან დაკავშირებულ პირთა რაიონად ითვლება.

წონდათ ჩვეულებრივ გაუმართლებელი შიზეზების გამო. ზოგიერთებით შექმნილ ბევრად უკეთეს თხზულებებს კი ჯიუტად აძაგებდნენ ან საერთოდ უარყოფდნენ. ასე რომ, 1945 წელს ის სრულებით აღარ იბეჭდებოდა და ზოგიერთ მის რომანს ბუკინისტურ მაღაზიებშიც კი ვერ იშოვიდით.

II

ფოლკნერის მითიური სამეფო ჩრდილოეთ მისისიპში მდებარე საგრაფოა, რომელიც ჯუჯა ფიჭვნარით დაფარულ ქვიშრობებსა და მდინარის დამშრალ კალაპოტს შორის მდებარეობს. მაღაზიების მფლობელების, მექანიკოსების, ექიმების, ვექილებისა და აფთიაქარების გარდა, რომლებიც ჯეფერსონში ცხოვრობენ, საგრაფოს მთავარი ქალაქის დანარჩენი მოსახლეობა ფერმერები და მეტყეველები არიან. გარდა ცოტაოდენი ხის მასალისა, ისინი ბამბას ამზადებენ ბემფისის ბაზარზე გასატანად. ზოგი მათგანი წარსულ დროთაგან რულიქვიად შემორჩენილ მდიდრულ პლანტატორულ სახლებში ცხოვრობს, უფრო მეტი ნაწილი ხის მოზრდილ ფერმერულ სახლებში ბინადრობს, მაგრამ უმეტესობას მიწის მოიჯარენი წარმოადგენენ, რომელთა სადგომებიც ვერაფრით სჯობია სამოქალაქო ომამდელ რიგიან პლანტაციაში მომუშავე მონათა სადგომებს. იოკნაპატოფაში, რომლის „ერთადერთი ბატონ-პატრონი უილიამ ფოლკნერია", როგორც ეს თვით ფოლკნერმა წააწერა მის მიერ დახაზულ ამ საგრაფოს ერთ-ერთ რუკას, —15611 კაცი ცხოვრობს, რომლებიც 2400 კვ მილის ფართობზე არიან გაფანტულნი. ხანდახან მეჩვენება, რომ ფოლკნერმა თავის რომანებში ამ საგრაფოს ყოველი სახლი თუ ქოხი აღწერა, რომ ამ ფანტასტიკური საგრაფოს ყველა მცხოვრებმა: თეთრკანიანმა და შავკანიანმა, ქალაქელმა, ფერმერმა თუ დიასახლისმა — ყველამ შეასრულა თავისი როლი ერთ ჯაჭვად ასხმულ ამბავში.

ფოლკნერმა ცხრა წიგნი დაწერა, რომლებიც მთლიანად იოკნაპატოფას საგრაფოს და მის მცხოვრებთ ეხება. ეს ხალხი სამი სხვა რომანისა და ოცდაათამდე ჯერ კიდევ თავმოუყრელი მოთხრობის სხვადასხვა ეპიზოდშიც გვხვდება.

1929 წლის გაზაფხულზე გამოვიდა ფოლკნერის პირველი წიგნი „სარტორისი". ეს რომანტიული და ცოტა არ იყოს არადამაჯერებელი რომანია, რომელშიც, მიუხედავად ამისა, მრავალი მშვენიერი სცენაა, როგორიცაა, მაგალითად, მთავარი გმირის სტუმრობა ფიჭვნარით დაფარულ მთაზე მცხოვრებ ფერმერების ოჯახში. სწორედ ამ წიგნში მოიხაზა ყველა თემა, რომლებიც ავტორმა თავის მომდევნო თხზულებებში განავითარა.

„ხმაური და მრისხანება" „სარტორისამდე" დაიწერა, მაგრამ ექვსი თვის შემდეგ გამოქვეყნდა. ამ რომანში კომპსონების ოჯახის დაცემაა აღწერილი და იგი ფოლკნერის პირველი თხზულება აღმოჩნდა, რომელმაც საზოგადოება აალაპარაკა. იოკნაპატოფას სერიის ნაწარმოებებიდან ამას მოჰყვა „ოდეს ვკვდებოდი" (1930) — ედი ბანდრენის გარდაცვალებისა და დასაფლავების ამბავი, „სავანე" (1931) — ყველაზე პოპულარული მის რომანებს შორის: „აგვისტოს ნათელი" (1932) — ფოლკნერის ნაწარმოებთაგან მრავალმხრივ საუკეთესო; „აბესალომ, აბესალომ!" (1936) — ამბავი პოლკოვნიკ სატპენის სწრაფვისა — საკუთარი ოჯახი და სახლკარი ჰქონოდა; ურთიერთდაკავშირებულ მოთხრობათა კრებული „დაუმარცხებელნი" (1938), რომელიც სარტორისების დინასტიის ამბავს მოგვითხრობს; „ველური პალმები" (1939), რომლის ერთ ნაწილშიც ფიჭვნარით დაფარული მთებიდან მოსული მსჯავრდადებულის ამბავია მოთხრობილი; „სოფელი" (1940) — სხოუპსების დინასტიის ამბავი, და „ჩამოვედ, მოსე!" (1942), რომელშიც ზანგების თემაა დამუშავებული. იოკნაპატოფას სერიის მრავალი მოთხრობაა აგრეთვე კრებულებში „ეს ცამეტი" (1931) და „ექიმი მარტინო" (1934); ასეთივეა ცალკე დაბეჭდილი მოთხრობებიც (როგორიცაა „მის ზილფია განტი") ან ჟურნალებში გაფანტული, ჯერაც თავმოუყრელი, ანდა რომანებში ცალკეულ ეპიზოდებად ჩართული მოთხრობები.

იოკნაპატოფას საგაში შემავალი თითოეული თხზულება რაღაც ერთი ცხოველმყოფელი მთლიანობის ნაწილია. ფოლკნერის მიღწევად სწორედ ეს ერთ ჭარგაზე შექმნილი მთლიანობა უნდა ჩაითვალოს და არა დაბეჭდილი ტომები, რომლებშიც ამ მთლიანობის მხოლოდ ცალკეული ნაწილები აღიბეჭდა.

სწორედ ამ მთლიანობის არსებობა ხსნის ფოლკნერის შემოქმედების ერთ ნიშანს: ყველა რომანი, ნოველა თუ მოთხრობა უფრო მეტს წარმოაჩენს, ვიდრე მასშია ნაამბობი და უფრო დიდ საგანს ემსახურება, ვიდრე ეს მისგან მოსალოდნელია. ყოველი ცალკე თხზულება ერთი საბადოდან მოპოვებულ ლოდსა ჰგავს, რომელშიც ამ საბადოს მთელი ავ-კარგი აისახა, ან კიდევ ერთი შეტად უხეში შედარება რომ მოვიშველიოთ, ეს თხზულებები იმ ფიცრებსა ჰგვანან, რომლებიც მორიდან კი არა, ცოცხალი ხისაგან გამოუთლიათ. ფიცრები გამოთალეს, დახერხეს, მაგრამ იმ ხემ ჭრილობები მოიშუშა და კვლავაც იზრდება.

ფოლკნერს არ შეუძლია ერთი და იგივე ამბავი ისე მოგითხროთ, რომ რაიმე არ დაუმატოს; მის თხზულებათა ამ ანთოლოგიაშო მინდოდა მომეყვანა ერთი ნაწილი „ხმაური და მრისხანებიდან", რომელიც კომპსონების ოჯახის დაცემის ამბავს მოგვითხრობს. ვიფიქრე, რომ წიგნის ბოლო ნაწილი ყველაზე კარგი იქნებოდა ცალკე დასაბეჭდად, მაგრამ ის მაინც დიდადაა დამოკიდებული წინამორბედ ამბებზე.

ფოლკნერმა შემომთავაზა დაეწერა ძალიან მოკლე შესავალი, რომელიც წიგნის პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულებას ახსნიდა, მაგრამ საბოლოოდ საკმაოდ მოზრდილი ნაშრომი გამომიგზავნა, რომელსაც ამ წიგნში დანართის სახით ვაქვეყნებ. მასში კომპსონების გვარის თავგადასავალია გადმოცემული ჩვენს ქვეყანაში მათი გამოჩენის დროიდან. თვით რომანი თვრამეტწლიან პერიოდს მოიცავს და 1928 წელზე წყდება. დანართში კი კომპსონების ისტორია ჯერ კიდევ ქალოდენის ბრძოლიდან, 1745 წლიდან იწყება და 1945 წლამდე აღწევს, როცა ჯეისონმა — კომპსონების ვვარის უკანასკნელმა მამაკაცმა, — საგვარეულო სახლი გაყიდა, ხოლო მისი დის — კედისა კი ისღა იცოდნენ, რომ ერთი გერმანელი გენერლის საყვარელი გამხდარიყო. კომპსონების შესახებ შექმნილი რომანი თუ ლეგენდა, რომელსაც ეს რომანი ეყრდნობა, ჯერ კიდევ ვითარდება.

თუმცა ფოლკნერის შეთხზული ამბავი მხოლოდ ერთ საგრაფოს ეხება, ის შეიძლება მთელ სამხრეთ შტატებს მივუსადაგოთ. და გეჩვენება, რომ ავტორს არასოდეს ავიწყდება ესოდენ ფართო მისადაგების შესაძლებლობა. ის ალბათ თავის რომანებზე ფიქრობდა, როცა მაკკასლინების პლანტაციის საწყობში მომუშავე მოანგარიშეებს აღწერდა „ჩამოვედ, მოსე"-ში: „ყოველ შემოდგომას ბამბის მოსავალთან ერთად ისინი სხვა ყველაფერსაც აღნუსხავდნენ: ბადაგის წანწკარსა და სადილვახშმებს, ხორცსა და ფეხსაცმელს, ჩალის ქუდებსა და სამუშაო ტანსაცმელს, ხნულში გავლებულ კვლებს, საყელოებსა და სახელურებს". გარკვეულწილად ეს აღწერა სრულიად კონკრეტულ, ვიწროდ შემოფარგლულ გეოგრაფიულ ადგილს მიეკუთვნება, მაგრამ ამავე დროს „იმ აღწერის გაგრძელებაა, რომლის დასასრულებლად ორასი წელიც არ აღმოჩნდა საკმარისი და ერთ ას წელს კიდევ არ დამთავრდება. ეს ქრონიკაა, რომელშიც მთელი ქვეყანა აისახა შემცირებული მასშტაბით და თუ ამ მასშტაბს გავადიდებთ, გავაფართოებთ, ჩვენ თვალწინ მთელი სამხრეთი გადაიშლება".

III

—„მიამბე რამე სამხრეთის შესახებ", — ეუბნება ქვენტინ კომპსონს ბარვარდში მასთან ერთ ოთახში მცხოვრები, კანადელი ბიჭი შრეკ მაკკენონი, რომელსაც სურს ოლეთ იქეთ მდებარე — მისთვის უცნობი მიწა გაიცნოს. „როგორია? რას აკეთებენ იქ? რატომ ცხოვრობენ იქ? ან საერთოდ რისთვის ცხოვრობენ?"

და ქვენტინი, რომლის წარმოშობა, ცოტა არ იყოს, ფოლკნერისას ემსგავსება და ხანდახან ისიც გეჩვენება რომ მისი პირით თვით ფოლკნერი საუბრობს, პასუხობს: „შენ ამას ვერ გაიგებ. ეს რომ გაიგო, იქ უნდა იყო დაბადებული." მაგრამ მაინც უამბობს გრძელსა და შეშაძრწუნებელ ამბავს, რომელიც, მისი აზრით, სამხრეთის არსს წარმოაჩენს, სამხრეთისას, რომელიც მისთვის უბრალო გეოგრაფიული ადგილი კი არ არის, არამედ რაღაც ბოლომდე ჩამოუყალიბებელი და აფორიაქებული ერია, თავისი ლეგენდარული წარსულის გაცოცხლებას რომ ცდილობს.

ამბავი, რომელსაც ქვენტინი ჰყვება, „აბესალომ, აბესალომ!"-ს უდევს საფუძვლად და ეხება ერთ მთიელ ბიჭს — ტომას სატპენს, რომლის ოჯახიც ვირჯინიის შტატის დაბლობში გადმოსახლდა, სადაც მამამისი შემთხვევით სამუშაოებს პოულობდა. ერთხელ მამამ რაღაც დავალებით მემამულის სახლში გააგზავნა, მაგრამ ლივრეაში გამოწყობილმა ზანგმა ფეხიც არ შეადგმევინა შინ. აფორიაქებულ-დამცირებული ბიჭი ერთმა მიზანსწრაფვამ შეიპყრო, რომელსაც შემდგომში „პროექტად" მოიხსენიებდა. „პროექტის" არსი ის იყო, რომ ოდესმე მასაც ექნებოდა პლანტაცია, მონებიცა და ლივრეაში გამოწყობილი მსახურიც ეყოლებოდა, ისიც აიგებდა სახლს, რომელიც სიდიდით ტაიდუოტერის არც ერთ სახლს არ ჩამოუვარდებოდა და ეყოლებოდა ვაჟი, რომელსაც მთელ თავის სიმდიდრეს დაუტოვებდა.

თორმეტიოდე წლის შემდეგ სატპენი სასაზღვრო ქალაქ ჯეფერსონში გამოჩნდა, სადაც ინდიელთა ერთ-ერთი ტომის, ჩიკასოების მიწას დაეუფლა, ჯუნგლებიდან მოყვანილი ოცი ველური ზანგისა და ფრანგი არქიტექტორის დასმარებით ჩრდილოეთ მისისიპში ყველაზე დიდი სახლის მშენებლობას შეუდგა, რომლისთვისაც ტყიდან მოტანილ ხის შახალაში და მისი ზანგების მიერ ადგილზე დამზადებულ აგურს იყენებდა. ისეთი ჭრაქნობა გეგონებათ, თითქოს სატპენის დიდებულ სახლი პირდაპირ მიწის წიაღიდან ამოგლიჯესო.

მთელ ჯეფერსონში ერთადერთმა კაცმა — ქვენტინის პაპამ, გენერალმა კომპსონმა გაიგო, თუ საიდან ჰყავს სატპენს მონები.

ვირჯინიიდან სატპენი ჰაიტიში გაემგზავრა. იქ შაქრის ლერწმის პლანტაციებში ზედამხედველად იმუშავა, მდიდარი პლანტატორის ქალიშვილი ცოლად შეირთო და ვაჟიც შეეძინა. მაგრამ შემდგომში აღმოაჩინა, რომ მის ცოლს ზანგური სისხლი ერია, ასე რომ ისიც, მისი სიმდიდრეცა და თავისი ვაჟიც ებრალოდ თავიდან მოიშორა. მხოლოდ ოცი ზანგი მონა შეირჩინა ყოველგვარი დანაკლისისა თუ მარცხისაგან ერთგვარი დაზღვევის მიზნით. ჯეფერსონში სატპენი მეორედ დაქორწინდა. ამჯერად მისი ცოლი იქაური ღვთისმოსავი ოჯახიდან გამოსული ქალი იყო, რომლისაგანაც ორი შვილი შეეძინა: ჰენრი და ჯუდითი. სატპენი იოკნაპატოფას საგრაფოში ყველაზე დიდი პლანტაციის მფლობელი გახდა და „პროექტიც" თითქოს განხორციელდა... მაგრამ ამ დროს მისისიპის უნივერსიტეტიდან მისი ვაჟი ჰენრი დაბრუნდა, თან ახლდა უფროსი და ამქვეყნიურ საქმეებში მასზე გამოცდილი ახლადშეძენილი ამხანაგი ჩარლზ ბონი, რომელიც სინამდვილეში სატპენის ვაჟი იყო პირველი ცოლისაგან. ჩარლზი და ჯუდითი დაინიშნენ, სატპენმა ჩარლზის ვინაობა დაადგინა და ისე, რომ არაფერი გაუმეღავნებია, უბრძანა იქაურობას გასცლოდა. ჰენრიმ არ დაიჯერა, რომ ჩარლზი მისი ნახევარი ძმა იყო, მამისეული სახლ-კარი უარეო და ჩარლზს ახალ ორლეანში გაჰყვა. 1861 წელს სატპენების ოჯახის ყველა მამაკაცი ომში წავიდა და ოთხი წლის ბრძოლის შემდეგ ყველა უვნებლად დაბრუნდა. 1865 წელს ჩარლზმა მოულოდნელად ჯუდითის ცოლად შერთვა გადაწყვიტა, თუმცა ამ დროს უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ის მისი ნახევარი და იყო. სატპენის მამულისაკენ მიმავალ ჩარლზს ჰენრი ცხენდაცხენ ჭვერდზე მისდევდა, ალაყაფის კართან სცადა შეეჩერებინა, მაგრამ რაკი ის თავისას არ იშლიდა — მოკლა, ჯუდითს უამბო, რაც ჩაიდინა და იქაურობას გაეცალა.

ქვენტინის მონათხრობი სამოქალაქო ომის აზბებით არ თავდება. პოლკოვნიკი სატპენი შინ დაბრუნდა, სადაც ცოლი გარდაცვლილი დაუხვდა, ვაჟიშვილი სახლიდან გაქცეულიყო, ხოლო მონები ისე გაფანტულიყვნენ, რომ ჩრდილოელთა არმიის მიერ გათავისუფლებას არც დალოდებოდნენ. თვით მამულს კი ვალებში უპირებდნენ გაყიდვას. სატპენს თავისი „პროექტის" განხორციელების ჟინი არ დაუცხრა, ამიტომ რიგიანად სულიც არ მოუთქვამს, ისე შეუდგა დაქცეული მამულის აღდგენას, მაგრამ სულ ტყუილად დაშვრა, ბოლო იძულებული გახდა გზების გადასაკვეთზე მაღაზია გაეხსნა. სამოქ. წელს გადაცილებულმა ქვლავ სცადა ვაჟის გაჩენა, მაგრამ როდესაც თავის ცოლისგან მის რეჩა ჟოლდფილდს შესთავაზა: „ბიდი, ცხოვრეთ, და თუ ბიჭი იქნება, დავქორწინდეთ", ქალი საშინლად გაბრაზდა. შემდგომში საბრალო მილი ჯონსმა გოგო გაუჩინა. ამან სატპენს იმედი გადაუწყვიტა და მილის პაპა იქამდე მიიყვანა, რომ ამ უკანასკნელმა მოკლა ის. ჯუდითმა ნამის სიკვდილის შემდეგ ცოტა ხანს კიდევ იცოცხლა, ცოცხალი იყო აგრეთვე ჩარლზ ბონის შერეული რასის ვაჟი, რომელიც ახალ-ორლეანელი ოქტარონი ქალისაგან ჰყავდა. როცა ეს ორნი ყვითელი ციებისაგან დაიხოცნენ, სატპენის უზარმაზარ სახლში მხოლოდ ლანდივით მარტოსული გადაბერებული მულატი ქალი — კლიტი ცხოვრობდა, რომელიც სატპენს ოდესღაც ერთ-ერთი თავისი მონისაგან შეეძინა. ლტოლვილმა ჰენრი სატპენმა სიკვდილის წინ შინ დაბრუნება არჩია. მეზობლებმა მისი ავადმყოფობის ამბავი რომ გაიგეს, ექიმს დაუძახეს, მაგრამ კლიტის ეგონა, ჰენრის ჩადენილი დანაშაულისათვის აპატიმრებენო, და სახლს ცეცხლი წაუკიდა. ხანძარს მხოლოდ ჯიმ ბონი — ჩარლზ ბონის ჭკუასუსტი შვილიშვილი გადაურჩა.

— „ახლა ეს მითხარი", — უთხრა შრიგ მაკკენონმა ქვენტინს, როდესაც მისი მონათხრობი მოისმინა, — „რატომ გძულს სამხრეთი?"

— „არა მძულს", — იმ წუთმივე აჩქარებით უპასუხა ქვენტინმა — „არა, არა მძულს", — ფიქრობდა ის და ახალი ინგლისის რკინასავით მუქ, ცივ პაერს ქოშინით ისუნთქავდა. „არა, არა, არ მძულს", — ამბობს ქვენტინი და მასთან ერთად თითქოს ავტორი საუბრობს.

მკითხველი გაკვირვებას ვერ ფარავს, რომ ამ უსიხარულო და ზოგჯერ სრულიად გაუგონარ ამბავს ისე დაუპყრია ქვენტინის გონება, რომ თხრობისას კანკალი ვერ დაუოკებია და თავის მონათხრობს მთელი სამხრეთის სიმბოლოდ თვლის.

ეს რომანი თითქოს გოთურ რომანებს მიეკუთვნება, სადაც სატპენის მამული რაინზე მდებარე ლანდების სამყოფელად ქცეულ ციხე-კოშკის ადგილს იკავებს, ხოლო სატპენისა და ჩარლზ ბონის ნაცვლად ფაუსტი და მანფრედი შეიძლება წარმოვიდგინოთ. შემდეგ, ნელ-ნელა გონება გინათდება და ხვდები, რომ პერსონაჟთა და მოვლენათა უმრავლესობას ორმაგი მნიშვნელობა აქვთ და შეიძლება ზო-

ვადად გამოყენებულ სიმბოლოებად და შეტაფორებად მივიჩნიოთ.

სატპენის დიდი „პროექტი", მის მიერ ინდიელთაგან მოპარული მიწა და ფრანგი არქიტექტორი, რომელმაც სახლი ჯუნგლებიდან მოყვანილი ზანგების დახმარებით აუგო, ქალი, რომელსაც სატპენი შერეული სისხლის გამო უარყოფს, ასევე უარყოფილი ვაჟიშვილი, ბედისწერად რომ იქცევა მისთვის, საბრალო შეურაცხყოფილი „ახიანი — მისი მკვლელი, — და მამულის საბოლოო განადგურება, რომელიც მთელი სოციალური სისტემის დაცემად აღიქმება — ეს ყველაფერი ამერიკის სამხრეთი შტატების ტრაგიკული ლეგენდის ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ და, თავს თუ ცოტა ძალასაც დავატანთ, მთელი რომანი შეიძლება ავხსნათ, როგორც ერთ ლოგიკურ ჯაჭვად ასხმული ალეგორია. მაგრამ მე ვფიქრობ, ეს სრულებითაც არ იყო ავტორის მიზანი. პირველ ყოვლისა ის იმ ამბავს თხზავდა, რომელიც ძლიერ აღელვებდა, მაგრამ ამავე დროს ქვეყანაში არსებულ სოციალურ ურთიერთობებზეც ფიქრობდა. ადამიანის გონება სიმბოლოებითა და შესატყვისებით მოქმედებს, ამიტომ ავტორმა თხზულებაში აღწერილი მოვლენები ქვეცნობიერად სოციალური ძალების განსახიერებად აქცია. ფოლკნერს ასეთნაირი შესატყვისები მხოლოდ „აბესალომ, აბესალომ!"-ში როდი აქვს გამოყენებული, ისინი მთლიანად იქ მხატვრული მოდელისათვისაა დამახასიათებელი, რომლის სახესაც ფოლკნერი ყოველ ახალ რომანში უფრო და უფრო ართულებდა, სანამ მისი შემოქმედება სამხრეთის მითად ან ლეგენდად არ გადაიქცა. მითად ეს შემოქმედება იმიტომ მიმაჩნია, რომ, ჩემი აზრით, ის ოჰაიოს იქით მდებარე სამხრეთის ისტორიულ აღწერილობად იხილეს არ იყო გათვალისწინებული, როგორც ნ. ჰოთორნის „ალისფერი ასო" არ იყო დაწერილი მასაჩუსეტსის შტატის ისტორიად, ან ჯ. მილტონის „დაკარგული სამოთხე" არ აღწერდა ფაქტობრივად ანგელოზთა ერთი ნაწილის დაცემას.

მოკლედ ეს ლეგენდა ასე შეიძლება გადმოიცეს: სამხრეთი შტატები, ერთის მხრივ არისტოკრატებმა (როგორადაც სარტორისების დინასტია გვევლინება) და მეორეს მხრივ იმ ახალმოსახლეებმა დააარსეს, როგორიც პოლკოვნიკი სატპენი იყო. ორივეს განზრახული ჰქონდა ინდიელთათვის წართმეულ მიწაზე მყარი სოციალური წყობა დაემკვიდრებინა (ამისათვის იქ ვაჟიშვილები უნდა დაეტოვებინათ). მათი ღირსება ის იყო, რომ შეუპოვრად ისწრაფოდნენ დასახული მიზნისაკენ, მაგრამ ეს მიზანი თავიდანვე ცოდვიანი გახლდათ — თვით მათი ცხოვრების წესი იყო ცოდვა. ეს მიწა მოსახლეობისაგან [illegible] დაწყევლილი და მონობამვე ატეხა სამოქალაქო ომი, რომელიც სამხრეთელებმა [illegible] თავისივე უგუნური სიმამაცის [illegible] (ჯექსონისა და სტიუარტის სიმამაცის შიშმა აიძულა სწორედ იანკები არ დაქსაქსულიყვნენ და ერთად ებრძოლათ).

სამხრეთელებმა ახლა სხვა გზებით სცადეს თავიანთი „პროექტის" განხორციელება; მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწიეს მიზანს მას შემდეგაც კი, რაც თავიანთი მიწა-წყალი გაწმინდეს სამხრეთში ჩამოსახლებულ და აქ მოპოვებული გავლენით გაბარბაშებულ ნაძირალა ჩრდილოელთაგან, რომელნიც ახლა ჩრდილოელთა არმიას ებედევნენ. დრო გადიოდა და ძველი ყაიდის სამხრეთელები სულ უფრო უკეთ ხედავდნენ, რომ მტერი აქვე, სამხრეთშივე ჰყავდათ; წინათ უმიწაწყლო თეთრკანიანთა შთამომავალთაგან შემდგარ ექსპლუატატორულ კლასთან მოუწევდათ ბრძოლა. სარტორისებსა და უსინდისო სნოუპსების კლანს შორის წარმოებულ ამ ბრძოლაში დამარცხება სარტორისებს ეწერათ, რადგან ცხოვრების ძველი წესები არ აძლევდათ ნებას მტრის წინააღმდეგ მისივე იარაღი გამოეყენებინათ. ეამარჯვების საფასურად სნოუპსები ჩრდილოეთის მექანიზირებული ცივილიზაციის მსახურები უნდა გამხდარიყვნენ, იმ ცივილიზაციისა, რომელიც თავისთავად სრულიად უილაჯო კი გახლდათ, მაგრამ სამხრეთელი ვასალების დახმარებით ბოლოს და ბოლოს მაინც მოახერხა გაეხრწნა სამხრეთი.

თანამედროვე ცხოვრების ამსახველ ფოლკნერის რომანებს სამხრეთის ლეგენდა იმ ხანაში გადაჰყავთ, რომელსაც ავტორი მორალური და სოციალური აღრევა-დაცემის პერიოდად თვლის. ამ რომანებში ავტორი გამუდმებით ეძებს შემაძრწუნებელ სახეებს, რათა თავისი სასოწარკვეთა გამოხატოს.

„სავანე" მის რომანთაგან ყველაზე შემაძრწუნებელია, აგრეთვე ყველაზე პოპულარულიც და არამც და არამც არ ჩაითვლება ნაკლებმნიშვნელოვან თხზულებად, როგორც ამას ფოლკნერი წერდა: „ეს უვარგისი იდეა იყო და თავიდანვე მხოლოდ ფულის გასაკეთებლად ვწერდი".

პოპაისა და ტემფლ დრეიკის ამბავში უფრო მეტი ქვეტექსტია ჩაქსოვილი, ვიდრე ნაჩქარევი გადაკითხვის დროს ვიგრძნობთ (კრიტიკოსთა უმრავლესობა კი ამ რომანის მხოლოდ ასეთ გადაკითხვას ჯერდებოდა). პო-

პაი ფოლკნერის იმ პერსონაჟთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც მექანიზირებულ ცივილიზაციას განასახიერებენ, სამხრეთი რომ დაიპყრო და ნაწილობრივ დაიმორჩილა კიდეც. პოპაის გარეგნობაც კი ტექნიკური ტერმინებითაა აღწერილი: „თვალები რეზინის ღილაკებს უგავდა"-ო, „სახე ისე მოღრეცოდა, როგორც ცვილის თოჯინას, რომელიც ცეცხლთან მეტისმეტად ახლოს დადეს და გადაივიწყეს" „ვიწრო კოსტუმი და ქუდი ისეთი კუთხოვანი ჰქონდა, როგორც მოდერნისტულ ნახატზე გამოსახული ნათურის ჩრდილი" და საერთოდ „მას რაღაც საზიზღარი, არაფრისმთქმელი იერი ჰქონდა, რაც იარლიყდაწებებული კონსერვის ქილას მოგაგონებდათ". პოპაი პროფესიონალი მტრაიკბრეხერის შვილი და ცეცხლზე მკითხავის შვილიშვილი იყო, რომელსაც მამისაგან მემკვიდრეობით ათაშანვი ერგო. ჯო ქრისტმასისა და იანვარიუს ჯონსის მსგავსად (ფოლკნერის რომანებში გამოყვანილი ავაზაკები) ბავშვობა მანაც ბავშვთა სახლში გაატარა. პოპაი ფულს აკეთებდა, მაგრამ არ იცოდა, ეს ფული როგორ მოეხმარა. ალკოჰოლს არ ეკარებოდა იმის შიშით, ნაადრევად გაეჭიმავ ფეხებსო, არც მეგობრები ჰყავდა და არც ქალი ენახა ოდესმე — ერთი სიტყვით, იმ საზიზღარი თვისებების კრებულს წარმოადგენდა, რომელთა წარმოშობის მიზეზად ფოლკნერი ფინანსურ კაპიტალიზმს მიიჩნევდა. „სავანე" ერთიანი ალეგორია არ გახლავთ, როგორც ერთმა კრიტიკოსმა ახსნა, მაგრამ უაზრო საშინელებების კრებულიც არ არის. ეს რომანი უფრო უკულმა დატრიალებული, სექსუალური დამახინჯებებით აღსავსე ფროიდისეული მეთოდის მაგალითია, რომელშიც სექსუალური დამახინჯებები სოციალურ სიმბოლოებადაა გამოყვანილი და მწერლის გონებაში რაღაცნაირად სამხრეთის გახრწნა-შერყვნის ამბავს უკავშირდება.

აწმყო ცხოვრების ამსახველ ყველა რომანში ფოლკნერი ნათელჰყოფს, რომ სამხრეთის ძველი მმართველი კლასის შთამომავალთ სურთ წინ აღუდგნენ თავისი ქვეყნის ამ ახალ უბედურებას, მაგრამ საამისოდ არც ძალა ჰყოფნით და არც მხნეობა, პოპაი მათ ან ამარცხებთ (როგორც ეს ჰორეს ბენბოუს მოუვიდა), ან, უბრალოდ, ისინი უბრძოლველად გარბიან (როგორც გმოვან სტივენსი მოიქცა, რომელმაც ვირჯინიაში დაამთავრა სკოლა და ჯენტლმენურ ყაიდაზე სმაც ისწავლა, მაგრამ თავისი პრინციპებისათვის ბრძოლის ხელოვნებას კი ვერა და ვერ დაეუფლა); ხანაც ამ ძველი ყაიდის სამხრეთელებს სნოუპსები ძარცვავენ და ძალაუფლებას ართმევენ (ბანკის პრეზიდენტ ბაიარდ სარტორისის ამბავი), მათ კი ისღა დარჩენიათ, ალკოჰოლიზმა და ლაყბობით გაიტანონ ეს წუთისოფელი (ქვენტინ კომპსონის მამა), ან ხელშეუსახებელი სამხრეთელი ლედის იდეაზით დაიბრმავონ თავი (როგორც მისის კომპსონი იქცევა, რომელიც გაბაიანდებს: „ჩემი აბუჩად აგდებისა და წყენის ღვთის ღმერთი არავის მიხცემს. მე ლედი გახლავართ"). ზოგი მათგანი იმდენადაა წარსულს მიჯაჭვული, რომ აწმყოს თვალს ვერ უსწორებს (მისი უწმინდესობა ჰაიტაუერი რომანიდან „აგვისტოს ნათელი"), ან ახალგაზრდა ბაიარდ სარტორისივით ფათერაკების მაძიებლად იქცევა, რომელიც თითქოს საკუთარ აღსასრულს დაეძებს გაშმაგებით.

ფოლკნერის რომანებში მრავლად ვხვდებით კეთილ, ღირსეულ პიროვნებებსაც კი — არა მარტო ბამბის პლანტაციების მფლობელი არისტოკრატიის შთამომავალთა შორის, — არამედ მთიელ ფერმერთა, მაღაზიის მეპატრონეთა, ზანგ მზარეულთა, საკერავი მანქანებით ვაჭრობის აგენტთა და მოიჯარეთა შორისაც. ნაგრამ თითქმის ყველა მათგანი გარემოებათა მსხვერპლია და იმთავითვე დასალუპადაა განწირული. გმირი იქნება თუ ავაზაკი — ყველა ერთნაირადაა თავის ბედს დამორჩილებული. დაუფარავად რომ ვთქვათ, „ფოლკნერის გმირთაგან სული არც ერთს არ გააჩნია", — ამბობს ანდრე ჟიდი თავის დიალოგში „ახალი ამერიკელი რომანისტები". ძე ეფიქრობ, ამ სიტყვებით იმას გულისხმობდა, რომ არც ერთი მათგანი არ აკეთებს შეგნებულ არჩევანს კეთილსა და ბოროტს შორის. ისინი რაღაც შინაგან გარდუვალობას შეუპყრია, რომელიც მბრძანებლობს და წინ მიერეკებათ.

„აბესალომ, აბესალომ!"-ის პერსონაჟის როზა კოლდფილდის მსგავსად, „ისეთ სიზმარეულ მდგომარეობაში იმყოფებიან, როცა იმ საშინელებას გადურბიხარ, რომლისაც შენ თვითონ არ გჯერა, სინამდვილეში კი ადგილიდან არ იძვრი და იმ თავშესაფრისაკენ მიიღტვი, რომლის რწმენაც არა გვაქვს".

ფოლკნერის პერსონაჟები მოთხრობების კრებულში „დაუმარცხებელნი" აღწერილ გენერალ შერმანის მიერ გათავისუფლებულ მონებსაც გვაგონებს, „რომლებიც უგზოუკვლოდ დაეხეტებიან, ოღონდ კი რომელიმე წმინარეს მიადგნენ, რადგან ყოველი მდინარე იორდანე ჰგონიათ.

ფოლკნერის ყველა პერსონაჟი, თეთრკანიანი იქნება იგი თუ შავკანიანი, მეტნაკლებად ერთმანეთს ჰგავს. გაშმაგებით გასაგრძობენ იქროს ძებნას. მას შემდეგაც კი, რაც მისი პოვნის იმედს კარგავენ (ჰესრი არმსტიდი და

ლუკას ბიუშემპი რომანებში „სოფელი“ და „ჩამოვედ, მოსე“), მისისიპში წყალდიდობას რის ვაივაგლახით გადაურჩებიან, რომ შემდეგ შტატის სატუსაღოს კუთვნილ ფერმაში დაბრუნდნენ (ახმახი მსჯავრდადებული რომანიდან „მოხუცი“), მთელი ოჯახი ათასნაირ ხიფათსა და გასაჭირს გამოივლის, რომ გვამი ჯეფერსონის სასაფლაოზე დამარხოს (ბანდრენები რომანში „ოდეს ვკვდებოდი“), შარაგზაზე უგზოუკვლოდ დაეხეტებიან, რათა ის მამაკაცი იპოვნონ, ცოლად შერთვას რომ დაპირდა და დანაპირები არ შეასრულა (ორსული ლინა გროუვი რომანიდან „აგვისტოს ნათელი“), ან კიდევ უკან დადევნებულ ბრბოს გაურბიან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თვითონ ეგებებიან სიკვდილს (ჯო ქრისტმასი იმავე რომანიდან).

მაშინაც კი, როცა მათ პოლკოვნიკ სატპენის მსგავსად შეგნებული მიზანი აქვთ, ეს მიზანი მათი ნებისყოფის ნაყოფი კი არ არის, არამედ ის რაღაც, რამაც ისინი მთლად დაიპყრო. სატპენის დიდი „პროექტი“ ის კი არ იყო, რისი განხორციელებაც მას სურდა, არამედ ის, რასაც იძულებით ახორციელებდა, რადგან თუ ასე არ მოიქცეოდა, საკუთარ თავს ველარასოდეს შეეგუებოდა. ასევე ფოლკნერიც იმას კი არ წერს, რისი დაწერაც სურს, არამედ იმას, რაც იძულებულია დაწეროს.

IV

ფოლკნერი რომანისტი არ არის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ეს იმას ნიშნავს, რომ გონებაში მოთხრობები 70.000 ან 150.000 სიტყვის შემცველ ერთეულებად არ ულაგდება. თითქმის ყველა მისი რომანი სტრუქტურულად საკლოვანია, ზოგიერთი ორ ან მეტ თემას აერთიანებს, რომლებიც ერთმანეთთან სუსტად არის დაკავშირებული („აგვისტოს ნათელი“), ზოგი კი მძიმებივით ერთმანეთზე ასხმული ეპიზოდებით ხორციელდება. დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რომ თავისთავად ბრწყინვალე რომანი „ხმაური და მრისხანების“ ოთხი ნაწილის თანმიმდევრობა საუკეთესოა შესაძლებელ ვარიანტთა შორის, ყოველ შემთხვევაში, პირველ ნაწილს მთლად ვერ გაიგებ, ან საერთოდ ვერ წაიკითხავ, ჯერ დანარჩენი სამი ნაწილი თუ არ წაიკითხე.

„აბესალომ, აბესალომ!“ თუმცა ერთგვარი პოეტიური კილოთია დაწერილი, სტრუქტურულად იოკნაპატოფას სერიის ნაწარმოებთა შორის ყველაზე უკეთესია, მაგრამ აქაც კი ავტორის ყურადღება პოლკოვნიკ სატპენის მიზანსწრაფვის ამსახველი მთავარი თემიდან სისხლალრევისა და რასათა შერევის თემაზე გადადის.

ყველაზე საუკეთესო ნამდვილი ფოლკნერი იოკნაპატოფას საგაში და ისევ ნაწარმოებებში გამოვლინდა, როგორიცაა „დათვი“, „ჩამოვედ, მოსე“, „მოხუცი“, (დაიბეჭდა „ველური პალმების“ ერთ-ერთი ნაწილის სახით) და „ჭრელი ცხენები“, რომლებიც პირველად ცალკე გამოიცა, ხოლო შემდეგ, ძლიერ გაფართოებული, „სოფლის“ თავისუფალ კომპოზიციაში შეავიდა. სამივე მოთხრობა იბეჭდება ამ ანთოლოგიაში.

ზემოთქმული იმას ნიშნავს, რომ ფოლკნერის პროზა მაშინაა ყველაზე ძლიერი, როდესაც მწერლის გონებაში „სამხრეთის ამბის“ სახით წარმოდგენილ ერთ დიდ ერთეულს ასახავს, ან კიდევ მაშინ, როცა ავტორი მომცრო ერთეულებს ამუშავებს, რომელიც შემოქმედებითი ძალის ერთი მოზღვავებით იწერება და აღიქმება. ფოლკნერზე, ისევე როგორც სხვა ავტორებზეც, საუკეთესო ნამუშევრებით უნდა ვიმსჯელოთ. მის არათუ უკეთეს თხზულებებში, ყველაზე სუსტ ნაწარმოებებშიც კი იმოდენა ძალა, ცხოველმყოფელობა და ღაღაბულობა იგრძნობა, რომლის ბადალსაც ვერც ერთ თანამედროვე ამერიკელ მწერალთან ვერ შევხვდებით. ნათანიელ ჰოთორნისადმი მიძღვნილი ჰენრი ჯეიმსის ესეი კვლავ რომ ცოვიშველიოთ, „მას ერთგვარი გენიოსური სისადავე და მდიდარი წარმოსახვა ახასიათებს“ და კიდევ: იმ მიწის უნაზესი სიყვარული აქვს, რომელზეც დაიბადა და გაიზარდა და სადაც, სხვა მწერალთაგან განსხვავებით, მთელი სიცოცხლის გატარება არჩია. „სამხრეთი ის მიწაა, რომელსაც ღმერთმა ესოდენი სიკეთე უბოძა: ტყეები ნადირისათვის, წყლები თევზისათვის, მდიდარი, ბარაქიანი ნიადაგი და მოჩუხჩუხე წყაროები თესლისათვის, გრძელი ზაფხული და წყნარი შემოდგომა მოსავლის მოწევა-აღებისათვის და თბილი, ხანმოკლე ზამთარი ადამიანებისა და ცხოველებისათვის“.

ფოლკნერის რომანების კითხვისას გრძნობ, რომ ავტორს ისინი უბრალო დაკვირვების მეშვეობით კი არ შეუქმნია, არამედ ყოველივე შეუსისხლხორცებია, დაუმახსოვრებია, უცხოვრია ამით და შემდეგ გადმოუცია. ამიტომაც მათ ჩვენი დროისათვის ახე იშვიათი ოჯახური სითბო გააჩნიათ, ძმა ძმისთვისაა და მამა შვილებისთვის; ისეთი ძლიერი და დაუოკებელია ეს სიყვარული, რომ თავისი არსებით სხვა ყველაფრის გამორიცხვას ცდილობს. ამასთან შედარებით ცოლქმრული სიყვარული ანგარებიანია, ხოლო აკრძალულ-ნაჩუმარი ენება კი დამშრეტ ალს ემსგავსება.

რაკი სისხლით ნათესაობა ფოლკნერის რო-

შანებში ძირითადი თემაა, ოცდან ორმოცი წლის ასაკში მყოფი ურთიერთგამგები პერსონაჟების დახატვა მას ეძნელება, ბავშვების სახეები, სულ ერთია თეთრკანიანი იქნებიან თუ ზანგები, უფრო გამოსდის, ძველი წეს-ჩვევების მიმდევარი ხნოვანი ადამიანების დახატვისას კი შეუდარებელია.

მოგვიანებით დაწერილ წიგნებში, რომლებიც მკითხველის ეყურადღებობის წყალობით წაუკითხავი დარჩა, ერთი თვისება შეინიშნება, რომელიც ფოლკნერისათვის მთლად ახალი არ გახლავთ და ჯერ კიდევ „სარტორისსა" და „სავანეში" გამოვლინდა, ხოლო შემდგომ რომანებში გაცილებით უფრო გაძლიერდა, რადგან საშინელებებისა და შემაძრწუნებელი სახეებით არ იყო დაჩრდილული. ეს ის უბრალო, რაღაც დარბაისლური და ეკიდურესად მახვილი იუმორია, რომელსაც იშვიათად თუ შევხვდებით თანამედროვე მწერლობაში (თუ არ ჩავთვლით ერსკინ კოლდუელს — კიდევ ერთ სამხრეთელს). ცხენით ვაჭრობის ეპიზოდი „სოფელში" ან ტეხასის ჭრელ ცხენებზე დაწერილი მოთხრობა „დევიდ კროკეტი"-ს ალმანახიდან აღებული ამბებით მთავრონებულსა ჰგავს. მსჯავრდადებულის ამბავი, მთელ მისისიპში ყველაზე დიდ მდინარეს რომ არ დანებდა, გადმოცემული მოთხრობაში „მოხუცი", თავისუფლად შეიძლება „ჰეკლბერი ფინის" გაგრძელებად ჩათვლილიყო. გეჩვენება, რომ ჰეკლბერი ფინის რომელიმე უფროსმა მეგობარმა დეიდა სოლი ფელფსის ფერმიდან ჰეკის ამბებზე უფრო ამაღელვებლად აღწერილი თავგადასავლების საძიებლად ვახწია ალიგატორებით სავსე მდინარისაკენ, რომლის ნაპირებზეც ჩინელები ბინადრობდნენ.

ფოლკნერმა ამერიკული მწერლობის ორი ტრადიცია შეუხამა ერთმანეთს: ფსიქოლოგიური საშინელებების ტრადიცია, რომელიც ხშირად სიშბოლიზმს უახლოვდება და ჩვენი პირველი პროფესიონალი რომანისტის ჩარლზ ბროკდენ ბრაუნიდან იღებს სათავეს, ხოლო შემდეგ კი ისეთი მწერლების შემოქმედებაზე ვრცელდება, როგორიც იყვნენ პო, მელვილი, ჰენრი ჯეიმსი (გვიანდელ მოთხრობებში), სტივენ კრეინი და ჰემინგუეი, და მეორე: უკიდურესი იუმორისა და რეალიზმის ტრადიცია, რომელსაც საფუძველი აუგუსტუს ლონგსტრიტის „ჯორჯიის სცენებში" ჩაეყარა და თავის მწვერვალს მარკ ტვენის შემოქმედებაში მიაღწია.

მაგრამ ამერიკელი მწერალი, რომელსაც ფოლკნერი ეხათესავება, ჰოფორნია — მაი მორის ირსებული უკიდურესი განსხვავების მიუხედავად.

ფოლკნერი და ჰოთორნი ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ივლისი — დეკემბერს, სითბო — სიცივეს, ჭაობი — მთას, მდიდრული — ღარიბულს, მაგრამ სრულყოფილებ, როგორც პურიტანი — პლანტატორს, და ეს ორი ჰოთორნს ისეთივე დამოკიდებულება აქვს ახალი ინგლისისადმი, როგორიც ფოლკნერს სამხრეთისადმი, თუმცა ორივე ავტორს შესანიშნავად აქვს შეცნობილი ამ რაიონების თავისთავადობა.

სამოქალაქო ომმა ჰოთორნს აგრძნობინა, რომ „ჩრდილოელები და სამხრეთელები ორი სხვადასხვა ერია, გამიჯნული აზროვნებითა და ჩვევებით და სჯობს ერთ ყალიბში თავიანთი ცხოვრების მოქცევა არც კი სცადონ".

1861 წლის გაზაფხულზე ჰოთორნი თავის კოლეჯელ მეგობარს ჰორეიშიო ბრიჯს წერდა: „ჩვენ ერთი ერი არასოდეს ვყოფილვართ და არც საერთო სამშობლო გვქონდა ოდესმე". „ახალი ინგლისი სწორედ იმხელა შიჩის ნაგლეჯია," — წერდა ჰოთორნი მოგვიანებით, „რასაც ჩემი გული დაიტევს!" მაგრამ ახალი ინგლისი მისთვის მხოლოდ მიჩის ნაგლეჯი არ იყო. ეს ისტორიის ნაგლეჯი და შემეცნების გარკვეულად ჩამოყალიბებული მდგომარეობაც იყო. როგორც ფოლკნერმა შექმნა სამხრეთის ლეგენდა, ჰოთორნმაც თავი მიუძღვნა ახალი ინგლისის მორალთან დაკავშირებულ იმ იგავებისა და ლეგენდების შექმნა-დამუშავებას, მის ეულ სულში რომ ბუდობდნენ.

კონკორდში, თავისი სახლის უკან ალმართულ მთაზე ამავალი ჰოთორნი თითქოს რაღაც ხმის გაგონებას ელოდა. კლდეს ამოფარებული, ნადირის მოლოდინში სულგანაბულ მონადირესავით გაუნძრევლად იწვა და როდესაც ეს ხმა გაისმოდა, მართალია, უფრო ნელა, ფრთხილად, საკლები გზნებითა და ფორმისათვის მეტი ყურადღების დათმობით, ვიდრე ფოლკნერი, მაგრამ ისეთივე ერთგულებით, ამ ხმის ნათქვამ: გასაგებ სიტყვებად ალაგებდა, თუ ხმა დუმდა, ის არ წერდა.

„გუმანით ვგრძნობ, რომ სჯობს ჩუმად ვიყო", — წერდა ჰოთორნი თავის გამომცემელს. — „შეიძლება კვლავ მომიზღვავდეს სულის ძალმოსილება, შეიძლება არა."

ასევე ფოლკნერიც იძულებული იყო, ამ ხმასა და სულის ძალმოსილებას დალოდებოდა: არსებითად ის რომანისტი არ არის, რადგან არ მიეკუთვნება მწერლებს, რომლებიც მოქმედებებსა და პერსონაჟებზე დაკვირვებებს თხზულების ქარგაში მოაქცევენ ხოლმე. მისი ლექსების სიხუსტის მიუხედავად, ის უფრო ბარდი ან ეპიკური პოეტია პროზაში, შემქმნელია მითებისა, ერთმანეთში გადახლართულნი, სამხრეთის ლეგენდას რომ ქმნიან.

□

ვიტალი ვილენკინი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამედეო მოდილიანი

თარგმნა **ლარისა ტიტვინიძემ**

●

მიქელიმ თავის ახალგაზრდა მოწაფეს „ზეადამიანი“ შეარქვა, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სულ ნიცშე ეკერა პირზე და თითქმის ზეპირად იცოდა „ზარათუსტრა“ და „ხიკეთისა და ბოროტების მეორე მხარე“. ნიცშე „მისი ფილოსოფოსი“ იყო, ხოლო ბოდლერი და დ'ანუნციო „მისი პოეტები“. მაგრამ როგორც მისი ამხანაგები იხსენებენ, ეს „ზეადამიანი“ გულწრფელად იყო ალტაცებული პრერაფაელისტებით და, ეტყობა, არც იმის წინააღმდეგი იყო, რომ როგორმე ეცდუნებინა მიქელის კოპწია მოახლე, საერთოდ კი „მოკრძალებული და კეთილად ზრდილი ახალგაზრდა იყო“.

ერთ მშვენიერ დღეს ამედეომ გამოუცხადა დედას, რომ გადაწყვეტილი აქვს, მიატოვოს ლიცეუმი და ამიერიდან მთლიანად მიეცეს მხატვრობას. დედის დღიურში ჩნდება 1899 წლის 10 აპრილის ჩანაწერი: „დედომ მიატოვა ლიცეუმი და აღარაფერს აკეთებს გარდა ხატვისა. სამაგიეროდ ხატავს ყოველდღე და მთელი დღე შეუნელებელი გატაცებით. რაც კიდეც მაოცებს და მახარებს. თუკი ასეთი მეცადინეობითაც ვერაფერს მიაღწია, მაშასადამე, იმედიც გადაწურული უნდა იყოს. მასწავლებელი კმაყოფილია. მე ამისი არაფერი გამეგება, მაგრამ მგონია, სამი თუ ოთხი თვის მეცადინეობის შემდეგ საკმაოდ გაიწაფა ხელი და კარგად ხატავს“.

მაგრამ 1900 წლის ზამთარში ფილტვების ტუბერკულოზის უეცარმა აფეთქებამ შეწყვიტა მისი მეცადინეობა მიქელისთან. საჭირო შეიქნა სასწრაფოდ წაეყვანათ სამხრეთში. ფული საამისოდ, რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც ამედეო გარსენი ეხმარება დას. მისი წყალობით დისშვილმა დედასთან ერთად ერთ წელზე მეტი დაჰყო ტორე დელ გრეკოში, ნეაპოლში, ამალფიში, კაპრიზე, საიდანაც შემდეგ რომში გაემგზავრნენ.

ამედეოზე, თუნდაც მარტო მისი წერილებითაც რომ ვიმსჯელოთ, უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა ამ პირველმა შეხებამ იტალიის ბუნებასა და ხელოვნებასთან. მან ხომ მაშინ პირველად იხილა სამხრეთის ზღვისპირეთის პეიზაჟები, შემდეგ რომი, რომი ანტიკური და რომი თანამედროვე, იხილა მთელი თავისი სიდიადით, გამომწვარი თიხისა და ფერფლის თითქოს მიმჭრალი კოლორიტით, გასაოცარი ოვალური მოედნებით და ციხფერი, მჩქეფარე შადრევნებით, ხელოვნების ნიმუშებით სავსე ეკლესიებით, ტაძრების მსგავსი გალერეებით, ერთი სიტყვით, იხილა რომი მთელი თავისი უკვდავი და შეუდარებელი მომხიბვლელობით.

1902 წლის გაზაფხულზე ამედეო ცოტა ხნით ბრუნდება ლივორნოში, შემდეგ ფლორენციაში მიდის სწავლის გასაგრძელებლად. 7 მაისს იგი ჩაეწერა ფლორენციის სამხატვრო აკადემიასთან არსებულ „შიშველი ნატურიდან ხატვის თავისუფალ სკოლაში“. მეცადინეობდა უმთავრესად ფატორისთან, რომლის სახელოსნო მოთავსებული იყო აკადემიის დაძველებულ სხვენზე, სადაც მუდამ ცივოდა.

ეს გაყინული სხვენი ალბათ რაღაც მოწყენილი კუნძულივით ჩანდა ფლორენციის გაზაფხულის ფონზე, როცა ყველაფერი მზესა და სითბოში ლივლივებდა, როცა ირგვლივ ყველაფერი მესრებსა და კედლებზე აცოცებული წვრილ-

---

დასაწყისი იხ. „საქნარი“ № 2, 1984 წ.

წვრილი ვარდების სურნელით ყო გაჟღენთილი.

მოხუცი ბრაზობდა თავის ყოფილ მოწაფეებზე, რომელთაც მის გაკვეთილებს მოდური „გალიციზმი" ამჯობინეს და თანამედროვე პარიზით მოიხიბლნენ. ამედეომ ჯერ კიდევ ლივორნოში შეიყვარა იგი, როცა ფატორი თავის ერთგულ მეჯელისთან ჩამოდიოდა და გაკვეთილებს ატარებდა მის ხახელოსნოში, ახლაც, განსაკუთრებით ნახატის სფეროში, ამედეოს შეეძლო ბევრი რამ ეხეხებინა თავისი პირველი მასწავლებლის მასწავლებლისაგან.

უფიცისა და ბიტის სახელგანთქმულ მუზეუმებში კი მას ელოდა სიმონე მარტინის, ბოტიჩელის, ფილიპო ლიპის ტილოები, იტალიური კვატროჩენტო, რომელიც მთელი სიძლიერით დაატყდა თავს სან-მარკოს მონასტრის სენაკების შიშველ, ჩაბნელებულ კედლებზე კი ფრა ანჯელიკოს ფრესკები; ბობოლის მწვანე ბაღები, ლილისფერი, ლურჯი და ნაცრისფერი ზამბახებით მოფენილი მინდვრები, ხეების ტოტებიდან გამომზირალი Santa Maria del Fiore, მისი მოწითალო გუმბათი. მეორე ფლორენცია — დანტეს მკაცრი, ბოროტი ფლორენცია, ელანდებოდა იქ, სადაც არ ეძიებდნენ მას ტურისტები, სადაც უკვე დიდი ხანია წაიშალა მისი კვალი და ახსენდებოდა ბავშვობიდანვე გონებაში ჩარჩენილი ღვთაებრივი ტერცინები. ეს იყო მოდილიანის პირველი სიყვარულის გამეღვიძება ხამშოხლოხადმი. შემდეგ ეს სიყვარული კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა 1909 წლის მარტში ვენეციაში ჩავიდა. პირველად იგი 22 მარტის ელეგანტურ ჭუჭაზე ცხოვრობდა, სან-მარკოს მოედნის გვერდით (ამიტომაც შესაძლოა სწორედ აქ, Piazza San Marco-ზე, უფრო იოლია წარმოვიდგინოთ იგი ჩამოსვლის პირველ დღეს, მოხიბლული ულამაზესი ტაძრით, რომელიც თითქოს მის შესახებებლად გამოცურდა მარტის ნესტიანი ხალამოს ბინდბუნდიდან მუქი ნარინჯისფერი კამპანელით, დოჟთა პალაცოს მარმარილოს ორნამენტებით). მაგრამ თავისი ხახსრები ამ რაიონში ცხოვრების უფლებას არ აძლევდა და მალე მოძებნა უფრო მყუდრო თავშესაფარი ძველ, ბათქაშჩამონგრეულ, პირქუშ, ნახევრად დანგრეულ სახლში. უნდა აღინიშნოს, რომ მოდილიანი შემდეგშიც, პარიზშიც, ყოველთვის ასეთ პირქუშ, ნახევრად დანგრეულ სახლებში ცხოვრობდა და ხშირად იცვლიდა ადგილსამყოფელს. მიზეზი კი ამისა იყო მწოლარე და მხოლოდ ხილარიბე.

შემოხაზულია ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ 1909 წლის 19 მარტს მოდილიანი მიღებულია ვენეციის სახვითი ხელოვნების ინსტიტუტში, „შიშველი ნატურის თავისუფალ სკოლაში", იხსენებენ, რომ სკოლაში იგი იშვიათი სტუმარი იყო. ამჯობინებდა ხატვას ყავახანებსა და ბორდელებში. ვინ იცის, იქნებ ტულუზ-ლოტრეკსაც ბაძავდა, რომელსაც [illegible] კარგად იცნობდა რეპროდუქციებიდან. ამ მხატვრის სტილმა კიდეც აჩინა თავი მოდილიანის უფრო შემდეგდროინდელ ნახატებში.

ვენეციაში შესრულებული მისი ნაშუშევრებიდან არაფერი შემორჩენილა, ყოველ შემთხვევაში, დღემდე არ არის აღმოჩენილი, ერთადერთი ცნობილი ნახატი ამ პერიოდისა არის მხატვრისა და მოქანდაკის — ფაბიო მაურონერის პორტრეტი (ამედეოს ამხანაგი, რომელთან ერთადაც ჰქონდა სახელოსნო), რამაც მხოლოდ ფოტოს სახით მოაღწია ჩვენამდე. ამ ნახატის ორიგინალი დაკარგულია. მაგრამ ცნობილია, რომ აქაც, როგორც ყოველთვის, ბევრს მუშაობდა, თუმცა ხალხშიც ხშირად ტრიალებდა.

ვენეცია, ისევე როგორც ფლორენცია, იმდროინდელი ინტელიგენტური ახალგაზრდობის ცენტრი იყო ფილოსოფიის, ლიტერატურის და ესთეტიკის სფეროში. ჯერ ისევ ფლორენციაში ყოფნისას მოდილიანი დაუმეგობრდა ახალგაზრდა ნიჭიერ მწერალს ჯოვანი პაპინის, ჟურნალ „ლეონარდოს" დამაარსებელსა და რედაქტორს, რომელიც აგრეთვე გატაცებული იყო ნიცშეთი და დ'ანუნციოთი, პაპინის ავადმყოფური, კონვულსიურ-ტრაგიკული მსოფლშეგრძნება და ათეიზმით გატაცება იზიდავდა ახალგაზრდების გონებას. მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა პაპინის რამდენადმე მოგვიანებით ასეთივე გატაცებით მისცემოდა მისტიციზმს და განახლებულ ტოლსტოურ ქრისტიანულ ქადაგებას (შემდეგ ერთიც და მეორეც როგორღაც შეერწყა ფაშიზმს). პაპინიმ წახალისებად გადასცა ამედეოს თავისი ნოველების პირველი კრებულის ხელნაწერი «Tragico quotidiano» („ტრაგიკული ყოველდღიურობა"). ეტყობა, აფასებდა მის აზრს.

მეორეს მხრივ, სწორედ ამ დროს ვენეციის ლაგუნებთან გაისმა ელეგიური მელანქოლიით აღსავსე ხმები ეგრეთ წოდებული „ბინდის პოეტების" („Crepusculari"), რომელთაც სათავეში უდგნენ იტალო სვევო და გვიდო გოძანო. ეხენი არცთუ ისე დიდი, მაგრამ გულწრფელი პოეტები იყვნენ და თავიანთი ფორმის ძიებებით ახლოს იდგნენ ფრანგულ მოდერნიზმთან. მათ შემოქმედებაში იტალიური ხალხური პოეზიის გამოძახილი უცნაურად ერწყმოდა „ინტელიგენტურ" ლირიკულ მინორს. მათ ლირიკაში ისმოდა ხევდანარევი შიში და უიმედობა — ალარც მომავლისა სწერეოდათ და ალარც ხელოვნებისა.

შორს ალარ იყო იტალიური ფუტურიზმის და-

საწყისიც. მისი მოახლოება უკვე იგრძნობოდა ცხარე კამათებში, რომლებიც მხატვრობის განვითარების გზებს შეეხებოდა. ამ კამათში ცდილობდნენ ჩაეთრიათ მოდილიანიც მის მეგობრებს: ბოჩონოს, სევერინის და სხვა მომავალ ფუტურისტებს.

ყოველივე ამასთან ერთად წვრილბურჟუაზიული ახალგაზრდობის გარკვეულ წრეებში აშკარად იჩინა თავი გულგატეხილობამ დემოკრატიული იდეალებით, რაც ჯერ კიდევ გარიბალდიდან მოდიოდა. განდგომა სოციალიზმიდან და ამავე დროს პასიური ანდა პირიქით, გამძაფრებული პროტესტი ბურჟუაზიულ-ობივატელური კეთილდღეობის მიმართ, რამაც ერთიანად მოიცვა მონარქიული იტალია. ეს პროტესტი სხვადასხვა გზას პოულობდა და მათ შორის პოლიტიკურად საეჭვებით გარკვეულ გზასაც. მოდილიანი შორს იდგა მათგან, იგი თავისი გზით მიდიოდა — დაბნეული, ძნელად საეჭვი, განდგომილის გზით, ერთი სიტყვით, მხატვრის გზით. თუმცა უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი ჯერ კიდევ გზაჯვარედინთან იდგა თავისი ძირითადი შემოქმედებითი მოწოდების მხრივაც კი. მაგალითად, 1902 წელს იგი ეუბნებოდა ორტის დე სარატეს, როცა ისინი ვენეციაში შეხვედრიან ერთმანეთს, ყველაზე მეტად მიტაცებს ქანდაკება და, თუ არა მასალის სიძვირე, ხელს სხვა არაფერს მოვკიდებდიო, მხატვრობით მხოლოდ იმიტომ ვიკმაყოფილებ თავს, რომ სხვა უკეთესი არ გამაჩნიაო. შეიძლება ეს აღიარება შემდეგ გადაჭარბებული კატეგორიულობით შემოსა ორტისმა, მაგრამ მოდილიანის გატაცება ქანდაკებით ჯერ ისევ იტალიაში ყოფნის დროს დასტურდება მისი წერილითაც, რომელიც რომიტისათვის მიუწერია. (წერილი უთარიღოა, გამოგზავნილია პიეტროსანტიდან, კარარის მიდამოებიდან). აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ დროს (იმავე 1902 წელს, როგორც ათარიღებს რომიტი) მოდილიანი უკვე დამწყები მოქანდაკეა.

საეჭვებით შესაძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ეს უფრო დასაჯერებელია, ვიდრე გვიდო კადორინის მონათხრობი, რომელიც მაშინ თორმეტი წლისა იყო და ახლა იხსენებს, მან და მოდიმ ჯერ ისევ ვენეციაში როგორ გასინჯეს მაშინში და იწამეს „ოკულტიზმი" ვიდაც ბარონეტისა და გვიდეკოს ყვარტალის ქალიშვილების ხაზოგადოებაში.

ჩვენამდე მოღწეულ წერილებში კი არაფერია ნათქვამი მხატვრობაზე გულის გატეხვის შესახებ. პირიქით, იგი ყოველთვის აღტაცებულია მხატვრობით. თუმცა ასე იყო თუ ისე, მხატვრობისა თუ ქანდაკების გულისათვის ერთხანია ჭაბუკს დაუოკებლად ეწეოდა გული პარიზისაკენ, რომელიც ოცნებაში ეხახებოდა როგორც ცენტრი და ამავე დროს სკოლა ახალი, მისთვის ახლობელი ხელოვნებისა. როცა ახალ ჟურნალებს ათვალიერებდა, ბმირად წაწყდომია მისთვის საინტერესო [illegible] ახალგაზრდა მხატვარი [illegible] არდენგო სოფიჩი, რომელმაც სამი წელი დაპყო პარიზში, გატაცებით უყვებოდა სეზანზე და უახლეს მხატვრებზე—მატისზე და პიკასოზე, რომელთაც იქ უკვე დიდი აღიარება მოიპოვეს.

1905 წლის დამლევს ამედეოსთან ვენეციაში ჩამოვიდა დედა. ხაჩუქრად ჩამოუტანია უაილდის „ჩრედინგის ციხის ბალადა", ნაბა ამედეოს მიერ შესრულებული ერთი მისი ძველი ნაცნობის პორტრეტი და, თუ მის დღიურს დავუჯერებთ, არცთუ დიდად ირწმუნა ვაჟიშვილის მომავალი ცხოვრება მატერიალური თვალსაზრისით, მაგრამ პარიზში წასვლის სურვილი კი გაუგო და მოუწონა. დედას ყოველთვის ეხმოდა მისი და შინაგანად, დედობრივად იღებდა ყოველ მის მნიშვნელოვან, ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებას. ფული, რაც ხაჭირო იყო მისთვის გამგზავრებისა და პირველ ხანებში პარიზში ცხოვრებისათვის, როგორღაც შეუგროვა, თუმცა ესეც არ იყო მისთვის იოლი.

ნეაპოლიდან, რომიდან, ვენეციიდან ამედეომ რამდენიმე წერილი გამოუგზავნა თავის უახლოეს მეგობარს — ოსკარ გილიას, შემდეგში სახელგანთქმულ მხატვარს. ამ წერილებმა ჩვენამდე მოაღწია და პირველად 1930 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ «L'Arte»-ში. მერეც რამდენჯერმე გამოიცა მცირეოდენი შემოკლებით. ეს წერილები მეტად მნიშვნელოვანია, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ, რა სულიერი მარაგით ჩავიდა მოდილიანი პარიზში. ამიტომ აუცილებელად მიმაჩნია, მოლიანად მოვიტანო ეს წერილები.

წერილები დათარიღებულია 1901—1903 წლებით, მაშასადამე, მათი ავტორი ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისაა. ამას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

მოდილიანის წერილები ოსკარ გილიასადმი
სახტუმრო პაგანო. კაპრი.

I

ჩემო ძვირფასო გილია!

...ამჯერად მაინც მომწერე პასუხი, თუკი შენ, დაფნებით ესოდენ დამძიმებულს, კიდევ შეგწევს ამის უნარი.. ეს-ეს არის წავიკითხე „ტრიბუნა" და შევიტყვე, რომ შენი სურათი მიღე-

ბულია ვენეციაში. „ოსკარ გილია — „ავტობიოგრაფია". ნათლად წარმოვიდგენია ეს ავტობიოგრაფია. შენ მიყვებოდი ამის შესახებ, იგი ხომ ჯერ კიდევ ლივორნოში დაიწყე. ფულწოფელად მახარებს შენი წარმატება. გინდ დამიჯერე, გინდ არა — ამ ახალმა ამბავმა აღტაცებაში მომიყვანა.

მე ახლა კაპრიზე ვიმყოფები, რათა აღვიდგინო ჯანმრთელობა, აღგილი მართლაც რომ დიდებულია...

ამ ოთხი თვის განმავლობაში არც ერთი სურათი არ დამიმთავრებია, მასალა კი უამრავი დამიგროვდა. მალე რომში ჩავალ, მერე კი ვენეციაში ვაპირებ წასვლას გამოფენაზე...

იმედი მაქვს, ოდესმე ჩემთვისაც დადგება დრო, როცა შესაძლებლობა მომეცემა დავმკვიდრდე ფლორენციაში და შევუდგე მუშაობას...

...ცუდად ნუ გამიგებ, მაგრამ მინდა მთელი ჩემი შესაძლებლობით წეხრიგში მოვიყვანო და განვავითარო ყველა შთაბეჭდილება, ყველა იდეა, რომელიც დაიბადა ჩემში ამ ხიმშვიდის ჟამს, თითქოს ზღაპრულ ბალნარში რომ გავატარე...

მაგრამ მოდი ახლა შენზე ვილაპარაკოთ. მე და შენ ერთმანეთს დავშორდით ჩვენი ერთობლივი სულიერი და შემოქმედებითი განვითარების გადამწყვეტ მომენტში და ხვადასხვა გზით განვაგრძეთ სიარული. ახლა მინდა შეგხვდე და ვილაპარაკო შენთან.

მიიღე ეს წერილი არა როგორც მომავალი წარმატებების ჩვეულებრივი ხურვილი, არამედ როგორც შენი მეგობრის გულწრფელი ყურადღების დადასტურება.

მოდიანი.

II

ვილა ბიტერი, ანაკაპრი, კუნძული კაპრი.

ჩემო ძვირფასო ოსკარ!

მე ახლა კაპრიზე ვიმყოფები, თუმცა მინდოდა ახლა მხოლოდ რომიდან მომეწერა შენთვის წერილი, ორი-სამი დღის შემდეგ რომში ვიქნები, მაგრამ შენთან გასაუბრების სურვილმა კალამი ამაღებინა ხელში.

ვფიქრობ, შეიცვალე ფლორენციის გავლენით. შეგიძლია წარმოიდგინო, როგორ შევიცვალები მე, როცა ფლორენციაში ჩავალ?

კაპრი, რომლის ერთი ხსენება სილამაზითა და ანტიური ავბორცობით სავსე უამრავ წარმოსახვას წამოშლიდა ჩემში, ახლა მართლაც მარადიული გაზაფხულის საუფლოდ მესახება. ალაური ბუნების კლასიკურ სილამაზეში ჩემთვის იმალება რაღაც ენით აუწერელი შეგრძნება ხორციელებისა, რასაც ყველგან ვხედავ და, მიუხედავად ინგლისელი ტურისტების ხიმრავლისა, რომელთაც აავსეს მთელი კუნძული, კაპრი მაინც მოციმციმე, ჯადოსნური ყვაელილივით წარმოდგება ხოლმე ზღვიდან...

კმარა პოეზია. თუმცა წარმოიდგინე ასეთი რამ მხოლოდ კაპრიზე შეიძლება მოხდეს, ვუშინ მე და ერთი ნორვეგიელი ქალიშვილი, რომელიც მეტისმეტად ეროტიკული, მაგრამ ამავე დროს ძალიან საყვარელი აღმოჩნდა, ერთად დავსეირნობდით მთვარიან ღამეში...

მე ჯერ ზუსტად არ ვიცი, როდის ვიქნები ვენეციაში, მაგრამ აუცილებლად შეგატყობინებ. მინდა შენთან ერთად გავეცნო ვენეციას.

მიქელი? ღმერთო ჩემო, რამდენი მიხი მსგავსი დადის აქ, კაპრიზე... მთელი ლეგიონებია!

როგორ არის ვინციო? მაშინ კარგად დაიწყო იმ თავისი სურათით, რას აპირებს, მოდის თუ რჩება?

ბლიან გთხოვ, მიპასუხო. უფრო იმიტომაც გწერ, რომ გავიგო შენი და ამხანაგების ამბავი. მომიკითხე ვინციო,

მოგესალმები!

დედო.

1 აპრილი. მომწერე რომში, მოკითხვამდე.

III

აღდგომის წინადღე. რომიდან.

საყვარელო მეგობარო,

გწერ, რათა ცოტა გული მოვიოხო, თავი ვიმართლო საკუთარი თავის წინაშე.

ისევ მოზღვავდა ჩემში უკიდურესად გამძაფრებული ენერგია და ერთიანად დამიმორჩილა. ოღონდ მერე ისევ გადამივლის ხოლმე...

მე კი მინდოდა, ჩემს სიცოცხლეს მშფოთვარე, სიხარულის მომტან ნიაღვარად ედინა დედამიწაზე. შენთან ხომ ყველაფრის თქმა შეიძლება, რაღაც ნაყოფის მომტანი იბადება ჩემში და ძალისხმევას ითხოვს ჩემგან...

და მე შფოთვამ ამიტანა. მაგრამ ამგვარ შფოთვას, რომელიც სიხარულის მომასწავებელია, მოჰყვება თავბრუდამხვევი, შეუწყვეტელი სულიერი მოქმედება.

ახლა, როცა ამ წერილს გწერ, უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარი შფოთვა აუცილებელია. როცა ამას დავალწევ თავს, ახალი ძალებით ვიქნები აღვსილი და ჯერ არნახული საქაშაშით გამინათებს ჩემი მიზანი — ბრძოლაშიც, ყოველნაირ შერკინებაშიც და საფრთხეშიც...

გაგიმხელ, რა იარაღით ვაპირებ ბრძოლაში

თავდაცვას.

დღეს ძალიან მაწუხებინა ერთმა მეშჩანმა... მითხრა, რომ ზარმაცი ვარ, ზარმაცი ტვინის პატრონი, ეს ჩემთვის სახარგებლოა. ნეტავი ყოველ დილას გადვიძინებითანავე მიმეორებდნენ ასეთ შეგონებას. მაგრამ ეს მეშჩანები ვერასოდეს ვაგვიგებენ ჩვენ. მათ არ შეუძლიათ ჩახწვდნენ ჩვენს ცხოვრებას.

რომზე არაფერს გეტყვი. რომი ახლა ჩემ ირგვლივ კი არა, თვით ჩემშია, შიშისმომგვრელ ძვირფასეულობასავით რომ გაფენილა ამ ზვიდ ბორცვზე, როგორც ზვიდი ძლევამოსილი იდეა, რომი მთელი ორკესტრია, რომელშიც ჩართული ვარ მე. ეს ის წრეა, რომლითაც ვიფარგლები და ჩემს აზრებს ვინახავ. მისი ეროვლიბმომგვრელი სინაზე, მისი ტრაგიკული ლანდშაფტი, მისი ხილამაზითა და ჰარმონიით აღსავსე ფორმები — ყველაფერი მე მეკუთვნის, ჩემს აზროვნებას, ჩემს მუშაობას.

მაგრამ ძალა არ შემწევს გამოვხატო წერილში არც ხალერთო შთაბეჭდილება, რაც მოახდინა ჩემზე რომმა, და არც მთელი ის ჭეშმარიტება, რაც მისგან მივიღე. მე ახალ სამუშაოს მოვკიდე ხელი და მას შემდეგ, რაც იგი ზუსტად განვსაზღვრე, ყოველდღიური ცხოვრება ათასობით ახალ იდეას ბადებს ჩემში, შენ გწამს, რომ აუცილებელია გარკვეული მეთოდი და მისი გამოყენება პრაქტიკაში. მე კი ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი სიცხადით განვსაზღვრო ის ჭეშმარიტებანი ცხოვრებასა და ხელოვნებაზე, რაც რომის მშვენიერებაში გაბნეული იყო და მე აღმოვაჩინე და, რაკი ჩემთვის ნათელი შეიქნა ამ ჭეშმარიტებათა შინაგანი კავშირი, ვცდილობ გავაშიშვლო იგი, რათა შემდეგ ხელახლა ალვადგინო მისი კონსტრუქცია, ასე ვთქვათ, ხისი მეტაფიზიკური არქიტექტურა და ამ გზით შევქმნა ჩემი საკუთარი ჭეშმარიტება — ცხოვრებაზე, მშვენიერებაზე, ხელოვნებაზე.

მშვიდობით, მომწერე, რას საქმიანობ, იხევე როგორც მე გწერ, განა რა არის მეგობრობის აზრი, თუ არა ურთიერთსურვილი მიიზიდო შენკენ, უჩვენო გზა და ბოლომდე ისეთივე გულწრფელი იყო მასთან, როგორც საკუთარ თავთან?

მშვიდობით.

შენი დედო.

IV

საყვარელო ოხკარ,

შენ დამპირდი, გამოგეგზავნა ჩემთვის დღიური, რომელიც დავიწყეთ ჩვენი განშორების დღიდან. მოუთმენლად ველოდები. მე არ შემიძლია ჩემი დაპირება შევასრულო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არახოდეს მიწერია დღიური. განა მარტო იმიტომ, რომ ჯერ არავითარ გარეგან მოვლენას არ შეუღწევია ჩემს ცხოვრებაში, არამედ იმიტომაც, რომ დარწმუნებული ვარ, შეუძლებელია ქალალდზე გადმოტანო შინაგანი ხულის მოძრაობა, ვიდრე იგი ბეტონობს შენზე, რა უნდა დაწერო, როცა ჯერ არ დამთავრებულა შეგრძნებაე? ყოველივე ეს ხომ ჯერჯეროობით მხოლოდ განვითარების აუცილებელი საფეხურებია, რომლებიც ჩვენ უნდა გავიაროთ და რომელთა აზრი მხოლოდ საბოლოო მიზანშია. დამიჯერე, რომ მხოლოდ ის ქმნილებაა გამოხატვისა და ქალალდზე გადატანის ღირსი, რომელმაც მწვერვალს მიაღწია და მასში აისახა განვითარების ყველა ის საფეხური, რომელიც ჩვენ განვვლეთ. შემოქმედების ძალა და თვით გამოხატვის აუცილებლობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხაშუალებას გვაძლევს არა მარტო გამოხატო იდეა, არამედ გამომყო კიდეც იგი მისი შემქმნელი ინდივიდუმისაგან. უნდა დატოვო თავისუფალი გზა იმისათვის, რისი გამოხატვაც არ შეიძლება ანდა არ არის საჭირო გამომუღავნება. ხელოვნების ყოველი დიდი ნაწარმოები ისე უნდა განიხილო, როგორც ბუნების ყველა სხვა ქმნილება. ჯერ მისი ესთეტიკური არსი უნდა ამოიცნო, მერე კი გვერდი აუარო მისი განვითარების ეტაპებს, მისი შექმნის ხაიდუმლოებას და ამის შემდეგ იფიქრო იმაზე, თუ რა იზიდავდა და აღელვებდა თვით შემოქმედს. თუმცა ეს წმინდა დოგმატიზმია.

რატომ არ მწერ წერილს, როგორ არიან შენი ხურათები? ერთი მათგანის აღწერილობა წავიკითხე „კარიერში". მე ჯერ კიდევ ვერ მოვახერხე მოლბერტთან დაჯდომა. ისევ ხასტუმროში ვცხოვრობ. შენ თვითონვე იცი, რომ აქ შეუძლებელია მუშაობა. თუმცა მე აქ ბევრს ვმუშაობ შინაგანად — ვაკვირდები ბუნებას. ვფიქრობ, გამოვიცვალო ადგილსამყოფელი. ტურისტებისა და მოაგარაკეების ბარბაროსული შემოსევა ხელს მიშლის ხულიერად ჩავუღრმავდე რაშეს, რაც ჩემთვის ახლაა ყველაზე აუცილებელი. ავსტრიის ტიროლში ვაპირებ წასვლას. შინაურებს ჯერ ნურაფერს ეტყვი ამაზე. მომწერე შემდეგი მისამართით: მიზურინა. ხასტუმრო „მიზურინა". წერილი მომწერე და გამომიგზავნე დანაპირები.

ალპიური ბუნების ლანდშაფტზე ყოველდღიურმა დაკვირვებამ, მგონია, მიმიყვანოს ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შინაგან გარდატეხამდე. მინდა შენ გაგიზიარო, თუ რა დიდი განსხვავებაა მხატვართა ქმნილებებში, რომელთაგან ერთნი მუდამ დაკავშირებულნი და შერწყმულნი არიან ბუნებასთან, მეორენი კი შთაგონებას საკუთარ სახელოსნოში ეძიებენ და თვით ხე-

ლოვნების ციტადელებში მოსურვებიათ მხატვრად კურთხევა.

მხიარულებაა თქვენთან ლივორნოში?

V

(ვენეცია)

საყვარელო ოსკარ,

მივიღე შენი მეორე წერილი. დიდად სამწუხაროა, რომ პირველი, როგორც ჩანს, დაიკარგა. მე ვიგრძენი შენი ტკივილი, შენი დაეჭვება, მაგრამ უფრო შენი წერილის ტონით, ვიდრე შენი აღსარებით, რომელიც მე გამანდე. დაახლოებით მივხვდი, რა უნდა იყოს ამ ტკივილის მთავარი მიზეზი და დამერწმუნე, გულწრფელად განვიცადე და ახლაც განვიცდი ამას. მართალია, ჯერ კიდევ არ ვიცი უფრო ზუსტი, უშუალო მიზეზები, მაგრამ ჩემთვის გახაგებია, რომ ეს მიზეზები საკმარისი შეიქნა, რათა შენს კეთილშობილ სულში აღეძრა მწუხარე ზიზღი და უარი გეთქვა სიცოცხლისა და ბედნიერების კანონიერ უფლებაზე და შენს ხვედრად უნდობლობა აგერჩია.

შენ ქმედითი ცხოვრებისა და სიხარულისათვის ხარ გაჩენილი. ჩვენ — მაპატიე ეს „ჩვენ“— სხვებისაგან განსხვავებული უფლებები გვაქვს, რაშეთუ ჩვენი მოთხოვნილებებიც სხვაა. სულ სხვაა ჩვენი მორალიც ეს უნდა გვახსოვდეს და აშკარად ვაღიაროთ. შენი ჭეშმარიტი ვალია იხსნა შენი ოცხება. სილამაზესაც ხომ აქვს თავისი მძიმე მოვალეობანი, ოღონდ ამ მოვალეობებს სტიმულს აძლევს უმშვენიერესი ძალები სულისა. ყოველი გადალახული წინააღმდეგობა სიმტკიცეს მატებს ჩვენს ნებისყოფას, ხელს უწყობს აუცილებელ განახლებას და წარმოგვიდგება როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი ჩვენი მიზნისაკენ. აუცილებელია შევქმნათ წმინდა კულტი, ამას გეუბნები შენც და საკუთარ თავსაც — ყველაფერი ის, რასაც შეუძლია გააღვიძოს და გაძლიეროს შენი სულიერი ძალები intelliegenza). ყოველთვის ეცადე აღაგზნო ეს ნაყოფის მომცემი სტიმულები, არასოდეს ჩაიქრო, რაშეთუ მხოლოდ მათ ძალუძთ, მიუახლოვონ ჩვენი გონება მაქსიმალურ შემოქმედებით სიძლიერეს. ამისათვის გვმართებს ბრძოლა. განა შეიძლება შემოიფარგლო მათი ვიწრო მორალით? უკუაგდე ეს მორალი, სძლიე იგი, ადამიანი, რომელსაც უნარი არ შესწევს საკუთარი ნებისყოფის სიძლიერით თავისუფლება მიანიჭოს ყველა თავის ახალ ხურვილს, საკუთარი ინდივიდუალობის ყოველ ახალ გამოვლენას, რათა მუდამ შეინარჩუნოს საკუთარი თავის რწმენა, მას არც იმის უნარი აქვს, რომ დაანგრიოს დრომოჭმული და დამპალი, იგი არ არის დირსი ეწოდოს ადამიანი... იგი მეშჩანია, ფარმაცევტი, ერი, ხიტაელი, დაარქვი რაც გინდა! შენ იტანჯები, და გაქვს საამისო მიზეზები, განა არ შეიძლება შენი ტანჯვა სტიმულად აქცეო, ტრაგედიად, ...ამ ...ებს, უფრო ზევით აიტაცებს შენს ...ს და უფრო მეტად საინუკვარს გახდის შენთვის?

შენ შეგეძლო ამ თვის ბოლომდე ჩამოხფლიყავი ვენეციაში, ოღონდ ნუ დაბარჯავ ამისათვის მთელ შენს ფულს. ფიეზვიე, რომ შენი ესთეტიკური მოთხოვნილებანი საზოგადოებრივ მოვალეობაზე მაღლა დაიყენო. თუ გამოქცევა გინდა ლივორნოდან, ამაში შეშიძლია დაგეხმარო, ოღონდ არ ვიცი, გინდა თუ არა, ეს. ჩემ თვის ეს დიდად სასიხარულო იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, პასუხი შემატყობინე.

ვენეციაში უძვირფასესი გაკვეთილები მივიღე. უფრო მომწიფებული ვტოვებ ვენეციას, ვიდრე ეს დიდი შემოქმედების შედეგად შეიძლებოდა მომხდარიყო. ვენეცია თავია მედუზისა, რომელიც მოსილია უამრავი ლურჯი გველებით, იგი გიგანტური ძვირფასი ქვის თვალია, რომელშიც იხსნება შენი სული და უსაზღვროებამდე მაღლდება.

ეს წერილები მეტად ბევრის მთქმელნი არიან და ძალიან ბევრ რამეზე მიგვანიშნებენ. უპირველეს ყოვლისა, ისინი გვაოცებენ შემოქმედებითი გატაცების მგზნებარებით და საამყაროს შემოქმედებითად აღქმის დაუძლეველი ხურვილით. მათში არ არის არავითარი ახალგაზრდული უპასუხისმგებლობა და თითქმის არაფერი არ არის შემთხვევითი. მაგრამ მათ სტილსა და შინაარსში გარკვეული აისახება სამი განსხვავებული ფენა, სხვადასხვა სიღრმეზე განლაგებული.

ყველაზე ზედა ფენა ითლად გამოიყოფა დანარჩენებისაგან. ეს არის ფსევდოპოეტური რიტორიკა, რომელიც, ეტყობა დ'ანუნციოსაგან უსესხებია. ეს სიმრავლე წარმოსახვებისა, აღსავსე მშვენიერებითა და ანტიკური ავსორცობით, ეს ყველგან მსუფევი, ენით აუწერელი შეგრძნება ხორციელებისა, რომელიც ამალება აქაური ბუნების კლასიკურ მშვენიერებაში, ეს შვიდ ბორცვზე გაფენილი რომი, როგორც შვიდი ძლევამოსილი იდეა და ა. შ., ყოველივე ეს მისი მაშინდელი ლიტერატურული კერპის დაძაბული, მაღალფარდოვანი სტილითაა დაწერილი. მერე სადღაც თვითონვე იგრძნობს ამას და შესწყვეტს თავის „პოეზიას“.

შემდეგ ამას მოსდევს ფენა, რომელსაც შეიძლება „ნიცშეანური“ ვუწოდოთ. ეს უფრო ღრმადაა ფესვგადგმული, უფრო ინტელექტუალური და უფრო მეტ სიფრთხილესაც უქადის მოშავალში. ეს შემდეგში კიდევ იჩენს თავს.

როცა ამ დღეს მსჯელობს ხვნებია ნიკეშენ-ბერად შემოქმედების სუბიექტურ და ობიექ-ტურ არსზე და დაფიქრებია მოიოხაზს, გაბედულ-ვყვარო დაეკითხოთ ზეგანილი ბანი ქმნი-ლებისაგან? ალბათ ზეწყვეს ფანარი ფარული ბი-ეგის ფოხა. ბეწყვეტილის „ზეკანმზეტყველური ძა-ხვეა და „ეროვნული დოგმატიზმი" ეწოდოს ამას. ზაგრად ალბა ბეკერდეთ, ორის რალაც ფერო ოდენი და ფეიერეზიდი: ამ ახალგაზრდა მხატვ-ერის მზერაალე, გულწრფელი, შეურიგებელი ანტიბურჟუაზიულობა. ზაზული თვითმყოფადი ინდივიდუალობისა და ზეშნაზობისადმი — ფეფელოფერი ეს ინდივიდად ძალიერია მასში, რომ ენერგიულად, ანე თუ ისე, მის ეიველ ნაბიჯში ეჩენა თავს და ზის ფიდლეზ ეკლევი განაცხა-ლოს, რომ ხალია „ზეფრთვა" და, მისგან განთა-ვისუფლებაზეა „ჯერ ორნაბული ხაცხალეთ ეხა-ზება თავისი ძალანი" და ზზად ორის „ბრძოლისა, ზეკოანებისა და ხაფრთხისათვის". ბაგრამ ეგი ეკლეა ამბრნეს, რომ ეს ხაბრძოლი ხულიხეკვეთება ბზოლიდ ზეეს (ეხე ეგი ბურჟუაზიულ-ზეშნაზეს) ბორალთან. ბწვევე ზეტაკების ზედეგად წარ-ბოიშვება ხოლო „ჩვენი ბორალი (ეხე ეგი ზემოქ-ზედებია და, ბაშალაბაზე, თავისუფალი) რა-გორაც სცილდება ამ ბრძოლეზს. რაიზელიც ყველაზე ზეტად ადილაებს — ხელოვნებისა და ცხოვრების, ხელოვნებისა და ხაზოგადოების, ხიდეოლოგიისა და ზეეი ფანზეშნიფების ბრძოლი-ზან. ეგი ზზად ორის ნიკეზეს ყველაფერ ბოტ-ბა ზეანბას ბორალების ხტაქიერ ძალას, რო-ზელიც ბრალერი არ ორის ზეზღუდული, თვით-რეზენას, რაიზელიც ალარ ეზორჩილება ორავ-თარ ზოიალს. ორავერარ ზნეობრივ ზეკონებას ეგი ფულწრფელად ბოეეწოდება თავის ზეგო-ბარს. ეგრეალე დაბეკეზ ზხატვარს „დაეკონოს თავისი ეზოტიკური ზეიაზოვნილება ხაზოგა-დოებრივ ზოალეზობაზე ზალეზ". ცხრაზეტი ყლის ხიკეზალეი ზეეკალი ბორალბორიზეთ, ალტაცებაა ინეორეს. რომ ზხატვარი „რეგ-ელია" ზორის ალან, რომ ეგი ზოხალია ეზაზ-ალური ეკლებებით, ზოკალეიხა კი: ზზოლიდ ერთი ალარია — ხაკეთარი ბორალების კ�ტ-ალეარება, რალა არ ჩაკრეს ზისი ზისაზრდოე-ნალი ბტეზულები, რა თქმა ეზნდა, ეზარეე-ზეს ეიალეზა, ზზოლიდ ეზოტიკური და ალეალბაზარი.

ალბათ ყველაზე ბოლია, ზოალალია ამ წე-ალილების ალტორი „ეზეზრძოლი ინდივიდუალის-ტალ", „ალეალეტ ალარალ" ან სხვა-ალაალე ამის ზხვალეზალ. ამ ხიკეზალეარ ნიტალ, ალეალ, ალეალ ალეალეზე რომ ან ფერალეალს ალალეა სხვა, ალეალეა ეს ალალ ალალეა, ხალალეალალ, ხაკეთარია, და ალალ ალალია.

ხალალარია, ალალარი ხიკალეთალ ეძალს ეგი ხალალ ხალალარ ხალალალ ალალ „ეალალალ ალალ ალალ ალალ", ალალ ალ ალალ ზის ზალ-ალალ ზალალალ ალალ ალალ ალ ალ

დაკვირვებული ბიოგრაფი — ფრანგი რუსოლი.

ახლა პარიზში, სადაც არავინ იცდიდა მისი აღიარება, ეს შინაგანი წინააღმდეგობანი უკიდურესობამდე გაძაფრდა, ამგვარ ვითარებაში ან უალრესი ვაჟკაცობა გამოამჟღავნა: არ დაბნა, არც სხვისი ნიღაბის აფარება იცდიდა, არც ვინმეს მიეკედლა, არც არავის და არაფერს შეეგუა. არაფერი არ დათმო იმისაგან, რაც მისთვის ძვირფასი იყო, არც მაშინ და არც შემდეგ მიზნად არ დაუსახავს ვინმეს მოსწონებოდა. წარმატება მისთვის მხოლოდ გამარჯვების ნიშნავდა. არა, მას არ დაუწყია შუმხალიანი პორტრეტების ხატვა ლუკმაპურის საშოვნელად. როგორც დიდებულად თქვა ოსტომ, იგი ერთი იმ მხატვართაგანი აღმოჩნდა, ვისაც „წილად ხვდა ფუფუნება ლატაკად დარჩენისა". ფუფუნება იმისა, რომ არავის ეღიარებინა, და მაინც ბოლომდე ერთგული ყოფილიყო თავისი იდეალებისა, დაეუმატებ ჩვენ. არ ეღიარებინა მისთვის ყველაზე მახლობელთ, რამდენადმე თანამოაზრეებსაც კი, ლიტერატურისა და ხელოვნების ნოვატორებს. ან უარყო ყუბიზმი, როგორც მეთოდი, რომელიც მიმართულება, ვერ მოიზიდა ფერც ფოვიზმით, ვერც ხიმბოლიზმით, ასევე 1910 წელს მოდილიანიმ გადაწყვიტა უარი განაცხადა ხელი მოეწერა ფრანკო-იტალიურ ფუტურისტულ მანიფესტზე, რისკენაც ეპიძგებდნენ მისი მეგობრები სევერინი და ბოჩონი. არა, იგი ვერ გახდებოდა მუზეუმებისა და სახალხოების შნგრეველთა თანამზრახველი, ვერც ამაზე დათანხმდებოდა, რომ „ავტომობილი ეფრო მშვენიერია, ვიდრე ნიკე", არც ხმაური და აყალმაყალი სჯერდებოდა თავისი ხასელის ირგვლივ.

ცნობილია, რომ არც აპოლინერს, არც ჟაკობს, არც სალმონს, მიუხედავად მათი ხიყვარულისა მოდილიანი, არაფერი დაუწერიათ მოდილიანის მხატვრობაზე. თავიანთ ხატვებში თანამედროვე ხელოვნების შესახებ. სალმონი 1910 წელს დაწერილ ვრცელ რეცენზიაში „დამოუკიდებელთა" ვამოფენის შესახებ მხოლოდ ერთი ადგილი ეხებიეს მას, როცა ქება-დიდების ასხამს კუბისტებს, ფუტურისტებს და „მეხანე" რუსოს, ოღონდ ამითვე ამთავრებს. ბერძე ვაზეთში აპოლინერიც: „ვახსენოთ მოდილიანი, ლიტა, ეკის „გადასახადი კამერაზე", ხიე და შემდეგ გადავიდეთ მეხაფე რუსოზე..." ჩატოდლაც არავინ ყურადღებას არ აქცევს. ოღონ თვით მოდილიანიც. მართალია, მეგობრობდა ამ პოეტებთან, მაგრამ არასოდეს ზეპირად არ ამბობდა, მათ ლექსებს, ეტყობა, ბოლამდე ფეხოძენალური მეხანეურებისა, არ ხედავდა დაეწახოვრებინა მათი ლექსები ანდა უბრალოდ არ უყვარდა. ნიმა თეოდის ლექსებში კი ხელ ზეპირად ციოდა. ტ. ... როდის მოდილიანისგან დაწერილი ... ...

უსვენრობა თვალში საცემი იყო. ზოგიერთი მის ამგვარ აწეწილ ცხოვრებას ბუნებრივ ატრიბუტადაც მიიჩნევდა, როგორც „ბოჰემის“ დამახასიათებელ ნიშანს: ზოგი ამას ბედისწერის სიმუბლითაც ხსნიდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, „ზოგი ჭირი მარგებელია“ და, მგონი, ეს უსახლკარო ცხოვრება ხახიკეთოც აღმოჩნდა მოდილიანისათვის, რადგან ფრთებს უხსნიდა მის შემოქმედებით აღმაფრენას.

ანდა იქნებ პირიქითაც? იქნებ „ადგილის გამოცვლის“ სიყვარული სხვა მიზეზებთან ერთად ჩაკარნახევი იყო მისი შინაგანი, შემოქმედებითი დაუდგროშლობით? მართლაც თითქოს რაღაც აიძულებდა ეზეტიალა პარიზის ქუჩებში, მონმარტრიდან მონპარნასზე, აქედან ისევ მონმარტრზე და მერე ისევ მონმარტრის ძველი, დანგრეული თავშესაფრიდან, რომელსაც ახლოვე უცნაური სახელი ერქვა, როგორც, მაგალითად, ჩვენთვის უკვე ნაცნობი „მცურავი სამრეცხაო“ იყო, ემილია გუდლ. მოედანზე ანდა „ნიტების მონასტერი“ დუეს ქუჩაზე, — მხატვართა ასეთივე ღარიბულ საერთო საცხოვრებელში ხენის მარცხენა სანაპირაზე.

ხუთი წლის განმავლობაში — 1909 წლიდან 1914 წლამდე ათჯერ თუ თორმეტჯერ გამოიცვალა ადგილსამყოფელი. ზუსტად არავის შეუძლია ამის თქმა, რადგან სამუთები არ შემონახულა. მეუარული ცნობები კი ძალიან ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მაგრამ ჩვენთვის ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, რასთან იყო დაკავშირებული ეს გამუდმებული ბეტალი ერთი ადგილიდან მეორეზე. ამაში ბრალი მიუძღვის სიღარიბეს, რომელიც აიძულებდა იაფფასიანებიდან კიდევ უფრო იაფფასიანი ამოერჩია. აქ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე მიდრეკილება ახალ-ახალი ნაცნობობისაკენ. და ალბათ მრავალი სხვა, მეტად თუ ნაკლებად შემთხვევითი მიზეზები. და შეიძლება კიდევ რაღაც სხვა, რასაც ამოლინერი უწოდებდა „გაბედულ მოგზაურობას საკუთარი ინდივიდუალობის, საკუთარი თავის ძიებაში“, რაღაც შემაძრწუნებელმა იმალება თავისი თავით უკმაყოფილო მხატვრის ამ დაუდგრომელ, მოუსვენარ ხეტიალში. თუმცა ეს „რაღაც“ მხატვრისათვის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია, ეს იგივე დაუცხრომელი ძიებაა „ინტერესის“ ნატურისა, მოულოდნელი რაკურსებისა, უჩვეულო / განათებისა ანდა ეს უბრალოდ სურვილია ორგვლივ მყოფი გარემოს ძალური გარდატეხისა. ამასობაში კი სადღაც ხულის სიღრმეში მიმდინარეობს საკუთარი თავის განუწყვეტელი, ინტუიციური შემზადება რაღაც გადამწყვეტი აფეთქებისათვის, რამაც უნდა გაარღვიოს ყველა შემბოჭველი გარხი და მოუტანოს სრული შემოქმედებითი თავისუფლების უეცარი სიხარული. ზოგჯერ ასეთი იდუმალი ძაფებიც აკავშირებს ხოლმე მიხამართებს ცვლის მისწრაფებას.

ასე იყო თუ ისე, შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ მოდილიანისათვის მონმარტრი უფრო მეტად დაკავშირებულია მხატვრობასთან, მონპარნასი კი უკავშირდება მის გატაცებას ქანდაკებით, რაც თანდათან უფრო ძლიერდება მასში, განსაკუთრებით ერთი მისთვის მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრის შემდეგ.

ჯერ კიდევ 1909 წლის ზაფხულში მოდილიანიმ გაიცნო მოქანდაკე კონსტანტინ ბრანკუში. იგი ექიმმა ალექსანდრმა გააცნო. მან მიიყვანა მოდილიანი ბრანკუშის პატარა, ვიწრო სახელოსნოში, რომელიც ვოჟირარის მხიარული ქუჩის გვერდით, რონსენის ჩიხში იყო შეყუჟული. ხმაურიანი ბოჰემის კვარტალის შუაგულში ჩამდგარი ეს მუუდრო სახელოსნო თითქოს სიმშვიდის, სიწყნარისა და შემოქმედებითი შთაგონების კუნძული იყო. ასეთი დარჩა იგი შემდეგაც, ორმოცდაათი წლის მანძილზე. სახელოსნოს პატრონს კი წიუკარებელ, ჩუმ ადამიანად იცნობდა ყველა. იგი მაღალი იყო, ბეჭებში მოხრილი, ხშირი წვერი, დიდი თავი, ღონიერი მხრები, თვალებზე ჩამოფხატული წარბები და მოღუშული გამოხედვა ჰქონდა. ერთი შეხედვით მართლაც მიუკარებელი და მეტად გულჩახვეული ჩანდა. ფიცხი და „მძიმე ხასიათის“ იყო იმ მცირერიცხოვან მეგობრებთანაც, რომელთაც შეძლეს მისი ნდობის მოპოვება, ოღონდ კუშტ გამოხედვაში უეცრად რაღაც სხივი ჩაუდგებოდა, სახეს კეთილი ღიმილი გაუნათებდა. ასეთი იყო თავის უახლოეს მეგობრებთან: „მენბაყე“ რუხოსთან, ამერიკელ მწერალსა და კრიტიკოსთან — ეზრა პაუნდთან, კომბოზიტორ ავანგარდისტ — ერიკ სატთან. მოდილიანიც მალე რჩეულთა შორის აღმოჩნდა. ისინი დამეგობრდნენ, თუმცა მაშინვე ატეხეს დავა ხელოვნებაზე. მათი სწრაფად გაღრმავებული მეგობრობის პირდაპირი დადასტურებაა ბრანკუშის პორტრეტი, შესრულებული მოდილიანის მიერ იმავე 1909 წელს. ზეთით, „ვიოლონჩელისტის“ მეორე მხარეს, აქ საგულისხმოა თვით ბრანკუშის თანხმობა, ყოფილიყო ვინმესთვის „ნატურა“, ვინც უნდა ყოფილიყო იგი და ის ფრთხილი, ლირიკული სინაზე, რაც გამოიმუღავნა მოდილიანიმ თავის ფერწერულ ესკიზში, რომელიც ეხებოდა ამ მისთვის ძვირფასი ადამიანის ფარულ არსს. მეორე პორტრეტი, შესრულებ-

ული ნახშირით, უთარიღო, ბევრად უფრო მშრალი გამოვიდა.

ბრანკუზის ხახელოსნო სავსე იყო უამრავი მისი ძველი და ახალი ნამუშევრით. ამ უცნაურ, არაამქვეყნიურ ადამიანს, საერთოდ, დიდად უკირდა თავის ქმნილებებთან განშორება, ხშირად ჩხუბიც აუტეხია პარიზის ხალხნების მესვეურებისათვის და აღარც გამოჰქონდა თავისი ქანდაკებები გამოფენაზე. მოდილიანიმ, ბრანკუზის ქანდაკებების შეპირისპირების შედეგად, უმალვე ნათლად დაინახა, რა ძლიერი ნახტომი გააკეთა კლასიკური რენესანსის ამ დიდმა თაყვანისმცემელმა, შემდეგში როდენის ერთგულმა მიმდევარმა, როცა სულ ახლახან თავისი თვითმყოფადი, ახალი შესაძლებლობანი გამოავლინა.

გასაოცარია, რუმინეთის სოფლიდან გამოსულმა ამ უბრალო მიწის მუშამ, რომელმაც კატორღული შრომის შედეგად შეაღწია ხელოვნების სამყაროში, როგორ შეძლო გამოეჩინა ასეთი შეუდრეკელი ნებისყოფა და უარი ეთქვა თავის პირველსავე მიღწევებზე, რაც ასე ძვირად ულირდა. ეტყობა, საერთოდ ამგვარი იყო მისი ბუნება. ჯერ კიდევ მაშინ, როცა პარიზის ერთ-ერთ რესტორანში ღამღამობით ბურჯლის მრეცხავად მუშაობდა და ყოველდღე თითო ქანდაკების გამოძერწვასაც ახერხებდა, ხალამოს ნამსხვრევებად აქცევდა ხოლმე იმას, რაც დღის განმავლობაში გაეკეთებინა. როცა 1906 წელს ლუქსემბურგის მუზეუმში გამოფენაზე თვით როდენმა შენიშნა იგი და შესთავაზა, მასთან ემუშავა სტუდიაში, ბრანკუზიმ მაშინვე დაუფიქრებლად უთხრა უარი: „დიდი ხის ჩრდილში არაფერი გაიზრდება ისე, როგორც საჭიროა“.

ახლა მის ხახელოსნოში თვალნათლივ შეიძლებოდა გეხილათ, რაზე თქვა უარი და საით მიდიოდა ეს დაუდგრომელი მაძიებელი, რომელიც ახალ გზებს იკვალავდა ხელოვნებაში. მისი „მძინარე მუზის“ პირველი ვარიანტი, გამომსახველობითი მეტყველებით სავსებით როდენისეული, შემოვლებული ქვის მშვიდი ჩარჩოთი, იდგა როგორც ნივთი, როგორც უცნაური საგანი, გარშემოვლებული ხინათლის ხვივით. იქვე კი, მის გვერდით „მძინარე მუზის“ ახალი ვარიანტი — თითქმის კვერცხის ფორმის შიშველი თავი ოდნავ გამრხატული სახის ნაკვთებით, მინიშნებული კისრით, თითქმის ელემენტალური მოცულობისა, ხიშვიდის განყენებული მხატვრული იდეა, თითქოს დაჭერილი მრქანლაკის უკიდურესად დაძაბული შინაგანი ხმენა მხოლოდ მისთვის გასაგებ ქვის სიმუნჯეში. ესეც და ყველა სხვა ახალი ქმნილებაც, ყველა მისი ახალი „ჩიტი“, რომელთა ფრთებს თითქმის ვერ შენიშნავდით, სამაგიეროდ მოხაზულობის რიტმში ოლად ამოიცნობოდა ფრენა, თითქმის ბურთისმაგვარი, უკან გადაგდებული თავი „პრომეთესი“, მის წარბებს ზემოთ ჩახვეული სევდა და რალაც უმწეო, ბაგის მიმანიშნებელი ლრუ, შმაგი და თავისი სკემატურობით „უბეში ბაყლატურა — „ამბორი“ — ყველაფერში ბანდა ფატალებული მეოცნებე იდეალისტი. რომელმაც გახწირა თავი მაქსიმალურის, აბსოლუტურის, უკვდავის მარადიული ძიებისათვის.

ბრანკუზის ჭეშმარიტი სტიქია იყო მოძრაობა, მოქმედება, ფრენა. უკიდურესად შეკუმშული აზროვნების სიმძაფრე და გრძნობების ხალასი გულწრფელობა. ბრანკუზის უყვარდა სიცოცხლე, სიცოცხლე მთელი მისი მრავალფეროვნებით, მაგრამ თავის ხელოვნებაში იგი მხოლოდ სიცოცხლის კვინტესენციას ეძებდა, იგი მზად იყო ზიზღით უკუეგდო არამარტო ყოველგვარი „შემთხვევითობა“ ფაქტისა, არამედ უარი ეთქვა ტრადიციული პოეტიკის ხიძლიერეზე, რასაც სრულყოფილად ფლობდა, რათა მიეღწია უმაღლესი ჭეშმარიტების უკიდურესზ, ერთადერთი განხორციელებისათვის. ამ უმაღლეს ჭეშმარიტებას იგი ეძიებდა მხოლოდ „ყველაზე მნიშვნელოვანის“ შერჩევაში. პლასტიკური ფორმის ამომწურავ სრულყოფაში. მას სძულდა აბსტრაქციონიზმის ყოველგვარი გამოვლენა და სულ უფრო ხშირად ეჩვენოდა სუფთა ფორმის, სუფთა რიტმის ტყვეობაში. რამაც მიიყვანა რეალური სამყაროდან სრული განდგომის ზღვარამდე. ბევრს უკვე აღარ ეხმოდა მისი, მაგრამ რა უნდა ექნა — სხვანაირი არ შეეძლო ყოფილიყო.

ბრანკუზის ყველაზე ნაკლებად შესწევდა მასწავლებლობის უნარი. რამდენიმე აფორიზმი, რომელიც როგორღაც შემთხვევით ჩაიწერეს მისგან, სულ არ ჰგავს გაკვეთილებს და ამიტომ მით უფრო დამახასიათებელია მისთვის. მაგალითად: „ძნელი არ არის შექმნა რაიმე, ძნელია შეიქმნა განწყობილება, რაც აუცილებელია მის შესაქმნელად“. ან: „სიხადავე არ არის ხელოვნების მიზანი. სიხადავეს ხელოვნებაში შენდაუნებურად აღწევ, როცა ახლოს მიდიხარ საგნის რეალურ არსთან“. ანდა უფრო ახლოს „პროფესიასთან“: „ქანდაკებაში პირდაპირი გამოკვეთა ქვიდან ყველაზე უტყუარი გზაა, მაგრამ ყველაზე სახიფათო გზაა მისთვის, ვინც საერთოდ არ იცის სიარული“. მოწაფეები მას არ ჰყოლია, თუმცა მისი ღვაწლი მთელი შემდგომი ეგრეთ წოდებული „არაგამომსახველობითი“ სკულპტურის განვითარებაში მალე ყველასთვის უდავო შეიქნა.

ჩვენ არ ვიცით, რა ასწავლა მან მოდილიანის.

დასავლეთში ბშირად ამბობენ, თითქოს მან უშუალო გავლენა მოახდინა მხატვრის შემდგომ შემოქმედებაზე. შეიძლება სკულპტურის სფეროში ნაწილობრივ ასეც იყო, მაგრამ მის მხატვრობაში თითქოს არ ჩანს ბრანკუზის ძირითადი პლასტიკური ხერხებისა და მეთოდების პირდაპირი გავლენა.

დევიდ ლუისი — ბრანკუზის შემოქმედების მკვლევარი და ბიოგრაფი, მგონი, ერთი პირველთაგანია, რომელიც აღიარებს, რომ „მოდილიანის გავლენა ბრანკუზის შემოქმედებაზე მისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შეიმჩნევა" და ამას მთელი რიგი ჩანახატისა და ქანდაკების მაგალითით ამტკიცებს. მათ მეგობრობას იგი „ურთიერთმასტიმულირებელს" უწოდებს. აი ეს კი არის მართლაც მნიშვნელოვანი! მოდილიანის მიმართ ეს სამართლიანი იქნებოდა თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ბრანკუზისთან შეხვედრა მაგალითს მისცემდა შემოქმედებითი გამბედულებისათვის, ასწავლიდა დანახვას, შეგრძნებას, ბოლომდე დამოუკიდებლად ფიქრს. მისცემდა იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა გაატარო სულში გარედან აღქმული და ამიტომაც პასუხისმგებელი იყო შენს ქმნილებაზე, როგორც საკუთარ თავზე. მაგრამ ბრანკუზიმ მოდილიანის ცხოვრებაზე ბევრად უფრო კონკრეტული, მართლაც უშუალო გავლენა მოახდინა. მან დაბეჭითებული რჩევა მისცა, მთელი სერიოზულობით მოეკიდა ხელი სკულპტურისათვის, ახე ვთქვათ, დალოცა იგი ამ გზაზე.

ეს მაშინვე მოხდა, როგორც კი მოდილიანიმ თავისი ნახატები უჩვენა. ამ დროისათვის კი ნახატები უკვე ბლომად დაუგროვდა (თუნდაც ექიმ ალექსანდრის კოლექციაში შემონახულ ფურცელთა რაოდენობით რომ ვიმსჯელოთ). აქ იყო მონმარტრის ტიპების ადრინდელი ჩანახატები, სადაც გამახვილებული იყო ყურადღება ადამიანურ მწუხარებასა და სიღატაკეზე, გარიყულობასა და განწირულებაზე. შეიძლება ამას ჯერ კიდევ აჩნდა სტეინლენისა და ლოტრეკის გავლენა, მაგრამ მოდილიანიმ, თავისი გამახვილებული სოციალური ალღოს წყალობით, ფანქრის რამდენიმე მოხმით შეძლო დაეხატა მრავალი ადამიანური დრამა კაფე-ეხტრადების უხახელო არლეკინებისა, „ხანწაულების თეატრის" ფიგურანტებისა, ნახევრად დატაკი მომღერლების და მენატურეებისა, მონმარტრის ქუჩების მაწანწალებისა და ლოთებისა. ეს უკვე ოსტატის, თვითმყოფადი ოსტატის ნახატები იყო.

მაგრამ ბრანკუზის ყურადღება მიიპყრო არა ამ ნახატებმა, არამედ მოდილიანის სხვა ახალმა გრაფიკულმა წამოწყებებმა, ესენიც ფანქრით იყო შესრულებული, ოღონდ ოდნავ შეფერადებული ლურჯად, ვარდისფრად ან წითლად. ზოგჯერ აკვარელსაც [illegible] ხმარობდა. ყველა ესენი ქალის ზიზღულ სხეულს გამოხატავდნენ აშკარად [illegible] ხერხებით, მკვეთრად მოხაზული [illegible] კონტურებით. მათ „კარიატიდები" ერქვათ და ეს სახელწოდება დასტურდება ზევით აწეული ხელების უცვლელი ეესტით. ხელები ზოგჯერ ერთმანეთზეა გადაწნული, ზოგჯერ მოღუნული, ზოგჯერ კეფის ამოფარებული, მაგრამ ამავე დროს ეს ხელები თითქოს მზად არიან გაუძლონ მათთვის განკუთვნილ სიმძიმეს. თუშცა, როგორც ამბობდა შემდეგ ერთი კრიტიკოსი, ყოველგვარი სიმძიმე მეტისმეტად ტვირთად დააწვებოდა ამგვარ ნაზ, ქალურ ხელებს, რომ ისინი ლურჯი ცის თაღის პატარა ნაგერსაც ვერ შეაკავებდნენ. ქალის სხეულის სრულყოფილი გამოსახვა, მიუხედავად სტილიზაციისა, იმის მაუწყებელი იყო, რომ მალე გამოჩნდებოდა მოდილიანის შეუდარებელი ნიუ. ახლა კი ზოგიერ ნახატებში იგრძნობოდა არაჩვეულებრივი პლასტიკურობა, სიცოცხლე, მგრძნობიარობაც კი, თითქოს გესმოდა ამ სხეულის მაჯისცემა, სუნთქვა. სულაც არ ყოფილა საკვირველი, რომ ბრანკუზი განცვიფრებაში მოიყვანა ნახატების ორიგინალობამ და მაშინვე დაინახა მათში პლასტიკური ძიებანი. კიდევ მეტი — — „ბკულპტურული ნახატები" უწოდა მათ. უფრო სწორად, ეხკიზები, და მაშინვე შეხთავაზა თავისი ჩანაფიქრი ქვაში განეხორციელებინა.

მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად აეწყო. მოდილიანის სკულპტურამ სრულიად აუქცია გვერდი ამ ქალური პარმონიით სავსე ესკიზებს და ამაში შეიძლება თვით ბრანკუზისაც მიუძღოდა ბრალი თუნდაც იმიტომ, რომ იმავდროულად გააცნო თავის მეგობარს მაშინ პარიზში „ახლად აღმოჩენილი" ზანგური სკულპტურული პრიმიტივები.

მოდილიანის ქვის კარიატიდები სულ არ მგვანან მის ნახატებს. იმის ნაცვლად, რომ განეხორციელებინა ისინი ქვაში ან მარმარილოში, როგორც პირველად ჰქონდა ჩაფიქრებული, ზოგიერთი მათგანი შემდეგ მუყაოზე ან ტალოზე გადაიტანა. ამგვარად იქცნენ ისინი ფერწერულ ნახატებად და დამოუკიდებელი ძნიშვნელობა მოიპოვეს. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს თუნდაც რომელიმე მათგანი, თუნდაც ის, ზომით სულ პატარა, ახლა პარიზის ბალი ხელოვნების მუზეუმის დარბაზს რომ ამშვენებს, გაუკვირდება ოდესმე დაივიწყოს ამ ამბრისების რალაც პაეროვანი სინაზის, სინარნარის, ხიმშ-

ვიდის შერწყმა მკრთალ ოქროსფერ ან ვარდისფერ ტონებთან.

შემობრუნება სკულპტურიხაკენ 1909 წლის ზაფხულიდან დაიწყო. მაშინ მოდილიანი პირველად გადასახლდა მონპარნასზე მოკლე დროით, ეგრეთ წოდებულ სიტე ფალგერში, მხატვრებისა და მოქანდაკეების საერთო საცხოვრებელში, რომელიც ამავე სახელწოდების ჩიხის ხიღრმეში მდებარეობდა. ხელოვნების ადამიანების ეს თავისებური კოლონია განლაგებული იყო მთავარ შენობაში, რომელსაც ერთ დროს პოეტური სახელი „ვარდისფერი ვილა" ერქვა, და ეზოში მდებარე რამდენიმე ერთსართულიან შენობაში, რომლებსაც სახელოსნოებად იყენებდნენ. ვილის კედლებს უკვე ქარგა ხანია შელანძღოდა ადრინდელი ფერი. რემონტს აქ იშვიათად აკეთებდნენ, ისიც მხოლოდ აუცილებელს. რა თქმა უნდა, გაზისა და ელექტრონის ხსენებაც არ იყო. ნავთის ლამპები ფუფუნებას წარმოადგენდა, ოთახები და სახელოსნოები უმთავრესად სანთლებით იყო განათებული, რომლითაც ვაჭრობდა თვით დიასახლისი, იგივე კონსიერჟი. ამბობენ, რომ მოდილიანი დიდ პატივს სცემდა ამ ქალს „არა წვრილმანი შეხედულებებისა" და მეცენატობისათვის. იგი ნისიად აძლევდა სანთლებს და არც ვალის დროულად გადახდას მოითხოვდა. მოდილიანი ხშირად იყო აქ შემდეგაც. 1910, 1911, 1913 წლებში. იგი ცხოვრობდა ფართო სახელოსნოში, რომელიც ცარიელ ბელელს უფრო მგავდა. ხანდახან ქვის ბლოკები ეზოშიც გამოჰქონდა. აქედან სულ ორიოდე ნაბიჯი იყო ბრანკუზის სახელოსნომდე და ესეც ეზიდავდა მოდილიანის სიტე ფალგერში. 1909 წლის ზაფხულში მათ ხშირად ხედავდნენ ერთად. ერთად დადიოდნენ ზანგური სტატუეტების სანახავად ტროკადერის ეთნოგრაფიულ მუზეუმში და ანტიკვარულ დუქნებში. მოდილიანი გატაცებული იყო ამ მეგობრობით, ამ ახალი შთაბეჭდილებებით და უფრო მეტად თავისი მუშაობით. იგი მთლიანად შთანთქა სკულპტურამ.

მისთვის ყველაზე რთული პრობლემა იყო ქვაქვიშის ბლოკების შოვნა, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონდა, როგორც მასალა. ზოგჯერ მეტი გზა არ ჰქონდა, უნდა მოებარა ეს ბლოკები საამშენებლო მოედნებიდან. უფრო მოგვიანებით იგი იტალიელ კალატოზებს დაუმეგობრდა, რომლებიც მასალასაც აძლევდნენ და თავიანთ ინსტრუმენტებსაც ათხოვებდნენ ხოლმე. ზოგჯერ იქვე სამუშაო ადგილსაც გამოუყოფდნენ და ოვალყურს ადევნებდნენ, რათა მეტისმეტად არ შეეშალათ მისთვის ხელი, ეტყობა, მის ნათქვამს იმეორებდა პოლ გიიომი, ცნობილი სურათების შემგროვებელი და გამყიდველი, როცა ეუბნებოდა ედლიჩკას, ჩეხ ხელოვნებათმცოდნეს: „მოდილიანი მშვენივრად გრძნობდა მათთან თავს და ამბობდა კიდეც ამ ნაცნობობით". გიიომის აზრით, იგი არამარტო მადლიერი იყო მათი დახმარებისა, რაც ასწავლობდა კიდეც [illegible] შეიძლება მათი ხელობის დიდებულ [illegible].

მუშაობისას ამედეოს ყველაფერი ავიწყდებოდა ქვეყანაზე. ვერ გრძნობდა ვერც დროს, ვერც ამინდს. ზოგჯერ მთელ დღეებს ატარებდა მცხუნვარე მზის ქვეშ ან შემთხვევით თავშესაფარში. ამავე დროს ძალიან ცუდად იკვებებოდა და, სადაც მოხვდებოდა, იქ ატარებდა უძილო ღამეებს (როცა იმავე 1909 წლის ზაფხულში ლორა გარხენი ჩამოვიდა პარიზში, პაწაწკინტელა ღარიბულ ოთახში იხილა იგი, მხატვრების საერთო საცხოვრებელში, რომელსაც „სკან" ეძახოდნენ, ვოტირარის სახაკლაოების ახლოს).

არც გასაკვირია, რომ ყოველივე ამან ერთად ხრულ გამოფიტვამდე მიიყვანა. ეტყობა, თვითონაც შეშინდა ამის გაგო და გადაწყვიტა, რამდენიმე ხნით დედასთან წასულიყო, იტალიაში.

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ ელოდა დედა და რა იგრძნო, როცა დაინახა გამხდარი, ნახევრად ავადმყოფი შვილი, რომელსაც თითქმის დახეული ტანსაცმელი ეცვა. თუმცა, როგორც ყოველთვის, ეეგენია გარხენი ახლაც არ ამეღვნებს თავის გრძნობებს, რძლისადმი მიწერილ წერილში უმცროსი შვილის ჩამოსვლაზე ასეა ნათქვამი: „ჩემო კარგო, დედო ჩამოვიდა. კარგად არის. მე ბედნიერი ვარ. მინდა შეგატყობინო ყოველივე ეს და მხურვალე კოცნა გამოგიგზავნო".

დედა ამკარად არ ამბობდა სიმართლეს, ალბათ უფრო ინერციით აკეთებდა ამას: პროვინციელი ნათლიდედები და ნათლიმამები უხამსი ბურჟუაზიული თანაგრძნობითა და დრტვინვით ავსებდნენ მოდილიანების ოჯახს იმის გამო, რომ ასეთ დღეში ჩაგდო პარიზის ბოჰემამ კეთილად ზრდილი ყმაწვილი. დედა როგორმე უნდა აღსდგომოდა წინ „უძღები შვილის" ვერსიას. ამჯერად თვით ოჯახშიც სჭირდებოდა ამედეოს დედის გამოქომაგება, თუმცა სერიოზული საქმეების კი არა, უბრალო წვრილმანების გამო. მაგალითად, მარგერიტა ადაშფოთა ძმის უმადურობამ, როცა ერთ მშვენიერ დღეს მოდიმ აიღო მაკრატელი და სახელოები მოაჭრა შინაური მკერავის მიერ შეკერილ მშვენიერ „კურტაკს" და სარჩული გამოაცალა ახალ შლაპას „ბორსალინოს", აჭაოდა, კარგად მომერგოსო თავზე.

ამჯერად მართლაც ძნელი იყო მასთან მოთი-

გება. დასვენება, ფიქრი თავის ჯანმრთელობაზე ამედეოს არ შეეძლო და არც უნდოდა. ხშირად იყო აღშფოთებული და უკმაყოფილო. „დედო მთელ დღეს სახელოსნოში ატარებს თავის მეგობართან",— წერს ერთ-ერთ წერილში ევგენია გარსენი, მზედველობაში აქვს რომატის სახელოსნო. მის მეორე წერილში კი ნათქვამია: „დედო და ლორა ერთად წერენ სტატიებს. მგონი, მეტისმეტად დაფრინავენ ღრუბლებში". ლაპარაკია ფილოსოფიურ სტატიებზე, ეტყობა, პოპულარულზე, რაკი სტატიები განკუთვნილი ყოფილა რომელიღაც „ახალხო ჟურნალისათვის" საერთოდ ლორა გარსენი ამედეოს ძალიან უყვარდა და ახლაც, როგორც ყოველთვის, მისთვის საინტერესო და სასიამოვნო იყო მასთან ყოფნა. იქნებ აქედან მოდის დედის წერილში ოდნავ შესამჩნევი ეჭვიანი ნოტა მათ ლიტერატურულ საქმიანობაზე?

ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი კონკრეტული ცნობა, თუ როგორ წარიმართა მოდილიანის, როგორც მხატვრის, მუშაობა ამ ნახევარი წლის მანძილზე ლივორნოში. მის ინტენსიობაზე კი შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ შედეგებით, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. იგი სულ თავის სკულპტურაზე ხწუხდა. გ. ედლიჩკას თავის წიგნში მოჰყავს ამედეოს ძმის, ემანუელის მონათხრობი, თუ როგორ ოცნებობდა იგი სახელოსნოზე, მუშაობისათვის შესაფერის მახალაზე. მაგრამ სად უნდა ეშოვა ეს ლივორნოში?

ბოლოს ვიღაცამ შეატყობინა, თითქოს არის შესანიშნავი სახელოსნო კარარში და შეიძლება მისი დაქირავება. ძმები მაშინვე გაემგზავრნენ, დიდხანს იმგზავრეს სიცხეში დახუთული ვაგონით, რამაც მეტად გააღიზიანა ამედეო. მერე რომელიღაც „გაბშტოებაზე" გადასხდნენ კიდეც, — განაგრძობს თხრობას გულკეთილი ემანუელი, რომელიც აშკარად თაყვანს სცემდა ძმას: „ბოლოს, როცა მიყადნიეთ იქამდე, მაშინვე მივხვდი, რომ ღირდა ჩამოსვლა. რა მშვენიერი იყო ირგვლივ ყველაფერი! ჩვენ წინაშე გადაშლილი იყო ზღვა. სახელოსნოც, თუნდაც თავისი ადგილმდებარეობით, ძალიან ლამაზი ჩანდა. ბაღის შუაგულში, სადაც ყველაფერი მყვაოდა, იდგა პატარა სახლი, ყოველ მხრიდან დაფარული ჭარისაგან. უკეთესს რაღას ინატრებდა სკულპტორი? სანაპიროს ყვითელ ქვიშაზე ეწყო მარმარილოს დიდი ბლოკები. ასეთივე ბლოკები მრავლად ეწყო ბაღშიც, სახლის ირგვლივ. ეტყობა, გადასატვირთად მოეტანათ და ახლავე დარჩენილიყო ოქმზე მაშინვე შევნიშნე ეს და ვუთხარი ამედეოს, თუმცა პირველად მას უნდა ეთქვა ეს ჩემთვის. მაგრამ ჩემს სიტყვებს არავითარი წარმატება არ მოჰყოლია. გზაშივე შევამჩნიე შეშფოთება, ახლა კიდევ უფრო მეტად იყო შეშფოთებული. უცებ მომიბრუნდა და მითხრა: „ჰო, ჰო, შენ მართალი ხარ, ყველაფერი ასეა, მაგრამ საჩემო არ არის. მეტისმეტად დაცილებული ვიქნები ქალაქიდან. მე კი ვერ ავიტანე ამას, ჩემთვის აუცილებელია ქალაქი, ოღონ ყიმუშაო ისე, როგორც ხავირია. ეს დიდი ქალაქი მჭირდება!" და უცებ რაღაც შიშმა აიტანა. ნამდვილი შიში იხატებოდა მის სახეზე, ყოველ მის მოძრაობაში. ხვეწნა დამიწყო, ახლავე დავბრუნდეთო ლივორნოში. რასაკვირველია, ასეც მოვიქეცით. ეს იყო ჩვენი პირველი და უკანასკნელი ცდა, გვეშოვა მისთვის სახელოსნო. ამის შემდეგ სიტყვაც აღარ დაგვიძრავს ამაზე".

პარიზში მოდილიანი დაბრუნდა ზამთარში, 1919 წლის დამდეგს. ამავე წელს „დამოუკიდებელთა სალონში" გამოფენა ხუთი სურათი, რომლებიც ჯერ კიდევ წასვლამდე ჰქონდა შესრულებული: „ვიოლონჩელისტი" და ახალი სურათები: „ლივორნოელი მათხოვარი", „მათხოვარი გოგო" და ორი ეტიუდი (ერთი მათგანი იყო ბიჩე ბორალევის, მისი ბავშვობის ამხანაგის პორტრეტი). მაშინვე ატყდა ლაპარაკი „ვიოლონჩელისტის" და „ლივორნოელი მათხოვრის" ხეზანიზმზე და, მგონი, დღემდე ამეორებს ამას უველა, ვისაც კი რაიმე დაუწერია მოდილიანზე. ხეზანთან ხიახლოვე მართლაც თვალში საცემია. მაგრამ შთანეჭდილება ამით არ ამოიწურება. არა, ხეზანისებური არაფერი იგრძნობა ორივე ამ სურათის ლირიულობასა და ფსიქოლოგიურ „სიუჟეტურობაში", არც თვით ავტორია მათგან ხეზანისებურად ადელვებული. ვიოლონჩელისტის ოდნავ გადახრილი თავი, ნახევრად დახუჭული თვალები, დაძაბული თითები, არარეალურ, თითქოს ეფემერულ შუქთა ჰაეროვნებაში სიმებზე მცურავი ქამანი, მთელი ეს დაბინდული, ფერწერული ატმოსფერო, რომელშიც თითქოს ინთქმება დამკვრელის ფიგურა და ხაიდანლაც წინა პლანზე წამოტივტივებული უზარმაზარი, თბილი ტონებით შესრულებული ინსტრუმენტი — ყოველივე ეს რაღაც შინაგან ერთიანობას გამოხატავს. მე მეჩვენება, რომ ეს შინაგანი ერთიანობა ხხვა ჟრაფერია, თუ არა მუსიკა, და მგონია, ვიღაცა ამ ლა თანაგრძნობითა და ყურადღებით უხმენს მას.

„ლივორნოელ მათხოვარზე" წერენ, რომ, მართალია, იგი პირდაპირ შეესატყვისება ხეზანის ფერწერულ პოეტიკას, მაგრამ მოდილიანის ფუნჯის მოსმა აქვს უფრო მსუბუქია, ფერი მოზეტებულად გამჭვირვალე, თითქოს ჰაერით ავსებული. რეპროდუქციითაც რომ ვიმსჯელოთ, ეს რაღაც უცნაური მათხოვარია, იგი არამარტო არაფერს თხოულობს, მგონი, არც ელის გასაკითხ. იგი თითქოს რაღაცას ეკითხება, იმას,

ვინც ახლა მას შეპყურებს, ან უსიტყვოდ ხაუ-ვედურობს. ნუთუ ეხეც ხეზანიდან მოდის?

მოდილიანის გამოფენილ სურათებს ამჯერად ხავსებით ვერ აუარა გვერდი კრიტიკამ. არსენ ალექსანდრი კეთილად იხსენიებს მათ სალონის შესახებ დაწერილ თავის ანგარიშში. მაგრამ მუიდველი ახლაც მხოლოდ ერთი აღმოჩნდა, მეორე ალექსანდრი, ექიმი, ერთგული თაყვანისმცემელი და მეგობარი, მომდევნო ორი წელი მოდილიანიმ კვლავ დაძაბულ შრომაში გაატარა, ოდნავი შესვენების უფლებაც არ მიუცია თავისი თავისთვის. მაგრამ ამ წლებში სკულპტურა აშკარად ავიწროებს მის შემოქმედებაში ფერწერას და მეორე პლანზე გადაჰყავს.

ცნობილი ხაბეოთა სკულპტორი ი. მ. ჩაიკოვი, რომელიც ამ დროს პარიზში ცხოვრობდა, დაბეჯითებით ირწმუნება, რომ „ამ ხანებში მოდილიანი უფრო ცნობილი იყო როგორც სკულპტორი და არა როგორც მხატვარი". ამასვე ადასტურებს სხვა მოგონებებიც.

არ არის მართალი, თითქოს ჯერ კიდევ მაშინ ყოველნაირმა გადაგარბებამ კატასტროფულად შეარყია მხატვრის პიროვნება. იგი იმდენად ადსავსე იყო შემოქმედებითი ძიებებით, სულიერად იმდენად დაძაბული იყო ჰეშმარიტად შრომითი ცხოვრებით, რომ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ამ უკიდურესად გამარტივებული ვერსიის ერთ ყველაზე დამაჯერებელ უარყოფას წარმოადგენს ანა ახმატოვას მოგონებები მოდილიანისთან შეხვედრებზე. თუმცა ჩვენი საუკუნის ამ უდიდესი პოეტის მოგონებებს ბევრად უფრო დრმა, ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობაც ენიჭება. გარდა ამისა, ეს მოგონებები ანა ახმატოვას პროზის ყველაზე უფრო პოეტური ფურცლებია. ვსარგებლობ ავტორის ნებართვით და იმით, რომ მოგონებები დაწერილია „კროკის" ფორმით, ესე იგი გარეგნულად ერთმანეთან დაუკავშირებელი ფრაგმენტებისა და შენიშვნების სახით და მომყავს რამდენიმე ნაწყვეტი ამ მოგონებებიდან.

„მე ნამდვილად მჯერა იმათი, რომელნიც ისეთს არ ამგვიწერენ მოდილიანის, როგორსაც მე ვიცნობდი, და აი რატომ: ჯერ ერთი, მე შემეძლო მცოდნოდა მისი პიროვნების რომელიმე ერთი მხარე (მომხიბვლელი) — მე ხომ უბრალოდ უცხო ვიყავი. უცხო და ალბათ არცთუ დიდად გარკვეული ოცი წლის ქალიშვილი, უცხო ქვეყნიდან ჩამოსული; მეორე, მე თვითონაც შევნიშნე მასში დიდი გარდატეხა, როცა ჩვენ 1911 წელს შევხვდით ერთმანეთს. თითქოს ერთიანად ჩაშავებულიყო, დაპატარავებულიყო. 1910 წელს მე მას ძალიან იშვიათად ვხვდებოდი, სულ რამდენჯერმე შევხვდი, თუმცა მთელი ზამთრის განმავლობაში მხატავდა.

...ეტყობა, ჩვენთვის, ორივესთვის, გაუგებარი იყო ერთი მთავარი, არსებითი: ყველაფერი, რაც ხდებოდა, ჩვენთვის, ორივესთვის, მხოლოდ ცხოვრების დასაწყისი იყო, მისთვის ძალიან ხანმოკლე, ჩემთვის ძალიან გრძელი ცხოვრებისა. ხელოვნების მხურვალე სუნთქვას ჯერ არ დაესვა თავისი დაღი, ჯერ არ შეეცვალა სახე ამ ორი არსებისა. ეს იყო ნათლით მოხილი, განთიადის მომასწავებელი ხანა. მაგრამ მომავალი ,რომელიც ,როგორც მოგეხსენებათ, ბევრად უფრო ადრე აფენს ჩრდილს ხავილ გზაზე, უკვე გვიკაკუნებდა ფანჯარაზე, ეფარებოდა ფარნებს, იბრებოდა ჩვენს სიზმრებში, გვაშინებდა ბოდლერის საშინელი პარიზით, რომელიც სადღაც იქვე, ჩვენ გვერდით ჩასაფრებულიყო და ყველაფერი ღვთიური, რაც ამედეოს გააჩნდა, მხოლოდ სადღაც ბინდბუნდიდან მინათებდა.

მას ანტონიუსის თავი ჰქონდა და თვალებიდან ოქროს ნაპერწკლები ხცვიოდა. იგი არავის არ ჰგავდა ქვეყანაზე. მისი ხმა როგორღაც სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში .მე მას ღატაკად ვიცნობდი და გაუგებარი იყო, რითი ცხოვრობდა. როგორც მხატვარს ოდნავი აღიარებაც არა ჰქონია. მაშინ, 1911 წელს, იგი Impasse Falguière-ზე ცხოვრობდა. იმდენად ღარიბი იყო, რომ ლუქსემბურგის ბაღში ჩვენ ყოველთვის მერხებზე ვისხედით და არა დაჭირავებულ ხეებზე, როგორც ეს მიღებული იყო. იგი საერთოდ არ უჩიოდა არც აშკარა გაჭირვებას და არც იმას, რომ არავინ აღიარებდა, რაც ასევე აშკარა იყო. მხოლოდ ერთხელ, 1911 წელს მითხრა: გასულ ზამთარს იმდენად ცუდად ვიყავი, რომ ფიქრიც აღარ შემეძლოო ჩემთვის ყველაზე უძვირფასესზე.

იგი თითქოს გარშემორტყმული იყო მარტოობის გაუვალი კედლით. არ მახსოვს, ვინმეს მისალმებოდა ლუქსემბურგის ბაღში ან ლათინურ კვარტალში, სადაც ყველა ახე თუ ისე იცნობდა ერთმანეთს. არ მომისმენია მისგან არც ერთი ნაცნობის, მეგობრის ან მხატვრის სახელი, არც რაიმე ხუმრობა გამიგია მისგან. არასოდეს მინახავს მთვრალი. არც ღვინის სუნი მიგრძვნია. ეტყობა, შემდეგ დაიწყო სმა. მაშინ კი როგორღაც გამოერეოდა ხოლმე მის საუბარში.

...ამ ხანებში მოდილიანი სკულპტურით იყო გატაცებული, მუშაობდა პატარა ეზოში, თავისი სახელოსნოს წინ. მუშაობდა, როგორც მუშა (დაცარიელებულ ქუჩაში ახმოდა მისი ჩაქუჩის კაკუნი). მისი სახელოსნოს კედლებზე ეკიდა არაჩვეულებრივი სიგრძის პორტრეტები (როგორც ახლა მაგონდება-ჭერიდან იატაკამდე). მათი რეპროდუქციები არსად მინახავს. ნეტავი

თუ გადარჩა? თაიის სკულპტურას იგი «la chose»[1]-ს უწოდებდა. მგონი, გამოფენილიც ჰქონდა 1911 წელს «Independants»-ში. მე მთხოვა, მიესულიყავი სანახავად, მაგრამ გამოფენაზე არ მომკარებია, რადგან მარტო არ ვიყავი, მეგობრები მახლდნენ. ჩემი დიდი ავბედობის ჟამს, როცა მრავალი ნივთი დავკარგე, ამ ქანდაკების ფოტოც დამეკარგა...

ამ ხანებში მოდილიანი სულ ეგვიპტეზე ლაპარაკობდა. ხშირად მივყავდი ლუვრში, ეგვიპტის განყოფილებაში. მარწმუნებდა, რომ სხვა დანარჩენი ყურადღების ღირსი არ იყო, «tout le reste». მეც დამხატა ეგვიპტის დედოფლებისა და მოცეკვავეების თავსამკაულებით. ეტყობოდა, მთლიანად შთანთქა ეგვიპტის დიდებულმა ხელოვნებამ, როგორც ჩანს, ეგვიპტე მისი უკანასკნელი გატაცება იყო. სულ მალე კი იგი იმდენად თვითმყოფადი შეიქმნა, რომ აღარავის გახსენება აღარ გინდოდა, როცა მის ტილოებს შეჰყურებდი. ახლა მოდილიანის ამ პერიოდს periode négre[2]-ს უწოდებენ.

...წვიმაში (პარიზში ხშირად წვიმს) მოდილიანი ძალიან ძველი, უზარმაზარი შავი ქოლგით დადიოდა. ჩვენ ხშირად ვისხედით ამ ქოლგის ქვეშ ლუქსემბურგის ბაღში. ზაფხულის თბილი წვიმა მოდიოდა. ჩვენ გვერდით თვლემდა le vieux parais á s'Italienne,[3] ჩვენ კი ორი ხმით ვკითხულობდით ვერლენს, რომელიც კარგად გვახსოვდა ზეპირად და გვიხაროდა, რომ ორივეს ერთი და იგივე ლექსები გვაგონდებოდა.

...ჩვენზე უფროსები გვიჩვენებდნენ, ლუქსემბურგის ბაღის რომელ ხეივანში გაივლიდა ხოლმე ვერლენი, როცა „თავის კაფედან", სადაც ყოველდღე ენამზეობდა, „თავის რესტორანში" მიდიოდა სასადილოდ. მაგრამ 1911 წელს ამ ხეივანში ვერლენი კი არა, მაღალი ვაჟბატონი დასეირნობდა, უნაკლო ხერთუკში გამოწყობილი, ცილინდრითა და ხაპატიო ლეგიონის ნიშნით მკერდდამშვენებული. „ანდრი დე რენიე", — ჩურჩულებდნენ ჩვენს მეზობლად მსხდომნი, ჩვენთვის კი, ორივეისთვის, ამ სახელს არავითარი ეღერადობა არ გააჩნდა. მოდილიანის ანატოლ ფრანსის გაგონებაც არ უნდოდა (თუმცა ახლა ფიქრობდნენ სხვა განათლებული პარიზელებიც). უხაროდა, რომ მეც არ მიყვარდა იგი. ლუქსემბურგის ბაღში ახლა ვერლენის ქანდაკება იდგა, რომელიც სწორედ ამ წელს გაიხსნა. დიახ. ჰიუგოზე კი მოდილიანიმ პირდაპირ მითხრა: «Mais, madame, Hugo, c'est declatiore».[1]

„მოდილიანი დიდად წუხდა, რომ არ შეეძლო ჩემი ლექსების გაგება. ეგონა, მათში სასწაულს იხილავდა, ეს კი მხოლოდ პირველი გაუბედავი ცდები იყო (მაგალითად „აპოლონში", 1911 წელს). „აპოლონის" მეგობრობაზე კი მოდილიანი გულწრფელად „ცინიზმდა".

მე დიდად გაოცებული ვიყავი, როცა მოდილიანიმ ლამაზად მიიჩნია ერთი სრულიად ულამაზო კაცი და დაფინებით იცავდა თავის აზრს. მე ჯერ კიდევ მაშინ მივხვდი, რომ, ეტყობა, იგი ისე არ ხედავდა უველაფერს, როგორც ჩვენ.

ყოველ შემთხვევაში იმას, რასაც პარიზში მოდას ეძახიან და დიდებული ეპითეტებით ამკობენ, მოდილიანი ხულაც არ ამჩნევდა.

...ჩვენ უმეტესად ლექსებზე ვლაპარაკობდით. ორივემ ძალიან ბევრი ფრანგული ლექსი ვიცოდით ზეპირად: ვერლენის, ლაფორგის, მალარმეს, ბოდლერის...

დანტე არასოდეს წაუკითხავს ჩემთვის, შეიძლება იმიტომ, რომ მაშინ იტალიური ენა არ ვიცოდი.

«...Les chants de maldoror»[2]-ს გამუდმებით ჭიბით ატარებდა. მაშინ ეს წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობა იყო".

ა. ა. ახმატოვას უკანასკნელი დამოწმება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ის ემთხვევა მთელ რიგ სხვა მემუარულ მოგონებებსაც, რომლებშიც ასევე ხაზგასმულია მოდილიანის განსაკუთრებული გატაცება ამ წიგნით: „თან ატარებდა", „ახსოვდა და ზეპირად იცოდა მთელი გვერდები," „ამბობდა, რომ ეს „აფეთქებაა". თუმცა მას შეეძლო ასევე ეტარებინა მალარმეც, რომლისაგან სრულიად განსხვავებული პოეტების ლექსები. მაგრამ გრაფ დე ლოტრეამონის რომანი „მალდოროორის სიმღერები" დაწერილია არა ლექსად, არამედ პროზად, თუმცა ზოგჯერ თითქმის მუსიკალურად რიტმიზებულ პროზად. ამასთან ეს პატარა ტომი, ყანგისფერ ყდაზე ამოკვეთილი წითელი ასოებით, მართლაც ძალიან ძნელად მისაწვდომი ბიბლიოგრაფიული იშვიათობა იყო, რადგან 1890 წლის შემდეგ ადარ გამოსულა და მაშინაც მხოლოდ ათასი ეგზემპლარი დაიბეჭდა. ამ წიგნის შოვნა ნახევრად ლატაკი მხატვრისათვის, რომელიც ყველაზე აუცილებელის უფლებასაც არ აძლევდა თავს, რასაკვირველია, ოლი არ იქნებოდა.

„მითხარი, ვინ არიან შენი მეგობრები და ზეტყვი, ვინა ხარ შენ", იქნებ შეიძლება ასეც ითქვას: „დამიხატელი შენი ყველაზე საყვარე-

---

1 ნივთი (ფრანგ.)

2 ზანგური პერიოდი.

3 იტალიური გემოვნებით ნაგები ძველი სასახლე.

1 „ოჰ, ქალბატონო, ჰიუგო ხომ დეკლამაციაა".

2 „მალდოროორის სიმღერები".

თვალსაზრისით ლაპარაკი მოდელიანის გატაცებაზე ფრანსუა ვიიონით ან რემბოთი თითქმის არ ღირს. თავისთავად გასაგები ხდება უველასათვის, ვინც ნებას მისცემს თავს წარმოიდგინოს ამ პოეტების ცხოვრებისეული და პოეტური სახე. მაგრამ „მალდოროროს სიმღერები" იშვითად თუ იცის ვინმემ ჩვენში, რადგან ეს წიგნი არასოდეს გადათარგმნილა რუსულად. იმის გაგება კი, რატომ იყო ეს წიგნი ძვირფასი მოდელიანისათვის და რატომ შეიყვარა მისი ავტორი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

გრაფი დე ლოტრეამონი ფსევდონიმია. ეს სახელი ეიენ ხიუს პერსონაჟისაგან ისესხა იზიდორ ლუსიენ დიუკასმა თავისი ერთადერთი დამთავრებული ნაწარმოებისათვის. ავტორი საკმაოდ სერიოზულმა ვითარებამ აიძულა, შეერჩია ასეთი დიდგვაროვანი ფსევდონიმი, რათა როგორმე დაებეჭდა თავისი წიგნი მეორე იმპერიის ვითარებაში.

იზიდორ დიუკასი დაიბადა 1846 წლის 4 აპრილს მონტევიდეოში, სადაც მისი მამა საფრანგეთის საელჩოში თანამშრომლად იყო გაგზავნილი. მამა არ იყო მდიდარი, მაგრამ ამაყობდა თავისი ქონების შეუვალობით, როგორც ერთ დროს ამაყობდა თავისი გაბმაურებული სახიყვარულო ავანტიურებითა და პოპულარობით მაღალ საზოგადოებაში. შვილის აღზრდა მან ესპანელ იეზუიტებს მიანდო. იზიდორს სძულდა თავისი მასწავლებლები და ზიზღით უყურებდა მშობლების სახლის ბურჟუაზიულ ყოფას, სადაც უკიდურესი სიძუნწე ერწყმოდა მოჩვენებითი ფუფუნებასა და პატივმოყვარეობას. მას უყვარდა განმარტოება, დიდი გატაცებით კითხულობდა წიგნებსა და მთელი სულითა და გულით იხრწობოდა დამოუკიდებლობისაკენ. 1867 წელს ახრულდა მისი სანუკვარი ოცნება: მამამ გაგზავნა პარიზში და დაავალა თავის ბანკირს მიეცა ხოლმე მისთვის ძალიან მცირე დახმარება, თან, როგორც ჩანს, ეს დახმარება კიდევ რაღაც განსაკუთრებული ბრძანებებით დააპირობა (რამდენიმე შემონახული წერილით თუ ვიმსჯელებთ, მას ყოველთვის ხვეწნა-შუდარა სჭირდებოდა ფულის მისაღებად).

დიუკასი ხადღაც ბირჯის მახლობლად ირჩევს თავშესაფარს. ცხოვრობს აუტანელ ხიღატაკეში სრულიად განმარტოებით. მის ოთახში ტახტის, წიგნებით სავსე ორი რეშოდნისა და პიანინოს გარდა არაფერი დგას. მთელი ღამე გატაცებით წერს ხანდალის შუქზე. ფანჯრებზე სქელი ფარდები აქვს ჩამოფარებული. შეზობლებს ესმით, როგორ სცემს ბოლთას კუთხიდან კუთხეში, დროდადრო რამდენიმე აკორდს აიღებს პიანინოზე, ხაჩქაროდ დალევს ერთ ჭიქა ყავას და შერე, როგორც ეტყობა, ისევ საწერად ჯდება. პირველ ხანებში კიდევ სადღაც განაგრძობს სწავლას, 1868 წლიდან კი მთლიანად ეძღვნება თავის ლიტერატურულ გატაცებას. ანონიმურად თავისი ხარჯით სცემს „მალდოროროს სიმღერების" პირველ სიმღერას, რომელიც ძალიან მცირე ტირაჟით იბეჭდება. დანარჩენ ხუთ სიმღერასაც იმავე წელს აქვეყნებს, წერს გამალებით, თითქოს წინასწარ გრძნობს, რომ დიდხანს სიცოცხლე არ უწერია და მისი თხზულებანი მხოლოდ სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდება. თუმცა „თითქოს" კი არა, დანამდვილებით იცის, ერთ მის წერილში ლაპარაკია „პუბლიკაციის დასაწყისზე, რომელსაც დასრულება არ უწერია, ვიდრე არ მოვა ჩემი აღსასრული."

გამომცემლები, რომელთაც იგი მიმართავს, მხოლოდ მხრებს იჩეჩავენ. ვინ გაბედავს ამგვარი ხასიათის ბოდვის დაბეჭდვას რაღაც „ბოროტებასა" და „სიკეთეზე". ბოლოს აღმოჩნდა ერთი გამომცემელი, სახელად ლიაკრუა, რომელმაც გადაწყვიტა მიეღო გამოსაცემად „მალდოროროს სიმღერები". აიწყო, აკინძა, გაუგზავნა კიდეც ავტორს თორმეტი ეგზემპლარი, მაგრამ ტირაჟის გამოცემა წაინც გადადო სიფრთხილის გამო. ტუუილად ცდილობს დიუკასი გამომცემლისადმი გაგზავნილ წერილებში აუხსნას, რომ „იგი უმღერის ბოროტებას მხოლოდ და მხოლოდ იმათ მსგავსად, როგორც უმღეროდნენ მიცკევიჩი, ბაირონი, მილტონი, საუტი, ალფრედ დე მიუსე და ბოდლერი.". ამაოდ ცდილობს დაუმტკიცოს, რომ მან „მხოლოდ ოდნავ გაიფართოვა დიაპაზონი, რათა შეეშინა რაღაც ახალი, მსგავსად იმ მაღალი ლიტერატურისა, ხახოწარკვეთილებას რომ უმღერის მხოლოდ იმიტომ, რათა შეძრწუნებულმა მკითხველმა იწამოს ხიკეთე, როგორც განკურნების საშუალება".

გაიარა ერთმა წელმა. მალდოროროს ექვსი სიმღერიდან კი იხევ მხოლოდ ერთადერთი — პირველი სიმღერაა დაბეჭდილი. იგი კრიტიკის არავითარ ყურადღებას არ იმსახურებს. თვით ავტორიც თითქმის მზად არის ბაზი გადაუსვამ თავის „დაწყეველილ წიგნს" («Sacre bouquino»). იგი წერს თავისებური ფორმის ესეის, სათაურით „ლექსები" («Yes poesies»). ზოგიერთი მას დაუწერელი ანდა უკვალოდ დაკარგული ლექსების წინასიტყვაობად მიიჩნევს.

ახლა იგი აბუჩად იგდებს ბაირონსა და მიცკევიჩის რომანტიკულ ტრადიციებს, მათ „მარადიულ წუწუნს", რასაც წინათ ასე მაღლა აყენებდა. თავის თავზე კი ამბობს ეპიგრაფში: „მე შევცვალე მელანქოლია — სიმამაცით, უიმედობა — იმედით, ბოროტება — სიკეთით, ბავილი — მოვალეობით, სკეპტიციზმი — რწმე-

ნით, სოფიაზმი — ბულგრილი სიმშვიდით და სიამაყე — თავმდაბლობით". ეს ესეიც, რა თქმა უნდა, გამოუქვეყნებელი დარჩა (იგი მხოლოდ 1920 წელს დაიბეჭდა).

1870 წლის 24 ნოემბერს იზიდორ დიუკასი მკვდარი ნახეს ერთი ლარიბული სასტუმროს ნომერში, ფობურ მონმარტრის ქუჩაზე. იგი ოცდათხუთ წლისა იყო, არ უყვადმყოფია, მაგრამ უკანასკნელ ხანებზე არავის უნახავს. გარდაცვალების აქტი სულ რამდენიმე სტრიქონისაგან შედგება — თარიღი, სახელი და გვარი, დაბადების ადგილი, პროფესია, გარდაცვალების დღე, საათი და ადგილი — აქტი დამოწმებულია მხოლოდ სასტუმროს პატრონისა და ერთი მსახურის მიერ. პოლიციის დოსიე იზიდორ დიუკასზე უკვალოდ გაქრა. ამიტომ დღესაც ძალაში რჩება მოსაზრება, რომ მეორე იმპერიის პოლიცია რადიკალურად მონაწილეა ამ იდუმალებით მოცულ ამბავში.

ამ მოსაზრებას საკმაოდ რეალური ნიადაგი გააჩნია. 1870 წელი იდგა. აბლოკდებოდა პარიზის კომუნა, რამდენიმე პიროვნებას შორის, რომელთაც დიუკასმა მიუძღვნა თავისი ლექსები, აღნიშნულია სახელები კომუნასთან დაკავშირებული ცნობილი სოციალისტებისა — ჟორეს დაზესი და ეოზეფ დიურანისა. მასალებს შორის, რომელიც გამოაქვეყნა 1927 წელს ფილიპ სუპომ, რიგორც ლოტრეამონის თხზულებათა დამატება (საიდანაც ამოშლილია ადგილები წინა ბიოგრაფიული მონაცემებიდან), განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რამდენიმე სტენოგრაფიული ჩანაწერი. ეს გაბლავთ ციტატები ა. ვიტიუს ბროშურიდან „ხაზოგადოებრივი კრებები პარიზში 1868-1869 წლებში". აქ ციტირებულია პოლიტიკური გამოსვლები პარიზის გარეუბნების — ბელვილის და მენილმონტანეს მუშათა კრებებზე, სადაც ორატორის გამოსვლას ხშირად წყვეტდა მკუბარე აპლოდისმენტები. ეტყობა, ორატორი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ერთ-ერთ კრებაზე თავის ხიტყვაში იგი მოითხოვს „უფრო მეტ თავისუფლებას", რაც მეხთვის დაკავშირებულია „კომუნიზმთან" და „კერძო საკუთრების დამხობასთან", მეორე გამოსვლაში იგი მოითხოვს „მიწის სრულ ექსპროპრიაციას და გადაცემას საზოგადო საკუთრებაში", „თანამედროვე ეკონომიკური წყობის სრულ უარყოფას". იგი ემუქრება მოღალატეებს და ფარდას ხდის პრესის გამცემლურ მოქმედებას. ორატორის სახელია დიუკასი.

ეს სახელი დაარქვა უიულ ვალესმაც თავისი რომანის „ინსურგენტის" (1886 წელი) ერთ-ერთ პერსონაჟს. ეს გაბლავთ პოლიტიკური ორატორი, კომუნის წინამორბედი, კომუნის იდეების ერთგული და თავგამოდებული დამცველი. გარეგნულად იგი საოცრად ჰგავდა ადამს, ვინც თავის თავს ჯერ კიდევ ლოტრეამონი დაარქვა და ერთ-ერთ წერილში „ბალდოროროს სიმღერებს" „ამბოხების პოეზიას" უწოდა.

ეს წიგნი მართლაც „ბოსტონიაზე დაწერილი". მისი ანტიბურჟუაზიულობა, მეამბოხე პათოსი აშკარაა, როგორც არ უნდა ამბობდეს ამას ზოგჯერ უკიდურესი ხასიათწარკვეთილი და უსაზღვრო ხევდის მოტივები. რომანის გმირი — ბალდოროორი ყოველის უარმყოფელი ბოროტების ფანტასტიკური ბორცშეხსმაა. იგი დარწმუნებულია, რომ ადამიანში უფრო მეტია ბოროტება, ვიდრე სიკეთე, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ცხოვრობს ხალხად დამაბინძურებულ, უსამართლო ხაწყაროში. მისი ვრცელი პალეტიკური მონოლოგები მიმართულია ხან ღმერთის, ხან ადამიანის მიმართ. იგი ცდილობს „გაანთავისუფლოს ადამიანი ყველა დიდებულ ხიცრუეთაგან", რასაც შეფარებია ხაშინელი, ყელური, უაზრო სიმკაცრე და ბრძა, მომაკვდინებელი ეგოიზმი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე მოჩანს. ბოროტების ამ ხაწყაროში ბალდოროორი ერთდროულად ბოროტების მტვირთველიც არის და მსაჯულიც, ყველასაგან განკიცხული მოხეტიალეც და ყოველგვარი იმედის შემშუხვრელიც, თავის შერცვას კაცობრიობისა და იმის მიმართ, ვინც თავის თავს შემოქმედი უწოდა, „ზის ოქროსა და ადამიანური სიბინძურის მთის მწვერვალზე და ნაწილ-ნაწილ ნოქავს ადამიანებს". ბალდოროორი უმაღლესი ადამიანურობის სახელით ნათლავს. მთელ ნაწარმოებს გასდევს მხილება ღმერთის დანაშაულისა, რომელიც არღვევს თავის მიერვე დადგენილ კანონებს, რომელთაგან პირველია — არ დაღვარო სხვისი სისხლი.

უკაცრიელ, ცრუ, კაცობრიობისადმი ბოროტებით აღვსილი ქალაქის სახეში ზოგჯერ პარიზის ხინამდვილეს ვხედავთ. ბნელი და უკაცრიელია ქუჩები ბალლენის ეკლესიის ირგვლივ, რაღაცას ჩაუნთქავს გაზის ფარნები, ერთი მეძავიც არ დადის ქუჩაში, ეკლესიის გუმბათს კი დასტრიალებს ფეხმოტეხილი ბოტი და ჩაბავის: „ელოდეთ უბედურებას!" ჩაშავებული ამღვრეული სენა გაბორიყავს ნაპირზე ბდიდრულად ჩაცმულ დამბვრჩვალ გოგუკს. ტუილერის ბაღში კი, სადაც ყველა მიჩვეულია ტბაზე მოცურავე ფერად-ფერადი ნავების ხილვას და ბავშვების მხიარულ ტრიამულს, ბალდოროორი ახე ჩააგონებს რვა წლის ბიჭს:

„იყავი ყველაზე ძლიერი და ყველაზე ვერაგი. იცოდე, გამარჯვება თავისით არ მოდის, არ არსებობს ომი სისხლისა და ბოცვა-ულეტის გარეშე, გამარჯვება კი არ არსებობს ომის გარე-

შე. მაგრამ, თუ გინდა ხახელოვანი გახდე, უნდა შეგეძლოს ჩაიყურყუმელავო ხისხლის მდინარეში, რომელიც საზარბაზნე ხორცით იკვებება. მიზანი ამართლებს საშუალებებს. და პირველი საშუალება ხახელის მოსახვეჭად არის უული. და თუ ფული არა გაქვს, ხალხი უნდა გაქლიტო და ამით იშოვო. მაგრამ თუ შენ არა გაქვს ხაამისი ძალა, რომ ხანჯლით გაუსწორდე, გახდი ჭურდი, სანამ კუნთები გაგიმაგრდებოდეს. კუნთების გასამაგრებლად კი უნდა ივარჯიშო დღეში ორჯერ: ერთი საათი დილით, ერთი ხაათი საღამოს. მაშინ შენ საკმარისი შეძლებ თბუთმეტი წლის ასაკში ჩაიდინო დანაშაული და არ უცადო, როდის შეგიხრულდება ოცი. სიყვარული და ხახელი ყველაფრის მპატიებელია და, ვინ იცის, იქნებ შენც ამაღლდე შენს მსგავსთა შორის და რამდენი საკეთე გაუკეთო მათ, რამდენი ბოროტებაც არგუნე დასაწყისში".

აცრემლებული ბიჭი გარბის და, უცებ სტროფის მოულოდნელი დასასრული: მალდოროორის შიში იპყრობს, აშინებს შედეგი, რაც შეიძლება მოჰყვეს მის ხიტყვებს. იგი ხასოწარკვეთილია, რომ ალარ გაგრძელა ბიჭთან საუბარი და მხოლოდ ამის ამარა გაუშვა. „ბავშვიხათვის ეს ხაკმარისია, რათა ავად გახდეს და ხამი დღე ლოგინში იწვეს. ოჰ, ღმერთმა ქნას, დედის სიყვარულმა სიკეთე შთაბეროს ამ მგრძნობიარე ყვავილს, კაცობრიობის უმშვენიერესი სულის უნაზეს გარსს".

ეს არის მეორე სიმღერიდან. მეხუთეში კი უკვე თვით ავტორი მიმართავს მკითხველს: „ყურადღებას ნუ მიაქცევ ჩემს უცნაურ მანერას, როცა გიმღერი ამ სტროფებს... თავი ანებე ტირილს. მე არ მსურდა, გული გტკენოდა". ეს სტროფი მთავრდება ბოროტი რჩევით, განიკურნოს კითხვით მიღებული ავადმყოფური შთაბეჭდილებებისგან ყველაზე უბრალო ხაშუალებით: „მოაგლეჯოს ხელი ხაკუთარ დედას ან დას და ნაკერ-ნაკერ შეკამოს, როგორც წამალი".

მაგრამ თავიხი მეორე თხზულების ეპიგრაფში ლოტრეამონმა ხომ ადგვიანქვა, რომ ამიერიდან სულ სხვა ადამიანად იქცევა, რომ სხვაგვარად შეხედავს ცხოვრებას და ადამიანებს, თუმცა უკვე ამ ეპიგრაფშიც იგრძნობა ფარული დასონანსი. შემდეგში ეს კიდევ უფრო ძლიერდება. პირველსავე გვერდებზე ნათელი ხდება, რომ ავტორმა ვერ შესძლო უფრო მშვიდი და კეთილი ყოფილიყო ყოველივე იმის მიმართ, რაც გარე ხამყაროში მიუღებელია მისი ხულისათვის, წინააღმდეგობა კვლავ ძალაში რჩება და არა მარტო პოეზიის ხფეროში, რაზეც აქ არის ხაუბარი, სარკაზმი ძლიერდება. მაგრამ ამ ხარკაზმიდან კვლავ შეურყევლად გამოხვევის ძლიერი, ვიტალური კაცთმოყვარეობის ნოტა.

ლოტრეამონის ლიტერატურული ბედი კონტრასტებისაგან აიგო. იგი „ალბოჩინეს" ფრანგმა ხიმბოლისტებმა, შემდეგ „იარაღად გამოიყენეს" სიურეალისტებმა ანდრე ბრეტონის მეთაურობით. მაგრამ ამავე დროს მისი შემოქმედება ახაზრდოებდა ძირითად რეალისტურ მიმართულებას თანამედროვე ფრანგულ პოეზიაში. პოლ ელუარი ხავსებით გარკვევით ლაპარაკობს ამაზე ერთ თავის პროგრამულ ლექსში. ლოტრეამონს ახლაც ებლაუბებიან ფროიდის ვულგარიზატორები და გამარტივებული „ფსიქოანალიზის" თაყვანისმცემლები. მაგალითად, გასტონ ბაშელიარი ლოტრეამონზე დაწერილ თავის წიგნში დაწვრილებით განიხილავს მის ფსიქოლოგიურ „კომპლექსებს", მსჯელობს „ეშმაკეულებზე" მის შემოქმედებაში და ითვლის, რამდენჯერ არის ხახსენები მისი თხზულების ფურცლებზე სხვადასხვა ურჩხული, ბილწი ქვეწარმავალი, მხეცი და ეშმაკეული. მაგრამ ვერავითარი მეტაფიზიკური ჯუნგლები ვერ ჩაახშობენ დიდი პოეტის მხურვალე, მგზნებარე ხმას, რომელიც ზოგჯერ ქვითინად იქცევა, მერე კვლავ შეამბოხის მოწოდებად გაისმის.

მგონი, არც არის ხაჭირო ახსნა, რა იზიდავდა მიხკენ მოდილიანის ან რა აკავშირებდა მასთან. ხაუბარმა „მალდოროორის სიმღერებზე" და მის ავტორზე, მგონი, თავისთავად მიგვიყვანა მოდილიანის შინაგან სულიერ ხამყაროსთან.

მართლაც, როცა მოდილიანის ზოგიერთ ბავშვის პორტრეტს უყურებ, სულ რომ არა ბავს რენუარის მომბიბვლელ, ვარდისფერლოყება, ოქროსთმიან ბავშვებს, რაღაც ხავსებით არა პირდაპირი ასოციაციით შეიძლება გაგახსენდეთ ტუილერის ბაღში ნახული ბიჭი.

მაგრამ მის მხატვრობას ჩვენ შემდეგ დაეუბრუნდებით. ახლა იგი ჯერ კიდევ მთლიანად გატაცებულია თავისი სკულპტურით. დეიმის ხახელოსნოში შეგვიყვანოს მეორე იმ დროისათვის ასეთივე დამწყებმა სკულპტორმა — ეკა ლიფშიცმა, რომელიც რუხეთშია დაბადებული და 1909 წლიდან პარიზში ცხოვრობდა.[1] თუმცა ისიც თავის მოგონებას მოდილიანის შემოქმედებით კი არა, ლექსების მუსიკალობით იწყებს:

„ახლა, როცა მოდილიანიზე ვფიქრობ, რატომღაც პირველად ყოველთვის პოეზია მახსენდება. იქნებ იმიტომ, რომ იგი პოეტმა მაჭს უყვარდა გასაცნო? ან იქნებ იმიტომ, რომ რო-

---

1 შემდეგში იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა.

ცა მაქსმა ჩვენ ერთმანეთს შეგვაბვედრა (ეს მოხდა პარიზში, 1913 წელს, ლუქსემბურგის ბაღში), მოდილიანიმ მოულოდნელად მთელი ხმით წამოიწყო „ღვთაებრივი კომედიის" კითხვა[1]

მახსოვს, როგორ შოქმიბლა მოულოდნელად აელერებულმა ლექსის ნაკადმა და მოდილიანის გარეგნულმა სილამაზემ, თუმცა ერთი სიტყვაც არ ვიცოდი იტალიურად. ველვეტის ძველი შარვალიც კი ვერ უკარგავდა არისტოკრატიულ იერს. შემდეგშიც, როცა ჩვენ უკვე დიდი ბნის ნაცნობები ვიყავით, მოდილიანი ხშირად გვაოცებდა პოეზიის ბიყვარულით, ზოგჯერ ხაამისოდ სრულიად შეუფერებელ მომენტშიც.

... ახლა, როცა ჩემს პირველ შეხვედრას ვიხსენებ მოდილიანისთან, არ შემიძლია ერთმანეთისაგან განვაცალკევო ის ნათელი დღე ლუქსემბურგის ბაღში, პარიზის მზე, ირგვლივ გაშლილი ხეშეკვანე და მაქს ჟაკობის — შესანიშნავი პოეტის და მგრძნობიარე შეგობრის — ტრაგიკული ბედი. როცა მიაშბეს, რა ტანჯვა გადაიტანა მაქსმა დრანსის კონცენტრაციულ ბანაკში გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დასაწყისში, როცა წავიკითხე, როგორ იწვა იგი სხვა წამებულთა შორის ჭუჭყიან იატაკზე და ნელ-ნელა ტანჯვით კვდებოდა, მეხსიერებაში მაშინვე ამოტივტივდა ის შეხვედრა ლუქსემბურგის ბაღში, „ღვთაებრივი კომედია", მაშინ მოდილიანი რომ კითხულობდა, და ის ჯოჯოხეთი, მაქს ჟაკობმა რომ განვლო. დაბოლოველივე ეს შეიკრა ერთ პათეტიკურ სახედ, მოდილიანის ღირსახსოვარ სახედ. მიხთვისაც არ ყოფილა უცხო ტანჯვა. ტუბერკულოზით იყო დაავადებული, რამაც მოულო კიდეც ბოლო, შიმშილობდა და თავის ცხოვრებას ხიდატაკეში ატარებდა. მაგრამ ბუნებით მდიდარი ადამიანი იყო — მომხიბვლელი, ტალანტით დაჯილდოებული, მგრძნობიარე, დიდი ინტელექტისა და გაბედულების ადამიანი. გულუხვი იყო, შეიძლება დაუზოგავად გულუხვიც, როცა ასე ფუჭად ფანტავდა თავის ნიჭს იაფფასიან ჯოჯოხეთებში და ყველა ჯურის ხელოვნურ სამოთხეებში.

...მოდილიანიმ მიმიწვია თავის სახელოსნოში, სიტე ფალგერში. ამ დროს იგი სკულპტურით იყო გატაცებული და მე, რაღა თქმა უნდა, დიდად ვიყავი დაინტერესებული, რას აკეთებდა.

როცა მასთან სახელოსნოში მივედი, — ალარ მახსოვს გაზაფხული იდგა თუ ზაფხული, — ეზოში დამიხვდა, გარეთ მუშაობდა. სახელოსნოს კარებთან, მოცემენტებულ ეზოში იდგა ქვისაგან გამოკვეთილი რამდენიმე თავი, მგონი, ხუთი. მთელი ჯგუფის შექმნას აპირებდა. ახლაც ცხადად ვხედავ, თითქოს გუშინ მოხდა ყოველივე ეს, როგორ დაიხარა თავისი ქანდაკებებისაკენ და ამიხსნა, რომ ეს გაანრებული აქვს, როგორც ერთიანი ანსამბლი. მგონი, მოგვიანებით, იმავე წელს გამოფენაზეც გამოიტანა Salon d'Automne[1]-ში. სალონში იხინი ხიმაღლის მიხედვით იყვნენ განლაგებული, როგორც ორღანის მილები, განსაკუთრებული მუსიკალური შთაბეჭდილებისათვის, რისი მიღწევაც მას უნდოდა.

მოდილიანის, როგორც ბევრ სხვასაც იმჟამად, გულწრფელად სჯეროდა, რომ თანამედროვე სკულპტურა დაავადებულია და ამაში დანაშაული მიუძღვის, პირველ ყოვლისა, როდენს, მის გავლენას. მეტისმეტად ბევრი წვალება სჭირდება თიხას, მეტისმეტად ბევრი ჭუჭყი აქვს. ერთადერთი გზა ხსნისა არის, კვლავ დავიწყოთ სკულპტურის გამოქანდაკება, ნაცვლად გამოძერწვისა, — პირდაპირ ქვისაგან გამოკვეთა. ამაზე ბევრჯერ ცხარე კამათი გვქონდა, რადგან ერთი წუთითაც ვერ დაეთანხმებოდი, რომ სკულპტურას „უპირდა", გარდა ამისა, არც ის მჯეროდა, რომ პირდაპირ ქვიდან გამოქანდაკებას შეიძლებოდა თავისთავად ასეთი დიდი მნიშვნელობა მინიჭებოდა. მაგრამ მოდილიანის გადაჯერება ოღლი არ იყო. იგი მტკიცედ იცავდა თავის გულუბრყვილო რწმენას. ჩვენი დავის დაწყებამდე მან უკვე მოასწრო ბრანკუშის ქმნილებების ნახვა (იგი სულ ახლოს ცხოვრობდა) და მისი გავლენის ქვეშ მოექცა.

როცა ლაპარაკი ჩამოვარდა ქვის სხვადასხვა სახეობაზე (მაგარი ქვა, რბილი ქვა), მოდილიანიმ გამოთქვა აზრი, რომ ქვის ფაქტურას საერთოდ არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია, გამოკვეთილ ქვას მისცე სიმტკიცის შესახედაობა. ეს კი, მისი აზრით, მთლიანად ხელოვნურზე იყო დამოკიდებული. ზოგიერთ ხელოვნურთან ყველაფერი რბილად გამოიყურება, როგორ ქვაზეც არ უნდა მუშაობდეს. ზოგი ყველაზე რბილ ქვას იღებს. ქანდაკება კი სიმტკიცის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი ქმნილებებიდან ჩანს, როგორ ანბორციელებდა ამ იდეას პრაქტიკაში".

მოდილიანისათვის ყველაზე ხაყვარელი მასალა, როგორც ვიცით, ქვაქვეშა იყო. სხვა მასალას, მათ შორის მარმარილოს და ხეს, ძალზე იშვიათად ხმარობდა. ქვაქვეშის ლოდებიდან კი, ეტყობა, უფრო ხვეტის ან ძელის ფორმის ბლოკებს ირჩევდა. ამიტომაც არის, რომ ყველას თვალში ეცემა ხაზგასმული ყავისფერი შერჩეულ მასალასა და მისგან გამოკვე-

[1] საშემოდგომო სალონი (ფრანგ.).

თილ სახეს შორის, ი. მ. ჩაიკოვი, რომელიც ამავე ნაწერში ყოფილა მოდილიანის სახელოსნოში, გვიამბობს: „ფიგურებს აქ ვერ ნახავდით. იყო მხოლოდ თავები. თავებს ქვაქვიშისაგან აქანდაკებდა. ეტყობა, ცდილობდა შეენარჩუნებინა მთელი ეფექტი. მთელი გამომხატველობა თვით ქვისა, ისე როგორც „ხაზების თამაშს" იყენებენ ხოლმე ხეში. ქანდაკებას ზოგჯერ გარედან აპრიალებდა, მაგრამ უფრო ხშირად დაუმუშავებელს, ხორკლიანს ტოვებდა. ეტყობა, ყველაზე მეტად თავისი მასალის „პირველყოფილებას" უფრთხილდებოდა."

არავის არ შეუძლია ზუსტად დაათარიღოს მოდილიანის ესა თუ ის სკულპტურული ნაწარმოები. ეს ნაკლებად დამაჯერებელიც იქნებოდა, რადგან ფაქტიურად არავითარი საფუძველი არ გააჩნია მსჯელობას მოდილიანის შემოქმედებით ევოლუციაზე ამ სფეროში. მით უმეტეს, რომ მისი სკულპტურული ნამუშევრები სულაც არ არის ისეთი „ერთნაირი" ან „ერთსახოვანი", როგორიც შეიძლება მოგვეჩვენოს. პირიქით, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ ეს ხულაც არ გამომდინარეობს ინდივიდუალობის, ხასიათების, პორტრეტების სხვაობისაგან. ეს არ არის გადასვლა „აბსტრაქციიდან" რეალიზმისაკენ ანდა პირიქით. ეს არის მხოლოდ განსხვავებული ხერხები პლასტიკური ფორმის შესაქმნელად. ამასთან ეს ხერხები ნაწილობრივ ალბათ მასალის შერჩევითაც არის დაპირობებული.

მკაცრი სიძუნწით დამუშავებული ქვის გვერდით, თითქმის სქემამდე რომაა დაყვანილი, მოულოდნელად დაინახავთ ნაზად მოხაზულ, თითქოს სინათლით გარშემოვლებულ, სიყვარულით მოდელირებულ ფორმას. პლასტიკური „თავის მხგავსი" ოვალის გვერდით, რომელსაც ნაჩქარევად, თითქოს არქიტექტურულად აქვს მიდგმული შესაბამისად დაგრძელებული, ქვევით გაფართოებული იხარი ცხვირისა, პირის მსგავსი ღრუ და შედგმულია კისრის სწორ, ცილინდრულ სვეტზე. შეიძლება მოულოდნელად განგაცვიფროთ მეორე ქანდაკებამ, „ნამდვილი" ბაგეების „მგრძნობიარობამ", ცოცხალმა, ოდნავ შესამჩნევად ამობურცულმა ქუთუთოებმა და შინაგანი ხიმშვიდის საერთო ჰარმონიულმა შეგრძნებამ, რასთანაც დაკავშირებულია სახის ყველა დანარჩენი ელემენტი. მაგრამ აქაც ამაოდ დაუწყებთ ძებნას პორტრეტის ინდივიდუალობას. აქაც უფრო მეტია „ზოგადკაცობრიული" განყენებულობა, ვიდრე „ადამიანი". ან განა ეს ნამდვილი სკულპტურაა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით? ძალიან ხშირად ეს პლასტიკა თითქოს მხოლოდ გარკვეული ხედვის წერტილისთვისაა გაანგარიშებული. ხაკმარისია იდნავ გადაინაცვლოთ ადგილი და გვერდიდან შეხედოთ, რომ უცებ ყველაფერი დაიკარგება. აღარ არსებობს შესამე განზომილება, იკარგება პლასტიკური მოხაზულობა, იკარგება თვით სახე. გასაგები ხდება ზოგიერთის მტკიცება, რომ მოდილიანის სკულპტურა უფრო პლასტიკური ნახატია, მოცემული ხამ განზომილებაში.

მოდილიანი სკულპტორი გახდა იმ წლებში, როცა პარიზის მხატვრულ ცხოვრებაში გრიგალივით შემოიჭრა და სულ უფრო და უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა ახალმა გატაცებამ ძველი ანუ ეგზოტიკური პრიმიტივებით. მხატვრებმა და სკულპტორებმა თითქოს ხელმეორედ აღმოაჩინეს ეგვიპტისა და საბერძნეთის ხიძველეები, კბმერული და ზანგური პლასტიკური კულტურა, პერუელებისა და ინდიელების სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების ქმნილებანი.

განსაკუთრებით ძლიერი აღმოჩნდა და ფართო გავრცელება მოიპოვა ზანგური პლასტიკით გატაცებამ: იგი სხვადასხვაგვარად, თავისებურად საჭირო შეიქნა ფოვისტებისათვის — მატისის, ვლამინკის და დერენისათვის, საჭირო გახდა პიკასოსათვისაც, ბრანკუზისთვისაც, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე „აშიშვლებდა" პიკასოს. ამგვარი ხელოვნების ნიმუშები ავსებდნენ ანტიკვარული მალაზიების თაროებს, მუზეუმების ექსპონატებს, კერძო გალერეებს.

როცა მაქს ჟაკობი იხსენებდა, „როგორ დაიბადა კუბიზმი", გვიყვებოდა, თუ ერთ საღამოს, მატისისთან გამართულ სადილზე, რომელსაც მასთან ერთად ესწრებოდნენ პიკასოც, აპოლინერიც და სალმონიც, სახლის პატრონმა როგორ უჩვენა პიკასოს შავი ხისაგან გამოკვეთილი სტატუეტი — ზანგური სკულპტურა. პიკასოს მთელი ხალამო ხელიდან არ გაუშვია იგი. მეორე დღის ხალამოს კი, როცა ჟაკობი მივიდა მასთან ბატო ლიავუარში, სახელოსნოს იატაკი მთლიანად მოფენილი დაუხვდა ქაღალდებით. „ყოველ ფურცელზე გამოხატული იყო თითქმის ერთი და იგივე ქალის სახე — ცალი თვალი, ბაგეს შერწყმული გადამეტებულად გრძელი ცხვირი და მხრებზე ჩამოშალი ხვეული თმა. მერე ეს ქალი პიკასოს ტილოებზე გაჩნდა, ოღონდ ერთის ნაცვლად იქ უკვე ორი ან ხამ ქალი იყო ერთად გამოყვანილი. ამას მოჰყვა „ავინიონელი ქალიშვილები" — მთელი კედლია სიდიდის სურათი".

მატისისათვის ზანგური სკულპტურა რაღაც სულ სხვა ნიშნავდა. მისთვის ეს იყო გარდასული საუკუნეების მხოლოდ ერთი „პლასტიკური მანერა," რომელშაც „შეიძლება დაეინტერესების მხატვარი და ჯანვითარის მისი ინდი-

ვიდუალობა", ერთ-ერთი ახალი ხულიერი „შენაძენთაგანი", რომელსაც იგი თითქმის ენციკლოპედიასავით აგროვებდა.

მოდილიანისათვის ეს გატაცება ზანგური სკულპტურული პრიმიტივებით რადიკალურად იდუმლად ერწყმოდა მის გატაცებას ბრანკუზით (შეიძლება სეზანითაც) და ეს ვლინდებოდა გამომსახველობითი სიღრმეებისა და შემოქმედებითი დამოუკიდებლობის ახალ ძიებებში.

მას, რა თქმა უნდა, არიფერი ესაქმება ამ სტატუეტებისა და სტატუების პრიმიტულ, რელიგიურ დანიშნულებასთან, როცა ისინი ლოცვის დროს თაყვანისცემის საგანს წარმოადგენენ. როგორც ჩანს, გულგრილია იმათ მიმართაც, რომელნიც ნაკვთებით (ტუჩები, ცხვირი, თმის ვარცხნილობა) რადაც სახასიათო ზანგურს ინარჩუნებენ ანდა გამოირჩევიან ტანსაცმლის ან ხამკაულების დეტალურობით, არც მათი „ხიუუეტობა" იტაცებს, თუმცა შეიძლება, როგორც მაყურებელი, გაოცებული იყოს რომელიმე ზანგური „ბადონას" მგრძნობიარობით, როცა იგი ძუძუს აწოვებს თავის პატარას და ცალი ხელით მაზად უჭირავს მისი თავი. არა, მას სხვა რამ იტაცებს, რადაც სხვა, უფრო სხვანაირად გაცოცხლებული სჭირდება ზანგური სკულპტურისგან. უფრო სწორად — ესაა მოზღვავება ცხოვრებისეული ემოციებისა, მათი გამომზატველობითი სტიქიურობა, მოულოდნელობა გამოხატული ვრძნობებისა, მათი მონოლითური ერთიანობა. ზანგურ ხელოვნებას, ისევე როგორც ძველ ეგვიპტურ ხელოვნებას, იგი ლირიკულად აღიქვამს (გარდა ნახატებისა, რომელთაც იხსენებს ანმატოვი, მას აქვს აგრეთვე ფერწერული „ეგვიპტური ბიუსტი", 1909 წელი).

მაგრამ შესაძლოა არც ეს არის მთავარი. როცა ათვალიერებ მოდილიანის სკულპტურულ თავებს, ბიუსტებს, კარიატიდებს და მათ გვერდით ფერწერულ ტილოებსა და ნახატებს, ძნელია განთავისუფლდე შთაბეჭდილებისაგან, რომ თავის სკულპტურაში იგი გატაცებულია მხოლოდ და მხოლოდ ფორმის ძიებით, თავისთავად იგულისხმება, რომ ფორმის ძიებით და არა ფორმალისტური ძიებებით. მთელი მისი შემოქმედების „კონტექსტში" და ასევე მის ბიოგრაფიაშიც (იგი ხომ 1916-1917 წლების შემდეგ აღარ დაბრუნებია სკულპტურას), შეინიშნება სწრაფვა საკუთარი ფორმისაკენ, ხასის შექმნის საკუთარი მეთოდისაკენ, სინამდვილის თავისებური გარდასახვისაკენ, მხოლოდ მისთვის საჭირო „დამახინჯებებისაკენ", რაც მხოლოდ და მხოლოდ შინაგანი არსის გათვალსაჩინოებისათვის სჭირდება. ამ თვალსაზრისით გახდა მისთვის ამლობელი არქაული პრიმიტივებიც, როგორც ერთ-ერთი სტიმული.

ტუუილად რიდი შეკრება მოდილიანიმ „სკულპტურული თავები" „ლაკონიტურად ანსამბლად", ეძიებდა მათში „ფესვიკალობას" და „ნიშვის" უწოდებდა. ერთი მეგობარი იხსენებს, როგორ უყვარდა [illegible] მათი ყურება ჩაბავალი [illegible] ეზოში. უყურებდა და უცებ გახარებული წამოიჭარჭულებდა. „თითქოს ოქროსაგან არიან ჩამოსხმული"... პოლ გიიომი გვიყვება, რომ მოდილიანი ოცნებობდა „ადამიანობის ხადიდებელ ტაძარზე", რომელიც საკუთარი არქიტექტურული გეგმით უნდა შეექმნა, და თითქოს სწორედ ამ ტაძრისათვის, რომელსაც უნდა ედგენინა არა ღმერთი, არამედ ადამიანი, იყო განკუთვნილი მისი კარიატიდების გრაფიკული ესკიზები. ისინი უნდა გარდაქმნილიყვნენ ასობით სკულპტურულ გამოხახულებად, რათა ოდესმე ეზიდათ კამარა: იგი მათ „ხიბაზის სვეტებს" («colonnes de tendresse») უწოდებდა.

მაგრამ სიმბოლური ოცნებები ოცნებებად დარჩა. მოდილიანის ზოგიერთი სკულპტურული ალბათ ახლა ოდესმე შეგვიძლია მივაკუთვნოთ «cuziosittées» — „ვეფხვს", „არარსებულს", რაც მრავალად წარმოშვა იმ წლების მხატვრულმა პარიზმა, თუმცა მხატვრის ცხოვრებაში მათ უდიდესი როლი ითამაშეს. ისინი დაეხმარნენ, მოეპოვებინა „ძველაფრის გაბედვის უფლება", რომლის შესახებაც ოდესღაც წერდა გოგენი და მიიჩნეოდა, რომ უამისოდ არ არსებობს მხატვარი. ამის უფლება მოდილიანიმ მხოლოდ იმისათვის მოიპოვა, რათა, ახალ ხიმაღლეზე ასული, კვლავ დაბრუნებოდა თავის „ადამიანურ კომედიას", ადამიანს თავისი ინდივიდუალობით. დაბრუნებოდა იმას, რასაც ზოგი ნაბეღრად დაცინვით მის „პესიმისტურ გულშემატკივრობას" უწოდებს, ზოგი „ინტიმიზმს" ან „ფსიქოლოგიზმს" ანდა უბრალოდ აბუჩად იგდებენ, როგორც ეოფიერების „ანეკდოტს". ჩვენ კი ამას მის ჰეშმარიტ პოეზიას ვარქმევთ.

ზენოფის ტომის ქმნილებათა შორის (ამ ტომში გაერთიანებულია ხანლის ძველის ხანაბირისა და ხუდანის ზანგები), ცნობილია დიდებული ორხანიანი ნიღაბი, რომელსაც, ალბათ ასოციაციით, „ორხანოვან ალუსს" უწოდებენ. მსგავსებაზე თუ ვილაპარაკებთ, მოდილიანის ზოგიერთი თავი ძალიან ახლოს დგას ამ ნიღაბთან. ზევით და ქვეითი მოძრაგვალებული ოვალის იგივე ხიზუსტე, იგივე არქიტექტურულობა ცხვირის, შუბლის, თვალის ჭრილის, ბაგის იგივე სქემატიკა. ამგვარ მსგავსებას შეუძლებელია არ მიაქციო ყურადღება. მაგრამ ამასთან ერთად რატომღაც ფიქრობ ხულ სხვა მსგავსებაზე, რომელიც უფრო ნაკლებად შესამჩნევია და ბევრად უფრო ხულიერი. იქნებ ამ-

გვარმა ხელოვნებამ უბიძგა მოდილიანის შექმნა ბრავალი თავისი ფერწერული პორტრეტის „მრავალსახეობა", თითქმის აკვიატებული სიკარბე სახის ოვალისა, დაგრძელებული ყელის „სვეტისა", ცხვირის ისარის და არაბესკებით აღნიშნული ცხვირის ნეხტოებისა, რაც დაუხრულებლად მეორდება სრულიად განსხვავებულ პორტრეტებზე. იქნებ აქედან დაედო საფუძველი მის სულ სხვა „ნილაბს", რომელიც შეაძლება თანამედროვე ხაზოგადოებაში ამოიცნო — „ნიღაბი" ადამიანთა განდგომისა, გათიშვისა — და აქედან გვაიძულა დაგვენახა ადამიანი, მისი პიროვნება, მისი ბედი. მოდილიანისთან ხომ ძალიან იშვიათად შეხვდებით „ოლად წახაკითს" სახის გამომეტყველებას. გულჩახვეულობა ,ამ პორტრეტების ყველაზე შეტად დამახასიათებელი ნიშანია. იქნებ შემთხვევითი არ არის, რომ ამ პორტრეტების ფონს უმეტესწილად მაგრად ჩაკეტილი კარი წარმოადგენს.

მოდილიანი თავისი ყველაზე „არაგამომხატველობითი", ყოველ შემთხვევაში, ყველაზე „არაპორტრეტული" ხელოვნებით ქმნის ახალ შესაძლებლობებს თანამედროვე ფერწერულ პორტრეტულ ხელოვნებაში. საოცარ ხიმახვილეს აღწევს თავისი შტრიხული ჩანახატებით, რომლებიც ხან კომპოზიციურად „შეზნექილია", ხან გამარტივებული შრავალხმოვანი ლაკონით და მხატვრული გრაფიკის თვითნებური შეცვლით.

ეს ახალი ეტაპი, უფრო სწორად მისი დასაწყისი, ზუსტად აგვიხსნა თავის ბოგონებაში ცნობილმა მოქანდაკემ — ოსიპ ცადკინმა. იგი წერს: „ეს იყო 1918 წლის გაზაფხულზე. მონპარნასი, რომელიც რაღაც „ინგლისურ კვარტალს" უფრო ჰგავდა, უკანასკნელ მშვიდობიან დღეებს ითვლიდა, სანამ დაატყდებოდა ომის შვავი, რომელმაც მსოფლიო ხანძრის ქაოსით ავსო მისი ქუჩები. სწორედ ამ გაზაფხულზე შევხვდი პირველად მოდილიანის, ნაცრისფერი, ზოლიანი პლიასის კოსტუმში ეცვა. დიდებულად აღმართული თავი, კუპრისფერი შავი თმა, ხუფთად გაპარსული ნიკაპი, მოლურჯო ლაქები ალებასტრის სახეზე...

ჩვენ სენ მიშელის ბულვარზე შევხვდით ერთმანეთს, სადაც მაშინ ჩვეულებრივ ხვდებოდა ხოლმე ახალგაზრდობა და სადაც ესოდენ მრავალი შეგობრობა ჩაისახა. მერეც არაერთხელ შევხვედრივარ მას კაფე „როტონდაში".

მაშინ მოდილიანის განზრახული ჰქონდა ხუთლეტორი გაშხდარიყო. აღარ სურდა მონმარტრზე დარჩენა. მთელი თავისი ფერწერული ნამუშევრები რომელიღაც სასტუმროში დაეტოვებინა სიტე ფალგერზე, და სულაც აღარ სწუხდა მათ ბედზე. მას ჰქონდა სახელოსნო ბულვარ რასპაილზე, 216 ნომერში და სულ მეპატიჟებოდა იქ სკულპტურის დასათვალიერებლად.

ნომერი 216 ახლა აღარ არსებობს. ეს მხედველობაში მაქვს არა თვით სახლი, არამედ პატარა მინაშენი, სადაც მოთავსებული იყო მისი სახელოსნო. აივლიდით ალაყაფის — კარს და შეხვიდოდით ორცოფ ეზოში, სადაც იდგა ერთ კედელზე მიშენებული ორი თუ სამი სახელოსნო. ეზოში ხეები იდგა და მათი შავი ტოტები, მწვანე ფოთლებით ფარავდნენ სახელოსნოების შუშის სახურავს, თითქოს წვიმისა და ქარისაგან იცავდნენ მათ მფლობელთ, — ისინი ხომ სულ ახალგაზრდები იყვნენ, ძალიან ღარიბები და ამავე დროს ძალიან მდიდრები თავიანთი იმედებითა და ხურვილებით.

მოდილიანის სახელოსნო პატარა შუშის ყუთი აღმოჩნდა. მე რომ შევედი, იგი საწოლზე იწვა, რომელიც ძალიან პატარა მეჩვენა. გაღვიძების მოლოდინში მისი დიდებული ნაცრისფერი კოსტუმი თავისუფლად დაეცურავდა ქარიშხალისაგან აბობოქრებულ, ამაყამად გაქანებულ ზღვის ტალღებზე. მის ირგვლივ ყველაფერი — კედლებიც, იატაკიც — თეთრი ქაღალდებით იყო მოფენილი, მონახაზები კი ამ ქაღალდებზე კინემატოგრაფიული ქარიშხლის დაშოშმინებულ ტალღებსა ჰგავდნენ. თვითონ კი, ასეთი ლამაზი და მომხიბვლელი, ველარ ვიცანი, როცა გაიღვიძა. ერთიანად გაუვითლებული, გალეული სახის ნაკვთები... ქალღმერთი ბაშიში არავის ინდობს...

მან იატაკიდან აკრიფა მონახაზები და მერე თავისი ქანდაკებები დამათვალიერებინა — ქვისაგან ნაკვეთი ოვალური ფორმის თავები, ნამდვილი კვერცხები, ისრის მსგავსი ცხვირით, რომელიც ზევიდან ქვევით ჩამოუყვებოდა ტუჩებისაკენ, თვით ტუჩები კი რაღაც ხაიდუმლო მიზეზის გამო არც ერთ სკულპტურაზე დამთავრებული არ იყო — შეიძლება ამას ერთგვარი მორიდების გრძნობა აიძულებდა...

უფრო მოგვიანებით ჩვენ ვხვდებოდით პიკასოს სახელოსნოში, ზოლშერის ქუჩაზე მდებარე უზარმაზარ სახელოსნოში, სადაც მომხიბვლელად იმანკვებოდნენ შავი ნიღბები, რომელთაც მალე მთელი პარიზი დაიპყრეს. მერე მე ხშირად დავდიოდი ბეატრისა ჰესტინგსის — ინგლისელი პოეტი ქალის — შესანიშნავი, ყურადღებიანი „მსმენელის" სტუდიაში, მოდილიანის უზარმაზარი ნახატი კარიატიდების სანახავად. მათი თითქმის ბავშვური სხეული ძლივხლა ერეოდა იტალიური ლურჯი თაღის მძიმე ტვირთს. აქ, ამ სტუდიაში იგი კვლავ დაუბრუნდა მხატვრობას. შექმნა ბეატრისა ჰესტინგსის რამ-

დენიმე პორტრეტი, აქვე განაგრძობდა მუშაობას სკულპტურაზე, ოღონდ უკვე პოლიქრომიულ სკულპტურაზე.

სკულპტორი მასში თანდათან ქვდებოდა.

პორტრეტები და ნაბატები სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ ქვის თავებს, დაუმთავრებლები კი უკვე ღია ცის ქვეშ ეყარნენ, პატარა პარიზული ეზოების სიბინძურეში ბინაობდნენ ან პარიზის რუში ფერის მტვრით იფარებოდნენ... ქვის დიდი ფიგურა, მისი ერთადერთი სტატუა, გულალმა ეგდო პარიზის მოდრუბლული ცისქვეშ. დაუმთავრებელი ბაგე თითქოს ხავსე იყო გამოუთქმელი მწუხარებით.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში მოდილიანი სულ უფრო ხშირად უბრუნდებოდა მხატვრობას. თუმცა არც სკულპტურისათვის დაუნებებია თავი. მისი პორტრეტები, რომლებიც მეტი ან ნაკლები სიზუსტით 1913-1914 წლებით თარიღდებიან, უკვე თავისუფალი არიან ყოველგვარი გავლენებისაგან. საკმარისია დავუპირისპიროთ ერთმანეთს ექიმი ალექსანდრის სამი პორტრეტი, როგორც ეს შესანიშნავად არის მოცემული ხელის გამოცემის ერთ ტომში — «La goût de notre temps», რათა დავრწმუნდეთ ამაში. პირველი პორტრეტი, შესრულებული 1909 წელს, ფერწერის თვალსაზრისით ბუნდოვანია და აშკარა „სეზანიზმის" დაღი ახსია. უკანასკნელი, შესრულებული 1913 წელს, უკვე ჭეშმარიტად მოდილიანის პორტრეტია. ხაზების შერწყმა, რომლებიც რაღაც ხახწაულით ქმნიან სხეულის სიმკვრივეს და ხიცოცხლის შთაბეჭდილებას, გამჭვირვალე კოლორიტი, ნაზი ფონი, რომელიც თითქმის წინა პლანზე სწევს ფიგურას, დეტალების დაუმთავრებლობა, პირიბითობა, რასაც თითქოს პირდაპირ მიეყოვართ მოდელის სულიერი არსებისაკენ. ამიტომ არის, რომ ამ მონოგრაფიის ავტორი — კლოდ რუა, რომელიც პირადად იცნობდა ექიმ ალექსანდრის, ამტკიცებდა, რომ ეს მისი ყველაზე უფრო მიმგვანებული პორტრეტია. თვით ექიმი ალექსანდრი კი ამბობს, რომ ეს უკანასკნელი პორტრეტი ერთადერთი იყო, რომელიც მოდილიანმა მისი პოზიციის გარეშე დაბატა — „გამონაკლისი მოვლენა მის შემოქმედებაში".

მოდილიანი იმ მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ბიოგრაფისაგან განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვენ ისეთი ალიარებული ცნებების მმარებისას, როგორიც არის „პერიოდი", „ეტაპი", „გარდატეხის მომენტი" და ა. შ. მეტისმეტად ბევრი წინააღმდეგობა, შეუსაბამობა იმენს თავს ამგვარი განსაზღვრის საწინააღმდეგოდ. მისი ადრე ჩამოყალიბებული შემოქმედებითი, ცოცხალი, არათანმიმდევრული ძიებანი ითლად ეგრევენ ამგვარ, მკაცრ ყოველთვის ბულიტინურ ხელვარს. მით უმეტეს, როცა ქრონოლოგიურად დავუპირისპირებთ ერთმანეთს მის ნაწარმოებებს, შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ ... წლებში მის სტილში მეტ მდგრადობას იძენს რაღაც პრინციპულად ახალი თვისებები. სწორედ ამ წლებში შეიძინა მისმა მხატვრობამ განუმეორებელი ტემპერამენტი. სწორედ ამ წლებში ლაპარაკობს იგი „მთელი ბნით", როგორც მხატვარი. ამიერიდან მის მხატვრობაში, ისე რაგორც გოგოლის „პორტრეტში", უველაფერზე ბატონობს ძალა შეკმნისა, რომელიც თვით მხატვრის სულშია მოთბუნავდეული.

ეს ის წლებია, როცა პორტრეტი ერთადერთ უცვლელ ჟანრად იქცევა მოდილიანის ფერწერაში, როცა პორტრეტი იპყრობს და ამორჩილებს შიშველ ნატურასაც, ადრე რომ ასახოდეს დამორჩილებია ამ ჟანრს. მოდილიანისათვის მისაწვდომი ხდება ის უმაღლესი პლასტიკური და პოეტური ჩანაფიქრი, რაც ხელოვნად შეიძლება ჰქონდეს პორტრეტს — მოდელის ცხოვრების რაღაც ხასწაულებრივი დაკერა, გარდაქმნა და გაგრძელება.

თავისი პორტრეტებისათვის მოდილიანი თითქმის ყოველთვის იმათ ირჩევდა, ვისკენაც გული მიუწევდა. ამიტომ, რაღა თქმა უნდა, ხელოვნელიც ჰქონდა „მგზავნებოდნენ" ხაკუთარ თავს. მაგრამ იგი ეძიებს უფრო დიდ, უფრო ღრმა, უფრო დამტევ, საბოლოო ჯამში უფრო ზუსტ მსგავსებას, ვიდრე შეუძლია მოგვცეს თვით ხარკის ანარეკლმა. მოდელთან თავისი შინაგანი, შემოქმედებითი შერწყმის იდუმალების მეშვეობით იგი, როგორც გოგოლი ამბობს, „მბრძანებლურად მიიღტვის ფსიქოლოგიური მეორე პლანის" შეცნობისაკენ და პიროვნების „სინთეზისაკენ" და ძალიან ხშირად მისი ფარული შინაგანი დრამისაკენ.[1]

ამავე დროს მას არავითარი წინასწარ გამიზნული ხერვილი არა აქვს, წინ აღუდგეს ხინამ-

[1] მხატვარი ქალი ლ. მ. ... ერენბერგი მოგვითხრობს: მოდილიანის პორტრეტებში, რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ ეს, მსგავსება მოდელთან განსაკუთრებული. როცა ოციანი წლების დასაწყისში პარიზში ჩავედი, პირველი გაცნობისას მომეჩვენა, რომ მე ვიცნობდი ზბოროვსკასაც, სუტინსაც, ... და ბევრ სხვასაც, რადგან მათ გაცნობამდე დავათვალიერე მოდილიანის გამოფენა. იგივე განმეორდა რამდენიმე წლის შემდეგ, როცა კიდე „როტონდაში" და „ლეფე დიუ დომში" მისი დაბერებული მენატურეები ვნახე.

დვალეს, წაართვას ხიმტკიცე. წონახწორობა, გადაქცეთს თვითნებური თამაშის ობიექტად. იგი არ ეძებს ეფექტებს, არც ვინმეს ეპატირება აქვს განზრახული. არა, მას მხოლოდ უნდა დაიბადოს აგი, ვინც ახლა მის წინ [illegible] დანახოს თავისუფლად. ყოველგვარი მითითების ან შუამავლის გარეშე. ყველაფერი გაიკეთოს იმისათვის, რათა მის მიერ დანახული შეგრძნებანი არ აღმოჩნდეს.

„ერთგული იყავი იმისა, რასაც ხედავ", — ასე ჩამოაყალიბა ერთხელ ბევრად უფრო მოგვიანებით პიკასომ თავისი მთავარი მოთხოვნილება საკუთარი თავისა და ყველა მხატვრისადმი...

მაგრამ თავისი ახალი სტილის მთლიანობას მოდილიანი ახლაც ვერ აღწევს ერთბაშად, ერთხელ და სამუდამოდ. ამაში რწმუნდები. მაგალითად, როცა უყურებ ისეთ ფერწერულ ქარაგმას, როგორიც არის 1915 წელს შესრულებული „პიკასოს პორტრეტი" უხეშად ნაზგანმული პრიმიტივიზმით ანდა ხედავ, რა უსესხებია კუბიზმის არსენალიდან ბეატრისა ჰესტინგსისა და მაქს ჟაკობის პორტრეტებზე მუშაობისას ანდა როცა ხედავ რაღაც ისეთს, რაც აშკარად პუანტილიზმიდან მოდის — ფერადი ლაქების მძივი მხატვარ ჰეკილენდის პორტრეტზე. მაგრამ ყოველივე ეს არის მხოლოდ მაგალითები მერყეობისა, რასაც მოდილიანი არ გაურბოდა და არც უნდა გაქცეოდა, როცა თავის ახალ გზას ადგებოდა. ეს გზა მისთვის ნათელი და ძირითადი იყო. ახალი და ძირითადი კი წმინდა ესთეტიკური სტილისტური თვალსაზრისით იმაში მდგომარეობს, რომ ახლა იგი სულ უფრო ხცილდება ხელოვნისეულ მისწრაფებას — შექმნას ფორმა ფერის უფაქიზესი ნიუანსებით, იხარგებლოს უამრავი ფერადოვანი ნიშნებით, რათა ნიადწიოს ფორმის სინარნარეს და ტევადობას. ახლა დიეგო რივერას ან პიკასოს პორტრეტისათვის მოდილიანი იღებს მხოლოდ ორ მადომინირებელ ტონს — თბილსა და ცივ ტონს — მათ ირჩევს „ხელოვნისეულ" ათასნაირი შესაძლებლობიდან. ასე, რივერას პორტრეტზე ხასის მკრთალი იისფერი, ცივი „ნიღაბი", ოღნავ გამოცოცხლებული წითელი წერტილებით. ერწყმის მხოლოდ მუყაოს თხილ ფონს. მაგრამ ამ „ნიღბიდან" გამოსჭვივის ჭკვიანი, კეთილი, მშვიდი გამოხედვა, გაბატონებულია ხასის ჯადოქრობა კი უკვე აქაც (შემდეგ ეს უფრო და უფრო მეტი სიძლიერით იჩენს თავს) ტევადს ხდის ამ მძაღრად შერჩეულ, თავისი მოდულაციით შეზღუდულ ფერს, უფრო მეტიც, აცოცხლებს მთელ ხასეს. თითქოს გვიამბობს მთელი თავისი სხეულის სიხავხითა და სირბილით. არც „რივერა" და არც „პიკასო" მოდილიანის ბოლოამდე დამთავრებული არა აქვს, შეფერილობის სტადიაში აქვს [illegible] თითქოს მხატვარს ვერ [illegible], გამგრდეს თუ არა თავის ახალ [illegible]ებზე. ეს ესკიზები უფრო მეტი [illegible] მიგვანიშნებენ მის სტილისტურ [illegible] შეგრძნებების გულწრფელობაზე.

მაგრამ ჩვენ უნებურად წინ გავიჭეროთ. დავუბრუნდეთ მის სკულპტურას.

1911 წელს მოდილიანმა გამოაქვეყნა თავისი „თავები და გუაშები" მეგობარი მხატვრის ამადეო დე სუზა კარდოზოს ატელიეში. პოლკოვნიკ კომბას ქუჩაზე (ეტყობა, იქ და არა „დამოუკიდებელთა სალონში" იყო გამოფენილი ის სკულპტურა, ანა ამბობდა რომ იხსენებდა და მოდილიანი «la chose»-ს უწოდებს).

მომდევნო 1913 წელს მისი შვიდი სკულპტურაა აღნიშნული „შემოდგომის სალონის" კატალოგში შემდეგი სათაურით: „თავები. დეკორატიული ანსამბლი" (ეტყობა ისინი, რომელიც ხასა მის ხახელოსნოში ლიფშიცმა. მაშინ მათი შეხვედრის თარიღი ერთი წლით უნდა გადავწიოთ).

მოდილიანი აღსავსეა იმედებით და ეს ჩანს ძმისადმი გაგზავნილ ერთ დაუთარიღებელ წერილშიც, რომელიც აშკარად ამ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. „ძვირფასო უმბერტო, უპირველესად ყოვლისა მადლობას გიხდი მოულოდნელი დახმარებისათვის. იმედი მაქვს, დროთა განმავლობაში დავაღწევ თავს გაჭირვებას. მთავარია, არ დავიბნე. მეკითხები: რა მაქვს განზრახული? ვიმუშაო და გამოვიტანო გამოფენაზე. In pectore[1] ვგრძნობ, რომ ადრე იქნება თუ გვიან, გავიკაფავ გზას. „შემოდგომის სალონმა" შედარებით წარმატებით ჩაიარა ჩემთვის თუნდაც იმით, რამდენიმე ნაწარმოები რომ შიიღო ერთად, (რაც იშვიათი შემთხვევაა) — ეს ხომ დამოკიდებულია ფრიად ვიწრო კომპანიად შეკრულ ადამიანებზე. ახლა თუ შევძელი და ასეთივე წარმატება განვავითარე „დამოუკიდებლებთანაც" — პირველი ნაბიჯი, ყოველ შემთხვევაში, გადადგმული იქნება. შენ როგორღა ბარ? გადაეცი ჩემი სალამი დეიდა ლოს. თუ შეგიძლია, მომწერე წერილი. გკოცნი.

შენი დედო-

მაგრამ ეს იმედები არ გაახორციელებულა. მალე რამდენიმე სურათის გაყიდვა მოხერხდა, მაგრამ მოდილიანის ფული, როგორც ყოველთვის, დიდხანს არ უჩერდება. სკულპტურების შექმნაზე, რა თქმა უნდა, გაგონებაც არავის უნ-

1. აქ: შინაგანად (ლათ.).

დოდა. ხალხისაგებლის ხაყიდელი ფულიც ალარ ჰქონდა. ეწუხებოდა გადასახდელი ვალები, რომელთა გადადება არ უყვარდა. ბოლომე, რაღა გასაკვირი იყო, რომ შაქს ეკოობი და ორტიზ დე სარატე ამბობდნენ, ამედეო უფრო გესლიანი და ხარკასტული გახდაო.

ერთხელ, როცა სიტე ფალგერში მივიდა მისი ერთგული ორტისი, იატაკზე იპოვა შიმშილისაგან გონწასული. მეგობრები შეშფოთდნენ, შეუგროვეს ცოტაოდენი ფული და ლივორნოში გააგზავნეს გამოსაჯანმრთელებლად. მაშინ არავინ იფიქრებდა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი გამგზავრება ხაზშობლოში.

„უკვე რამდენიმე თვეა, რაც სკულპტურა მიატოვა, — ბყვებოდა შემდეგ ეკიმი ალეკსანდრი. — აპრილში, იტალიაში გამგზავრების წინ, რაზედაც დიდი ბნით ადრე მელაბარაკებოდა. რამდენიმე ნივთი დამიტოვა იმ განზრახვით, რომ ჩამოხვლის შემდეგ ისევ უკან წაიღებდა. იგი ფორანით გამომეცხადა, რომელიც დატვირთული იყო ქვისაგან გამოკვეთილი ქანდაკებებით. მგონი, ოცამდე ქანდაკება იყო."

ამჯერად თავისიანებთან ჩახული წინანდელზე ბევრად უფრო ცუდად გამოიყურებოდა: ერთიანად გამოფიტული, ავადმყოფი, გაღიზიანებული, საშინლად ჩაცმული, მაგრამ მაინც დიდგული.

ლივორნოელი მეგობრები იხსენებენ მისი ქანდაკებების ფოტოებს, რომელთაც მოდილიანი წამდაუწუმ იღებდა ჯიბიდან და აიძულებდა, დამტკბარიყვნენ მათი ცქერით. თვითონ აღტაცებული იყო, მეგობრებს კი სრულიად ვერაფერი გაეგოთ ამისი და ეს საშინლად აღიზიანებდა, აბრაზებდა და გულს სტკენდა.

მისი თხოვნით დაუქირავეს რაღაც ხახელოსნოს მსგავსი ფარდული, უშოვეს ქვის ლოდები, დაუმტვრიეს. იქ გააკეთა რამდენიმე ქანდაკება, რომელნიც თვალით არავის უნახავს. რომიტი ირწმუნება, რომ მან იპოვა ერთი მათგანი ლივორნოს არხის ფსკერზე ჩაძირული. ეტყობა, აქედან მოდის მითი მოდილიანის ქანდაკებებისა, რომელნიც თვით მოდილიანის ჩაუძირია ლივორნოს არხში. ამბობენ, თითქოს ენთუზიასტებს დღესაც არ დაუკარგავთ იმედი, რომ ოდესმე იპოვიან მათ.

მისი ჯანმრთელობის გამოკეთება კი მაინც არ მოხერხდა. როგორც ყოველთვის, გული აბლაც პარიზისაკენ ეწეოდა და მალე კიდეც დაუბრუნდა პარიზს.

თავი IV
მოგზაურობა

პარიზის გარეშე მას ხიცოცხლე არ შეეძლო. არაერთხელ უთქვამს კიდეც ეს, როცა მოეძალებოდა სურვილი, ბოლომდე ეთქვა, ელიარებინა რაღაც მეტად მნიშვნელოვანი. „გაქცევა პარიზიდან", «fuiz, la-bas, fuiz...» როგორც უყვარდათ მაშინ სიმბოლისტურ სალონებში ციტირება მალარმეს სტრიქონისა, გაქცევა სულ ერთია სად — პროვინციაში, სოფელში თუ ხმელთაშუა ზღვის ხანაპიროს რომელიმე ზღაპრულ კუთხეში — მისთვის ცხოვრებიდან გაქცევას ნიშნავდა... სხვა მხატვრები ამას სხვაგვარად ეძიებს განმარტოებას სოფელში, შემდეგ რი მიჯაჭვული თავის პარიზს, ხოს ასე შეეძლო ამოეცნო მისი განუმეორებლობა ინტიმური ინტერიერის უზუსტეს ნიუანსებში ანდა დამეული პიგალის მოედნის რომელიღაც მოულოდნელ, გაბედულ „ამონაჭერში", მაგრამ მაინც ეს ერთი ხანია ცხოვრებას და მუშაობას პარიზიდან მოშორებით ამჯობინებდა: „პარიზში არასოდეს ორ თვეზე მეტს არ ვაყოვნებ, — ამბობდა იგი. — მე აქ ინიტომ ჩამოვდივარ, რომ მხნეობა მოვიკრიბო, შევადარო ჩემი სურათები სხვებისას. პარიზში მე კრიტიკოსი ვარ, აქ მუშაობა არ შემიძლია. მეტისმეტი ხმაურია, მეტისმეტად გეფანტება ყურადღება". ვლამინკიც, „ველურთა" გამოფენებზე თავისი პირველი გახმაურებული წარმატებების შემდეგ, სულ უფრო ხშირად ეძიებს განმარტოებას სოფელში შემდეგ კი საბოლოოდ გადასახლდება თავის საყვარელ მამულში — ბუა დე ლია ჟონშერში. პარიზი მას „ახრჩობს" და მუდამ ისწრაფვის მალე შეაფაროს თავი სოფლის მყუდროებას, რათა მარტო დარჩეს თავის თავთან, თქვას ხელოვნებაში, რაც მისი სათქმელია, რათა ახლა, მას შემდეგ, რაც დაუზოგავად გადმოდვარა „წმინდა ფერი", მის ახალ, მოწყენილ ტილოებზე, ნაწვიმარ ლრუბლებს იქით, კვლავ აღმნდეს სიხარულისფერი ციაგი, დაცარიელებულ გზებისკენ გადმოსკუპდნენ მისი პატარა, უკარფანჯრო სახლები, დაუბეროს ზამთრის ქარმა და გააშიშვლოს დაგრეხილი, მაბინჯი ხეები...

ომისწინა, ავისმომასწავებელი წინაგრძნობით დამუხტულ წლებში პარიზის ხმაურიანი კალეიდოსკოპი ხელს უშლის ბონარს ჩაეფლოს მშვენიერ ილუზიებში, მის ანტიპოდ ვლამინკს კი საშუალებას არ აძლევს მთლიანად გადაეშვას ტრაგიკულად აფორიაქებულ, განმარტოებულ რომანტიზმში. მოდილიანი, რომელსაც უნდა

ითქვის, პირველი უბრალოდ ყურ ამჩნევდა, მეორეს კი გულჩრფელად უყვარდა და აფასებდა, როგორც მხატვარს, კვლავ პარიზზე რჩება მიჯაჭვული. მას არ ანიჭებს „ეროტიკოსად" ყოფნა და სურს პარიზის ატმოსფეროში განმარტოვდეს „საკუთარ თავთან".

თუმცა პარიზი — თვით ქალაქი, მიხი ქუჩები, მოედნები, შენობები, სანაპიროები, პარკები, ხიდები — სულაც არ აისახება მოდილიანის შემოქმედებაში. მისთვის თითქოს არ არსებობს ქალაქის პეიზაჟი, თუმცა მისთვის საერთოდ არ არსებობს არავითარი პეიზაჟი, თუ არ ჩავთვლით ნიცის ბოლოდროინდელ ორ ნიდს და შეტად მცირერიცხოვან რამდენიმე პეიზაჟურ ფონს, სულ რომ არ გვაგონებს ჩვეულებრივ ბლენერს და უფრო ამა თუ იმ პორტრეტის კომპოზიციურ ელემენტს შეადგენს (მაგალითად, „მწვანიერი შედუენე ქალი").

„საერთოდ არ არსებობს არავითარი პეიზაჟი!" — გამეკვირვა უადრესად აღელვებული მოდილიანი მონპარნასის რომელიღაც ბარში დასლთან მდგომი და თითქმის მუშტებით მიიწევდა თავისი მეგობრისაკენ, მეექსიკელ მხატვარ დიეგო რივერასაკენ, რომელიც არანაკლებ დაეინებით და ტემპერამენტით გამეკვირვა: „არა, პეიზაჟი არსებობს!" პეიზაჟის გაშმაგებულ უარყოფა ამ მხატვრისაგან, რომელიც ოვითონ ცდილობდა გადმოეცა თავისი განცვიფრება იტალიის ლანდშაფტით, შეიძლება აიხსნას მხოლოდ მისი ყოვლისშთანმთქმელი ინტერესით ადამიანისადმი, თავისი თანამედროვეისადმი, რომელიც მის გვერდით ცხოვრობს. ეს პერსონაჟი თავისი მნიშვნელობით გამოირჩეოდა ყოველგვარ დეკორაციას და წოლიანად ავსებდა ზის „მხედველობით არეს".

ამა ხაამისად რად ხეირდებოდა პარიზი? ნვენთვის ითლად წარმოსადგენია, როგორი პარიზი არ ხეირდებოდა მას ან, უფრო ხეორად, რომელ პარიზს შეაქცევდა ზურგს დამცინავი ან ხარკასტული ლიმილით: ეს იყო ძალიან ხანგადოებისა და ბირგის პარიზი, პარიზი მოვაკრე და მეტისმეტად კოპწია, გატეცებული მოდებით და ათასნაირი ვასართობით, თავისი გასაგიუებელი ვიტრინებითა და დიდებული რესტორნებით; ეს იყო ელიხეს მინდვრებისა და დიდი ბულვარების პარიზი, ვინმე ბალამ დე ნიაისა და ბალამ მიულფელდის დიხვეწილი, არისტოკრატიულ-ლიტერატორული სალონები, დიაგილევკის ბალეტის გაბმაურებული პრემიერები, იპოდრომზე ყოველწლიური „გრან პრი", უახლესი მარკის ავტომობილები და ელეგანტური ქალაბალდები ბულონის ტყეში...

მაგრამ მარტო ამგვარი პარიზი როდი იყო მისთვის უცხო. მოგონებებში მას რატომდაც არავინ უკავშირებს იმ ბეშმარიტად პოეტურ პარიზს, მარადყამს რომ გახიბლავდა რაღაც ამოუხსნელითა და გაუთვალისწინებელით. რომ ეშუალოდ მასთან შეხვედით, იქ ყოფნით შეგვიძლია შეგრძნო, რატომღაც არავის მეგობრებში არ არის ოგი გარშემორტყმული პარიზის — ბუნების ამ მომხიბვლელობით, ფერებით, ხეებით. ოგი არ ტკბება ბებერი ჭადრების ფოთოლთა შრიალით ან მზის ჩასვლის ცქერით ხენის ხანაპიროდან (თუმცა ანა ახმატოვა იგონებს, როგორ დაატარებდა მოდილიანი მთვარიან დამით ძველ პარიზში, „პანთეონის იქით" და ეუბნებოდა, რომ ეს მისთვის „ნამდვილი პარიზი იყო"). მინმარტრიც კი ახლოხელი იყო მისთვის არა გაბრწყინებული და ლირიკული, არამედ სულ სხვანაირი — მოწყენილი, ხიფათიანი, ლატაკი, შესანიშვნებსა და მესერებს იქით მიმალული. ოგი ხატავდა მას და ამავე დროს თავისკენ იზიდავდა. ახლა კი მისთვის ასეთივე მტანჯველ აუცილებლობად ქცეულიყო მონპარნასი, თავისი უახლოესი და შორეული უბნებით, თვით ვოტერის უკაცრიელი ადგილების ჩათვლითაც კი.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში მონპარნასი პარიზის ერთი მოწყენილი რაიონი იყო. პაშინ ოგი სულაც არ იზიდავდა ტურისტებს. იმ დროს არ ყოფილა იქ არც კომფორტაბელური სასტუმროები, არც პირველი კლასის კინემატოგრაფები, არც გაბრდღვიალებული «Bars Americains». ხამაგიერად მრავლად იყო ულიმლამო, უმეტესად ხუთ-ექვს ნარდულიანი ხაჭირაო ხახლები და კიდევ უფრო ნაკლებად ლიმზიდველი დაბალი შენობები, ხადაც შეგეძლო შედარებით იაფად გექირავებინა ოთახი. ეს, ისე როგორც მეზობელ ლათინურ კვარტალში, ცხოვრობდა ხელმოკლე ინტელიგენცია, სტუდენტობა, ხელოსნები, წვრილი ბურჟუაზია, ლიტერატურული და მხატვრული ბოჰემის ცენტრად ითვლებოდა ოთხი კაფე, რომლებიც მონპარნასისა და რასპაის ბულვარების გზაჯვარედინზე ან მის ახლომახლო გაფანტულიყვნენ: „კაფე დიუ დომი", „კუპოლი", „როტონდა" და „კლოზრი დე ლილა". მრავალი წლის შემდეგ ხეორედ ამ ხახელგანთქმულ გზაჯვარედინზე ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, აღიმართა ხალზაკის ქანდაკება, ჭერ კიდევ გახული ხაუკუნის დასახრულს რომ შექმნა როდენმა: მედიდურად ზევით აღმართული, ოდნავ გვერდზე გადახრილი, მახიერი თავი და მანტიის ნაკეცებს ქვეშოთ გადაჯვარედინებული ძლიერი ხელები. ახლა კი ათიანი წლების დასაწყისში, „ადგილობრივი კოლორიტი" ბევრად უფრო პროზაული იყო: ათეფასიანი ბისტროები, ჭუჭყიანი, ოლროჩოლრო ქვაფენილი, უზარმაზარ უურგონებში შებმული ცხენები, ეზოებში კი

ბოხეტიალე ჯამბაზების წარმოდგენები და მეარღნეები მაიმუნებით.

მოკვითალო-მოყავისფრო ახალნიზაციური კასრები, რომლებიც ლამლამობით ურმებით გამოქონდათ, ანალგაზრდა ბემინგუეის მთვარის მოწწვანო შუქზე ორრე ბრაკის ხურათების კუბისტურ გამას აგონებდა. თანამედროვე მწერალი ლიანუ თავის წიგნში — „პარიზის ფიზიოლოგია" აგვიწერს მონპარნასის მაშინდელ ლამის სათევებს, სადაც უხალხაროებს ზეზეულად ეძინათ, თოკზე ხელჩაკიდებულებს, რათა არ წაქცეულიყვნენ, გათენებისას კი ლამის სათევის მეპატრონე ხსნიდა ამ თოკს.

ლიტერატორებისა და მხატვრების კაფეების გვერდით იყო სხვა, უფრო პატარა კაფეები „მოყვარულებისათვის", როგორც ამბობს ბემინგუეი. „ცუდი რეპუტაციის მოწყენილი კაფეები, სადაც თავს იყრიდნენ მთელი კვარტალის ლოთები და სადაც ოფლისა და მყავე ღვინის სუნი იდგა". მონპარნასის საერთო უბედურება იყო სიცივე სახლებში ზამთრობით, შემოდგომისა და ადრე გაზაფხულზე. შეშა და ფიჩხი, რომელიც კონებად იყიდებოდა, ხშირად გახმობას ვერ ასწრებდა, ცეცხლი არ ეკიდებოდა და ძვირიც ღირდა. კაფეებში კი, თუნდაც სულ იაფფასიან კაფეში, სითბო იყო, ხალხმრავლობის გამო მაინც. ამასთან ერთი ჭიქა ცხელი ყავა სულ რაღაც ექვსი სანტიმი ღირდა, ცხელი ფუნთუშა კი ხუთი სანტიმი — ეს ყველახათვის ხელმისაწვდომი იყო.

მაგრამ „როტონდა" თავის მუდმივ სტუმრებს მარტო სითბოთი როდი აზიდავდა. ილია ერენბურგი თავის წიგნში მოგვითხრობს მარტოობის საერთო გრძნობაზე, თანდათან მზარდ მსოფლიო დაძაბულობაზე, ახლის, ნამდვილის, ყოველ შემოხვევაში, ანტიბურჟუაზიულის ძიებებზე ხელოვნებაში, უიმედობაზე, ხიდატაკეზე, რაც აკავშირებდა ომის წინა და ომის წლებში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ახალგაზრდა მხატვრებს.

მალე ომის შემდეგ უმეტესობა ამ მხატვრებისა და მათ შორის მოდილიანიც დასავლეთის ხელოვნებათმცოდნეებმა მიაკუთვნეს ეგრეთ წოდებულ „პარიზის სკოლას" («Ecole de Paris»), თუმცა ასეთი ჭეშმარიტი პარიზელიც კი, როგორიც იყო ანდრე სალმონი, ირწმუნება, რომ „პარიზის სკოლა" კრიტიკოსებმა გამოიგონეს". და ეს არც არის საფუძველს მოკლებული. მართლაც გინა შეიძლება სკოლად, ეს იგი ხელოვნებაში ამა თუ იმ ეპოქის გარკვეულ მიმართულებად ჩაითვალოს მხატვრულ მოვლენათა ჭრელი კონგლომერატი, თავისი არსითა და მასშტაბებით ხრულიად განსხვავებული, რომელთაც არ გააჩნიათ არათუ რაიმე ერთი ესთეტიკური კალაპოტი, არამედ გარკვეული ქრონოლოგიური საზღვარიც კი? ერთნი ფიქრობენ, რომ ეს სკოლა თავისი დამახასიათებელი თავისებურებებით მოიცავს ორი სრულიად ომის შუა პერიოდს და ითავსებს ასში ყველაფერს, რაც შეუქმნია ამ [illegible] მხატვარს „პარიზის მიწაზე", [illegible] ასახ და განიხილავენ როგორც პოლონეთიდან, რუსეთიდან, ესპანეთიდან ჩამოსული ნიჭიერი ემიგრანტების ნოხტალგიას, მათ სევდას სამშობლოზე, რაც. 1914 წლის წინა ხანებში „ტრანსფორმირებული იყო ფრანგული გავლენით"; მესამენი კი უსაზღვროდ აფართოებენ და აერთიანებენ ასში თითქმის მთელ ხელოვნებას. რომელიც წარმოიშვა საფრანგეთში იმპრესიონიზმის შემდეგ — დაწყებული ნეოიმპრესიონისტ სინიაკით და გოგენის მიმდევართა ჯგუფით, რომლებიც გასული საუკუნის დასასრულს მომეტებული სითამამით უწოდებდნენ თავიანთ თავს „წინასწარმეტყველებს" („ნაბებს") — სერიუზიეთი, ვიუიარით, ბონარით და სხვებით — დამთავრებული სამოცდაათი წლების აბსტრაქციონიზმის ყველაზე უახლესი წარმომადგენლებით. ასე იყო თუ იხე, მოდილიანი „როტონდაში" გარშემორტყმული იყო მხატვრებით, რომელთაც აკავშირებდათ არა რაიმე „სკოლა" ან „პროგრამა", არამედ საერთო მძიმე ბედი, ხელოვნებაში ახალი გზების ძიების წყურვილი, მოსალოდნელი ომის შიში და, შეიძლება ყველაზე მეტად, თვით პარიზი. მეშუარებში მოდილიანის ირგვლივ დაუხრულებლივ იხხენიებიან ფრანგი პოეტები და მხატვრები: მატისი, დერენი, დიუნუაიე დე ხეგონზაკი, ვლამინკი, ლეჟე, გლეზი, მარი ლორანსენი, აპოლინერი, ჟაკობი, სანდრარი, კოკტო, სალმონი. ასევე სხვა ეროვნების მხატვრების და მოქანდაკეების სახელებიც. ესენი იყვნენ ესპანელები — პიკასო და ხუან გრისი, ჩილელი — ორტის დე სარატე, იტალიელი — სეგერინი, მოლანდიელი — ოტონ ფრიეზი და ვან დონგენი, იაპონელი — ფუჯიტა, პოლონელი — კისლინგი, ბულგარელი — პასკინი, მექსიკელი — დიეგო რივერა და მრავალი რუსეთიდან წამოსული — არხიპენკო, კრემენი, შაგალი, გონჩაროვა, ლარიონოვი, ხუტინი, ორლოვა, ცადკინი, მარევნა.

უცხოელების ამგვარი მოზღვავება ხელოვნებაში არ იყო გასაკვირველი. მხოლოდ ხიეჭვო, ლამაზი სიტყვებისა და ეფექტური პარადოქსებისათვის შეეძლო ეთქვა ფიროდუს, „ზიგფრიდისა და ლიმუზინის" ავტორს, რომ „პირველი მსოფლიო ომი სხვა არაფრით შეიძლება ეხსნას, თუ არ მონპარნასელი მხატვრების „აღგზნებული ოცნებებით". „ოდონდ ნაცვლად იმისა, რომ ნაწილ-ნაწილ ჩამოხულიყვნენ მატარებლიდ

ამჯობინეს ყველანი ერთად გამოცხადებულიყვნენ ფეხით". ომი აქ არაფერ შუაშია. მათ ბევრად უფრო ადრე, საუკუნის დასაწყისიდანვე დაიწყეს აქ ჩამოსვლა (პიკასო — 1900 წელს, ქასანი — 1905 წელს, გრისი, სევერინი და მოდილიანი — 1906 წელს) და ხაზგასმით, რასაკვირველია, თითოეულ მათგანს საკუთარი მოსაზრება გააჩნდა. მაგრამ პარიზისაკენ ამ მიხწრაფებაში იყო რაღაც საერთოც. აქ ერთად შეირწყა იმპრესიონისტების ბრძოლისა და გამარჯვების ჯერ კიდევ ცოცხალი ისტორიაც და მჭუხარე რეაქციაც იმპრესიონიზმზე, რაც ვან გოგისა და სეზანის ძლიერი ნოვატორობით გამოიხატა, ხიერახა და ხინიაკის მიერ აღმოჩენილი ახალი მეთოდებიც ფერწერაში და ხელოვნების მსოფლიო ცენტრის ხახელიც (ამავე დროს მსოფლიო ბაზრისაც), შეუდარებელი მუზეუმებიც და უამრავი სკოლა-სტუდიებიც, რომელთაც, ღმერთმა უწყის, რა ტალანტები მეთაურობდნენ, მეგრამ საშუალებას იძლეოდა გაგემტკიცებინა ტექნიკა, გროშის ფასად გეშოვა ნატურა, გარეულიყავი ნიჭიერ ახალგაზრდებში, ცხადად შეგეგრძნო კონსერვატიული ტრადიციებისაგან განდგომის წერტილი, რათა მეტი თავდაჯერებით გეძია საკუთარი გზა. ყოველივე ამას ერთვოდა თვით ქალაქის მომხიბვლელობა, მისი მარადიული სიჭაბუკის ვარდისფერი ფლორა. თუმცა აქვე მწუხარე პროზაც იჩენდა ხოლმე თავს.

„როტონდა" მაშინ ხულ პატარა დარიბული კაფე იყო, — გვიყვება ი. მ. ჩაიკოვი. — ერთ ოთახში იყო დახლი. მეორე, უკანა ოთახში, რამდენიმე პატარა მაგიდა იდგა. იყო კიდევ ჭუჭაში გამავალი ვერანდა, სადაც კარგ ამინდში შეიძლებოდა დაჯდომა, საშინელი სივიწროვე იყო აქ, განსაკუთრებით ცუდ ამინდში. ნიხლივით იდგა სიგარეტისა და ჩიბუხის კვამლი. ისმოდა ხმამაღალი ლაპარაკი ხელოვნებაზე. ბულვარის მეორე მხარეს „კაფე დიუ დომი" ბევრად უფრო მდიდრულად გამოიყურებოდა თავისი მუქი წითელი ფერის ხავერდის ფარდებით, მაგრამ იქ უმეტესად უფრო თავდაჭერილი გერმანელი მხატვრები დადიოდნენ. აქ კი, „როტონდაში" სრული თავისუფლება მეფობდა ყველაფერში, დაწყებული ტანისამოსიდან: საშუშაო „სპეცოვკები", მოქსოვილი, ხშირად იდაყვებგამოხეული ფუფაიკები, გულგადახსნილი პერანგები, სანდალეტები. „ჩვენ შორის არავინ ყოფილა ისეთი, ვისაც სხვისი გაოცება ეწადა, — წერს ამის შესახებ კოკტო, — მერე გაჩნდნენ კოკბოები და ფრთიანი ინდიელები, უფრო მოგვიანებით კი წარმოიშვა მოდა და მასკარადი". ნახევრად ღატაკ ბომემას ხაამიხოდ არ ეცალა. ბევრი აშკარად შიშშილობდა. სუტინს მაიმუნის ტყავის კურტაკი, რითაც პირველად ჩამოვიდა, ალარც გაუხდია წლების განმავლობაში. ამბანაგებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ამ კურტაკის ქვეშ პიჯაკი და სვიტერი კი არა, ზოგჯერ პერანგიც არ ეცვა. „უფრო ზოგიერთები ამ საერთო სიღატაკეს ზოგჯერ კიდეც დააღწევდნენ ხოლმე თავს — საკმაოდ ხმაურიანადაც. როცა ხუტინი მოწყენილი უჯდა ერთ ფინჯან ყავას, რომელიც ვილაცას შეეკვეთა მისთვის, და ფიქრობდა, როგორ ეშოვა ხვალისთვის, საჭმელი თუ არა, საღებავები და ტილო მაინც, ვან დონჩენი, ხულ ფუჭხავატორად რომ გაფანტა თავისი იშვიათი კოლორიტული ნიჭი, ახალმოსახლეობას ზეიმობდა დიდებულ ახალ ხელოსნობაში, სადაც იატაკი შეღებილი იყო წითელ, მწვანე და ლურჯ ტონებში, ნახევრად შიშველი მასპინძელი კი წითელი ზარვლით ეგებებოდა სტუმრებს, თან ქერა წვერი ფერადფერადი ბაბთებით ჰქონდა აჭრელებული (ყოველ შემთხვევაში ასე აგვიწერია „მონპარნასის ზეიმი" მისმა მეგობარმა ვარნომ).

დარიბი მხატვრების შემწეობას ცდილობდნენ მაინც მეგობარი ქალები — მოდელები — სახელგანთქმული კიკი და ზანგი აიშა გობლე, ადრე ცირკის მოჯირითე და მოცეკვავე. ზოგჯერ ისინი კიდეც კვებავდნენ მხატვრებს. ბევრი შემდეგში განსაკუთრებით გულთბილად იხსენებს კიკის. იგივე ვარნო მოგვითხრობს, რომ კიკი „ნიჭიერი, მომხიბვლელი ქალი იყო. შესანიშნავად ფლობდა უწმაწური სიმღერების ჟანრს, სადაც დაუზოგავად ამათრახებდა ბურჟუას. ერთხანს მან მხატვრობაც სცადა; შემდეგში კი მემუარები დაწერა. მხატვრებს იგი ყოველთვის თავისიანად მიაჩნდათ. იგი იყო ფალალი, როხროხა, კეთილი, გულღია და მუდამ მხიარული".

„როტონდაში" ბევრი შემთხვევითი ხატუმარიც დადიოდა — უნიჭო, მყვირალა თხუბნიები, რომლებიც, როგორც წესი, მუდამ ტალანტების ირგვლივ იყრიდნენ თავს: წვრილი ავანტიურისტები, შემთხვევითი ადამიანები ანდა უბრალოდ ცნობისმოყვარენი, მაგრამ ისინი კი არ ჩრდილავდნენ, უფრო მეტად წარმოაჩენდნენ ბოემარიტ, განუმეორებელ «couleur locale»-ს.

კაფეს მეპატრონე ლიბიონი ხატოვნად არის აღწერილი მრავალ მოგონებაში. ამ მაღალ, ჩასხმულ, წარმოსადეგ ბატონს საპატივცემულო ჭალარა გულმოდგინედ შუაზე ჰქონდა გაყოფილი და მუდამ თავისი განუყრელი ხერთუკი ეცვა. იგი შესანიშნავად იცნობდა თავის კლიენტურას, უარს არ ეუბნებოდა მცირე კრედიტზე და ბევრი ხელმოკლე მხატვრისათვის იგი „კეთილი მამა ლიბიონი იყო." თუმცა პიეტმა მარკ ტალოვმა, რომელიც აგრეთვე რამდენიმე წლის

მანძილზე „როტონდის“ ხშირი ხეტუმარი იყო. მითხრა, რომ ლიბიონი რამდენადმე იდეალიზებულია მეშუარეებში და ნაწილობრივ ალია ერენბურგის წიგნშიც. „მან, რა თქმა უნდა, უყვარდა მხატვრები, მფარველობდა კიდეც უსახელო მხატვრებს, მაგრამ თავისებურად. როცა დაინახავდა, რომ სულ ადარ ჰქონდა ფული, აიძულებდა რაიმე დაეხატა და მიეტანა მისთვის. მერე მიხცემდა ათ ფრანკს და ეტყოდა: „აბა, ძალლის შვილო, ამ ათ ფრანკს ჩემს კაფეში დაბარჯავ!“ „ჭკვიანი იყო!“ — ასე აზუსტებს ტალოვი „როტონდის“ გულკეთილი მეპატრონის ფსიქოლოგიურ პორტრეტს.

მოდილიანი სულ ამ კაფეში იყო, თითქმის ყოველდღე, თითქმის მთელი დღე. ჩვეულებრივ მარტო უჯდა ხოლმე მაგიდას, მუხლებზე გადაშლილი ჰქონდა ცისფერყდიანი იაფფასიანი ხახატავი ალბომი, ანდა წინ დაიდებდა ხაწერ ქაღალდს (papier à écrire), რომელიც მაშინ აუცილებლად ჰქონდა პარიზის ყოველ წესიერ კაფეს. უჯრედებიან ქაღალდზეც ხატავდა, აშკარად სასკოლო რვეულიდან რომ იყო ამოხეული, ხატავდა ქაღალდის ხელსახოცებზეც, ზოგჯერ ნახევრად დაგმუჭნულ ქაღალდის ნახევზეც, ლაქები რომ აჩნდა და ახლაც აჩნია ზოგიერთ რეპროდუქციას (თუმცა შეიძლება ეს ლაქები ნახატის შემდგომ ბედზეც შეტყველებდეს, შემოხვევით რომ გადაარჩინა რომელიმე გარსონმა ან კაფეში მყოფმა). თავის ნახატებს მოდილიანი უფრო ხშირად იქვე გაასაჩუქრებდა ხოლმე, იშვიათად თუ ახერხებდა გაყიდვას, თუნდაც ერთ ფრანკად. მაგრამ როცა ერთმა ამერიკელმა მდიდარმა ქალბატონმა „მეტისმეტად ძვირად მიიჩნია“ მოდილიანის მიერ შეთავაზებული სულ მცირე თანხა, იქვე, მის თვალწინ, ნაკუწ-ნაკუწად აქცია თავისი ნახატი. ანალოგიურ შემთხვევას იხსენებს ვლამინკიც. იგი გვიყვება, როგორ შესთავაზა მოდილიანმა ერთ მარშანს მთელი დასტა თავისი ნახატებისა, როგორც ყოველლეის, გროშის ფასად. იმან კი, რაკი იცოდა მისი გამოუვალი მდგომარეობა, შეეცადა კიდევ შევაჭრებოდა, მოდილიანის პასუხი არ გაუცია, წამოდგა, გულმოდგინედ დაიწყო თავისი ნახატები ერთმანეთზე, გახვრიტა, მერე ჯიბიდან ბაწარი ამოიღო, გაუყარა და გავიდა გარეთ, რათა დემონსტრატიულად ჩამოეკიდა საპირფარეშოში. შეიძლება ეს ანეკდოტია, მაგრამ არა შემთხვევითი, არიამედ დამახასიათებელი.

მცირედი გადახვევა: რამდენიმე წლის წინათ შემთხვევა მომეცა ვუოფილიუანი რომში გამოჩენილ მოხუც მხატვართან — დე კირიკოსთან. ვიცოდი, რომ ადრე იგი პარიზში შეხვედრია მოდილიანის და ეკითხე, რას გაიხსენებდა ან რას ფიქრობდა ახლა ამ მხატვარზე. იგი თავის მდიდრულად მორთულ ხახტუმრო ოთახში იდგა, სადაც კედლებს ამშვენებდა ძველრუან ჩარჩოებში ჩასმული მისი ხაკუთარი, ამბლა ნამდვილად აკადემიური ქმნილებები. მან დამცინავი ღიმილით მიპასუხა: „მოდილიანი? არახოდეს არ მცნობია იგი. ან რატომ უწოდებთ მას მხატვარს? განა შეიძლებოდა მხატვარი ყოფილიყო ადამიანი, რომელიც გამუდმებით კაფეში იჯდა და აბსენტს სვამდა?“

დიახ, რა თქმა უნდა, ნამდვილად ასე იყო. მართლაც სულ კაფეში იჯდა და სულ სავსე ჭიქა ედგა წინ. ასე ხედავდნენ მოდილიანის ერენბურგიც, კოკტოც, ვლამინკიც, ლადო გუდიაშვილიც და ბევრი სხვაც. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, დაენახათ მასში მხატვარი და პუვარუ ბოდათ კიდეც. ზოგჯერ ხომ მათ თვალწინ იქმნებოდა ნახატები, რომლებიც ასე ხიბლავდათ უეცარი შემოქმედებითი სასწაულით. ამის დაკვიწყება მათ არ შეეძლოთ, თუნდაც წლებს წაეშალა მათ ხსოვნაში პარიზის ბობემური ყოფის ისეთი დეტალები, როგორიც იყო: სრული უფულობა, მუდმივი შემოსავლის უქონლობა, მწირი საჭმელი და ისიც ეოველთვის არა, დაუსრულებელი ლრღანი შეხაფერისი მოდელისა და მეგობრულად გამოწვდილი ერთი ფინჯანი ყავისა ან ჭიქა ღვინისა (საქმლით გამასპინძლება ამ წრეში რატომღაც, რაღაც დაუწერელი კანონის გამო, მიღებული არ იყო.) ეს „დეტალები“ ემუქრებოდნენ მოდილიანის სიცოცხლესაც. „როტონდა“ ეხმარებოდა გამკლავებოდა ყოველივე ამას და ამიტომაც დადიოდა იქ ასე ხშირად.

სწრაფვა ერთად ცხოვრებისაკენ, ამ სიტყვის როგორც ფართო ისე ზუსტი მნიშვნელობით, მაშინ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარიზის მხატვრული ბობემის ტიპიური ნიშანი იყო. მხატვართაგან მხოლოდ თითოეული თუ ცხოვრობდა განმარტოებით. ხადღაც მონმარტრზე კვლავ განდეგილობდა უტრილო, მონპარნასზე კი ბრანკუზი. ყველასთვის დაკეტილ სახელოსნოს მყუდროებაში მუშაობდა ყორე რუო, ქმნიდა თავისი ჩასუქებული, სახეშეშუპებული, თვალებგადმოკარკლული „მოხამართლეების“ ახალ-ახალ ფერწერულ ვარიანტებს. ყოველგვარი შელამაზების გარეშე ხატავდა ტანდალურჯებულ, დაბინდულ სარკეში მზირალ მეძავებს. მოუნელებელი ტანჯვით გულმოკლულ ცისფერ და მწვანე ჯამბაზებს.

უმეტესობა კი ამჯობინებდა ყოველდღე შეხვედროდნენ ერთმანეთს და ეცხოვრათ კიდეც ერთად. სწორედ ომის წინ მოეწყო მოდილიანი ერთ ასეთ საერთო საცხოვრებელში, რომელსაც „სკას“ («La Ruche») ეძახდნენ. ეს ხართო საცხოვრებელი სენის მარცხენა სანაპიროზე

მდებარეობდა («Rive gauche»), დანციგის ქუჩის ბოლოს, თითქმის პარიზის გარეუბანში. იგი ადრეც რამდენჯერმე იყო აქ და მერეც ბევრჯერ დაბრუნდა 1915 და 1916 წლებში.

„სკა" ტერიტორიულად მონპარნასს არ ეკუთვნოდა, მაგრამ არსებითად მისი განუყოფელი ნაწილი იყო. ომის დაწყებამდე ეს ხაერთო საცხოვრებელი ბევრი „მონპარნასელი" მხატვრისა და სკულპტორის მუდმივი სამყოფელი იყო. ათიან წლებში მეტნაკლები ბანგრძლივობით ცხოვრობდნენ აქ: ფერნან ლეჟე, ანრი ლორანი, არხიპენკო, სუტინი, შაგალი, კრემენი, კიკოინი, ცადკინი და ბევრი სხვა. გამუდმებით დადიოდნენ და ზოგჯერ ცხოვრობდნენ კიდეც აქ პოეტი ბლეზ სანდრარი და კრიტიკოსი მაქსიმილიან გოტიე. ბევრჯერ აქ თავშესაფარს პოულობდნენ პოლიტიკური მოღვაწენიც. მათ შორის ლუნაჩარსკი, იოფე, ვაიან კოტიერე.

„სკა" თავისებურ კოლონიას წარმოადგენდა, რომელსაც დაახლოებით ხუთი ათასი კვადრატული მეტრი ტერიტორია ეკავა. მაშინ ჯერ კიდევ ხშირი ბალის შუაგულში აღმართული იყო ცენტრალური სამსართულიანი შენობა, რომელსაც აგრეთვე „როტონდა" ერქვა. მის ირგვლივ კი აშენებული იყო ერთსართულიანი შენობები. ყოველივე ეს უაღრესად შეღავათიან ფასებში ეძლეოდათ მხატვრებსა და სკულპტორებს სახელოსნოებად. რასაკვირველია, ეს მათი საცხოვრებელი ადგილიც იყო. მთავარ შენობაში ყოველ სართულზე, დერეფნის ირგვლივ, რომელიც შიგნიდან გარშემო ერტყმოდა მთელ შენობას, განლაგებული იყო ოთახები, ყოველ კარზე აღნიშნული იყო ლიტერი, A, B, C და ა. შ. აქედან შედიოდით პატარა, კიწრო ოთახში, რომელიც ტრაპეციული ფორმის გამო კუბოს უფრო მგავდა. ყოველ ოთახში კარებს ზემოთ გაკეთებული იყო ნიში ლოგინისათვის.

ეს უცნაური არქიტექტურა ძალიან იოლად შეიძლება აიხსნას. „როტონდა" თავდაპირველად 1900 წელს პარიზში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე ღვინოების პავილიონი იყოფილა და აქედან შემდეგ ნაწილ-ნაწილ გადაუტანიათ იგი დანციგის ქუჩაზე. ოდესღაც ახალმოსახლე მხატვრებს მისთვის უფრო მყვირალა სახელი — „მედიჩის ვილა" შეურქმევიათ. ამით მხოლოდ პატივი მიაგეს ალფრედ პუშეს, ნეტროსანი კეთილისმყოფლის სულიერ სიუხვესა და ენერგიულობას, რომელიც ჭეშმარიტად მფარველი და მეგობარი იყო ახალგაზრდა, ნიჭიერი, მაგრამ ჯერ უსახელო მხატვრებისა. მან შემთხვევით იყიდა ადგილობრივი ბიჭტროს მფლობელისაგან მთელი ეს ადგილი მეტრი ოც სუდ და გადააქცია იგი მხატვრებისა და სკულპტორების ხაერთო საცხოვრებლად (იგი თვითონაც აკადემიური მიმართულების სკულპტორი იყო). ბინის ქირად ყოველგვარი ანგარიშის გარეშე წლიურად ორმოცდაათი ფრანკი დაუწესებია, მაგრამ ეს თანხაც უფრო ნომინალური იყო, რადგან მისი გადახდის ვალი გაბსოლუტურად არ ყოფილა (რომელიღაც ცხატვრისმა ხან გადახდა აქ თორმეტი წელი, რომ ერთი გროშიც არ გადაუხდია).

ფოტოსურათებზე „როტონდა" მართლაც უზარმაზარ სკას მოგვაგონებს და ამავე დროს რაღაცით პაგოდასაც ჰგავს — უცნაური, უფორმო შენობა, გვერდებზე გამოწეული საძირკველი და სვეტებზე შემდგარი, ნახევრად ჩამონგრეული ფრონტონი, დამით ბებერ ხეებს შორის გამომშვირალი განათებული ფანჯრები და პირდაპირ კედელზე მიყუდებული რაღაც ჭანდაკებები — თითქოს მართლაც განდგომილი და განმარტოებული იყო, როგორც მოჩვენება, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს რეალურ ცხოვრებასთან.

მოდილიანის დროს „სკა" მართლაც ძალიან უცხოდ გამოიყურებოდა თავისი ადგილმდებარეობით: პარიზის განაპირას რაღაც სასწაულით აღმართული ხელოვნების პატარა კუნძულის ირგვლივ ვრცელი მინდვრები გადაშლილიყო. იქვე გვერდით კი ეოყირარის სასაგლახოები იყო, საიდანაც ყოველთვის გულისამრევი სიხხლის სუნი მოდიოდა და განწირული საქონლის ბღავილი ისმოდა. ცოტა მოშორებით კი ქარხნების მოწყენილი საკვამურები ბოლავდნენ. დანციგის ქუჩა თითქოს სადღაც შორეთში იკარგებოდა, არსად არ მთავრდებოდა. შემოდგომაზე ქუჩა ტალახში იფლობოდა, ზაფხულში კი მოკირწყლულ ქუჩას სარეველა ედებოდა და ბალახში უხვად ეყარა შხამიანი, მწვანე ფხვნილი, რითაც იცავდნენ თავს ვირთხებისაგან.

„სკის" წინ გაშლილი მყუდრო, ხეებით დარჩდილული ბალი კი მართლაც მშვენიერი რამ იყო თბილ ამინდში. „სკის" მკვიდრნი ხშირად გამოდიოდნენ აქ მოლბერტითა და თიხით. ბალის ბილიკების დახახელებაშიც კი იუმორი იხატებოდა: „ხიყვარულის ხეივანი", „ხამი მუშკეტერის ხეივანი", „ხამეფო ხეივანი", რომელიც ხის ხაპირფარეშოხაკენ მიდიოდა (უნდა ითქვას, რომ იუმორი აქ დიდად ფასობდა, რაც უფრო მძიმე იყო ცხოვრება, მით მეტი ფასი ედებოდა იუმორს). ბალი განსაკუთრებით მომხიბვლელი იყო ზაფხულში, როცა სახელოსნოებში პაპანაქება ხიცხე იდგა; ზამთარში კი ოთახებში ჯოჯოხეთური სიცივე მძვინვარებდა.

(დასასრული იქნება)

ეჟენ ფრომანტენი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რემბრანდტი

თარგმნა მედეა ზუბალაშვილმა

XIX საუკუნის თვალსაჩინო ფრანგ ფერმწერს, მწერალსა და კრიტიკოსს ეჟენ ფრომანტენს ეკუთვნის ხელოვნებაზე დაწერილი წიგნი „ძველი ოსტატები", რომელიც დიდი ინტერესით იკითხება.

ავტორმა შემოიარა ფლანდრია და ჰოლანდია, მოინახულა ამ ორი ქვეყნის ხელოვნების სახელგანთქმული მუზეუმები, მონასტრები, კაპელები, კერძო კოლექციები და თავის ნარკვევების წიგნში უაღრესად შთამბეჭდავად მოგვითხრო იქაური მხატვრების, დიდოსტატი ფერმწერების რუბენსის, ვან დეიკის, რემბრანდტის, ფრანს ჰალსის, იაკობ რეისდალის, ძმები ვან ეიკებისა და სხვათა შემოქმედებისა და ცხოვრებაზე.

გთავაზობთ რემბრანდტზე დაწერილი ნარკვევის ნაწყვეტებს.

ამსტერდამი

ვიწრო ქუჩებისა და არხების ქსელმა დულენსტრატზე გამიყვანა. ღღე იწურება. ახლოვდება წყნარი, კვამლით შესუდრული ყომრალი საღამო. ზაფხულის თხელი ნისლი გარშემოსდგომია არხთა შესართავებს. ჰაერი აქ უფრო მეტადაა გაქღენთილი ჰოლანდიის საამო სურნელებით, ვიდრე როტერდამში; ეს სურნელი გატყობინებთ, სად იმყოფებით და აღგიძრავთ ტორფნარის მოულოდნელსა და თავისებურ შეგრძნებას. ამ სუნით ყველაფერს გებულობთ: გეოგრაფიულ განედს, მანძილს პოლუსამდე, თუ ეკვატორამდე, ქვანახშირამდე თუ ალოემდე. გებულობთ კლიმატს, წელიწადის დროს, ადგილსა თუ გარემოს. ვისაც ცოტაოდენი მაინც უმოგზაურია, ყველამ იცის, რომ კურთხეულია მხოლოდ ის ქვეყანა, ვისი კვამლიც კეთილსურნელობს, ვისი ველაც მოგონებებს აღძრავს. რაც შეეხება იმ ქვეყნებს, რომლებიც ხსოვნაში ყველა შეგრძნებიდან მხოლოდ ცხოველური ყოფის გაურკვეველ სუნს, ბრბოს გამოიხმობს, იქ სულ სხვა რამ გიზიდავთ; ვერ ვიტყვი, რომ მათ ივიწყებდნენ, მაგრამ იმათ სხვაგვარად იხსენიებენ, სწორედ ასეთად, წარმავალი ანაორთქლი სუნით გარემოსილად გვესახება ამსტერდამი, საღამო ხანს რომ ჩავივლით ცოტა ჭუჭყიან, მაგრამ მოახლოებული ღამის სიგრილით, ქუჩაში გამოსული მშრომელებით, პარმალებზე თავმოყრილი ბავშვებით, ფანჯრებადქცეული პატარა სახლებით, კარებში ჩამდგარი მედუქნეებით, მოშორებით საკაჭრო გემებითა და პორტებით, ახალ კვარტალთა ფუფუნებით გახალისებულ მის ცენტრს...

ამსტერდამი ძველი, დახეთული, ბურჟუაზიული, საქმიანი და ფუსფუსა ქალაქია. აქ ებრაული კვარტალების გარეთაც კი იგრძნობა რაღაცა ებრაული. ხაკლებად მომხიბვლელია — ვერ ირის ვერც როტერდამივით გრანდიოზული, როცა მას მაასიდან უყურებ, და ვერც ჰაიგასავით კეთილშობილური, მაგრამ მაინც თვალწარმტაცია, ამასთან, უფრო თავისი ინ-

ტიმურობით, ვიდრე გარეგნობით. უნდა იცნობდეთ ჰოლანდიელი მხატვრებისათვის ნიშანდობლივ გულუბრყვილობას, იცოდეთ, როგორ შესთვისებიან თავიანთ პატარა კუთხეს და როგორ უყვართ იგი, რათა გასაგები გახდეს მათ მიერ დატოვებული მშობლიური ქალაქის მიმზიდველი და პიკანტური პორტრეტები. ამსტერდამის ფერები ძლიერი და პირქუშია, ფორმები — სიმეტრიული, ფასადები, გამუდმებით რომ იცვლიან სახეს, მოკლებულია ხელოვნების ყოველგვარ ნიშან-თვისებას, სანაპიროს ხეები აწოწილი და უშნოა, არხები — ჭუჭყიანი. ისეთი გრძნობა გიპყრობთ, თითქოს დამორჩილებულ ჭაობზე ხალხი ჰაიჰარად, მხოლოდ იმ მიზნით დასახლებულა, რომ გაეჩაღებინა თავისი საქმიანი ცხოვრება, ვაჭრობა, ხელოსნობა, შრომა, და მყუდროებაზე სრულებით არ უზრუნია არასოდეს. თავის საუკეთესო ხანაშიც კი ფიქრადაც არ მოსვლია ამ ხალხს სასახლეების მშენებლობა.

ვენეციის დიდ არხზე გატარებული ათი წუთი და კალვერსტრატზე გატარებული მეორე ათი წუთი ამ ორი ქალაქის შესახებ ყველაფერს გიამბობთ, რაც კი ისტორიას შეეძლო გაენდო თქვენთვის: ორივე ხალხის გენიაზე, ორივე რესპუბლიკის მორალურ სახეზე და, მაშასადამე, ორივე სკოლის სულზე. საკმარისია თვალი შეაღლოთ ფარნისებურ საცხოვრებელ სახლებს, რომელთაც ქვაც იმდენივე აქვთ, რამდენიც მინა, რაც აუცილებლადაც კი გეჩვენებათ, უნდა ნახოთ აგრეთვე ყვავილებით მზრუნველად და ღარიბულად მორთული აივნები. ფანჯრებზე მიმაგრებული სარკეები, რათა უმაღლ მიხედეთ, რომ ამ ჰავის პირობებში გრძელი ზამთარი ეკოდინება, მზე არასაიმედო იქნება, სინათლე — სუსტი, ცხოვრება — ცნობისმოყვარეობისადმი განწყობილი. მიხვდებით, რომ აქ ბუნების წიაღის ჭვრეტა იშვიათობას უნდა წარმოადგენდეს და ხალხი უფრო შინაურ სიხარულს აძლობინებს, თვალი, გონება და სული მიჩვეული უნდა იყოს მოთმინებით, რუდუნებით, ყურადღებიან, რამდენადმე დაძაბულსა და, თუ შეიძლება ასე გამოვხატოთ, თვალებმოწკურვით ძიებას — ფორმა ძიებისა კი ერთნაირია ყველა ჰოლანდიელი მოაზროვნისათვის, ფილოსოფოსებიდან მოკიდებული მხატვრებამდე.

ამრიგად, მე ვიმყოფები სპინოზასა და რემბრანდტის სამშობლოში. ამ ორი უდიდესი სახელიდან, რომლებიც წმინდა გონებაჭვრეტითი იდეის სფეროში ჰოლანდიის გონების ყველაზე უფრო ინტენსიურ ძალას წარმოადგენენ, მე მხოლოდ მეორე მაინტერესებს. აქ არის რემბრანდტის ქანდაკება, სახლი, სადაც მხატვარმა თავისი საუკეთესო წლები გაატარა და მისი ორი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები.[1] სავსებით საკმარისი იმისათვის, რათა დაეჩრდილა უამრავი დიდებული სახელი. რემბრანდტი ამსტერდამისთვის იგივეა, რაც ანტვერპენისათვის რუბენსი. ტიპი ნაკლებად გმირულია, მაგრამ მაინც მოსდგამს რუბენსს, [illegible] ტიციანი და მეფური დიდებულება [illegible] ეფეს ჭაგივრად, რომ ებრწყინა მონასტერთა მაღალ ტრანსეპტებზე, მდიდრულ საკურთხევლებზე, ალთქმით ნაგებ კაპელებზე, დიდებულ მუზეუმთა კედლებზე, რემბრანდტი წარმოდგენილია თითქმის მეშჩანური სახლის პატარა, მტვრიან ოთახებში. მის ნაწარმოებთა ხვედრი თითქოსდა გაგრძელებაა მხატვრის ცხოვრებისა. ბინიდან, რომელიც კლოვენირსბიურგვალის კუთხეში ვიქირაეე, მარჯვნივ, არხის ნაპირზე მოჩანს ტრიპენჰეისის მუზეუმის მოწითალო, გამჭვარტლული ფასადი: დახურული ფანჯრების მიღმა, ჰოლანდიური მსუბუქი მწუხრის სუსტ სინათლეზე უკვე ვხედავ, როგორ ელვარებს „ღამის შემოვლის" ბრწყინვალე დიდების იდუმალი შარავანდედი.

* * *

არ დავფარავ, რომ სწორედ ეს ნაწარმოები — ჰოლანდიაში არსებულთაგან ყველაზე ცნობილი და მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ტილო, შეადგენს ჩემი მოგზაურობის მიზანს. ის ძალზე მიზიდავს, მაგრამ საკმაო ეჭვსაც აღმიძრავს. არ მეგულება სხვა სურათი, რომლის შესახებაც ამდენი ეკამათოთ, ეთქვათ ამდენი ჭკვიანური რამ და, რაღა თქმა უნდა, ათასნაირი სისულელეც. იგი არამცთუ ერთნაირად აღფრთოვანებს ყველას, ვინც კი მისით მოხიბლულა, არამედ ერთ ადამიანსაც ვერ მოძებნით, ყოველ შემთხვევაში, იმათ შორის, ვინც ხელოვნებაზე წერს, — „ღამის შემოვლა" თავისი ღირსებითა და უნაკლოებით სულ აზრს მეტ-ნაკლებად რომ არ უბნევდეს.

სურათის სრულიად მცდარი სახელწოდებიდან მოკიდებული,[2] დამთავრებული განათებით, რომლისთვისაც ძნელია რაიმე გასაღების მოძებნა, — რაღაცნაირი გაუგებარი სიამოვნებით ეძიებენ ათასნაირ გამოცანას — გამოცანას ეძიებენ ტექნიკასთან დაკავშირებულ საკითხებშიც, რომელიც აქ, მართალია, ჩვეულებრივზე რამდენადმე რთულია, მაგრამ, პირადად მე არცთუ ისე საიდუმლოებით მოცულად მეჩვენება. ფერწერის არც ერთი ნაწარმოები, სიქსტეს კაპელის გამოკლებით, არა ქცეულა ისეთი

---

1 ავტორი აქ გულისხმობს რემბრანდტის „ღამის შემოვლას" და „სინდიკებს".

2 „ღამის შემოვლაში" მოქმედება ხდება დღისით.

რთული, თავსამტვრევი და ბუნდოვანი მსჯელობის საგნად, როგორც „ღამის შემოვლა“, მას ზომაზე მეტად აქებდნენ, მისი ნახვისას ანგარიშმიუცემლად ეძლეოდნენ აღფრთოვანებას, მასზე დაეობდნენ, მართალია, ძალიან ცოტას, მაგრამ ყოველთვის მღელვარებით. უფრო გაბედულნი სურათს განიხილავდნენ, როგორც ყოვლად გაუგებარ მექანიზმს, არჩევდნენ მას, ცალ-ცალკე იკვლევდნენ ყველა დეტალს და მაინც ვერ მოახერხეს, როგორც საჭიროა ისე აეხსნათ მისი ძალის საიდუმლოება, მისი აშკარა ნაკლი. ისინიც, ვინც ამ ნაწარმოებს აღფრთოვანებაში მოჰყავდა და ისინიც, ვისაც იგი აცბუნებდა, მხოლოდ ერთ რამეში შეთანხმდნენ: ღამის შემოვლა“ სრულყოფილი არის თუ არა, იგი მაინც ეკუთვნის იმ თანავარსკვლავედს, რომელშიც საყოველთაო აღფრთოვანებამ მხოლოდ რამდენიმე თითქმის ღვთაებრივი ნაწარმოები გააერთიანა: იქამდისაც კი მიდიოდნენ, რომ ამ ნაწარმოებზე ლაპარაკობდნენ, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებაზე, თვითონ რემბრანდტზე კი, როგორც ყველა დროის უსრულყოფილეს კოლორისტზე. ამ გადაჭარბებისა და შეუსაბამობის გამო რემბრანდტს სულაც არ ეკისრება პასუხისმგებლობა, პირიქით, ყოველივე ეს, უეჭველია, ზიზღს მოჰგვრიდა ალალმართალ და დაფიქრებულ, დიდი გონების მხატვარს. მან ყველაზე უკეთ იცოდა, რომ არაკითარი საერთო არა ჰქონდა წმინდა წყლის კოლორისტებთან, ვისაც ადარებდნენ, რომ მისი ნაწამოებები შორს იდგა სრულყოფისაგან იმ თვალსაზრისით, რასაც მასში გულისხმობდნენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, რემბრანდტი, თუკი მას მთლიანობაში წარმოვიდგენთ, და არც ერთი მისი სურათი, ყველაზე გამონაკლისიც კი, არ აღვევს ამ მძლავრი გენიის მკაცრ შინაგან წყობას — არის ერთადერთი ოსტატი როგორც თავის ქვეყანაში, ისე სხვა ქვეყნებშიც, როგორც თავის დროისათვის, ისე ყველა დროში. რემბრანდტი, თუ გნებავთ, კოლორისტიც არის, მაგრამ თავისებური, განსაკუთრებული ყაიდისა; ის, თუ გნებავთ, ნახატის ოსტატიც არის, მაგრამ კვლავ ყველასაგან განსხვავებული, შესაძლოა, სხვებზე უკეთესი, მაგრამ ამას დასაბუთება სჭირდება. ის სულაც არ არის სრულყოფილი, თუკი მხედველობაში მივიღებთ მშვენიერ ფორმათა გამოსახვის სრულყოფილ ხელოვნებას და უბრალო საშუალებებით მათი კარგად წერის სრულყოფილ უნარს. მაგრამ, საერთოდ, რემბრანდტი გვანცვიფრებს თავის ნაწარმოებთა იდუმალი აზრებით, მათი ფორმისაგან და კოლორიტისაგან დამოუკიდებლად. აქ რემბრანდტი შეუდარებელი მხატვარია ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, ესე იგი, ვერ შეადარებთ ვერავის, ყოველგვარი უსაფუძვლო შედარების დროს კი ის ერთად სჯობნის ყველას ამ მხრივაც და ბრწყინვალე სიფაქიზის თვალსაზრისითაც მან არც ანალოგია იცის და, მე მგონი, არც მეტოქეები ეყოლებნენ.

„ღამის შემოვლაში“, რომელიც რემბრანდტს წარმოგვიდგენს ძალთა აყვავების პერიოდში, როდესაც მხატვარი ოცდათოთხმეტი წლისა იყო, არ შეიძლება მთელი ბრწყინვალეებით არ გამოჩენილიყო მხატვრის ორიგინალური ნიჭის ზოგიერთი მხარე. მაგრამ არის კი ამ ტილოში იგი მთლიანად გამჟღავნებული? ხომ არაფერია ამ შეკვეთაში, ესე იგი, რამდენადმე იძულებით აღებულ სიუჟეტში, ისეთი, რაც ხელს შეუშლიდა რემბრანდტისათვის ყველაზე ძვირფასისა და მნიშვნელოვანის ბუნებრივ გამოვლენას?

მხატვრისათვის ახალი იყო ამ დიდი და რთული სურათის ჩანაფიქრი, ისევე, როგორც უჩვეულო იყო მისი შემოქმედებისათვის ამდენი მოძრაობა, ჟესტები და ხმაური. სიუჟეტი მხატვარს თვითონ არ აურჩევია — მას შეუკვეთეს პორტრეტებიანი სურათის შესრულება. ოცდასამი ცნობილი პირი ელოდებოდა, რომ ფერმწერი მათ დახატავდა რაიმე მოქმედებაში. ამასთან მსროლელთათვის ნიშანდობლივი გარეგნობით. ეს მეტისმეტად ბანალური თემა იყო იმისათვის, რათა მხატვარს აღარ ეზრუნა მის რამდენადმე ასამაღლებლად, იმავ დროს ძალზე შეზღუდულიც იყო საიმისოდ, რათა ფერმწერს მასში გამომგონებლობა ჩაექსოვა. მოსწონდა თუ არ მოსწონდა, მხატვარი უნდა დაყრდნობოდა მზა ტიპებს და დაეხატა განსაზღვრული ფიზიონომიები. მისგან, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვდნენ მსგავსებას, მაგრამ რა დიდ პორტრეტისტადაც არ უნდა შეერაცხათ იგი — გარკვეულწილად იყო კიდეც დიდი პორტრეტისტი — სახის ნაკვთების ზუსტი გადმოცემა არ წარმოადგენდა რემბრანდტის ძლიერ მხარეს. ამ არსებითად პარადულ კომპოზიციაში არაფერი იზიდავდა მხატვრის შორსმჭვრეტელ თვალს, არაფერს ეუბნებოდა რეალობის საზღვრებს მიღმა მყოფ მის სულს. მხატვარს აიმედებდა მხოლოდ საკუთარ ფანტაზიაზე დაყრდნობა, რომელიც, თავისუფლებას თუკი მისცემდა, ფანტასმაგორიად შეიძლება ქცეულიყო. შესწევდა თუ არა უნარი რემბრანდტს ისევე იოლად და წარმატებით მოება თავი იმისათვის, რასაც ასე თავისუფლად და ბრწყინვალედ აკეთებდნენ რაფაელეანი, ვან დერ ჰელსტი და ფრანს ჰალსი, როცა თითქმის ყველაფერში უპირისპირდებოდა ამ სრულყოფილ ფიზიონომისტებს, იმპროვიზაციის ამ შესანიშნავ ოსტატებს?

რემბრანდტისაგან მოითხოვდნენ უდიდეს ძალისხმევას, მაგრამ იგი არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, ვისაც დაძაბულობა ხიმხნეევს მატებს და აუცილებელ წონასწორობას ანიჭებს. ის თითქოს ბნელ ოთახში ცხოვრობდა, სადაც სინათლე სხვაფერდება და საგნებზე დაცემისას ქმნის საოცარ კონტრასტებს, ის ცხოვრობდა ფანტასტიკურ ოცნებათა სამყაროში, სადაც შეიარაღებულ ადამიანთა მთელ ამ კომპანიას არ შეიძლება აფორიაქება არ შეეტანა. და ახლა, ამ ოცდასამ პორტრეტზე მუშაობისას, რემბრანდტი იძულებული გახდა, უფრო მეტი დრო დაეთმო სხვებისთვის, უფრო ნაკლები — საკუთარი თავისთვის, არ ეკუთვნოდა აღარც სხვას, აღარც საკუთარ თავს, გაწამებული მარად თანამდევი შინაგანი დემონისაგან, შეგორკილი იყო ადამიანებისაგან, რომლებიც მხატვრის წინაშე პოზირებდნენ და არამც და არამც არ მოელოდნენ, რომ მათ ისე მოეკცეოდნენ, როგორც წარმოსახვის ნაყოფებს. ის, ვისთვისაც ცნობილია მხატვრის გონების ბინდით მოცული ფანტასტიკური წყობა, მიხვდება, რომ აქ არ შეიძლება გამჟღავნებულიყო რემბრანდტის შთაგონება, რომელიც მას ანაზდეულად, საუკეთესო წუთებში გაანათებდა ხოლმე. ყველგან, სადაც კი რემბრანდტი საკუთარ თავს ივიწყებდა, ესე იგი, ყოველთვის, როცა კომპოზიციაში მთელ შესაძლებლობას არ აქსოვდა, მისი ნაწარმოები ნაკლული გამოდიოდა. ყველაზე უჩვეულოც რომ ყოფილიყო ეს ნაწარმოები, წინასწარ შეიძლებოდა მტკიცება იმისა, რომ იგი სასურველი მაინც ვერ იქნებოდა. ამ რთული ბუნების ადამიანს ორი სხვადასხვა სახე ჰქონდა — ერთი შიგნით მიქცეული, მეორე — გარეთ, და ეს უკანასკნელი იშვიათად იყო საუკეთესო. შეცდომები, რაც რემბრანდტის ირგვლივ მსჯელობისას ოდესღაც მოსდით ხოლმე, დამოკიდებულია იმაზე, რომ ხშირად ამ ორ სახეს ერთმანეთში ურევდნენ და მას შიგნიდან უყურებდნენ.

ამრიგად, არის თუ არა „ღამის შემოვლა" რემბრანდტის საბოლოო სიტყვა? ყოველ შემთხვევაში, შეიძლება თუ არა იგი მივიჩნიოთ მხატვრის ფერწერული მანერის სრულყოფილ გამოხატულებად? თვით სიუჟეტში ხომ არ დევს რაიმე, სცენის ოგებისათვის დამაბრკოლებელი, რემბრანდტისათვის რადაც ახალი გარემოება, რომელსაც მერე ვეღარასოდეს შევხვდებით მხატვრის შემოქმედების გზაზე? აი, რისი განხილვაა საჭირო, რამაც შესაძლოა ზოგიერთ საკითხს ნათელიც მოჰფინოს. არა მგონია, რომ რემბრანდტმა ამით რაიმე დაკარგოს, ეგ არის მხოლოდ, რომ მის შემოქმედებაში ერთით ნაკლები დარჩება ლეგენდა, მის შესახებ მოარულ აზრებში — ერთით ნაკლები მცდარი შეხედულება, კრიტიკაში კი — ერთით ნაკლები ცრურწმენა.

თავისი მეამბოხე ბუნების მიუხედავად, ადამიანის გონება არსებითად კერპთაყვანისმცემელია. იგი სკეპტიკურია, მაგრამ ამასთან — მინდობილი. რწმენა მისი საარსებო მოთხოვნილებაა, მორჩილება — მისი თანდაყოლილი ჩვევა. ადამიანის გონება იცვლის თავის მასწავლებლებს, ღალატობს ძველ კერპებს, მაგრამ, ბუნებით მორჩილი, თვითონ უცვლელი რჩება ყველა ამ გადატრიალების დროს. ის ვერ იტანს ვერაფითარ ბორკილებს — თვითონვე კი ადებს ხოლმე ამ ბორკილებს საკუთარ თავს. ის ეჭვიანობს და უარყოფს, მაგრამ თაყვანსა სცემს, რაც აგრეთვე ერთ-ერთი ფორმაა რწმენისა. რაკიღა თაყვანსა სცემს, მზად არის, უარი თქვას თავისუფალი კრიტიკის უფლებაზე, თუმცაღა თავი მის ერთგულ ქომაგად მოაქვს. გეგულებათ პოლიტიკურ, რელიგიურ და ფილოსოფიურ რწმენათა შორის თუნდ ერთი მაინც, სრული პატივით რომ ეკიდებოდეს გონებას? არა, ათასნაირი ხრიკების მოშველიებით — სადაც მღელვარებათა მიღმა ძნელი არ არის დავინახოთ ქედის მოდრეკის ბუნდოვანი მოთხოვნილება და საკუთარი განდიდების გულზვიადი სურვილი — იგი ხელოვნების სამყაროში მაშინვე იქმნის ახალ იდეალს, ახალ ქეულტს და ვერც კი ამჩნევს, რა წინააღმდეგობაში ვარდება, როცა უარყოფს ჭეშმარიტებას მშვენიერების წინაშე მუხლის მოსადრეკად. ჭეშმარიტებისა და მშვენიერების სრულყოფილ დამთხვევას, როგორც ჩანს, ადამიანის გონება ვერ შეიცნობს. ხელოვნება მას წარმოუდგება ისეთ სფეროდ, სადაც თვითონაა ბატონ-პატრონი, სადაც არ უნდა აკრთობდეს არაფითარი მოულოდნელობა, სადაც სრულიად თავისუფლად შეეძლება გატაცების გამომჟღავნება. აქ იგი თვითონ არჩევს ცნობილ ნაწარმოებებს, უძებნის შესაფერის სახელწოდებებს, თავგამოდებით იცავს და არავის აძლევს მათი განსჯის უფლებას. მისი არჩევანი მუდამ დასაბუთებულია, მაგრამ ბოლომდე არა. თუ სამი საუკუნის მანძილზე თვალს მივადევნებთ გამოჩენილ მხატვართა შემოქმედებას, არ გაგვიკვირდება შევადგინოთ მალემრწმენ ადამიანთაგან ამოჩემებულთა სია, მაგრამ საკითხში განსაკუთრებულად ჩაუღრმავებლადაც კი, ისე მკაცრადაა დასაბუთებული უპირატესობის ეს მინიჭება, არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ თანამედროვე აზრი არცთუ მაინცდამაინც ითვალისწინებს პირობითობას და იგი ფარულ, მაგრამ ოდესაცნაურ მიდრეკილებასაც კი იჩენს დოგმათა მიმართ, რითაც მან ავად თუ კარგად ააცილა მთელი თავისი ისტორია. მაგრამ ზოგიერთი

დოგმა აღიზიანებთ, ზოგი მოსწონთ და ეამებათ. ყველა, მცირემცოდნე ადამიანიც კი სიამოვნებით დაიჯერებს მხატვრული ნაწარმოების სადიადეს, რადგან იცის, რომ იგი ნაყოფია ადამიანის გონებისა. ის გულწრფელად ფიქრობს, რაკიღა შეუძლია განსჯა და, როგორც მას ეჩვენება, შეუძლია გაგება, მაშასადამე, ფლობს კიდეც თავისი მოყვასის ხელიდან გამოსული ხილვადი და ხელშესახები საგნის საიდუმლოებას. მაგრამ რა წარმომავლობისაა ეს საგანი, ასე რომ ჰგავს ცხოვრებასა და ადამიანს, ყველასათვის გასაგებ ენაზე რომაა დახატული და ერთნაირადაა ეანკუთვნილი როგორც მცოდნის გონებისათვის, ისე უბრალო მომაკვდავის თვალისათვის? როგორ წარმოიქმნა იგი? რა არის შთაგონება? ბუნებრივი მოვლენაა თუ ჭეშმარიტი სასწაული? ყველა ეს კითხვა, ათასგვარ ფიქრს რომ წამოშლის, ჯერ საფუძვლიანად არავის შეუსწავლია; გამოხატავენ აღფრთოვანებას, ხმაურს ატეხენ ხოლმე უდიდესი გენიისა თუ შედევრის გამო და ამით მთავრდება ყველაფერი. აღარავის აინტერესებს, როგორ წარმოიქმნა ეს თითქოსდა ციდან ჩამოცვივნული ქმნილებანი. ასეთი განურჩეველობის შედეგად კი, რაც დედამიწაზე მუდამ იქნება გაბატონებული, სანამ ქვეყანა იარსებებს, — ადამიანი, ზიზღით რომ აღიდებს თავს ყოველგვარ ზებუნებრივს, ვერცა ხვდება, ისე იხრის ქედს ამ ზებუნებრივის წინაშე.

ასეთია, ჩემი აზრით, ის მიზეზები, რის გამოც ცრუმორწმუნეობა მეუფეობას და გავლენას ინარჩუნებს ხელოვნების სფეროში...

რემბრანდტი სიქსისა და ვან ლონის გალერეებში, რემბრანდტი ლუვრში

რემბრანდტი ჭეშმარიტად ამოუხსნელი იქნებოდა, მასში ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულსა და ურთიერთსაწინააღმდეგო ბუნების ადამიანებს რომ არა ვხედავდეთ. უნარი ლამის ორივეს თანაბარი ჰქონდა, მნიშვნელობა სავსებით არათანაბარი, მიზანი კი — დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო. ისინი ცდილობდნენ ერთმანეთთან შეთანხმებას, მაგრამ ამას ძალზე გვიან მიაღწიეს, და ისიც განსაკუთრებულსა და მნიშვნელოვან ეითარებაში. ისინი ჩვეულებრივ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და აზროვნებდნენ, რაც მათ ყოველთვის ხელეწიფებოდათ. ძალების დაძაბვა, შემართება, რამდენიმე მარცხი და ბოლოს ამ ორსახოვანი გენიის უკანასკნელი შედეგი — „სინდიკები" — აი, ამ ორი ხასიათის ბრძოლისა და მათი საბოლოო შერიგების ეტაპები. კერძოდ, „ლამის შემოვლა" წარმოდგენას გვიქმნის იმ უთანხმოებაზე, რომელიც არსებობდა ამ ორ ხასიათს შორის მაშინ, როდესაც რემბრანდტმა, უეცველად, ძალზე ნაადრევად გადაწყვიტა ეთანამშრომლათ მათ ერთმანეთთან. ჩვენ ისინი დაგვრჩენია ორივე ბუნება ცალ-ცალკე გაჩვენოთ თავისების სფეროში იმის აშკარა დანახვით, თუ რამდენად ურთიერთსაწინააღმდეგონი და მთლიანნი იყვნენ ისინი, უკეთ შეგვეძლია გავიგოთ, რატომ უჭირდა რემბრანდტს შეექმნა ნარევი ნაწარმოები, რომელშიც ორივეს ერთდროულად, ერთმანეთისათვის ვნების მიუყენებლად, შეეძლებოდა გაემეღავნებინა თავისი თავი.

უპირველეს ყოვლისა, რემბრანდტში ცხოვრობს ფერმწერი, რომელსაც გარეშე ადამიანს ვუწოდებდი: ნათელი გონება, მტკიცე ხელი, წუნდაუდებელი ლოგიკა — ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება იმ რომანტიკულ გენიას, რომელიც თითქმის საყოველთაო აღტაცებას იწვევდა, თუმცაღა ხანდახან ნაადრევი იყო ეს აღტაცება. ის რემბრანდტი, რომელზედაც მინდა მოგითხროთ, შთაგონების მომენტში თავისთავად ბრწყინვალე ოსტატია. მისი ხედვის მანერა — საოცრად ჯანსაღია, მისი წერის მანერა გხიბლავთ საშუალებათა უბრალოებით. მთელი მისი არსება მოწმობს, რომ მას, უპირველეს ყოვლისა, სურს იყოს გასაგები და მართალი. მხატვრის ჭკვიანური და გამჭვირვალე პალიტრა ნამდვილი უღრუბლო დღის ფერებითაა შეფერილი. ნახატი აიძულებს დაივიწყოს საკუთარი თავი, მაგრამ თვითონ არაფერს არ ივიწყებს. ის მშვენიერი ფიზიონომისტია, სათითაოდ გამოსახავს და ახასიათებს თითოეულს ნაკვეთების, გამოხედვის, პოზისა თუ ეესტების ინდივიდუალობის მიხედვით. მაშასადამე, გამოსახავს და ახასიათებს ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენებსა და მის წუთიერ წვრილმანებს. რემბრანდტის შესრულებისათვის ნიშანდობლივია თავისებურება, გაქანება, თავშეკავებული გამომეტყველება და მჭევრმეტყველი გამოცდილი ოსტატის ძალა და სიზუსტე. მისი ფერწერა — ნაცრისფერი და შავი, მქრქალი, გაჯერებული და საოცრად ხავერდოვანია. ამ ფერწერით ტკბებით, იგი თვალს ხიბლავს არა აშკარა, არამედ დაფარული მდიდრულობით, გხიბლავთ ვირტუოზობით, რომელიც მხოლოდ იქ ავლენს თავს, სადაც თავისუფლება ენიჭება უდიდეს ოსტატობას.

თუ ამ ფერწერას შევადარებთ ამავე მანერისა და გამის ფეწერას, რომლითაც, გორდა ჰალსისა, საერთოდ გამოირჩევიან ჰოლანდიელი პორტრეტისტები, მაშინ ტონის საოცარ გაჯერებულობაში, ჩრდილთა მოუხელთებელ შინა-

გან სიცხოველეში, მოზესბის მდინარებასა და ხელის მოძრაობის მგზნებარებაში იგრძნობა, რა ცეცხლოვანი ტემპერამენტია დაფარული მეთოდის ამ მონუსნებით სიმშვიდეში. რაღაც გეუბნებათ, რომ ასეთი შუშაობისას მხატვარი მთელი ძალით იკავებს თავს, რათა სხვაგვარად არა წეროს, რომ მისი პალიტრა ხაზს უსვამს ამ განზრახ თავშეკავებულობას, რომ მისი ზეთის საღებავით შესრულებული კარგა დიდი რაოდენობის ფერწერული ნამუშევრები სინამდვილეში გაცილებით უფრო მდიდრულია, ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება, რომ ანალიზი მათ შენადნობში აღმოაჩენდა დიდებულ კომპონენტს — გალდობილი ოქროს მდიდარ მარაგს.

აი, რა მოულოდნელი ფორმით ვეცნობა ყოველთვის რემბრანდტი, როგორც კი გახუდგება ხოლმე საკუთარ თავს და ემორჩილება შემთხვევით მოთხოვნილებებს, მაგრამ ისეთი დიდია მისი აღლეური ძალა, რომ ერთი სიმყარიდან მეორეში დაუფარავად გადასვლების დროსაც კი ეს სასწაულმოქმედი მაინც რჩება ერთ-ერთ ყველაზე უტყუარ მოწმედ, რომელსაც უნარი შესწევს მოგვცეს სწორი და მოულოდნელი წარმოდგენა სამყაროზე, ისეთზე, როგორიც სინამდვილეშია. თუმცა რემბრანდტს ასეთი ნაწარმოებები ბევრი არა აქვს. მე არა მგონია — და ალბილად მისახვედრია, რატომაც — რომ რემბრანდტის თუნდაც ერთი რომელიმე სურათი, ფანტაზიას რომ წარმოადგენს ანდა ნაყოფია ფანტაზიისა, ოდესმე შემოსილიყოს შედარებით უფერული ფორმითა და ფერებით. შეგრძნებისა და წერის ამ პანორას ტყუილად როდი შეხვდებით რემბრანდტთან მხოლოდ მაშინ, როდესაც ან საკუთარი ახირების, ანდა აუცილებლობის გამო ემორჩილება თავის სიყვარულს. აქ შეიძლება მივმართოთ ევროპულ კოლექციაში მიმობნეულ რამდენიმე შესანიშნავ პორტრეტს, რომლებიც განსაკუთრებულ შესწავლას იმსახურებენ. თავის თავზე უარის თქმია ამ მომენტს, რასაც ეშვიათად ვხვდებით საკუთარი თავისადმი ერთგული ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც სხვების მიმართ მხოლოდ თავაზიანობის გამოა დამთმობი, უნდა ვუმადლოდეთ ს ი ქ ს ი ს ა და ვ ა ნ ლ ო ნ ის გალერეებში დაცულ პორტრეტებს. ამ კლასიკურად მშვენიერი ნაწარმოებების ნახვას ვურჩევდი ყველას, ვისაც სურს იცოდეს, როგორ განმარტავდა რემბრანდტი ადამიანის პიროვნებას, როდესაც ამა თუ ამ მიზეზთა გამო შესაძლებლად მიიჩნევდა განსაკუთრებით ემუშავა თავის მოდელზე.

ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ბურგომისტრ სიქსის პორტრეტი. ეს პორტრეტი დაწერილია იმ საბედისწერო 1656 წელს, როცა მოგერებული და გალატაკებული რემბრანდტი რობენგრახტში განმარტოვდა და მთელი თავისი სამდიდრიდან ხელშეუხებელი რამდენიმე რამე შემორჩა — საკუთარი ტანსაცმელი, რომელიც ყველაფერს გადასწონიდა. კარგი ფასია, რომ ბურგომისტრი, რომელიც სიცოცხლეში წელი მეგობრობდა რემბრანდტს და რომლის პორტრეტი მხატვარმა ჯერ კიდევ 1647 წელს ამოკვეთა, ამდენ ხანს იცდიდა, რათა თავისი ცნობილი მეგობრისათვის ზეთიანი საღებავით შესრულებული პორტრეტი შეეკვეთა. მხატვრის პორტრეტებით გამოწვეული აღფრთოვანების მიუხედავად, ეგებ სიქსს ჰქონდა საბაბი დაეჭვებულიყო მსგავსებაში? მისთვის ეგებ ცნობილი იყო, როგორ მოექცა ოდესღაც მხატვარი სასაცილო, რა ნაკლები კეთილსინდისიერებით ჰქონდა დაწერილი საკუთარი თავი ოცდაათჯერ თუ ორმოცჯერ? იქნებ სიქსს ეშინოდა, რომ თავის პორტრეტშიც შეამჩნევდა იმ უზუსტობას, რომლის მოწმეც ყველაზე ხშირად თვითონვე იყო?

როგორც არ უნდა იყოს, ამჯერად და, უეჭველია, იმ ადამიანის პატივისცემის გამოც, რომლის მეგობრობა და მფარველობა გაჭირვებაშიც კი არ მოჰკლებია, რემბრანდტი უცებ იყო დაიმორჩილებს თავს, თითქოსდა მის გონებასა და ხელს ადრე არასოდეს მცირე შეცდომაც არ ჩაედინოს. ის მუშაობს თავისუფლად, მაგრამ ძალზე გულმოდგინედ, მომხიბლავი გულწრფელობით. იგი ამ საგნებით არაფანტასტიკური პიროვნებისაგან წერს ყოველგვარ ფანტაზიას მოკლებულ პორტრეტს. იგივ ხელები, რომლებმაც ორი წლით ადრე, 1654 წელს, დაიმთავრა „ბერსაბე" (ლაკაზის მუზეუმი) — ნატურიდან დაწერილი საკმაოდ უცნაური ეტიუდი, ქმნის ერთ-ერთ საუკეთესო პორტრეტს და ფერწერული ტექნიკის უბრწყინვალეს ნიმუშს. მხატვარი აქ უფრო მოდელს მიბაყავს, ვიდრე თავის თავს. აქ მის თვით ნატურა ხელმძღვანელობს საგანთა ცელილება უმნიშვნელოა. ტილოსთან რეალური საგანი ახლოს უნდა მიიტანოთ, რომ შეამჩნიოთ რაიმე არაბუნებრიობა ამ ნატიფ, ვიოლაცურ, ოსტატურსა და ბუნებრივ ფერწერაში. შესრულება სწრაფია, მოხასმა — ენერგიული, რამდენადმე მკვრივი და გლუვი, დენადი და მდიდრული, მოკლებული მეტისმეტ ამობურცულობას, მოსწორებულია ფუნჯით და ოდნავ ნაპირებმოჩრდილული. აქ არ შეინიშნება არც ერთი ასე თუ ისე შესამჩნევი გადახრა, არც ერთი დეტალი, მნიშვნელოვან ან მეორეხარისხოვან როლს რომ არ თამაშობდეს.

უფერული ატმოსფერო შემოსდგომია ამ კაცის ფიგურას, რომელსაც მხატვარი, ეტყობა, შინაური გარემოში, ჩვეულებრივ პოზებსა და სა-

ყოველდღიური ტანსაცმელში ხედავდა. ის არ არის აბნაური, მაგრამ არც ბურჟუაა. ეს არის განათლებული და კარგად აღზრდილი კაცი, აქვს ძალდაუტანებელი მოძრაობა, მტკიცე, მაგრამ არცთუ ჩაცეცებული მზერა, მშვიდი, მაგრამ ოდნავ დაბნეული გამომეტყველება. იგი შინიდან გასასვლელად ემზადება. შლაპა უკვე დაუხურავს და იცვამს ნაცრისფერ ხელთათმანებს: მარცხენა ხელზე უკვე აცვია, მარჯვენაზე — არა. მხატვარს არც ერთი ხელი დასრულებული არა აქვს და არც შეიძლება დაესრულებინა, უკვე იმდენად დამთავრებულია მათი დაუდევრული ჩანახატი. ტონის სიზუსტე, ქესტის სიმართლე, ფორმის წუნდაუდებელი სიმკაცრე აქ იმგვარია, რომ უკეთესის სურვილი არც გაგიჩნდებათ. ყველა დანარჩენი დროსა და ფულმოდგინებაზე იყო დამოკიდებული. და მე საყვედურს ვერ დავაწყებ ვერც მხატვარს და ვერც მის მოდელს, რომ ისინი დაკმაყოფილდნენ ამ გონებამახვილური მინიშნებით. წითური თმა, შავი ფერის შლაპა, სახის ფერი, ისეთივე დამახასიათებელი, როგორიც მისი გამომეტყველება, იმდენადვე ინდივიდუალური, რამდენადაც ცოცხალი; კამზოლი ღია ნაცრისფერია; მხრებზე მოხურული აქვს წითელი ოქროსსირმებიანი მოკლე ლაბადა. ლაბადასაც და კამზოლსაც თავთავისი ფერი აქვთ, თანაც ორივეს ფერი იმდენადვეა დახვეწილი, რამდენადაც ზუსტია მათი ფერის შესატყვისობა. პორტრეტი მომხიბვლელია სულიერი გამომეტყველების თვალსაზრისით, სიმართლის თვალსაზრისით — აბსოლუტურად გულწრფელი; როგორც ხელოვნების ნაწარმოები კი უმაღლესი ხარისხისაა.

რომელი მხატვარი შეძლებდა მსგავსი პორტრეტის შექმნას? ნუ მოერიდებით ყველაზე სახიფათო შედარებებს, ის გამოცდას მაინც გაუძლებს. შეეძლო თუ არა რემბრანდტს გამოეაშკარავებინა მასში ამდენი გამოცდილება და ძალდაუტანებლობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნამდვილ ღირსებათა ასეთი ჰარმონია, თუკი გაევლილი არ ექნებოდა საფუძვლიანი ძიებებისა და უდიდესი შემართების გზა? არა მგონია. ადამიანის არავითარი ძალისხმევა უკვალოდ არა ქრება, და ყველაფერი, თვით შეცდომებიც კი, სარგებლობის მომტანია. ამ პორტრეტში იგრძნობა ძლიერი დაძაბულობის შემდეგ განმუხტული გონების მშვიდი სიცხადე, დაღლილობაგადაყრილი შეუბორკავი ხელი, და, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრების ცოდნა, რაც მხოლოდ და მხოლოდ დამახასიათებელია ყველაზე დიდ პრობლემებში გამობრძმედილი მოაზროვნე ადამიანისათვის. ამ თვალსაზრისით, თუ განსაკუთრებით გავიხსენებთ „ღამის შემოვლის“ პრეტენზიას, სიჭის პორტრეტის ნამდვილი წარმატება. მე მგონია, ალარავისთვის საკამათო არ უნდა იყოს.

არ ვიცი, ბურგომისტრის პორტრეტთან შედარებით მაღლა დგანან თუ ნაკლებ უყვარდებიან თავიანთი ღირსებებით. მარტინ დაისა და მისი მეუღლის პორტრეტები, ორი მნიშვნელოვანი პანო, რომლებიც ოტელ-ან-ვილის დიდ სალონს ამშვენებენ. ყოველ შემთხვევაში, ისინი უფრო მოულოდნელნი და გაცილებით ნაკლებად ცნობილნი არიან, რაკილა მათზე გამოსახულ პიროვნებათა სახელები ნაკლებ ყურადღებას იპყრობენ. ამასთან, ეს პორტრეტები გარკვეულად არ შეგვეძლია მიეკუთვნოთ რემბრანდტის არც პირველსა და არც მეორე მანერას. ისინი სიჭის პორტრეტთან შედარებით უფრო მეტ გამონაკლისად გვევლინებიან მხატვრის შემოქმედების შუა წლებში. ოსტატის ნაწარმოებთა კლასიფიკაციის მოთხოვნილებამ, რამდენიმე ყველაზე ცნობილ ნაწარმოებთა გარშემო მათი დაჯგუფების მცდელობამ, უეჭველია, გამოიწვია ის, რომ ამ სურათებს ირატიპიურად მიიჩნევდნენ და ლამის უგულვებელყოფდნენ. ქმრის პორტრეტი დაწერილია 1634 წელს, ესე იგი, „ანატომიის გაკვეთილის“ შექმნიდან ორი წლის შემდეგ, ცოლის პორტრეტი დაწერილია 1643 წელს, „ღამის შემოვლიდან“ ერთი წლის მერე. ცხრა წელი აშორებს ერთმანეთს ამ ორ პორტრეტს, მიუხედავად ამისა, გგონიათ, რომ ისინი ერთდროულად არიან ჩაფიქრებულნი. თუ პირველი არაფრით არ გვახსენებს მოკრძალებულ, მუყაითა, მშრალსა და მოყვითალო პერიოდს, რომლის მნიშვნელოვანი ნიმუშია „ანატომიის გაკვეთილი“, მეორეში არაფერს, აბსოლუტურად არაფერს არ აჩნია კვალი იმ შეუპოვარი მკაცრელობისა, რასაც ის-ისაა გაეტაცა რემბრანდტი ი, მოკლედ ფერწერის ამ ორი შესანიშნავი ფურცლის თავისებური ღირებულება.

ქმარი სახით მაყურებლისკენ დგას, აცვია მაქმანისსაყელოიანი და მაქმანისმანჟეტებიანი შავი კამზოლი, შავი პანტალონი, ახურავს შავი ფეტრის შლაპა, ლეკვერთხებზე მაქმანის ბანტები აქვს, შავ ფეხსაცმელებზე კი — ფირთა მაქმანის როზეტები. მარჯვენა ხელი მოუხრია და მაჯა ატლასით გაწყობილი შავი ლაბადით აქვს დაფარული, მარცხენა წინ გაწვდილ ხელში ნატის ხელთათმანი უჭირავს, სურათის ფონი მოშავოა, პარკეტი — რუხი, რამდენადმე მომრგვალებული თავი შესანიშნავია, სახის გამომეტყველება რბილი და სერიოზული, თვალები ნათელი და ლამაზი, ნახატი მომხიბვლელი, ხალვათი, მსუბუქი, დამაჯერებელი და აბსოლუტურად ბუნებრივია. ფერწერა — თანაბარი, მტკიცეკონტურებიანი, იმდენად მკვრივი და გაჯერებული, რომ სალებავები, როგორადაც არ

უნდა იყოს დიდებული — სქელ ფენებად თუ თხელ ფენებად — სულერთია, არც არაფრის მიმატება შეიძლება და არც გამოკლება. წარმოიდგინეთ ჰოლანდიელი ველასკესი, მაგრამ უფრო გულწრფელი და გულისყურიანი. მოდელის საზოგადოებრივი მდგომარეობა საოცრად ფაქიზადაა გამოსახული: ის არ გახლავთ პრინცი, და საეჭვოა დიდებულიც რომ იყოს. იგი შთამომავლობით აზნაურია, შესანიშნავად აღზრდილი, აქვს დახვეწილი მანერები. წარმომავლობა, ასაკი, ტემპერამენტი — ერთი სიტყვით, მთელი ცხოვრება თავისი ხასიათით, ყველაფერი, რაც აკლია „ანატომიის გაკვეთილს" და, რაც მოგვიანებით არა ჰყოფნიდა „ღამის შემოვლას", შეგიძლიათ ნახოთ იმ გულწრფელად დაწერილ სურათში.

ცოლიც მთელი ტანითაა გამოსახული ბინდისფერ ფონზე, დგას მორუხო პარკეტზე, მთლიანად შავებითაა შემოსილი, უკეთია მარგალიტის გულსაკიდი და მარგალიტისავე სამაჯური, წელზე ვერცხლისფერი მაქმანის ბანტი აქვს, თეთრი ატლასის ფეხსაცმელზე კი — ვერცხლისფერი მაქმანის როზეტები. ძალზე გამხდარი, ფერმკრთალი და მაღალი ქალია. ლამაზი თავი ოდნავ დაუხრია და მშვიდი თვალებით პირდაპირ შემოგცქერით. რამდენადმე გაურკვეველია ფერი მისი სახისა, ზედ წითური თმის მკვეთრი ანარეკლი რომ დაჰფენია. ოდნავ შევსებული წელი, ძალზე უბიწოდ მინიშნებული ფართო კაბის ქვეშ, ქალს ახალგაზრდა მატრონას პატივსაცემ იერს ანიჭებს, მარცხენა — ნაზი, გრძელი, უფერული, საოცრად მოხდენილი ხელი ძირს დაუშვია.

შავი, ნაცრისფერი და თეთრი — არც მეტი და არც ნაკლები, მხოლოდ ეს ფერებია გამოყენებული, მაგრამ ტონალობა შეუდარებელია. ცა არა ჩანს, მაგრამ ჰაერი მაინც იგრძნობა. მოდელირება თავშეკავებულია, ამასთან რელიეფი მთელი შესაძლო სისავსითაა გამოხატული. მხატვარს შესწევს შეუდარებელი უნარი იმასა, რომ იყოს უაღრესად ზუსტი, დაუპირისპიროს ყველაზე ფაქიზი საშუშაო ყველაზე ფართო განზოგადებას, ტონის შეშველობით გამოხატოს საგნების ღირებულება და მდიდრულობა. ერთი სიტყვით, აქვს თვალის სიზუსტე, პალიტრის ფაქიზი მგრძნობელობა, ფუნჯის სიმტკიცე, რომელთაც შეუძლიათ დიდება მოუტანონ ყველა ოსტატს, აი, თუ არა ვცდები, რა განსაცვიფრებელ თვისებრიობამდე ამაღლდა ადამიანი, რომელმაც სულ რამდენიმე თვის წინათ დაასრულა „ღამის შემოვლა".

ამრიგად, განა არა ვარ მართალი, როცა რემბრანდტის წინააღმდეგ მოწმედ თავად რემბრანდტს მოვუხმობ? მართლაც, წარმოვიდგინოთ, რომ „ანატომიის გაკვეთილი" და „ღამის შემოვლა" რემბრანდტს ისევე დარემუშავებინა, ისეთივე უურადღებით მოეყოლობოდა ყველაზე აუცილებელს, სახეებს, ტანსაცმელს, დამახასიათებელ ნაკვთებს, მაშინ ხომ — გვექნებოდა პორტრეტული კომპოზიციის ფინალში გამორჩეული ნიმუში ფიქრისა და მიბაძვისათვის? განა რემბრანდტმა უფრო მეტ საფრთხეში არ ჩაიგდო თავი, როცა ამოცანა ასე გაირთულა? განა ის ნაკლებად ორიგინალური და უბრალოსა და შესანიშნავ ტექნიკურ ხერხებს როცა ეძყარება?

როგორი მოხდენილი და ძარღვიანი ენა აქვს, თუმცა ცოტა ტრადიციული, მაგრამ მაინც მისი საკუთარი! მაშ რატომღა უნდა ეცვალა იგი წარამარა? ნუთუ ასეთ დაქინებულ მოთხოვნილებას გრძნობდა, შეექმნა საკუთარი უცნაური მეტყველება, გამომსახველი, მაგრამ არასწორი, რომელზედაც მის შემდგომ ვერავინ შეძლებდა ისევ ლაპარაკს, რომ ენა აბურდულ-დაბურდული არ გაეხადა? ყველა ეს კითხვა თავისთავად გაგვიჩნდებოდა, თუკი რემბრანდტი მთელ თავის ცხოვრებას თანამედროვეების — დოქტორი ტიულპის, კაპიტან კოკის, ბურგომისტრ სიქსისა თუ მარტინ დაის პორტრეტების შექმნის მოანდომებდა, მაგრამ რემბრანდტის მთავარი საზრუნავი სულ სხვა იყო. თუ გარესამყაროს მხატვარმა ასე ოლოდ მიაგნო თავის ფორმულას, და, შეიძლება ითქვას, მიზანში უმალ მოახვედრა, შთაგონებულ შემოქმედს საქმე ასე ოლოდ ვერ აეწყო. მისთვის შეუდარებლად ძნელი გახლდათ ამით დაკმაყოფილება, ვინაიდან საჭირო იყო გამოეთქვა ის, რაზეც ისევ ვერ იტყვი, როგორც მშვენიერ თვალებზე, ლამაზ ხელებზე, მდიდრული მაქმანებით გაწყობილ შავ ატლასზე, და რისთვისაც ძალზე ცოტას ნიშნავს თვალის სიზუსტე, ნათელი პალიტრა და რამდენიმე თავისუფალი, ზუსტი და თავშეკავებული გამოთქმა.

გაიხსენეთ ჩვენთან, ლუგრში დაცული „მოწყალე სამარიტელი", გაიხსენეთ ორად მოკეცილი, ნახევრადმკვდარი ადამიანი, მხრებსა და ფეხებში ხელჩავლებული რომ მიჰყავთ დამტვრეული და ყოველ განძრევაზე სული ეხუთება! გახსოვთ მისი დამახინჯებული სხეული, ერთმანეთს გადახლართული მიშველი ფეხები, ზედიზედ მიტმასნილი მუხლები, ჩავარდნილ მკერდთან უხერხულად მიდებული ხელი. შეხვეული შუბლი, სახვევზე გამოსული სისხლის ლაქა? გახსოვთ წამებულის ეს პატარა ნიღაბი ნახევრად დახუჭული თვალებითა და ჩამქრალი გამოხედვით; აგონიაში მყოფი ადამიანის სახე, მაღლა აზიდული წარბი, მკვნესარე ბაგე, ოდნავ შესამჩნევი კრუნჩხვისაგან მობრეცილი ნახევრად გახსნილი ტუჩები, ზედ წუთისოფლის

მდურვი რომ დაკედრმია? გვიანი საღამოა, ყველაფერი ბინდს მოუცავს. გარდა ორიოდე მოკიმკიმე სინათლის ლაქისა, რომელნიც ტილოზე თითქოსდა მოცურავენო — ისე საოცრად ირიან განლაგებულნი, ისეთი მოცახცახენი და მსუბუქნი ირიან — არაფერი არღვევს შეღამების ერთფეროვან სიმშვიდეს. მხოლოდ მარცხნივ, მიმავალი დღის იდუმალ ათინათში, ძლივს შეამჩნევთ შესანიშნავად შესრულებულ ცხენს და ავადმყოფური იერის ბიჭს. ფეხის წვერებზე დამდგარი ბიჭი ცხენის კისრის იქიდან იყურება და განსაკუთრებული სიბრალულის გარეშე სასტუმრომდე მზერით მიაცილებს დაჭრილს, დიდ გზაზე რომ უპოვიათ და ასეთი სიფრთხილით მიჰყავთ, დაჭრილი კი თავის მტვირთველთა ხელებს იშორებს და ქვესკნის.

ტილო ჩაბნელებულია და ყველაფერი მუქი ოქროსფერით არის გაჟღენთილი. ოგი ძალზე მდიდარია ქვედა ფენებში, ფერები თან ჰეკეყიანია, თანაც გამჭვირვალე, წვრილ მანერა მძიმეა, მაგრამ ამავე დროს, დახვეწილი, მერყეები და დამაჯერებელი, დაძაბული და თავისუფალი, ძალზე არათანაბარი, ბუნდოვანი, ზოგიერთ ადგილას გაურკვეველი, სხვაგან კი — განსაცვიფრებლად მკაფიო. ამ სურათში რაღაც მოუხელთებელი გაიძულებთ, მოიკრიბოთ მთელი ყურადღება — თუკი საერთოდ მისატევებელია ამ საოცრად ძალმოსილი სურათის წინაშე დაბნეულობა და თითქოს ეაფრთხილებთ, რომ თვითონ მხატვარიც ძალზე გულისყურიანი იყო ამ სურათის წერისას. ახლა კი ცოტა შეყოვნდით, სურათს შორიდან შეხედეთ, ახლოდანაც დაათვალიერეთ, საფუძვლიანად შეისწავლეთ. აქ ვერ ხედავთ ვერც ერთ ხილვად კონტურს, ვერც ერთ შაბლონურ შტრიხს, უკიდურესი მოკრძალებულობა ოსტატობის უკმარობით კი არა, იმისი შიშით აიხსნება, სურათი ბანალური არ გამოჩნდესო, აიხსნება აგრეთვე იმ მნიშვნელობით, რასაც მოაზროვნე მხატვარი ცხოვრების პირდაპირსა და უშუალო გამოხატვას ანიჭებს. აქ ყველაფერი თავისთავად, თითქმის ტრადიციული ხერხების დაუხმარებლად ლაგდება; არა ჩანს, რა საშუალებებით, მაგრამ აქ ყველაფერია გადმოცემული, რაც კი ბუნებაში არსებობს, ბუნდოვანი იქნება თუ მკაფიო. სამარიტელის პატარა, შიშველი ფეხები და ტერფები წუნდაუდებელია როგორც აგების მხრივ, ისე სტილითაც. მათი დავიწყება არ შეიძლება ისევე, როგორც ვერ დავიწყებთ იესო ქრისტეს ფეხებს ტიციანის სურათზე „საფლავად დადება". მის ფერმკრთალ, გამხდარსა და ტანჯულ სახეზე ყველაფერი მეტყველია, ყველაფერი სულის სიღრმიდან მოდის: გულგრილობა, ტანჯვა და რაღაც ნაღველიანი სიხარული მომაკვდავისა, რომელიც ბოლოს და ბოლოს, შეიფარეს... არავითარი კონვულსია, არავითარი გაზვიადება, არ არის არც ერთი მოძრაობა, რომელიც გამოუთქმელის გადმოცემის ამ მანერაში [illegible] ექსტატიკურობა და თავშეკავებულობა [illegible] ინკარნირებულია ღრმა გრძნობით და გამოხატულია სრულიად არაჩვეულებრივი საშუალებებით.

მიმოიხედეთ ამ სურათის ირგვლივ, რომელიც გარეგნულად არაფრით არ გამოირჩევა და მხოლოდ თავისი საერთო გამით იპყრობს შორიდან იმათ ყურადღებას, ვისაც დანახვა შეუძლია. შემოიარეთ ეს ვეება გალერეა, დაბრუნდით თუნდაც კვადრატულ სალონში, ყურადღება მიაქციეთ ყველაზე ძლიერსა და გაწოფილ მხატვრებს იტალიელებიდან მოკიდებული დახვეწილი ჰოლანდიელებით დამთავრებული. ჯორჯონეს „კონცერტიდან" მეტსიუს „ვიზიტამდე", ჰოლბაინის „ერაზმიდან" ტერბოხსა და ოსტადემდე. დაათვალიერეთ განწყობის მხატვრები და ფიზიონომისტი მხატვრები, ჰედონტურად დამკვირვებლები თუ შთაგონებულნი, ეცადეთ, მიხვდეთ მათ ჩანაფიქრს, გაერკვეთ მათ ძიებაში, განსაზღვროთ მათი სფერო, კარგად ჩაწვდეთ მათ ენას, და მერე ჰკითხეთ საკუთარ თავს, შეგხვედრიათ თუ არა სხვაგან ასეთი ზეშთაგონებული სახე, გრძნობის ასეთი სულში ჩამწვდომობა და ბუნებრიობა — ერთი სიტყვით, ჩანაფიქრისა და გამოსახვის მხრივ, რაიმე ასეთივე ფაქიზი, ასევე ორიგინალურად, დახვეწილად და სრულყოფილად რომ იყოს გადმოცემული?

გარკვეულწილად შესაძლოა განსაზღვრო, რაში მდგომარეობს ჰოლბაინის სრულყოფილება, და თვით ლეონარდოს იდუმალი სიმშვენიერე. შეიძლება დაახლოებით ითქვას, რომ პირველი უნდა უმადლოდეს ადამიანის სახის ნაკვთების ყურადღებიანსა და საფუძვლიან დაკვირვებას, თავისი პორტრეტების აშკარა მსგავსებას, თავის ფორმათა სიზუსტეს, ენის სიცხადეს და სიმკაცრეს, იმის გამოცნობასაც მოვახერხებდით, ამოღებული ფორმულებისა და ოცნებით შექმნილი სახეების რა იდეალურ სამყაროში მიაღწია ლეონარდომ იმას, რაც მომავალში უნდა ქცეულიყო „ჯოკონდას" არსად და ამ თავდაპირველი კონცეფციიდან როგორ უნდა მოეძებნა თავისი „იოანე ნათლისმცემლისა" და „მადონების" გამომეტყველება. უფრო იოლად შეიძლება აიხსნას ბუნების ჰოლანდიელ წამბაძველთა ნახატის კანონები. ბუნება თავად ასწავლის და მხარს უბამს მათ, თავად ხელმძღვანელობს მათ თვალსა და ხელს. მაგრამ რემბრანდტი? თუ მისი იდეალის ძიებას დავიწყებთ ფორმათა ამოღებულ სამყაროში, ვნახავთ, რომ მას იქ არაფერი მოუპოვებია, გარდა სულიერი სილამაზისა და ფიზიკური სიმახინჯისა, თუ მისი საყრდენი წერ-

ტილის ძებნას რეალურ სამყაროში ვეცდებით, დავინახავთ, რომ იგი ამ სამყაროდან გამორიცხავს ყველაფერს, რითაც სხვები ხელმძღვანელობენ. მან ეს სამყარო სხვებზე უარესად როდი იცის, მაგრამ მას რომ უყურებს, ამჩნევს მხოლოდ იმას, რაც თავად სჭირდება, და ხანდახან თუ მას თავის საჭიროებას უგუებს, თვითონ ირასთდეს არ ეგუება მას. და მაინც რემბრანდტი სხვებზე გაცილებით ბუნებრივი მხატვარია, თუმცა ბუნებასთან მაინცდამაინც არ არის ახლოს: უფრო ინტიმურია, თუმცა ყველაზე ნაკლებად საშუალოა; ის უფრო ტრიუიალურია, მაგრამ კეთილშობილებაში ტოლს არავის უდებს; მისი ტიპები მახინჯები არიან, მაგრამ თავიანთი გამომსახველობით უალრესად მშვენიერნი; მხატვრის ხელი ნაკლებად მარჯვეა, ესე იგი, აკლია სისწორტე და თავისი ძალის ურყევი რწმენა. მაგრამ მისი ოსტატობა მაინც იმდენად დიდია, ისეთი ნაყოფიერია და ყოვლისმომცველი, რომ სრულიად ძალდაუტანებლად გადადის „სამარიტელიდან" „სინდიკებზე", „ტობიადან" „ღამის შემოვლაზე", „ხეროს ოჯახიდან" სიქსის, მარტინ დაისა და მისი მეუღლის პორტრეტებზე, ესე იგი, წმინდა წყლის გრძნობიდან თითქმის წმინდა წყლის პარადულობაზე, ყველაზე ინტიმურიდან ყველაზე საეკლესიოზე.

იმას, რასაც ვამბობ „სამარიტელზე", გავიმეორებ „ტობიაზეც" და კიდევ უფრო მეტი საბუთიანობით ხელოვნების სასწაულზე — „მოწაფეები ემაუსში", რომელიც ღირსია ირიცხებოდეს ოსტატის შედევრთა შორის, ლუვრის ერთ-ერთ კუთხეში კი არის მიკარგული. მარტო ეს, გარეგნულად უფერული, მიზანსცენათა წყობას მოკლებული, ბუნდოვანი ელფერის, მოკრძალებული, ფაქტურის მიხედვით — თითქმის უგერგილო სურათი იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რათა სამუდამოდ გვერწმუნა მხატვრის სიდიადე. ნურაფერს ვიტყვით მოწაფეზე, რომელიც ყველაფერს მიხვედრილა და ხელი ხელისთვის შემოუკრავს, ნურც მეორე მოწაფეზე, ხელსახოცი მაგიდაზე რომ მიუგდია, ქრისტეს ჯიქურად მიშტერებია და განცვიფრების შეძახილი აღმოხდომია — ასე გგონია, რომ შესაძლებელია ამ შეძახილის ჩვეულებრივ ენაზე გადმოტანა; არას ვიტყვი არც ახალგაზრდა შავთვალა მსახურზე, სინს რომ ჩამოატარებს, მაგრამ მხოლოდ ერთს ხედავს: კაცს, რომელიც სატრაპეზოდ ემზადებოდა, მაგრამ პირს აღარაფერს აკარებს და მზერა ზეცისთვის მიუპყრია. დატოვეთ ამ შეუდარებელი ნაწარმოებიდან თუნდაც ქრისტეს ფიგურა და ესეც საკმარისი იქნება. ვილას, რომელ მხატვარს ადარ დაუხატავს ქრისტე რომში, ფლორენციაში, სიენაში, მილანში, ვენეციაში, ბაზელში, ბრიუგესა და ანტვერპენში? ლეონარდოდან, რაფაელიდან და ტიციანიდან მოკიდებული ვან ეიკამდე, ჰოლბაინამდე, რუბენსსა და ვან დეიკამდე, ბატონებს როგორღა არ გაუღმერთებიათ, რა ირონიულად არ გაუდამიანურობით, როგორ არ გარდაუსახავთ იგი, მისი ცხოვრების, მისი [illegible] სიკვდილის გადმოცემისას [illegible] ბუსახავთ ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ამბავი, მისი დიდების აპოთეოზი ზეცაში! მაგრამ ვის წარმოუდგენია იგი ასეთი: ფერმკრთალი, გაძხდარი, ჩვენს პირდაპირ მჯდომი, გატეხილი პურით ხელში, როგორც ოდესღაც საიდუმლო სერობაზე, ყარიბად მოსილი, წამების ქვალაბეგზედილი, ჩალურჯებული ტუჩებით, ვეება თაფლისფერი, მშვიდი, ფართოდ გახელილი, ზეცისათვის მიპყრობილი თვალებით, ცივი მარადანდედით, გარს ფოსფორისებური ნათება რომ შემოსდგომია, უნახავს ვინმეს დიდების ეს მოუხელთებელი ელვარება. მიუწვდომელი სახე ცოცხალი ადამიანისა, რომელიც ჯერ კიდევ სუნთქავს, მაგრამ, უეჭველია, უკვე გავლილი აქვს აიკვდილის კარიბჭე? ამ ღვთიური მოწვეულების პოზა, მისი ეესტი, რომელსაც ვერასდიდებით ვერ აღწერ და, რა თქმა უნდა, ვერც ასლს გადაიღებ, — სხივიანი სახე მოკლებული რომაა გამოკვეთილ ნაკვთებს, გამოშეტყველება — მხოლოდ ტუჩების მოძრაობითა და გამობედვით გადმოცემული — დღემდე გამოუცნობია, რანაირად და როგორაა შექმნილი: ყოველივე ეს ჭეშმარიტად ფასდაუდებელია. მსგავსი რამ ადამიანს გააჩნია. არც რემბრანდტამდე და არც მის შემდეგ ასე არავინ არა წერდა.

იგივ თვისებები და ღირებულება გააჩნია ლუვრში დაცულ რემბრანდტის სამ პორტრეტსა: „ავტოპორტრეტს", მოკლეულვაშიანი და გრძელთმიანი „ყმაწვილი კაცის" საეკლესიო პორტრეტს და „ქალის პორტრეტს", რომელზედაც შესაძლოა, თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მიწიერულს სასკიაა გამოსახული. იმისათვის, რათა ვამრავლოთ მაგალითები, ესე იგი, დამამტკიცებელი საბუთები, რათა ვაჩვენოთ რემბრანდტის მოქნილობა და ძალა, მისი თავდაჭერილობა მაშინაც კი, როდესაც ოცნებას ეძლევა, გაჩვენოთ მისი საოცარი ნათელმხილველობა, როცა ეხილავშიც კი იხედება, საჭიროა, მივუთითოთ „ხეროს ოჯახზე". ამ სურათში რემბრანდტი მთლიანად დანთქმულია სინთლის მომაჯადოებელ სამყაროში და ამჯერად საკუთრივ წარმატებულადაც, რადგან აქ სინათლე თვით სიუჟეტში დევს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ორი ფილოსოფოსი" — შუქჩრდილის ორი სასწაული, რომლის შექმნაც მხოლოდ რემბრანდტს ძალუძდა, თანაც ისეთი განკენებული თემის დროს, როგორიც „ფიქრია".

რემბრანდტის ამ რამდენიმე, არც თუ ყველაზე ცნობილ ნაწარმოებში აისახა, თუ არა ვცდები, ამ უდიდესი ოსტატის გამორჩეული ნიჭი და საუკეთესო მანერა. შეამჩნევდით, რომ ეს სურათები მხატვრის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდს ეკუთვნის და ამიტომ შეუძლებელია დავადგინოთ, თავისი შემოქმედების სახელდობრ რომელ ეპოქაში უფრო მეტად გვევლინება რემბრანდტი-პოეტი თავისი აზრისა და თავისი ოსტატობის ბატონ-პატრონად. უეჭველია მხოლოდ ერთი, რომ „ლამის შემოვლის". შემდეგ მხატვრის ტექნიკურ საშუალებებში უკვე ცვლილებები შეინიშნება — ხანდახან წინსვლა, ზოგჯერ კი მხოლოდ ახლებური მიდგომა და ჩვევა. მაგრამ მისი ნაწარმოებების ჭეშმარიტი და ღრმა ღირსება თითქმის არ არის დამოკიდებული მისი მუშაობის სიახლეზე, ამასთან, ხანდახან, როცა საგანთა ღრმა აზრის რაც შეიძლება გარკვეულად გამოხატვის მოთხოვნილება მასში სძლევს ადრინდელთან შედარებით მათი ენერგიულად გამოხატვის ცდუნებას, იგი უბრუნდება თავის მსუბუქსა და გარკვეულ ენას.

„ლამის შემოვლა" შექმნილია 1642 წელს, „ტობია" — 1637 წელს, „ხუროს ოჯახი" — 1640 წელს, „სამარიტელი" — 1648 წელს, „ორი ფილოსოფოსი" — 1633 წელს, „მოწაფეები ემაუსში", ყველაზე ნათელი და მთრთოლვარე სურათი — 1648 წელს. და თუ ავტოპორტრეტი 1634 წელს მიეკუთვნება, „ახალგაზრდა კაცი" — მისი ფუნჯის ყველაზე უფრო სრულყოფილი პორტრეტი — 1658 წელსაა დაწერილი. თარიღების ამ ჩამოთვლით ერთი რამ მინდა დავასკვნა. „ლამის შემოვლიდან" ექვსი წლის შემდეგ რემბრანდტმა შექმნა „მოწაფეები ემაუსში" და „სამარიტელი". თუკი ასეთი გამობრწყინების შემდეგ, დიდების აღმავლობის ხანაში რომ მიაღწია — თანაც როგორი ხმაურიანი დიდებისა! — ზოგის მიერ ხოტბაშესხმულის, ზოგის მიერ — დაგმობილისა — მხატვარი მაინც იკავებს თავს, რათა დარჩეს ასეთი მორიდებული, თუკი უკიდურესი გაფიცხებიდან გადადის ბრძნულ სიდინჯეზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ნოვატორ-მაძიებლისა და ფერმწერის გვერდით, რომელიც გამუდმებით ამდიდრებს თავის ხერხებს, მასში ცხოვრობს აგრეთვე მოაზროვნე, რომელიც თავის საქმეს წარმართავს ისე, როგორც ძალა შესწევს და როგორადაც გრძნობს, თითქმის ნიადაგ მორსმჭვრეტელურად, ვითარცა სჩვევია ინტუიციით გასხივოსნებულ გონებას.

* * *

რემბრანდტის ცხოვრებაში, ისევე როგორც მის ფერწერაში, მრავლადაა ჩრდილი და ბნელ-კუთხეები. რამდენადაც რუბენსი საზოგადოებრივსა და პირად ცხოვრებაში მუდამ ისეთივე იყო, როგორც თავის შემოქმედების მცხუნვარე შუადღისას — ნათელი, ბრწყინვალე, ელვარეგონებიანი, სიცოცხლის ხალისით, ამაყი გრაციითა და დიდებულებით აღსავსე, იმდენად, რემბრანდტი დაფარულია, თითქოს... ჭუდან, რაღაცას მალავს, იქნება ეს ფერწერაში თუ ცხოვრებაში. დიდებულთა დარად არ გააჩნია არც ურიცხვშტატიანი სასახლე, არც ამალა, არც იტალიური გემოვნებით მოწყობილი გალერეა. უღიმღამოა მისი ავეჯი, მეწვრილმანე ვაჭრისსაირი ჩამოქერუშებული სახლი, რომელიც ქაოსითაა სავსე, როგორც სჩვევიათ კოლექციონერებს, ბუკინისტებს, ესტამპებისა და იშვიათობის მოყვარულებს. იგი არ მისდევდა არავითარ საზოგადოებრივ საქმიანობას, რომელიც სახელოსნოს მოწყვეტდა და ჩააბამდა იმდროინდელ პოლიტიკაში. არავის უყურებდა იმგვარი წყალობის თვალით, რასაც შეეძლო იგი შეეთვისებინა რომელიმე ხელისუფალთან. არა ჰქონდა არც ოფიციალური პატივი, არც ორდენები და ტიტულები, არც რაიმე ლენტი და არც არაფერი, რასაც შეეძლო შორეულად ან ახლოს დაეკავშირებინა მოვლენებთან ანდა მოღვაწეებთან, რომელნიც, თავის მხრივ, შეიძლებდნენ გადაერჩინათ იგი ათასგვარი დავიდარაბისაგან. წინაღმდეგ შემთხვევაში მათზე საუბრისას ისტორია მხატვრის სახელსაც მოიხსენიებდა. რემბრანდტი ეკუთვნოდა „მესამე წოდებას", როგორც იტყოდნენ საფრანგეთში 1789 წელს, ეკუთვნოდა იმ მასას, რომელშიც ცალკეული პიროვნებანი ერთიანდებიან, სადაც ცხოვრება ერთფეროვანია, ზნე-ჩვეულებანი კი მოკლებულია ყოველგვარ კეთილშობილებას. ამ პროტესტანტულსა და რესპუბლიკურ ქვეყანაშიც კი, ცნობილი რომ იყო ეგრეთ წოდებული წოდებათა თანასწორუფლებიანობით და თავისუფალი იყო არისტოკრატიული ცრურწმენებისაგან, რემბრანდტის გენიის თავისებურების მიუზედავად, უსაჩინო სოციალურმა მდგომარეობამ საშუალება არ მისცა თავი დაეღწია დაბალი ფენისათვის, სადაც საბოლოოდ დაინთქა კიდეც.

ძალიან დიდხანს რემბრანდტზე იცოდნენ მხოლოდ ის, რასაც გადმოგვცემდნენ ზანდრარტი[1] ანდა მისი მოწაფეები, ყოველ შემთხვე-

---

1. იოჰამ ფონ ზანდრარტი (1606—1688) გერმანელი ფერმწერი, გრაფიკოსი, მწერალი. მუშაობდა ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. იყო ეკლექტიკი, ბაძავს იტალიელსა და ჰოლანდიელ ოსტატებს. უფრო მეტად ცნობილია, როგორც ხელოვნების პირველი გერმანელი ისტორიოგრაფი.

ვიში, ისინი, ვინც წერდნენ — პოხსტრატენი[2] და პაუბრაკენი[3].

ყოველივე ამოიწურება რამდენიმე მოარული ლეგენდით, საეჭვო ცნობით, არასერიოზული მსჯელობითა და ჭორებით. რემბრანდტის პიროვნებაში ვერაფერს ხედავდნენ „ეცნაურობის, მანიაკური გატაცებების, რიღაც ტრივიალობის, უარყოფითი თვისებებისა და ლამის მანკიერების გარდა. ირწმუნებიან, რომ იგი ანგარებიანი, ხარბი და ძუხწიც კი იყო, სულიც ვაჭრული ჰქონდათ, მეორეს მხრივ, იმასაც ამბობენ, თითქოს უთავბოლო მფლანგველიც იყო, საბუთად იმოწმებენ მის გალატაკებას. მას ბევრი მოწაფე ჰყავდა, რომელთაც ცალ-ცალკე ოთახებში სხდამდა, თან თვალყურს ადევნებდა, რომ ერთმანეთთან არა ჰქონოდათ არავითარი ურთიერთობა და არც არავითარი გავლენა. ამ რუდუნებითი სწავლებისაგან მას დიდი შემოსავალი ჰქონდათ და მოჰყავთ ლეგენდად შემორჩენილი მისი ზეპირი გაკვეთილის რამდენიმე ნაწყვეტი. ესაა უბრალო, ჯანსაღი აზრის ჭეშმარიტება, რაც რაიმე დასკვნის გამოტანის საფუძველს არ იძლევა. რემბრანდტს არ ენახა იტალია და არც სხვებს ურჩევდა იქ წასვლას. მისი ყოფილი მოსწავლეები, რომლებიც შემდეგ ესთეტიკის დოქტორები გახდნენ, სინანულს გამოთქვამდნენ, რომ მათმა მასწავლებელმა კულტურის ამ აუცილებელი ელემენტით არ გაიმდიდრა ჯანსაღი თეორია და ორიგინალური ტალანტი. ყველამ იცოდა რემბრანდტის ეცნაური გემოვნება — ძველმანებით, აღმოსავლური ძონძებით, მუზარადებით, დამნებითა და აზიური ხალიჩებით მისი გატაცების ამბავი. სანამ საფუძვლიანად არ გაეცნენ მხატვრის სახლის მოწყობილობას, მის მიერ შეკრებილ სასარგებლოსა და ჭკუისასწავლებელ ნივთებს, რითაც სავსე იყო მისი სახლი, მანამდე მათში ხედავდნენ მხოლოდ ნაირგვარ საგანთა ჭოხს, საბუნებისმეტყველო ისტორიისა და მეძველმანის დახლის კუთვნილებას. რომ შეადგენს. აქ თავმოყრილი იყო ველურების საომარი აღჭურვილობა, ცხოველთა ფიტულები და გამხმარი ბალახებულები, რაც ამ სახლს საეჭვო ადგილად, რამდენადმე იდუმალი რეცეპტურებისა და კაბალისტიკის ლაბორატორიად ხდიდა. ეს ახირებანი კი, ფულისადმი საკერძოდ სწრაფვასთან ერთად, ამ მგზნებარე დაბერებულის ფიქრიანსა და მოღუშულ ფიგურას ოქროს საიდუმლოების მაძიებელი ვინმე ალქიმიკოსის დასაძრახ იერს ანიჭებდა.

რემბრანდტს სარკის წინ პოზირებისა და საკუთარი პორტრეტების წერის ჟინი ჰქონდა, მაგრამ ისე კი არა როგორც ამას რუბენსი აკეთებდა ჰეროიკულ სურათებში, ეპიკურ ფიგურათა შორის რაინდისა თუ მეომრის სახით. რომ წარმოიჩენდა თავს, რემბრანდტი მცირე ზომის ტილოზე მარტო გამოხატავდა საკუთარ თავს, მხოლოდ თავისთვის, მარტოოდენ თავის მრგვალსა და ფერ-ხორცით სავსე სახეზე მოთამაშე ბლიკისა თუ იშვიათი ნახელარტონის გულისთვის. ის იგრეხდა ულვაშებს, იჩეჩავდა გრუზა თმას; მისი მსხვილი წითელი ტუჩები ოდიმებოდა, წვრილი თვალები კი დაფანჩული წარბების ქვეშოდან უცნაური — აგზნებული, დაძაბული, მკვეთრი და თვითმყოფადი მზერით მოგჩერებოდნენ. ეს არ იყო მთლად ჩვეულებრივი თვალები. მისი სახე შთამაგონებლად გამოიყურებოდა: მეტყველი პირი, ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპი, წარბებს შუა დაძაბულ შრომას ორი ვერტიკალური ღარი გაუვლია, კოხები და ნოჭები გასჩენია შუბლის შეჭმუხვნის ჩვეულებისაგან, რაც ნიშანდობლივია ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც ხშირად უხდება გულისყურის დაძაბვა, აღიქვამს მიღებულ შეგრძნებებს და ულრმავდება საკუთარ თავს. რემბრანდტს უყვარდა მორთვა და ტანისამოსს ისე იცვლიდა, როგორც ნამდვილი მსახიობი. ის თავის გარდერობში ყველაფერს ნახულობდა რაც კი სჭირდებოდა, რომ ჩაეცვა, თავზე დაეხურა ან დაემშვენებინა ტანისამოსი. იხურავდა დოლბანდებს, ხავერდის ბერეტებს, ფეტრის შლაპებს, იცვამდა კამზოლებს, ლაბადას, ხანდახან კი ბეგთარს. თმაზე იბნევდა ძვირფასეულობას, გულზე იკიდებდა ძვირფასთვლებიან ოქროს ჯაჭვებს. და ამას, ვინც საკმაოდ ვერ ჩასწვდებოდა მხატვრის ძიების საიდუმლოებას, შეიძლება კითხვა დაბადებოდა, საკუთარი მოდელისათვის ფერმწერის ეს დათმობანი ხომ არ იყო ადამიანის ეგრალო სისუსტე, რითაც იგი მხატვარს ახალისებდაო. მოგვიანებით, სიმწიფის ხანაში სიცოცხლის ძალზე მძიმე დღეებში, რემბრანდტი საკუთარ თავს გაცილებით უფრო მკაცრი, მოკრძალებული და სარწმუნო იერით წარმოგვიდგენს: აქ ალარ გვხვდება ოქრო და ხავერდი.

---

2. სამუელ ვან ჰოხსტრატენი (1627—1678) დორდრეხტელი ფერმწერი, გრაფიკოსი, მწერალი, რემბრანდტის მოწაფე. ხელოვნების ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, შევიდა ფერწერაზე დაწერილი წიგნით, რომელიც მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს მის თანამედროვე მხატვრებზე.

3. არნოლდ ჰაუბრაკენი (1660—1719) მხატვარი, გრაფიკოსი. ხელოვნებაზე დაწერილი წიგნის ავტორი. შეადგინა ჰოლანდიელ მხატვართა ბიოგრაფიების წიგნი.

აცვია მუქი ქურთუკი, თავზე თავშალი გაუკრავს, სახე ნაღვლიანი, დანაოჭებული და მოტეხილი აქვს, გაუხეშებულ ხელში პალიტრა უჭირავს. გულგატეხილი ადამიანის ეს იერი ახალი ფორმაა, რომელიც მან ორმოცდაათი წლის გადაბიჯების შემდეგ მიიღო. მიგრამ ამ ფორმამ მხოლოდ გაართულა ის მართალი წარმოდგენა, რის შექმნასაც მის შესახებ ვაპირებდით.

ყოველივე ეს, ერთობლივად აღებული, არა ქმნის საკმაოდ მწყობრსა და შეთანხმებულ მთლიანს, იუდად ეგუება მხატვრის ქმნილებათა აზრს, მისი ჩანაფიქრის გაჭანებას, მის ჩვეულებრივ მიზწრაფებათა ღრმა სერიოზულობას. მხატვრის ძნელად დასადგენი, მერყევი ხასიათი, მისივე, თითქმის უცნობი ყოველდღიური ცხოვრების ზოგიერთი აშკარა შტრიხი მკვეთრად გამოირჩევა მხატვრის უხალისო, ულიმლამო, მრავალი ამოუხსნელით გაბუნდოვნებული არსებობისა და საკმაოდ გაურკვეველი ბიოგრაფიის ფონზე.

შემდეგ ამ ჩაბნელებულ სურათის თითქმის ყველა სიეჭვო ადგილი სათანადოდ განათდა. რემბრანდტის ცხოვრება აღწერილ იქნა. თანაც ძალიან კარგად, როგორც ჰოლანდიაში, ისე, ჰოლანდიური წყაროების მიხედვით, საფრანგეთში. მისი ერთ-ერთი ყველაზე თვალგამოდებული თაყვანისმცემლის, ვოსმარის შრომების წყალობით ჩვენ რემბრანდტის შესახებ ყველაფერი მნიშვნელოვანი თუ არა, ყოველ შემთხვევაში ყველა შესაძლო ამბავი მაინც ვიცით. და ეს საკმარისია იმისათვის, რათა ვიგრძნოთ ამ ადამიანისადმი სიყვარული, სიბრალული, პატივისცემა და, ჩემი ვარაუდით, კარგადაც გავუგოთ მას.

გარეგნულად ეს იყო დარბაისელი ადამიანი, რომელსაც უყვარდა თავისი სახლი, შინაური გარემო, ოჯახში საკუთარი ადგილი, იყო ოჯახის ერთგული, თავისი ბუნებით უფრო მეუღლე, ვიდრე საყვარელი, ერთი სიყვარულის ერთგული, ვერ იტანდა ვერც მარტოხელა ცხოვრებას და ვერც ქვრივობას (არც თუ მთლად გარკვეულ ვითარებათა გამო იგი სამჯერ დაქორწინდა), და, რა თქმა უნდა, იყო შინჩაკეტილი. ის არა ყოფილა ყაირათიანი იმიტომ, რომ არ შეეძლო წესრიგში ჰქონოდა თავისი ანგარიში, არც ძუნწი ყოფილა, რაც იქიდან ჩანს, რომ გალარიბდა. თუ ფულს ცოტას ხარჯავდა საკუთარი კომფორტისათვის, ალბათ იმიტომ, რომ გაეფლანგა ისე, როგორც მოეპრიანებოდა. რემბრანდტი ხასიათშეუწყობელი ადამიანი იყო, და, უეჭველია, მიუნდობელიც, უყვარდა მარტობა და თავის მოკრძალებულ გარემოშიც უცნაურ ადამიანად ეჩვენებოდათ. ფუფუნებაში არ უცხოვრია, მაგრამ ჰქონდა თავისებური საოცარი სიმდიდრე, ეს იყო განძეულობა, მხატვრული ღირებულების საბით, რაც მას უდიდეს სიხარულს ანიჭებდა. საბოლოოდ [illegible] ეს განძიც დაკარგა. ერთ [illegible] დღეს მთელი ეს განძი — შემდეგ მისით დადხანს იყო დაინტერესებული შთამომავლობა — სადღაც ფუნდუკუმი მუქთად გაიყიდა მის თვალწინ. გასაყიდად შედგენილი ქონების აღწერიდან დარწმუნდნენ, რომ მხატვრის სახლში სულაც არა ყოფილა ყველაფერი ძველმანი; აქ იყო მარმარილოს ქანდაკებები, იტალიური და ჰოლანდიური სურათები და საკუთარი ნაწარმოებები; განსაკუთრებით მრავალად იყო გრავიურები, მათ შორის ეიმშეიათესიც, რომელსაც რემბრანდტი ან საკუთარზე სცვლიდა ანდა ძალზე ძვირად ყიდულობდა. ამ საუცხოო, დახვეწილსა და სიყვარულით შეგროვილ ნივთებს მხატვარი დიდად აფასებდა. მათთან ისე იყო შეჩვეული, როგორც თავის მარტოობის ამხანაგებთან, როგორც თავისი შრომის მოწმეებთან, თავისი აზრის მესაიდუმლეებთან და მისი ნიჭის შთამაგონებლებთან. შესაძლოა, ამ განძეულობას ის აგროვებდა როგორც მოყვარული, როგორც მცოდნე და ინტელექტუალური ტკბობის დახვეწილი დამფასებელი. უეჭველია, ეს იყო სიძუნწის უჩვეულო ფორმა, რომლის საიდუმლო აზრი ყველასათვის გაუგებარი გამხდარიყო. რაც შეეხება ვალებს, რამაც იგი ლამის დაახრჩო, ვალები მაშინაც კი ჰქონდა, როდესაც ერთ ჩვენამდე მოღწეულ წერილში თავს მდიდარს უწოდებს. რემბრანდტი ამაყი იყო და თამასუქს იმ ადამიანის ძალდაუტანებლობით აწერდა ხელს, რომელმაც არ იცის ფულის ყადრი და წესიერად ანგარიშს არც იმას უწევს რა აქვს თავად და არც იმას, რისი მოვალეა.

რემბრანდტს ჰყავდა მშვენიერი ცოლი, სასკია, რომელმაც სინათლესავით გაანათა მისი ცხოვრების მუდმივი შუქჩრდილი და სულ რამდენიმე წლის მანძილზე მხატვრის სახლში შნო და ჭეშმარიტი მომხიბვლელობა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, რაღაც ელვარება მაინც დაამკვიდრა მხატვრის დაღვრემილ სახლს, მის სიკუშტესა და ყოველთვის თავაუღებელ შრომას აკლდა ექსპანსიურობა, ახალგაზრდული ტრფობა, ქალური გრაცია და სინაზე. მოუტანა თუ არა ყოველივე ეს სასკიამ? ვის შეეძლია ამის დანამდვილებით თქმა? ამბობენ, რემბრანდტი მასზე შეყვარებული იყოთ; მხატვარი ხშირად წერდა სასკიას პორტრეტს, ალბასნაირად რთავდა უჩვეულო და საუცხოო ტანსაცმლით, გარემოსავდა შემთხვევითი ფუფუ-

ნებით, წარმოსახავდა „ებრაელ პატარძლად", „ოდალისკად", „ივდითად", შესაძლოა „სუსანად" და „ბერსაბედაც". მაგრამ არასოდეს წერდა ისეთად, როგორიც სინამდვილეში იყო, ჩაცმული იქნებოდა თუ შიშველი, და არ დაუტოვებია თითქმის არც ერთი მიმსგავსებული პორტრეტი. აი, ყოველივე ის, რაც მის ძალზე ადრე შეწყვეტილ ოჯახურ სიხარულზე ვიცით. სასკია ახალგაზრდა მოკვდა, 1642 წელს, სწორედ იმ წელიწადს, როცა რემბრანდტმა „ღამის შემოვლა" დაწერა. რემბრანდტის სურათებში ვერ შეხვდებით მისი შვილების მხიარულსა და ხალისიან სახეებს, მხატვარს კი სამი ქორწინებიდან რამდენიმე შვილი ჰყავდა. ერთი ვაჟიშვილი, ტიტიუსი რემბრანდტზე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა; დანარჩენები რემბრანდტის სიცოცხლის უკანასკნელ წლებისა და სიკვდილის დამფარველ ბურუსში არიან მიკარგულნი.

ცნობილია, რომ რუბენსს, რომელიც ყოველთვის ხალისიანი და ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობდა, ხანდახან მაინც დაუდგებოდა ხოლმე სისუსტისა და უეცარი სასოწარკვეთის ჟამი — პირველად, როდესაც იტალიიდან დაბრუნებულმა მშობლიურ ქვეყანაში უცხოდ იგრძნო თავი, ხოლო მოგვიანებით, როდესაც იზაბელა ბრანდტის სიკვდილის შემდეგ დაქვრივებული მარტოდმარტო დარჩა საკუთარ სახლში; ამის შესახებ მეტყველებენ მისი წერილები. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა განიცადა რემბრანდტის გულმა, როცა სასკია გარდაიცვალა, რადგან მხატვარმა მუშაობა ისე განაგრძო, თითქოს ერთი დღეც არ შეუსვენია — ეს ჩანს მისი სურათების თარიღებისა და უფრო უკეთესად მისი ოფორტების მიხედვით. რემბრანდტს სიმდიდრე ხელიდან ეცლება, მას გაკოტრებული მევალეების კამერაში ამწყვდევენ, ართმევენ ყველაფერს, რაც კი უყვარდა, მაშინ მას თავისი მოლბერტი მიაქვს და დგამს ახალ ადგილზე, თანამედროვეებსა და შთამომავლობას კი ამ უცნაური, ღამის სულითხორცამდე განადგურებული ადამიანისაგან ერთი დაჩიენლება, ერთი ხმამაღალი საყვედურიც არ გაუგონია. მხატვრის შემოქმედება არ სუსტდება, არც მისი სურათების რაოდენობა და ხარისხი ხდება უფრო ნაკლები, წარმატება სიმდიდრესთან, ბედნიერებასა და კეთილდღეობასთან ერთად ეცლება ხელიდან, მაგრამ ბედის უკუღმართობასა და საზოგადოებრივი აზრის ღალატს რემბრანდტი პასუხობს „სიქსის პორტრეტითა" და „სინდიკებით", რომ აღარაფერი ვთქვათ ლუვრისეულ „ახალგაზრდა ქაცის პორტრეტზე" და მრავალ სხვა სურათზე, რომლებიც ეკუთვნის მის ყველაზე უმთავრეს. შთამბეჭდავსა და ძლიერ ხაწარმოებებს. ბწყინარებისა და დამამცირებელი უბედურების დღეებში იგი იხარჩუნებს რაღაც უშფოთველობას, რაც სრულიად გაუგებარი მოგეჩვენებოდა, რომ არ ვიცოდეთ, ბედუკმართობა რიგორ ამსუბუქებს სულს, რომელიც „ასაგსეა" ღრმა ჩანაფიქრით, და რა ძლიერია „მასში" ფავდაპერილობა და უნარი დავიწყებისა.

ჰყავდა თუ არა რემბრანდტს ბევრი მეგობარი? როგორც ჩანს, არა. ყოველ შემთხვევაში, ისინი არა, ვისი მეგობრობის ღირსიც იყო, არც ვონდელი, რომელიც სიქსის სახლში შინაურ კაცად იყო მიღებული, არც რუბენსი, რომელსაც რემბრანდტი კარგად იცნობდა. რუბენსმა ჰოლანდიაში ყოფნისას, 1636 წელს მოინახულა ყველა ცნობილი მხატვარი გარდა რემბრანდტისა. რუბენსი „ღამის შემოვლამდე" ერთი წლით ადრე გარდაიცვალა, რემბრანდტის სახელი კი მოხსენიებულიც არ არის რუბენსის არც ერთ წერილში და არც მის კოლექციაში. მიიგებდნენ თუ არა რემბრანდტს პატივს, ჰყავდა თუ არა თაყვანისმცემლები, ჩანდა თუ არა საზოგადოებაში? არა! თუ რემბრანდტის შესახებ ლაპარაკობდნენ „აპოლოგიებში", იმდროინდელ კრებულებში ანდა რაღაც შემთხვევის გამო დაწერილ ლექსებში, მას ყოველთვის მეორეხარისხოვან ადგილზე მიაგდებდნენ, იხსენიებდნენ გაკვრით, არაგულითადად, თითქოსდა მხოლოდ სამართლიანობის გრძნობის გამო. ლიტერატორებიც უფრო სხვებს აძლევდნენ უპირატესობას, ხოლო რემბრანდტა — ერთადერთ ჭეშმარიტად სახელგანთქმულ ადამიანს — ბოლო ადგილს მიუჩენდნენ. ოფიციალურ ცერემონიებზე, დიდი ზეიმის დღეებში მას ივიწყებდნენ, ხატოვნად რომ ვთქვათ, პირველ რიგში და ესტრადაზე არასოდეს არა ჩანდა.

მიუხედავად მხატვრის გენიალობისა, მიუხედავად მისი დიდებისა და იმ საყოველთაო გატაცებისა, რაც შემოქმედების დასაწყისშივე მისკენ უბიძგებდა მხატვრებს, იმ წრემ, მაღალ საზოგადოებას რომ უწოდებენ, ამსტერდამშიც კი სულ ოდნავ გაუღო კარი, და რემბრანდტი ამ საზოგადოების არასოდეს არა კუთვნებია. ვერც მისი პორტრეტები უწევდნენ იმაზე მეტ რეკომენდაციას, ვიდრე საკუთარი პიროვნება. თუმცა რემბრანდტი წერდა დიდებულ პორტრეტებს, ეს მაინც არ იყო ის მომხიბლავი, ბუნებრივი და თვალშისაცემი ნაწარმოებები, რომელთაც შეეძლოთ იგი მაღალ საზოგადოებაში მოეხვედრებინათ, თავად დაფასებისათვის მიეღწიათ, მხატვრისათვის კი წარმატება მოეხვეჭათ. მე უკვე აღვნიშნე, რომ კაპიტანმა

კომა, რომელიც „ღამის შემოვლაშია“ გამოსახული, შემდეგში თავი იმით ინუგეშა, რომ პორტრეტი ვან დე ჰელსიტს შეუკვეთა. სიქსი კი, რემბრანდტთან შედარებით ახალგაზრდა კაცი, მხატვარს — ამაში ეჭვიც არ მეპარება—არც თუ ხალისით დათანხმდებოდა თავისი პორტრეტის დახატვას. ამ ოფიციალურ პირთან რემბრანდტი დადიოდა არა როგორც მეგობართან, არამედ როგორც ბურგომისტრთან და მეცენატთან. მხატვარი უპირატესობას ანიჭებდა უჩინარი ხალხის, მედუქნეებისა და წვრილი ბიურგერების საზოგადოებას. ამის გამო მეტისმეტად ქირდავდნენ, თუმცა ეს ძალზე მოკრძალებული ურთიერთობა არაფრით არ იყო სამარცხვინო, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობდნენ. ცოტაც და, ალბათ, გარყვნილებაშიც დასდებდნენ ბრალს, რადგან ცოლის სიკვდილიდან ათი წლის შემდეგ ამ მარტოხელა ადამიანმა ხალხს საბაბი მისცა ეჭვი აეღოთ მოსამსახურესთან მის ურთიერთობაზე. მის მოსამსახურეს სახელი გაუტყდა, თვითონ რემბრანდტს კი ლანძღვა-გინება დაუწყეს, ამასთან ერთად, იმ ხანებში მხატვარს საქმეები ისედაც ცუდად წაუვიდა: მან დაკარგა ქონება და პატივისცემა. როდესაც უსახლკაროდ და უგროშოდ დარჩენილმა, მაგრამ მეკალეებთან ანგარიშგასწორებულმა ბრესტრატი დატოვა, ვეღარაფერმა ვეღარ უშველა, ვეღარც ნიჭმა და ვეღარც მოხვეჭილმა დიდებამ. იგი მიივიწყეს, კვალიც კი წაშალა მისი, უმალ გაქრა იმ ყოველდღიურ სივაგლახესა და ბნელით მოცულ ცხოვრებაში, საიდანაც თავი ვეღარასოდეს დააღწია.

სხვებისაგან განსხვავებული ეს ადამიანი, როგორც ჩანს, ყველაფერში იყო მეოცნებე, შესაძლოა, მეტისმეტად უთქმელი, თუმცა მისი იერი საპირისპიროს მეტყველებს. უეჭველია, მას უნდა ჰქონოდა მოუქნელი ხასიათი, უნდა ყოფილიყო ცოტა მკაცრი, უნდობელი, უკმეხი, შეკამათების მოძულე, სხვის მოსაზრებას დაუმორჩილებელი, სულის სიღრმეში მერყევი, გარეგნულად ურჩი და, ყოველ შემთხვევაში, ორიგინალური... თუ თავდაპირველად რემბრანდტს, ბეცი პედანტებისა და ჰკუამოკლეთა შურის მიუხედავად, აქებდნენ, დიდებით მოსავდნენ და ეფერებოდნენ, როცა სცენიდან ჩამოვიდა, მასზე საშინლად იყარეს ჯავრი.

რაც შეეხება მის ტექნიკას, იგი ყველასაგან სრულიად განსხვავებულად წერდა, ხატავდა, კვეთდა. მუშაობის ხერხების მიხედვით მისი ნაწარმოებები ნამდვილ გამოცანას წარმოადგენდა. მისით გაკვირვებულნი იყვნენ, მაგრამ რაღაც შეშფოთება ახლდა ამ გაკვირვებას, მას თვალყურს ადევნებდნენ, თუმცა ბოლომდე ვერ სწვდებოდნენ. მუშაობისას მხატვარს ალქიმიკოსის იერი ჰქონდა. როდესაც რემბრანდტს, წვიანი პალიტრით, ესენციის სუნით გაჟღენთილს, მძიმე საჭუჭბეტებით — დატვირთულს მოლბერტთან ხედავდნენ, როდესაც სპილენძის დაფაზე დახრილი ქვეთდა და არღვევდა ყოველგვარ წესს — სურდათ მისი ფუნჯისა თუ ნემსის წვერზე აღმოეჩინათ მხატვრის ღრმა საიდუმლოებათა ახსნა. მისი მანერა ისეთი ახალი იყო, რომ ძლიერი გონების პატრონსაც თავგზას უბნევდა, ალალმართლებში კი ალტაცებას იწვევდა... ყველა, ვინც კი ფერწერას სწავლობდა, ახალგაზრდა იქნებოდა, გაბედული, ურჩი თუ თავქარიანი — მასთან მრბოდა. რემბრანდტის მოწაფეები საშუალო დონისანი იყვნენ, მისი მიმდევრები კიდევ ეფრო უარესები. გასაოცარია, რომ სენაკერი სწავლებით, რის შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ, არც ერთ მოწაფეს არ შეუნარჩუნებია თავისთავადობა, ისინი ბაძავდნენ რემბრანდტს, როგორც არასოდეს არ მიუბაძიათ თავიანთი მასწავლებლებისათვის ასლის ყველაზე მონურ გადამდებებსაც კი. რაღა თქმა უნდა, ისინი რემბრანდტისაგან უარეს მეთოდებს იღებდნენ.

იყო თუ არა რემბრანდტი სწავლული, განათლებული? იყო თუ არა იგი თუნდაც ნაკითხი? ამბობენ — კი, იმიტომ, რომ ესმოდა სული წარმოსახული სცენებისა, ეხებოდა ისტორიას, მითოლოგიას, ქრისტიანულ მოძღვრებას; ხან ამბობენ — არაო, ვინაიდან მისი საოჯახო მოწყობილობის შესწავლისას გრავიურები ერიცხვი აღმოაჩინეს, წიგნი კი თითქმის არც ერთი. იყო თუ არა იგი ფილოსოფოსი იმ აზრით, როგორც ჩვეულებრივ ესმით სიტყვა „ფილოსოფოსობა“? როგორ ეკიდებოდა რეფორმაციას, როგორც ახლა ირწმუნებიან, უწყობდა თუ არა ხელს რემბრანდტი-მხატვარი სახარების დოგმატების დარღვევასა და მისი ადამიანური მხარის წარმოჩენას? თქვა თუ არა მან თავისი საზრიანი სიტყვა პოლიტიკურ, რელიგიურსა თუ სოციალურ საკითხებზე, რომლებიც კარგა ხანს ავსებდა შფოთით მის ქვეყანას? რემბრანდტი უფრო ხშირად ღარიბებს, დაბეჩავებულებსა და მაწანწალებს ხატავდა, ვიდრე მდიდრებს, უფრო ხშირად წარმოაჩენდა ებრაელებს, ვიდრე ქრისტიანებს. გამომდინარეობს თუ არა აქედან, რომ რემბრანდტი ჩაგრული კლასის მიმართ გაჩიცდიდა იმაზე უფრო მეტს, ვიდრე ფერმწერის ინტერესებია? ყოველივე ეს ძალზე რთული საკითხებია და საფუძველს ვერა ვხედავ, გავალრმაო. ეამისოდაც უკვე ღრმა თემა და მრავალ-

არსებულ ჰიპოთეზას კიდევ ერთი ჰიპეთეზი მივუმატო.

ყოველ შემთხვევაში, ძნელია რემბრანდტის გამოცალკევება მისი ქვეყნის და მისი დროის გონებრივი თუ ზნეობრივი მოძრაობებისაგან. იგი სუნთქავდა XVII საუკუნის ჰოლანდიის ბურჟუაზიური ჰაერით და მისით ცოცხლობდა. ის ადრე რომ მოვლენოდა ქვეყანას, — გაუგებარი დარჩებოდა, სხვა ადგილას რომ დაბადებულიყო — უფრო უცნაური იქნებოდა მისთვის მიწერილი ახალი დროის ხელოვნების ორბიტის გარეთ მოხეტიალე კომეტის როლი. შედარებით გვიან რომ გამოჩენილიყო, მას აღარ ექნებოდა უდიდესი დამსახურება მხატვრისა, რომელმაც დააგვირგვინა წარსული და გახსნა ერთ-ერთი უდიდესი კარი მომავლისაკენ. მან ძალზე ბევრი ვინმე დააბნია ყოველმხრივ: როგორც ადამიანი, მოკლებული იყო გარეგნულ ბეწს და ამის გამო ასკვნიდნენ, უხეში იყოო, როგორც მეცნიერმა არაერთი სისტემა დაარღვია, რის გამოც ფიქრობდნენ, რომ არა ჰყოფნიდა სწავლულობა; გემოვნების მხრივ, სცოდავდა ყველა აღიარებული კანონის წინაშე, ამის გამო კი უმალ უგემოვნებას სწამებდნენ. სიმშვენიერეზე შეყვარებული მხატვარი ხანდახან მიწიერ საგნებს დამახინჯებულ იერს ანიჭებდა, და ვერავინ ხვდებოდა, რომ იგი სულ სხვა რამეს ესწრაფვოდა. მოკლედ, რა გადაჭარბებულადაც არ უნდა ექოთ რემბრანდტი, რა გაბოროტებითაც არ უნდა გაეკიცხათ, რა უსამართლოდაც არ უნდა მოკიდებოდნენ, როგორც კარგის მხრივ, ისე ცუდის მხრივ, არად ჩაეგდოთ მისი ბუნება, ეჭვითაც ვერავინ ხვდებოდა, რაში იყო მისი ჭეშმარიტი სიდიადე.

გახსოვდეთ, რომ რემბრანდტი — ყველაზე ნაკლებად ჰოლანდიელია ჰოლანდიელ მხატვართა შორის, რომ თუმცა ის თავის დროს ეკუთვნის, მაგრამ მთლიანად — არასოდეს. იმას, რასაც მისი თანამედროვენი ამჩნევდნენ, ის ვერა ხედავს; ის, რისგანაც სხვები პირს იბრუნებდნენ, მას, პირიქით, იზიდავს. სხვები მითებს დაემშვიდობნენ, რემბრანდტი კი მათ უბრუნდება; უბრუნდება ბიბლიას — და ახდენს მის ილუსტრაციას, უბრუნდება სახარებას — და მთლად სახარებითაა აღსავსე. რემბრანდტი ასხვაფერებს ერთსაც და მეორესაც, როგორც ეს მხოლოდ მას შეუძლია, მათგან გამოყოფს განუმეორებელს, ახალს, ყველასათვის გასაგებ აზრს. იგი ოცნებობს „წმ. სიმეონზე", „იაკობსა და ლავანზე", „ძეშეცდომილზე", „ტობიაზე", „მოციქულებზე", „წმინდა ოჯახზე", „მეფე დავითზე", „გოლგოთაზე", „სამარიტელზე", „ლაზარეზე", „მახარებელზე". ის დახეტიალობს იერუსალიმის, ემაუსის ახლომახლო და იზიდავს სინაგოგი, რაც თვალნათლივ იგრძნობა. ეს წმინდათაწმინდა თემები მას ისე აქვს წარმოდგენილი, რომ არც ადგილისა და არც სამოსელის მიხედვით არ ჩანს, სად ხდება მოქმედება, რაც ეწინააღმდეგება კეთილგონიერებას. ამ თემების ჩანაფიქრისა და ფორმულირებისას მხატვარი ისევე ნაკლებად ზრუნავს ტრადიციებზე, როგორც ადგილობრივ კოლორიტზე. მაგრამ ისეთი ძლიერია მისი შემოქმედების ძალა, რომ ეს თავისებური, თვითმყოფადი სული სიუჟეტებს, რასაც კი შეეხება, ანიჭებს უფრო ზოგად გამოხატულებას და ძალზე ღრმა ტიპიურ აზრს, რაც ყოველთვის არ ხელეწიფებათ დიდ მოაზროვნეებსა და ნახატის ეპიურ ოსტატებს.

რემბრანდტს პრინციპად ჰქონდა, საგანთა ელემენტებიდან გამოეყო ერთ-ერთი ან უფრო სწორად, მოწყვეტოდა დანარჩენებს, რათა მხოლოდ ერთს დაუფლებოდა. ამრიგად, ყველა თავის ნამუშევარში რემბრანდტი ახდენს ანალიზსა და დისტილაციას, ანდა, უფრო კეთილშობილურად რომ გამოვხატოთ, ქმნის როგორც უფრო ფილოსოფოსი, ვიდრე როგორც პოეტი. სინამდვილეს იგი არასოდეს მოუჯადოებია თავისი მთლიანობით. როდესაც უყურებ, როგორ აქვს დახატული სხეული, შეიძლება ეჭვი შეგეპაროს, აინტერესებდა თუ არა ამ სხეულის ფორმაო. მას უყვარდა ქალები, მაგრამ ხედავდა მხოლოდ დეფორმირებულ სხეულს, უყვარდა ქსოვილები, მაგრამ არ იღებდა მათ ასლს. და თუ სიშიშვლის გამოსახვისას არ ყოფნიდა გრაცია, სილამაზე, სუფთა ხაზები და დახვეწილობა, შიშველი სხეულის მოქნილობისა და სიმრგვალის წარმოსახვისას ამას ავსებდა სხეულის ისეთი სიყვარულით და ცოცხალი არსების აზრის ისეთი გაგებით, რომ მხატვრები ამას ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავდა. საკუთრივ მისთვის აუცილებლის გამოყოფის შემდეგ ის ანაწილებდა ყველაფერს — როგორც ფერს, ასევე სინათლეს. ამრიგად, როცა სახეს ანთავისუფლებდა მრავალფეროვნებისაგან და ახდენდა ყველა გაბნეულის კონდენსაციას ერთში, მას შეეძლო ეხატა უკონტურებოდ, შეექმნა თითქმის უჩინარ ნაკვთთა პორტრეტები, ეწერა უკოლორიტოდ, ერთ სხივში მოექცია მზის მთელი სინათლე. შეუძლებელია პლასტიკური ხელოვნება სამყაროს შემეცნებაში ამაზე შორს წავიდეს; ფიზიკური სილამაზე რემბრანდტმა შეცვალა სულიერი გამომსახველობით, საგანთა გამოსახვა — მათი თითქმის სრული გადასხვაფერებით, კვლევა — ფსიქოლოგის გონების ჭვრეტით. ზუსტა, მარჯვე თუ გულუბრყვილო დაკვირვება — ნათელმხილველის ხილვებითა და ზმანებებით, რასაც მხატვარს ისე გულწრფელად სწამდა, რომ თვითონვე ტყუვდებოდა. ამ ორმაგი ნიჭისა და

მთვარეულის ინტუაციის წყალობით ზებუნებრივის სფეროში იგი უფრო შორს ხედავს, ვიდრე სხვა ვინმე. ცხოვრება, რომელიც მას ეზმანება, იტარებს სულ სხვა სამყაროს კვალს, რაც რეალურ ცხოვრებას თითქმის ციესა და უფერულს ხდის. ნახეთ ლუვრში მისი „ქალის პორტრეტი", ტიციანის „მიჯნურებთან" ორ ნაბიჯზე ჰკიდია იგი. შეადარეთ ეს ორი არსება, დაკვირვებით დაათვალიერეთ ორივე სურათი და მიხედებით ამ ორ გონებას შორის განსხვავების. რემბრანდტის იდეალი — სიზმრის მსგავსია, რასაც თვალდახუჭულნი ხედავენ — და ესაა სინათლე: საგანთა ირგვლივ შარავანდი, შავ ფონზე ფოსფორული ნათება. ყოველივე ეს ბუნდოვანი, გაურკვეველი, ეფემერული და თვალისმომჭრელი, შედგება მოუხელთებელი მოხაზულობებისაგან, რომლებიც შეიძლება დასხლტნენ, სანამ მხატვარი მათ აღბეჭდვას მოასწრებს. ზმანების შეჩერების, მისი ტილოზე გადატანის, მისთვის ფორმისა და რელიეფის მოძებნის, მისი ნაზი ქსოვილის შენარჩუნებისა და ელვარების მინიჭების შედეგად იქმნება მტკიცე, ვაჟკაცური, საფუძვლიანი ფერწერა, რომელიც გნებავთ სხვა ფერწერაზე არანაკლებ რეალური, ტოლს რომ არ დაუდებს რუბენსს, ტიციანს, ვერონეზეს, ჯორჯონეს თუ ვან დეიკს. აი, რისი მიღწევა ეწადა რემბრანდტს. მიაღწია თუ არა ამას? საყოველთაო აღიარება პასუხი გახლავთ ამ კითხვისა.

კიდევ ერთი საბოლოო სიტყვა. რემბრანდტის მიმართ მის მეთოდს თუ გამოვიყენებთ, ამ დიდ შემოქმედსა და მრავალმხრივ გენიაში წარმოვიჩენთ იმას, რაც განსაზღვრავს მხატვრის არსს, თუ თანდაყოლილ ელემენტებამდე დავიყვანთ მას და გამოვრიცხავთ პალიტრას, ფუნჯზე ზეთიან საღებავებს, ლესირებას, გრუნტსა და მისი ფერწერის მთელ მექანიზმს, ბოლოს და ბოლოს იქამდე მივალთ, რომ მის თავდაპირველ არსს გრავიურაში მოვიხელთებთ. რემბრანდტი სულ მთლიანადაა გამოვლენილი თავის ოფორტებში. მისი გონება, მისწრაფება, ფანტაზია, ოცნებანი, კეთილგონიერება, ქიმერები, გამოესახავის გამოსახვისა და არარსში რეალობის აღმოჩენის მცდელობა — ყოველივე ეს მოიძევება მის ოც ოფორტში, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, წინასწარ ვიგრძნოთ მხატვარი, უფრო მეტიც, ისინი გვიხსნიან მას. იგივ ტექნიკა, იგივ მიზანსწრაფულობა, იგივ დაუდევრობა, იგივ სიკერპე, იგივ უჩვეულო ხერხები, იგივ შეუპოვრობა და უცაბედი წარმატებები გამოსახვაში. ლუვრის კუთვნილი „ტობიას" რემბრანდტის რომელიმე ოფორტთან გულმოდგინე შედარებისას მე ვერა ვპოულობ ვერაგითარ განსხვავებას, არ მეგულება ძეხორციელი, რემბრანდტი-გრავიორი ყველა გრავიორზე მაღლა რომ არ დააყენოს. შორს წასვლა რომ არ მოგვიხდეს მის ფერწერაზე ლაპარაკობისას, კარგი იქნება, უფრო ხშირად გავიხსენოთ „ფურცელი ას გულდენად"[1], განსაკუთრებით მაშინ, როცა გაგვიჭირდება რემბრანდტის გაგება მისი სურათებით. მაშინ დავინახავთ, რომ ამ ხელოვნების მთელი წიდა, რომელიც ყველაზე ძნელად ემორჩილება გაწმენდას, სულაც არ ანელებს მასში დანთებულ შეუდარებლად საუცხოო ცეცხლს. მაშინ, ვფიქრობ, დღემდე არსებული ყველა განსაზღვრა რემბრანდტისა წინააღმდეგო განსაზღვრით შეიცვლებოდა.

ჭეშმარიტად, ეს იყო ნამდვილი გონება, აღჭურვილი ღამის ფრინველის მხედველობით და ოსტატური, მაგრამ არც თუ ისე მარჯვე ხელით. მისი მტანჯველი ძალისხმევა გამომდინარეობს მისივე მოუსვენარი და შეუბღუდავი გონებიდან: სიმდიდრის მაძიებელი უპოვარი, ტანისამოსის წარამარა ცვლის მოყვარული, ერუდიტი, უსარგებლო საგნების დამგროვებელი, დაბალი საზოგადოების წარმომადგენელი, მაგრამ მაღალი აღმაფრენის ადამიანი; სინათლის ირგვლივ მოფარფატე ღამის პეპელა, ცხოვრების ერთგვარი ფორმის გამთავისებელი და სხვაგვარი ცხოვრებისადმი გულგრილი, სინაზესა და გარეგნულ გზნებას მოკლებული, მხურვალედ შეყვარებული სული; წინააღმდეგობებისაგან, კონტრასტებისა და ორაზროვნებისაგან ნაქსოვი ბუნება, რომელიც ზედმეტად მგრძნობიარე და ნაკლებად მჭევრმეტყველი იყო, იყო მოყვარული, მაგრამ არცთუ ძალიან თავაზიანი, უიღბლო, მაგრამ ბედნიერი ნიჭით დაჯილდოებული; ეს ვითომცდა მატერიალური სამყაროს მხატვარი, ტრივიალური და მახინჯი, ნამდვილად წმინდა წყლის სპირიტუალისტი იყო, ზუსტად რომ ვთქვათ, იყო იდეათა მხატვარი, ეს იმას ნიშნავს, რომ იყო ადამიანი, რომლის სფერო — იდეებია, რომლის ენაც იდეების ენაა. ამაშია საიდუმლოების გასაღები!

ამგვარი მიდგომით რემბრანდტი სავსებით გასაგებია; გასაგებია მისი ცხოვრება, შემოქმედება, მიდრეკილებანი, მისი ჩანაფიქრი, პოეტიკა, მეთოდი, მისი ხერხები და სურათებზე გადასმული ლაქის მსუბუქი, გამჭვირვალე საფარველიც კი, რაც სხვა არაფერია, თუ არა მხატვრის ხელოვნების მატერიალური ელემენტების გაბედული და დახვეწილი გასულიერება.

---

1. ოფორტი — „ქრისტე კურნავს დავრდომილთ" შექმნილია 1640 წელს, ბოლო სახელწოდება — „ფურცელი ას გულდენად" შეარქვეს აუქციონზე დადებული დიდი ფასის გამო.

□



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რემბრანდტი. მოგზაურობა ქალიშვილი
ჰენდრიკე სტოფელსი

43/9
76182
ეროვნული ბიბლიოთეკა

რემბრანდტი. წმ. მათე და ანგელოზი

რემბრანდტი. ბალთასარის ვიზი